

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი

**იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მესამე
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია**

12 ივნისი, 2015, გორი, საქართველო

სამეცნიერო კონფერენციის მასალები



GORI STATE TEACHING UNIVERSITY
Educational Scientific Center of the Georgian Language and Literature

The Third International Scientific Conference

Dedicated to Iakob Gogebashvili

June 12, 2015, Gori, Georgia

ARTICLES OF THE CONFERENCE

წინამდებარე კრებული მოიცავს 2015 წლის 12 ივნისს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მიერ ჩატარებული იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებს.

საორგანიზაციო კომიტეტი:

- **გიორგი სოსიაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, კომიტეტის თავმჯდომარე
- **გიორგი ხორბალაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ალექსანდრე მღებრიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ვიანორ ახალაია**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ქეთევან ბარბაქაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ანა იმნაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, კომიტეტის წევრი
- **ზურაბ ჩხიკვაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენების კათედრის გამგე, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ლევან მიდოდაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, კომიტეტის წევრი

პროგრამული კომიტეტი:

- **ვიანორ ახალაია**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის თავმჯდომარე
- **გიორგი გოგოლაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ავთანდილ არაბული**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ვაჟა შენგელია**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **თამარ გოგოლაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **მანანა მიქაძე**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **მამია ფაღავა**, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **როინ ჭიკაძე**, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **იოსებ ჭუმბურიძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **სოსო სიგუა**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი
- **ქეთევან ჭკუასელი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი

სარედაქციო კოლეგია:

- **გიორგი სოსიაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- **გიორგი ხორბალაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
- **ალექსანდრე მღებრიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- **ვიანორ ახალაია**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- **გიორგი გოგოლაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- **ავთანდილ არაბული**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, პროფესორი
- **ვაჟა შენგელია**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, პროფესორი
- **თამარ გოგოლაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
- **მანანა მიქაძე**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
- **მამია ფაღავა**, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
- **როინ ჭიკაძე**, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
- **თეიმურაზ დოიაშვილი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, დოქტორი
- **ლევან ბრეგაძე**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, დოქტორი
- **იოსებ ჭუმბურიძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
- **სოსო სიგუა**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი;
- **ქეთევან ჭკუასელი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

შპს „ჯეოპრინტი“
თბილისი 2016 წელი

ISBN 978-9941-0-9414-9

The presented collection covers the articles of the Third International Scientific Conference after Iakob Gogebashvili held by the Educational-Scientific Center of the Georgian Language and Literature on June 12, 2015 at Gori State Teaching University.

ORGANIZATION COMMITTEE:

- **Giorgi Sosiashvili**, Rector Gori State Teaching University, Professor, Head of Committee
- **Giorgi Khorbaladze**, Gori State Teaching University, Head of Administration, Associate Professor, Member of Committee
- **Aleksandre Mghebrishvili**, Gori State Teaching University, Deputy Rector, Professor, Member of Committee
- **Vianor Akhalaia**, Gori State Teaching University, Head of the Educational Scientific Centre of Georgian Language and Literature, Professor, Member of Committee
- **Ketevan Barbakadze**, Gori State Teaching University, Dean of Faculty of Humanities, Associate Professor, Member of Committee
- **Ana Imnadze**, Gori State Teaching University, Gori State Teaching University, Head of Strategic Development, International and Public Relations Service, Member of Committee
- **Zurab Chkhikvadze**, Gori State Teaching University, Head of Foreign Language Faculty, Professor, Member of Committee
- **Levan Midodashvili**, Gori State Teaching University, Head of Quality Assurance Service, Professor, Member of Committee

PROGRAME COMMITTEE:

- **Vianor Akhalaia**, Gori State Teaching University, Professor, Head of Committee
- **Giorgi Gogolashvili**, Gori State Teaching University, Professor, Member of Committee
- **Avtandil Arabuli**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics, Professor, Member of Committee
- **Vazha Shengelia**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics, Professor, Member of Committee
- **Tamar Gogoladze**, Gori State Teaching University, Professor, Member of Committee
- **Manana Mikadze**, Akaki Tsereteli State University, Professor, Member of Committee
- **Mamia Paghava**, Batumi Shota Rustaveli State University, Professor, Member of Committee
- **Roin Chikadze**, Iakob Gogebashvili Telavi State University, Associate Professor, Member of Committee
- **Ioseb Chumburidze**, Gori State Teaching University, Associate Professor, Member of Committee
- **Soso Sigua**, Gori State Teaching University, Associate Professor, Member of Committee
- **Ketevan Chkuaseli**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor, Member of Committee

EDITORIAL BOARD:

- **Giorgi Sosiashvili**, Gori State Teaching University, Professor
- **Giorgi Khorbaladze**, Gori State Teaching University, Associate Professor
- **Aleksandre Mghebrishvili**, Gori State Teaching University, Professor
- **Vianor Akhalaia**, Gori State Teaching University, Professor
- **Giorgi Gogolashvili**, Gori State Teaching University, Professor
- **Avtandil Arabuli**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics, Professor
- **Vazha Shengelia**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics, Professor
- **Tamar Gogoladze**, Gori State Teaching University, Professor
- **Manana Mikadze**, Akaki Tsereteli State University, Professor
- **Mamia Paghava**, Batumi Shota Rustaveli State University, Professor
- **Roin Chikadze**, Iakob Gogebashvili Telavi State University, Associate Professor

- **Teimuraz Doiashvili**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Doctor
- **Levan Bregadze**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Doctor
- **Ioseb Chumburidze**, Gori State Teaching University, Associate Professor
- **Soso Sigua**, Gori State Teaching University, Associate Professor
- **Ketevan Chkuaseli**, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor

შინაარსი CONTENTS

ენათმეცნიერება Linguistics

ფატი აბაშიძე – რომანტიკოსთა მეუღრო სავანე – 10

Pati Abashidze – FOLKLORE ROOTS OF ROMANTIC WORLD OUTLOOK – 10

ვიანორ ახალაია – იაკობ გოგებაშვილი და ქართველური ენები – 12

Vianor Akhalaia – IAKOB GOGEBASHVILI AND THE GEORGIAN LANGUAGES – 12

ლევან ბრეგაძე – „მაგარის“ სემანტიკისათვის – 16

Levan Bregadze – ON THE SEMANTIC OF THE WORD “MAGARI” – 16

თეა ბურჭულაძე – სტილისტიკური დარღვევების ახალი ტენდენციისათვის დოკუმენტების ენაში – 20

Tea Burchuladze – TOWARDS THE NEW TREND OF STYLISTIC IRREGULARITIES IN THE LANGUAGE OF DOCUMENTS – 20

გიორგი გოგოლაშვილი – იაკობ გოგებაშვილი - პოლემიკის დიდოსტატი – 23

Giorgi Gogolashvili – JAKOB GOGEBASHVILI – THE MASTER OF POLEMICS – 23

რეუვენ ენოხი, თამარ ლომთაძე – ებრაიზმები ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში – 30

Reuven Enokh, Tamar Lomtadze – HEBRAISMS IN THE SPEECH OF JEWS OF KUTAISI – 30

ანა იმნაძე – საკომუნიკაციო ქცევის შესწავლის თეორიული პრობლემები – 33

Ana Imnadze – THEORETICAL PROBLEMS OF STUDYING COMMUNICATIVE BEHAVIOUR – 33

მარიამ კობერიძე – იაკობ გოგებაშვილი რაფიელ ერისთავის ნაწერების ენის შესახებ – 38

Mariam Koberidze – IAKOB GOGEBASHVILI ABOUT LANGUAGE OF RAPHAEL ERISTAVI'S WRITINGS – 38

ლევან კოჭლამაშაშვილი – ზოგიერთი სახელის ბრუნების თავისებურებანი კიზიკურში – 43

Levan Kochlamazashvili – THE SPECIFICS OF CERTAIN NOUN DECLINATION IN KIZIQIAN DIALECT OF GEORGIAN LANGUAGE – 43

ლელა მახვილაძე – დინამიკა გერმანული ენის სიტყვაწარმოებითი აფიქსების ინვენტარში – 46

Lela Makhviladze – DYNAMICS IN THE INVENTORY OF WORD-BUILDING AFFIXES OF THE GERMAN LANGUAGE – 46

ანა მესხი – ინგლისური და ქართული ანბანების შეპირისპირებითი ანალიზი – 51

Anna Meskhi – CONTRASTIVE STUDY OF ENGLISH AND GEORGIAN ALPHABETS (TOWARDS CREATING A TEXTBOOK OF ENGLISH AND GEORGIAN CONTRASTIVE TYPOLOGY) – 51

ნიკოლოზ ოთინაშვილი – გოგებაშვილის გვარის წარმომავლობისათვის – 60

Nikoloz Otinashvili – FOR THE ORIGIN OF SURNAME GOGEBASHVILI – 60

რუსუდან საღინაძე – იაკობ გოგებაშვილი და ქართული სალიტერატურო ენის საკითხები – 63

Rusudan Saghinadze – IAKOB GOGEBASHVILI AND GEORGIAN LITERARY LANGUAGE ISSUES – 63

ნათელა ფარტენაძე – დამოკიდებულ წინადადებათა ერთი ჯგუფის კვალიფიკაციისათვის ქართულში – 66

Natela Partenadze – FOR THE QUALIFICATION OF A SPECIFIC COMPLEX SUBORDINATE CLAUSE GROUP IN GEORGIAN – 66

მამია ფაღავა – მცირე ექსპედიცია ტაოსა და კლარჯეთში – 70

Mamia Paghava – A SMALL EXPEDITION IN TAO AND KLARJETI – 70

იზა ჩანტლაძე – პროფესორ გენადი ბურჭულაძის ღვაწლი კომპარატივისტულ კავკასიოლოგიაში – 74

Iza Chantladze – *PROFESSOR GENADI BURCHULADZE'S CONTRIBUTION TO COMPARATIVE CAUCASIOLOGY* – 74

ჰარუნ ჩიმქე – *ქართულის ზოგიერთი თავისებური ზმნის გამოხატვა თურქულში* – 77

Harun Chimke – *SOME OF THE SPECIAL GEORGIAN VERBS AND THEIR EXPRESSION IN TURKISH* – 77

ნანა ცეცხლაძე – *მყარი ენობრივი შედარებანი ქართულში (ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი)* – 81

Nana Tsetskhladze – *SET LINGUISTIC COMPARISONS IN GEORGIAN (LINGUOCULTURAL ANALYSIS)* – 81

როინ ჭიკაძე – *იაკობ გოგებაშვილის ღვაწლმოსილების სადარაჯოზე (გ. გოგოლაშვილი, „სიბრძნე იაკობისა“, თსუ გამომცემლობა, 2014 წ.)* – 87

Roin Chikadze – *MERIT OF IAKOB GOGEBASHVILI ("THE WISDOM OF IAKOB" BY G. GOGOLASHVILI, 2014)* – 87

მზია ხახუტაიშვილი – *ხმოვანთა მონაცვლეობის ერთი შემთხვევისათვის ქობულეთურში* – 90

Mzia Khakhutaishvili – *ONE CASE OF "VOWEL CHANGE" IN KOBULETURI* – 90

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი – *თხრამლი-ს ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში* – 93

Nana Khocholava-Machavariani – *ON THE ETYMOLOGY OF THE WORD თხრამლი IN THE KARTVELIAN LANGUAGES* – 93

ელენე ხოჯევანიშვილი – *მზის მხატვრული სახე ესმა ონიანის პოეზიაში (მხატვრულ-სტილისტური ანალიზი)* – 98

Elene Khojevanishvili – *ARTISTIC IMAGE OF THE SUN IN THE POETRY OF ESMA ONIANI (ARTISTIC AND STYLISTIC ANALYSIS)* – 98

ლიტერატურათმცოდნეობა **Literature Studies**

ნათელა ადუაშვილი – *იაკობ გოგებაშვილი - მაღალი ზნეობის მაგალითი და მისი ისტორიული მოთხრობები* – 105

Natela Aduashvili – *IAKOB GOGEBASHVILI - EXAMPLE OF HIGH MORAL AND HIS HISTORICAL STORIES* – 105

ქეთევან ზარბაქაძე – *ერთი პოლემიკის ისტორიიდან იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტურ ნააზრევში* – 108

Ketevan Barbakadze – *FROM THE HISTORY OF ONE DISPUTE IN THE PUBLICISTIC WORK OF IAKOB GOGEBASHVILI* – 108

თამარ გოგოლაძე – *იაკობ გოგებაშვილი და „მთავარი ქართველი მგოსნები ახალი დროისა“* – 112

Tamar Gogoladze – *IAKOB GOGEBASHVILI AND "MAIN TROUBADOURS OF A NEW EPOCH"* – 112

თეიმურაზ დოიაშვილი – *გალაკტიონ ტაბიძის ერთი ამოუცნობი ლექსება* – 116

Teimuraz Doiashvili – *ONE UNGUESSED WORD OF GALAKTION TABIDZE* – 116

ვახტანგ ინაური – *ისტორიული სინამდვილე და მხატვრული გამონაგონი იაკობ გოგებაშვილის მოთხრობაში „იავნანამ რა ჰქმნა?“* – 121

Vakhtang Inauri – *HISTORICAL TRUTH AND FEATURE FICTION IN STORY "WHAT HAS LULLABY DONE" BY IAKOB GOGEBASHVILI* – 121

ლელა კუკულაძე – *გიორგი სააკაძის ციკლის საისტორიო ზეპირსიტყვიერება (გ. შატერაშვილის ნარკვევის - „გიორგი სააკაძე ხალხის ხსოვნაში“- მიხედვით)* – 124

Lela Kukuladze – *HISTORICAL FOLK-LORE OF GIORGI SAAKADZE CYCLE (ACCORDING TO G. SHATBERASHVILI'S LETTER 'GIORGI SAAKADZE IN PEOPLE'S MEMORY')* – 124

მარიამ მარჯანიშვილი – *ცნობიერების ნაკადში დანახული სამშობლო (მარიამ კერესელიძის ეპისტოლეების მიხედვით)* – 128

Mariam Marjanishvili – HOME COUNTRY – THROUGH STREAM OF CONSCIOUSNESS (ACCORDING TO MARIAM KERESLIDZE'S EPISTOLARY) – 128

მურად მთვარელიძე – დიმიტრი ყიფიანის რუსთაველოლოგიური ნამუშევრები – 136
Murad Mtvarelidze – DIMITRI KIPIANI'S RUSTAVELI STUDY WORKS – 136

ციალა ნარაკიძე – სამგლოვიარო პოეზია ლაზურში – 140
Tsiala Narakidze – FUNERAL POETRY IN LAZ DIALECT – 140

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – გრიგოლ რობაქიძის ემიგრანტობის დროინდელი ეპისტოლარული მემკვიდრეობა – 147
Avtandil Nikoleishvili – EMIGRANT PERIOD EPISTOLARY HERITAGE OF GRIGOL ROBAKIDZE – 147

ზურაბ ოქროპირიძე – პიესა „ლამარას“ შექმნისა და დადგმის ისტორია – 152
Zurab Okropiridze – THE HISTORY OF CREATING AND STAGING OF PLAY “LAMARA” – 152

სოსო სიგუა – ძალაუფლებისა და კულტურის ფაქტორები ქართველურ ტომებში – 158
Soso Sigua – POWER AND CULTURAL FACTORS IN THE GEORGIAN TRIBES – 158

ნათია სიხარულიძე – გალაკტიონ ტაბიძის ორი ლექსის გენეზისისათვის – 165
Natia Sikharulidze – ABOUT THE GENESIS OF GALAKTION TABIDZE'S TWO POEMS – 165

თინა შიოშვილი – კლარჯული ხალხური გამოცანები – 170
Tina Shioshvili – KLARJIAN RIDDLES – 170

მარინე ცერცვაძე – თამარ მეფის სახის სამი ლიტერატურული რეფლექსია – 175
Marine Tsertsvadze – THE THREE LITERARY REFLECTIONS OF QUEEN TAMAR'S FACE – 175

პედაგოგიკა **Pedagogics**

ლალი აზმაიფარაშვილი – სპორტსმენი და არასპორტსმენი მოზარდების ფიზიკური განვითარების და ფიზიკური მომზადების გამოკვლევა – 180
Lali Azmaiparashvili – ATHLETE AND NONATHLETE TEENAGERS' PHYSICAL DEVELOPMENT AND PHYSICAL TRAINING RESEARCH – 180

ნაზიკო ბერიკაშვილი – ინტერკულტურული განათლება სკოლებში – 185
Naziko Berikashvili – INTERCULTURAL EDUCATION IN SCHOOLS – 185

თენგიზ კაციტაძე – იაკობ გოგებაშვილის შეხედულება სასკოლო ფიზიკური აღზრდის შესახებ და დღევანდლობა – 188
Tengiz Katsitadze – IAKOB GOGEBASHVILI'S OPINION ABOUT SCHOOL PHYSICAL EDUCATION AND PRESENT RIME – 188

დავით მახაშვილი – მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობის ფსიქო-პედაგოგიური თავისებურებები – 192
Davit Makhashvili – THE FEATURES OF PSYCHO-PEDAGOGICAL RELATIONSHIP WITH TEACHERS AND PUPILS – 192

მანანა მიჩიტაშვილი – ისტორიის გაკვეთილის დაგეგმვის კონსტრუქტივისტული მიდგომა – 195
Manana Michitashvili – CONSTRUCTIVIST APPROACH IN PLANNING OF HISTORY LESSONS – 195

ნინო მოდებაძე, ნათია გაბაშვილი – დაწყებითი განათლების კურიკულუმში მულტიკულტურული განათლების განხორციელების ზოგიერთი სტრატეგია – 200
Nino Modebadze, Natia Gabashvili – SEVERAL STRATEGIES OF IMPLEMENTING MULTICULTURAL EDUCATION IN PRIMARY EDUCATION CURRICULUM – 200

ანი ნახუცრიშვილი – შებრუნებული საკლასო ოთახი – 203

Ani Nakhutsrishvili – *FLIPPED CLASSROOM* – 203

ჰამლეტ რაზმაძე – დაწყებით კლასებში (1-3) სპორტის სწავლების ზოგიერთი თავისებურებანი – 204
Hamlet Razmadze – *PARTICULARITIES OF TEACHING SPORTS IN THE ELEMENTARY CLASSES (1-3)* – 204

თამარ ყულიაშვილი – პროექტებით სწავლება – 206
Tamar Kuliashvili – *TEACHING WITH PROJECTS* – 206

მარინა ცოტნიაშვილი – ბილინგვალური მასწავლებლის პროფესიული როლის ჩამოყალიბების თავისებურებანი – 209
Marina Tsotniashvili – *BILINGUAL TEACHER'S ROLE IN THE FORMATION OF PROFESSIONAL FEATURES* – 209

ნელი ჭამპურიძე – რეალური განათლების პრინციპები იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში – 212
Neli Champuridze – *REAL EDUCATION PRINCIPLES JACOB GOGEBASHILI'S CREATION* – 212

მამუკა ჯოლბორდი – იაკობ გოგებაშვილი და საქართველოს ისტორიის საკითხები („ბუნების კარი“ დავით IV აღმაშენებლის სამეფო ბეჭდის შესახებ) – 214
Mamuka Jolbordi – *THE ISSUES OF GEORGIAN HISTORY IN THE DOOR TO NATURE BY IAKOB GOGEBASHVILI (THE RING OF THE KING DAVID IV THE BUILDER)* – 214

ენათმეცნიერება Linguistics

ფატი აბაშიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რომანტიკოსთა მყუდრო სავანე

რომანტიზმი მიმართულებაა ლიტერატურაში, რომელიც ჩამოყალიბდა XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის რევოლუციის იდეებისა და, შემდგომ, მისი დამარცხებით გამოწვეული გულგატეხილობის, იმედების მსხვერვისა და გაცრუების საფუძველზე. სწორედ აქედან გამომდინარე, რომანტიკული მსოფლმხედველობის ძირითად მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მწვავე უთანხმოება, დაპირისპირება ამ მიმდინარეობის წარმომადგენელთა იდეალსა და მტანჯველ რეალობას შორის.

რომანტიზმი წინ აყენებდა პიროვნების ინტერესებსა და გრძნობებს. მას, როგორც მსოფლმხედველობას, ახასიათებდა არსებული სინამდვილისგან განზე გადგომა, მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმი. რომანტიზმმა ფართო გავრცელება პოვა ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში.

რომანტიკული მსოფლმხედველობა თითოეულ კონკრეტულ ქვეყანაში გარკვეულ საზოგადოებრივ-ისტორიულ პირობებში აღმოცენდა და განვითარდა. მიუხედავად ერთი მიმართულებისა, სხვადასხვა ქვეყანაში რომანტიზმს, საერთო ნიშნების გარდა, ჰქონდა განსხვავებული მახასიათებლებიც, რაც ძირითადად დამოკიდებული იყო კონკრეტული ქვეყნის საზოგადოებრივ-ისტორიულ თავისებურებებზე.

როგორც მკვლევარი აპოლონ მახარაძე აღნიშნავს, „ქართული რომანტიზმის წარმოშობისა და განვითარების საქმეში გარკვეული როლი შეასრულა ქართული მწერლობის ურთიერთობამ რუსულ და ევროპულ ლიტერატურასთან. ადგილობრივ სოციალურ და კულტურულ პირობებთან ერთად, რაც არსებითი იყო, საერთო ლიტერატურულ გარემოსაც თავისი მნიშვნელობა ჰქონდა“ (მახარაძე, 1967: 44).

ქრონოლოგიურად ქართული რომანტიზმის, როგორც გარკვეული ლიტერატურული მიმართულებისა და შემოქმედებითი მეთოდის, პირველი ნიშნები ისახება მე-19 საუკუნის 20-იან წლებში, ხოლო ჩამოყალიბებულ სახეს 30-40-იან წლებში იღებს. ასევე აღსანიშნავია, რომ, „თუ სხვა ხალხთა ლიტერატურაში რომანტიზმს ახალი იდეურ-მხატვრული პოზიციების განმტკიცება უხდებოდა კლასიციზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზით, ქართულ სინამდვილეში რომანტიზმს მეტად ნაყოფიერი ნიადაგი დახვდა; ეროვნული თავისუფლების დაკარგვით გამოწვეული ღრმა სევდა, ფეოდალური კლასის შერყეული პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა, ცხოვრების ფორმების სიახლე, ერთის მხრივ, წარმოადგენდა მასაზრდოებელ წყაროს ქართული რომანტიზმისათვის, ხოლო, მეორეს მხრივ, მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების ქართული ლიტერატურის რეგლამენტაციისაგან თავისუფალი დემოკრატიული ნაკადი ძლიერ სტიმულს აძლევდა შემოქმედების თავისუფლების პრინციპზე აგებულ ახალ მხატვრულ სისტემას, რომელიც მოვლენებით სავსე ახალ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში ყალიბდებოდა“ (ქართ. ლიტ. ისტ., 1969: 36).

ქართული რომანტიზმი, გარდა იმ საერთო მახასიათებლებისა, რაც ზოგადად ახასიათებდა რომანტიზმს, გამოირჩეოდა ღრმა ეროვნული სპეციფიკურობით. ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია ისტორიზმს, მათთვის დიდ მნიშვნელობას იძენს ისტორია, წარსული, ის გზა, რომელიც გამოიარა ქვეყანამ; სწორედ ამიტომ, გარდა ისტორიული წყაროებისა, რომანტიკოსებისთვის ასევე მახლობელი და საინტერესო გახდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, მათში ხომ ქართველი ხალხის წარსული და ის სატკივარია გადმოცემული, რაც საუკუნეების განმავლობაში მათ განიცადეს. ამიტომაც, ისტორიულმა თემამ რომანტიკოსების შემოქმედების მრავალ ჟანრში პოვა გამოხატულება. „ქართულ რომანტიკულ მსოფლგანცდას ჩვენში ქართულ ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში არსებული ძლიერი პატრიოტული განწყობილებით დამუხტული ატმოსფერო დახვდა, რომელიც ეროვნულისადმი საოცრად ფაქიზი ინტერესით ორიენტირებდა დროსა და სივრცეში“, - აღნიშნავს მკვლევარი თემურ ჯაგოდნიშვილი (ჯაგოდნიშვილი, 2004: 318). ფოლკლორის მეცნიერულ შესწავლასაც სწორედ რომანტიკული იდეებისადმი ერთგულმა გერმანელმა მეცნიერებმა იაკობ (1785-1863) და

ვილჰელმ (1787-1859) გრიმებმა ჩაუყარეს საფუძველი და პირველი ფოლკლორისტული თეორიაც (მითოლოგიური თეორია) მათ რომანტიკულ სკოლასთან არის დაკავშირებული.

რომანტიკოსთა ინტერესი ფოლკლორული შემოქმედების მიმართ განპირობებული იყო იმითაც, რომ იმ დროის ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში გამოხატული იყო ეროვნული წუხილი, ტკივილი და ის მძაფრი პატრიოტული სულისკვეთების შემცველი თემები, რომლებიც ძალზე ახლობელი და ნაცნობი იყო რომანტიზმის წარმომადგენლებისათვის; გარდა ამისა, რომანტიკოსთათვის ეროვნული ხალხური სიტყვიერება კიდევ უფრო საინტერესო გახდა იმფაქტმაც, რომ მშობელი ხალხის ზეპირსიტყვიერება, ვითარცა კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი და, ამავე დროს, უადრესად პირუთვნელი და მიუკერძოებელი ფენომენი, „ცენზურით შეუზღუდავი იყო“; რომ მასში დაუნჯებული იყო ის პრობლემები, რაც ქართველ ხალხს, მართლაც, ძალიან აწუხებდა და სისხლხორცეულად მიაჩნდა.

როგორც მკვლევარი თემურ ჯაგოდნიშვილი მიუთითებს, „XIX საუკუნის დასაწყისში ქართულმა ხალხურმა პოეზიამ თავისი მძლავრი პატრიოტული და მოქალაქეობრივი პათოსით მხოლოდ მასალა კი არ მისცა ჩვენს მწერლობას, ან მარტო შემოქმედებითი იმპულსის როლი კი არ ითამაშა, არამედ თავად გახდა მისაბამი მწერლობისათვის (გარეგნულად ეს ლიტერატურისა და ფოლკლორის ინტერესთა „დამთხვევაში“ აისახა და, თემატიკასთან ერთად, თემათა გააზრებაც მოიცვა)“ (ჯაგოდნიშვილი, 2004: 316).

მდიდარი ნაციონალური სულიერი კულტურის ტრადიციებზე აღმოცენებული და მსოფლიო სიტყვიერი ხელოვნების მიღწევებით ნასაზრდოები ქართული რომანტიზმის გამოჩენილი წარმომადგენლები გამოხატავენ თავისი დროის იდეოლოგიის პროგრესულ ტენდენციებს და ლიტერატურას მიზნად უსახავენ ხალხის სამსახურს. თვით სევდიან და მძიმე წუთებშიც „სოფლისათვის ზრუნვას“ აღიარებენ ადამიანის მთავარ დანიშნულებად; ისინი თავიანთ შემოქმედებაში სვამენ ქვეყნის ბედთან დაკავშირებული ისტორიულ-პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებს, საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირობოტო პრობლემებს.

ქართულმა რომანტიკულმა პოეზიამ, ფართოდ გადაგვიშალა ადამიანის სულიერი სამყარო, მისი სწრაფვა თავისუფლებისაკენ, აშკარად დაგვანახა მრავალფეროვანი გამა ახალი ადამიანის განცდებისა, მისი მეზრდოლი პათოსი და ძლიერი გაქანება; ამიტომაც სრულიად ბუნებრივი იყო ჩვენი რომანტიკოსების ძლიერი ლტოლვა ეროვნული ფოლკლორული შემოქმედებისადმი, სადაც შეიძლება, პირუთვნელი პასუხი ეპოვათ მათთვის საჭირობოტო ყველა პრობლემაზე, სადაც შეიძლება მთელი სისავსით შეეგრძნოთ ეროვნული ღირსება და სიამაყე.

ეროვნულ სიტყვაკაზმულ მწერლობასთან ერთად, მრავალსაუკუნოვანმა და მდიდარი ტრადიციის მქონე ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ მშვენივრად გამოხატა ჩვენი ხალხის მდიდარი და, ამავე დროს, ტვირთმძიმე ისტორია, სოციალური წინააღმდეგობანი, საზოგადოების პატრიოტული განწყობილება, ჰუმანისტური იდეები, ხოლო ქართულმა რომანტიკულმა პოეზიამ, ერთი მხრივ, ახალ ეტაპზე აიყვანა ძველი ქართული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი, ეროვნული იდეალებით გაჯერებული მუხტი და ეპოქის მოწინავე იდეებს დაუკავშირა, მეორე მხრივ კი, იმ სულიერი საზრდოს ძიება, რაც მიუღებელ, შეურიგებელ აწმყოში შეუძლებელი იყო, ეროვნული ზეპირსიტყვიერების უმრეტესა და ყოველთვის გულმართალ წიაღში დაიწყეს.

ქართული რომანტიზმი სინამდვილის უბრალო პროტესტსა და უარყოფას კი არ გულისხმობდა, არამედ არსებულის უარყოფაში ხედავდა მომავლისათვის ბრძოლის აუცილებელ პირობას. მთელი ქართული პროგრესული რომანტიკული პოეზია, ისევე როგორც ქართული ზეპირსიტყვიერება, გაჟღერებულია ჭეშმარიტების ძიების, ახალი იდეების დამკვიდრების დაუცხრომელი სურვილითა და ჩვენს უბადლო ფოლკლორულ სამყაროში ხელშეუხებლად გამეფებულ უდიდეს ოპტიმიზმში ეძიებოდა სამომავლო გზებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული რომანტიზმი იმთავითვე პატრიოტულ ხასიათს ატარებს, მაგრამ, ამავე დროს, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფლიო რომანტიკული ლიტერატურის ისტორიულ განვითარებასთან და, რა თქმა უნდა, ყველაზე მჭიდრო და ცხოველმყოფელი მიმართება აქვს გამოხატული ეროვნულ ფოლკლორულ მსოფლმხედველობასთან, რომელიც არსებითად მათი შემოქმედების ერთ-ერთი მძლავრი მასაზრდოებელი წყაროა.

რომანტიკოსები თავიანთ შემოქმედებაში მიმართავდნენ ისტორიულ და ხალხურ-პოეტურ თემებს, ვითარცა იდეალურ წარსულთან წვდომის ყველაზე ეფექტურ საშუალებებს. ქართული რომანტიზმი იმთავითვე ეროვნულ ფესვებზე დგას და ხალხური პოეტური სიტყვა ამ ფესვების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და მაცოცხლებელი ძარღვია. ქართველი რომანტიკოსებისათვის მრავალ ეპოქათა ტევრში გამოტარებული მშობლიური ხალხური სიტყვიერება ის მეყდრო სავანეა, სადაც სული უნდა მოითქვას „აწმყო ნაღველით“ სულშემრულმა შემოქმედმა, სადაც გმირული ისტორიებით, ზნეობრივი სათნოებებით უნდა დაპურდეს მისი დაშრეტილი სული და ეროვნული ენერგია, რათა ძალა მოიკრიბოს,

ადივსოს ახალი სასიცოცხლო ძალით, განაგდოს მხრებზე მაჯლაჯუნასავით დაწოლილი „სული ბოროტი“ და ამაყად განაცხადოს, რომ „გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!“

ლიტერატურა:

1. მახარაძე, 1967 - აპოლონ მახარაძე, „ქართული რომანტიზმი“, თბილისი;
2. ქართ. ლიტ. ისტ., 1969 - ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბილისი;
3. ჯაგოდნიშვილი, 2004 - თემურ ჯაგოდნიშვილი, „ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია“, თბილისი.

Pati Abashidze
Batumi Shota Rustaveli State University
FOLKLORE ROOTS OF ROMANTIC WORLD OUTLOOK
RESUME

Romantics have the closest attitude to national folk creativity, which is one of the powerful features of this. In their creativity, romantics used historical and folk-poetic topics, as the ideal and effective equipment connecting to the past.

ვიანორ ახალაია
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილი და ქართველური ენები

დიდი იაკობის აზრით მშობლიური ენა, ლიტერატურა და ისტორია ეროვნული ცნობიერების ფორმირებას, მისი თვითშეგნების ამაღლებას და განმტკიცებას, ეროვნული ღირსების გრძნობის განვითარებას ემსახურება. „ადამიანი, მოკლებული დედა ენის ცოდნას და მკვიდრის სულიერს კავშირს თავის სამშობლოსთან და ერთან, მიემსგავსება საბრალო ობოლს, საწყალს სტუმარს, რომელსაც არ გააჩნია თავისი საკუთარი სახლი ამ ქვეყანაზე. იგი მოგაგონებთ ხიდან მოჭრილ ტოტსა, რომელიც, დღეს თუ ხვალ, უთუოდ გახმება (2,13). ის ვინც ეროვნულ ნიადაგზეა ამოზრდილი და მყარად დგას მასზე, ვისაც შეგნებული აქვს თავისი ეროვნული უნიკალობა და განუმეორებლობა, უფრთხილდება თავის დედა ენას, სამშობლოს ისტორიას და ლიტერატურას. ასე იქცევა ყველა ცივილიზებული ხალხი ცივილიზებულ ქვეყანაში. კარგად იცის რა ყოველივე ეს, იაკობი ერთ ბერძნულ მითს იხსენებს ჰერაკლესა და ანთეოზის ბრძოლაზე. დიდხანს გაგრძელდა ეს ორთაბრძოლა, მაგრამ უძლეველმა ჰერაკლემ ვერა და ვერ დაამარცხა ანთეოზი. ამის მიზეზი ის იყო, რომ ანთეოზი ძალას მშობელი მიწისგან იღებდა. ბოლოს ეს შეამჩნია ჰერაკლემ, იგი ჰაერში აიტაცა და მანამდე ჰყავდა ატაცებული, სანამ ანთეოზს ძალა არ გამოეღია, არ დასუსტდა და დაუძლურდა. ჰყვება ამ მითს იაკობი და ბოლოს ასკვნის: „ანთეოზივით ძლიერია მთელი ერი საზოგადოდ და ყოველი ადამიანი კერძოდ, ვიდრე იგი მტკიცედა დგას ეროვნულ ნიადაგზე, ხოლო მასავით სუსტდება და ილუპება, როდესაც იგი შორდება ამ ნიადაგსა და სწყვეტს მასთან განმაცხოველებელს კავშირს... (2,43-44)

იაკობს კარგად აქვს გაცნობიერებული ის მძიმე ვითარება, რაც მე-19 საუკუნის II ნახევრის საქართველოში შეიქმნა, როცა ჩვენი ქვეყანა მეფის რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად იყო ქცეული და, როცა მისი ენა, ლიტერატურა, კულტურა დიდ შევიწროებას, დამცირებას და განადგურებას განიცდიდა. საქართველო სულს ღაფავდა იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად და ამ პოლიტიკის შესრულების საუკეთესო გზას ქართული ენის, ლიტერატურისა და კულტურის უარყოფა და რუსულის დამკვიდრება წარმოადგენდა. სწორედ ამ მიზანს ისახავდა რუსული გიმნაზიების, რუსული სასულიერო სემინარიების გახსნა, რუსული ჟურნალ-გაზეთების გამოშვება, ეკლესიებში რუსული ენის ამოქმედება, ამ ეკლესიათა გარშემო რუსული დასახლებების გაჩენა და ა. შ.

ამიტომაც XIX საუკუნე ქართველი ერის ისტორიაში საბედისწერო საუკუნე იყო. 1878-1901 წლებში კავკასიის ოლქის სახალხო განათლების მზრუნველად მუშაობდა კირილე პეტრეს ძე იანოვსკი. (ივანე ჯავახიშვილის აზრით, „იანოვსკიზე დაუძინებელი მტერი არ ჰყოლია ქართულ ენას“). პირველი, რაც იანოვსკიმ გააკეთა, იყო ის, რომ სრულიად განდევნა ქართული ენა სასწავლებლებიდან. 90-იანი წლებიდან კი იგი უფრო ვერაგული გეგმის განხორციელებას შეუდგა. კაცი, რომელიც ყოველივე ქართულს ებრძოდა, მეგრელთა „ინტერესების“ დამცველად მოგვევლინა.

1880 წელს იანოვსკი თავისი ხელქვეითებისადმი გაგზავნილ ცირკულარში წერდა:

- სამეგრელოში გავრცელებულია მეგრული, რომელიც ამ მხარეში მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის მშობლიური ენაა. ეს ენა იგნორირებულია სამეგრელოს სკოლებში, რაც ვერ ახდენს კეთილდღეობას გავლენას აქაური მოზარდების განვითარებაზე.

- სამეგრელოს სკოლებში ერთდროულად ორი უცხო ენა ისწავლება: ქართული და რუსული. რუსულის სწავლება აუცილებელია, რადგან იგი სახელმწიფო ენაა, მაგრამ ქართულის სწავლება ნამდვილად ზედმეტია, რადგან ორი უცხო ენის ერთდროულად შესწავლა შედეგიანი არ არის.

- როგორ უნდა გამოსწორდეს ეს ვითარება:

- სწავლება უნდა გახდეს მეგრულ-რუსული, რითაც შესრულდება ადგილობრივ სკოლებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების სახელმწიფო პოლიტიკის მოთხოვნა.

- ქართული უნდა განიდეგნოს სამეგრელოს სკოლებიდან, რაც გამოათავისუფლებს დროს ლოცვებისა და საღმრთო ისტორიის რუსულად სწავლებისათვის მეგრულის დახმარებით.

- რაც შეეხება მეგრულად დამწერლობის არარსებობას, შეიძლება მისთვის რუსული ანბანის გამოყენება (დამოწმებულია თ. ბოლქვაძის მიხედვით (1,124).

როგორც ვხედავთ, სამეგრელოში ქართულისათვის ამ ისედაც ვიწრო ასპარეზის წასართმევად, საჭირო იყო მეგრული ანბანის შექმნა, რომელიც გამოყენებული იქნებოდა: მეგრულად თარგმნილი რელიგიური ტექსტების ჩასაწერად და გამოსაყენებლად, მეგრულ ყოველდღიურ გაზეთში, სამეგრელოს სკოლებისათვის შექმნილ მეგრულ სახელმძღვანელოებში. ჩაიფიქრეს ანბანის შექმნა და შეასრულეს კიდეც. ანბანი შეაქმნევინეს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის თანამშრომელს ალექსი გრენს, რომელიც მუშაობდა აკადემიკოს რადლოვის ხელმძღვანელობით და ინსტრუქციებით. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივებში ადვილი არ იყო სეპარატიზმისათვის შესაფერისი ადამიანების მოძებნა, რუსეთის იმპერიამ მეგრულ ენაზე მოლაპარაკებებში გააღვიძა ქართველთაგან კულტურული განცალკევების იდეა. გრენისაგან დამოუკიდებლად მეგრული ანბანი შექმნა, თუ შეაქმნევინეს, თადა ამორდიას. ორივე ანბანი ეფუძნებოდა რუსულ ალფაბეტს, იმ აუცილებელი ცვლილებებით, რომელიც გამოწვეული იყო რუსულ გამოთქმაში არ არსებული რამდენიმე ბგერით. „ამ პერიოდის პრესა ამორდიას ანბანს მოიხსენიებს როგორც „კუდიან ანბანს“. ეს არის ამორდიას ანბანის ძირითადი მახასიათებელი. სხვათა შორის, გრენის ანბანს იწუნებდნენ იმის გამო, რომ ცხრამეტ ასოს ხაზხევიტა და ხაზქვევიტა ნიშანი ჰქონდა, მაშინ როცა ამორდია მხოლოდ ორ ხაზქვევიტა ნიშანს იყენებდა. სწორედ ეს ორი ხაზქვევიტა ნიშანი უნდა იყოს ის კუდები, რომლებსაც თადა ამორდია ძირითადად ხშული, ყრუ ფშვინვიერი თანხმოვნების აღსანიშნავად იყენებდა“ (1, 136).

როგორც მოსალოდნელი იყო, ქართული საზოგადოება მეგრული ანბანის შექმნის ჩვენი კულტურული, ისტორიული და პოლიტიკური ერთობის დაშლის ცოდვიან მიზანს, დიდი აღშფოთებით შეხვდა. ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, სერგეი მესხმა, დიმიტრი ყიფიანმა მზის სინათლეზე გამოიტანეს განათლების თავკაცის ბნელი მიზნები. რა თქმა უნდა, ეს ვითარება აისახა „ივერიის“ ფურცლებზე. კორესპონდენტი ნანეიშვილი წერს: „ამორდიას ანბანი გამოუყენებელი არ დარჩენილა. ზოგიერთ ხელი მისცეს ახალ „ფარნავაზს“ და განიზრახეს მისი ღვაწლის გამოყენება. თვით მეგრელებს არაფრად ეჭაშნიკათ ეს ამბავი და დღესაც ცუდის თვალით უყურებენ როგორც თავიანთ „ფარნავაზს“. ისე იმის მოსარჩლეა... ზოგიერთთა უკუღმართობა მეგრულის ანბანის შემოღებით არ დასრულებულა. ეხლა სამეგრელოს აღმოსჩენია „წმინდა მამებიც“, რომელსაც სრული იმედია, წმინდანებად არ შერაცხავენ. ამათ უკისრიათ საღმრთო წერილის თარგმნა მეგრულს ენაზე... მაშინ - როდესაც მთელი სამეგრელო მრავალი საუკუნის განმავლობაში სასოებით ისმენს ქართულს წირვა-ლოცვას... საღმრთო წერილის მეგრულ ენაზედ გადმოღება ახალი საქმე არ არის. ამ ოციოდე წლის წინათ მთარგმნელთა გუნდმა კიდეც გადმოიღო მეგრულზე წირვა-ლოცვა, მაგრამ როდესაც ეკლესიაში გაისმა „ჰეკვიანურო გეწიმორდით“, ხალხმა იგრილა და ლანძღვა-გინებით გამოვარდა ეკლესიიდან. ახალ მთარგმნელების საქციელს მეტად შეუწუხებია თვით მეგრელებიც და „ივერიის“ რედაქციისთვის წერილი მიუწერიათ. ახალში მთარგმნელებს არც ერთი სიტყვა არ დაუტოვებიათ, რომელიც ქართულსა ჰგავს, და რადგან ეს ძალიან ბნელი საქმეა, ჰკუის კოლოფ მთარგმნელებს ახალი მეგრული მოუგონებიათ (დამოწმებულია თ. ბოლქვაძის მიხედვით, (130-131)

საგულისხმოა ქართული საზოგადოების მკვეთრად უარყოფითი რეაქცია 1880 წელს გამოცემულ ალექსანდრე ცაგარლის „მეგრულ ეტიუდებზე“.

მოგვიანებით ი. ყიფშიძე აღნიშნავდა, „მეგრულის ენის შესწავლაში ა. ცაგარლის შრომები ეპოქას ჰქმნისო“. მართლაც, ა. ცაგარელმა თავის „მეგრულის ეტიუდებში“ „პირველმა მოგვცა მეგრული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები (ზღაპრები, ლექსები, ანდაზები, გამოცანები). იწერდა რა ქართული ანბანით მეგრულ ტექსტებს, მან, პირველმა იხმარა ე, ჯ ნიშნები სპეციალურად მეგრული ზგერებისათვის. „ეტიუდების“ მეორე ნაწილი შეიცავს მეგრული ენის ფონეტიკის შესწავლის ცდას“ (5, 37-38). არნ. ჩიქობავა კი შენიშნავდა, რომ „ალ. ცაგარელის მეგრული ტექსტების სახით პირველად არის ჩაწერილი ქართველურ ენათა მასალა საენათმეცნიერო მიზნით“... (6, 312-313)

რატომ ჩავთვალეთ საჭიროდ ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება? ჯერ ერთი, სწორი წარმოდგენა უნდა შევიქმნათ, თუ რა ვითარებაში განერიდა მეცნიერებას ქართველური კომპარატივისტიკის ფუძემდებელი ალექსანდრე ცაგარელი, მეორეც, რა დიდი წინაარმდეგობა შეხვდა ცარიზმს ქართველი ინტელიგენციის მხრიდან თავისი რუსიფიკატორული პოლიტიკის გასატარებლად. „ის რეაქცია, რაც მოჰყვა ენათმეცნიერ ალექსანდრე ცაგარლის მხრიდან მეგრულის ენად აღიარებას, ერთი შეხედვით, ძალიან მოულოდნელი იყო. რადგან, როგორც საქმის განვითარებამ აჩვენა, ცაგარელს პოლიტიკური მიზნები არ ჰქონია და იგი არ გასულა ლინგვისტიკის ფარგლებიდან. ალექსანდრე ცაგარელი პირნათელი იყო ისტორიულ- შედარებითი ენათმეცნიერების წინაშე, როცა მეგრულს, ლაზურსა და სვანურს ენებს უწოდებდა. ხოლო გურულს, ფშაურს, ხევსურულს - კილოს, და საჭიროდ აღიარებდა ამ ენებს ფორმების შესწავლას დამოუკიდებლად. ეს აზრი ერთგვარ დასაყრდენად აქციეს იანოვსკიმ და ლევიცკიმ რუსეთის იმპერიული, მზაკვრული პოლიტიკის გასატარებლად. სწორედ ქართულსა და მეგრულს შორის კლასიკურ დიგლოსიურ ურთიერთობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ „მეგრული ეტიუდების“ დაბეჭდვამდეც და მისი გამოსვლის შემდეგაც კი განსაკუთრებული დაჟინებით ცდილობდნენ ქართველი ინტელიგენტები დაემტკიცებინათ ქართულ-მეგრულის იგივეობა და ამით შეზღუდულიყვნენ ცარიზმის პოლიტიკას, რომელიც საქართველოს დეზინტეგრაციას ისახავდა მიზნად. ეს იყო ძირითადი მიზეზი, რის გამოც საზოგადოება მტრულად შეხვდა ალ. ცაგარელის კვლევას მეგრულის შესახებ“ (1, 141-142)

ზემოთ ნათქვამმა შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, რომ ცარიზმის პოლიტიკა მარტო მეგრულს შეეხო. მსგავს ვითარებაში აღმოჩნდა სვანურიც. ერთი მხრივ, რუსული სკოლებისა და დაწესებულებების შემოღებით, მეორე მხრივ, სკოლებში მეგრული და სვანური ენის გააქტიურებით ქართულს ავიწყებდნენ საზოგადოებას. არც სხვა სახის ღონისძიებების გატარებას ერიდებოდნენ, რომ ქართული სული ჩამკვდარიყო, რომ სამეგრელო და სვანეთი მოეწყვიტათ თავიანთი ძირძველი ქართული ფესვებიდან, კულტურიდან, სარწმუნოებიდან.

ქვეყნის უკიდურესი განსაცდელის ჟამს, როცა უმძიმესმა რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ საქართველოს ერთიანობას, ენას და კულტურას საფრთხე შეუქმნა, დიდი იაკობი ჩვეულ სიმალლეზე აღმოჩნდა და თავისი სახელმძღვანელობით, პუბლიცისტური წერილებით ბრძოლა გამოუცხადა მეგრელებისა და სვანების არაქართველულად გამოცხადებას და მეგრულ და სვანურ ენებზე სკოლების გამართვას. „იაკობის წერილებში არის მტკიცება ამგვარი მსჯელობის უაზრობისა; იგი ცდილობს დაასაბუთოს, რომ ქართული არის სალიტერატურო ენა ყველა ტომის ქართველთათვის, მთავარი დედაენა, ძირითადი დედაენა.“

როგორც გიორგი გოგოლაშვილი აღნიშნავს, „საჭირო გახდა გარკვევა-დასაბუთება იმისა, რა არის სალიტერატურო ენა და რა არასალიტერატურო. ეს საკითხი ქართველოლოგიაში არასწორი ინტერპრეტაციის საგანიც გახდა; დღეს ასეთი აზრის დამკვიდრებას ცდილობენ: იაკობისთვის მეგრული და სვანური ისეთივე ენობრივი რეალობაა, როგორც იმერული, კახური და ხევსურული, ანუ: იაკობის აზრით, მეგრული და სვანური ქართული ენის ისეთივე დიალექტებია, როგორც იმერული, კახური და ა. შ. (გვანცელაძე 2006, ფუტყარაძე 2006). იაკობის ნააზრევს ასეთი გააზრება, მარტივად რომ ვთქვათ, შეურაცხყოფა ავტორისა: იაკობი იმ დროისათვის ღრმად განსწავლული ლინგვისტია. ამიტომაც თავის ნაწერებში არაერთგზის მსჯელობს იმის თაობაზე, რა არის სალიტერატურო ენა, რა არის დიალექტი, რას წარმოადგენს ენობრივი ერთეულები მეგრული და სვანური... ასევე, საინტერესოა რა ტერმინებს გამოიყენებს იაკობი და როგორია ამ ტერმინებით აღნიშნულ ცნებათა იაკობისეული გაგება“. (4, 72-73).

იაკობ გოგებაშვილის დიდი დამსახურებაა ისიც, რომ „სწორად აფასებს ვითარებას, ეროვნული პოზიციებიდან უცდომლად გაიაზრებს საქართველოს ენობრივ სიტუაციას და დააჯერებს მტერსაც და მოყვარესაც, რომ „მეგრული და სვანური შტოებია ქართულისა“: იაკობი ქართველურ ენობრივ სივრცეში სამი ღონის ენობრივ ერთეულებს გამოყოფას:

1. ქართული სალიტერატურო ენა (ანუ მთავარი ენა, საღმრთო ენა, დედაენა);

2. სვანური და მეგრული მეტყველება („ადგილობრივი კილოები“, „პროვინციული კილოები“, „შინაურობაში სახმარი კილოები“)

3. ქართული დიალექტები (3,14)

1902 წელს „ივერიაში“ დაბეჭდილ სტატიაში იაკობი ვრცლად მსჯელობს მთავარი ენის ანუ დედაენის დანიშნულებაზე, მის როლსა და ხელოვნურად შექმნილ პრობლემებზე. იგი სინანულით წერდა: „მეოთხე საუკუნიდან დაწყებული დღეინდელ დღემდე ყველა ჩვენებურს სკოლებში, შავი ზღვიდან დაწყებული დაღესტნის საზღვრამდე იხმარებოდა მხოლოდ წიგნები, საერთო ლიტერატურულს დედა-ენაზე დაწერილნი. განსამარტავად გაუგებარი სიტყვებისა და ფრაზებისა, მასწავლებლები ხმარობდნენ სიტყვიერად ადგილობრივს ტერმინებსა და ფრაზებს, მაგალითად, სამეგრელოში და სვანეთში, და სწავლასთან ერთად ავრცელებდნენ დედა-ენის სრულს ცოდნასა ... ჩვენში კი გამოჩნდნენ იმისთანა ჭკუით გლახაკნი, რომელთაც გაჰბედეს და წარმოსთქვეს, რომ სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებიდან დედა-ენა უნდა იქმნას გამორიცხული, რადგან აქ ხალხი ადგილობრივს კილოკავებსა ხმარობსო“. (2, 358-359)

1903 წელს „ნოვოე ობოზრენიეში“ დაბეჭდილ სტატიაში „მეგრული დაწყებითი სკოლის საკითხისათვის“ იმოწმებს რუსი სპეციალისტების გამოთქმულ მოსაზრებებს მეგრული ანბანის საწინააღმდეგოდ. ამას ამატებს კიდევ სხვა არგუმენტებსაც. ყველაზე მთავარი არის იდენტობის საკითხი: „ისტორია მოგვითხრობს, რომ უხსოვარი დროიდან ქართული ენა მეგრელთათვის სარწმუნოებრივი ღვთისმსახურების, სასკოლო, სალიტერატურო და სასამართლო-ადმინისტრაციულ ენას წარმოადგენდა ... საეკლესიო კათედრა სამეგრელოს ფარგლებში არასოდეს არ ხმარობდა სხვა ენას, გარდა ქართულისა. ისეთი პერიოდებიც კი იყო, როდესაც სამეგრელოს ჭყონდიდის სამიტროპოლიტო კათედრას პირველი ადგილი ეჭირა ქართულ მჭერმეტყველებაში“... იაკობი აგრძელებს: „ამის შემდეგ მეგრელებისთვის იმის თქმა, რომ ისინი ქართველები არ არიან, რომ მათ არა აქვთ არც ანბანი, არც დამწერლობა, არც ლიტერატურა, რომ ყველაფერი ეს ამიერიდან უნდა შეიქმნასო, განა იმას არ ნიშნავს, წავართვათ მათ მთელი მათი სახელოვანი წარსული, მთელი ისტორიული მონაპოვარი... ასე მოქცევა იმის მოსურნეობა ხომ არ იქნებოდა, რომ ერთმანეთს დააშორონ ის, რაც ღმერთს, ბუნებას და ათასწლოვან ისტორიას შეუერთებია?“ (2, 460,462)

ქართულ ენას იაკობი უწოდებს: ლიტერატურულს, მთავარს, ძირითადს, საყოველთაოს, საერთოს, ზოგად-ქართულს, საღმრთოს.

მეგრულ-ჭანურისა და სვანურის აღსანიშნავად გამოიყენებს ტერმინებს: ადგილობრივი კილო, დიალექტი, კილო-კავი, მშობლიური კილო, პროვინციალური კილო, თემიური კილო-კავი. კილო, კილო-კავი და დიალექტი ამ შემთხვევისათვის სინონიმებია. ქართული ენობრივი სივრცის დასახასიათებლად. ამ ტერმინების სინონიმად ენის გამოყენებას პუბლიცისტურ წერილებში ერიდება (4, 74). ეტყობა იაკობს ახსოვს ის მწარე რეაქცია, რაც მოჰყვა ენათმეცნიერ ალექსანდრე ცაგარლის მხრიდან მეგრულის ენად აღიარებას. მიუხედავად იმისა, რომ ცაგარელს არავითარი პოლიტიკური მიზანი არ ჰქონია და არც გასულა ლინგვისტიკის ფარგლებიდან. რადგანაც „ბუნების კარში“ პოლიტიკური პრობლემა არ იდგა, მისი მსჯელობა მეგრულისა, სვანურისა და ჭანურის შესახებ უფრო ვრცლად და გახსნილად, შესაბამისი ტერმინებით მიმდინარეობს, მაგალითად: „ჭანური ენა იგივე მეგრული ენაა ცოტაოდენის განსხვავებით. ქართული ენაც ბევრმა ჭანმა ისევე კარგად იცის, როგორც მეგრელებმა“. „ქართველების ტომის უფრო შერეულს შტოს სვანები შეადგენენ.“ „სვანური ენაც ქართული ენიდან არის წარმომდგარი.“

წერილს დავამთავრებთ ვრცელი ამონარიდით გ. გოგელაშვილის წიგნიდან: იაკობ გოგებაშვილის თვალსაზრისი ქართველურ ენათა რაობისა და ურთიერთიმართების თაობაზე ასეთ სახე იღებს: მეგრულ-ჭანური ერთი ენაა („ცოტაოდენი განსხვავებით“). ქართული ეროვნული ენის ტოტებია (შტოებია) მეგრულ-ზანური და სვანური („ბუნების კარის“ პირველ გამოცემაში ტოტებს ეძახის, ბოლო გამოცემაში - შტოებს). სვანურის შტო უფრო ადრე გამოეყო ეროვნულ ხეს, ვიდრე მეგრულ-ჭანურისა. მეგრულ-ჭანური და სვანური ენების მოწყვეტა ეროვნული ხისგან (რისი მცდელობაც იყო ამ ენებზე ანბანის შექმნა) დალუპავს ამ ენებს: „დაჭკნობა და გახმობა აუცილებელი შედეგია მათის მოწყვეტისა, საერთო ნიადაგიდან ... დიადი, განცალკევება ჰლუპავს ეროვნულ ხესაც და მისგან მოშორებულს ტოტებსაც. (იაკობი, III. 479).“ (4, 78).

ქართულ-მეგრული, ისევე როგორც ქართულ-ლაზური და ქართულ-სვანური ურთიერთობებზე, იაკობ გოგებაშვილის შეხედულებანი დღეს სრულიად მისაღებია და საგულისხმო როგორც ლინგვისტური, ისე სოციოლინგვისტური თვალსაზრისით და ეს ურთიერთობანი შეიძლება აღწეროს კლასიკური დიგლოსიის ტერმინებში (ტერმინი დიგლოსია ფერგიუსონმა შემოიტანა სოციოლინგვისტიკაში 1959 წელს). დიგლოსია ისეთი სტაბილური ენობრივი სიტუაციაა, რომელშიც თანაარსებობენ მონათესავე ენები და ერთმანეთისგან განსხვავდებიან ფუნქციებით, პრესტიჟით, სალიტერატურო მემკვიდრეობით, სტანდარტიზაციითა და სხვა მახასიათებლებით. ქართულის,

მეგრულის და სვანურის ურთიერთობა სწორედ ისეთი სტაბილური, მრავალსაუკუნოვანი სოციოლინგვისტური სიტუაციის ნიმუშია, რომელსაც დიგლოსიას უწოდებენ.

ლიტერატურა:

1. თ. ბოლქვაძე, მეგრული ანბანი და მეგრულად ნაჭედი წიგნები: მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ათწლეული, კრებულში „ენათმეცნიერების საკითხები“, თბ., 2013.
2. ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, თბ., 1990.
3. გ. გოგოლაშვილი, სიბრძნე იაკობისა, თბ., 2014.
4. გ. გოგოლაშვილი, ქართული სალიტერატურო ენა, ნარკვევები, თბ., 2013.
5. И. Кипшидзе, Предисловие к грамматике мингрельского (иверского) языка. С-Пб., 1914. წიგნში: ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.
6. არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.

Vianor Akhalaia
Gori State Teaching University
IAKOB GOGEBASHVILI AND THE GEORGIAN LANGUAGES
RESUME

For a time of extreme hardship for Georgia when the Russian policy threatened the unity of the country, language and culture in the second part of XIX century, great Jakob Gogebashvili stood on the usual height and with his books, publicist letters declared war Mingrelians and Svan as non-Georgians announcement and although Laz and Svan Languages schools hold.

ლევან ბრეგაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„მაგარის“ სემანტიკისათვის

სიტყვა „მაგარი“ ასე განვმარტეთ „ქართული ჟარგონის ლექსიკონში“:

„სალიტერატურო ქართულში ნიშნავს ძნელად გასატეხს, მყარს, მტკიცეს, გამძლეს, ძლიერს; სასმელთან დაკავშირებით – ბევრი სპირტის შემცველს; ჟარგონში კი კარგის, ჩინებული, საუცხოო მნიშვნელობა შეიძინა: „იქ შენ ისმენდი **მაგარ** ლექციებს ქართულ და მსოფლიო მწერლობაზე“ (გიორგი ჩარკვიანი); „ნასკები მაგიდაზე დაყარე. ეს იყო ყველაზე **მაგარი!**“ (დალი ფანჯიკიძე. თარგმ.); „**მაგრად** ცეკვავდა სხვათა შორის“ (რეზო ჭეიშვილი)“ (ბრეგაძე 1999: 83).

ამგვარი მნიშვნელობით (კარგი, ჩინებული, საუცხოო) გამოყენებული „მაგარი“ რომ ჟარგონული ელფერის მატარებელია, ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს.

ბატონმა ივანე ამირხანაშვილმა, ძველი ქართული ლიტერატურის ჩინებულმა მცოდნემ, ჩვენი ყურადღება მიაპყრო ძველ ტექსტებში ზედსართავ „მაგარისაგან“ წარმოებული ზმნიზედის „მაგრიად“ (=მაგრად) იმ მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებს, რომელიც დღეს ჩვენ ჟარგონულ მნიშვნელობად მიგვაჩნია.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ კვითხულობთ:

„...ფარულად მოუწოდა ერის-კაცსა ანჩელსა, ლიბრსა და გლახკსა და **მაგრიად** მოისარსა“ (მერჩული 1960: 107). „მაგრიად მოისარი“ *მარჯვედ, ჩინებულად, საუცხოოდ* მოისარია.

ამავე გამოთქმას ვხვდებით დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაშიც:

„ამირა ძლიერი და მაგრიად მოისარი“ (ქართლის... 2008: 302). სქოლიოში მითითებულია, რომ ანალოგიური ფრაზა თურმე ფსალმუნის ქართული თარგმანის ადრინდელ რედაქციებშიც გვხვდება: „ფსალმ. 77,9 (ძველ, წინარეათონურ რედაქციებში)“. მართლაც, ამ ადგილას ფსალმუნში ვკითხულობთ: „მენი ეფრემისნი, ძლიერნი და მაგრიად მოისარნი“. გვიანდელ რედაქციაში, რომელიც დედანთან უფრო მიახლოებული ჩანს, ნაცვლად „მაგრიად მოისარნისა“ არის „მოისარნი მშვილდებითა“ (ფსალმუნნი 1960: 203). თანამედროვე თარგმანში ასეა: „მენი ეფრემისა, აღჭურვილნი და მშვილდმოზიდულნი [უკუიქნენ ბრძოლის დღეს]“ (ბიბლია 1989: 531), ანუ თარგმანის დაზუსტებულ, დედანს მიახლოებულ ვერსიაში „მაგრიად“ აღარ არის (მისი შესატყვისი არც რუსულ და გერმანულ თარგმანებშია).

ამავე გამოთქმას ვხვდებით ჟამთააღმწერელთანაც:

„რამეთუ იყო კაცი ესე დიდი და მაგრიად და უცთომლად მოისარი“ (ზოგ ხელნაწერში [MQTm] ყოფილა „მაგრად“) (ქართლის... 2008: 592).

ეს შესიტყვება გვხვდება აგრეთვე თხზულებაში „წამება წმიდისა ვარდანისი და ძმთა მისთა...“, რომელიც სომხურიდან არის თარგმნილი:

„**მაგრიად მოისარმან** ვარდან არა მცირედი ბრძოლაჲ ყო მისთანათაჲთურთ ზედა...“ (ვარდანი 1944: 86).

„მარჯვედ“, „ჩინებულად“, „საუცხოოდ“ – ამ მნიშვნელობებს „მაგრიად“ მხოლოდ **მოისართან** დაწყვილებული ღებულობს. სხვა შემთხვევებში ის იგივეა, რაც „ძლიერად“. მაგალითად, ძველი აღთქმის ნეემიას წიგნში ვკითხულობთ: „და საბლარდელი იგი ჩემი განვყარე **მაგრიად**“ (ნეემია 5,13). ახალი თარგმანი: „გამოვიბერტყე ჩემი სამოსლის უბე“ (ბიბლია 1989: 420) – „განვყარე მაგრიად“ ნიშნავს: „გამოვიბერტყე“ ანუ ძლიერად, ღონივრად დავიქნიე [სამოსელი] (შდრ. აბულაძე 1973: 112). საგულისხმოა, რომ ილია აბულაძეს „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ჯერ ცალკე განუმარტავს „მაგრიად“ და შემდეგ კი – სინტაგმა „მაგრიად მოისარი“ (იქვე), რაც იმას ნიშნავს, რომ მას ეს გამოთქმა მყარ შესიტყვებად მიაჩნია, უთუოდ იმის გამოც, რომ ძველ ტექსტებში არ ჩანს ისეთი სინტაგმა, რომელშიც „მაგრიად“ სხვა ხელობის აღმნიშვნელ სიტყვას უწყვილდებოდა.

რას შეიძლება ნიშნავდეს ის, რომ ძველ ქართულში „მაგრიად“ მხოლოდ **მოისართან** დაწყვილებული ღებულობს ისეთ მნიშვნელობას, რომელიც თანამედროვე ქართულში ჟარგონული ელფერის მატარებელია? ჩვენი აზრით, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ „მაგრიად მოისარი“ ძველადაც ჟარგონი იყო, იმ ახალგაზრდათა წრეში გაჩენილი, რომლებიც მშვილდ-ისრის სროლაში ვარჯიშობდნენ და იწაფებოდნენ. „ქართული ჟარგონის ლექსიკონის“ წინათქმაში გვიწერია: „ყველგან, სადაც კი ახალგაზრდებს ხანგრძლივი დროით უხდებათ ერთად ყოფნა (სასწავლებელში, ჯარში, სპორტულ სკოლებში, „ბირჟაზე“...), აუცილებლად იქმნება ახალგაზრდული ჟარგონი“ (ბრეგაძე 1999: 5).

„ყველგან“ დავუმატებდით – „ყველა დროში“: „ყველგან, ყველა დროში, სადაც კი ახალგაზრდებს ხანგრძლივად უხდებათ ერთად ყოფნა...“ და ა. შ.

ამრიგად, ვფიქრობთ, შესაძლოა „მაგრიად მოისარი“ უძველეს ქართულ ჟარგონულ გამოთქმად მივიჩნიოთ.

მერე და მერე ზედსართავი სახელი „მაგარი“ *კარგის, ჩინებულის, საუცხოოს* მნიშვნელობით გამოყენების არეალს იფართოებს, ოღონდ ფრაზებს, რომლებშიც იგი ამ გაფართოებული მნიშვნელობით გამოიყენება, არალიტერატურული, რამდენადმე ვულგარული, ქართულის ელფერი აძევს.

ილია ჭავჭავაძესთან ვკითხულობთ:

„ამას ამტკიცებს, როგორც კნ. ბ. ჯორჯაძის სტატია, ისე უფ. გ. ბარათოვისა თავის რამოდენიმე **მაგარ** აზრითა“ (ჭავჭავაძე 1953: 35). „მაგარი“ („საუცხოო“, „ჩინებული“...) აქ ირონიულად არის ნათქვამი.

დავით კლდიაშვილის პიესის „უბედურება“ პერსონაჟები ასე საუბრობენ:

ამირანა: თუ აღარ შემიდლია, შენი ჭირი შემეყაროს, მაშინ? აღარა მაქვს არც ღონე და აღარც ძალა, მაშინ? (..) არავინ უნდა მომხედოს? ყველამ უნდა წამიყრუოს?

ილია: ოჰ, ეგ კარგ კითხვას იძლევი, ჩემო ამირანა, კარგსა და **მაგარ** კითხვას იძლევი, ამირანა!

ამირანა: ჰო, რა ვქნა, რა... როცა აღარც ღონეა და აღარც ძალა მაქვს... ა? (იცინის) ა, **მაგარ** კითხვას ვიძლევი, შენი ჭირი შემეყაროს?!

ილია: სწორედ, კარგ და **მაგარ** კითხვას იძლევი... ყველასათვის საგულისხმიერო კითხვას იძლევი, ჩემო ამირანა!“ (კლდიაშვილი 1947: 589).

ამ ბოლო ფრაზიდან საკვებით ცხადია რა მნიშვნელობით არის დიალოგში გამოყენებული „მაგარი“ – პერსონაჟი თვითონვე ასახელებს მის ლიტერატურულ შესატყვისებს: *კარგი, საგულისხმიერო*.

მე-19 საუკუნეში, მატადრე ილია ჭავჭავაძესა და ვაჟა-ფშაველასთან, დასტურდება „მაგარის“ სხვა საყურადღებო მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებიც. ჯერ მაგალითები ვნახოთ.

„გლებთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენებში“ ილია ჭავჭავაძის პერსონაჟი გლახა ჭრიაშვილი ხშირად იყენებს გამოთქმას „**მაგრამ მაგარი ესაა, რომ...**“:

„დიდი ხნის კაცი ვიყო, კიდეც ჰო, **მაგრამ მაგარი ესაა, რომ არა ვარ დიდი ხნისა**“ (ჭავჭავაძე 1950: 329);

„მართალია, წვერ-ულვაშში ჭადარა გამომრევია, **მაგრამ მაგარი ესაა, რომ დიდი ხნისა არა ვარ**“ (ჭავჭავაძე 1950: 232);

„საყდარი ხომ საყდარია, თქვენ ეს უფრო კარგად მოგეხსენებათ, **მაგრამ მაგარი ესაა, რომ ხორციელი ადამიანი სულ სხვა არის**“ (ჭავჭავაძე 1950: 232);

„მართალია, ჩვენს სოფელში სიტყვაპასუხიანს კაცს მეძახიან, **მაგრამ მაგარი ესაა, რომ მაინც კიდეც თქვენი საკადრისი სიტყვა-პასუხი სად მეცოდინება**, – ერთი ბეჩავი გლები ვარ“ (ჭავჭავაძე 1950: 234).

„კაცია-ადამიანშიც“ ვხვდებით ამ გამოთქმას და „კაცია-ადამიანის“ გადაკეთებით დაწერილ პიესაშიც, რომლის სათაურია „მაჭანკალი“:

სუტ-კნენია: „**მაგრამ... მაგარი ეს არის, რომ** „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო“ (ჭავჭავაძე 1950: 173; შდრ. ჭავჭავაძე 1950: 377).

მაგალითები ვაჟა-ფშაველას მოთხრობებიდან:

„**მაგრამ... მაგარი ის არის, რომ** კიდობნიდან იწყო დამდამობით საუცხოვო ამბებმა მოდენა. ხმალი არ ისვენებდა: კიდობნიდან ისმოდა აბჯრის ჩხერა-ჟღარუნი, დაჭრილთა კვნესა, ხმა ლოცვა-მუდარებისა, ცოდვათა მიტევება“ („ბათურის ხმალი“. ვაჟა 1961b: 101);

„ღვთისოს კეცში გამომცხვარი პურის მოზდილი ყუა ეჩარა ილიაში, უტეხდა და უხვდა სთავაზობდა ლუკმებს სასახელოდ წამოყვანილს ბროლიას. **მაგრამ მაგარი ის არის, რომ** ბროლია იმ წისქვილივით, რომელიცა ვნახეთ, და უფრო უარესად, დანჟღრეულ-დანგრეული იყო, სიბერისაგან კბილები გასცვივნოდა საცოდავს...“ („საშობაო მოთხრობა“. ვაჟა 1961a: 140);

„სოფელი რომ აწმყოს რიგიანად ჰმართავდეს, რიგიანს გზაზედ აყენებდეს, გასამტყუნარი არ იქნებოდა, რადგან ნაყოფიერი აწმყო ნაყოფიერს მომავალს მოიტანს ხოლმე, **მაგრამ მაგარი ისაა, რომ** აწმყოც თავისებურად ესმის ამ ორთავა ზღვას, თავისებურად, ე. ი. კუჭის მხრით“ („სოფლის სურათები“. ვაჟა 1961a: 230);

„ძველები ზნეობით ფრიად აღმატებულნი ყოფილან, მართალნი, გულკეთილნი, უზაკვრონი, უზადონი. **მაგრამ მაგარი ეს არისო**, ამბობს სოფელი, რომ აჯამი ხალხი ყოფილა მაშინაო. სად ეხლანდელი ჭკვა და ეშმაკობა, სად მაშინდელიო“ („სოფლის სურათები“. ვაჟა 1961a: 234);

„[კურდღელი] გაშეშდა, აღარც იქით მიდის, აღარც აქეთ. მეც თამამად მივედი, მივეწვადე, უნდა დამეჭირა. **მაგრამ მაგარი ის არის**, კურდღელი გადახტა, გამეცა, ხოლო ადგილმა, სადაც ის იჯდა, ფამფალი, ზანზარი დაიწყო და წამოდგა საფლავიდან უზარმაზარი ტანის კაცი...“ („ცრუპენტელა აღმზრდელი“. ვაჟა 1961a: 412).

ამ გამოთქმის („მაგრამ მაგარი ის არის, რომ...“) თაობაზე ქეგლ-ში ვკითხულობთ: „ითქმის დათმობით წინადადებაში დაპირისპირების განსამარტავად ან გასაძლიერებლად“ (დამოწმებულია ილიას გლახა ჭრიაშვილის ერთ-ერთი ზემოთ ციტირებული ფრაზა. – ქეგლ 1958: 5). ეს ჩინებული დახასიათებაა ამ ერთობ უცნაური გამოთქმისა, მაგრამ სრულყოფილ განმარტებად ვერ ჩაითვლება. განმარტების საქმე რომ ცოტათი წაეწიოთ წინ, ის გამოთქმები მოვიძიოთ, რომლებმაც შეიძლება „მაგრამ მაგარი ის არის, რომ...“ ჩაანაცვლონ; ესენია: „მაგრამ **საქმე** ის არის, რომ...“, „მაგრამ **უცნაური** ის არის, რომ...“, „მაგრამ **საინტერესო** ის არის, რომ...“, „მაგრამ **საყურადღებო** ის არის, რომ...“, „მაგრამ **საგულისხმო** ის არის, რომ...“, „მაგრამ **გულგასახეთი** ის არის, რომ...“, „მაგრამ **სამწუხარო** ის არის, რომ...“, „მაგრამ **სეირი** ის არის, რომ...“... სხვაც ბევრი შეიძლება დასახელებდეს. ამრიგად, „მაგარს“ ჩაუნაცვლებია „საქმე“, „უცნაური“, „საინტერესო“, „საყურადღებო“, „საგულისხმო“, „გულგასახეთი“, „სამწუხარო“, „სეირი“.

აქაც, ანუ დათმობით წინადადებაში, „მაგარი“ ლამის უნივერსალურ ჩამნაცვლებლად გვევლინება, ოღონდ ამჯერად იგი დადებით ეპითეტებს კი არა, ნეიტრალურებსა და უარყოფითებს ენაცვლება.

ამრიგად, ზედსართავ „მაგარის“ სემანტიკის გაფართოების პოტენციალი, რაც უძველეს ტექსტებში უკვე შეინიშნება, მე-19 საუკუნეში ძალუმად გამოვლინდა, ხოლო ჩვენს დროში მთელი სისრულით იქნა რეალიზებული.

„გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში“ 2007 წელს რუბრიკით „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“ დაიბეჭდა გივი ბოჯგუას წერილი, რომლის სათაურია „დადებით ეპითეტთა და სინონიმთა რისხვა“, სადაც ვკითხულობთ:

„ეს სიტყვა [„მაგარი“] ღვთის რისხვასავით ატყდება ყველა დადებით ეპითეტსა და სინონიმს; მან ლამის დაგვაიწყო მათი არსებობა და გამოყენების აუცილებლობა. რატომ, გაწყდა ენაში უმშვენიერეს სიტყვათა სპა? გავიხსენოთ ზოგიერთი მაინც: *აზრიანი, ალალი, ალერსიანი, ამტანი, აშოლტილი, ბედნიერი, ბეჯითი, ბრწყინვალე, გამორჩეული, გასახარელი, გონივრული, გულთბილი, გულუხვი,*

გულღია, დიდებული, დიდსულოვანი, კარგი, ნიჭიერი, მართალი, მოსაწონი, მოსიყვარულე, მშვენიერი, ნაზი, ნარნარი, საამო, სათუთი, საკადრისი, სანაქებო, საქმიანი, საუცხოო, სრულყოფილი, ტანადი, უზადო, ღირსეული, შესანიშნავი, წარმატებული, ჭკვიანური და უამრავი სხვა“ (ბოჯგუა 2007: 34-35).

ამ კუროზული ვითარების კიდევ უფრო ხაზგასმელად რედაქციამ, რომლის წევრი თქვენი მონა-მორჩილიც გახლდათ, თავს უფლება მისცა გივი ბოჯგუას ამ სტატიის ბოლოს მთავარი რედაქტორის, ბატონი მაგალი თოდუას, მიერ ხელმოწერილი ასეთი სახალისო მინაწერი დაერთო: „*მაგარი სტატიაა!*“.

ჩვენი აზრით, „მაგარის“ ეს უცნაური პოლისემია ლინგვისტური ეკონომიის კანონის მოქმედებას უნდა მიეწეროს, და, ვფიქრობთ, ამის გამო სასაუბრო მეტყველებაში მის წინააღმდეგ ბრძოლა შედეგს ვერ გამოიღებს, წერისას კი მაქსიმალურად უნდა ითქვას მასზე უარი.

და კიდევ: „მაგარის“ ეს პოლისემია სათანადოდ უნდა აისახოს ლექსიკონებშიც, თუნდაც მისი გამოვლინების არაჩვეულებრივი სიხშირის გამო. ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი ლექსიკონი (გარდა, ცხადია, „ქართული ჟარგონის ლექსიკონისა“), რომელშიც „კარგის“ სინონიმად „მაგარიც“ არის დასახელებული, კარლო ჯორჯანელის მიერ 2003 წელს გამოცემული „ქართულ სინონიმთა ვრცელი ლექსიკონია“ (ჯორჯანელი 2003: 359).

ლიტერატურა:

აბულაძე 1973: აბულაძე, ილია. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი: „მეცნიერება“, 1973.

ბიბლია 1989: ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი: 1989.

ბოჯგუა 2007: ბოჯგუა, გივი. დადებით ეპითეტთა და სინონიმთა რისხვა. „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“. ქუთაისი: 2007, #1, გვ. 34-35.

ბრეგაძე 1999: ბრეგაძე, ლევან. „ქართული ჟარგონის ლექსიკონი“. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 1999 (მდრ. მესამე შევსებული გამოცემა, 2013).

ვაჟა 1961a: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. 3. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1961.

ვაჟა 1961b: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. 4. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1961.

ვარდანი 1944: წამება წმიდისა ვარდანისი და ძმათა მისთაჲ... ილია აბულაძე. ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა მე-9-10 სს-ში. გამოკვლევა და ტექსტები. თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1944.

კლდიაშვილი 1947: კლდიაშვილი, დავით. მოთხრობები და პიესები. თბილისი: სახელგამი, 1947.

მერჩული 1960: გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. „ჩვენი საუნჯე“, ტ. 1. თბილისი: „ნაკადული“, 1960.

ქართლის... 2008: ქართლის ცხოვრება. თბილისი: „მერიდიანი“/„არტანუჯი“, 2008.

ქეგელ 1958: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 5. პროფ. არნოლდ ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1958.

ფსალმუნნი 1960: ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები. გამოსცა მზექალა შანიძემ. 1. ტექსტი. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960.

ჭავჭავაძე 1950: ჭავჭავაძე, ილია. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 2. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1950.

ჭავჭავაძე 1953: ჭავჭავაძე, ილია. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 3. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1953.

ჯორჯანელი 2003: ჯორჯანელი, კარლო. ქართულ სინონიმთა ვრცელი ლექსიკონი. თბილისი: „მერანი“, 2003.

Levan Bregadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ON THE SEMANTIC OF THE WORD “MAGARI”

RESUME

It is considered the cases of use of the word “magari” (firm) in the old, new, and contemporary Georgian texts in the meanings that are not reflected in the available dictionaries.

სტილისტიკური დარღვევების ახალი ტენდენციისათვის დოკუმენტების ენაში

სტილისტიკა ენობრივ შემოქმედებასთან დაკავშირებულ პრობლემათა ფართო სპექტრს მოიცავს – სიტყვათა თანამიმდევრობით დაწყებული დამთავრებული სპეციალური გამომსახველობითი საშუალებებით. განარჩევენ სტილის სხვადასხვა სახეს, თავისებურებებს. ტექსტის სრულქმნისა და დახვეწის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული ენისათვის ბუნებრივ სიტყვათშეხამებასა თუ სტილისტიკურად და აზრობრივად სწორად შერჩეულ ფორმებს.

ოფიციალურ-საქმიანი სტილი სტილის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სახეა. მისი ფუნქციონირების სფეროებია სახელმწიფო, სამოქალაქო და სამართლებრივი ურთიერთობანი, ხოლო ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: 1. თემისა და აზრის კონკრეტულობა; 2. მიზნის გამოხატვის სიზუსტე და სიცხადე; 3. ლაკონიზმი და სიმშრალე; ფორმოებრივი სტანდარტულობა (ოფიციალური დოკუმენტური სტანდარტების არსებობა); 4. ინფორმაციულობა და რაციონალურობა (მოთხოვნების სიზუსტე და დასაბუთების მკაცრი ლოგიკურობა); 5. ენობრივი ფორმულების სტანდარტულობა, გარკვეული შტამპებისა და კლიშეების არსებობა; 6. ნორმატიულობა; ზმნათა განზოგადებული მესამე პირის (გაიგზავნა, წარედგინა...) და აღწერილობითი ვნებითის (გაგზავნილ იქნა, შესწავლილ იქნა...) გამოყენება; 7. ოფიციალური კანცელარული და სტატისტიკური მონაცემების ხშირი მითითება; 8. მხოლოდ საქმიანი ურთიერთობისათვის ნიშანდობლივი სახელწოდებებისა და ტერმინების გამოყენება (არაბული 2004: 201). სწორედ ოფიციალურ-საქმიანი სტილით იქმნება ყოველგვარი საქმის ქაღალდი, დოკუმენტები, მათ შორის სახელმწიფო დოკუმენტებიც. რამდენადაც ისინი სახელმწიფო დოკუმენტებია, ცხადია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათ ენობრივ სრულყოფას, გამართვა-დახვეწას. ამისათვის რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი: 1. კონტექსტის შესაფერისი სიტყვის შერჩევა; 2. სინტაქსური კონსტრუქციის სრულყოფა; 3. სტილისტიკურად მართებული სიტყვათშეხამებანი.

ბოლო დროს გახშირდა როგორც მასმედიის ენაში, ისე ოფიციალურ დოკუმენტებში ქართული ენისათვის შეუსაბამო არაბუნებრივი წინადადებები, სტილისტიკური დარღვევები. ეს ფორმები თითქოს ოფიციალური სტილის ერთგვარ მახასიათებლად იქცა. ამ ეტაპზე განვიხილავთ განათლების სამინისტროს მიერ შექმნილ დოკუმენტთა (კონცეფციების, პროექტების, კანონების...) ენის ზოგ სტილისტიკურ თავისებურებებს. შევნიშნავთ, რომ ხშირად დადასტურდა სტილისტიკური დარღვევები. მაგალითად, მრავლადაა ასეთი სიტყვათშეხამების შემცველი წინადადებები: „მასწავლებელთა პროფესიაში შესვლის ამგვარი მოდელი მოსახერხებელია საქართველოსათვის“ (გვ. 7); „პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისას გათვალისწინებულია როგორც ამჟამად პროფესიაში მყოფი, ასევე მომავალი მასწავლებლები“ (გვ. 8); „ეს მოდელი გულისხმობს პროფესიაში არსებული მასწავლებლებისათვის პედაგოგიური კურსის შესაძლებლობის უზრუნველყოფას“ (გვ. 8); „პროფესიაში ყოფნისას მასწავლებელს შეუძლია ჩაერთოს უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა ტიპის აქტივობებში“ (გვ. 9); „პროფესიული მასწავლებლის განვითარების პროგრამის შინაარსი, თემები და ასევე მის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირებული იქნება ცალკე დოკუმენტით“ (გვ. 10).

მოყვანილ წინადადებებში დადასტურებული შესიტყვებები: **პროფესიაში ყოფნისას, პროფესიაში მყოფი, პროფესიაში არსებული მასწავლებლებისათვის, პროფესიული მასწავლებლისათვის, პროფესიაში შესვლა** არაა ბუნებრივი ქართულისათვის. უფრო მეტიც, ის ხელოვნური ფორმებია და არც აზრობრივად გამართული (გასაგები) და არც სტილურად, იწვევს აზრობრივ ბუნდოვანებას. მოყვანილ ფორმებში ყველგან იგულისხმება პროფესიული განათლების მქონე პირები, მასწავლებლები, პროფესიული განათლების მიღება... წინადადებები კი ასე გაიმართება: ეს მოდელი გულისხმობს პროფესიაში არსებული მასწავლებლებისათვის პედაგოგიური კურსის გავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფას – ეს მოდელი გულისხმობს **პროფესიული განათლების მქონე მასწავლებლებისათვის** პედაგოგიური კურსის გავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფას// **პროფესიული განათლების განხრით მომუშავე/მოღვაწე** მასწავლებლებისათვის პედაგოგიური კურსის გავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფას; პროფესიაში ყოფნისას მასწავლებელს შეუძლია ჩაერთოს უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა ტიპის აქტივობებში – **პროფესიული**

განათლების დაუფლებისას მასწავლებელს შეუძლია ჩაერთოს უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა ტიპის აქტივობებში; მასწავლებელთა პროფესიაში შესვლის ამგვარი მოდელი მოსახერხებელია საქართველოსათვის – მასწავლებელთა პროფესიული განათლების მიღების//პროფესიის დაუფლების ამგვარი მოდელი მოსახერხებელია საქართველოსათვის; პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისას გათვალისწინებულია როგორც პროფესიაში მყოფი, ასევე მომავალი მასწავლებლები – პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისას გათვალისწინებულია როგორც პროფესიის უკვე დაუფლებული, ასევე მომავალი მასწავლებლები; პროფესიული მასწავლებლების განვითარების პროგრამის შინაარსი, თემები და ასევე მის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირებული იქნება ცალკე დოკუმენტით – პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარების პროგრამის შინაარსი, თემები და ასევე მის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირებული იქნება ცალკე დოკუმენტით; პროფესიაში შესვლამდე მომავალ მასწავლებლებს დამატებით უნდა ჰქონდეთ მინიმუმ 3 წლიანი პროფესიული განათლება და 9 თვიანი პროფესიული პრაქტიკა გავლილი – პროფესიის საფუძვლიანად დაუფლებამდე მომავალ მასწავლებლებს დამატებით უნდა ჰქონდეთ მინიმუმ 3-წლიანი პროფესიული განათლება და 9-თვიანი პროფესიული პრაქტიკა გავლილი.

გარდა ამ ტიპის სტილისტიკური დარღვევებისა, გვხვდება შემდეგი სახის გაუმართავი ფორმები: „მათ უნდა ჰქონდეთ ე.წ. „ჩაღრმავებული განათლება“ ორი კონკრეტული მიმართულებით“. ჩარღმავებული განათლება, რა თქმა უნდა, არ ვარგა სტილურად. განათლება შეიძლება იყოს დიდი, ღრმა, სიღრმისეული. ამიტომ მოყვანილი წინადადება უნდა გაიმართოს ასე – მათ უნდა ჰქონდეთ ე.წ. სიღრმისეული//ღრმა განათლება ორი კონკრეტული მიმართულებით.

ხშირად გამოყენებული ასეთი ფრაზები: „...კეთებაზე დაფუძნებული სწავლება და შეფასება საწარმოში (გვ. 13, ცხრილი 7). კეთებაზე დაფუძნებული სწავლება სტილისტიკურად გაუმართავია, აჯობებს წინადადების ასე გამართვა – პრაქტიკულ საქმიანობაზე/პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება და შეფასება საწარმოში.

კანონმდებლობის ერთ-ერთ პუნქტში წერია: „პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება“. მოყვანილ წინადადებაში კვალიფიკაციის მფლობელი სტილისტიკურად შეუსაბამოა. ქართულში ფლობა გამოიყენება ძირითადად რაიმე საბუთთან, საგანთან დაკავშირებით, კვალიფიკაციასთან ის არ გამოდგება, ბუნებრივი შესიტყვებაა კვალიფიკაცია აქვს//კვალიფიკაციის მქონე. მართალია, აქ მითითებულია IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი, ანუ გარკვეული კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთის მფლობელი, მაგრამ, რაკი წინადადებაში არ არის გამოყენებული ეს სიტყვა, აზრის ბუნდოვანებას, შინაარსისა და ფრაზის გაუმართაობას იწვევს. ამიტომ მსგავს შემთხვევებში აჯობებს სათქმელის ნათლად და სტილისტიკურად გამართვა – პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მქონე/კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატის მფლობელი, ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება..

გვხვდება შემდეგი სახის სტილისტიკურად გაუმართავი წინადადებები: „მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ გაიაროს პედაგოგიური კურსი ან მის ნაცვლად მოახდინოს საკუთარი კომპეტენციის დადასტურება ტესტის ადმინისტრირების გზით (გვ. 8). მოახდინოს საკუთარი კომპეტენციის დადასტურება უხეში სტილისტიკური დარღვევაა. ქართულისათვის არაბუნებრივია მოახდინოს მეშველი ზმნით საწყისის წარმოება – მოახდინოს კომპეტენციის დადასტურება. მსგავსი ფორმები უცხო ენის ენობრივი სტრუქტურის ზეგავლენითაა განპირობებული. მოყვანილი წინადადება ასე გაიმართება – მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ გაიარონ პედაგოგიური კურსი ან მის ნაცვლად დაადასტურონ საკუთარი კომპეტენცია ტესტის ადმინისტრირების გზით. ანალოგიური შემთხვევაა შემდეგ წინადადებაშიც: „წინამდებარე კონცეფციის მიხედვით მასწავლებელთა არსებულ კორპუსსა და მომავალ მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ მოახდინონ პედაგოგიური კომპეტენციის დადასტურება კურსის გავლის გარეშე“ (გვ. 8) – წინამდებარე კონცეფციის მიხედვით მასწავლებელთა არსებულ კორპუსსა და მომავალ მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ დაადასტურონ პედაგოგიური კომპეტენცია კურსის გავლის გარეშე.

ასეთმა კალკირებულმა ფორმებმა განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი არა მხოლოდ პრესის ენაში, არამედ დოკუმენტებში. ხშირია შემდეგი სახის სტილურად უმართებულო ფორმები: „პროფესიული განათლების მასწავლებელთა რეგისტრაცია გულისხმობს, რომ მასწავლებელს დადასტურებული აქვს პროფესიული განათლების სწავლებისათვის აუცილებელი წინაპირობები“ (გვ.9) – დადასტურებული აქვს წინაპირობები ასევე სტილისტიკურად გაუმართავია. წინაპირობების დადასტურება ქართულისათვის

ხელოვნური სიტყვათშეხამებაა. უმჯობესი იქნება, თუ წინადადება შეიცვლება ასე: პროფესიული განათლების მასწავლებელთა რეგისტრაცია გულისხმობს, რომ მასწავლებელს **გავლილი აქვს** პროფესიული განათლების სწავლებისათვის აუცილებელი **წინაპირობები**. გარდა ამისა, აქცენტის სწორად გამახვილებისათვის კარგი იქნებოდა მისათითებელი სიტყვის გამოყენება – რეგისტრაცია გულისხმობს **იმას**, რომ მასწავლებელს გავლილი აქვს პროფესიული განათლების სწავლებისათვის აუცილებელი წინაპირობები.

აღსანიშნავია დოკუმენტებშიცა და, ზოგადად, საჯარო მოხელეთა მეტყველებაში გახშირებული არამართებული გამოყენება სიტყვისა **გონივრული**: „სკოლა ვალდებულია მიიღოს ყველა **გონივრული ზომა** მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად“ (გვ.); „სკოლა ვალდებულია მიიღოს ყველა **გონივრული ზომა**, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფინანსური სახსრების ან სხვა **სიკეთის გამოძალვა**“ (მუხლი9). დღეს ძალიან გახშირდა შემდეგი სახის სიტყვათშეკავშირებები: **გონივრული ეჭვი, გონივრული ზომა, გონივრული ვადები...** მოყვანილი ფორმები ოფიციალურ ტერმინებადაც კი იქცა. ვფიქრობთ, ეს ქართულისთვის არაბუნებრივი, ხელოვნური ფორმებია და ყურს ჭრის მათი გამოყენება. ცხადია, ყველა სიტყვა ნებისმიერ ფორმასთან ვერ ქმნის შესიტყვებას, შეკავშირებას, რადგან შინაარსობრივად არ მიესადაგება ხოლმე. აქაც მსგავსი ვითარება გვაქვს. შინაარსობრივად ამ სიტყვათშეხამებებში იგულისხმება **შესაბამისი, ადეკვატური**, რაც გამოიყენება კიდევ აქტიურად. ამიტომ მართებული და უკეთესი შესიტყვებაა ტრადიციული ფორმები: **შესაბამისი ზომები//ფექტური ზომები, შესაბამისი ვადები**. რაც შეეხება **გონივრულ ეჭვს**, ის ჩაენაცვლა მართებულ შესიტყვებას – **საფუძვლიანი ეჭვი**. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა **გონივრული** მიესადაგება შემდეგ სიტყვებს – გონივრული საქციელი, გონივრული ქმედება, გონივრული გადაწყვეტილება, ზემოთ მოყვანილ წინადადებებში შეუსაბამოა და ხელოვნური.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიტყვას სალიტერატურო ენაში ამ ენის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე სრულიად გარკვეული მნიშვნელობა აქვს. არ შეიძლება, რომელიმე სიტყვა ნებისმიერ სხვა სიტყვას დაეუკავშიროთ (ფოჩხუა 1974 : 299). ყოველ სიტყვას ამავე დროს აქვს თავისი მყარი ადგილი ტრადიციულ სიტყვათშეხამებებში, ხოლო სალიტერატურო ენის მომხმარებელთა უმეტესობა იყენებს ამ მზა სიტყვათშეხამებებს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფრაზეოლოგიზმთა და მყარ გამონათქვამთა გამოყენება უფრო გამომსახველსა და მოქნილს ხდის პრესის ენას, მაგრამ, როდესაც ამგვარ გამონათქვამებში შეცდომებია დაშვებული, მაშინ ისინი კარგავენ თავიანთ ღირებულებას და ფრაზას ამახინჯებენ (ზურაბიშვილი, კალაძე 1980 : 97-98). ცხადია, იგივე ითქმის ოფიციალური დოკუმენტების შედგენისას დაშვებულ უხეშ სტილისტიკურ დარღვევებზე, მით უმეტეს, როცა დოკუმენტებთან გვაქვს საქმე, მეტი სიფრთხილე და გულისყურია საჭირო, რათა მასში სახელმწიფო ენის გამომსახველობითი საშუალებები სწორად, მართებულად და, რაც მთავარია, ენისათვის ბუნებრივი ფორმებით იყოს შემუშავებული.

ლიტერატურა:

1. არაბული, 2004 – ავთ. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი
2. ზურაბიშვილი, კალაძე, 1980 – თ. ზურაბიშვილი, ც. კალაძე, მნიშვნელობის თვალსაზრისით შეუფერებელი სიტყვათშეხამებანი თანამედროვე ქართული ენის პრესაში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მესამე, თბილისი
3. პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების კონცეფცია, თბილისი, 2014, gov.ge
4. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, თბილისი, 2013, mes.gov.ge
5. ფოჩხუა, 1974 – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი

Tea Burchuladze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics

TOWARDS THE NEW TREND OF STYLISTIC IRREGULARITIES IN THE LANGUAGE OF DOCUMENTS RESUME

Recently stylistic shortcomings, unnatural sentences inappropriate for the Georgian language often occur in the language of media as well as official documents. It seems that similar forms became a kind of characteristic feature of official style. For example, the following word-combinations are attested: *პროფესიაში ყოფნისას*, 'being in the

profession’, პროფესიაში მყოფი ‘sib in profession’, პროფესიაში არსებული მასწავლებლებისათვის ‘for a teacher in profession’. პროფესიული მასწავლებლისათვის ‘for a professional teacher’, პროფესიაში შესვლა ‘entering the profession’... They are not natural for Georgian. Moreover, they are artificial forms and aren’t correcting (i.e. understandable) stylistically as well as semantically. The mentioned forms imply ‘the persons with professional education’, ‘teachers’, ‘acquiring the education’ ...

There also occur the forms which have undergone the influence of a foreign language structure. For example: *მოახდინოს საკუთარი კომპეტენციის დადასტურება* ‘to confirm one’s own competence’ – a rude stylistic violation. For Georgian it is unnatural to form an infinitive form with an auxiliary verb. In the literary language a word has a specified meaning on the certain development stage of the language. It is inadmissible to link any word with other one.

გიორგი გოგოლაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილი – პოლემიკის დიდოსტატი

იაკობ გოგებაშვილი ერთგან წერს: „რაც მე დრო და შრომა მოვანდომე ჩემის სახელმძღვანელოების შედგენას და ხან-გამოშვებით გაუკეთესოებას, ათი იმდენა დრო და შრომა მომინდა მათი დაცვისათვის სხვა და სხვა ცილისწამებისაგან“. ხოლო ერთგან „თავის მართლებისას“ იმის განმარტებაც დასჭირდა, ცილისწამება რა არის – „ცილისწამება ჰქვიან იმისთანა სიცრუეს, რომელშიაც შედის ბოროტი განზრახვაო“ და სწორედ ამ ბოროტ განზრახვას ებრძვის; ებრძვის და უმკლავდება, მაგრამ საშური დრო იკარგება...

ვის ებრძვის? იოსებ იმედაშვილის თქმით, „ბრძოლა უხდებოდა გარეშე თუ შინაურ მოწინააღმდეგეებთან“.

ივანე გომელაური იგონებს: „იაკობი თავგამოდებით, ბასრი კალმითა და მჭრელი ენით იცავდა თავის სახელმძღვანელოებს ყოველმხრივ მოსეული მტრებისაგან. მტრები კი ბევრი ჰყავდა – შინაური და გარეული. შინაურები იყვნენ წვრილფეხა და განდიდება-გამდიდრების სურვილით შეპყრობილი მასწავლებლები, რომლებიც ცდილობდნენ „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ დამცირებას, რათა მათ მაგიერ სკოლებისათვის მიეჩეჩებინათ თავიანთი შეთითხნილი სახელმძღვანელოები და ამით გემრიელი ლუკმა აეღოთ ხელში. განსაკუთრებით „დედაენას“ ეცილებოდნენ, რადგან ის უფრო შემოსავლიანი იყო. გარეშე მტრები კი იყვნენ მთავრობის მოხელეები, მოყოლებული სასწავლო ოლქის მზრუნველიდან, ყველა მისი ყურმოჭრილი ჩინოვნიკით, რომელთაც არაფრად ეპიტნავებოდათ არც ზვიადი და განათლებული ჩვენი პედაგოგი და არც მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები“... ერთგან თავადაც იტყვის იაკობი: „ჩემს წიგნებს ბევრი მტერი ჰყავდა, შინაური და გარეული, აშკარა და იდუმალი, მკიცხავი და მამბეზლარი“...

გარემესთან ბრძოლის ერთ მაგალითს მოვიყვან. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კირილე იანოვსკიმ თვალი დაადგა „დედაენას“. ვინ იყო იანოვსკი? – ივანე ჯავახიშვილის თქმით, „იანოვსკიზე დაუძინებელი მტერი არ ჰყოლია ქართულ ენას“... სწორედ ეს იანოვსკი ეუბნება იაკობს:

– „ჩვენის სკოლების მთავარი მიზანი რუსულის ენის გავრცელებაა აქაურ მცხოვრებთა შორის; ამ მიზანს, სხვათა შორის, აბრკოლებს სიფართოვე თქვენის „დედა-ენისა“, რომელიც დიდს დროს ითხოვს თავისი გათავებისთვის. ქართული წერა-კითხვის შესწავლა ძალიან ადვილია და სრულიად საჭირო არ არის დიდი სახელმძღვანელო. საბჭოში გვექონდა ამის შესახებ მსჯელობა და შემდეგ დასკვნამდინ მივედით: მოგცეთ წინადადება, ერთი ორად შეამოკლოთ „დედა-ენა“ და გვერდში პარალელურად, ამოუყენოთ რუსული თარგმანი. ამ გზით ქართული ენაც საკმარისად შეისწავლება და რუსული ენაც წინ წავა“.

მძიმე წინადადებაა. ფაქტობრივ, „დედაენის“ გამევეება სურთ ქართული სკოლიდან. ერთი კვირა მისცა იანოვსკიმ იაკობს მოსაფიქრებლად.

– „თუ არ დაგვეთანხმებით, საბჭო თითონ გამოსცემს სახელმძღვანელოს და, ნურას უკაცრავად, თუ თქვენი „დედა-ენა“ გაირიყებაო“.

იაკობმა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ მოახსენა ეს ამბავი. იცნობენ იანოვსკის, მის ინტერესებს და „პრინციპებს“ და ამიტომაც ზოგნი ურჩევენ, დაყაბულდეს:

– „დედა-ენის“ ნახევარს მაინც გადავარჩენთ, თორემ, ივინი გამოსცემენ მახინჯს რასმე, ისიც რუსული ალფაბიტით და საქმე სრულიად წახდებო“.

იაკობი კატეგორიული წინააღმდეგია იანოვსკის წინადადებისა, ურჩევნია აიკრძალოს „დედა-ენა“, რადგან სჯერა, რომ: „ახლანდელი სახით დამარბული „დედაენა“ მკვდრებით შეიძლება მალე აღდგეს; მაგრამ დამახინჯებული კი საუკუნოდ მკვდარი დარჩებაო“...

ბრძოლა გრძელდება... იანოვსკი არაა ის მოხელე, იოლად დაიხიოს უკან... იაკობი არგუმენტაციაზე ფიქრობს... ეს ზეპირი პოლემიკაა, რომელსაც უიმედოდ უყურებენ იაკობის თანამებრძოლებიც... მოკლედ, ხანგრძლივი დაპირისპირების შემდეგ იაკობმა გაიმარჯვა, იანოვსკიმ ხელი აიღო თავის განზრახვაზე... იაკობი იუმორით ამთავრებს თხრობას: „და მეც ჩემი მხრივ ასეთი ხატრი გავუწიე მას: „დედა-ენა“ ერთი-ორად გავადიდე...“ ეს იყო ერთი შემთხვევა გარეშე მტერთან ბრძოლისა. ფაქტი საშიში და საბედისწერო – იაკობის დამარცხება ქართული სკოლის დამარცხება იქნებოდა... სხვაც იყო გარეშე მტერთან ბრძოლის ფაქტები და არაერთი – ეგზარხოსთან თუ სემინარიის დირექტორთან, სამთავრობო კომისიასთან თუ ინსპექტორებთან... და თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე ეს ფრონტი აქტიური იყო...

უფრო აზნაური, უფრო ხანგრძლივი, დამქანცავი, მომაბეზრებელი და შეურაცხყოფელი შიწურ მტერთან ბრძოლა იყო...

ერთი წერილი აქვს იაკობს ძალზე საინტერესო სათაურით „უმეცრების ამყობა“ და ასევე საინტერესო დასაწყისით: „დედა ენას ისევ ესროლეს კენჭები“ (1881). დიახ, ეს კენჭებია, ნაკლებად საშიში და ნაკლები ზიანის მომტანი!... „დედაენას“ ვერაფერი დააკლესო, მაგრამ „ბუნების კარი“ ორჯერ ააკრძალვინეს სემინარიის ხელმძღვანელობას... რატომ ებრძვიან? „მარტო უმეცრობა არ არის აქ დამნაშავეო; ზოგიერთ მკილავს „დედა-ენამ“ ცუდი საქმე უყო, რამდენიმე მათგანვე შედგენილი ანბანი დააღპო სტამბაში და იმიტომ გამოილაშქრეს ისე ბრიყვულად „დედა-ენაზედაო“. – ეს წერილი იაკობისა „გადაღმიელის“ საპასუხოდ დაიწერა; ეს „გადაღმიელი“ (ანთიმოზ ჯუღელი) ერთ-ერთი ავტორია საანბანე წიგნისა. რას წერს, იცით, ანთიმოზი? – „ღმერთმა შენს მტერს ნუ მოაკლავს იმისთანა არეულ-დარეული და აფუშულ-დაფუშული სიმდიდრე, როგორც არის „დედაენის“ პირველი საკითხავი წიგნიო“... და იაკობი იწყებს დეტალურ ანალიზს შენიშვნებისას, გაბათილებას „არგუმენტებისას“, მტკიცებას ელემენტარული ჭეშმარიტებისას... დასკვნა ზოგადი და მარტივია: „ამგვარს გაუგებრობაზედ ბერძნები ამბობენ, რომ მისი განკურნა ღმერთსაც არ შეუძლიაო“... მაშინ რა სჯის პასუხისათვის იაკობს? ყურადღება მივაქციოთ ამ წერილის მიძღვნას: „ვუძღვნი სახალხო მასწავლებლებს“. გადაღმიელის წერილი ჟურნალ „იმედის“ ორ ნომერში იბეჭდებოდა; იაკობს გადაღმიელი კი არ ადარდებს, შიშობს, მასწავლებლები არ შეიყვანოს შეცდომაშიო... ამიტომაცაა, გადაღმიელისა და მისთანათა მიზანი „დედა ენისა და ბუნების კარის“ დანაცრება“. ამხელს იაკობი: „არა ერთი ენერგიული და ნიჭიერი პირი აღიჭურვა ამ კეთილშობილის წადილითა (პიროვანი გაბოროტების გამო)“... თავიანთი უსუსური წიგნების „გასავრცელებლად მათ მიმართეს ისეთ საშუალებას, რასაც ი. გოგებაშვილი თავის დღეში არ იკადრებდა: ეს იყო მთავრობის ჩინოვნიკების მომხრობა, მათი გულისმოგება“ (ი. გომელაური). ამ ფაქტს უფრო დაწვრილებით იგონებს იგივე ივანე გომელაური: „დედაენის“ სამაგივრო სახელმძღვანელო შეადგინეს ზ. გულისაშვილმა, ივ. როსტომაშვილმა, ალ. ნათაძემ და სხვ. „ბუნების კარის“ მაგივრობას აპირებდა მიხ. ნასიძის მიერ შედგენილი „ქართული ქრესტომათია“, რომელიც 1885 წელს დაიბეჭდა პირველად და უკანასკნელად; შემდეგ არ. ქუთათელაძის „წყარო“ (ორი წიგნი). მაგრამ ამ მოქიშპეთა შორის საშიშ მტრებად გადაიქცნენ ალ. ნათაძე, თავისი „ბავშვების მოკეთით“ და არ. ქუთათელაძე, თავისი „წყაროებით“; არა იმიტომ, რომ ისინი უფრო ნიჭიერი და მცოდნე იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ისინი ორივენი იყვნენ თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებლები, იმ გიმნაზიისა, რომლის მასწავლებლებიც მტრულად იყვნენ განწყობილი იაკობთან... სწორედ მათ მიიმხრეს მთავრობის ჩინოვნიკები“...

თავისთავად, პირად ინტერესებზე ფიქრი არაა სათაკილო, თუ ეს ინტერესი საზოგადოს არ უპირისპირდება... თუ საზოგადო ინტერესს უპირისპირდება, დამღუპველია... შეგვაგონებს იაკობი: „ისე დამღუპველი და დამამხობელი არსად არის, როგორც ხალხის განათლებაში, ძებნა პირადი ინტერესებისა, ნივთიერის სახსრის გაძლიერებისა, ფულის მოპოვებისა, – მეტადრე იქ, სადაც დედაენას ზოგიერთნი ეპყრობიან ისე, როგორც ავი დედინაცვალი ეპყრობა თავის მოძულებულს გერსა“.

ამიტომაც დაიჩვილებს იაკობი: „დიად, ჩვენში საქმის გაკეთება ბევრად მწელია, ვიდრე სხვა-
გან, უფრო კიდევ მწელია დაცვა გაკეთებულის საქმისა გაფუჭებისაგან, რადგან გამფუჭებელნი ჩვენ-
ში წინ გელობებიან ყოველს ნაბიჯზედა. და როდესაც ამ გამფუჭებლების უკუღმართობას და უმეც-
რობას გამოააშკარავენ, წმინდა მოვალეობის აღსასრულებლად საზოგადოების წინაშე, ცბიერნი და
ვერაგნი მორთავენ ხოლმე ყვირილსა: დახე! დახე! ახალგაზრდა ტალანტებს გზას უკრავსო. და ამის
შემდეგ რად გიკვირსთ, როდესაც ცხადად ვხედავთ ჩვენს საზოგადოებაში გახრწნილების ნიშნებსა!“

ერთგან ამასაც იტყვის იაკობი: „**ამდენს წყრომას, სწორედ მოგახსენოთ, კაი გაძლება უნდა;
მაგრამ იქნება როგორმე ცოცხალი გადავრჩეთ, თუ უფალმა სრულიად ხელი არ აიღო ჩვენზედ**“.

და, რა თქმა უნდა, უფალი იაკობთანაა და იგერიებს იაკობი მოჯარებულ მტერს... საქმე სამე-
დიატორო სასამართლომდეც მისულა...

და იაკობი იბრძვის მაშინ, როცა ამას „**მოითხოვდა თვით ინტერესი ქართული ენისა**“, რადგან
სწამდა, რომ ამ შინაური ბრძოლის შედეგი იქნება „**დაუბრკოლებელი გაძლიერება იმ უკუღმართო-
ბისა, რომელიც ლამობს ხალხის განათლება გადააქციოს ხალხის დაბნელებად**“.

ასეთი თქმაც არსებობს – თუ გინდა კაცი წონასწორობიდან გამოიყვანო, დააბრალო ის, რის
წინააღმდეგაც მთელი ცხოვრება იბრძვისო... და ამგვარ ხერხსაც მიმართავდნენ იაკობის წინააღმდეგ.
„ერთხელ ჟურნალ „ნიშადურში“ ვითომდა „კორექტურულ შეცდომებში“ იაკობს კლანჭი გაჰკრეს
„მოგებაშილი“-ო (გოგებაშილის მაგიერ)“ (ი. იმედაშვილი). კი, იცის მოკეთემ, რომ „**იაკობი ნივთი-
ერი ანგარებისაგან შორს იდგა**“ (ი. იმედაშვილი), მაგრამ... გულისტკენა ერთია, ამასაც გაძლება უნ-
და. „ის გარემოებაც არის მხედველობაში მისაღები, რომ იგი მეტისმეტად მგრძნობიარე ნერვული
სისტემის პატრონი იყო და ყოველ უსიამოვნებასა და წყენას ძალიან მწვავედ განიცდიდა“... ეს მა-
შინ, როცა „**მისი პატიოსნება ყველამ იცოდა**“ (არტურ ლაისტი).

პოლემიკა თან სდევს იაკობის მოღვაწეობას; ალბათ, არავის ქართველ მოღვაწეთაგან იმდენი
ძალა და ენერგია, დრო არ დაუხარჯავს წერილობით დავა-კამათში, რამდენიც იაკობს. არასოდეს
თავად არ იყო ინიციატორი პოლემიკისა; მოვუსმინოთ: „**უმრავლეს შემთხვევაში ჩემს წინააღმდეგ
პოლემიკას სხვები წამოიწყებდნენ ხოლმე, მე კი მხოლოდ თავს ვიცავდი და ამ თავდაცვისას შეტე-
ვაზე გადავდიოდი. გარდა ამისა, თუმცა უკანასკნელი სიტყვა მე მეკუთვნოდა, როგორც თავდამ-
ცველ მხარეს, ერთობ ხშირად მას მოწინააღმდეგეს ვუთმობდი ხოლმე; სიმართლეს მისდიე და ძალ-
მოსილი, უძლეველი იქნები მეთქი – ვეტყვოდი თავს ასეთ შემთხვევაში, და მართლაც, ისეთი მოკავ-
შირის წყალობით, როგორიცაა სიმართლე, ერთხელაც არ დავმარცხებულვარ**“... „ტრაბახი მეკუთვნი-
სო“, – ამბობს ერთგან იაკობი, მაგრამ ეს არ არის სატრაბახო თავმოწონება... ცნობილი ფაქტია: აკა-
კიმ პოლემიკა შეწყვიტა იაკობთან – არ მინდა იაკობს ვაწყენიო, ის ჩვენი სინამდვილისთვის მეტად
გამორჩეული პიროვნებააო...

სიმართლე იყო ჩემი მოკავშირეო, წერდა იაკობი და ეს სიმართლე აძლევდა ძალას... და კი-
დეც, მოკამათებს მოუწოდებს სალიტერატურო ეთიკის დაცვისაკენ... სალიტერატურო ეთიკა „**ჰგომბ-
და და გმობს, როდესაც პირადი ბოროტება ამოქმედებს რომელიმე მწერლის კალამსა**“. უსიამოვნო
პირადმა დამოკიდებულებამ შეიძლება ჭეშმარიტებისათვის ალაღატებისოს კალმოსანსო... არადა,
ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში ხშირია ამგვარი შემთხვევებიო, – ჩიოდა იაკობი, – ეს კი არის
„წყარო ყოველის უკადრისობისა და უსამართლობისაო“...

მხოლოდ საკუთარი სახელმძღვანელოები არ არის იაკობისთვის საგანი პოლემიკისა. კავკასის
ქართული სკოლის მნიშვნელობა იაკობს სხვაზე უკეთ ესმოდა. ამიტომაც აღზფოთება ვერ დამალა,
როცა „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობამ წერილობითი საჩივარი მიიღო კავკასიდან „შესახებ
კავკასის სკოლის დაქვეითებისა აღზრდის მხრივ“... კავკასის სკოლასა და იქაურ პედაგოგებს და-
მცველებიც აღმოუჩნდნენ: გ. ლასხიშვილი, გ. იოსელიანი, პ. გოთუა, გ. ნათაძე და სხვები. „ივერია“
და „ცნობის ფურცელი“ წერილს წერილზე ბეჭდავენ იაკობის წინააღმდეგ. ათიოდე წერილი გამო-
ქვეყნდა იაკობისა ამ თემაზე. ერთ-ერთი ბოლო „იკლიკანტური“ წერილის პასუხში იაკობი თითქოს
აჯამებს და განმარტავს ამ პოლემიკის აზრსა და მიზანს; ესეც ძალზე საინტერესოა იაკობის პოლე-
მიკური პრინციპების გასააზრებლად: „**მე არავისი დასჯა არ მწადდა და არც არავისი დაჯილდოება.
მე მოწოდებული ვიყავი ხელი მომემართნა ნორმალურის წესწყობილების დამყარებისათვის სკოლა-
ში. მე ამითი ავასრულებდი მხოლოდ ჩემს მოვალეობას და ჩემი სინიდისის ბრძანებას ვემორჩილე-
ბოდი. თუ მე ეს იაფად არ დამიჯდა და, სხვათა შორის, შემძღვნა ახალი მტრები, ეს ჩვეულებრივი
მოვლენაა იმათის ცხოვრებაში, რომელთაც დევნიზად აქვთ წაღმართი აზრების გახორციელება და
არა ამება სხვა-და-სხვა პირებისა**“...

საინტერესოა აზრია: პოლემიკა მტერს შეგძენს მაშინ, როცა მოპაექრისათვის მთავარი არაა ჭეშ-
მარიტება; საპირადო ან რაიმე კერძო ინტერესი როცა წარმართავს მის ქმედებას, თორემ როცა საზო-
გადო ინტერესი არის პოლემიკის საგანი და მიზანი, შედეგი სხვაგვარია: „**აკაკი წერეთელსა და ჩემს**

შორის დაწყებული ხანგრძლივი პოლემიკა ქართული ენის გრამატიკული ფორმების თაობაზე იმით დასრულდა, რომ ჩვენი მანამდე უბრალო ნაცნობობა თითქმის მეგობრობად იქცაო... რადგან აკაკი ვახსენეთ, აკაკისა და იაკობის პოლემიკაც გავიხსენოთ ენობრივ საკითხებზე – კლასიკური მაგალითი პოლემიკური კულტურისა

1894 წლის 3 ივლისს გაზეთ „კვალის“ 28-ე ნომერში დაიბეჭდა აკაკი წერეთლის მომცრო წერილი „ჭრელი ფიქრები“. აკაკი ჩვეული იუმორისტული და ირონიული სტილით მიმოიხილავს გაზეთ „ივერიის“ 137-ე ნომერში დაბეჭდილ არაკს. არაკის პერსონაჟები არიან გუგული, ბულბული და ვირი. წერილს ასე დაასრულებს აკაკი: „ერთი წუნი იმ ვირისა ის არის, რომ ქართული არ ჰცოდნია; მის ნაცვლად, რომ გუგულს უთხრას, პირველ მაგლობლად „აღვიარებო“, ის ჩიქორთულად ეუბნება „გაღვიარებო“. საგულისხმოა, რომ „ჭრელი ფიქრების“ ავტორი საანალიზოდ აღებული არაკის ავტორს არ ასახელებს. არადა, ავტორი „ივერიაში“ გამოქვეყნებული არაკისა იაკობ გოგებაშვილი იყო. ამიტომაც იაკობი პასუხს გასცემს, „პაწია სამაგიერო“ ჰქვია საპასუხო წერილს, რომელსაც ასეთ ეპიგრაფს წარუმიძღვარებს: „რომელითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოსთ თქვენ“. ეს ეპიგრაფიც და სათაურიც იმას გულისხმობს, რომ იაკობი თავს იმართლებს და ენობრივ შეცდომებს დაძებნის აკაკის წერილში.

აკაკიმ სადავოდ გახადა „გაღვიარებ“ ფორმის მართებულობა. მოდით ჩავუფიქრდეთ: ორი გენიოსი, საქვეყნო საქმეში ყელამდე ჩაფლული მოღვაწეები „იცილიან“ და ერთი ზმნური ფორმის მართებულობა-უმართებულობაზე დაობენ, პაექრობენ... თითქოსდა მარტივი საკითხია: „აღვიარებ“ არის სწორი თუ „გაღვიარებ“. შეიძლება ზოგ დღევანდელ „მოღვაწეს“ ღიმილიც კი მოჰგვაროს ამ ფაქტმა (– მეტი საქმე არა ჰქონდათო?), მაგრამ როგორც ერთისათვის, ისე მეორისათვის საკითხი უფრო პრინციპულად დგას: საქმე სწორმეტყველებას ეხება და ამ შემთხვევაში აკაკი თვალს ვერ მოუხუჭავს ვერავის შეცდომას... ასევე პრინციპულია ეს საკითხი იაკობისათვის – მას ქართული დაუწუნეს! დიახ, ქართული დაუწუნეს კაცს, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება ქართული ენის სამსახურს შეაღია... სხვა რომ არა იყოს რა, ამგვარი საქმიანობის კაცისთვის ეს თავმოყვარეობა-პატივმოყვარეობის შელახვაა...

თუმცა ნუ გავიგებთ ასე; იაკობი არასდროს ყოფილა ახირებული პიროვნება; მე ასე ვთქვი და ესაა სწორიო – არ იყო მისი პრინციპი. მართალია, იგონებენ, რომ „თავისნათქვამა“ იყო, მაგრამ „თავისნათქვამობა“ საკუთარი აზრის ჭეშმარიტებაში დარწმუნებულობის გამოხატვა იყო. მისი თანამედროვენი არაერთ მაგალითს მოიყვანენ ამ აზრის დასტურად...

იაკობი პირადი ღირსების შელახვად არ მიიჩნევს საკუთარი შეცდომის აღიარებას. ამბობდა, შეუცდომელი მხოლოდ ღმერთია და უსაქმო ძილისგუდაო!... ეს გენიოსთა დიდკაცური თვისება იყო... არა თუ აკაკი წერეთლისაგან, რომელსაც იაკობი უადრესად დიდ პატივს სცემს, არამედ ნაკლებად გამოჩენილი და ახალგაზრდა კაცისაგან მიუღია მას შენიშვნა.

იოსებ მჭედლიშვილი იგონებს: 15-16 წლისა ვიქნებოდი, იაკობს რომ გავეცანიო. „როდესაც ლაპარაკში შევეჩვიე, ისე წავთამამდი, რომ აქა-იქ ფრთხილად ენაც დავუწუნე მის სახელმძღვანელოებს... თქვენს წიგნებში ზოგან არ არის ხალხურად დაწერილი წერილებიო... – აბა, სადა, მაჩვენეო“, – უთქვამს იაკობს და „ბუნების კარი“ მიუწვდია; ცოტა არ იყოს, შეგვიქრდიო, განაგრძობს ი. მჭედლიშვილი. დინჯად გადაუშლია წიგნი და უპოვია სასურველი – ამბავი გველზე, რომელიც ასე იწყება: „ყველამ იცის, რომ გველი შხამიანი ცხოველია“. ყმაწვილკაცს შეუნიშნავს, ხალხი იტყვის: „ყველამ იცის, გველი შხამიანია ცხოველია“. ი. მჭედლიშვილს მსგავსი მაგალითები სხვაც დაუძებნია. იაკობს უთქვამს: „იცი, ყმაწვილო, შენ მართალი ხარ, ზოგიერთ ადგილს არ უნდა „რომ“. მერე წიგნიც უჩუქებია და უთხოვია, რაც კი გასწორების ღირსად ცნო, გაასწორე და მომიტანეო...

ისიც ცნობილი ფაქტია, რომ იაკობს ჯილდო ჰქონდა დაწესებული, ვინც მის სახელმძღვანელოში შეცდომას აღმოაჩენდა, თითო შეცდომის აღმოჩენაში შაურს ჩუქნიდა; ეს მაშინ, როცა „დედაენის“ საანბანე ნაწილი ორი შაური ღირდა... წიგნის საფასურის ნახევარს აძლევდა საჩუქრად ერთი შეცდომის აღმოჩენს!

და ამიტომაც ერთი სადავო ზმნური ფორმის გამო – გაღვიარებ თუ აღვიარებ – პოლემიკას უმართავს აკაკის... თუმცა, არა მხოლოდ აკაკის: იაკობის საპასუხო წერილს „კვალის“ სარედაქციო წერილი მოჰყვა. რა თქმა უნდა, აკაკის ემხრობოდნენ. შემდგომ იაკობს დაუპირისპირდნენ გ. წერეთელი, კ. დოდაშვილი და ს. ხუნდაძე. ამ პოლემიკის დროს 7 წერილი გამოქვეყნდა იაკობისა... დავის საგანი, გარდა აღნიშნული ფორმებისა, სხვა საკითხებიც გახდა.

იაკობი პრინციპულად იცავს თავს და ყველა საპასუხო წერილში აკაკის სახელი გაიელვებს, როგორც პოლემიკის წამომწყებისა და ამ პოლემიკის ფარული წამქეზებლისა. აკაკის ირონიულ,

ზოგჯერ ცინიკურ, ტონს არც იაკობი ჩამორჩება. ზოგ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება დარჩეს მკითხველს, თითქოს დაუძინებელი მტრები ეპაექრებიანო ერთმანეთს. მაგალითად, აკაკის „ჭრელი ფიქრების“ საპასუხო წერილში „პაწია სამაგიერო“ იაკობი წერს: აკაკის წერილი „მეთხზულია მხოლოდ წერილის კულისთვის, რომელიც სწორედ მორიელის კუდს მოგაგონებთ. აი, ეს გესლიანი კუდი მთლად“ და იაკობს შემდეგ მოჰყავს ციტატა, ზევით რომ მოვიყვანეთ, ის ციტატა. იაკობის წერილის ამ ადგილს და საერთოდ იაკობის განწყობას აკაკი საპასუხო წერილში ასეთი ვარიაციით წარმოგვიდგენს: იაკობი ამბობსო, „აკაკიმ მორიელივით კუდი მოიქნია, ჩემი გათახსირება მოინდომა; მოუმიზეზებია, უნდა დაბალ ღობედ მნახოს, დამჩაგროს, უსაფუძვლოდ მიკბინოს და სხვანი“... აკაკი, რა თქმა უნდა, ამუქებს იაკობის აზრს. აქვე შევნიშნავთ, ასე გამუქება, ასე დაძაბვა სიტუაციისა სამსჯელო საგნის (დედაენის სიწმინდის) დიდმნიშვნელოვნობიდან გამომდინარეობს...

და აკაკი განაგრძობს: „უნდა რომ დამჩაგროს, უსაფუძვლოდ მიკბინოს და სხვანი: თვარა მე ქართულში უცოდველი ვარ და სხვები კი ყველა დამნაშავეო და მათ რიცხვში, რასაკვირველია, აკაკიცო, რადგან მის პატარ წერილში ათი მსხვილი და უტყუარი შეცდომა ვიპოვეო“. ერთგანაც და მეორეგანაც საკმაოდაა ისეთი სიტყვები, რომლებიც შეიძლება განაწყენების საფუძველი შექმნილიყო. მაგრამ სიტყვაზე გამოდევნება არაა მათი ჩვევა. ეს სიტყვა რად მითხარი და რად მაკადრეო, არაა ამაზე საუბარი... ყველაზე დიდი შეურაცხყოფა, რაც შეიძლება იაკობს ანდა აკაკის მიყენონ, ესაა ენის უცოდინარობის დაბრალება. ამას უნდა მივაპყრათ ყურადღება. იაკობი წერს: „გესლიანობას ჯერჯერობით თვალი ავარიდოთ და მივაქციოთ ჩვენი ყურადღება მხოლოდ ენის უცოდინარობის დაბრალებას“. აკაკი ასე იტყვის: „ვნახოთ ახლა, ან თავს როგორ მართლულობს, ან მე როგორ მიმტკიცებს ენის უვიცობას...“

საგულისხმო ფაქტია და სადღეისოდაც სანატრელი თვისება კაცისა: ქართველს ქართულის არცოდნა ყველაზე დიდ ცოდვად მიაჩნია და დედაენის უცოდინარობაში მხილება, ყველაზე დიდ დანაშაულად... და ეს იყო საუკუნის წინათ. ეს იყო ილიას, აკაკის, იაკობის, ვაჟასა და ზოგი სხვისაც აქტიური ეროვნული პოზიციის გამჟღავნება. მათთვის ჭეშმარიტი ქართველობისა, მამულიშვილობის ერთ-ერთი გამოვლინება დედაენის ღირსეული ცოდნა იყო.

დიდად საინტერესოა ისიც, ვის ეკამათებიან ისინი, ვის თვლიან პაექრობის ღირსად. იაკობ ბურჭულაძე იგონებს: „იაკობი ეკამათებოდა გიორგი წერეთელსა და დოდაშვილს, რომლებმაც უსაყვედურებს იაკობს: „ხმა ვერ ამოგვიღია გოგებაშვილის მიერ შედგენილი წიგნების შესახებ, მაშინვე იაკობი ქვა-გუნდასა და ცეცხლს დაგვაცურისო“. იაკობმა სხვათა შორის უპასუხა: „**ოთხ კრიტიკოსში მხოლოდ ერთს ვამღევედი პასუხს. ეს ჩვენი პასუხი ყოველთვის იყო თავაზიანი, თუ კრიტიკოსი მართებულად გვეპყრობოდა ჩვენ და ჩვენს წიგნებსა.** მაგალითად, წარსული წლის მაისში ერთმა ახალციხელმა მასწავლებელმა დაბეჭდა „ივერიაში“ ვრცელი შენიშვნები „დედაენის“ შესახებ. **შენიშვნები იყო დაწერილი გულწრფელად (გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება – გ. გ.)... საგნის სიყვარულით, მიუდგმოლად და მიუფერებლად.** ჩვენც ასეთივე შენიშვნები დავუწერეთ „მოამბეში“ და სრულის თავაზიანობით მოვეპყართ. გ. წერეთელმა და დოდაშვილმა **ჩვენი დამცირება მოინდომეს და თვითონ იქმნენ დამცირებული ჩვენ მიერ**“.

აქ აშკარად გამოიკვეთა საპოლემიკო პრინციპები იაკობისა: თავაზიანობა, გულწრფელობა, საგნის სიყვარული, ობიექტურობა („მიუდგომლობა“)...

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ პაექრობას აკაკისა და იაკობს შორის. ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება დარჩეს, თითქოს აკაკისთან კამათში თავაზიანობის პრინციპი ირღვევა: იქ გესლზე, შხამზე და მორიელობაზეა საუბარი. თუმცა ეს ერთი შეხედვით...

მაგრამ ჯერ აკაკისეული საპოლემიკო პრინციპიც გავიხსენოთ. იაკობის წერილს „პაწია სამაგიერო“ აკაკი უპასუხებს წერილით „არ ცოდნა, არ ცოდვაო“. წერილს ასე იწყებს: „ბატონმა დოდაშვილმა, გიორგი წერეთელმა და მე დავსკვენიტ პირობა, რომ „კვალისათვის“ კიდევ ერთი განყოფილება მიგვემატებია – „სასწორმეტყველო“ და ჩვენს მწერლობაში როცა შევნიშნავდით ურიგო ქართულს, გვემხილებია ხოლმე. პირველი სანიმუშო ისარი მე გავტყორცნე და იმ ისარმაც ყურთან გაუზუზუნა ბატონ იაკობ სიმონიძეს (სიმონიძე, მოგესხენებათ, იაკობის ფსევდონიმია – გ. გ.); – აკაკი განაგრძობს: ბატონი იაკობი ყურთან ისრის გაზუზუნებას როგორ აიცდენდა? ეს ჩვენ წინდაწინვე ვიცოდით, მაგრამ მაინც პირველად სიმონიძეს მიტომ გამოვეთამაშეთ, რომ ის სხვებზე უფრო შესამჩნევია: ის ზრდის და ისა წვრთნის ქართველ ახალგაზრდობას, ენასაც ყველა მისგან სწავლობს და, მაშასადამე, იმის მცირე შეცდომასაც უფრო მეტი ვნების მოტანა შეუძლია, ვიდრე სხვისას. ეს ჩვენი უმანკო აზრი და კეთილი განზრახვა იყო...“

აქედან გამომდინარე, აკაკისეული პრინციპი პოლემიკისა შეიძლება ასეც ჩამოყალიბდეს: ნებისმიერი კრიტიკა და ნებისმიერი პოლემიკა მაშინ შეიძლება ჩაითვალოს გამართლებად, თუ ის

საზოგადო ინტერესს ემსახურება. პიროვნულ, სუბიექტურ ინტერესებზე აგებული პოლემიკა მანკიერი აზრია და ბოროტი განზრახვა.

აქ ილიას აზრიც მინდა გავიხსენო: „ჩვენი ქართული ენა ისე გვიყვარს, რომ ჯერ ვეცდებით, რომ მის წინააღმდეგ არ მოვიქცეთ და თუ ღმერთი გაგვიწყრა და უხერხოდ მოგვივა რამე, მის შენიშვნას სიხარულით და მადლობით მივიღებთო“. ფაქტია: ძირითადი პრინციპი ერთია... ამის დასტურად ერთ ადგილსაც მოვიყვან აკაკისადმი იაკობის საპასუხო წერილიდან:

აკაკი ერთ-ერთ თავის წერილში წერდა, რომ ვაპირებდი „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ ენობრივ გარჩევასაც, მაგრამ არ მინდა იაკობს ვაწყენინო და ამ განზრახვაზე ხელს ვიღებო. იაკობი უპასუხებს: „თუ მართლა ამ განზრახვაზედ ხელი აიღო აკაკიმ, დიდად გვაწყენინებს. ჩვენი გულითადი ნატვრა იყო და არის, მოვესწოთ როდისმე ჩვენი წიგნების გარჩევას შეგნებულისა და განვითარებულის პირის მიერ. რადგანაც ამისთანა პირთა შორის აკაკის ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს, ამიტომ უკეთესს კრიტიკოსს ვეღარც კი ვინატრებთ. სამაგიერო სიკეთეს ვეცდებით გადავუხადოთ დაუყოვნებლივ. ჩვენ ჯერ პასუხს ვუგებთ, შემდეგ გავარჩევთ მის თხზულებებსა და დავაფასებთ შეძლებისდაგვარად მისს ენას. სიკეთის მეტს ეს, ერთმანეთის ნაწერის დაფასება, არაფერს არ მოიტანას“. ამ მწვავე პოლემიკაში ნათლადაა გამოკვეთილი პიროვნული პატივისცემა იაკობისა აკაკის მიმართ. ეს მთავარია, რომ კრიტიკა უკადრის პოლემიკად არ გადაიქცეს. ასეთივეა აკაკის პოზიცია: „ჩვენ დიდი პატივისმცემელი ვართ იაკობ სიმონიძისა და მისი წყენა სრულიად არ გვესიამოვნებაო“, – აცხადებს და განაგრძობს პოლემიკას... თუმცა ცხელ გულზე აკაკისა და იაკობის კამათში მაინც გაიელვებს უსიამოვნო ტონი, მაინც დაირღვა თავაზიანობის პრინციპი... ამას თვითონვე გრძნობენ და ცდილობენ, მკითხველის თვალში ახსნა მოუძებნონ. იაკობი ასეთ რაიმეს წერს: აკაკი ამბობს, რომ მართალია, შხამიანი ისარი ვესროლეთ ერთმანეთს, მაგრამ ეს ისე მოგვივიდა, უცაბედად, ლამაზის, მახვილის სიტყვის სიყვარულით და მე მჯერაო ეს; მეც ვეთანხმებიო. როგორც ვხედავთ, წამოცდენილი უსიამოვნო სიტყვისათვის ბოდიშს უხდის ერთმანეთს და გრძელდება პოლემიკა. საინტერესო ტერმინებს გამოიყენებენ: რიგიანი კრიტიკა, ნაყოფიერი კრიტიკა და ანტიკრიტიკა. ერთგან უკადრისი პოლემიკაც ითქვა. თუკი ვინმე ქართული პოლემიკური კულტურის ისტორიას შეისწავლის, უმდიდრეს მასალას მოგვცემენ ჩვენი კლასიკოსები ამისთვის.

დიახ, მათთვის **პოლემიკა არის საკადრისი და უკადრისი**. უკადრისი პოლემიკა იგივე **ანტიკრიტიკაა**...

ზემოთ საპოლემიკო კულტურაზე გვქონდა საუბარი; აკაკისა და იაკობის პოლემიკას რომ ვიხსენებთ (ასევე აკაკისა და ილიას პოლემიკას), და ამ ფონზე საუკუნისშემდგომდროინდელ საპოლემიკო კულტურას გადავავლებთ თვალს, სამწუხარო რეალობის წინაშე დავდგებით: წარსულის გაკვეთილებს უკვალოდ ჩაუვლია... მთავარი მიზანი დაიკარგა: ის, რასაც ეროვნული ინტერესი ჰქვია. პიროვნულმა ინტერესებმა იმძლავრეს...

თუმცა, ეს შორს წავგიყვანს... ისევ საკითხს დავუბრუნდეთ, დავა ენობრივ პრობლემებზე აკაკისა და იაკობს შორის ერთი ზმნური ფორმის მართლწერის თაობაზე წარმოიშვა. გავიხსენოთ: სადავო ის ფორმა გახდა, იაკობის არაკში ვირი რომ ეუბნება გუგულს – „პირველ მგალობლად გაღიარებო“. გაღიარებ ფორმა მიუღებელია აკაკისათვის. უნდა იყოსო: პირველ მგალობლად აღიარებო. კაცმა რომ თქვას, ღირდა კი ამ ერთი ფორმის თაობაზე ამდენი დავა? მაგრამ, როგორც ჩანს, ღირდა. აქ პრინციპია მთავარი. აკაკის მოწონებული აღიარებ ფორმა ისტორიულად მართებული ფორმაა. საღმრთო წერილს მოიშველიებს კიდეც აკაკი არგუმენტად, თუმცა ეს არგუმენტი იაკობისთვისაც ნაცნობია, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის უდავოდ გასაზიარებელია იაკობის მსჯელობა: „საღმრთო წერილის ენაზედ მეათე საუკუნიდან აღარ სდგას საქართველო და ახლა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს როგორ დავუბრუნდეთ, ხომ მთლად დამარხა მოგვინდება ახლანდელის ცოცხალის ენისა ლიტერატურასა და საუბარში?“

რთული დრო უდგას ქართულ სალიტერატურო ენას: არა გვაქვს ერთიანი ნორმები. ძირითადი პრინციპი ნათელია, თუმცა ცალკეული კონკრეტული საკითხების გარკვევა დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს. ხშირ შემთხვევაში იმ ენობრივი საფუძვლის კვალიც იჩენს თავს, რომელზედაც აღიზარდნენ. ამიტომაც, აკაკი ზოგჯერ ისეთი ფორმის მართებულობასაც ამტკიცებს, სხვისთვის რომ უდავოა (გავიხსენოთ აკაკის მსჯელობა „ყოლიფერი“ სიტყვის თაობაზე: ყოველი ფერი და არა ყველა ფერიო...), თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აღიარებ და გაღიარებ რომ არის, საქმე სხვაგვარადაა...

თუმცა დიალექტური ვარიანტების საკითხი მათთან მაინც დგას. ერთ-ერთ საპოლემიკო წერილში იაკობი ამ საკითხზეც მსჯელობს. ეტყობა, მას შეუმოწმებია საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელთან და იმ ფორმის მართებულობა, რომელსაც თვითონ უჭერს მხარს, ყველგან დაუდასტურებია. მაგრამ არ გავიგოთ ისე, რომ აკაკი ცდებოდა ამ საკითხში. ასე ნუ ვიტყვით.

აქ საკითხისადმი პრინციპული მიდგომაა განსხვავებული. მოცილე ფორმათა შორის აკაკი ისტორიულად უფრო მართებულს ანიჭებს უპირატესობას. ამ შემთხვევაში ანგარიშს არ უწევს სასაუბრო ენას. დღეს ნორმათა დადგენის მხოლოდ ეს პრინციპი არაა გაზიარებული. თუ კლასიკოსთა ნაწერებში, საერთო-სახალხო ენაში ძირითადად გავრცელებულია ისტორიულად თუნდაც არამართებული ფორმა, ნორმად მაინც ამას ვირჩევთ. მაგალითად: ნენ დაბოლოება რომ გვაქვს სუბიექტურ მესამე პირის მრავლობით რიცხვში – მოვიდნენ, აკეთებდნენ – გრამატიკული თვალსაზრისით გაუმართლებელი ფორმა; მოვიდენ, აკეთებდენ უფრო მართებულია. მაგრამ ფორმის გავრცელების სიხშირე იქნა მიღებული მხედველობაში და ნორმად მოვიდნენ, აკეთებდნენ ტიპის ფორმები დაკანონდა. სხვათა შორის ამ ფორმებსაც შეეხნენ პოლემიკის დროს. ასე რომ, დღევანდელი თვალსაზრისით (და ალბათ იმდროინდელითაც) იაკობის პოზიცია ჩანს მართებული. აკაკის თავგამოდება ენის არცოდნის შედეგი კი არ არის, არამედ ენის ისტორიის კარგი ცოდნის შედეგია! უბრალოდ: სხვადასხვა თეორიულ პოზიციაზე იდგნენ...

და მაინც, ღირდა კი დავად?

უდავოდ ღირდა. როგორც ვთქვი, პოლემიკა აქედან დაიწყო. შემდეგ მრავალ იმ დროისათვის აქტუალურ საკითხზე იყო მსჯელობა. ეს ეხება ცალკეულ მორფოლოგიურ ფორმებს, სიტყვათა რიგს, სინტაქსისა თუ სტილისტიკის მრავალ საკითხს. ეს საკითხები დღეს შეიძლება ასე აქტუალური არ იყოს, მაგრამ იმ დროისათვის უდავოდ ფასეულია და ღირებული.

ამგვარი კამათის გახსენების დროს, თავისთავად, მაინც გაკრთება სურვილი – ამ ვრცელ და მრავალი საკითხის მომცველ კამათში სიმართლის სასწორი უმეტესად ვის მხარეს იყო გადახრილი. ძნელია ახლა ამის რკვევა. ერთი რამის თქმა კი აუცილებელია:

იაკობს ყოველთვის სჯეროდა, რომ ის იყო მართალი. მისი მსჯელობაც ყოველთვის არგუმენტირებული იყო. საწინააღმდეგო აზრის დასარღვევად ყოველთვის ცდილობდა დამაჯერებელი კონტრარგუმენტების მოყვანას. იოსებ იმედაშვილი იგონებს: იაკობი თავის სახელმძღვანელოში შეტანილ ყოველ სიტყვას, განსაკუთრებით ამა თუ იმ თავისებურ გამოთქმას, ამვლელსა და ჩამვლელს, დიდსა და პატარას, სწავლულსა და უსწავლელს ჰკითხავდა, პრესაში არკვევდა...

ასე იყო აკაკის შემთხვევაშიც: აკაკის ყოველთვის სწამდა, რომ სიმართლე მის მხარეს იყო და საამისოდ არც არგუმენტებს იშურებდა და არც ლოგიკურ მსჯელობას. ღვთის მადლით, ქართულ სიტყვასაც დიდოსტატურად ფლობდა და მკითხველის სიმპათიაც მისი წერილის კითხვისას მისკენ იყო, თუმცა... თუმცა არ იყო იოლი პოზიციათა შეჯერება... ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ერთიცა და მეორეც დაუნდობელი პოლემისტი, სიმართლისათვის თავდაუზოგავი მებრძოლი.

მათი თანამედროვენი საგანგებოდ გახაზავენ იაკობის ამგვარ თვისებას: „იაკობი ისეთი იყო, – წერს ი. იმედაშვილი, – მოკამათეს, როგორც იტყვიან, რჯულამდე ჩაჰყვებოდა, თუ მისი აზრი საეჭვოდ მოეჩვენებოდაო“... შიო მღვიმელიც გაიხსენებს მოგვიანებით: „იაკობი მუდამ პირში მთქმელი კაცი იყო და დიდი ბოდიშები არ იცოდა... იაკობი სულ მუდამ თავისნათქვამი კაცი იყო, მით უმეტეს, როდესაც სრული სიმართლე იმისკენ იყო“. მოკლედ რომ ვთქვათ, ყოველთვის სიმართლეს იცავდა, რაიმე სუბიექტური მოსაზრებით მართალ გზას გვერდს არ აუქცევდა...

თავისნათქვამა კაცი იყო, როცა წერენ, ახირებულობას კი არ გულისხმობენ, საბუთიანობა უყვარდა და უსაბუთო მსჯელობას ვერ დაეთანხმებოდაო, ამას აღნიშნავენ. მას არც პრეტენზია ჰქონდა ყოვლისმცოდნისა. ამას მოყვანილი მაგალითებიც ადასტურებენ. აკაკისადმი საპასუხო წერილიდან ერთი ადგილის მოშველიებაც შეიძლება: „ენაში ხომ ვკოჭლობთ და ვკოჭლობთ ყველანი, მაგრამ ეს არ შეადგენს ჩვენს მთავარ ნაკლს. მომაკვდინებელი ჩვენი სენი უფრო სხვაა. ჩვენ ძლიერ ღატაკნი ვართ ნათელის აზრითა, მიმართულებითა, გარკვეულის მიზნით. ჩვენი ენა კიდევ ჭარბალობს, ხოლო თავი კი ცალიერობს. ამის გამო ჩვენი ლიტერატურა წყალწყალა შექამანდს მოგაგონებთ, რომელშიც ლობიოს მარცვალი თითო საათობით უნდა ეძებოთ. კალმის ასს ნაწარმოებში 99 უთავბოლო ყბედობაა და სხვა არაფერი... ამის გამო საჭიროა ენის გარდა შინაარსიც გავხადოთ საგნად ერთმანეთის ნაწერის კრიტიკისა, თუ აკაკიც ინებებს“.

ასე რომ, პაექრობა ჩამთავრდა, სათქმელი ითქვა. აკაკიმ თავისი ამტკიცა, იაკობმა – თავისი. ამ კონკრეტული საკითხების განხილვა არ არის ჩვენი მიზანი, ჩვენ ზოგადი პოზიციები და ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულებები გვაინტერესებს.

ჩამთავრდა პაექრობა, თუმცა იაკობი ახალ პაექრობაში იწვევს აკაკის („ენის გარდა შინაარსიც გავხადოთ საგნად ერთმანეთის ნაწერის კრიტიკისა, თუ აკაკიც ინებებსო“). გამოდის, რომ ამ პაექრობით ნაწყენი არ რჩება. და ალბათ იმიტომ, რომ რაღაც გაირკვა, რაღაცას ნათელი მოეფინა; ჭეშმარიტებისაკენ სავალი გზები დაილანდა. ამისთვის იდავეს, იკამათეს, გაცხარდნენ კიდევ... ცოტა მოგვიანებით იაკობი დაწერს (ეს ზემოთაც გავიხსენეთ): „აკაკი წერეთელსა და ჩემ შორის დაწყებული

ხარგმლივი პოლემიკა ქართული ენის გრამატიკული ფორმების თაობაზე იმით დასრულდა, რომ ჩვენი მანამდე უბრალო ნაცნობობა თითქმის მეგობრობად იქცა".

იაკობი, როგორც პოლემიკის დიდოსტატი – ეს ვრცელი თემაა... იაკობის პოლემიკური კულტურა – მაგალითად უნდა იქცეს თაობებისათვის. და საერთოდ: იაკობის ცხოვრების გზა უნდა უნდა იქცეს მაგალითად ჭეშმარიტი ქართველისათვის...

Giorgi Gogolashvili
Gori State Teaching University
JACOB GOGEBASHVILI – THE MASTER OF POLEMICS
RESUME

Jacob Gogebashvili writes: “it took twice more time to defend my manuals than to write and edit them”... Gogebashvili had to defend his manuals from “internal” and “external” enemies. The external enemies were: the supervisor of the Caucasian region, exarches, headmasters of theological seminaries, members of governmental committees, inspectors – in fact, all enemies of the Georgian language and Georgian school...

“The internal enemies” were the authors who tried hard to replace Gogebashvili’s manuals by their low-quality books.

Jacob Gogebashvili often debated with these enemies and always won the polemics. He explained this fact, saying that in this process he was assisted by an ally called The Truth.

Special mention should be made of Gogebashvili’s polemics with Akaki Tsereteli regarding language issues. This was uncompromising polemics of two great statesmen, and the winner in this debate was the Georgian language.

რეზენ ენოხი
არიელის უნივერსიტეტი (ისრაელი)
თამარ ლომთაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ებრაიზმები ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში

ქუთაისში ებრაელები ძირითადად ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარე რიონის ზემო წელის მარცხენა სანაპიროზე ცხოვრობდნენ. დასახლება კომპაქტური იყო, თუმცა ცალკეულ ებრაელთა ოჯახები ქალაქის სხვა უბნებშიც გვხვდებოდა. ქუთაისელ ებრაელებზე ზ. ჭიჭინაძე წერდა: მათი ენა ქართულია, ყოვლის მხრივ ქართველობის ნაწილს წარმოადგენენ. ცხოვრება მათი ვაჭრულია... აქვთ ორი თორა, კარგი თლილის ქვით აღშენებული... ლოცვა ებრაულს ენაზედ აქვს და ქადაგება კი - საყოველთაოდ ქართულად (ზ. ჭიჭინაძე 1970, 64).

ქართველთა და ებრაელთა კონტაქტებზე ბევრი თქმულა და დაწერილა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მათი ენობრივი კონტაქტები, რადგან ამ შემთხვევაში ყველაზე ხელშესახებად წარმოჩნდება ხოლმე ენის გავლენა კულტურაზე.

სიტყვამ შეიძლება მოგვითხროს იმ დროსა და გარემოზე, რომელშიც იგი იმყოფება. მთელი სემანტიკური სიღრმით სიტყვის აღქმა ნათელს ჰყენს ხალხის ცხოვრების, ისტორიის, მატერიალური და რეალური სიმდიდრის გაგებას (ს. ოშიაძე, 2006). ებრაიზმების კვლევას ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, ამ მხრივ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

როგორც ცნობილია, საქართველოში მცხოვრებმა ებრაელთა დიდმა ნაწილმა, ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გამო, ენა ვერ შეინარჩუნა და მათი სამეტყველო ენა ქართული გახდა. ამასთანავე, სარწმუნოებისადმი ერთგულებამ, ადათ-წესების დაცვამ მათსამეტყველებაში შემოინახა ებრაიზმები.

აღსანიშნავია, რომ ებრაიზმების გამოყენება ებრაელების მიმართ პროპორციულია მათი რელიგიურობისა. ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ქართველ ებრაელთა მეტყველებას ახასიათებდა სპეციფიკური მოვლენები, რომლებიც ადგილობრივ მცხოვრებთა ენისათვის არ იყო დამახასიათებელი და ერთ-ერთ ნიშნად მივიჩნევდით ებრაული ლექსიკის გამოყენებას. ამ ლექსიკის გამოყენების სიხშირე და რაოდენობა განსხვავებული იყო სიტუაციურად. მაგალითად, სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ურთიერთობისას ებრაელები ებრაიზმებს ნაკლებად იყენებდნენ. საერთოდ, უნდა აღვნიშნოს, რომ ქუთაისელ ებრაელებს ერთ შემთხვევაში, სიტუაციის შესაბამისად, შეეძლოთ ემეტყველათ სალიტერატურო ქართულით ან ქუთაისური დიალექტით, ხოლო სხვა შემთხვევაში უხვად გამოეყენებინათ ის ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებები, რომლებიც მხოლოდ ებრაელთათვის იყო დამახასიათებელი. ამიტომ ერთმანეთთან ურთიერთობისას ებრაიზმების გამოყენება იმდენად ხშირი შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ სხვა ქართველთათვის ის გაუგებარი იქნებოდა. აქ შეიძლება დავასახელოთ ქუთაისელ ებრაელებთან გავრცელებული ლექსი, რომელიც რამდენჯერმე მოგვიყვანია მაგალითად. ტრადიციის თანახმად, ქალის გადასანახულებლად მისულ ვაჟსა და მის ახლობლებს სუფრას ახვედრებდნენ გაშლილს, მაგრამ არავის არაფერი არ უნდა ეჭამა, რადგან ეს ცუდის მანიშნებელი იქნებოდა და ეს საქმე აღარ გამოვიდოდა. გადმოცემით, ერთი ბიჭი მივიდა გოგოს სანახავად, არ მოეწონა და თავისიანებს გადაულაპარაკა: **იანი** (ღვინო) და **ლუხეში** (პური), **ბასარი** (ხორცი) **ტობეთ** (კარგად) **თოხლეთო** (ჭამეთო), **ნაშა** (გოგო) **ზაყენი** (ცუდი, ბებერი) **იეშობს** (არის) და **ბაითში** (სახლში) **დამალეხეთო** (წამიყვანეთო). ამ ლექსში მხოლოდ გრამატიკაა ქართული და ერთადერთი სიტყვა - და კავშირი. ცხადია, მისთვის, ვინც ამ სამყაროს არ იცნობს შეუძლებელია ამ ლექსის მიხედვით რაიმეს გაგება.

ებრაელთა მეტყველებაში ყველაზე ხშირად დასტურდება რელიგიური ტერმინოლოგიის გამოყენება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ლოცვა დღემდე ებრაულად აღესრულება სინაგოგაში. განვიხილოთ ერთ-ერთი რელიგიური ლექსიკური ერთეული **ფასუკი**: ებრაელები თორას კითხულობენ შაბათობით. თითო კვირული საკითხავი არის დაყოფილი რვა ნაწილად: შვიდი ძირითადი და ერთი დამატებითი. შვიდივე ნაწილს უწოდებენ ფასუკს. თითოეულ ფასუკს თავისი სახელი ჰქვია. მაგალითად, **ქოენი** არის პირველი ფასუკი. ქუთაისელი ებრაელები იტყვიან, ქოენ ვინ წაიკითხამს? ქოენი ძველად ქურუმს ნიშნავდა, შემდეგ მიიღო ელიტარული გვარის მნიშვნელობა. თუ კაცი ქოენი არ არის, მას არ შეუძლია ამ ფასუკის წაკითხვა. ფასუკი შეიძლება იყიდო. ქუთაისელი ებრაელები იტყვიან, ფასუკი იყიდე? ფასუკის წასაკითხად კაცი ადის **თებაზე** - სცენაზე. ამ რიტუალს ჰქვია **სეფერთორაზე ადგომა (ასვლა)**. მაგრამ აქ სიტყვა ადგომა არ არის გამოყენებული ქართული მნიშვნელობით. ეს გახლავთ ივრითის კალკი. ივრითში **ალია** არის ადგომა, ასვლა. ეს სიტყვა ქართველ ებრაელებთან ყოველთვის გამოიყენებოდა ასვლის მნიშვნელობით. თუ ქოენი არ არის, სალოცავში შეიძლება ის იყიდო და იტყვიან, მაგალითად, შოთა ქოენის ნაცვლად. ე. ი შეიძლება, რომ ამ შემთხვევაში ქოენი სხვამ შეცვალოს.

მეორე ფასუკს ჰქვია **ლევი**. ლევიც არის გვარი და ის მისმა წარმომადგენელმა უნდა წაიკითხოს. მაგრამ ქოენისაგან განსხვავებით ლევის ყიდვა არ შეიძლება. თუ არ არის ლევის წარმომადგენელი, ის ისევე ქოენმა უნდა წაიკითხოს.

მესამე ნაწილი გახლავთ **შლიში**. ეს სიტყვა ებრაულად ნიშნავს მესამეს.

ანალოგიურია სხვა შემთხვევებშიც: მეოთხე ფასუკს ჰქვია **რევი**, რაც ნიშნავს მეოთხეს. ქუთაისელ ებრაელებთან გვხვდება მისი ფონეტიკური სახესხვაობა **რებიყი**.

მეხუთე ფასუკი არის **ხამიში**, რაც ასევე მეხუთეს ნიშნავს.

მეექვსეს ჰქვია **შიში**, ანუ მეექვსე.

მეშვიდეს ორი სახელი აქვს: **შვი**, ქუთაისური ვარიანტი **შებიყი**, რაც მეშვიდეს ნიშნავს. აგრეთვე დასტურდება **მაშლიმიც**, რომლის მნიშვნელობაა დამატება.

მერვეს ჰქვია **მაფტირი** - ეს გახლავთ ტექსტი, ნაწილი წინასწარმეტყველთა წიგნებიდან. მომდინარეობს სიტყვისგან **აფტარა**. ჩვეულებრივ ამ ფასუკს ყიდულობს ან ახალგარდაცვლილი მიცვალებულის პატრონი ან ვისაც მიცვალებულის ხსოვნა უნდა აღვნიშნოს მისი გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით. ასეთ მოხსენიებას **აზქარას** უწოდებენ.

ქუთაისელი ებრაელების მიერ გამოყენებული რელიგიური ტერმინოლოგია სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფად შეიძლება დაგყოთ. ებრაელებმა საქართველოში ბოლომდე შეინარჩუნეს ქორწილის, დაკრძალვისა თუ სხვა მნიშვნელოვანი დღეების აღნიშვნის ტრადიციები. რასაც თავის მხრივ, ებრაული ლექსიკის შენარჩუნებაც მოჰყვა. მაგალითად, ქორწილამდე რამდენიმე ხნით ადრე არის ბეს გაცვლა - პირველადი ნიშნობა. ამ დროს ცვლიან ვერცხლის ფულს, ან ცხვირსახოცზე ხელს ადებენ. ეს ნიშნავს, რომ მათ დადეს **კინიანი** (პირობა, ხელშეკრულება), რომლის დარღვევაც არ შეიძლება. დედოფლის კაბის შეკერვის დაწყების რიტუალს **კაბის ჭრას** ეძახიან. ქორწილამდე დედოფალი მიდის სინაგოგაში და

ბანაობს **მიკვეში** (აბანო სინაგოგაში, სადაც წვიმისა და ონკანის წყალია ერთად აუზში). შემდეგ არის **ქეთუბა** (საქორწილო ხელშეკრულება), ქუთისელები იტყვიან ქეთუბა აქვს წაკითხულიო. ამ დროს სიძე დედოფალი დგას **ხუფაში** და ებრაელი სასულიერო პირი, **რაბინი ან ხახამი** კითხულობს ქეთუბას. ქორწილს ჰქვია **ხათუნა** (ვარაუდობენ, რომ სახელი ხათუნა მომდინარეობს ხათუნისაგან, თუმცა შესაძლებელია, ის ებრაული წარმოშობის იყოს). სიძესა და დედოფალს ჰყავს ხელისმომკიდებები. ბიჭის ხელისმომკიდეს ჰქვია **შოშპინი**, ის ხშირად თამადაცაა ქორწილის, ხოლო გოგონასას **დადიანი**. აღსანიშნავია, რომ დადიანი ებრაული სიტყვაა, მაგრამ რადგან ქუთაისელ ებრაელებთან დადასტურებული მნიშვნელობით მას არ იყენებენ ისრაელში (იქ მას ჩვეულებრივ, შოშპინას ეძახიან), შესაძლებელია, რომ ის ქართულ დადიანს უკავშირდებოდეს და დადიანის ქალის ანალოგიით, დიდებულისა და ამაღლებულის მნიშვნელობით გამოეყენებინათ ებრაელებს.

ებრაელები განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებენ მიცვალებულის გლოვას. მგლოვიარე ოჯახს **აბელი** ჰქვია. ქუთაისელები ჭირისუფალზე ამბობენ, **აბელათ ჯის**. აბელობის პერიოდში ოჯახის წევრები იატაკზე წვანან და დაბალ სკამებზე სხდებიან. მიცვალებულის მოსახსენიებელ ლოცვას **კადიში** ჰქვია. კადიში არის საჯამათოც და არის კადიში მხოლოდ მგლოვიარეთათვის, რასაც **აბელის კადიში** ჰქვია, რომლის წაკითხვის დროსაც უნდა შეიკრიბოს ჯამათი, ანუ ათი კაცი. თუ ათი კაცი არ არის, მაშინ ამ ლოცვას ვერ წაკითხავენ.

რელიგიასთან არის დაკავშირებული საკვების მიღების წესების დაცვა. ებრაელები საჭმელად ვარგის პროდუქტს **ქაშერს**, ხოლო უვარგისს - **ტარიფას** ეძახიან. მათ აქვთ ხორცის მომზადების სპეციალური წესები. ამ პროცესის აღწერასთანავე ებრაიზმების გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა. ებრაელები საკლავს (საქონელსა და ფრინველს) **შოხეტს** აკვლევიან. **ბასარის (ხორცის) დაქაშვრა** ნიშნავს ხორციდან ძარღვების გამოღებას და დაღობვას წყალში მანამ, სანამ სისხლისგან მთლიანად არ დაიცლება. ქაშერი ხორცი კი უკვე შესაძლებელია გამოიყენონ და დაამზადონ ტრადიციული **ყალია, სირაბაჯი** თუ სხვა კერძი.

რაც შეეხება ებრაელთა ძირითად საქმიანობასთან - ვაჭრობასთან დაკავშირებულ ებრაიზმებს (**დათირა, მამონი, გაასუხარა** და სხვა), რომლებმაც კ. დუმბაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართულ ქალაქურ ჟარგონშიც შეაღწია, დღემდე ხშირი გამოყენებისაა.

ლიტერატურა:

კ. დუმბაძე, ლექსიკური ებრაიზმები ქართულ ქალაქურ ჟარგონში, ჯეევანმარდი 2, თბილისი, 1979.

ს. ომიადე, უცხო სიტყვა - უცხო მენტალობა ეროვნულ დისკურსში, საენათმეცნიერო მიებანი 23, თბილისი, 2006.

ზ. ჭიჭინაძე, ებრაელები საქართველოში, თბილისი, 1990.

Reuven Enokh

Ariel University, Israel

Tamar Lomtadze

Akaki Tsereteli State University

HEBRAISMS IN THE SPEECH OF JEWS OF KUTAISS RESUME

The vast majority of the Georgian Jews due to certain subjective or objective factors could not preserve their native language, acquiring Georgian as their habitual language. Simultaneously, their faithfulness to their religion and customs made it possible to retain Hebraisms in their speech.

It should be noted that the use of Hebraisms by the Jews is directly proportional to the depth and degree of their religiousness. We have stated many times that Georgian Jews' speech is characterized with specific phenomena, including the use of Hebrew thesaurus. The frequency of the use of Hebraisms is varies depending on the situation. For instance, the Jews are not tend to use Hebraisms in their communication with other ethnic groups. Generally speaking, Kutaisi Jews, depending on the situation, could either use standard Georgian, Kutaisi dialect or phonetic, grammar and lexical Hebraisms peculiar to their own speech. Thus, the Hebraisms they used in communication with each other might even be incomprehensible for other Georgians.

The religious terms used by the Kutaisi Jews can be divided into several semantic groups.

საკომუნიკაციო ქცევის შესწავლის თეორიული პრობლემები

1. საკომუნიკაციო ქცევა როგორც ლინგვისტური აღწერის საგანი

საკომუნიკაციო კულტურა - ესაა ცალკეული სოციალური ჯგუფების წევრების სოციალურ-კომუნიკაციური საქმიანობის პროდუქტი. საკომუნიკაციო კულტურაში იგულისხმება გარკვეული ეროვნული კულტურის ჩარჩოებში მოქმედი საკომუნიკაციო ნორმების და ტრადიციების ერთობლიობა. საკომუნიკაციო კულტურის არსებობა უზრუნველყოფს მოცემული სოციალური ჯგუფის წევრების საკომუნიკაციო კომპეტენციისა და გარკვეული კომუნიკაციური ქცევის ფორმირებას. საკომუნიკაციო კულტურა აწესრიგებს ეროვნულ ურთიერთობებს.

ეროვნული საკომუნიკაციო კულტურის ერთ-ერთი კომპონენტია საკომუნიკაციო ქცევა. რომელშიც იგულისხმება „კომუნიკაციაში რეალიზებული ამა თუ იმ ლინგვოკულტურული ერთიანობის ურთიერთობათა წესები და ტრადიციები“. არის რა ეროვნული კულტურის კომპონენტი, ხალხის საკომუნიკაციო ქცევა მასზე პირდაპირაა დამოკიდებული.

სოციალური ჯგუფის სიდიდიდან გამომდინარე, შეიძლება ვისაუბროთ მთლიანად ლინგვოკულტურული ერთიანობის საკომუნიკაციო ქცევაზე, ან უფრო მცირე ჯგუფის საკომუნიკაციო ქცევაზე, რომლის ჩარჩოებში ურთიერთობის მონაწილეები გაერთიანებული არიან რაიმე ნიშნით. შეიძლება ასევე ვისაუბროთ ინდივიდის საკომუნიკაციო ქცევაზე, როგორც ენობრივი პიროვნების გამომავარავების ერთ-ერთ ასპექტზე.

ცალკეული კულტურის შიგნით საკომუნიკაციო ქცევა რეგულირდება ენობრივი და სოციალური ნორმების ერთობლიობით. ენობრივი ნორმები - ესაა მოთხოვნები, რომლებსაც უყენებს კომუნიკანტი იმ ენის სისტემა, რომელზეც ხორციელდება ურთიერთობა. სოციალური ნორმები - ესაა კონკრეტული ქცევითი რეკომენდაციები, რომლებსაც უნდა ეყრდნობოდეს მოცემული სოციალური ჯგუფის წევრი. უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ერთიანი ნორმა ურთიერთობის ყველა შემთხვევისათვის. საზოგადოებაში ყალიბდება ნორმების მთელი სისტემა „... დიფერენცირებული სამეტყველო სიტუაციების სხვადასხვა ნიშნების და ურთიერთობის სხვა მახასიათებლების მიმართ“. ამიტომ, გამომდინარე სოციალურ ჯგუფში საყოველთაოდ მიღებული ნორმების დაცვიდან ან არ დაცვიდან, შეიძლება ვისაუბროთ ნორმატიულ ან არანორმატიულ საკომუნიკაციო ქცევაზე.

არსებობს სამი დონის ნორმა: ზოგადკულტურული, სიტუაციური და ინდივიდუალური. ზოგადკულტურულ ნორმებს მიეკუთვნებიან ეტიკეტის წესები და ასევე რიტუალებთან მიახლოებული სტანდარტულ სიტუაციებში ქცევის წესები. სიტუაციური ნორმები შედიან ძალაში, როცა ურთიერთობა არ არის სტანდარტიზებული, მაგრამ გარე მდგომარეობები დადს ასვამენ ურთიერთობის ხასიათს. ასე, ნებისმიერ კულტურაში არსებობს ნორმები, რომლებიც არეგულირებენ კომუნიკანტის ურთიერთობას უთანასწორო სოციალურ სტატუსებთან. ეს ნორმები, როგორც წესი, სიტუაციების უმრავლესობაში განსხვავდებიან კომუნიკანტების თანაბარ სოციალურ სტატუსებთან ურთიერთობის განმსაზღვრელ ნორმებისგან.

საკომუნიკაციო ქცევის ინდივიდუალურ ნორმებად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის საკომუნიკაციო გამოცდილება, რომელიც უყალიბდება ინდივიდის ზოგადკულტურული და სიტუაციური ნორმების ათვისების პროცესში. სამივე დონის ნორმები არა მხოლოდ განსაზღვრავენ მოცემული სოციალური ჯგუფის წევრების ქცევას, არამედ მათ მატარებლებს უყალიბებენ გარკვეულ მოთხოვნებს ამ სოციალური ჯგუფის სხვა წევრების ქცევის მიმართ.

კომუნიკაციური ნორმების მნიშვნელოვანი დამახასიათებელი მათი ეროვნული სპეციფიკურობაა.

კომუნიკაციური ნორმების ცნების გარდა ეროვნული კომუნიკაციური ქცევის აღწერისას გამოიყენება საკომუნიკაციო იმპერატივის, საკომუნიკაციო ტაბუს, საკომუნიკაციო მოქმედების, სამეტყველო ქცევის სტრატეგიის და ტაქტიკის ცნებები. ამ ცნებების ერთობლიობა შეადგენს კომუნიკაციური ქცევის აღწერის თეორიულ საფუძველს.

საჭიროა აღინიშნოს თანამედროვე ეტაპზე საკომუნიკაციო ქცევის აღწერის თეორიისა და მეთოდის არასაკმარისი დამუშავება, რაც ართულებს ეროვნული საკომუნიკაციო ქცევის კომპლექსური აღწერის შექმნას. თანამედროვე ეტაპზე საკომუნიკაციო ქცევის შესწავლა აქტუალურია რიგ მიზეზთა გამო:

1. სხვადასხვა ლინგვოკულტურული ერთიანობების საკომუნიკაციო ქცევის დაწვრილებითი აღწერის შექმნამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს კულტურათაშორისი ურთიერთობის ეფექტურობა.

2. საკომუნიკაციო ქცევის სწავლება უნდა გახდეს ნებისმიერი უცხო ენის სწავლების პროცესის შემადგენელი ნაწილი. საკომუნიკაციო ქცევის უნარ-ჩვევების ეფექტური სწავლებისთვის საჭიროა მისი ეროვნული სპეციფიკის გამოვლენა, ეს კი თავის მხრივ მოითხოვს სხვადასხვა ლინგვოკულტურული ერთიანობების საკომუნიკაციო ქცევის თვისებების შედარებითი აღწერის შექმნას.

2. ეროვნული საკომუნიკაციო ქცევის შესწავლის და აღწერის თეორიული აპარატი

საკომუნიკაციო ქცევა, როგორც შესწავლის ობიექტი მოითხოვს სხვადასხვა მეცნიერებათა - პრაგმალინგვისტიკის, კროს-კულტურული პრაგმატიკის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ანტროპოლოგიის და მასთან მომიჯნავე დისციპლინების ყურადღებას. სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საკომუნიკაციო ქცევის კომპლექსური შესწავლისათვის პირველ რიგში მნიშვნელოვანია ლინგვისტური დისციპლინების მონაცემები, როგორცაა პრაგმალინგვისტიკა, რადგან ზუსტად ამ მეცნიერების ჩარჩოებში შეისწავლება ენის, როგორც ურთიერთობის ინსტრუმენტის ფუნქციონირება.

2.1. სამეტყველო აქტების თეორია და პრაგმატული გამოკვლევები

საზოგადოებაში ენის ფუნქციონირებისადმი ინტერესი გაჩნდა XX საუკუნის 50-იან წლებში. ეს შემთხვევითი არ იყო, რადგან თანდათან დამკვიდრდა სამყაროს ხედვის ახალი მიდგომა, დაფუძნებული არა სისტემურობის, არამედ საქმიანობის პრინციპზე.

კვლევით პარადიგმას ეწოდა კომუნიკაციურ-პრაგმატული (ან კომუნიკაციურ-ფუნქციონალური). ლინგვისტიკის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ენის და ადამიანის კავშირი და ურთიერთობის პროცესში ადამიანების ერთმანეთზე ზემოქმედების ხერხების მრავალფეროვნება, ანუ გაანალიზდა ენობრივი ურთიერთობის პიროვნული ფაქტორები. მეცნიერთა კვლევებში აღინიშნებოდა, რომ სასარგებლოდ შეიძლება ჩაითვალოს გამოკვლევები, რომლებიც შესრულდა არა გამონათქვამთა მოდელზე, არამედ ცოცხალ სამეტყველო მასალაზე, სხვაგვარად ენისადმი პრაგმატული მიდგომა სწრაფად ამოწურავს თავს.

პრაგმატიკაში კვლევითი პარადიგმის თეორიულ საფუძვლად იქცა ჯ. სრლის, ჯ. ოსტინის და სხვა უცხოელი მკვლევრების მიერ შექმნილი სამეტყველო აქტების თეორია. სამეტყველო ურთიერთობის ძირითად ერთეულად მიჩნეული იქნა სამეტყველო აქტი. იგი აღიქმება, როგორც მიზანმიმართული სამეტყველო მოქმედება, რომელიც სრულდება მოცემულ საზოგადოებაში არსებული სამეტყველო ქცევის პრინციპების და წესების შესაბამისად. ნებისმიერი სამეტყველო აქტის შესრულებისათვის აუცილებელი პირობებია:

1. მოლაპარაკის და მსმენელის არსებობა;

2. ენობრივი კომპეტენციის არსებობა (ანუ იმ ენის ცოდნა, რომელზეც ხდება ურთიერთობა);

3. წარმატებული ურთიერთობისათვის თითოეული კომუნიკანტი უნდა ფლობდეს საკომუნიკაციო კომპეტენციას (ანუ პრინციპების და წესების ერთობლიობის ცოდნას, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება ურთიერთობა მოცემულ საკომუნიკაციო კულტურაში).

გარდა ამისა, სამეტყველო აქტის მოდელი აუცილებლად შეიცავს სამეტყველო აქტის მიზანს და შედეგს. აღვნიშნავთ, რომ მიზანი, ანუ საკომუნიკაციო განზრახვა, მრავალი მკვლევრის აზრით, არის გამოთქმის ან ტექსტის ძირითადი აზრობრივი კომპონენტი.

ენობრივ კომპეტენციას გააჩნია ეროვნულ-ენობრივი სპეციფიკა, რომელიც უფრო შესამჩნევად ვლინდება მაშინ, რაც უფრო ნაკლებად ნათესაურია ენები. თუმცა, არამშობლიურ ენაზე მეტყველი კომუნიკანტისათვის მისი დაუფლება ნიშნავს ამ ენაზე გამოთქმების აგების გრამატიკული წესების დაუფლებას. ენობრივი კომპეტენციების დაუფლება არაა წარმატებული ურთიერთობის გარანტი სხვა ენობრივი კულტურის პირობებში, სხვა სიტყვებით, გრამატიკულად სწორი გამოთქმის მეშვეობითაც ყოველთვის არ მიიღწევა სასურველი მიზანი.

წარმატებული ურთიერთობა შესაძლებელია მხოლოდ კომუნიკანტთან საკომუნიკაციო კომპეტენციის არსებობისას. კომუნიკაციის ეს სახეობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სხვა ენობრივ კულტურაში ურთიერთობის შესწავლისას. საკომუნიკაციო კომპეტენცია, არის რა წარმატებული ურთიერთობისათვის საჭირო ნორმებისა და პრინციპების ნაერთი, ეროვნულად სპეციფიკურია, თუმცა სხვადასხვა კულტურაში შეიძლება ემთხვეოდეს ცალკეული პრინციპები და ნორმები (მაგალითად, მისაღება შეხვედრისას, უფროსებისადმი პატივისცემის ვერბალური გამოხატვა და სხვა). სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები უცხო ენის გრამატიკასა და ლექსიკასთან შედარებით უფრო რთულად ითვისებენ საკომუნიკაციო კომპეტენციის ეროვნულ სპეციფიკას. მნიშვნელოვანწილად ეს

განპირობებულია იმით, რომ იგი არ იქცა მეცნიერული აღწერის საგნად და ნაწილობრივ ასახულია მხოლოდ ეტიკეტის სახელმძღვანელოებში, ამ შემთხვევებშიც, როგორც წესი, საკომუნიკაციო ქცევა აღწერილია მხოლოდ სტანდარტულ სიტუაციებში, სადაც ურთიერთობა ყველაზე უფრო კონვენციონალიზებულია.

ლინგვისტურ ლიტერატურაში არსებობს კომპეტენციის ცნების რამდენიმე განმარტება. ასე, როჯერ ტ. ბელლი გამოყოფს კომპეტენციის სამ სახეობას, რომელთა წყალობითაც შესაძლებელი ხდება გამოთქმების სწორი გამოყენება და ადეკვატური ინტერპრეტაცია. პირველი სახეობა - ენობრივი კომპეტენცია, რომელიც მსმენელს საშუალებას აძლევს სწორად გაიგოს გამოთქმის პროპოზიციური შინაარსი. მეორე სახეობა - სოციალური კომპეტენცია, რომლის წყალობითაც ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ შეაფასონ ურთიერთობაზე მოქმედი სიტუაციური ფაქტორები. კომპეტენციის ეს ორი სახეობა ქმნიან მესამეს - კომუნიკაციურ კომპეტენციას, რომელიც უზრუნველყოფს ენობრივი და სოციალური კომპეტენციების კორელაციას და ასევე მოცემულ სიტუაციაში გამოთქმის ყველაზე შესაფერისი ფორმის შერჩევას.

მეტყველების აქტის შინაარსი არ შეიძლება დაყვანილი იქნეს მხოლოს მასში შემავალი პროპოზიციის მნიშვნელობამდე. საკომუნიკაციო ეფექტის მიღწევა შესაძლებელია არა მხოლოდ პროპოზიციური შინაარსის სწორი ინტერპრეტაციის, არამედ ნებისმიერ მეტყველების აქტში შემავალი მეტყველების ფუნქციის დროს. ერთი და იგივე პროპოზიცია შეიძლება შედიოდეს მეტყველების აქტებში, რომლებიც მოცემულ საკომუნიკაციო სიტუაციაში ასრულებენ სხვადასხვა ფუნქციებს, მაგალითად თხოვნის, ბრძანების, გაკვრული სიტყვის და ა.შ. თანამედროვე პრაგმატისტიკის ამოცანათაგან ერთ-ერთია ურთიერთობის ბუნების შესწავლა.

უდავოა, პროპოზიცია გავლენას ახდენს მეტყველების აქტის პტაგმატულ შინაარსზე. თუმცა, არსებობს მთელი რიგი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ხასიათის ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ მთლიანად გამონათქვამის ინტერპრეტაციის სისწორეზე. მაგალითად, ენობრივი კონვენციების ანალოგიურად, რომლებიც არეგულირებენ გამონათქვამის აგების სისწორეს, მაგრამ ასეთი ახსნაც ბოლომდე არ განმარტავდა განსახილველ მოვლენას, რადგან გააჩნდა გამოყენების შეზღუდული სფერო, ანუ სრულყოფილად შეეძლოთ განემარტათ მხოლოდ კონვენსიური მეტყველების აქტების გაგების მექანიზმი.

ამრიგად, ნებისმიერი მეტყველების აქტის შინაარსის გეგმას შეადგენს პროპოზიციური შინაარსი და ილოკუტური ძალა. გამოხატვის გეგმა კი ვერბალური და არავერბალური საშუალებებია (უკანასკნელებს მიეკუთვნებიან ჟესტები, მიმიკა, პროქსემიკა).

ნებისმიერი წინადადება (ან წინადადებათა ჯგუფი) ყოველთვის არაა მეტყველების აქტი. იმისათვის, რომ გახდეს ასეთი, წინადადება უნდა გამოიყენებოდეს გარკვეულ კონტექსტში. გარდა ამისა, წინადადების ენობრივი სტრუქტურა ასევე არის რეალური ან პოტენციური მეტყველებისუნარიანი თვისებების მატარებელი. ამასთან მისი გამოყენება შესაძლებელია ორი კონტექსტუალური პირობის დაცვისას:

1. საჭიროა, რომ კომუნიკანტები იმყოფებოდნენ ახლო ურთიერთობებში;

2. მოსაუბრის სოციალური როლი არ უნდა იყოს ადრესატის სოციალურ როლზე დაბალი. პრაგმატიკის ამოცანაა როგორც კონტექსტუალური, ისე ენობრივი ფაქტორების განსაზღვრა და აღწერა, რომლებიც განსაზღვრავენ წინადადების პრაგმატულ თვისებებს.

2.2. ენობრივი ურთიერთობების წესები და პრინციპები

ნაშრომში „ლოგიკა და სამეტყველო ურთიერთობა“ გ. გრაისმა სამართლიანად მიუთითა იმაზე, რომ ურთიერთობის პროცესი არ არის ერთმანეთთან დაუკავშირებელი გამონათქვამების ნაკრები. პირიქით, დიალოგი - ესაა კომუნიკანტების ერთობლივი საქმიანობა, მიმართული გარკვეული მიზნის მიღწევაზე. იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ამ მიზნის მიღწევა, კომუნიკანტებს მოეთხოვებათ ურთიერთობის ზოგიერთი პრინციპის დაცვა. გრაისის აზრით, ყველაზე ზოგადი პრინციპი, რომლის საფუძველზეც მყარდება ეფექტური რაციონალური ურთიერთობა, არის კოოპერაციის პრინციპი, რომელსაც იგი აყალიბებს ასე: „შენი საკომუნიკაციო წვლილი დიალოგის ამ ეტაპზე უნდა იყოს ისეთი, როგორსაც მოითხოვს ამ დიალოგის ერთობლივად დასახული მიზანი (მიმართულება)“. უფრო კონკრეტულ წარმოდგენას კოოპერაციის პრინციპის არსზე იძლევიან რაოდენობის, ხარისხის, დამოკიდებულების და ხერხის კატეგორიები.

რაოდენობის კატეგორია გამოიხატება იმაში, რომ დიალოგის ამ ეტაპზე გამონათქვამი უნდა შეიცავდეს საჭიროზე არც მეტ და არც ნაკლებ ინფორმაციას. ხარისხის კატეგორიად გ. გრაისი მიიჩნევს შემდეგ პოსტულატს: „ეცადე, რომ შენი გამონათქვამი იყოს ჭეშმარიტი“, და ასევე ორი პოსტულატი, რომლებიც აკონკრეტებენ პირველს: „არ თქვა ის, რასაც შენ ჭეშმარიტად არ თვლი“, „არ თქვა ის,

რისთვისაც არ გაგაჩნია საკმარისი საფუძველი“. დამოკიდებულების კატეგორია თავის ასახვას პოულობს ერთადერთ პოსტულატში „არ გადაუხვიო თემას“. ხერხის პოსტულატი იხსნება ზოგად პოსტულატში „გამოხატე აზრი ნათლად“. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას გამონათქვამის სიცხადე, მოსაუბრე უნდა ცდილობდეს დაიცვას რამდენიმე კერძო პოსტულატი, რომლებიც ასევე მიეკუთვნებიან ხერხის კატეგორიას:

„თავი აარიდე გაუგებარ გამონათქვამებს“.

„თავი აარიდე არაერთმნიშვნელოვნობას“.

„გამოთქვი მოკლედ“.

„იყავი ორგანიზებული“.

ამ პოსტულატების დაცვა ხელს უწყობს კოოპერაციის პრინციპის შესრულებას, და, მაშასადამე, ურთიერთობა ხდება მაქსიმალურად ეფექტური. ურთიერთობის პროცესში აღნიშნული პოსტულატების დაცვაზე კონტროლი შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ თანამოსაუბრის, არამედ მოლაპარაკის მიერ. ასე, თუ კომუნიკანტი არაა დარწმუნებული გადასაცემი ინფორმაციის ჭეშმარიტებაში, ანუ ინფორმაციის შესაძლო უზუსტობაზე, თანამოსაუბრის გაფრთხილებისათვის, იგი მიმართავს ენობრივ საშუალებებს, რომლებიც დაწვევენ გამონათქვამის კატეგორიულობას. მაგალითად, გამონათქვამით „რამდენადაც ჩემთვის ცნობილია“ ან „თუ არ ვცდები“ და ა.შ. კოოპერაციის პრინციპის ამსახველი რამოდენიმე ან ყველა პოსტულატის დარღვევისას, მატულობს კომუნიკანტთა შორის კონფლიქტის ალბათობა. გარდა ამისა, კოოპერაციის პრინციპის განზრახ დარღვევის შედეგად შეიძლება იქცეს ქვეტექსტური აზრი გამონათქვამში, რომელიც გ.გრაისმა აღნიშნა ტერმინით „იმპლიკატურა“.

თანამედროვე გამოკვლევებში აღნიშნავდნენ, რომ კოოპერაციის პრინციპების პოსტულატები პრაქტიკაში ძალიან ხშირად ირღვევა, რადგან რეალური ურთიერთობა ხშირად არარაციონალურია.

სხვა მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც არეგულირებს ურთიერთობის პროცესს, არის თავაზიანობის პრინციპი, რომელიც ჩამოაყალიბა ჯ. ლიჩმა. თავაზიანობა, სოციალური ურთიერთმოქმედების პრინციპისგან განსხვავებით, რომელიც დაფუძნებულია პიროვნების პატივისცემაზე, თავაზიანობა პრაგმატული თეორიის ჩარჩოებში განიხილება, როგორც სამეტყველო ქცევის განსაკუთრებული სტრატეგია, მიმართული კონფლიქტური სიტუაციების თავიდან ასაცილებლად. თავაზიანობის პრინციპი კონკრეტდება ექვსი პოსტულატით: ტაქტით, დიდსულოვნებით, მოწონებით, მორიდებულობით, თანხმობით და სიმპატიით. იცავს რა პირველ ორ პოსტულატს, მოსაუბრე ზრდის სარგებელს პარტნიორისათვის და თავის თავზე იღებს დამაბვის მაქსიმუმს. მოწონების პოსტულატი გვიჩვენებს თავი ავარიდოთ ადრესატზე განმკიცხავ გამონათქვამებს. მორიდებულობის - გვთავაზობს საკუთარი მისამართით ქების მინიმუმამდე დაყვანას; თანხმობის - გვიჩვენებს თავი ავარიდოთ უთანხმოებებს. სიმპატიის - ნიშნავს იმას, რომ მოსაუბრე თანამოსაუბრის მიმართ უნდა განეწყოს კეთილმოსურნეობით და შეეცადოს თავი აარიდოს მტრობის აშკარა გამოხატვას.

გამონათქვამის პროპოზიცია, რომელიც ადრესატს უზიძგებს ქმედებისაკენ, შეიძლება შეფასებული იქნეს თავაზიანობის ან არათავაზიანობის ტერმინებში, გამომდინარე იქიდან, რამდენად სასარგებლოა ეს მოქმედება ადრესატისათვის. ასე, თხოვნის მეტყველების აქტი ზოგჯერ შეიძლება შეფასებული იქნეს არათავაზიანად, რადგან მოქმედება, რომლისკენაც უზიძგებენ ადრესატს, არ არის მისთვის ხელსაყრელი. არათავაზიანად შეიძლება ჩაითვალოს ბრძანებები, შეგულიანება, განკარგვები, რჩევები, რადგან მეტყველების ეს აქტები არღვევენ თავაზიანობის პრინციპის ამა თუ იმ პოსტულატს. თავაზიან დირექტივებს განეკუთვნებიან მიწვევის, ნებართვის და შეთავაზების მეტყველების აქტები.

ადრესატის მიმართ თავაზიანი დამოკიდებულების გამოსახატავად მოსაუბრემ თავის გამონათქვამებში შეიძლება გამოიყენოს ე.წ. თავაზიანობის აქტუალიზატორები - ენის გრამატიკული და ლექსიკური საშუალებები, რომლებსაც გარკვეულ სიტუაციებში აქვს პატივისცემის და ზრდილობიანობის მნიშვნელობა.

როგორც წესი, თავაზიანობას, როგორც კომუნიკაციაში პარტნიორისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას აიგივებენ მეტყველების ეტიკეტთან, რომელშიც იგულისხმება ურთიერთობის მარეგულირებელი წესების ერთიანობა. განსხვავებულ აზრს გამოთქვამენ ვ. ს. ხრაკოვსკი და ა. პ. ვოლოდინი. განიხილავენ რა მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის (ანუ შენ- და თქვენ- ფორმები) იმპერატიულ კონსტრუქციებს, მათ დასკვნეს მათში ეტიკეტური და თავაზიანი მიმართვის დაუმთხვევლობა: „მოსაუბრეს შეუძლია აირჩიოს ესა თუ ის ფორმა (შენ და თქვენ) და მიმართოს მსმენელს სტანდარტული ეტიკეტური მიმართვით, ან გააკეთოს იგივე და თანაც თავაზიანად. ამგვარად, თავაზიანობის გამოხატვა - მხოლოდ ფაკულტატური დამატებაა სავალდებულო ეტიკეტურ მიმართვასთან“.

2.3. სოციალური ფაქტორების გავლენა კომუნიკატიურ ქცევაზე.

პრაგმალინგვისტურ გამოკვლევებთან ერთად საკომუნიკაციო ქცევის კომპლექსური აღწერისათვის მნიშვნელოვანია სხვა მეცნიერების - სოციოლინგვისტიკის მონაცემები, რადგან თანამოსაუბრეზე ზემოქმედების ენობრივი საშუალებების შერჩევა მოსაუბრის მიერ ხორციელდება არა მხოლოდ პრაგმატული, არამედ სოციალური ხასიათის მრავალი ფაქტორის გავლენით, ამასთან ურთიერთობის სიტუაციის გავლენით ენობრივი საშუალებების შერჩევა არ შემოიფარგლება მხოლოდ გამონათქვამის სტიკისტური კუთვნილების განსაზღვრით. რ. ბლაკარი მიუთითებს, რომ „...ყოველთვის, როცა ჩვენ გვინდა გამოვხატოთ „რაიმე“, ჩვენ არჩევანი უნდა გავაკეთოთ რამოდენიმე ალტერნატიულად შესაძლო ხერხებს შორის, რომლებითაც შეიძლება ეს „რაიმე“ გამოიხატოს. ანალოგიურ პრობლემას ეხება მიმღები... როცა მიმღები უსმენს ან კითხულობს რამეს, მან დეკოდირების პროცესში უნდა აირჩიოს რამოდენიმე შესაძლო მნიშვნელობიდან ერთი. მას ამაში ეხმარება კონტექსტი: თვით სიტუაცია, ის, რაც უკვე ითქვა, და ასევე ის, რაც შემდეგ ითქვა“. ამგვარად, თითოეულ კონკრეტულ სიტუაციაში ენობრივი საშუალებების შერჩევა არაა შემთხვევითი, იგი გაპირობებულია საზოგადოების სოციალური სტრუქტურით.

სოციოლინგვისტები კომუნიკაციურ-რელევანტური ფაქტორების ან, სხვაგვარად, სოციალური ნორმების სახით, რომლებიც დეტერმინირებას უკეთებენ კომუნიკანტების სამეტყველო ქცევას, ასახელებენ სოციალურ როლებს, კომუნიკანტების სოციალური სტატუსების შეფარდებას, ურთიერთობის თემას, ურთიერთობის გარემოს (ან სფეროს), და ასევე, ადამიანების ორიენტაციას გარკვეულ სოციალურ ფასეულობებსა და ნორმებზე.

ვერბალური კომუნიკაციის პროცესში ადამიანები ასრულებენ არა მხოლოდ გარკვეულ სოციალურ, არამედ კომუნიკაციურ როლებსაც. ამ ტერმინით აღინიშნება სტერეოტიპები, რომლებიც კომუნიკანტების მიერ გამოიყენება ურთიერთობის გარკვეულ სიტუაციებში. კომუნიკაციური როლები არ არის დამოკიდებული სოციალურ როლებსა და სტატუსებზე, უფრო მეტიც, ურთიერთობის პროცესისათვის დამახასიათებელია როლების შეცვლა (მაგალითად დიალოგის პროცესში მისი მონაწილეები მონაცვლეობით იქცევიან მოსაუბრედ ან მსმენელად). მაგრამ სოციალური და კომუნიკაციური როლების აშკარა დაუმთხვევლობის შემთხვევაში ურთიერთობაში მაღალია კონფლიქტის ალბათობა. სტატუსების გადანაწილება (იერარქია) განსაზღვრავს მოსაუბრის ადრესატზე სამეტყველო ზემოქმედების ფორმის შერჩევას და ადრესატის მიერ ამა თუ იმ რეაქციის გამოსახატავად შესაძლებლობის ქონას და არქონას.

სოციალური ხასიათის კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს სამეტყველო ქცევაზე, არის სიტუაცია, რომელშიც მიმდინარეობს ურთიერთობა. სამეცნიერო ლიტერატურაში ურთიერთობის აღმნიშვნელი პირობების ორი ტერმინი: კომუნიკაციური სიტუაცია და კომუნიკაციური კონტექსტი. ხშირად ისინი გამოიყენება როგორც სინონიმები, მაგრამ ზოგიერთი მკვლევარი გვიჩვენებს მათ გარჩევას.

ვან დეიკი გვთავაზობს სიტუაციის ქვეშ ვიგულისხმოდ გარემოებათა მთელი კომპლექსი, რომელშიც მიმდინარეობს ურთიერთობა. კომუნიკაციური კონტექსტი შეიცავს ურთიერთობის ვითარების მხოლოდ იმ შემადგენლებს, რომლებიც უშუალოდ მოქმედებენ ურთიერთობის ხასიათზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კომუნიკაციური კონტექსტი არის მხოლოდ სიტუაციის ლინგვისტურად რელევანტური კომპონენტების ერთობლიობა.

ამგვარად, სამეტყველო სიტუაცია წარმოადგენს „ურთიერთობის გარე პირობების და მოსაუბრეთა შიდა რეაქციების რთულ კომპლექსს, რომლებიც აისახება რაიმე გამონათქვამში (ტექსტში)“.

ასეთ კომპონენტთა შორის შეიძლება გამოვყოთ ზემოთ აღწერილი როლებრივი ურთიერთობები, ურთიერთობის ვითარება და ასევე კომუნიკანტებს შორის სოციალურ-ფსიქოლოგიური დისტანცია. ურთიერთობის ვითარება შეიძლება დავახასიათოთ ტერმინებით „ოფიციალური“, „ნეიტრალური“, „თავისუფალი“.

კომუნიკანტებს შორის სოციალურ-ფსიქოლოგიური დისტანცია შეიძლება შეფასდეს როგორც ახლო და შორი. ამ დისტანციის შესაფასებლად გამოვიყენოთ შკალა „შინაური - უცხო“.

2.4. ფაქტორების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ კომუნიკაციურ პრიორიტეტზე

კომუნიკანტთაგან ერთის პოზიციის პრიორიტეტულობა შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა ფაქტორებით. პირველ რიგში დავასახელოთ კომუნიკანტთაგან ერთის უფრო მაღალი სტატუსი. აქ პრიორიტეტობა ვლინდება თანამოსაუბრესთან ურთიერთობაში ენობრივი საშუალებების უფრო ფართო შერჩევის შესაძლებლობაში (მაგალითად, უფროსს შეუძლია დაქვემდებარებულის მისამართით გამოიყენოს მიმართვის ფამილარული ფორმა, მაგრამ არა პირიქით).

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ერთი კომუნიკანტის დომინირება მეორეზე ენციკლოპედიური, ლინგვისტური და ინტერაქტიული კომპეტენციის თვალსაზრისით. ვ. ვ. ბოგდანოვი

აღნიშნავს, რომ უფრო ფართო კომპეტენცია, იქნება ეს ენციკლოპედიური, ლინგვისტური და ინტერაქტიული ან მათი ნებისმიერი შეხამება, ამაღლებს კომუნიკაციურ სტატუსს და შანსებს კომუნიკაციურ ლიდერობაზე. მოცემულ სიტუაციაში კომუნიკაციურ ლიდერად შეიძლება ჩაითვალოს ინტერაქციის ის მონაწილე, რომელსაც, ფლობს რა არატრივიალურ ინფორმაციას, შესწევს უნარი მიაწოდოს იგი ურთიერთობის სხვა მონაწილეებს უფრო მისაღები ენობრივი საშუალებების მეშვეობით (ბოგდანოვი, 1990).

ლიტერატურა:

1. Остин. Дж., Как производить действия при помощи слов?, 1999.
2. Грайс Г.П., Логика и речевое общение, 1985.
3. Роджер Т., Социолингвистика: Цели, методы и проблемы, 1980.
4. Храковский В. С., Володин А. П., Семантика и типология императива; 2002.
5. Ван Дейк Т.А. Язык. Познание. Коммуникация, 2000.
6. Богданов В.В. Предложение и текст в содержательном аспекте, 2007.

Ana Imnadze

Gori State Teaching University

THEORETICAL PROBLEMS OF STUDYING COMMUNICATIVE BEHAVIOUR RESUME

Communication culture is a product of social and communicative activities of members of separate social groups. Communication culture is a combination of communication standards and traditions existing within the framework of certain national cultures. Communication culture assures formation of communicative competencies and certain communicative behaviours in members of certain social groups. One of the components of a national communicative culture is a communicative behaviour that means 'rules and traditions of different lingual and cultural relations unity'. As it is a component of a national culture, public communicative behaviour directly depends on it. Communicative behaviour within separate cultures is regulated by the combination of linguistic and social standards.

მარიამ კობერიძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილი რაფიელ ერისთავის ნაწერების ენის შესახებ

იაკობ გოგებაშვილი ერის ცხოვრებასა და წარმატებაში საბავშვო ლიტერატურას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. „ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა. გონებითი მოძრაობა ერის ქვიშაზეა აშენებული, თუ იგი ღარიბია საყრდენ წარმოებებით, საყმაწვილო ლიტერატურით. იგი მაგრად ადგამს ნაბიჯებს წინ. მკვიდრს წარმატებაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი მოზარდ თაობას უხვად ეძლევა გონებითი საზრდო, როდესაც მისი ყრმანი გარემოცულნი არიან მრავალი ნიჭიერი ნაწარმოებითა“ (გოგებაშვილი, 1954: 10).

ამიტომ ი. გოგებაშვილი თავისი სახელმძღვანელოებისათვის („დედა ენა“, „ბუნების კარი“) მასალებს იღებდა რეალური სინამდვილიდან, რომელიც ბავშვის გარშემო არსებობდა. ეს მასალები როგორც მოსწავლისათვის ხელმისაწვდომობის, ისე მათი ზნეობრივი მიმართულებისა და ენის სიმდიდრის თვალსაზრისით, შერჩეულია დიდი ოსტატობით.

იაკობ გოგებაშვილი სახელმძღვანელოებს ადგენდა, თუ საყმაწვილო ლიტერატურას ქმნიდა, მისი ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგა დედაენის სიწმინდის დაცვა, სალიტერატურო ენის განვითარება-გამდიდრება, მოსწავლეებსა და ხალხში გავრცელება-დამკვიდრება. იგი თავის სახელმძღვანელოებში შესატან საკითხავ მასალებს დიდი ყურადღებით არჩევდა და გულმოდგინედ

ასწორებდა სალიტერატურო ენის თვალსაზრისით. როცა ამ მხრივ, მის ნაწარმოებებსა და კრიტიკულ წერილებს ვეცნობით, ყურადღებას იქცევს სტილისტიკის საკითხების ღრმა ცოდნა. ის ზეპირ და წერით მეტყველებაში არსებულ დარღვევებს ენის კანონების ღრმა ცოდნით და ფაქიზი გემოვნებით აანალიზებდა, მეტყველების ლოგიკურსა და მხატვრულ-ემოციურ მხარეებს თანაბარ ყურადღებას აქცევდა. ბევრს ზრუნავდა იმისათვის, რომ საყმაწვილო თხზულებათა ენა და სტილი ნათელი და მიმზიდველი ყოფილიყო. ამ თვალსაზრისით ხშირად შეხება მისი კალამი ქართველ მწერლებსა და პოეტებს, ქართული ენის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებს. მათ შორის არის რაფიელ ერისთავის ნაწერების ენის შესახებ წერილი „იგავ-არაკნი, გალექსილი თ. რაფ. ერისთავისაგან“, რომელიც პირველად დაიბეჭდა „ივერიაში“ (1881, №12), შემდეგში შეტანილ იქნა ავტორის „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერების“ პირველ ტომში 1910 წელს. 1952 წელს ხელახლა დაიბეჭდა (რედაქტორები გ. თავზიშვილი, დ. ლორთქიფანიძე).

იაკობ გოგებაშვილი რ. ერისთავის შესახებ წერს: „თავ. რაფ. ერისთავი ეკუთვნის იმ მწერლების დასსა, რომელთადაც საუბარი ადამიანისათვის სასიამოვნოა. მას ჩვენს ლიტერატურაში დამსახურებული აქვს წმინდა სახელი, რომელიც, რამდენიც დრო გადის, იმდენი უფრო მატულობს. ეს სახელი ჩვენს პოეტს მოპოვებული აქვს სწორე გზით - თავის ნიჭით და ნაყოფიერების შრომით. თავის გამოჩენისათვის მას არასოდეს არ უხმარნია ფარად და ხმლად შური, კიცხვა, გინება და ლანძღვა გონების ნამოქმედარისა, რასაც დიდი სიამოვნებით ხელს ჰკიდებენ ბინძურის თავ-მოყვარეობით სავსენი, - მაგრამ გონებით უნიჭონი, ცოდნით ღატაკნი და ყოველს კეთილ-შობილს გრძნობას და წადილს-მოკლებული მჯღაბნელები“ (გოგებაშვილი, 1952: 280).

მის განსაკუთრებულ სასიამოვნო და შესანიშნავ თვისებად იაკობი მიიჩნევს იმას, რომ „თ. რაფაელს ხანი არამც თუ მხნეობას და ნიჭს ძალას არ უმცირებს, თითქო კიდევაც უმატებს. ამ ბოლო წლებშიაც ერთი ხეირიანი ლიტერატურული გამოცემა არ დაარსებულა, რომ იგი თავისი კალმით არ დახმარებოდეს; ქართული თეატრისათვის მისი მოღვაწეობა ხომ ყველას თვალწინ აქვს. მეორეს მხრით, თუ „ივერიაში“ წაგიკითხავთ მისი უმშვენიერესი ლექსი „სამშობლო ხევსურისა“, დამეთანხმებით, რომ აქ იხატება ისეთი ძლიერი, წრფელი და გატაცებული გრძნობა, რომელიც შეჰფერის ოც-და-ათის წლის ჯეფელს უნიჭიერესს მგოსანსა“ (იქვე, 281).

იაკობ გოგებაშვილს რ. ერისთავის ნაწერების ღირსებად მიაჩნია: ორიგინალობა, ქართულის ცხოვრების ბეჭედი, წმინდა ქართული ენა და შესაბამისი კილო.

რ. ერისთავის ნაწერების ორიგინალობაზე მიუთითებს ის, რომ „ის არავის არა ჰზამდევს, არავისი ზეგავლენა არ ეტყობა: გეგონება (რასაკვირველია ტყუილად) არც წაუკითხავს საუკეთესო თხზულებანიო. თავის ნაწერები ჩვენს პოეტს თვითონვე ეკუთვნის შინაარსითაც და ფორმითაც. ნაკლულევანებანიც მისია და ღირსებანიც. თარგმანშიაც კი თ. რაფაელი თავისებურობას იცავს და თავის საკუთარს ბეჭედს ასვამს სხვის გონების ნაწარმოებსაცა. ბევრს არ შეუძლიან დაიჩემოს ჩვენში ეს ღირსება“ (იქვე).

იაკობი მომავალი თაობის ჰარმონიული აღზრდისათვის უპირატესობას ანიჭებდა მრავალმხრივ განათლებას. ეს კი შესაძლებელია ისეთი მრავალფეროვანი ლიტერატურის კითხვით, სადაც ერის ცხოვრებაა ასახული. „არა გვგონია მეოთხე-მეხუთე პირი მოიძებნებოდეს ჩვენს ლიტერატურაში, რომელსაც ისე შეთვისებული ჰქონდეს ჩვენის ერის ცხოვრება. თ. რაფაელი ჩვენს ხალხს წიგნებიდან და შორიდან არ იცნობს. მას, როგორც ეტყობა, თვითონ უცხოვრია მათ შორის, თითქმის ყოველი კუთხე საქართველოსი გაუცვნია საკუთარის თვალთ და ყურით, უნახავს ხალხი ჭირშიაც, ლხინშიაც, ბედნიერ დღესაც და სადა დროსაც, შეთვისებულია მასთან გულის და გონების მრავალის ძაფებითა, და უყვარს ხალხი ისეთი, როგორიც არის, მის ღირსებით და ნაკლულევანებით; უყვარს არა თეორიულის სიყვარულით, რომელიც ხშირად ზეწარივით ეფარება რეალურს სიძულვილს ხალხისასა, არამედ ნამდვილი, ჭეშმარიტის გრძნობით. ამიტომ აზის ყოველს ნაწერს თ. რაფაელისას ისეთ ცხადი ბეჭედი ჩვენის ხალხისნობისა, ეროვნობისა“ (იქვე, 283).

იაკობმა კარგად იცოდა, რომ მარტო ხალხური პოეზია არ იყო საკმარისი დედაენის დაუფლებისათვის, და სწორედ ამიტომ შეიტანა სახელმძღვანელოებში როგორც სხვისი, ისე საკუთარი პროზისა და პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. მას სწამდა, რომ „ადამიანისათვის საუკეთესო სკოლა ცხოვრებაა“ და ამ ცხოვრებაში ხმარებული ენა უნდა იყოს სწავლების დასაყრდენი, მაგრამ როგორც ცხოვრების გაუმჯობესებისათვის საჭიროა შეგნება და ცოდნა, მისი გაუმჯობესება, ისე ხალხურ ენასაც სჭირდება ლიტერატურული ენის სასარგებლო გავლენა. სახელმძღვანელო უნდა შეიცავდეს, როგორც ხალხური პოეზიის, ისე ლიტერატურის საუკეთესო მოწამეებს (მეგრელიძე, 1973: 29).

იაკობ გოგებაშვილი ლიტერატურის ერთ-ერთ დიდ ღირსებად ენის ხალხურობას მიიჩნევდა და ამით აფასებს რ. ერისთავის შემოქმედებასაც. „ცოცხალი და ნამდვილი ხალხური ენა შეადგენს ერთს უპირველესს ღირსებას თ. რაფაელის ნაწერებისას. ამგვარი ენა ამშვენებს ყველა მის ლექსებს, სათეატრო პიესებს, სცენებს და მოთხრობებსა. მაგრამ სტატიების ენა კი ბევრად უკან ჩამორჩება და შესანიშნავად

კოჭლობს. შეადარეთ, მაგალითად, წინასიტყვაობა იგავ-არაკებისა თვით იგავ-არაკების ენასთან და ცხადად დაინახავთ, თუ რა დიდი მანძილი სძევს ამ ორ გვარ ნაწარმოების ენას შუა. ენის გარდა შინაარსითაც ვერ შეედრება ჩვენის პოეტის სტატიები მის სხვა ნაწერებს. ერთი ნაკლულევანება ენისა ხან - და - ხან გამოერევა ხოლმე მის სხვა ნაწერებშიც".

ამავე დროს იაკობი უსაყვედურებს მას, რომ ზოგჯერ ძველს ენასაც ურევს ახალში და ეს არაა კარგო. „თ. რაფაელმა ზე-მიწევნით იცის არა მარტო ცოცხალი ხალხური ენა, -- მას ძველებური, წიგნური ენაც მშვენიერად აქვს შესწავლილი, და ზოგჯერ ძველებურს, წიგნურს სიტყვებს და გამოხატულებას გამოურევს ხოლმე იქ, სადაც უნდა იხმარებოდეს ცოცხალი სიტყვები და გამოხატულებანი. ეს გარემოება უსწორ-მასწოროდ, ხორკლიანად ხდის მის ენას, თუმცა კი ძალიან იშვიათად“ (გოგებაშვილი, 1952: 282).

იაკობ გოგებაშვილის აზრით, როგორც სიმღერა-გალობაში, ისე ლექსებში პირველი ადგილი კილოს უჭირავს. „ისე არაფრით არ იცნობება ნამდვილი პოეტი, როგორც შესაბამისი კილოთი. მეორე მხრით, ისე აშკარად არაფერი გასცემს უნიჭო ლექსების მჯღაბნელსა, როგორც ულაზათო, უშნო კილო. ხშირად მოხდება ხოლმე ამ გვარი შემთხვევა: კითხულობთ ლექსსა, რითმითაც მდიდარია, ცენზურაც მტკიცედ არის დაცული, მაგრამ პოეტურს ჩაბეჭდილებს კი ლექსი ვერ სახავს თქვენში: თქვენ არ გრძნობთ იმ სიამოვნებას, რომელიც ყოველ ნამდვილს, ჭეშმარიტს ლექსს მოსდევს. გიკვირთ ესა და ვერაფრით აგიხსნიათ, ვერ მიხვედრილხართ, რა აკლია და აუმარილოებს ლექსსა. ბოლოს მიხვდებით, რომ ლექსი მოკლებულია პოეტურს კილოსა. კილო არის ნამდვილი მარილი პოეზიისა და როგორც უმარილო საჭმელი, რაც გინდა ნოყიერის მასალიდგან იყოს შედგენილი, უგემურია, ისე უკილო ლექსი უსიამოვნო და მახინჯია. თ. რაფაელის ნამდვილს პოეტურს კილოზედ არიან დაწერილნი და შეზავებულნი პოეტურის მარილით“ (იქვე, 284).

ყველა მოხსენებული ღირსება გვხვდება იგავ-არაკებშიც. „მეტადრე მარგალიტით გამოსჭვივის მათში ლაზათიანი, წმინდა ქართული ენა და ხალხურ-პოეტური კილო“. ამ კილოში იაკობი ლექსების მეტყველების სტილს გულისხმობდა. აქ ის ხაზს უსვამს იგავ-არაკების ენის ერთ განსაკუთრებულ, შესანიშნავ ღირსებას: „ლექსი ერთ-გვარი არ არის მთელს იგავ-არაკებში თავიდან დაწყებული ბოლომდინ. იგი იცვლება, ან გრძელდება, ან მოკლდება, ახალის ცხოველების ბაასის დაწყებით, ასე, რომ ერთსა და იმავე იგავ-არაკში დათვი ერთ-გვარის ლექსით ლაპარაკობს, მგელი მეორე გვარის ლექსით, მელია კიდევ სხვა ლექსით და სხვანი“ (იქვე, 284).

აქვე მიუთითებს იგავ-არაკების „წვრილმანაკლულევანებაზე“. „პირველსავე იგავ-არაკში გლეხი სამჯერა სცვლის ლექსსა და გვგონია, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ერთ-გვარის ლექსით ილაპარაკებდა“ (284). იაკობი შემდეგ ეხება ი. კრილოვის იგავ-არაკების სტილსა და თარგმანის „თვალსაჩინო ნაკლულევანებას“. „მთელი იგავ-არაკი ისეა შეკუმშული, რომ მეტს სიტყვას ერთსაც ვერ იპოვნით, თავიდან ბოლომდის რომ ბევრიცა სძებნოთ. მარჯვედ გამოხატვა აზრისა, მოკლედ მოჭრა სიტყვისა და მარილიანობა გამოთქმულობისა თანდათან მატულობს ყოველ კრილოვის იგავ-არაკში და ბოლოს თავდება იმისთანა მარჯვე, მოსხვეპილის და შეკუმშული ლექსით, რომ ბევრი ამ ლექსთაგანი რუსეთში სახალხო ანდაზად გადაიქცა“ (იქვე, 284).

იაკობი თვლის, რომ რ. ერისთავის მხატვრულ თარგმანში ზოგ ადგილას კრილოვის იგავ-არაკებს ეს ღირსება „მეტ-ნაკლებობით დაუკარგავთ“. „თარგმანი ხშირად ბევრით გრძელია დედანზედ. კრილოვის ერთის მუხლის გარდმოსაცემად ხშირად ჩვენი მთარგმნელი ხმარობს ორსა, სამსა და ოთხს მუხლსა და მოკლე სიტყვა ბრტყლად გამოჰყავს. დედანში ბოლო თითქმის უკეთესია დასაწყისზედ; თარგმანში კი თავი ხშირად მშვენიერად არის დაწყობილი, მაგრამ რამდენიც ქვევით მიდიხართ, იმდენი უფრო სუსტდება გამოხატულება, მარილი აკლდება, კილო ძირს ეშვება და დასასრული იგავ-არაკისა მოგაგონებთ სწორედ ნაბოლარასა. ვერც ერთს თარგმანში ვერ იპოვნით იმისთანა მოკლეს და მარჯვე გამოხატულებას, რომელიც საანდაზო იყოს“ (იქვე, 286).

იაკობი რ. ერისთავს შეახსენებს, „ზოგ ალაგას ქართულის გრამატიკის კანონი არ არის დაცული“. „იგავ-არაკში „კატა და ბულბული“ მეორე მუხლის პირველი ნახევარი ასე წაიკითხება: მას (ბულბულს) დაუწყო (კატამ) ალერსები. სახელი არსებითი ალერსი მრავლობითი რიცხვით არ იხმარება. თ. რაფაელს შეეძლო ეს ადგილი ასე შეეცვალა: დაუწყო ტკბილი ალერსი“.

ის გრამატიკის წინააღმდეგობას ხედავს წინადადებაში „ძაღვები ღრინავს“ და მიუთითებს, რომ „მართალია, ქართულს ენაში შესმენილი ხშირად მხოლოდობით რიცხვზედ ბოლოვდება, როდესაც ქვემდებარე მრავლობითის რიცხვისა, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ქვემდებარე ნიშნავს უსულო საგანს. მაგალითად, არ შეიძლება ვთქვათ: კაცები მოდის, ფრინველები ფრინავს, ძროხები ზღავის“. იაკობმა აქ გარკვევით გამოთქვა მოსაზრება ქართულ ენაში ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმების იმ წესზე, რომელიც ახლაცაა მიღებული.

იაკობ გოგებაშვილი ხაზს უსვამს ერთ გარემოებასაც: „ეს შეცდომა თ. რაფაელს იმიტომ კი არ მოსვლია, რომ ჩვენზედ უკეთესად არ იცოდეს გრამატიკის ხსენებული კანონი, რითმის გულისთვის

გადასულა კანონსა; მაგრამ ურითმოზა ბევრით სჯობია ენის აშკარა უკანონობას და გრამატიკა პოეტმა თავისდღეში არ უნდა ანაცვალოს რითმასა“.

იაკობი სტილისტურად გაუმართავად მიიჩნევს ზოგ ადგილს, სადაც მუხლებს უთანასწორობა ეტყობათ. მაგალითად: „თევზმა, გედმა და კიბომა ქირა აიღეს ძალიან ბლომად“. პირველ მუხლში რვა მარცვალია, მეორეში და შემდეგებში ათ-ათი მარცვალი და უთანასწორობა ლექსს არ უხდება“ (გოგებაშვილი, 1952: 287).

იაკობ გოგებაშვილს მოსწონს ისეთი მწერალი, რომელიც „რთულსა და ღრმა შინაარსს ისე ცხადად, ისე აშკარად, ისე ადვილად განახორციელებს მსუბუქ სიტყვებსა და ფრაზებს, რომ პატარა ბავშვსაც კი არ გაუძნელდება მისი გაგება და შეთვისება. იგავ-არაკში „ზეგნელი“ ჩვენი პოეტი საწყალ მთიულს ძალიან უწყრება, როგორ გაბედე ღვთის ქმნილების დაწუნებაო და სწყევლის: „ვის საქმეს სჯიდა, ჰკიცხავდა, შეხედეთ სულელს მზეზნელსა“. პოეტს აქაც დაურღვევია „ერთი ძირითადი კანონი იგავ-არაკებისა, რომელიც მოითხოვს ავტორისაგან, არ გაურიოს შიგ თავისი მსჯელობა ცხოვრების შესახებ და ადამიანის მოქმედებაზე და თუ საჭიროდ რაცხს თავისი აზრი გამოთქვას, ეს უნდა მოახდინოს იგავ-არაკის გათავების შემდეგ ზნის დარიგებაში“ (გოგებაშვილი, 1952: 287).

იაკობ გოგებაშვილის აზრით, იგავ-არაკების უმთავრეს ნაკლულევანება ის არის, რომ თ. რაფაელს „სიბრძნე-სიცრუიდან“ ამოუღია „ზოგიერთი ზნის სწავლებანი შეუსაბამონი, უაზრონი და თითქმის მავნებელნი“, „თუმცა უმეტეს ნაწილად ქართულის ანდაზებიდან შეუდგენია იგინი ავტორს“. მაგალითად, იგავ-არაკი: „მეფე და იმისი შვილები“ თავდება შემდეგი ზნის სწავლებით: „იზარალებ ყოველთვისა, ვინც არ უსმენს ბატონსაო (!)!“ იაკობი გარკვევით მიუთითებს: „ჩვენი პოეტი ქადაგებს ბატონ-ყმობის დროს მორალსა და მეექვსეს მიკონკილის მუხლით სრულს უაზრობას ბადავს“ (გოგებაშვილი, 1977:12).

იაკობ გოგებაშვილი იგავ-არაკების წერას ბევრად ძნელად მიიჩნევდა სხვა პოეტურ ნაწარმოების წერაზე. მთელმა ძველმა დრომ უნიჭიერესს ბერძნებში და რომაელებში აღზარდა მხოლოდ ერთი იგავ-არაკების მარჯვე მწერალი-ეპოპოსი. მთელმა საფრანგეთმა დაჰბადა მხოლოდ ერთი ლაფონტენი. ვებერთელა რუსეთის ხალხმა, რომლის რიცხვი ახლა თითქმის ასს მილიონამდის უწევს, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მხოლოდ ერთი ნიჭიერი მეიგავ-არაკი - კრილოვი-გამოიყვანა ამ ასპარეზზე. სხვა სახელმწიფოებში, სხვა ერთა შორის, სრულიადაც არ გამოჩენილან იგავ-არაკების მარჯვე მწერალნი. ის ფაქტი, რომ მთელს კაცობრიობაში მხოლოდ სამს გამოჩენილს იგავ-მეარაკესა ვხედავთ, აშკარად ამტკიცებს, თუ რა ძნელია ლაზათიანის და მარილიანის იგავ-არაკების წერა.

ამიტომ დიდ შემატებად თვლიდა ჩვენს ლიტერატურაში რ. ერისთავის იგავ-არაკებს: „დიდ ღვაწლად ვრაცხავთ მისი მხრით კრილოვისა და საბა ორბელიანის არაკების გალექსასა. ეს ღვაწლი ერთ-ოთხად კიდევ იმატებს, თ. რაფაელი მოიცლის, გულ-დადებით გადაათვალიერებს და შეასწორებს ახალის გამოცემისათვის თავის იგავ-არაკებსა, რომელთაც დიდი სარგებლობა უნდა მოუტანონ მეტადრე ჩვენს სახალხო სკოლასა.

იაკობი აქვე ამბობს, რომ იგავ-არაკების მეორე გამოცემა ეკუთვნის „წერა-კითხვის საზოგადოებას“, რომელსაც „თუმც ფული არ დაუშურებია გამოცემისათვის და თითო ეგზემპლარი აბაზამდის დასჯდომია, მაგრამ არც ქაღალდია საქები, არც ბეჭედი და არც სურათები. საზოგადოების გამოცემანი ხშირად გამოვლენ ასე მდარენი, თუ თვითონ ავტორებს მიანდობს გამოცემის შრომას და თავდარიგსა და არ იშოვნის ამ საქმეში გამოცდილს პირსა, რადგანაც თბილისში რიგიანად წიგნის გამოცემა ხშირად უფრო მომეტებულს შრომას და ფაცა-ფუცს ითხოვს, მინამ თვითონ მისი დაწერა“.

ი. გოგებაშვილი თავგამოდებით იბრძოდა ქართული ენის სიწმინდისათვის, დაუზოგველად ამხელდა საერთო-სახალხო ენის პოზიციებიდან გადახვევის ცალკეულ შემთხვევებს, და, თუ გოგებაშვილს, მაშინდელი გრამატიკული აზროვნების დონის მიხედვით, ზოგჯერ ენობრივი მოვლენის ინტერპრეტაცია ბოლომდის მიყვანილი არა აქვს, სამაგიეროდ, მისი ალღო სწორია, ამის შესაბამისად, დასკვნაც მისაღებია (ძიძიგური, 1957:101).

იაკობ გოგებაშვილმა ვრცლად მიმოიხილა საყმაწვილო ჟურნალი „ნობათი“ ენობრივ - სტილისტური თვალსაზრისით და ყურადღება გაამახვილა ენის სიწმინდის დარღვევის მაგალითებზე. ის გარკვეულ შეფასებას აძლევს ჟურნალ „ნობათის“ სანიმუშო ნომრის პირველს გვერდზე დაბეჭდილ რაფ. ერისთავის ლექსს „მიწვევა სასწავლებელში“, რომელიც რუსულიდან არის გადმოღებული; მაგრამ ქართულად არის გაფურჩქნული, ქართულად მონათლული და ქართულს ტანისამოსში გამოწყობილი. როგორც სხვა ლექსები პატივცემული პოეტისა, ეს ლექსიც შესანიშნავია წმინდა ხალხური ენით, პოეტური კილოთი და თბილი გრძნობით. იგი სწორედ რომ კარგი შემატებაა ჩვენი საბავშვო ლიტერატურისათვის, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, აქამდინ მეტად ღარიბია საბავშვო ლექსებითა.

ამ ლექსის ნაკლად იაკობი მიიჩნევს ორ სტრიქონს: „მერცხალმაც კი იჭიკჭიკა, არ დააცხრო ტკბილი ენა“. არ დააცხრო, აქ ცოტა შეუსაბამო სიტყვაა, რადგანაც მხოლოდ მაშინ იხმარება, როდესაც ვინმე

ლაპარაკს, ან სიმღერას თითქმის არა სწყვეტს; მერცხალს კი ენა დადუმებული ჰქონდა მთელს ღამეს და მხოლოდ მეორე დილას ხელმეორედ მორთო ჭიკჭიკი. „არ დააცხრო“-ს მაგიერ რომ იყოს: კვლავ გვასმინა ტკბილი ენა, უკეთესი იქნებოდა. „კოდალა ხეს უკაკუნებს და მწყერჩიტა ცაში გალობს“. მწყერ-ჩიტა ძალიან უბრალო ჩიტია, გალობის მაგიერ უსიამოვნო ჭყვივლი იცის და ბუჩქების პირს სრულიად ვერ ასცილდება. აშკარაა, რომ მას აქ სრულიად უსაფუძვლოდ დაუჭერია პოეტური ჩიტის, მხიარული მომღერალის, მაღლა მფრინავის-ტოროლას ადგილი. ამ ლექსში ზოგი წუნს სდებს ნაწყვეტ-ნაწყვეტობას, რის გამოისათ ლექსის წაკითხვა ბოლოდგანაც შეიძლება; მაგრამ ამ ნაკლულევანებას საბავშვო ლექსში კარგი მხარეცა აქვს: რადგანაც ყოველი სტრიქონი სრულ წინადადებას შეადგენს, ამიტომ ბავშვს ამ ლექსის კითხვა, გაგება და ზეპირად დასწავლა ძლიერ უნდა გაუადვილდეს. (გოგებაშვილი, 1954:13).

ჟურნალ „ნობათისადმი“ მიძღვნილ მეორე წერილში განხილულია რ. ერისთავის ლექსი: „ჯერ შრომა, მერე ხტომა“. ეს ლექსი ერთხელ კიდევ ცხადად ჰყოფს ერთი ანდაზის სიმართლესა -- აღნიშნავს იაკობი: „ერთი ალილუია“ თვით ფრიად გაგარჯიშებულს მღვდელსაც შესცდებოდა. ეს ლექსი რუსულს ენაზედ საუკეთესო საბავშვო ლექსთაგანია, ქართულად-კი ჩვენს პატივცემულს პოეტს გადმოუღია ისე სუსტად, რომ მკითხველი მის დამწერად ჩასთვლიდა რომელსამე ხამს კალამს, ჟურნალის ყდა რომ არ ააშკარავებდეს ნამდვილს მის ავტორსა. კილო ლექსისა არის მეტად დაბალი, სტრიქონები მეტად მოკალოებულია, ძლიერ აკლია სიცოცხლე, ღარიბია მეტად რითმითა, სურათების ნაწილიც მოკლედ არის შეკვეცილი და მალმალ იმეორება „გრძელი მიძახილი“ (გოგებაშვილი, 1954:26).

იაკობის აზრით, ყველა ამ ნაკლულევანებას კაცი კიდევ როგორმე შეურიგდებოდა, რომ აზრი მაინც მკვირცხლად და მკაფიოდ იყოს გამოთქმული; საუბედუროდ, ამ მხრივაც დიდი შეუსაბამობა არსებობს. რუსულს დედანში ბავშვი, ოთახში მოკალათებული, მეცადინეობს. გაკვეთილს სწავლობს ერთგულად თავის თავად, სწავლით გატაცებული, მას არც მამის შიში აქვს და არც ოსტატი მისჯდომია გვერდით. ჩვენს პოეტს მამაც სცენაზედაც ჰყავს წამოყენებული და ოსტატიცა. ბავშვის ერთგულება სწავლისა ჰბდება შედეგად გარეგანი ორ-გვარი ძალ-დატანებისა და ჰკარგავს ბავშვების თვალში კარგი მაგალითის მიმზიდველობისა.... მომღერალი ჩიტი გარედ იწვევს ბავშვს, გამოდი დასტკბი ჩემი გალობითაო. ბავშვი - კი აი რა პასუხს აძლევს: „შენ თუ მორჩი მღერასა, მაშ მეც მოვრჩე წერასა“. „ეს შეუსაბამობა პოეტს მოსვლია რითმის გულისთვის; მაგრამ აზრის დამახინჯება კეთილხმოვანებისათვის ყოველთვის მავნებელია, მეტადრე საბავშვო ნაწერებში. საკვირველია, რომ თუმცა ბევრგან რითმისათვის მსხვერპლად შეუწირავს აზრი ჩვენს პოეტსა, მაგრამ კეთილხმოვანების დამყარება მაინც ვერ მოუხერხებია. ყველაფრიდან სჩანს, რომ ავტორი პოეტურს მდგომარეობაში არ ყოფილა ამ ლექსის წერის დროს, ძალა დაუტანებია კალმისათვის და ლექსი კუტად ჰქცევია. მიუცილებლად საჭიროა, რომ ეს მშვენიერი ლექსი ხელმეორედ გადმოიღოს რუსულიდან ან თვით თ. რაფ. ერისთავმა და ან რომელმამე ჩვენმა დიდმა პოეტმა (გოგებაშვილი, 1954: 26).

იაკობი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მთარგმნელობით მუშაობას, მაგრამ წინააღმდეგი იყო ისეთი შემთხვევების, როცა დედანში გამოხატული აზრი თარგმანში უგულებელყოფილი იყო. „სამწუხაროდ, ჩვენში თარგმანებრივს ლიტერატურას ისე აზუჩად იჭერენ და ისე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, რომ ორს-სამს მარჯვე მთარგმნელს ვერ დაგვისახელებთ მთელს ქართულს განათლებულს დასში“ (იქვე).

ამრიგად, იაკობ გოგებაშვილმა რაფიელ ერისთავის ნაწერების ენისადმი მიძღვნილ კრიტიკულ წერილებში საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა მწერლის ინდივიდუალური სტილის ნიშანდობლივი თავისებურებების, ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვისა და ნათარგმნი ლიტერატურის დედანთან მიმართების საკითხების შესახებ.

ლიტერატურა:

ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1, თბ., 1952.

ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 2, თბ., 1954.

ი. გოგებაშვილი, დიდი ნაკლის შევსება: რევოლუციამდელი საყმაწვილო ლიტერატურის კრიტიკა, თბ., 1952.

ივერია, 1881, №12.

ი. მეგრელიძე, იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა, თბ., 1973.

შ. ძიმიგური, მწერლის ენა, თბ., 1957.

Mariam Koberidze
Gori State Teaching University
IAKOB GOGEBASHVILI ABOUT LANGUAGE OF RAPHAEL ERISTAVI'S WRITINGS
RESUME

Iakob Gogebashvili discussed thoroughly the language of Raphael Eristavi's writings in the critical letters: "Fables, rhymed by T. Raph. Eristavi" and "Present", he advanced interesting opinions about significant features of the writer's individual style, protection of purity of Georgian Literary Language and issues of translated literature towards original.

ლევან კოჭლამაზაშვილი
სსიპ ჩერქეზული (ადილეური) კულტურის ცენტრი

ზოგიერთი სახელის ბრუნების თავისებურებანი ქიზიყურში

ქიზიყური ქართულის სხვა დიალექტთა მსგავსად სამწერლობო ენისაგან გარკვეულ სახესხვაობებს გვიჩვენებს, რომელთაც ვხვდებით ენობრივი იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე. ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიპყრო მეხილეობის ლექსიკამ და მასთან დაკავშირებულმა ცალკეულმა თავისებურებებმა, რომელიც სხვა კილოებისა და სამწერლობო ქართულისაგან განსხვავებულ მონაცემებს ასახავს.

მეხილეობა, როგორც სამეურნეო დარგი, მეტად განვითარებულია საქართველოს ამ მხარეში. დაწინაურებულია როგორც ტკბილი, ისე მჟავე ხილეული კულტურა და მის კვებით გამოყენებას ვხვდებით წელიწადის ოთხსავე დროს. ქიზიყში სხვა კუთხეთაგან განსხვავებით ქლიავისა და ბროწეულის მეხადეობა უპირატესია და მოსახლეობა განარჩევს როგორც ველურ (ტყიურ), ისე შინაურ ჯიმ-სახეობებს.

საინტერესოა, რომ დასახელებულ მცენარეთა აღმნიშვნელი სიტყვებიც ერთგვარ თავისებურებას ამჟღავნებენ ბრუნებისას: ფორმაცვალებადობის დროს ორსავე შემთხვევაში ხორციელდება ფუძის შინაგანი ფლექსია, რომლის ახსნის მცდელობასაც წინამდებარე ნარკვევში გვექნება.

ბროწეული ერთ-ერთი ძველი ქართველური წარმოშობის სიტყვაა, რომელსაც მონათესავე ენათა არქაულ ლექსიკაში ვხვდებით და შესატყვისებიც გააჩნია¹:

ქართ. **ბროწ-ეულ-ი**

კოლხ. **ბერწ-ულ-ი** (მეგრ.), **ბერწ-ეულ-ი** (ჭან.)

სვან. **ბროწ-ეულ**

ქიზიყურში ამ სიტყვაში განხორციელდა ბგერათშეწყმა უშუალო მეზობლობაში მყოფ ე და უ ხმოვანთა შორის: **ბროწეული** > **ბროწილი**. თავის მხრივ, სახეცვლილი ფორმა ბრუნებისას ვოკალურ სინკოპეს განიცდის და ფუძისეული **ო** სრულად რედუცირდება ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში, აგრეთვე მრავლობითი რიცხვში²:

	<i>მხოლ. რ.</i>	<i>მრავლ. რ.</i>
სახ.	ბროწ-ოლ-ი	ბროწ-ლ-ებ-ი
მოთხ.	ბროწ-ოლ-მა	ბროწ-ლ-ებ-მა
მიც.	ბროწ-ოლ	ბროწ-ლ-ებ
ნათ.	ბროწ-ლ-ი-(ა)	ბროწ-ლ-ებ-ი-(ა)
მოქმ.	ბროწ-ლ-ით	ბროწ-ლ-ებ-ით
ვით.	ბროწ-ლ-ად	ბროწ-ლ-ებ-ად
წოდ.	[ბროწ-ოლ-ო]	[ბროწ-ლ-ებ-ო] ³

¹ იბ. ჩიქობავა 2008, 136.

² შდრ. თოფური 1979, 155; ბარამიძე 2009, 29-32.

³ წოდებითის ფორმით განხილული სიტყვა არ მაქვს დადასტურებული, მაგრამ პარადიგმის შინაგანი რეკონსტრუქციის საფუძველზე ასეთი ფორმით ვფიქრობ მის შესაძლო არსებობას.

ო ხმოვნის სინკოპე ერთგვარი კანონზომიერებით აიხსნება, რომ თუ იგი მეორეული წარმოშობისაა ფუძეში, სუსტი პოზიცია გააჩნია და ექვემდებარება კუმშვას. მართლაც, დეტერმინანტ სუფიქსში ო მიღებულია ე და უ ხმოვანთა კონტრაქციის შედეგად, სადაც შენარჩუნდა, ერთი მხრივ, საშუალო აწეულობა (ე ხმოვნისა) და, მეორე მხრივ, უკანა რიგი (უ ხმოვნისა).

სახელ „ბროწეულის“ ბრუნებისას ამ ბოლოს ქიზიყურის ცალკეულ თქმა-ქცევებში თითქოს თავი იჩინა შერეულმა ფორმათწარმოებამ, რასაც სამწერლობო ენის გავლენად მივიჩნევ: უკუმშველ ბრუნებში გვხვდება ისეთივე ფორმით, როგორითაც წარმოდგენილია სამწერლობო ენასა და სხვა კილოებში (მაგ., რაჭულში, იმერულში...), ხოლო იმ ბრუნებში, რომელთაც სახელური ფუძის ფლექსია ახასიათებს, ქიზიყური ფუძით ჩნდება:

	<i>მხოლ. რ.</i>	<i>მრავლ. რ.</i>
სახ.	ბროწ-ეულ-ი	ბროწ-ლ-ებ-ი
მოთხ.	ბროწ-ეულ-მა	ბროწ-ლ-ებ-მა
მიც.	ბროწ-ეულ	ბროწ-ლ-ებ
ნათ.	ბროწ-ლ-ი	ბროწ-ლ-ებ-ი-(ა)
მოქმ.	ბროწ-ლ-ით	ბროწ-ლ-ებ-ით
ვით.	ბროწ-ლ-ად	ბროწ-ლ-ებ-ად
წოდ.	[ბროწ-ეულ-ო]	[ბროწ-ლ-ებ-ო]

/ბროწოლ-/ ფუძეში კონტრაპირებული ო ხმოვნის არსებობა ქიზიყურში არქაული მოვლენაა, რაზეც მეტყველებს ის გარემოებაც, რომ კუთხის ტოპონიმიკაში დასტურდება სოფლის სახელწოდება – *ბროწლიანი*.

ზემოთ როგორც იქნა თქმული, თავისებური ბრუნება ახასიათებს სახელ „ქლიავს“ ქიზიყურში. სტეფანე მენთემაშვილის ლექსიკონში მის აღმნიშვნელ სიტყვად მოყვანილია ფორმა *ქლივარი*¹, რომელიც თანამედროვე ქიზიყურის ცალკეულ თქმებსა შემორჩენიათ, უმეტესად სამწერლობო ენის გავლენით დამკვიდრებული /ქლიავ-/ ფუძე გვხვდება.

საინტერესოა, რა საფუძველი უნდა ჰქონოდა ქლიავ- > ქლივარ- ფონეტიკურ პროცესს ქიზიყურში. იგი ქართველურ ენობრივ სამყაროში ნასესხები ირანული ფუძეა და ქართულის გზით შევიდა როგორც სვანურში, ისე მეგრულში, ლაზურში კი კომპოზიტის სახით გვხვდება²:

სვან. *ქილვარდ, ქილვარი, ქილმავ, ქირვად*
 კოლხ. *მაროშინაშყომური* (ლაზ.)
 ქართ. *ქლიავ-ი*

როგორც ჩანს, ქიზიყურ ფუძეში თავდაპირველად განხორციელდა აუსლაუტის პოზიციაში ვ>რ დისიმილაციური გარდაქმნა³ (ქლიავ > *ქლიარ) -*არ* დეტერმინანტი სუფიქსის ჩამოსაყალიბებლად, თუმცა **ქლიარ* ფორმა მაინც ვერ დაექვემდებარებოდა ფუძის ფლექსიის (კუმშვის) გამომუშავებულ წესს. ამიტომ უშუალო მეზობლობაში მყოფ ი და ა ხმოვანთა შორის აღადგინა სახეცვლილი ფუძისეული ვ თანხმოვანი⁴ – *ქლიავ-ი* > **ქლიარ-ი* > *ქლივ-არ-ი*, რათა შესძლებოდა -VS აგებულების დეტერმინანტი სუფიქსის შემცველ სახელურ ფუძეთათვის მახასიათებელი ხმოვნის სინკოპირება⁵; ეს ამ შემთხვევაშიც იჩენს თავს:

	<i>მხოლ. რ.</i>	<i>მრავლ. რ.</i>
სახ.	ქლივარ-ი	ქლივ-რ-ებ-ი
მოთხ.	ქლივარ-მა	ქლივ-რ-ებ-მა
მიც.	ქლივარ	ქლივ-რ-ებ
ნათ.	ქლივრ-ი-(ა)	ქლივ-რ-ებ-ი-(ა)
მოქმ.	ქლივრ-ით	ქლივ-რ-ებ-ით
ვით.	ქლივრ-ად	ქლივ-რ-ებ-ად
წოდ.	[ქლივარ-ო]	[ქლივ-რ-ებ-ო]

¹ მენთემაშვილი 1943, 195.

² მაყაშვილი 1961, 73.

³ ვ>რ დისიმილაციური გარდაქმნა სხვა შემთხვევებშიც განხორციელებულა ქართულ კილო-თქმებში: მავთული > მართული... ქართ. ყვავი – ლაზ. *ყვარია > კვარია და ა. შ.

⁴ ვ ბგერის ინტერგოკალურ პოზიციაში განვითარება აფიქსის პოზიციის გამყარების მიზნით სხვა შემთხვევაშიც მომხდარა ქართულში, როდესაც დერივაციული კონფიქსი *მე-ე* ერთვის ხმოვნიან ფუძეს: ტყე – მე-ტყე-ვ-ე, ეზო – მე-ეზო-ვ-ე, დრო – მე-დრო-ვ-ე და სხვ. ზმნებშიც: დაჯილდოება – ა-ჯილდო-ვ-ებ-ს, მუშაობა – ი-მუშა-ვ-ა...

⁵ იმის მიუხედავად, რომ /ია/ კანონიკური და მყარი ხმოვანთკომპლექსია ქართულში, მისი სუპერაცია განხორციელდა ძირეულ მორფემაში, რომ მყარი პოზიცია ჰქონოდა წარმოქმნილ -*არ* დეტერმინანტ სუფიქსს.

სახელ „ქლიავის“ ბრუნებას სპეციფიკას ამჟღავნებს ფორმაცვალებადობის პროცესში და ქიზიყურის განაპირა თქმა-ქცევებში, სადაც დიდია სალიტერატურო ქართულისა ან სხვა კილოთა (თუშური, ხევსურული...) ზეგავლენა, შერეულად იბრუნვის. პრინციპი აქაც იგივეა, რაც ზემოთ განხილულ შემთხვევაში იყო: ფუძეუკუმშველ ბრუნვებში სამწერლობო ენის ფორმით გვხვდება, კუმშვად ბრუნვათა წყებაში კი საკუთარ ფორმას ინარჩუნებს:

	<i>მხოლ. რ.</i>	<i>მრავლ. რ.</i>
სახ.	ქლიავ-ი	ქლივ-რ-ებ-ი
მოთხ.	ქლიავ-მა	ქლივ-რ-ებ-მა
მიც.	ქლიავ-	ქლივ-რ-ებ
ნათ.	ქლივრ-ი-(ა)	ქლივ-რ-ებ-ი-(ა)
მოქმ.	ქლივრ-ით	ქლივ-რ-ებ-ით
ვით.	ქლივრ-ად	ქლივ-რ-ებ-ად
წოდ.	[ქლიავ-ო]	ქლივ-რ-ებ-ო

ფუძის ფლექსია ქიზიყურში უმეტესად იმავე სახელებს ახასიათებს, რომლებიც სამწერლობო ქართულშიც ასეთსავე წესს ექვემდებარება, მაგრამ ცალკეულმა გამონაკლისებმა იჩინა თავი, რომელიც სხვა დიალექტებისა და სალიტერატურო ენისაგან განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს.

საინტერესოა, რომ ორსავე განხილულ შემთხვევაში გამოიკვეთა მსგავსი ფონეტიკური გარდაქმნა ფუძისეული ხმოვნის სინკოპირებისა. შესაძლოა ეს პროცესი სხვა სახელებშიც ხორციელდებოდა, თუმცა სამწერლობო ენისა ან კილოს ზეგავლენამ მოშალა დროთა განმავლობაში სწორედ იმავე საფეხურების გავლით, როგორც ეს შერეული ბრუნების წარმოქმნითაა განპირობებული ცალკეულ თქმა-ქცევებში.

ლიტერატურა:

1. **ბარამიძე 2009:** ლ. ბარამიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი
2. **თოფურია 1979:** ვ. თოფურია, შრომები, ტ. III, თბილისი.
3. **მაყაშვილი 1961:** ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.
4. **მენტეშაშვილი 1943:** ს. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი.
5. **ჩიქოზავა 2008:** არნ. ჩიქოზავა, შრომები, ტ. IV.

Levan Kochlamazashvili

Centre for the Circassian (Adyghe) Culture

THE SPECIFICS OF CERTAIN NOUN DECLINATION IN KIZIQIAN DIALECT OF GEORGIAN LANGUAGE RESUME

There is an analysis in the vocabulary of fruit which is characterized by specific declination in Kiziqian dialect of Georgian Language. The words: *ბროწეული* ‘pomegranate’ and *ქლიავი* ‘plum’ have changed phonetical similarities and acts as the flexion of the root.

დინამიკა გერმანული ენის სიტყვაწარმოებითი აფიქსების ინვენტარში

ჰენცენი თავის წიგნს „Deutsche Wortbildung“ (1965) იწყებს შემდეგი სიტყვებით: „სიტყვაწარმოების თეორიის უპირველესი ამოცანაა, მიჰყევს (თვალი გაადევნოს) იმ განსხვავებულ გზებს, რომელთა საშუალებითაც ხდება ჩვენი ენის ლექსიკური ფონდის განვითარება“¹ (Henzen 1965, 1). თანამედროვე ლინგვისტიკა ფერდინანდ დე სოსიურიდან მოყოლებული განასხვავებს ენის განხილვის ორ - დიაქრონიულ (ისტორიულ) და სინქრონიულ - მიდგომას. ენის სინქრონიული განხილვა გულისხმობს ენის მდგომარეობის, სისტემურ-ენობრივი ურთიერთმიმართებების აღწერას დროის გარკვეულ მომენტში. დიაქრონიული სიტყვაწარმოების თეორიის ამოცანაა, აღწეროს ენის ისტორიული განვითარება, წარმოადგინოს ენობრივი ცვლილებების კანონზომიერებები და განვითარების ძირითადი ტენდენციები, ახსნას ენის სიტყვაწარმოებითი პროცესები და მრავალი მისი დღევანდელი მოვლენა (იხ. მაგ., Saussure 2001; Fleischer 1976, 24-25; Olsen 1986, 3 და შემდ.). ნაკლებად შესაძლებელია სიტყვაწარმოების სინქრონიული კვლევისას ისტორიულ ფენომენზე უარის თქმა. როგორც ფლამერი აღნიშნავს, ასეთ შემთხვევებში

არ იქნებოდა მიზანშეწონილი დინამიკური ელემენტის უგულვებელყოფა სინქრონიული აღწერიდან [...]. დიაქრონიული განხილვა, ასე ვთქვათ, ეხმარება ენის დღევანდელი სისტემის სინქრონიულ აღწერას [...]. (Fleischer 1976, 24-25)

ამდენად, დინამიკა, რომელიც მუდმივად არსებობს სიტყვაწარმოებაში (იხე როგორც ენის ყველა ასპექტი) მის სინქრონიულ ჭრილში შესწავლის დროსაც კი მოითხოვს ისტორიული განვითარების პროცესების გათვალისწინებას (შდრ., ასევე: Stepanowa/Fleischer 1985, 168; Erben 2006, 133; Schippan 2002, 118-119).

ნაშრომის მიზანია, დიაქრონიული და სინქრონიული კვლევის საფუძველზე აღწეროს ისტორიულ-ენობრივი ცვალებადობა (დინამიკა) გერმანული ენის სიტყვაწარმოებითი აფიქსების განვითარებაში, წარმოადგინოს აფიქსების ინვენტარის გაფართოების გზები და ენობრივ-სისტემური ცვლილებების გამომწვევი მიზეზები, გამოკვეთოს სიტყვაწარმოებითი სისტემაში მიმდინარე ენობრივი პროცესების უშუალო კავშირი ენის სხვა ქვესისტემებთან.

სიტყვაწარმოებითი მორფემების ინვენტარი (შემადგენლობა) გრამატიკულ მორფემებზე ბევრად უფრო მდიდარი, მრავალმხრივი, მაგრამ მათზე უფრო ნაკლებად დახურულია, შდრ. Mater, Rückläufiges Wörterbuch der deutschen Gegenwartssprache (1965). ძირეული მორფემებისაგან განსხვავებით სიტყვაწარმოებითი მორფემები (აფიქსები) დაკავშირებული მორფემებია და ძირეულ (ბაზისურ) მორფემებთან შეკავშირებით აწარმოებენ კომპლექსურ სიტყვებს. თავისი ფუნქციის მიხედვით მათ ასევე უწოდებენ „ფორმანტებს“ „Formantien“² (Formans - 'წარმომქმნელი' მორფემა, 'Formationsmorpheme', იხ. Erben 2006, 28-29) და „დერივატემებს“ „Derivateme“ (ლათ. derivatio -დან, ე.ი. 'მაწარმოებელი ელემენტები') (H. J. Vermeer, წიგნში: Erben 2006, იქვე). მორფოსინტაქსური თვალსაზრისით სიტყვაწარმოებითი აფიქსებს შეუძლიათ სიტყვების სხვა მეტყველების ნაწილში ტრანსპოზიცია და/ან მნიშვნელობის მოდიფიკაცია, მაგრამ არ შეუძლიათ თვითონ იყვნენ ბაზისური ელემენტები (Fleischer/Barz 2007, 26); გამონაკლისია mißlich, urtümlich, urig, Ungetüm. გერმანული ენის სიტყვაწარმოებითი აფიქსების კლასიფიკაცია ხორციელდება კომპლექსურ სიტყვაში ძირეულ მორფემებთან მიმართებაში მათი პოზიციის, მეტყველების ნაწილის მარკირების, მორფოსემანტიკური ფუნქციისა და მათი წარმოშობის მიხედვით (იხ. ვრცლად: Fleischer/Barz 2012, 52-55).

ენის სისტემისათვის დამახასიათებელი დინამიკა, როგორც აღინიშნა, ეხება სიტყვაწარმოებითი მორფემებსაც: ზოგიერთი ელემენტი ქრება ენიდან, ზოგი - კი ჩნდება. ახალი სიტყვაწარმოებითი მორფემების (აფიქსების) განვითარება ისტორიული პროცესია. აფიქსების ინვენტარის გაფართოება სხვადასხვა გზით ხდება: პირდაპირი სესხებით, უცხოენოვანი ელემენტების მორფემატიზაციით, ან

¹ აქ და შემდგომში თარგმანი ჩვენია - ლ. მ.

² ამ ტერმინს ხმარობენ ქართული ენის ლექსიკოლოგიაშიც (იხ. მაგ., ენათმეცნიერების ... 1972, 190-191).

ლექსების "გრამატიკალიზაციით", რაც შესაბამისად უკავშირდება მნიშვნელობის ცვლილებას (იხ. Fleischer/Barz 2012, 53; Erben 2006, 144 და შემდ.; Stepanowa/Fleischer 1985, 68).

გერმანულ ენაში აფიქსების გარკვეული ნაწილი ისტორიულად დამოუკიდებელი მარტივი სიტყვებიდან განვითარდა. კარგად განვითარებული კომპოზიციური ტიპების სიმრავლემ ისტორიული განვითარების პროცესში გამოიწვია რთული სიტყვის კომპონენტებიდან აფიქსების წარმოქმნა. როგორც ერბენი აღნიშნავს, ზოგიერთი კომპონენტის ხშირი გამოყენების შედეგად შესაბამისი ენობრივი ელემენტი "თანდათან სტოვებს თავისუფალი მორფემის სტატუსს", ამასთან ენობრივი მოვლენა დასრულდება მხოლოდ მაშინ, როდესაც "აღნიშნული მორფემა უკვე აღარ გამოვა დამოუკიდებლად, ან როდესაც მოხდება მისი ბგერითი (შდრ. *bei/be-*) ან შინაარსობრივი დიფერენციაცია", რაც იმას ნიშნავს, რომ ელემენტის სერიული პრეფიქსული ან სუფიქსური გამოყენება მთლიანად აღარ აიხსნება ომონიმი თავისუფალი მორფემის მხრიდან და ახალი აფიქსი ქვესისტემაში დაიკავებს თავის შესაბამის ადგილს (Erben 2006, 144). დღეს გერმანულ ენაში ფუნქციონირებს რიგი ისეთი სუფიქსებისა, რომლებიც ძველ ზემოგერმანულ ან საშუალ ზემოგერმანულ პერიოდში გვხვდებოდა დამოუკიდებელ მარტივ სიტყვებად. განვიხილოთ რამდენიმე ასეთი შემთხვევა:

მაგალითად, სუფიქსი *-schaft* ეტიმოლოგიურად უკავშირდება ზმნა *schaffen* -ს 'შექმნა; გაკეთება, შესრულება' (გუთ. *skapjan*, ძვ.ზგ. *scaffan*) (Henzen 1965, 190; Kluge 1925, 21). მისი თავდაპირველი ფორმებია: ძვ.ზგ. *scaf*, *Gestalt*, *Beschaffenheit* 'ფიგურა, ფორმა, სახე; თვისება, ვითარება', გვიანდელი ძველი ზემოგერმანული დროიდან კი ელემენტი გვხვდება როგორც რთული სიტყვის კომპონენტი *-scaf(t)* (შდრ.: ძვ.ზგ. *fiantscaf*, *friuntscaf*; საშ.ზგ. *schaft*, *Geschöpf*, *Gestalt* 'არსება, ქმნილება; ფიგურა, ფორმა, სახე', ასევე *-schaft*, მაგ.: საშ.ზგ. *vriuntschaft*, *meisterschaft*, *ritterschaft*; ახ.ზგ. *bürgerschaft*, *nachbarschaft*). აღნიშნული სუფიქსი განვითარდა მარტივი დამოუკიდებელი სიტყვიდან (შდრ., Kluge 1925, 21; Kluge 2002, 791; DUHW 2007, 704). სუფიქსის სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა: კრებითობის გამოხატვა, მაგ., *Studentenschaft*, *Bauernschaft*; სიტყვები: *Bruder-*, *Mann-*, *Nachbarschaft* წარმოადგენს გამონაკლისს და ამასთან დემოტივირებული წარმონაქმნებია; სხვა სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა: 'მდგომარეობა, შინაგანი დამოკიდებულება', მაგ., *Freund-*, *Feindschaft*; დემოტივირებულია: *Botschaft* 'ამბავი, ცნობა, შეტყობინება; საელჩო', *Gesellschaft* 'საზოგადოება, გაერთიანება, კავშირი; ამხანაგობა', *Wirtschaft* 'მეურნეობა, ეკონომიკა; ტრაქტირი, რესტორანი', და სხვ.

სუფიქსი *-heit* წარმოიშვა საშუალო ზემოგერმანული მარტივი სიტყვისაგან *heit* მნიშვნელობით 'Art und Weise, Beschaffenheit, Eigenschaft, Person, Stand' 'ხერხი, საშუალება, ვითარება, თვისება, პირი/პიროვნება, მდგომარეობა, წოდება' (Henzen 1965, 188). შესაბამისი არსებითი სახელი გვხვდება სხვა გერმანიკულ ენებშიც, შდრ., გუთ. *haidus*, ძვ.ინგლ. *hād*, ძვ.საქს. *hēd* (Henzen, იქვე; Kluge 1925, 20); მოგვიანებით გვხვდება როგორც რთული სიტყვის კომპონენტი, შდრ., ძვ.ზგ., საშ.ზგ. *gotheit*, *wārheit*, *wisheit*, *schönheit*, და საშუალ ზემოგერმანულ პერიოდში კი უკვე მისი ვარიანტები: *-(e)cheit/-keit* (ძვ.ზგ. *bittarheit*, საშ.ზგ. *bitterkeit*, *êwekeit*, *êwecheit*). შემდეგი ცვლილება ხდება გვიანდელ საშუალ გერმანულში: *-igkeit*. განვითარდა ტენდენცია, სუფიქსი *-keit* დაუკავშირეს *-ig* -ით ნაწარმოებ სიტყვებს, მაგალითად: *festigkeit*, *gerechtigkeit* (იხ. Kluge 1925, 20). საინტერესოა ისიც, რომ *-heit* სუფიქსით წარმოებამ ჩაანაცვლა უკვე მოძველებული *-i* და *-ida* სუფიქსებით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები და დაიმკვიდრა თავისი ადგილი არსებითი სახელების სუფიქსების სისტემაში. (ამ ტიპის აბსტრაქტები მხოლოდ რამდენიმეა ფუნქციონირებს დღეს გერმანულ ენაში, შდრ., მაგ., *Dicht-e*, *Fläch-e*, *Näh-e*, *Freu-de*, იხ. Erben 2006, 146-147.) სუფიქსის სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა: ადამიანის ან საგნის თვისებები: მაგ., *Ehrlichkeit* 'პატიოსნება', *Benommenheit* 'დარცხვენილობა, დათრგუნულობა; შებოჭილობა', *Frechheit* 'თავხედობა, უტიფრობა, კადნიერება', *Dunkelheit* 'სიბნელე', *Echtheit* 'ნამდვილობა'; კრებითობა ადამიანებთან დაკავშირებით: *Menschheit* 'კაცობრიობა', და სხვ.

ენიდან დამოუკიდებელი ხმარებიდან შესაბამისი სიტყვის გაქრობას უკავშირდება შემდეგი სუფიქსებიც: *-tum* (ძვ.ზგ., საშ.ზგ. *tuom*, *Urteil*, *Sitte*, *Gesetz*, *Ruhm*, *Herrschaft*), *-haft* (ძვ.ზგ. *haft* 'behaftet, gebunden', შდრ. ლათ. *captus*), *-sam* (ძვ.ზგ. *daz sama*, *der samo* 'das-, derselbe', შდრ. ინგლ. *same* და ახ.ზგ. *gleich-sam*) (იხ. Erben 2006, 147; Henzen 1965, 191, 205 და შემდ.).

ზედსართავი სახელის მაწარმოებელი სუფიქსი: *-lich* (საშ.ზგ. *-lich*, ძვ.ზგ. *-līh*, გუთ. *-leiks*) წარმოიშვა მარტივი არსებითი სახელიდან: ძვ.ზგ. *līh*, საშ.ზგ. *lich*. ფორმები უკავშირდება გერმანიკულ არსებით სახელს *lika* 'Körper, Gestalt' 'სხეული, ფიგურა, გარეგნობა', დღეს წარმოდგენილია არსებითი სახელით *Leiche* 'მნიშვნელობის დავიწროება 'სხეულიდან' 'მკვდარ სხეულამდე'. ფონემატური განვითარება რთული გასაგები არ არის: ხმოვნის დამოკლება უმახვილო პოზიციაში ($i > i$), რითაც სუფიქსი ფორმოზრევად დაშორდა არსებით სახელს (იხ. DUHW 2007, 485; Erben 2006, 148).

ზედსართავი სახელის მაწარმოებელი სუფიქსი *-bar* (ძვ.ზგ. *bāri* როგორც ზმნური ზედსართავი სახელი *beran* -იდან 'tragen' მნიშვნელობით 'აქვს შესაძლებლობა, შეუძლია ატაროს') განვითარდა

მარტივი სიტყვიდან (ძვ.ზგ. *beran* 'tragen' 'ტარება', რომელიც მოდის გერმანიკული ძირიდან *bēr-* 'tragen' 'ტარება', შდრ. ძვ.ზგ. *un bāri* 'unfruchtbar' 'უნაყოფო', სამ.ზგ. *vruhtbære*) (იხ. მაგ., Fleischer 1976, 67; Erben 2006, 147; Kluge 1925, 45-46).

განხილული ნიმუშებიდან ჩანს, რომ აღნიშნული სუფიქსები წარმოიშვა დამოუკიდებელი ლექსემებიდან (გარკვეული ლექსიკური მნიშვნელობით). თავდაპირველი ენობრივი ელემენტების სიტყვისუნარიანობა დაიკარგა. ელემენტები დარჩნენ მხოლოდ შეკავშირებებში როგორც სუფიქსები. ამდენად, მოხდა რთული სიტყვის კომპონენტების აფიქსებად "გარდასახვა".

ფუძეებსა და აფიქსებს შორის დიფერენციაცია მნიშვნელობისა და დამოკიდებულების ხარისხის (კრიტერიუმის) მიხედვით, როგორც წესი, სირთულეებს არ ქმნის, მაშინაც კი, როდესაც ფორმოზრევად ერთნაირი, მაგრამ მნიშვნელობით სრულიად განსხვავებული ერთეულები ხან გვხვდება როგორც თავისუფალი მორფემები, და ხან კი - როგორც დაკავშირებული ელემენტები (შდრ. მაგ., *er* vs. *er-* vs. *-er* სიტყვებში: *er kommt, erklären, Lehrer*). ასეთი შემთხვევები განიხილება როგორც ომონიმები.

როგორც ავტორები აღნიშნავენ, ბევრად უფრო რთულია ისეთი ფუძეების კლასიფიკაცია, რომელთაც "თუმცა სიტყვის გაფორმების უნარი აქვთ, მაგრამ [ისინი] სპეციფიკურ კომბინაციებში სემანტიკური თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად გადაიხრებიან" ფორმოზრევად მსგავსი (მაგრამ არაომონიმი) შესაბამისი თავისუფალი მორფემებისაგან (იხ. Fleischer/Barz 2012, 58). როგორც, მაგალითად, შდრ., *voll* 'სავსე' (*volles Glas* 'სავსე ჭიქა'), 'სრული, მრგვალი' (*volles Gesicht* 'სრული, მრგვალი სახე'), 'სრული' (*volles Vertrauen* 'სრული ნდობა') და დაკავშირებული ელემენტი *-voll*, გამოხატავს 'სიტყვის ფუძით გადმოცემული შინაარსის არსებობას' (*liebevoll* 'მოსიყვარულე, სიყვარულით აღსავსე'); *Riese* 'ზღაპრის პერსონაჟი, გოლიათი, გიგანტი' vs. *Riesen-* გამოხატავს 'ძლიერ ინტენსივობას', *Riesenkrach* 'საშინელი სკანდალი', *Riesenapplaus* 'მქუხარე აპლოდისმენტები' (იქვე, მაგალითები ავტორისაა). ასეთი ენობრივი ერთეულები ენის სისტემაში იკავებენ ადგილს ლექსემებსა და აფიქსებს შორის.

ელემენტი *los* 'არამტკიცე, არამყარი; აწყვეტილი; თავისუფალი', რომელიც ზმნურ შეერთებებში (*etwas*) *los sein / werden* 'მოხდენა, ხდება' (მაგ., *der Hund ist los* 'ძაღლმა აიშვა') ინარჩუნებს თავის თავდაპირველ მოტივაციურ კავშირს სიტყვებთან: *ver-lie-en / Ver-lus-t* 'დაკარგვა (დაკარგავს); დანაკარგი'. მაგრამ სუბსტანტიურ ფუძეებთან შეკავშირებებში იგი უბრალოდ გამოხატავს ფუძით გადმოცემული შინაარსის არარსებობას: *gefahr-los* ('ohne Gefahr') (მაგალითი წიგნიდანაა: Erben 2006, 144; შდრ., ასევე Fleischer 1976, 68-69).

სხვა მაგალითები: *Werk* 'საქმე, სამუშაო; შრომა; ნაშრომი, თხზულება; ქარხანა, საწარმო; მექანიზმი' როგორც დამოუკიდებელი სიტყვა და როგორც სუფიქსი *-werk* (სიტყვაში: *Laubwerk* 'ფოთლები, სიმწვანე', *Buschwerk* 'ბუჩქნარი'); ასევე ელემენტები: *-mittel*, *-stoff*, *-zeug* და სხვ.

დამოუკიდებელი სიტყვიდან, შესაბამისად თავისუფალი მორფემიდან დაკავშირებული სიტყვაწარმოებითი აფიქსის განვითარება ხდება თანდათანობით. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ენათმეცნიერები ლაპარაკობენ ე.წ. "შუალედურ საფეხურზე" ("Zwischenstufe"). ამ საფეხურზე შესაბამის მორფემას აქვს "სერიული კომპონენტის სტატუსი" ("Status eines reihenhaft vorkommenden Kompositionsgliedes") (Erben 2006, 144). მაგალითად, საკითხი, თუ რომელი სიტყვაწარმოებითი ტიპი მიესადაგება თანამედროვე გერმანულ ენაში წარმონაქმნებს/სტრუქტურებს ისეთი ენობრივი ელემენტით, რომელიც დგას ფუძესა და აფიქსს შორის, უკვე დიდი ხანია მეცნიერთა დისკუსიის საგანია (იხ. MLSp. 1993, 2010, 17). ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი ასეთ ელემენტებს განსაზღვრავს როგორც "აფიქსისმაგვარ" ელემენტებს ე.წ. "ნახევარაფიქსებს" ან "აფიქსოიდებს"¹. სხვები გვთავაზობენ ამ ტიპის ერთეულების განხილვას ფუძეების პერიფერიულ ფენომენად, ან უარს ამბობენ აფიქსოიდის კატეგორიაზე (იხ. უფრო ვრცლად: Schmidt 1987; Fleischer/Barz 2012, 58-61; ასევე: Karbelaschwili 1998).

უკუპროცესი, ეს ნიშნავს განვითარება აფიქსიდან ფუძისკენ, შეინიშნება უცხოენობრივ ელემენტებში, მაგ., *Exfreund, Exfreundin* > *der / die Ex*.

გარდა ამისა, ისტორიული ცვლილებები სიტყვაწარმოებითი მორფემების ინვენტარში - განსაკუთრებით კი სუფიქსებში - ნაწილობრივ გამოწვეულია ბევრათა რედუქციის ტენდენციით, მოძველებული სუფიქსების ახალი ერთეულებით ჩანაცვლებით. ჩანაცვლება ხდება სხვა, უფრო გავრცელებულ სუფიქსთან მიერთების/დაკავშირების გზით ("სტანდარტიზაციის ტენდენცია" /

¹ ერბენი ლაპარაკობს "აფიქსისმაგვარ" მორფემებზე და გამოიყენებს ტერმინ "აფიქსოიდებს" (Erben 2006, 29); ამ მოვლენას თანამედროვე ანგლისტიკაში განიხილავს ჰ. მარშანი (H. Marchand) და გამოიყენებს ტერმინ "semisuffix"-ს, ხოლო მისი მრავალმხრივი ანალიზი თანამედროვე გერმანულ ენაში ჩაატარა მ. დ. სტეპანოვამ, შემოიტანა ტერმინები "ნახევარსუფიქსი", "ნახევარპრეფიქსი" (იხ. Степанова 1979, 529-530); "ნახევარპრეფიქსების" შესახებ იხ. ასევე: Карбелашвили 1987; Karbelaschwili 1998.

„Standardisierungstendenz“), ან ახალი სუფიქსების განვითარებით, რასაც ხშირად უკავშირდება სიტყვაწარმოებითი სინონიმის გაჩენა (Stepanowa/Fleischer 1985, 169). ი. ბარცი აღნიშნავს, რომ

სიტყვაწარმოების დიაქრონიული ასპექტი აუცილებლად საჭიროებს/მოითხოვს ინტეგრაციულ მიდგომას, რადგან სიტყვაწარმოებით სისტემაში მიმდინარე მნიშვნელოვანი ისტორიული ცვლილებები უშუალო კავშირშია (უშუალო მიმართებაშია) ენის სხვა ქვესისტემების მოვლენებთან. (Barz/Schröder/Hämmer/Poethe 2007, 92)

მაგალითად, ცნობილია, რომ უმახვილო ხმოვანთა დასუსტება ხდებოდა გარმანული ენის განვითარების ყველა ეტაპზე. ძველი ზემოგერმანულის დასასრულამდე ეს ენობრივი პროცესი მხოლოდ ცალკეული შემთხვევებით შემოიფარგლებოდა. საშუალო გერმანულში კი მან მიიღო სისტემური ხასიათი (იხ. მაგ., გვენცადე/ჰიჭინაძე 2004, 179; Barz/Schröder/Hämmer/Poethe 2007, 92). უმახვილო ხმოვანთა რედუქციით ბოლოკიდური გრძელი და მოკლე ხმოვნები საშუალო გერმანულ პერიოდში გადავიდნენ e [ə]-ში, რაც შესაბამისად აისახა სხვადასხვა ხმოვნით შედგენილ ძველ ზემოგერმანულ სუფიქსებზეც, შდრ.: ძვ.ზგ. gibirgi - საშ.ზგ. gebirge, ძვ.ზგ. geba - ახ.ზგ. Gabe.

ამდენად, ხმოვანთა რედუქცია (ფონეტიკური მოვლენა) აისახა მორფოლოგიურ დონეზე. ენის განვითარების შემდგომ პერიოდში -e სუფიქსის ადგილზე გაჩნდა სხვა ახალი სუფიქსებიც, მაგრამ ცვლილება არ იყო სისტემური და არ შეეხო ყველა შესაბამის წარმონაქმნს. -e-დერივატები ნაწილობრივ შეიზღუდნენ -heit/-keit/-igkeit სუფიქსიანი დერივატებით. ისინი ენაში ფუნქციონირებენ პარალელურად, ზოგჯერ გარკვეული სემანტიკური დიფერენციაციით (Stepanowa /Fleischer 1985, 169), შდრ. i-დერივატები: ძვ.ზგ. hōhi - ახ.ზგ. Höh-e, Ho(h)-heit; ძვ.ზგ. suozi - ახ.ზგ. Süß-e, Süß-igkeit (იქვე), შდრ. ასევე: die Finster(e) 'Finsternis', die Wilde 'Wildnis' (Fleischer/Barz 2012, 197).

სტანდარტიზაციის ტენდენციით აიხსნება შემდეგი მოვლენაც. ფლამური შენიშნავს, რომ კარგად განვითარებულ დერივატიულ მოდელებს (მაგ., -er, -heit, -ung, -ig და სხვა სუფიქსებით) შეუძლიათ „შეისრუტონ/შეიწოვონ“ („aufsaugen“) და გამოდევნონ მოძველებული სუფიქსები (Stepanowa/Fleischer 1985, 170). ზედსართავი სახელის სუფიქსი -icht მთლიანად ჩაანაცვლა -ig სუფიქსმა, შდრ. ადრ.ახ.ზგ. lockicht, felsicht - ახ.ზგ. lockig, felsig (დღეს არსებობს ერთადერთი რელიქტის სახით tōricht 'გოჭი, შეუგნებელი').

სუფიქსი -ling განვითარდა -ing სუფიქსიანი დერივატებიდან, რომელთა ფუძე მთავრდებოდა -l თანხმოვანზე. მას შემდეგ, რაც წარმოშობისა და კუთვნილების გამომხატველი ძველი ზემოგერმანული სუფიქსი „-ing/-ung“ (arming 'ღარიბი, საწყალი ადამიანი', edeling 'დიდგვაროვანი', herting 'გმირი') გახდა არაპროდუქტიული, თანდათან მოხდა მისი გავრცობა -ling სუფიქსად (შდრ., Kluge 1925, 32). არსებითი სახელი König 'მეფე, ბელადი, წინამძღოლი; ჭადრ. მეფე' (ძველი გერმანიკული სიტყვა აღნიშნავდა 'კეთილშობილი წარმოშობის კაცს' (შდრ., ძვ.ზგ. kuni(n)g, cuni(n)g, cunning, cuninc, kuningh, kuninc(h), khuninc, chuninc(h), chuni(n)g, chiuning, kunning, kunung, kuneg 'მეფე, მბრძანებელი, ხელმწიფე') ნაწარმოებია აღნიშნული -ing სუფიქსით (Schütz., 186; იხ. ვრცლად: მახვილაძე 2001, 109-110).

ისტორიული (ეტიმოლოგიური) კვლევით დგინდება, რომ ფუძის ნაწილად (ე.ი. ფუძის შემადგენლობაში) მიჩნეული ზოგიერთი ენობრივი ერთეული ფაქტობრივად დღეს ხმარებიდან დაკარგული „გაბუნდოვნებული სუფიქსებია“ („Erloschene und verdunkelte Suffixe“) (Henzen 1965, 117-18). დღეს უკვე ფუძესთან შერწყმული ე.წ. „რელიქტი-სუფიქსებია“ („versteinertes, verdunkeltes Suffix“): -n სიტყვაში: dienen, -m სიტყვაში: Zaum, -t სიტყვებში: Nacht, Fahrt, -d სიტყვაში: Feld, -s სიტყვებში: Moos, Gras, -l სიტყვებში: Tal, Maul, და სხვ. ასეთი ელემენტები ისტორიულ სიტყვაწარმოებაში „Wurzeldeterminative“-ს („ძირეული დეტერმინატივები“) სახელით არის ცნობილი. ისინი დღეს უკვე აღარ ატარებენ რაიმე სიტყვაწარმოებით მნიშვნელობას (იქვე, 118).

ერთსა და იმავე ბაზისურ მორფემაზე სინონიმური აფიქსების დართვით სიტყვაწარმოებითი სინონიმების წარმოქმნა საკმაოდ ხშირი მოვლენაა, მაგ., fehler-los, -frei.¹ სინონიმის განსაკუთრებული ფორმაა უცხო ბაზისურ მორფემასთან ეროვნული და უცხო სუფიქსების მიერთებით წარმოქმნილი სიტყვები (Automatisation/Automatisierung). გერმანულ ბაზისურ მორფემასთან კი გვხვდება ეროვნული და უცხო პრეფიქსები (super- / über-klug) (იქვე, 75).

როგორც ითქვა, აფიქსების რაოდენობის გაზრდა ხდება ასევე პირდაპირი სესხებით. მაგალითად, -är სუფიქსი (-ārius) ნასესხებია ლათინურიდან, -ismus, -ist - ბერძნულიდან, -ik ბერძნულ-ლათინურიდან, -ei, -ier(en) - ფრანგულიდან და ა.შ. გარდა ამისა მნიშვნელოვანი გზაა აფიქსების განვითარებისათვის ე.წ. „რეანალიზი“ („Reanalyse“). ამ მოვლენით კომპლექსური სიტყვებიდან ხდება სეგმენტების გამოყოფა და

¹ სხვადასხვა ძირეულ მორფემასთან სინონიმური აფიქსების დაკავშირებით სიტყვაწარმოებითი სინონიმები არ წარმოიქმნებიან.

სიტყვაწარმოებით ელემენტებად მათი გამოყენება (იხ. მაგ., Fleischer/Barz 2012, 62). ასეთი ერთეულებია, მაგალითად, კონფიქსები (მაგ., therm-, -stat-, -loge, bio-, -thek, -nom, -inter), ასევე გერმანული სუფიქსები, მაგ., -ler, -ner (< -er) და სხვ.

ამდენად, ჩვენ წარმოვადგინეთ სიტყვაწარმოების დიაქრონიული ასპექტი, კერძოდ, სიტყვაწარმოებითი აფიქსების განვითარების პროცესი გერმანულ ენაში. წარმოვადგინეთ ენობრივი ცვლილებების გამომწვევი მიზეზები და თანმდევი მოვლენები. როგორც დავინახეთ, აფიქსების ინვენტარის გაფართოება ხდება სხვადასხვა გზით: პირდაპირი სესხებით, უცხოენოვანი ელემენტების მორფემატიზაციით; მაგრამ აფიქსების დიდი ნაწილი ისტორიულად დამოუკიდებელი მარტივი სიტყვებიდან განვითარდა (ლექსემების “გრამატიკალიზაციის ტენდენცია”), რაც შესაბამისად უკავშირდება მნიშვნელობის ცვლილებას. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. ისტორიული ცვლილებები სიტყვაწარმოებითი აფიქსების ინვენტარში - განსაკუთრებით კი სუფიქსებში - ნაწილობრივ გამოწვეულია ბევრათა რედუქციის ტენდენციით, პროდუქტიულ სუფიქსთან მიერთების/დაკავშირების გზით (“სტანდარტიზაციის ტენდენცია”). ფაქტობრივი მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ სიტყვაწარმოებით სისტემაში მიმდინარე მნიშვნელოვანი ისტორიული ცვლილებები უშუალო კავშირშია ენის სხვა ქვესისტემებთან.

შემოკლებათა განმარტებანი:

ადრ. ახ. ზგ. - ადრეული ახალი ზემოგერმანული

ახ. ზგ. - ახალი ზემოგერმანული / ახალი ანუ თანამედროვე გერმანული

გერმ. - (საერთო)გერმანიკული

გუთ. - გუთური

ინგლ. - ინგლისური

ლათ. - ლათინური

საშ. ზგ. - საშუალო ზემოგერმანული

ძვ. ზგ. - ძველი ზემოგერმანული

ძვ. ინგლ. - ძველი ინგლისური

ძვ. საქს. - ძველი საქსონური

ლიტერატურა:

- Barz, I./Schröder, M./Hämmer, K./Poethe, H. (2007): *Wortbildung – praktisch und integrativ. Ein Arbeitsbuch*. (4., überarbeitete Aufl.). Frankfurt am Main: Peter Lang.
- DUHW = Duden (2007): *Das Herkunftswörterbuch. Etymologie der deutschen Sprache* (4., neu bearbeitete Aufl.). B.7. Mannheim, Zürich: Dudenverlag.
- DUW = Duden (2001): *Deutsches Universalwörterbuch* (4., neu bearb. und erweiterte Aufl.). Mannheim, Leipzig,...: Dudenverlag.
- Erben, J. (2006): *Einführung in die deutsche Wortbildungslehre*. 5., durchges. u. erg. Aufl. Erich Schmidt Verlag. Berlin.
- Fleischer, W. (1976): *Wortbildung der deutschen Gegenwartssprache* (4., durchges. Aufl.). Leipzig: VEB Bibliographisches Institut.
- Fleischer, W./Barz, I. (1995, 2007, ⁴2012): *Wortbildung der deutschen Gegenwartssprache* (4. Auflage; völlig neu bearb. v. I. Barz unter Mitarbeit v. M. Schröder). Berlin/Boston: Walter de Gruyter.
- Henzen, W. (1965): *Deutsche Wortbildung* (3., durchgesehene u. ergänzte Aufl.). Tübingen: Max Niemeyer.
- Карбелашвили С.О. (1987): *Категории аугментативности и диминутивности в современном немецком языке. Словообразовательный аспект*. Тбилиси.
- Karbelaschwili, S. (1998): *Lexikon zur Wortbildung der deutschen Sprache (Augmentation und Diminution)*. Hrsg. vom Fachverband Deutsch als Fremdsprache. Heft 51. Regensburg.
- Kluge, Fr. (1925): *Abriss der deutschen Wortbildungslehre* (zweite Aufl.). Halle (Saale): Verlag von Max Niemeyer.
- Kluge, Fr. (2002): *Etymologisches Wörterbuch der deutschen Sprache* (Bearb. von E. Seebold) (24., durchges. u. erw. Aufl.). Berlin, New York: Walter de Gruyter.
- Lohde, M. (2006): *Wortbildung des modernen Deutschen. Ein Lehr- und Übungsbuch*. Tübingen: Gunter Narr.
- Mater, E. (1965): *Rückläufiges Wörterbuch der deutschen Gegenwartssprache*. Leipzig.
- MLSp. = Glück, H. (Hrsg.). (1993, ⁴2010): *Metzler Lexikon Sprache* (4. Aufl.). Stuttgart, Weimar: J.B. Metzler.
- Olsen, S. (1986): *Wortbildung im Deutschen. Eine Einführung in die Theorie der Wortstruktur*. Alfred Kröner Verlag. Stuttgart.
- Saussure, F. de (2001): *Grundfragen der allgemeinen Sprachwissenschaft* (Hrsg. v. Ch. Bally / A. Sechehayé, unter Mitw. v. A. Riedlinger). (3. Aufl.). Berlin/ New York : Walter de Gruyter.
- Schippan, T. (2002): *Lexikologie der deutschen Gegenwartssprache*. (2., unveränd. Aufl.). Tübingen: Max Niemeyer

Schmidt, G.D. (1987): Das Affixoid. Zur Notwendigkeit und Brauchbarkeit eines beliebten Zwischenbegriffs der Wortbildung. In: Hoppe, Gabriele et al. (Hg.): *Deutsche Lehnwortbildung. Beiträge zur Erforschung der Wortbildung mit entlehnten WB-Einheiten im Deutschen*. Tübingen. S. 53-101.

Schütz.= Schützeichel, R. (2006): *Althochdeutsches Wörterbuch* (6., Aufl., überarbeitet u. um die Glossen erw.). Tübingen:Max Niemeyer.

Степанова М.Д. (1979): Словообразование современного немецкого языка (краткий очерк). - *Словарь словообразовательных элементов немецкого языка*. Москва, с.519-536.

Stepanowa, M.D./Fleischer, W. (1985): *Grundzüge der deutschen Wortbildung*. Leipzig: VEB Bibliographisches Institut.

გვენცაძე, მ./ჭიჭინაძე, ც. (2004): *გერმანული ენის ისტორია*. მეორე, შესწორებული გამოცემა. გამომც. "ენა და კულტურა", თბილისი.

ენათმეცნიერების... (1972): *ენათმეცნიერების შესავლის საკითხები*. გ. ახვლედიანის რედ. თბილისი

მახვილაძე, ლ. (2001): *სემანტიკურად გაბუნდოვნებული ელემენტები გერმანული ენის სიტყვაწარმოებით სისტემაში*. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვ. წარმოდგ. დისერტაცია, თბილისი.

Lela Makhviladze
Gori State Teaching University
**DYNAMICS IN THE INVENTORY OF WORD-BUILDING AFFIXES
 OF THE GERMAN LANGUAGE
 RESUME**

Dynamics which is peculiar to the language system, dues to the word-building morphemes. Development of the new word-building morphemes is a historical process. There are different ways for broadening the inventory of affixes. Most part of affixes in the German language are developed from the independent simple words, from the components of complex words ("tendency of grammaticalization" of lexemes), which deals with the changes of their meanings (e.g. -heit < Gt. haidus 'facilities, ways, situation'; -bar < OHG. beran 'bear'). Increasing the amount of affixes is caused by direct borrowing (-är < Lat. -ārius), or by the morphematization of foreign elements (e.g. therm-, -stat-, -inter). Besides the above mentioned historical changes in the inventory of the word-building affixes - mainly suffixes - is caused by the tendency of the reduction of sounds, or with the way of the connection old suffixes to the productive suffixes ("tendency of standardization"). It turned out that important historical changes taking place in the word-bulding system refer to the other subsystems of the language.

Anna Meskhi
 Gori State Teaching University

**CONTRASTIVE STUDY OF ENGLISH AND GEORGIAN ALPHABETS
 (TOWARDS CREATING A TEXTBOOK OF ENGLISH AND GEORGIAN CONTRASTIVE
 TYPOLOGY)**

Modern typological research strives to establish language universals by using cross-linguistic examination — the method, which involves studying as many languages as possible. This approach declares the variety sample of only a few languages unreliable in terms of obtained results unless the member languages meet the following requirements: *genetic non-relatedness, big diachronic gap, geographical spread, stationary distribution, language stability, high degree of language documentation and rich data sources*. It is assumed that languages, which meet the mentioned criteria "maximize the likelihood of capturing all the linguistic diversity for the phenomenon under study" (Croft 2003: 21).

Therefore, constructing a contrastive typology of English and Georgian, which means using the "worst" minimum-member variety sample, *a priori* questions the validity of this research and its conclusions. Fortunately, however, the variety sample suggested here is characterized by a high degree of objectivity and reliability, as it

complies with all the above-mentioned requirements for the selection of typologically well-grounded and weighty material (Meskhi 2013).

When the minimum-member variety sample consists of such widely differing languages as analytical IE English and Ibero-Caucasian agglutinative Georgian, it is also important to examine and compare their alphabetic systems. This is necessary and desirable not only because “[T]he study of the linguistic properties of the written language has somewhat lagged behind the study of the sounds of speech” (Crystal 2000: 257), but more importantly because their alphabets differ: Georgian has alphabetic and English historical writing. What makes this latter factor particularly interesting is that the basic difference between the two alphabets is clearly marked in alphabet definitions.

Merriam-Webster defines the alphabet as “a set of letters or *other characters* with which one or more languages are written especially if arranged in a customary order”.¹ For the *Cambridge Encyclopedia of English* the alphabet is “a fixed and *finite set* of letters (Crystal 2000: 256; emphasis added), whilst the *Dictionary of Linguistic Terms* defines the (phonographic) alphabet as “[A] system of *graphs brought to correlation with the sound system* of the language and employed to represent language in writing” (Akhmanova 1966: 41).² A phonetic alphabet is characterized as “[A] system of signs employed in *phonetic transcription*” (Ibid.). The italicized segments of the cited definitions (*other characters*, *finite set*, *graphs brought to correlation with the sound system*, *phonetic transcription*) reflect the basic characteristic features of the alphabet. Thus, on the one hand, alphabets may have *other* than the finite set of graphs, and on the other, there are alphabets whose graphs have such a high degree of letter-sound correlation that they make up the transcription system of the language.

The Georgian alphabet is exactly such an ABC, having had an unchanged sequence of letters for the last 1,500 years if we neglect some minor changes, which have not affected the entire system (Sarjeladze 1984: 94-97). According to scholarly consensus, the Georgian alphabet has passed through three phases (Asomtavruli, Nuskha-Khutsuri, Mkhedruli), but kept its phonetic, or one-to-one or letter-sound (or sound-letter) correspondence unchanged.

Conversely, the English alphabet “is an inventory of symbol shapes that tend more often than not to have segmental reference, and *to be mapped in one way or another—often not directly or unambiguously—to phonetic substance*” (Lass, *Interpreting early Middle English Spelling*; emphasis added).³ Five principle reasons have been distinguished for the existing letter-sound discrepancy: a) different spelling conventions; b) a system inadequate for rendering changes in spoken forms; c) different forms of English being spoken in different countries; d) prosodic causes; e) language registers (Finegan 1994: 27-28). Many have tried to correct the “errors” of the historical development of the English alphabet and bring the letters into a one-to-one relationship with phonemes.⁴ “The history of English spelling is littered with attempts made by well-meaning individuals to improve the way writing reflects speech” (Crystal 2000: 265), but these have been to no avail.

Having come a long way from a Latin-based near-alphabetic script, the English alphabet of today is incomparably more deficient than it used to be. It is these two alphabets — Georgian that has been a phonetic alphabet since the first Georgian texts appeared in the 5th c. AD, and English that has never been a phonetic script, but could easily have become one — that are compared and contrasted in this study.

The terms used are *graph* or *letter* to refer to single signs and *digraph* to indicate two signs like *sh* standing for a single phoneme like /ʃ/. The standard of comparison is the ideal one-to-one mapping of sounds and their graphs.

Comparative Examination of the English and Georgian Alphabets. Letters or graphs and sounds represent two means of physically representing the language. Graphs are organized and structured within an alphabet, while sounds make up the phonological system of the language. Ideally, alphabets should be the graphic representation of phonology, whilst phonemes should act as vocalic icons of graphs.

The reality, however, is different. Almost all languages have some kind of asymmetry between phonemes and their graphic representatives. “...throughout the world, wherever languages are written down, there are disparities between sounds as they are spoken and as they are represented in writing” (Finegan 1994: 29).

Consequently, the alphabets of different languages can be compared or contrasted from two perspectives: letter-sound and sound-letter mapping. Since the English and Georgian alphabets represent two opposite poles, their examination should include both. The first, or letter-sound, relationship analysis proceeds from letter to phoneme, while the other, sound-letter mapping, takes the opposite, phoneme-to-letter route.

The number of letters in the English and Georgian alphabets differs, but not greatly since the quantitative difference amounts to seven graphs: the English alphabet has 26 and the Georgian alphabet 33 letters (Tables 1a, b):

Table 1a
English Alphabet

Name	ei	bi:	si:	di:	i:	ef	dʒi:	eɪtʃ	ai	dʒei	kei	el	em
Graph	a	b	c	d	e	f	g	h	i	j	k	l	m
Name	en	əu	pi:	kju:	a:	es	ti:	ju:	vi:	ˈdʌbəlju:	eks	wai	zed
Graph	n	o	p	q	r	s	t	u	v	w	x	y	z

¹ <http://www.merriam-webster.com/dictionary/alphabet> (accessed regularly; emphasis added).

² All translations are made by A. Meskhi.

³ Lass R., *Interpreting Early Old English Spelling* (To be published).

⁴ Compare recently published Harry Johnston, *Phonetic Spelling*, Cambridge University Press, UK, 2013.

Table 1b
Georgian Alphabet

Name	an	ban	gan	don	en	vin	zen	t'an	in	kan	las
Graph	a / ႁ	b / ბ	g / გ	d / დ	e / ე	v / ვ	z / ზ	t' / თ	i / ი	k / კ	l / ლ
Name	man	nar	on	par	žan	rae	san	tar	un	p'ar	k'an
Graph	m / მ	n / ნ	o / ო	p / პ	ž / ჯ	r / რ	s / ს	t / ტ	u / უ	p' / ფ	k' / ქ
Name	gan	qar	šin	č'in	c'an	žil	cil	čar	xan	jan	hae
Graph	g / გ	q / ყ	š / შ	č' / ჩ	c' / ც	ž / ჯ	c / წ	č / ჭ	x / ხ	j / ჯ	h / ჰ

The quantitative difference between the English and Georgian alphabets is complemented by a qualitative differentiation. In Georgian, the distinction between consonant and vowel graphs is straightforward: 5 vowel letters correspond to five vowel phonemes, and 28 consonant graphs indicate 28 consonant phonemes. In English, however, besides 5 vowel and 19 consonant symbols of varying phonetic values (see further), there are two semi-vowel / semi-consonant graphs: *y* and *w*. Therefore, between the graphic representation of fundamentally different sounds (vowels and consonants), English has some transitional, or rather, *intermediary* graphs that accommodate both vowel and consonant phonemes (the italicized letters in Table 1a).

Put differently, with respect to graphic representation, Georgian is a perfect alphabetic system, whilst English can be termed *mixed*. A comparative picture of the English and Georgian alphabets looks as follows:

Table 2
Quantitative Classification of English and Georgian Alphabet Graphs

	English	Georgian
Identical vowel letters:	5	5
Different consonant letters:	19	28
Intermediate graphs:	2	-

Consonants. Fifteen pairs of Georgian and English consonant signs can be equated by their sound similarity (Hockett 1955: 144). However, in the English alphabet there are two letters (*c*, *g*) denoting two distinct phonemes and three letters (*c*, *k*, *q*) designating the same phoneme (Table 3):

Table 3
English and Georgian Consonant Letters – Similar or Identical Letter-Sound Relations

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
Engl.	b	g	d	v	z	c, k, q	l	m	n	p	r	s, c	t	j, g	h
Geo.	b	g	d	v	z	k	l	m	n	p	r	s	t	j	h
Phon.	/b/	/g/	/d/	/v/	/z/	/k/	/l/	/m/	/n/	/p/	/r/	/s/	/t/	/dʒ/	/h/

The described letter-sound relations form two opposing tendencies: a) multiple letters = one sound, and b) single letters = multiple sounds. Like the use of intermediate consonant-vowel letters (*w*, *y*), this feature of the English alphabet is an *undesired* component not only for English, but for alphabetic scripts in general.

From the point of view of an ideal alphabet, the phonetic value /k/ is expressed by two redundant graphs — either *c* and *k*, *c* and *q*, or *k* and *q*.¹ Interestingly, *k* and *c* coexist in a kind of complementary distribution; *k* is usually associated with front vowels (*ketch-up* /ˈketʃəp/, *kite* /ˈkaɪt/, *kilo* /ˈkɪləʊ/, *kit* /ˈkɪt/),² whilst *c* is recorded with back vowels (*camp* /ˈkæmp/, *call* /ˈkɔ:l/, *cold* /ˈkəʊld/, *cut* /ˈkʌt/, *catch* /ˈkætʃ/, *clan* /ˈklæn/, *classic* /ˈklæsɪk/...). In addition to /k/, *c* is also read as /s/ when combined with front vowels: *ceiling* /ˈsi:lɪŋ/, *centre* /ˈsentə/, *cell* /ˈsel/, *circle* /ˈsɜ:kl/, *citadel* /ˈsɪdədl/.... It follows that synchronically, the presence of *k* and *c* in the English alphabet is determined by the *linguistic environment* of individual words and *not* by the *phonemic segmentation of the language's sound space*. Put differently, the basic function of alphabetic letters, which is to represent individual phonemes of the language, is violated by the English *c* and *k*, as they introduce an *allophonic* or a *lower level distinction* into the alphabet.

In contrast to *c* and *k*, the letter *q* brings a distinct foreign (Latin) letter-sound mapping into the English alphabet, and instead of serving the basic function of an alphabet graph — to represent a distinct phoneme — it identifies the *source* of the word (Latin). Consequently, the representational function of alphabet letters is replaced by an *identificatory* function, whose task is to point to lexemes of borrowed origin. The suggested function shift is confirmed by a curious piece of history: *q* was once replaced by *c*, probably on phonological grounds, but this practice was abandoned after the Norman Conquest: “The letter existed in Greek, but was little used and not alphabetized; the stereotypical connection with *-u-* began in Latin. Anglo-Saxon scribes adopted the habit at first, but later used spellings with *cw-* or *cu-*. The *qu-* pattern returned to English with the Norman Conquest and had displaced *cw-* by c.1300”.³ Hence, *quote* /ˈkwəʊt/, *quota* /ˈkwəʊtə/, *quite* /ˈkwaɪt/, *quince* /ˈkwɪns/, etc.

¹ The historically attested different significance of letters is neglected since focus is made on synchronic letter-sound mapping.

² The letter *k* is followed by back vowels mostly in borrowed words like *Kaiser*, *kaleidoscope*, *kangaroo*, etc.

³ <http://dictionary.reference.com/browse/q>; accessed regularly.

In addition to *c*, *k*, and *q*, the phoneme /k/ is also expressed by the digraphs *ch*, *ck*, which confuses the letter-sound mapping even more. The two digraphs differ in function. Thus, *ch* serves the same *identificatory* function as the letter *q* — it marks borrowed words (the Greek *school* /ˈsku:l/, *scholastic* /skəˈlæstik/, *chronology* /krəˈnɒlədʒi/, *Christ* /ˈkraɪst/...), but *ck* presents a different problem. The emergence of the cluster (*ck*) in English is unclear. In OE, it is employed as a diacritic to indicate a short vowel before a geminate consonant (*bucca* > *buck* ‘goat’), or to replace a historically short consonant (*baec* > *back*). The digraph *cc*, used until the late 13th c., was replaced by *ck* but the reasons for such a change are not obvious.¹ In my view, *cc* / *ck* represents reduplication of a special type due to its word final (weak) position and unusual combination of different graphs of the same value: *c* = /k/, *k* = /k/, *ck* = /k/. The reduplication aimed at pronouncing a strong /k/ may be called *emphatic* or *stylistic*, since reduplication is an ancient way of emphasis.

In this scenario English alphabet graphs have at least three functions: 1) *representational*, with two subtypes: (a) phonemic, or basic, and (b) allophonic, or secondary (*c*, *k*); 2) *identificatory*, distinguishing foreign borrowings (*q*, *ch*); 3) *stylistic*, aimed at producing a more energetic pronunciation of the sound in the weak position. Hence, the fundamental principle of the alphabet (to serve as a one-to-one representation of the language’s discrete phonemes) is complimented by certain secondary functions (allophonic representational, identificatory, emphatic) carried out at the expense of violating the basic principle. As a result, we are justified in concluding that synchronically, the English alphabet rests on different principles of letter-sound mapping.

Two English consonants — *f*, *x* — are absent from the Georgian alphabet, but they, too, differ in their nature and status. The labio-dental fricative /f/ is rendered by both a single graph and the digraph *ph*, which, like the *ch* combination denoting /k/, has an *identificatory* function marking lexemes of Greek origin (phoneme, photo, phone...). Consequently, digraphs and multiple representations of phonemes are not a singular instance, but a *regular* phenomenon, which further complicates the mixed character of the English alphabet.

The other graph absent from the Georgian alphabet is *x*. It is the single alphabetic designation in English with the most complex nature, since it can stand for different phonemes, including its name /eks/ found in lexemes such as *X-ray* /ˈeks reɪ/. Another phoneme is the *bi-elemental* sound /ks/, which represents the *opposite* tendency in the letter-sound relation discussed in connection with digraphs (*ch* /k/, *ph* /f/), namely, a single letter stands here for a bi-componential phoneme.

Still another phoneme that *x* may express is the voiced sibilant /z/, as in a few words like *xylo-nyte*, *xylophone*, and another is the velar /k/ in *Xmas*. All this indicates that even a graph of a foreign origin can develop positional phonemes (!): /ks/ is mainly found in the middle or end of a word (*maxim*, *box*, *fox*...) irrespective of its linguistic environment, whilst /z/ is found when followed by a front vowel (see above).² It is interesting to note that *c* and *k* and *x* represent opposite tendencies — *c* and *k* indicate the same sound, /k/, in different language surroundings, whilst *x* designates distinct phonemes through its linguistic surrounding and word position.

The described principles of letter-sound mapping (representation, identification, emphasis) indicate that there is an *inner tendency* of the English language to *admit loose attachment between its phonemes and their graphic representations*. This tendency must have been a powerful force behind the rapid changes English went through during the Old and Middle English periods. If compared with the ideal letter-sound mapping in Georgian, and its 1,500-year-long stability, it becomes obvious that free letter-sound relation is like a slow motion engine undermining the stability of the language, whilst the opposite, the ideal letter-sound pattern, creates a solid foundation for a balanced and enduring system.

Thus, viewing the English and Georgian alphabets from a consonant letter-sound relationship point of view, the following classification emerges (Table 4):

Table 4 Consonant Letter-Sound Correspondences in English and Georgian		
	English	Georgian
Identical letter-sound mapping:	15	15
Many letters vs. one sound:	<i>c</i> = /k/ <i>k</i> = /k/ <i>q</i> = /k/	<i>k</i> / <i>ჰ</i> = /k/ - -
One letter vs. many sounds:	<i>c</i> = /k/ <i>c</i> = /s/ <i>g</i> = /g/ <i>g</i> = /dʒ/ <i>f</i> = /f/	- <i>s</i> / <i>ზ</i> = /s/ <i>g</i> / <i>ღ</i> = /g/ <i>j</i> / <i>ჯ</i> = /dʒ/ -
Different: a) simple	<i>x</i> = /eks/	-
b) complex	<i>x</i> = /ks/	-

¹ I would like to thank Prof. R. Lass for providing me with the information on the cluster *ck*.

² Please, note the pronunciation of *inexact* /ɪnɪɡˈzækt/, *inexhaustible* /ɪnɪɡˈzɒstəbl/... involving accent, a prosodic feature.

x = /z/ -
x = /k/ -

The presented scheme cannot be considered complete without mentioning the two semi-consonant letters, *w* and *y*. The first is a bilabial round consonant, /w/, with no counterpart in Georgian, but a similar sound in Svan, *û* / *ŷ* [w], and the other is /j/, which has a possible distant dialectal “correlate” in *y* / *œ*. Consequently, Table 4 can thus be modified as below:

Table 5
Consonant Letter-Sound Correspondences in English and Georgian

	English	Georgian
Identical letter-sound mapping:	15	15
Many letters vs. one sound:	c = /k/ k = /k/ q = /k/	k / ჯ = /k/ - -
One letter vs. many sounds:	c = /k/ c = /s/ g = /g/ g = /dʒ/	- s / ლ = /s/ g / ღ = /g/ j / ჯ = /dʒ/
Different: a) simple b) complex	f /f/ x /eks/ x = /ks/ x = /z/ x = /k/	- - - -
Semi-consonants:	w = /w/ y = /j/	Svan <i>û</i> / <i>ŷ</i> = /w/ Dialectal <i>y</i> / <i>œ</i> = /j/

Accepting these premises, the quantitative and qualitative characteristics of letter-sound mapping in the English alphabet are so diverse that its classification looks more like a list of exceptions than a classification *per se*. The same pattern (letter-sound mapping) was much more balanced in Old English, where virtually two graphs (*z*, *h*) exhibited multiple allophones (Mitchell, Robinson 2007: 15-16; Rastorguyeva 1983: 90). The phonetic spelling of OE (Rastorguyeva 1983: 214) rested on the sounds having a broad correlation with the graphs of the alphabet. With time, the language developed, and so did its alphabet, but it *did not progress*. Instead of perfecting the alphabet, which needed a few adjustments to bring letters and sounds into one-to-one correspondence, the English ABC allowed multiple inconsistencies to take root in its system.

The 21 consonant letters of the current English alphabet represent 24 phonemes, which *a priori* suggests the need for a reverse, sound-letter, examination. The English alphabet distinguishes four types of sound-letter mapping, whilst the picture in the Georgian alphabet is the same — 28 phonemes and 28 letters:

Table 6
Consonant Sound-Letter Correspondences in English and Georgian

	English	Georgian
Identical sound-letter mapping:	15	15
Many sounds vs. one letter:	/s/ = c /k/ = c /g/ = g /dʒ/ = g	/s/ = s / ლ /k/ = k / ჯ /g/ = g / ღ /dʒ/ = j / ჯ
One sound vs. many letters:	/k/ = c /k/ = k /k/ = q	- - -
One sound vs. digraph:	/θ/ = th /ð/ = th /ʃ/ = sh /tʃ/ = ch /ŋ/ = ng /ʒ/ = multiple combinations	- - /ʃ/ = ჟ / ძ /tʃ/ = ც / ზ - /ʒ/ = ჯ / ჟ
Different: a) simple b) complex	/f/ = f /eks/ = x /ks/ = x /z/ = x	- - - -

/k/ = x

11 consonants

Semi-consonants:

/w/ = w

Svan /w/ = û / Ⴀ

/j/ = y

Dialectal /j/ = y / Ⴁ

The described heterogeneous patterns of letter-sound and sound-letter relationship make the entire picture of mapping highly problematic. Small wonder then that this feature has proved a serious obstacle to spelling reforms aimed at the perfection of the English alphabet (Crystal 2000: 276). True, the English alphabet has never been purely phonetic, but its current system is “torn” between two opposing principles: on the one hand, the system does not have graphic signs to express some sounds (/ʃ/, /tʃ/, /ŋ/, /ð/, /θ/, /ʒ/), and on the other, it uses an excessive number of letters (*c, k, q, g*) to express identical phonemes. The lack of a single principle of sound-letter or letter-sound mapping, which should lie at the foundation of any alphabet to produce a balanced and maximally effective mechanism of language expression, is broken by varied patterns of relationship. This makes English consonant orthography both deficient and complicated.

The revealed imbalance of the English script becomes more prominent when set against the one-to-one sound-letter and letter-sound mapping of the Georgian system (see Table 1b). One of its remarkable features is a rich inventory of a specifically Georgian consonant group (13 letters)¹ of which two affricates (š, č') and three abruptives (*p'*, *t'*, *k'*) have their phonemic and allophonic counterparts in English (Table 7):

Table 7
Georgian-English Correspondences

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
Georg.	შ/შ	ჩ/ჩ	ტ'/თ	პ'/ფ	კ'/ქ	გ/ღ	ხ/ბ	ჯ/ჟ	ც'/ც	ზ/ძ	ც/წ	ჭ/ჭ	ყ/ყ
Transcr.	f	tʃ	tʰ	pʰ	kʰ	gh	kh	ʒ	tsʰ	dz	ts	tsch	q
Engl.	f	tʃ	tʰ	pʰ	kʰ	OE ȝ	OE x	ʒ	-	-	-	-	-

Two Georgian phonemes /ʃ/ (შ / შ) and /tʃ/ (ჩ / ჩ) have their counterparts among the English phonemes (/ʃ/, /tʃ/) that *lack* their own alphabet signs and are represented by the digraphs *sh, ch* respectively. Furthermore, three Georgian phonemes — the aspirated stops *p'*, *t'*, *k'*, feature as *basic allophones* of the English stops *p, t, k* in the stressed position, marked as *pʰ, tʰ, kʰ* in Table 7. Thus, the principal aspirated allophone /kʰ/ of the English velar stop *k* is a very close variant of the Georgian ejective *k' / kʰ/*; for example, *cat, cut, cough, kite, kin, quit, quince* can be compared with the Georgian *k'ari / kʰari/* ‘wind’, *k'ali / kʰali/* ‘woman’ but in combination with *s*, as in *sky, ski, skill...*, *k* loses its aspiration and is similar to the Georgian *k / k/*: *kata / kata/* ‘cat’, *kani / kani/* ‘skin’...

Similarly, the basic aspirated allophone of the English bilabial stop *p* (*pot, pill, pound*, etc.) best corresponds to the Georgian *p'* (bilabial aspirated voiceless stop), but becomes non-aspirated in combination with *s* (*spy, spill, speak*) and thus coincides with the Georgian *p / p/*: *papa / papa/* ‘grandfather’, *patara / patara/* ‘small’...

Furthermore, the English alveolar aspirated stop *t* in the stressed position, as in *tie, tick, teach*, has an identical Georgian counterpart, *t'* (a dental-alveolar aspirated stop):² *t'et'ri / tʰetʰri/* ‘white’, *t'it'i / tʰitʰi/* ‘finger’, etc. It becomes a non-aspirated /t/ in combination with *s* (*still, stone, stay...*), and pairs with a similar Georgian phoneme, *t / t/*, as in *tani / tani/* ‘body’, *toti / toti/* ‘branch’.

The mentioned characteristics of the three abruptives were also noted by some of my respondents when I conducted a phonetic experiment with native English speaking teachers at Isik University, Turkey, in 2003. They marked aspiration either in transcription or by super-scribing the letter *h* next to *p, t, k*, but found the pronunciation difficult; examples include *pʰapʰa, phapha, pahpah* ‘porridge’ (*pʰapʰa*), *t(h)ati, thathi* ‘animal foot’ (*tʰatʰi*), *katakame* ‘hen’ (*kʰatʰami*).

One Georgian consonant, the voiced alveolar /ʒ/ (ჟ / ჟ) has an English equivalent, /ʒ/, which has no specific alphabetic symbol (cf.: *usually, measure, seizure...*).

Special mention should be made of two Georgian phonemes, which have *Old English* and not modern English equivalents (Meskhi 2012a: 141). These are the OE ʒ, pronounced as a velar voiced fricative between the back vowels /y/, and x — a velar voiceless fricative /x/. Their Georgian equivalents — *g / Ⴁ* and *x / ბ* respectively — have been indispensable constituents of the Georgian alphabet for the last 1,500 years, whilst in English, “[T]he vocalization of [ʒ] in Early ME and of [x] in Late ME eliminated the back lingual fricative consonants” (Rastorguyeva 1983: 213).

¹ One of the most interesting features observed in connection with a specifically Georgian consonant group is the presence of some of them (usually one or two) in other languages, but not all of them in a single system. Compare, the French *r* as in *Paris*; Ukrainian and Turkish similar soft *ğ*, Greek, Russian and Spanish *x* as in *Jose*, Italian *dz* as in *zona*, also Italian *ts* as in *zucchero*, etc.

² G. Hewitt also notes the mentioned correspondences, but does not provide their complete picture as a specific micro-system reflecting Georgian sounds (Hewitt 1996: 5).

Five specifically Georgian consonants (q = /q/, c' = /ts^h/, ž = /dz/, c = /ts/, č = /tsch/), which have no English counterparts, add to the heterogeneous picture of the phono-graphological relations existing between the English and Georgian alphabets. The Table below provides a comparative sound-letter mapping revealed through analysis (Table 8):

Table 8
Georgian and English Sound-Letter Correspondences

	Georgian	English
Identical sound-letter mapping:	15	15
Phonemic correspondences:	/f/ = ႁ	/f/
	/tʃ/ = ႁ'	/tʃ/
	/z/ = ჯ	/z/
Phono-Allophonic correspondences:	/t ^h / = t'	/t ^h /
	/p ^h / = p'	/p ^h /
	/k ^h / = k'	/k ^h /
Different phonemes:	/gh/ = ႁ	OE /ɣ/ = 3
	/kh/ = x	OE /x/ = x
	/q/ = q	-
	/ts ^h / = c'	-
	/dz/ = ž	-
	/ts/ = c	-
	/tsch/ = č	-
a) simple	-	/f/ = f
b) complex	-	/eks/ = x
		/ks/ = x
		/z/ = x
		/k/ = x
Semi-consonants:	/w/ = û Svan	/w/ = w
	/j/ = y Dialectal	/j/ = y

The mentioned differences make up a significant part of Georgian and English phono-graphological relations, but are not the entire spectrum. Georgian has a highly specific feature of *harmonic complexes* not found in any of the Caucasian or other languages. These are *bi-consonantal entities with a single assimilated place of plosion*. Put differently, harmonic complexes are built on the principle of the simultaneous articulation of two consonants with heterogeneous places of obstruction. The constituents of these harmonic complexes match both articulatorily and physiologically, since both members are either voiced or voiceless. Two sub-groups are distinguished: A and B (Table 9):

Table 9
Georgian Harmonic Complexes

A	A	B	B
ბგ – გგ – ჰგ	bg – p'k' – pk	ბღ – გბ – ჰგ	bgh – p'kh – pq
დგ – თგ – ტგ	dg – t'k' – tk	დღ – თბ – ტგ	dgh – t'kh – tq
ძგ – ცგ – ჭგ	dzg – ts ^h k' – tsk	ძღ – ცბ – ჭგ	dzgh – ts ^h kh – tsq
ჯგ – ზგ – ჭგ	jg – tʃk' – tschk	ჯღ – ზბ – გ	jgh – tʃkh – q

Several phonetic processes take part in the formation of harmonic complexes: *labialization*, *labio-laryngalization* and the dominant process of *labio-velarization* (Zhgenti 1956: 187). Harmonic complexes represent one of the biggest stumbling blocks in the acquisition of Georgian phonetics, since difficulties persist not only in the articulation of individual constituents but their combinations. Being *single phonemes*, harmonic complexes are perceived as *bi-phonemic clusters*. This tendency roughly approximates to the perception of English diphthongs and triphthongs by Georgian learners, and clearly indicates the problem areas that Georgian and English learners face (Meskhi 2001, 2002). Small wonder, then, that pronunciation of the mentioned sounds often turns out to be impossible.

To sum up, the English and Georgian alphabets employ different principles of grapho-phonemic mapping of their consonants. A single one-to-one letter-sound correspondence in Georgian serves a single representational function, whilst different mapping principles in the English alphabet execute representational, identificatory, and stylistic objectives.

Vowels. English vowel phonemes present a no less complex, if not more so, story of letter-sound relations. Here, both quantitative and qualitative indexes play a crucial role, not only between Georgian and English vowel systems but within English orthography itself. The 5 (+ w, y) vowel letters of the English alphabet (a, e, i, o, u) produce 12 monophthongs, 8 diphthongs, and 5 triphthongs (McCully 2012: 142-144), while Georgian has 5 vowel graphs with 5 vowel phonemes (a, e, i, o, u). In other words, the principal English vowel graphs and Georgian alphabetic signs are identical in number (Table 10):

Table 10
English and Georgian Vowel Letters

Engl.	a	e	i	o	u	y	w	5 + 2
Georg.	a	e	i	o	u	-	-	Total

That 5 (+2) English vowel letters generate 25 phonemes presupposes a huge imbalance in the letter-sound mapping in the English alphabet. However, this prolixity of vowels is fixed not in the alphabetic system, through letter-sound relations, but by *syllable types* making up words. This transfers a purely phonological issue onto a higher level, and replaces the orthographic principle with the *syntagmatic* (linear) juxtaposition of letters, which determines vowel types and their length. As a result, 5 vowel letters produce 7 short or lax (ɪ, ʌ, ɒ, u, e, æ, ə) vowels in closed syllables (V+C) and 5 long or tense phonemes (i:, a:, ɔ:, u:, ɜ:) in the open syllables (V+C+V). Also, there are extreme cases in which a vowel phoneme with an alphabetic sign has additional expressions, depending on spelling, syllable structure and accent. To illustrate, the long /i:/ can be rendered by 12 different letter combinations and accentual patterns of words (Table 11):

Table 11
Identical Sounds — Different Representations

see	sei-ze	cei-ling	jui-cy
se-nile	sce-nic	ce-dar	glos-sy
sea	sie-ge	cea-se	se-xy

(Finegan 1994: 26).

Diphthongs comprise the non-central *ai, ei, ɔi, au, əu* and central *iə, eə, uə* vowels, whilst triphthongs (*ai + ə, ei + ə, ɔi + ə, əu + ə, au + ə*) require a V + r + V environment. Consequently, the letter-sound mapping among English vowels is even *freer* and *more independent* than in English consonants. Letters are only *potential* vowels, and receive concrete phonemic realizations only within words. Put differently, there is no single vowel phoneme represented by the *a, e, i, o, u* letters in the sense it is found in Georgian. Therefore, from the perspective of an ideal alphabet the letter-sound relationship among English vowel phonemes is so distant that it can be defined as *independent*. Contrary to this, the graph-vowel mapping in Georgian can be called *dependent*, since each phoneme is represented by a single sign and vice versa.

Such direct and rigid ties between the phonological and alphabetic systems of the Georgian language guarantee the stability not only of the phonological level, but the entire system. Conversely, the free or independent letter-sound mapping of English may become even more independent over time, and this may ultimately threaten the stability of the language.

A comparative picture of the English and Georgian letter-sound relationships is presented below:

Table 12 Letter-Sound Correspondences between English and Georgian Vowel Phonemes		
Letters	English	Georgian
5	7 lax monophthongs	5 phonemes
	5 tense monophthongs	
	8 diphthongs	
	5 triphthongs	

Understandably, an identical high degree of independence is observed in the *sound-letter* mapping of English vowels and the same one-to-one dependent relationship in Georgian (Table 13):


Table 13 Sound-Letter Correspondences between English and Georgian Vowel Phonemes		
English	Georgian	Letters
7 lax monophthongs	5 phonemes	5
5 tense monophthongs		
8 diphthongs		
5 triphthongs		

The described relative independence of sounds and their representations is not an uncommon phenomenon, but the English alphabet is very special, since in Old English the sound-graph correspondence was much more uniform and closer to the ideal. Instead of correcting a few instances of inaccurate sound-letter mapping, the near 1,500-year-long development of the English alphabet created the current picture of heterogeneous principles. Rapid and drastic changes occurring in Old and Middle English brought about one of the most unwanted complications in the alphabet — loss of accurate correspondence between phonemes and their graphic expression. This process created two contradictory features: (a) *one phoneme — many letters* (/k/ = *c, k, q*), and (b) *one letter — many phonemes* (*c* = /k/, /s/). The former is typical of consonants, whilst the second prevails in vowels. Therefore, *the current English alphabet can be characterized as a system of high letter-sound / sound-letter mapping independence*.

The English language's path from a more accurate alphabetic script to a historical ABC corrects our understanding of the concepts of 'linguistic development' and 'progress'. These cannot be equated, as is usually done. Development can actually be overtly regressive, as the history of the English alphabet shows.

Conversely, of all the world's languages Georgian is the only one with a perfect one-to-one correspondence between its sounds and their graphic forms. All sounds — vowels or consonants — have their own signs, and this has been the case for the last 1,500 years at least. In this time span, the Georgian script has undergone three stages of development (Asomtavruli, Nuskha-Khutsuri, Mkhedruli), but never violated the one-to-one principle. Insignificant changes such as the loss of a few letters have damaged neither the system nor its principle.

The role and function of the described phenomenon of letter-sound dependence is to be one of the powerful mechanisms of language stability, since it builds a balanced network of the language's physical expression that controls the functioning of more complex layers of the language (morphological, syntactic). The disappearance of a single sound, e.g. the voiced velar fricative / □ / (Georgian / □ /) — one of changes that occurred in OE — will result in the disappearance or corruption of thousands of lexemes and derivational or grammatical affixes, causing irreparable damage to the system of the language. The alphabet is the prime organizer of the language on the representational level, and together with spelling it is a legitimate subject of the *language-as-system* and *language-as-speech* dichotomy. From this perspective, the alphabet is a *systemic* phenomenon while spelling is its *concrete realization* — the written analogue of speech:



The inclusion of the alphabet and spelling in the Language-Speech dichotomy covers all the forms of a language's existence — virtual, as a system, and concrete, as oral and written.

Summing up, the presented comparative analysis of the English and Georgian alphabets allows us to safely assume that the two systems stand at two extreme poles in terms of the alphabetic organization of their phonemes. As such, they capture “all (or most of, A.M.) the linguistic diversity of the phenomenon under study” (Croft 2003: 21), which is the fundamental prerequisite for a two-member variety sample like English and Georgian.

In addition to confirming the typological validity of comparing/contrasting the English and Georgian languages other, no less significant, conclusions can be drawn from this study. One is that development in languages does not necessarily mean progress; it may be regressive, too. The written history of English and Georgian embraces an almost identical time span of 1,500 years, but English has diverged greatly from the most desired one-to-one sound and graph mapping, whilst Georgian has preserved its ideal status for the entire period. Therefore, the English alphabet has *developed* as a system, but has not *progressed*; it has gone backwards. Georgian, which already had the top level of sound and graph relationship by at least the 5th c. AD, has undergone virtually no alterations or modifications on either level, graphic or phonemic, and this has undoubtedly helped preserve the stability of the whole sound system of the language.

Accepting these premises, the Georgian script must have had a very long period of *progressive development* to have reached the ideal one-to-one letter-sound mapping level before the 5th c. AD. The Georgian alphabet has preserved its ideal *status quo* ever since, but the English alphabet has fallen “off the pace”, and widened the gap between pattern constituents. The described movement from a more perfect to a less accomplished alphabetic pattern points not only to the very young age of the system, but also to its breaking away from a more complex and balanced linguistic substratum.

REFERENCES:

In English

1. Croft W., 2003. *Typology and Universals*, Cambridge Textbooks in Linguistics, Cambridge University Press, UK.
2. Crystal D., 2000. *The Cambridge Encyclopedia of the English Language*, Cambridge University Press, UK.
3. Finegan E., 1994. *Language and Its Structure and Use*, Second edition, Harcourt Brace College Publishers, Printed in the USA.
4. Johnston H., 2013. *Phonetic Spelling*, Cambridge University Press, UK.
5. Hewitt G., 1996. *Georgian, A Learner's Grammar*, Routledge Grammars, UK, USA, Canada.
6. Hockett C. F., 1955. *A Manual of Phonology*, Baltimore.
7. Lass R., *Interpreting Early Middle English Spelling*, *Handbook of Historical Phonology*, Ed. P. Honeybone, Oxford University Press, Oxford (To be published).
8. McCully Ch., 2012. *The Sound Structure of English, An Introduction*, Cambridge Introductions to the English Language, Cambridge University Press, UK.
9. Mitchell B., Robinson F. C., 2007. *A Guide to Old English*, Seventh edition, Blackwell Publishing, USA, UK, Australia.
10. Meskhi A., 2013. *Towards English-Georgian Contrastive Typology (The Variety Sample)*, Proceedings of the Conference “Intercultural Dialogues”, International Scientific Conference, Iakob Gogebashvili Telavi State University, 2013, Telavi, Georgia.
11. Meskhi A., 2002. *Role of Phonology in Foreign Language Acquisition*. ERIC ED466632, www.eric.ed.gov. Paper presented at the 5th National Conference. National Council of Organizations of Less Commonly Taught Languages, April 12-14, 2002, Arlington, Virginia.

12. Meskhi A., 2001. *Role of Phonology in EFL Acquisition. Challenge and Creativity in Teaching Beginners*. ERIC ED468595, www.eric.ed.gov. Proceedings of the 6th International Bilkent University School of English Language ELT Conference held at Bilkent University, Ankara, Turkey, February 23-25, 2001.

13. Rastorguyeva T., 1983. *A History of English*. Moscow.

In Georgian

14. Meskhi A., 2012a. *A History of the English Language*, Vol. I, Mtsignobari, Tbilisi.

15. Zhgenti S., 1956. *Phonetics of the Georgian Language*, Tbilisi University Press, Tbilisi.

16. Sarjveladze Z., 1984. *Introduction to History of Georgian Literary Language*, Ganatleba, Tbilisi.

In Russian

17. Akhmanova O., 1966. *Dictionary of Linguistic Terms*, Sovetskaia Entsiklopedia, Moscow.

Georgian Letters
(Transcription and Spelling)

Georgian	Transcription	Spelling (LB)	Georgian	Transcription	Spelling (LB)
ა	a	a	ს	s	s
ბ	b	b	ტ	t	t
გ	g	g	წ	w	w
დ	d	d	უ	u	u
ე	e	e	ფ	p ^h	p [‘]
ვ	v	v	ქ	k ^h	k [‘]
ზ	z	z	ღ	gh	ġ
ყ	e:	ē	ყ	q	q
თ	t ^h	t [‘]	შ	ʃ	š
ი	i	i	ჩ	tʃ	č [‘]
კ	k	k	ც	ts ^h	c [‘]
ლ	l	l	ძ	dz	ž
მ	m	m	წ	ts	c
ნ	n	n	ჭ	tsch	č
ო	o	o	ხ	kh	x
პ	j	y	ჰ	x	x
ჟ	p	p	ჯ	dʒ	j
რ	ʒ	ž	ჰ	h	h
რ	r	r	ო:	o:	ō

Note: LB = Library of Congress.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გოგებაშვილის გვარის წარმომავლობისათვის

გვარსახელს უწოდებენ ოჯახის მემკვიდრეობით სახელს, რომელიც თაობიდან თაობაზე გადადის. გვარსახელის შემსწავლელ მეცნიერებას ანთროპონიმის ეწოდება. გვარი და სახელი ორი სხვადასხვა ცნების გამომხატველია. ისინი სხვადასხვა ასპექტით წარმოგვიდგენენ ადამიანს. გვარსახელი დიდი სოციალური ერთეულის (ოჯახის) სახელწოდებაა, რომელსაც მრავალმხრივი, მათ შორის კი ერთგვარი ფსიქოლოგიური დატვირთვა გააჩნია.

საქართველოში გვარსახელს დიდი ხნის ისტორია აქვს. როგორც ცნობილი მკვლევარი რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს „გვარსახელი საქართველოში დოკუმენტურად დასტურდება მერვე-მეცხრე საუკუნეებიდან. იგი უფრო ადრეა წარმოშობილი, ჩვენთან მოხდა უწყვეტი გადასვლა პირველყოფილი გვარისა გვიანდელ გვარში და გვიანდელი გვარისა - გვარსახელში. [1, 100]

გვარსახელების ჩამოყალიბება საქართველოში მთელმა რიგმა სოციალურმა მიზეზებმა განაპირობა. ერთ-ერთი იყო მემკვიდრეობითი სახელის არსებობა. მამული ქართველ კაცს მემკვიდრეობით ჰქონდა მიცემული და ის მემკვიდრეობით გადადიოდა, რისთვისაც აუცილებელი იყო სწორედ მემკვიდრეობითი სახელი ურთიერთობის გასაადვილებლად.

ეს სახელი კი აისახა, როგორც მამულის მფლობელობაზე ისე საკუთარ სახელთა სისტემაზე. ყოველივე ამის შესახებ უამრავი დოკუმენტური მასალა არსებობს, რითაც არაერთი გვარის წარმომავლობის გარკვევა შეიძლება.

ყოველივე ამას კი კომპლექსური ცოდნა სჭირდება. მკვლევარი უნდა ფლობდეს მეცნიერების რამდენიმე დარგს, პირველ რიგში კი ენათმეცნიერების, ისტორიისა და ეთნოგრაფიის საფუძვლებს. ცალ-ცალკე კი ანთროპონიმების შესწავლა ერთი მეცნიერების მოშველიებით სასურველ შედეგს ვერ იძლევა.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ახალი რედაქცია), გვარის რამდენიმე მნიშვნელობაა მოცემული:

1. მემკვიდრეობითი საგვარეულო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანთა საკუთარ სახელს.
2. ჩამომავლობა.
3. პირველყოფილ თემურ წყობილებაში ძირითადი საზოგადოებრივი ორგანიზაცია.
4. დიდი მოცულობის ცნება, მასში შემავალი მცირე მოცულობის ცნებასთან. [2, 1526]

ჩვენი მიზანია გოგებაშვილის, როგორც გვარის წარმომავლობის, ისტორიის, განვითარებისა და განსახლების წარმოჩენა. დოკუმენტებში წარმოდგენილია გოგებაშვილისა და გოგებაშვილის ფორმებით.

ვახუშტი ბაგრატიონი გოგებაშვილებს „ძველი გვარის“ აზნაურთა შორის ასახელებს. [3, 35]

მეთვრამეტე საუკუნის ცნობილი ენციკლოპედიისტი იოანე ბაგრატიონი თავის შრომაში „შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა“ აღნიშნავს, რომ „აზნაური გოგებაშვილი, ამათნი წინაპარნი იყვნენ ძველად კლდეკარის საერისთაოს ადგილით მდაბალნი მონათესავენი მიწობლის ძისანი და არიან ძველადვე სამეფო აზნაურნი და ესენი ჩნდნენ მეფისა ლუარსაბისასა 1612 წელსა. [4, 70]

აქვე აღნიშნულია, რომ თვით მიწობლიძე იწოდა მონასტრის სახელის გამო, რომელი იყო მიწობი სახელი და იყვნენ მთავრად კლდეკარში. სოფელი მიწობი და გვარი მიწობელიძე დღესაც არის ქართლში.

უკვე მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, სახელდობრ, 1715 წლის „რუისის საეპისკოპოსოს დავთარში“ აღნიშნულია ოქონაში მცხოვრები ზურაბ, ხოსია, ჟოჟონა გოგებაშვილები, რომელიც უკვე შეცვლილი გვარით არის წარმოდგენილი და ყავთ ყმები [5, 37] (დავთარი, 1715). ამავე საუკუნის უთარილო დავთარში გოგებაშვილს ყავს ყმები ფრონეს ხეობის სოფელ მულრისში - მამაცაშვილი მამაცა (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd ფონდი, №1606, 1611, 9324).

საერთოდ გოგებაშვილები წარმოშობით სამცხიდან არიან, რომლებიც სხვა წარჩინებული გვარების მსგავსად თურქთა აგრესიის შედეგად ქართლის სხვადასხვა კუთხეში არიან მოსულები. ერთ-ერთ მნიშვნელოვან საბუთში აღნიშნულია:

„სამძივარი მისითა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა გოგებაშვილს აქუს“. [6, 242]


ქართლში გოგებაშვილები თავად ფალავანდიშვილებისა და თარხნიშვილების აზნაურები იყვნენ. ამ უკანასკნელის (თარხნიშვილი) კარზე ზურაბ გოგებაშვილი ქართლის სოფელ ახალქალაქის მოურავი ყოფილა. გოგებაშვილებს სვიმონ და თეიმურაზ ბატონიშვილებმა უბოძეს მამულები ტანისპირს საყდრითა და სასახლითა (წყალობის წიგნი, 1703).

გორის რაიონის სოფელ ახალდაბაში ჩაწერილი მასალების მიხედვით, ვახტანგ მეექვსის რუსეთში წასვლის შემდგომ ქართლი დაიჭირეს თურქებმა, რომლებმაც ააოხრეს მთელი ატენის ხეობა. იქ მცხოვრები გოგებაშვილები იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ სახლ-კარი და გადასახლებულიყვნენ სოფელ ახალდაბაში. ერთ-ერთი გოგებაშვილი ვერ შეეგუა თავად ამილახვრის სისასტიკეს და სოფელ ვარიანში გადასახლდა. ვარიანიდან წასული გოგებაშვილის ძმის შვილი იყო სიმონი, ხოლო მისი მამის სახელი იოანე, რომელიც ახალდაბაში ცხოვრობდა. როცა მათ ვენახი ამილახვარმა ძალადობით წაართვა, ისიც იძულებული გახდა ვარიანში თავის ნათესავებთან გადასულიყო საცხოვრებლად. ვარიანში წასული სიმონი მღვდელი გახდა, რომელმაც სოფლის ცენტრში ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია ააშენა და იქ მსახურობდა.

სოფელ ვარიანში 1840 წლის 17 ოქტომბერს დაიბადა იაკობ გოგებაშვილი. ამ სოფელში სწორედ ეს ერთი ოჯახი გოგებაშვილი ცხოვრობდა და გოგებაანთს ან გოგებაანთ სიმონის ოჯახს უწოდებდნენ ადგილობრივები. მათი მამულები სოფლის ცენტრში მდებარეობდა და შემდგომ მოხდა მათი განაშენიანება, სადაც ძირითადად რაჭიდან ჩამოსული მეტრეველები, კერესელიძეები და სხვა გვარის ხალხი დასახლდა.

ახალდაბაში დარჩა მეორე ძმა გიგლა გოგებაშვილი, რომელიც ცნობილი იყო თავისი ვაჟკაცობით და საკმაო ქონებაც შეიძინა. მისი შვილი იყო პავლე, რომელსაც ჰყავდა შვიდი შვილი, ხუთი ვაჟი და ორი

ქალიშვილი. პავლეს სამი შვილი მიშიკო, დავითი და ივანე მონაწილეობდნენ მეორე მსოფლიო ომში და ველარ დაუბრუნდნენ მშობლიურ კერას, დანარჩენი გამრავლდნენ და ამჟამად სოფელში ცხოვრობს რამდენიმე ოჯახი გოგებაშვილის გვარისა, ესენია: ანზორ, ომარ, იაკობ, მალხაზ, ზაურ და ნუგზარ გოგებაშვილების ოჯახები, რომლებმაც კარგად იციან თავიანთი წარმომავლობა. ვარიანში კი სახლობს ერთი ოჯახი აღნიშნული გვარისა.



ავთანდილ სილაგაძისა და ანზორ თოთაძის ნაშრომში „გვარსახელები საქართველოში“ (1997), საქართველოში ცხოვრობს 690 გოგებაშვილის გვარის ადამიანი, მათ შორის თბილისში - 175, ბოლნისში - 86, გურჯაანში - 84, სოფელ ახალდაბაში მცხოვრები გოგებაშვილები არ არიან მოხსენიებული.

გოგებაშვილების გვარში დარჩენილია ზეპირგადმოცემა, რომ ისინი თავდაპირველად ცხოვრობდნენ დღევანდელი აწყურის მიდამოებში და ძლიერი ფეოდალური გვარი ყოფილა. მთელმა რიგმა ისტორიულმა მოვლენებმა მათ თავზეც გადაიარა, მათ შორის აღსანიშნავია, რომ ამ გვარის ერთი შტო გაგრიგორიანდა, რაც შეიძლება მიზეზი ყოფილიყო ძველი გვარის მიწობლის - მიწობლიძის შეცვლისა. რაც შეეხება დღევანდელი გვარის ძირს - გოგიბა და შემდგომი გოგება ის წარმოქმნილი ჩანს ერთ-ერთი წინაპრის სახელიდან, ასეთი მაგალითები კი ბევრია როგორც წარჩინებულთა, ისე დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლებში. ბევრ შემთხვევაში წინაპრის სახელი გვარის შემადგენლობაში გვხვდება, როგორც სრული ისე, კნინობითი ფორმითაც. ასეთი ტიპის გვარებს უნდა მივაკუთვნოთ: გოგიბაშვილი, გოგებაშვილი, გოგიბედაშვილი, გოპიჭაშვილი, გოგიჯანაშვილი, გოგნიაშვილი, გოგიჩაძე, გოგოლიშვილი, გოგორიშვილი და სხვები.

ლიტერატურა:

1. თოფჩიშვილი რ., როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები. თბ., 1997.
2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ახალი რედაქცია, ტ. II, 2010.
3. ბაგრატიონი ვ., ქართლის ცხოვრება. 1973.
4. ბაგრატიონი ი., შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. თბ., 1997.
5. თაყაიშვილი თ., არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. წიგნი პირველი, 1907.
6. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970.
7. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ფონდი Hd, №1606, 1611.
8. სილაგაძე ა., თოთაძე ა., გვარსახელი საქართველოში, თბ., 1997.
9. ჯანაშია ს., შრომები III, თბ., 1959, თუბალ-თაბალი, ტიბარენი იბერი.
10. ჭუმბურიძე ზ., დედაენა ქართული. ნაკადული, 1987.

Nikoloz Otinashvili
Gori State Teaching University
FOR THE ORIGIN OF SURNAME GOGEBASHVILI
RESUME

The name and the surname (especially the surname) is the name of the whole family which goes from one generation to another and are two different conceptions which represent a person.

The Georgian surnames have a long history. According to the scientists it existed in the 8th and 9th centuries. But of course it was originated much earlier from ashes to ages.

According to Vakhushti Bagrationi, a famous scientist of the 18th century, the surname of the Gogebashvilis is very old belonging to higher class of Georgia.

They were squires. Ioane Bagrationi, a famous public figure of the same century writes that the ancestors of the Gogebashvilis lived in Kldekari Country and were squires.

The representatives of this surname lived in different places of Shida Kartli for example in the villages of Mugrisi, Nabakhtevi, Okrona. In Kartli, they were the squires of the Pheodals Palavandishvili and Tarkhnishvili in the village of Akhaldaba of Liakhvi Gorge, today live the Gogebashvilis who are from Ateni Gorge.

According to the „Record of the inhabitants in Liakhvi Gorge“ took place in the 18th century for example Katsia Gogebashvili lived in the village of Akhaldaba and their descendants now live in the villages of Akhaldaba and Variani.

რუსუდან სალინაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილი და ქართული სალიტერატურო ენის საკითხები

გამორჩეულია დიდი ქართველი მოღვაწისა და პედაგოგის, ქართველთა პირველი წიგნის – „დედაენის“ – შემქმნელის იაკობ გოგებაშვილის როლი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში. იგი მთელი ცხოვრების მანძილზე იღვწა მშობლიური ენის სადარაჯოზე, იბრძოდა ერთი მიზნისათვის – განათლების „სხივმოფენილი“ ეხილა სრულიად საქართველო. იაკობ გოგებაშვილის მიზანდასახულების მთავარი მიმართულებები იყო: ქართული ენის დაცვა-შენარჩუნება სახელმწიფოებრივ დონეზე, მშობლიური ენის სწავლების უზენაესობა-უპირატესობის მტკიცება და დაკანონება, ქართული სალიტერატურო ენის განვითარება-სრულყოფა. მისი მდიდარი და მრავალფეროვანი პუბლიცისტური მემკვიდრეობა ცხადყოფს დიდი მოღვაწის ერთგულებასა და თავდადებას იმ საქმისათვის, რასაც მთელი არსება, ჯანმრთელობა და სიცოცხლეც კი მიუძღვნა. პუბლიცისტური წერილებიდან ისიც კარგად ჩანს, რა მწვავე პრობლემებისა და წინააღმდეგობების გადალახვა უხდებოდა დიდ მოღვაწეს მუდმივად, და რა შეუპოვრად, დაულალავად იბრძოდა იგი სიმართლისათვის.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა განსაკუთრებით გააქტიურდა და გაძლიერდა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ერთ-ერთი მთავარი იარაღი, „ბურჯი ეროვნებისა“, მშობლიური ენა იყო და ჩვენი დიდი მოღვაწეებიც სწორედ ქართული ენის გაძლიერებისათვის იღვწოდნენ. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია უკვდავი „დედაენის“ შემქმნელის როლი. „იაკობ გოგებაშვილმა, თავისი სახელმძღვანელოების წყალობით, პრაქტიკულად შეძლო სრულიად საქართველოს მასშტაბით ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრება... „დედაენამ“ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, განვითარებასა და დამკვიდრებაში ისეთივე როლი შეასრულა, როგორც წმინდა სახარება მძველი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში“ (გოგოლაშვილი, 2012: 10). იაკობ გოგებაშვილი ილია ჭავჭავაძესთან და აკაკი წერეთელთან ერთად თავდაუზოგავად ქმნიდა საფუძველს მიძინებული ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისა და ამაღლებისათვის.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე ქართველი ხალხის ერთიანობას განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ უნდა განმტკიცებულიყო მისი ერთ-ერთი ძლიერი იარაღი სახელმწიფო ენა, იგივე სალიტერატურო ენა, რომელიც ერთიანი ნორმების ფარგლებში მოქცევას საჭიროებდა. „ი.

გოგებაშვილის სათანადო ნაშრომებიდან ჩანს, რომ ავტორი ეროვნული ენის ერთიანობის თვალსაზრისზე იდგა; ის დედაენის მთლიანობის დაცვით ერის მთლიანობას იცავდა“ (მეგრელიძე, 1988: 11).

XIX საუკუნის 80-იან წლებში ქართულ პრესაში ფართო მსჯელობა გაიმართა ენის სიწმინდის საკითხებზე. ამ საქმესაც ილიამ მისცა ბიძგი პეტრე მირიანაშვილის მიერ უცხოეთიდან გამოგზავნილი წერილის პასუხში ზედსართავ სახელთა მაწარმოებლების შესახებ (პ. მირიანაშვილი მოითხოვდა უცხოური ზედსართავების – გენიალის, სოციალის... გამოყენებას, ილია კი ქართული მაწარმოებით გაფორმებას ამჯობინებდა); მსჯელობის საგნად იქცა ენაში გაჩენილი პარალელური ფორმები: **ადვიარებ** თუ **ვადიარებ**, **წავიდენ** თუ **წავიდნენ**, **ხეები დგას** თუ **ხეები დგანან**, **კეთილ კაცის** თუ **კეთილი კაცის** და სხვა. უნდა გარკვეულიყო, რომელი ფორმაა სწორი. თანდათან იკვეთებოდა ენის ნორმირებასთან დაკავშირებული თეორიული შეხედულებებიც. ი. ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბე“ და „ივერია“ კორესპონდენტებს ვერ იტევდა. საჭირო იყო მათში წარმოდგენილი მასალის ცალკე განხილვა. ცხადი გახდა ისიც, რომ პრესის ფურცლებზე გაშლილი პაექრობით შეუძლებელი იყო სადავო საკითხების მოგვარება.

ჯერ კიდევ „ცისკარში“ გაიელვა აზრმა, რომ „ვინც გამოჩენით იცინა ქართული ენა, ხანდისხან შეიყარნონ ქართული სიტყვიერების განსჯისა და მისი წარმატებისთვის“. 1860 წელს გამოთქმულ აზრს ეხმიანება 1886 წელს ილიას სიტყვები: „ჩვენ ვარჩიეთ შეგვეკრიბა რამდენადაც შესაძლოა ქართული ენის მცოდნენი და ყველა საცილობელი საგრამატიკო საგნები გაგვერკვია“. მალე, 6 მარტს ილიას თაოსნობით მოწვეულ იქნა საგანგებო კომისიის სხდომა, რომელსაც უნდა განეხილა და მოეგვარებინა ქართული სალიტერატურო ენის სადავო საკითხები. ამ კომისიაში სხვათა შორის შედიოდნენ: ი. გოგებაშვილი, პ. უმიკაშვილი, ა. ჭყონია. შემონახულია ი. გოგებაშვილისთვის დაბეჭდილი უწყება, რომელშიც წარმოდგენილია განსახილველი საკითხები, სულ ცხრა. ესენია: მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება, ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება, ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეთანხმება, სხვაობა ქართულ და რუსულ წინადადებათა აგებულებაში და სხვა. სამწუხაროდ, ცნობილი არ არის, ჩატარდა თუ არა ეს სხდომა ან რა ბედი ეწია მას მომავალში. ერთი რამ კი ცხადია, რომ ი. ჭავჭავაძისა და მის თანამედროვეთა ძალისხმევა მიმართული იყო იმ სადავო საკითხთა მოგვარებისაკენ, რომლებიც დღესაც აქტუალურია სალიტერატურო ენაში (სადინაძე, 2014: 18).

იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ზრუნვას ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის. მის პუბლიცისტიკაში კარგად ჩანს დიდი მოღვაწის დამოკიდებულება სალიტერატურო ენის საკითხებისადმი.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი ნაშრომი მიეძღვნა იაკობ გოგებაშვილის ღვაწლს ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხების დამუშავებაში. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გ. ახვლედიანის გამოკვლევა დიდი მოღვაწისა და პედაგოგის გრამატიკული აზროვნების შესახებ; გრამატიკული ხასიათის წერილების მიხედვით განიხილავს ი. გოგებაშვილის ენათმეცნიერულ კონცეფციას შ. ლლონტი. მისი აზრით, „იგი (ი. გოგებაშვილი – ავტ.) სიტყვის ფორმის ანალიზისას ავითარებს ილია ჭავჭავაძის დებულებას ენის განვითარების ტენდენციის, ძველი ენის მიმართ ახალი, ცოცხალი, სასაუბრო ენის უპირატესობის შესახებ. ცოცხალი მეტყველება მიაჩნია მას ლიტერატურული ენის საფუძვლად. ეს მოსაზრება ამოქმედებდა ავტორს თავისი მოღვაწეობის მთელს მანძილზე“ (ლლონტი, 1953: 63).

როგორც ცნობილია, თავის პუბლიცისტურ წერილებში ი. გოგებაშვილი შეეხო ქართული ენის გრამატიკის არაერთ საკამათო საკითხს: მიზანშეწონილად მიიჩნია შვიდი ბრუნვის (დღევანდელი ბრუნვები, თუმცა განსხვავებული რიგისა – ავტ.) გამოყოფა; არ გაიზიარა დიმიტრი ყიფიანის მიერ წოდებითი ბრუნვის უარყოფა, აგრეთვე, მიხეილ ნასიძის მიერ ორმაგი ბრუნვის ფორმის (მაგალითად, მეზობლისას) ცალკე ბრუნვად გამოცხადება და დაამტკიცა, რომ იგი არის ნანათესაობითარი მიცემითი; პირველად ი. გოგებაშვილმა უარყო ქართველ გრამატიკოსთა მიერ აღიარებული **-თურთ** თანდებული ნაცვლად **-ურთ**-ისა და ვითარებითი ბრუნვის ნიშნად **-თ**, ნაცვლად **დ**-სა; აღიარა ზმნებში **ს**- და **ჰ**-პრეფიქსების საჭიროება და მრავლობითობის ძველი **-ენ** სუფიქსის ნაცვლად ახალი **-ნენ** სუფიქსის მართებულობა...

XIX საუკუნის 90-იან წლებში ი. გოგებაშვილმა სალიტერატურო ენის პრობლემურ საკითხებზე მწვავე პოლემიკა გაუმართა ბევრ ცნობილ მოღვაწესა თუ თანამოღვაწეს, მათ შორის: მიხეილ ნასიძეს, დიმიტრი ყიფიანს, დავით ჩუბინაშვილს, აკაკი წერეთელს, კოტე დოდაშვილს, სილოვან ხუნდაძეს, ა. ლულაძეს...

როგორც შ. ლლონტი აღნიშნავს, „ქართული ენის გრამატიკის კანონების დაცვას ი. გოგებაშვილი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა, მაგრამ თავისი ენათმეცნიერული ალღო და ცოდნა მან პირველად გამოამჟღავნა მიხეილ ნასიძესთან პოლემიკაში“ (ლლონტი, 1953: 57). მ. ნასიძის პასუხად ი.

გოგებაშვილმა გაზეთ „ივერიაში“ (1886 წ.) დაბეჭდა რამდენიმე წერილი: „საგრამატიკო ბაასი“, „მეორე საგრამატიკო ბაასი“, „შენიშვნა ქართულის ზმნის შესახებ“ (გოგებაშვილი, 1990: 245-296).

საყოველთაოდ არის ცნობილი პოლემიკა **ადვიარებ-ვალიარებ** ზმნურ ფორმათა გამო, ერთი მხრივ, იაკობ გოგებაშვილსა და, მეორე მხრივ, აკაკი წერეთელს, კოტე დოდაშვილს, სილოვან ხუნდაძეს შორის. მათგან განსხვავებით, ცოცხალი მეტყველებიდან ამოსვლით, „დედაენის“ ავტორს გამართლებულად მიაჩნია **ვალიარებ**, რადგან იგი მოკლებულია ორაზროვნებას (მაგალითად, **ადმიარე** შეიძლება გაგებულ იქნეს „ახლო ამიარედ“), თანაც, აკაკის საბუთის საწინააღმდეგოდ, საღმრთო წერილში ასეა ნახმარიო, წერს, რომ „საღმრთო წერილის ენაზედ მათე საუკუნიდან აღარ სდგას საქართველო და ახლა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს როგორ დაეუბრუნდეთ. ხომ მთლად დამარხვა მოგვინდება ახლანდელის ცოცხალის ენისა ლიტერატურასა და საუბარში?“ (ღლონტი, 1953: 62).

კლასიკოსთა, მათ შორის, იაკობ გოგებაშვილის ენისადმი, კრიტიკულად იყო განწყობილი ცნობილი მეცნიერ-გრამატიკოსი, პედაგოგი, პუბლიცისტი, პოეტი და მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე სილოვან ხუნდაძე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი რამ მის მოთხოვნათაგან არ გატარდა ენაში, მან დიდი როლი შეასრულა ქართული გრამატიკული აზროვნების, აგრეთვე სალიტერატურო ენის ისტორიაში. ს. ხუნდაძე ითვლება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების ერთ-ერთ პირველ დამდგენად.

XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესაში აისახებოდა ბრძოლა ქართული ენის სიწმინდის დასაცავად. გაზეთების ფურცლებზე ხშირად იმართებოდა პაექრობა ცნობილ მოღვაწეთა შორის. ამ მასალის გაცნობა ნაწილობრივ მაინც გვიქმნის წარმოდგენას, რა მიაჩნდათ მაშინ ქართული სალიტერატურო ენის ნორმად და რა – არა. მაგალითად, მწვავე პოლემიკის ნიმუშია ს. ხუნდაძის წერილი „უტიფარი შიკრიკი“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „იმერეთის“ პირველსავე ნომერში რუბრიკით „შინაური მტრები“. ავტორი დაუნდობლად აკრიტიკებს თავად ვლადიმერ მიქელაძეს, რომელსაც დაუწერია, „სილოვანი ილია ჭავჭავაძეს და გოგებაშვილს ენას უწუნებდა და თვითონ ოღასყურული ქართულის მცოდნეაო“ (სალინაძე, 2014: 29).

გარდა **ადვიარებ** ფორმისა, ს. ხუნდაძესა და ი. გოგებაშვილს შორის პაექრობა გამოიწვია იმან, რომ სილოვანი მხარს უჭერდა მრავლობითში **-ენ** დაბოლოებას და არა – **დნენ**-ს, აგრეთვე ვითარებით ბრუნვაში კანონიერად მიაჩნდა **-თ** და არა **-დ**. შ. ღლონტს მიაჩნია, რომ ამ პაექრობაში ი. გოგებაშვილი სწორი იყო, თუმცა „მისი მტკიცების მეთოდი ლოგიკისტური იყო. გრამატიკულ ფორმათა დადგენისას კი ლოგიკიზმიდან ამოსვლა მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია“ (ღლონტი, 1953: 64).

ა. ლულაძესთან პოლემიკის მიზეზი იყო მის მიერ ი. გოგებაშვილის მოთხოვნების კრებულის „კონა“ გაკრიტიკება. წიგნის ავტორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს „მკილველის“ მიერ „კონის“ ენის დაწუნებას. მას პირველ რიგში შეცდომად მიუჩნევია ისეთი ტიპის სიტყვები, როგორიცაა **წრუწუნაები**. „ეტყობა მას არა სცოდნია ის კანონი ქართულის ენისა, რომ თუ სიტყვა დაბოლოებულია ხმოვან ასოთი ა, განსხვავდება მხოლოდ ამ დაბოლოებით სხვა სიტყვიდგან, მრავლობითის რიცხვში ირჩენს სახელობითი ბრუნვის დაბოლოებას, რომ მისი ბრუნვა არ აირიოს მეორე სიტყვის ბრუნვაში. მაგალითად: **ცხვირა, კუდა, ბოლობეჭედა, წყალ-წყალა, თითა, ქალა, ციციანთელა**, მრავლობითის რიცხვში იქნება: **ცხვირაები, კუდაები, ბოლობეჭედაები, წყალ-წყალაები, თითაები, ქალაები, ციციანთელაები**, და არა ისე, როგორც მკილველს უნდა. სხვა შემთხვევაში, მაგალითად, **ქალა** და **ქალი** ერთმანეთში აირევიან და უსულო თავის ქალა სულიერ არსებად გადაიქცევა“ (გოგებაშვილი, 1954: 71). ისეთ სიტყვათა, როგორიცაა, მაგალითად, **პეპელაები, თხუნელაები**, შესახებ ი. გოგებაშვილი წერს, რომ შეცდომები მოუვიდა. ისინი კვეცადი სახელებია, თუმცა აქაც ზოგიერთები ტოვებენ ა-ს, რომ გაადიდონ მანძილი ორ-სამ ერთნაირ ასოს შორის და სიტყვას მისცენ კეთილხმოვანება. აღსანიშნავია, რომ ა ხმოვანფუძიანი უკვეცელი სახელები ებიან მრავლობითში ისტორიულად იყო დამახასიათებელი ქართული ენისთვის, აგრეთვე ქართველ ებრაელთა მეტყველებისთვის და დღესაც გვხვდება ქართული ენის დიალექტებში. განსაკუთრებით მოჭარბდა სახელთა ამგვარი ფორმები XIX საუკუნის მეორე ნახევარში პრესისა და მწერლობის ენაში. ა. ლულაძის მსგავსად ს. ხუნდაძისთვისაც მიუღებელი იყო აღნიშნული ტიპის ფორმები. ამის გამო მან გააკრიტიკა აკაკი წერეთელიც, აკაკის ენის „დეფექტები“ უწოდა მათ.

მიუხედავად იმისა, რომ ი. გოგებაშვილმა საინტერესო ახსნა მოუძებნა ა ხმოვანფუძიან სახელთა ერთი ჯგუფის უკვეცელობას მრავლობითში, ენაში სისტემებრ გატარდა უნიფიკაციის პრიციპი და დაკანონდა უკვეცელი სახელები.

იმ მწვავე პოლემიკაში, რომელიც ქართული ენის გრამატიკის პრობლემებისა და ამა თუ იმ სადავო ენობრივი ფორმის გამო იმართებოდა ცნობილ ქართველ მოღვაწეთა შორის, იკვეთება ტენდენციები ენის ნორმირებისა. საინტერესოა და გასათვალისწინებელი სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისათვის იაკობ გოგებაშვილისეული საზომის გააზრება. საკმარისია თუნდაც მისი დამოკიდებულება ფორმათა

დიფერენციაციის პრინციპისადმი და მოთხოვნა მსგავს ენობრივ ვარიანტთა გამოჯენისა (შდრ.: ქალა – ქალაები და ქალი – ქალები).

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, როცა მიდგომა სალიტერატურო ენის ნორმებისადმი არაერთგვაროვანია ქართულ საზოგადოებაში, კიდევ უფრო მეტად წარმოჩინდება იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი ენის სიწმინდის დაცვასა და შენარჩუნებაში.

ლიტერატურა:

გოგებაშვილი ი., რჩეული თხზულებანი, ტ. IV, გამომც. „განათლება“, თბ., 1990.

გოგებაშვილი ი., თხზულებანი, 2, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 1954.

გოგოლაშვილი გ., ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ., 2012.

მეგრელიძე ი., იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1988.

სადინაძე რ., სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2014.

ლლონტი შ., ქართული ენის გრამატიკისა და მისი სწავლების საკითხები ი. გოგებაშვილის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში, აფხაზეთის სახელგამი, სუხუმი, 1953.

Rusudan Saghinadze

Akaki Tsereteli State University

IAKOB GOGEBASHVILI AND GEORGIAN LITERARY LANGUAGE ISSUES RESUME

The article refers to the role of famous figure and educator, author of the first Georgian Alphabet book - “Deda Ena” (“Mother Language”) – Iakob Gogebashvili, in the development of Georgian literary language. His rich and various publicistic works reveal that Iakob Gogebashvili had been protecting Georgian language during his lifetime. It’s also clear from his publicistic letters, what kind of pressing problems and challenges he had to deal with from time to time and how persistently, relentlessly he fought for justice.

In the second half of XIX century, when the struggle for independence especially strengthened and became intense, Iakob Gogebashvili together with Ilia Tchavtchavadze and Akaki Tsereteli devoted his energies to increasing and awakening national self-consciousness. One of the main weapons, “the stronghold of nationality”, was the native language in that battle and the principal aim of our great feagurs was to support it. In this sense, the role of the author of “Mother Language” is important and significant.

Protection of purity of Georgian Language occupies the first place in Iakob Gogebashvili’s work. His publications clearly show his relevance towards the literary language issues. In a heated debate about the problems of Georgian grammar and some of the controversies about the language form, tendencies for normalization of language are noted. It’s interesting and significant to determine how he establishes literary language norms. Even his approach to the principle of form differentiation and demand to isolate similar linguistic versions (compare: **kala – kalaebi and kali – kalebi**) is enough. The article presents material reflecting Iakob Gogebashvili’s point of view.

ნათელა ფარტენაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დამოკიდებულ წინადადებათა ერთი ჯგუფის კვალიფიკაციისათვის ქართულში

ქართულში რთული ქვეწყობილი წინადადება, ფუნქციის მიხედვით, ორ დიდ ჯგუფად იყოფა: 1. კორელატიან და 2. უკორელატო. პირველ ჯგუფში შედის ყველა იმ ტიპის ქვეწყობილი წინადადება, რომელთაც მთავარში შესაბამისი წევრი მოეპოვება და იმდენი სახის დამოკიდებული წინადადება გამოიყოფა, რამდენი წევრიცაა. ჩვენს ინტერესს იწვევს მეორე ჯგუფი, რომელთაც მთავარში შესაბამისი წევრი არ გააჩნიათ და ბევრი საერთო დაეძებნებათ თანწყობილ წინადადებასთან. ესენია: შედეგობითი,

დათმობითი და მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადებანი. მათ გვერდითაა პირობითი დამოკიდებული წინადადებაც, რადგან უკორელატოა, მაგრამ იგი მიუგებს კითხვებზე: რა შემთხვევაში? რა პირობებში?

მაგალითად: თუ დაბრუნდა, ყველაფერი ძველებურად იქნება; ხალხს რწმენა დაუბრუნდება, თუ ამ საქმეს გამოიძიებენ; თუ მტყუანი გამოვიდეს, თავი გამაგდებინე...

ამ ტიპის წინადადებები ძალიან ახლოს დგას გარემოებით დამოკიდებულ წინადადებასთან, ამიტომ პირობითი დამოკიდებული წინადადება შეძლება ცალკე სახედ გამოიყოს გარემოებით დამოკიდებულ წინადადებათა ჯგუფში.

რაც შეეხება დანარჩენ სამ ჯგუფს (შედეგობით, დათმობითა და მთავრის მიმართ), ისინი შეიძლება ერთად განვიხილოთ, რადგან მათ ბევრი აქვთ საერთო.

ტრადიციული განმარტებით, შედეგობითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც გვიჩვენებს შედეგს იმისას, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი [კვაჭაძე, 1988: 388]. შედეგობითი დამოკიდებული წინადადების პოზიცია მყარია, ის ყოველთვის მოსდევს მთავარს. მიზეზი მოცემულია მთავარში და შედეგი – დამოკიდებულში.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია: „შედეგობითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება სინონიმურია ისეთი რთული თანწყობილი წინადადებისა, რომლის მეორე ნაწილსაც იწყებს ზმნიზედა „ამიტომ“ ან „ამის გამო“. ამ ზმნიზედების წინ შეიძლება მაჯგუფებელი კავშირიც („და“) იქნეს ნახმარი“ [კვაჭაძე, 1988: 249]. ავიღოთ ასეთი წინადადებები და შევადაროთ:

ავტობუსი არ მოვიდა, **რის გამოც** ლექციაზე დამაგვიანდა.

//ავტობუსი არ მოვიდა **და** ლექციაზე დამაგვიანდა;

ამოვარდა საშინელი ქარი, **რის გამოც** ხე წაიქცა.

//ამოვარდა საშინელი ქარი **და** ხე წაიქცა;

ყველა მოვიდა, **ასე რომ** შეგვიძლია წავიდეთ.

//ყველა მოვიდა **და** შეგვიძლია წავიდეთ;

ზარი დაირეკა, **ასე რომ** შეგვიძლია დავიწყოთ ლექცია.

//ზარი დაირეკა **და** შეგვიძლია დავიწყოთ ლექცია...

მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ამ წინადადებათა შემადგენელი ნაწილები, შინაარსობრივი დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, თითქმის თანასწორუფლებიანი არიან. მაგ.: ავტობუსი არ მოვიდა / (რის გამოც) ლექციაზე დამაგვიანდა; ამოვარდა საშინელი ქარი / (რის გამოც) ხე წაიქცა; ყველა მოვიდა / (ასე რომ) შეგვიძლია წავიდეთ; ზარი დაირეკა / (ასე რომ) შეგვიძლია დავიწყოთ ლექცია...

თუკი კითხვის დასმის ხერხს მოვიშველიებთ, დავინახავთ, რომ პირველ კომპონენტს (მთავარს) კითხვა არ დაესმის, სამაგიეროდ, კითხვა მეორე კომპონენტს (დამოკიდებულს) დაესმის. რატომ დამაგვიანდა ლექციაზე? – **რადგანაც** ავტობუსი არ მოვიდა... გაჩნდა საკავშირებელი სიტყვა – რადგანაც’.

უშანგი ყორღანაშვილი თავის ერთ–ერთ სტატიაში აღნიშნავს, რომ: „პასუხის გაცემისას, დამოკიდებულად მისაჩნევი წინადადება გაიჩენს კავშირს, ძირითადად, „რადგანაც“. მიზეზის გადმომცემელ წინადადებას მივიჩნევთ რა დამოკიდებულად, პოტენციურად არსებული ეს კავშირიც მასთან ივარაუდება. ამდენად, კავშირის ადგილმდებარეობის ხერხის მოშველიებაც გვიდასტურებს იმას, რომ მიზეზის შემცველი წინადადება დამოკიდებულია, ხოლო შედეგის გადმომცემი – მთავარი და ამ ტიპის წინადადება უნდა განვიხილოთ არა ცალკე სახედ დამოკიდებული წინადადებისა, არამედ, მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებათა ჯგუფში, როგორც ერთ–ერთი სახედ, ვარიანტი, რომელიც განსხვავებული ფორმით იწარმოება“ [ყორღანაშვილი, 1985, 134–137].

აღნიშნული მსჯელობა ნამდვილად არის ანგარიშგასაწევი, მაგრამ „რის გამო“, „ასე რომ“... კავშირიანი წინადადებები ხომ რეალურად არსებობს ბუნებაში. წინადადებათა ტიპის შეცვლა და გადაკეთება, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ ჩვენ სწორედ კონკრეტული კონსტრუქციის წინადადებაზე ვსაუბრობთ. ამას ცოტა სხვაგვარი ახსნა სჭირდება, რომელზეც ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ.

სტრუქტურულად შედეგობითი დამოკიდებული წინადადების მსგავსია, აგრეთვე, დათმობითი და მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადებანიც.

დათმობითი დამოკიდებული წინადადება, რომლის მიხედვითაც არ არის მოსალოდნელი ის, რაზედაც მთავარ წინადადებაშია ლაპარაკი [კვაჭაძე, 1988: 395].

დათმობითი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს ისეთ მოვლენებს, რომლის განხორციელება მთავარი წინადადების მიხედვით არ არის მოსალოდნელი, მაგრამ მაინც სრულდება [ქეგელ, 1990: 371].

დათმობით დამოკიდებულ წინადადებაში ორი ჯგუფი გამოიყოფა: პირველისთვის დამახასიათებელია ზმნის თხრობითი კილოს ფორმები და გადმოგვცემს რეალურად არსებულ შემაფერხებელ პირობას, მეორისთვის დამახასიათებელია კავშირებითი კილოს ფორმები და გადმოგვცემს

შესაძლებელ დაშვებას ისეთი პირობისას, რომელიც ჩვეულებრივ ზღვარდაუდებელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც ვერ დააბრკოლებს იმ მოქმედების შესრულებას, რაზედაც მთავარ წინადადებაშია ლაპარაკი. სტრუქტურულად უფრო საინტერესო პირველი ჯგუფია.

როგორც წესი, დათმობით დამოკიდებულ წინადადებაში მთავარი წინადადების გამომრიცხველი პირობაა ნაჩვენები. საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სწორედ ამის მიხედვით, დათმობითი დამოკიდებული წინადადება გარკვეულად ემსგავსება პირობით დამოკიდებულ წინადადებას – ორივე მათგანი პირობას გამოხატავს, მაგრამ ამ პირობისადმი მთავარ კომპონენტში გადმოცემული ამბის მიმართება სხვადასხვაგვარია. კერძოდ: როცა დამოკიდებული წინადადება პირობითია, მთავარში ამ პირობის შესაბამისი მოქმედებაა გადმოცემული, ხოლო, როცა დამოკიდებული დათმობითია, მთავარში გადმოცემული ამბავი უპირისპირდება დამოკიდებულით წარმოდგენილ პირობას [კვაჭაძე, 1988: 395; ფეიქრიშვილი, 1996:275; დავითიანი, 1973: 256]. მართალია, დათმობითი და პირობითი დამოკიდებული წინადადებები თითქმის და გვანან ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის არის ის დიდი განსხვავება, რომელიც დამოკიდებული წინადადებისთვისაა დამახასიათებელი, ანუ რა ტიპისაა დამოკიდებული წინადადება, შესაბამისად ის ფუნქცია არის გამოხატული დამოკიდებულ კომპონენტში. მაგალითად, თუ დათმობითია, დამოკიდებულში დათმობაა გამოკვეთილი და თუ პირობითია, დამოკიდებულში პირობაა წარმოდგენილი. დათმობითი დამოკიდებული წინადადება უფრო ახლოს ისეთ რთულ თანწყობილ წინადადებასთანაა, რომელიც აზრობრივი მიმართების თვალსაზრისით მოქმედების მიზეზ-შედეგობრიობას, დაპირისპირებულობას გამოხატავს. მათ შორის, ხშირად, განსხვავებას მხოლოდ მაქვემდებარებელი კავშირი (თუმცა) ქმნის.

მაგალითად: ფუტკარი თავგანწირვით დასდევდა სინათლის ნაკადს, მაგრამ ყველგან ცივი მინა ელბეზოდა (ონაშვ., 49) (თანწყ.) // **თუმცა** ფუტკარი თავგანწირვით დასდევდა სინათლის ნაკადს, მაგრამ ყველგან ცივი მინა ელბეზოდა (დათმობითი); ღამე იყო, მაგრამ ქუჩაში მაინც ირეოდა ხალხი (იქვე) (თანწყ.)//**თუმცა** ღამე იყო, მაგრამ ქუჩაში მაინც ირეოდა ხალხი (დათმობითი); შავ ცხენზე აფორთხდა თაჯი, მაგრამ მძამ სადავე არ დაანება (იოს.,158) (თანწყ.) // **თუმცა** შავ ცხენზე აფორთხდა თაჯი, მაგრამ მძამ სადავე არ დაანება (დათმობითი); ყველაფერს თვითონ აკეთებდა, მაგრამ მაინც ღარიბად ვცხოვრობდით (ვაჟა, 300) (თანწყ.) // **თუმცა** ყველაფერს თვითონ აკეთებდა, მაგრამ მაინც ღარიბად ვცხოვრობდით (დათმობითი); ხარჯიხვი ახლოს არ მიმიშვებს, მაგრამ მე მას მაინც მივეპარები (ფანჯ., 85) (თანწყ.)// **თუმცა** ხარჯიხვი ახლოს არ მიმიშვებს, მაგრამ მე მას მაინც მივეპარები (დათმობითი)... ამ ტიპის რთული ქვეწყობილი წინადადება იმითაც უახლოვდება თანწყობილს, რომ მასში გვხვდება მაპირისპირებელი კავშირი, ამიტომაც უწოდეს მას ქვეწყობილ – თანწყობილი: სტრუქტურულად – თანწყობილი, ლოგიკურად – ქვეწყობილი [კვაჭაძე, 1988: 396].

რაც შეეხება მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებას, გამოხატავს მთქმელის შენიშვნას, შეფასებას ან დასკვნას იმ მოქმედებისა, რომელიც მთავარშია მოცემული [კვაჭაძე, 1988: 401; ფეიქრიშვილი, 1996:287]. ამ ტიპის წინადადებაში ბევრი რამ არის დასაზუსტებელი. პირველ რიგში ტერმინი, რომლის შესახებ არაერთხელ გამოითქვა აზრი ქართულ ენათმეცნიერებაში და აღინიშნა, რომ ძალზედ პირობითია, რადგან მთელ მთავარ წინადადებას სხვა ტიპის დამოკიდებულები მიემართება. რატომ არ შეიძლება ამ ტიპის წინადადებასაც დაერქვას თავისი სახელი, კერძოდ, შეფასებითი, რადგანაც მთქმელის შეფასებას, დასკვნას გამოხატავს და მთავარი, ისიც, როგორც შედეგობითი და დათმობითი დამოკიდებული წინადადებანი, რთული თანწყობილი წინადადებისგან მიიღება, განსხვავება აქაც მაერთებელ (კერძოდ, მაჯგუფებელ) და მაქვემდებარებელ კავშირებშია. მაგალითად:

ცა ელვამ გაანათა, **რაც** ნიშანი იყო ავდრისა;

//ცა ელვამ გაანათა (**და**) **ეს** ნიშანი იყო ავდრისა;

სამოგზაუროდ წასვლის ამბავი გავიგე, **რამაც** ძალიან გამახარა

// სამოგზაუროდ წასვლის ამბავი გავიგე (**და**) **ამან** ძალიან გამახარა...

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ქართულში გამოიყოფა დამოკიდებულ წინადადებათა ერთი ჯგუფი, რომელიც მიღებულია თანწყობილ წინადადებათაგან კავშირის შეცვლის (ან ჩართვის) გზით, სხვა ცვლილება არ ხდება, ამიტომაც არის, რომ ამ ტიპის რთულ ქვეწყობილ წინადადებებში დაქვემდებარება სუსტადაა გამოხატული, არ არის წარმოდგენილი კორელატი, არ დაესმის კითხვა და არ ხერხდება მარტივად გადაკეთება.

აქვე გასათვალისწინებელია აზრობრივი მიმართება თანწყობილი წინადადების კომპონენტებს შორის. კერძოდ: 1. თუ რთულ თანწყობილ წინადადებაში მოქმედებათა თანამიმდევრობაა გამოხატული და მაჯგუფებელ კავშირს („და“) შევცვლით მაქვემდებარებელი (რთული) კავშირით (ასე რომ, რის გამო, ისე რომ...), მივიღებთ შედეგობით დამოკიდებულ წინადადებას: გამეცინა, **რის გამოც** დავისაჯე // გამეცინა **და** დავისაჯე...; თუ მაჯგუფებელ კავშირს („და“) შევცვლით წევრ – კავშირით (მიმართებითი ნაცვალსახელით) „რაც“, და დავურთავთ ჩვენებით ნაცვალსახელს („ეს“) – მივიღებთ მთავრის მიმართ

დამოკიდებულ წინადადებას: თითიდან უნებურად წამვრა საქორწინო ბეჭედი, **რაც** ცუდის მომასწაველი იყო // თითიდან უნებურად წამვრა საქორწინო ბეჭედი **და ეს** ცუდის მომასწაველი იყო...;

2. თუ თანწყობილ წინადადებაში მოქმედებათა დაპირისპირებულობაა გამოხატული, პირველ კომპონენტზე „თუმცა“ კავშირის დართვით მივიღებთ დათმობით დამოკიდებულ წინადადებას: ცხელოდა, მაგრამ მაინც თბილად მეცვა // **თუმცა** ცხელოდა, მაგრამ მაინც თბილად მეცვა...

ვფიქრობთ, ეს საკმარისი მიზეზია, რომ აღნიშნული ტიპის (შედეგობითი, დათმობითი და მთავრის მიმართი (შეფასებითი) წინადადებები მივიჩნიოთ პარატაქსულ კონსტრუქციასთან წარმოებულ, მეორეულ მოვლენად, რომლებმაც ბოლომდე ვერ შეძლეს ქვეწყობილი წინადადების ფუნქციების სრულყოფა და მხოლოდ გარეგნულად, ფორმოზრივად დაემსგავსნენ მას. ამიტომ ისინი უნდა გამოიყოს ცალკე ჯგუფად, როგორც თანწყობილი წინადადების გართულებული სახე, რომელიც ფუნქციურ-სემანტიკურად თანწყობილია, ფორმით – ქვეწყობილი.

ლიტერატურა:

1. დავითიანი ა. – ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1973.
2. კვაჭაძე ლ. – თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი, 1988.
3. ფეიქრიშვილი ჟ. – ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისი, 1996.
4. ქეგელ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1990.
5. ყორანაშვილი უ. – ერთი ტიპის ქვეწყობილი წინადადების გაგებისათვის: ქელს, №1–2. 1985.
6. ყორანაშვილი უ. – კვლავ ერთი ტიპის ქვეწყობილი წინადადების გაგებისათვის: ქელს, №1–4. 1987.
7. შანიძე ა. – ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, თბილისი, 1948.

Natela Phartenadze

Batumi Shota Rustaveli State University

FOR THE QUALIFICATION OF A SPECIFIC COMPLEX SUBORDINATE CLAUSE GROUP IN GEORGIAN RESUME

Among the groups of subordinate clauses in Georgian there is a one, which is derived from coordinate clauses by replacing (or including) the conjunction. Since the other changes do not occur, therefore the subjectiveness is weakly expressed in such types of coordinate clauses, there is no correlate, no question and no easy transformation can happen there.

The semantic relations between the components of a coordinate clause should also be taken into account. Particularly:

1. If the sequence of actions is expressed in a complex subordinate clause and a grouping conjunction („და“) is replaced by a subjective (complex) one (ასე რომ, რის გამო, ისე რომ...), we will receive an independent sentence: გამეცინა, **რის გამოც** დავისაჯე // გამეცინა **და** დავისაჯე...; if a grouping conjunction („და“) is replaced by a member – conjunction (relative pronoun) „რაც“, and enclose a demonstrative pronoun („ეს“) – we will get a subordinate clause: თითიდან უნებურად წამვრა საქორწინო ბეჭედი, **რაც** ცუდის მომასწაველი იყო // თითიდან უნებურად წამვრა საქორწინო ბეჭედი **და ეს** ცუდის მომასწაველი იყო...;
2. If a controversy of actions is expressed in a subordinate clause, we can get a subordinate clause of concession with the conjunction „თუმცა“, attached to the first component: ცხელოდა, მაგრამ მაინც თბილად მეცვა // **თუმცა** ცხელოდა, მაგრამ მაინც თბილად მეცვა...

We consider, that it is a sufficient reason to regard such type of sentences (resultative, concessive and evaluative) as the secondary phenomenon, derived from parataxal constructions, which have not been able to complete fully the functions of a coordinate clause and have become similar only in form and appearance. Therefore, they should be distinguished as a separate group – a subordinate clause of a complicated type, which is semantically subordinate, but coordinate – in form.

მცირე ექსპედიცია ტაოსა და კლარჯეთში

2015 წლის სააღდგომო არდადეგები თურქეთში გავატარეთ: ზაზა შაშიკაძე, მალხაზ ჩოხარაძე და მე ვსტუმრობდით წელს ართვინს.

10 აპრილს, პარასკევს, შუადღის 2 საათზე გავიარეთ საქართველოსა და თურქეთის საზღვრები და მინიბუსით ხოფაში წავედით, იქედან – ართვინში.

ართვინში მემედ ალი ქესკინი გველოდებოდა, ბისონიძე, ჩვენი დოქტორანტი. გზად ვისადილეთ და ქალაქგარეთ, სასტუმრო „არტ ვილაში“ დავბინავდით. მესამე წელია, აქ ვატარებთ აღდგომის დღეებს, ამიტომაც ყველა გვიცნობს. სასტუმროს მმართველი, არიფი იუსუფელიდანაა, გამხდარი, შავი, ტიპური ტაოელია.

ღიმილით შეგვხვდა არიფი, გელოდებოდითო. ჩაიზე დაგვპატიჟა, ვისაუბრეთ...

გადავწყვიტეთ, ხვალ დილით, 10 საათზე იუსუფელში წავალთ და მოვძებნით თუხარისის ციხეს. მემედ ალის თადარიგი დაუჭერია, უკვე ნახული ჰყავს ჩვენი ხვალისდელი გამცილებელი...

ცნობისათვის: თუხარისი ნახსენებია არაერთ ქართულ საისტორიო წყაროში, მაგრამ მისი იდენტიფიკაცია, მიუხედავად ცდებისა, დღეს არსებულ რომელიმე ციხესთან ვერ მოხერხდა, უფრო აზრთა სხვაობაა. უტყუარია, რომ თუხარისი ვახტანგ გორგასალისდროინდელი (შეიძლება უფრო ძველიც) ციხე-ქალაქია, უტყუარია ისიც, რომ იგი ჭოროხის ხეობაში მდებარეობს, საძიებელია თუ სად!

უპირველესად მოვიყვანოთ ისტორიული ცნობები თუხარისის შესახებ:

ლეონტი მროველი: „...თუხარისი (მდებარეობს) მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვან ჭოროხი“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955:17).

ვახუშტი ბაგრატიონი: „ტბეთის პირისპირ, ჩრდილოთ კერძ, მდინარის გაღმა, არს თუხარისი, რომელი აღაშენა პირველ ოძრახოს, ძემან მცხეთოსისამან, შემდგომად კვლავ მეფემან მირდატ აღაშენა ეკლესია ციხესა შინა...“ (ქართლის ცხოვრება, IV, 679).

ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობები რადიკალურად განსხვავებულია. პირველით თუხარისი სპერის მდინარის (ჭოროხის) ნაპირასაა, მეორეთი – ტბეთის პირისპირ. ჩვენი აზრით, ტბეთის პირისპირ, მდინარის გაღმა თუხარისის არსებობა მრავალ კითხვას აჩენს, საბოლოოდ კი არაა დამაჯერებელი.

ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობები, ბუნებრივია, გამოიყენეს ქართველმა ისტორიკოსებმა:

ივ. ჯავახიშვილი: ტაოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარზე „ციხე თუხარისიც...“ იყო, რომელიც ჯუანშერის დროს ქართლის სამეფოს საზღვრად ითვლებოდა. თუხარისი ტაოსა და კლარჯეთის საზღვარზე იყო (ჯავახიშვილი, II, 1983:66). ივ. ჯავახიშვილი მოიხმობს სომხური უსახელო გეოგრაფიიდან ცნობას, რომ „მდ. ჭოროხი თუხარისის ციხის მახლობლად კლარჯეთში შედისო“ (ჯავახიშვილი, II, 1983:66). ვფიქრობთ, ჯუანშერისა და სომხური ცნობა ერთმანეთს ემთხვევა.

აქ შეგნებულად არ მოვიყვანთ პავლე ინგოროყვას დაკვირვებებს, რამდენადაც წინააღმდეგობრივია და, ვფიქრობთ, დაუჯერებელიც. მკვლევრის მოსაზრებით, თუხარისი კლარჯეთშია, პარხალი – სპერში“ (ინგოროყვა, 1954:361-363; 379).

თანამედროვე მკვლევარი, ვფიქრობთ, უნდა დაეყრდნოს ლეონტი მროველის ცნობას, რომლის საინტერესო და დამაჯერებელი ინტერპრეტაცია ივ. ჯავახიშვილმა მოგვცა.

დავუბრუნდეთ ჩვენს თხრობას.

ასოცირებული პროფესორი ზაზა შაშიკაძე სწავლობს რა ოსმალურ დავთრებს, ყურადღებას მიაქცევს თუხარისს და გამოთქვამს ვარაუდს, რომ იგი იუსუფელს ზემოთაა ჭოროხის ხეობაში ტაოსა და კლარჯეთის საზღვარზე (ფაქტიურად ოსმალური და ლეონტი მროველის ცნობა ერთმანეთს ემთხვევა – ავტ.).

ციხის ადგილმდებარეობის მითითება დავთარში მნიშვნელოვანია, მაგრამ კითხვას ბადებს ტაოსა და კლარჯეთის საზღვრის ასე შორს გადატანა ჭოროხის სათავეებისაკენ. და რაც მთავარია, იუსუფელი და მის ჩრდილოეთით მდებარე პარხლისწყლის ხეობა კლარჯეთს მიაკუთვნა. ამით კი

ტაოური დიალექტის უკანასკნელი ნამსხვრევები ხელიდან „გამოგვაცალა“. თუმცა ასე იოლად ვერ დავთმობთ და არც დავთმობთ ტაოურს. დღეისათვის დაბეჯითებით ვიტყვით:

– კლარჯული და ელიასხევის ქართული სოფლების მეტყველება განსხვავებულია და არ შეიძლება მათი ერთ კილოდ გააზრება.

– ტონური მახვილი, დამახასიათებელი ელიასხეველთა მეტყველებისათვის, განასხვავებს ტაოურს კლარჯული მეტყველებისაგან.

– გეოგრაფიულ სახელთა წარმოების წესი განსხვავებულია. ელიასხევეში და მის მიმდებარე ხეობებში ჭარბობს **კარ** ფუძიანი გეოგრაფიული სახელები.

– ტერასული მეურნეობა, დამახასიათებელი ტაოსათვის, ტაოს განასხვავებს კლარჯეთისაგან.

ტაო და კლარჯეთი ერთი კულტურული სივრცის ორი რეგიონია განსხვავებული მეტყველებით, ფოლკლორით, ყოფით (ეთნოლოგიით)...

ეს ფიქრები არ მასვენებდა, თუმცა მამშვიდებდა ის ფაქტი, რომ საქართველოს ისტორიაში „ქვეყნების“ საზღვრების გადაწევა ჩვეულებრივი იყო და, ჩანს, ამ თვალსაზრისით არც ტაოსა და კლარჯეთის საზღვრები იყო გამონაკლისი.

11 აპრილი გათენდა, შაბათი დღე. დილა ცივი და ნისლიანია. „არტ ოტელის“ გაღმით მთის წვერებზე ახალი თოვლი ჩანს. დროა, გზას დავადგეთ. ვიმედოვნებთ, ტაოში კარგი ამინდი დაგვხვდება. ციხეზე ასვლა გვსურს, ნაწვიმარზე, მით უმეტეს წვიმაში, გაგვიჭირდება, სარისკოა.

თუნდაც ითოვლოს, მაინც ავალთ თუხარისზე, თუმცა ავდარს მზე გვიჩვენია.

იუსუფელში ჩავედით. იქ მემედ ალის (მამუკას, ასე ვეძახით მას და ასეც მოვიხსენებ ქვემოთ – ავტ.) მეგობრის მამა გველოდება, რომელიც გაგვყვება **ჩევრელში**.

ჭოროხის ხეობას აფუყვით სპერისაკენ, გავიარეთ **თექყალე** (კავკასიძეთა საბრძანებელი), სოფელი **დორთ ქილისე** (ოთხთა ეკლესია) და ჩევრელში ავედით. სოფლის მამასახლისი, მურეთთინ ქილიჩი გავიცანით, კაცი განათლებული და კარგი მცოდნე თავისი სოფლისა, სტუმართმოყვარე და კარგი მასპინძელი. საჩაიეს ეზოში დავსხედით, ვსაუბრობთ; შემოგვცქერიან ცნობისმოყვარე ჩევრელები, ახალი ტაოელები. ჩაი დავლიეთ. ჩვენი ჩასვლის მიზეზი ავუხსენით მასპინძლებს, დახმარება აღვითქვეს.

– აქ, ახლოს ხომ არაა თუხარისის ციხე? – ვკითხვით მურეთთინ მამასახლისს.

– **თუხერისი ზემოთაა, აქედან 35 კილომეტრში, მეზრაა!**

– თუხერისში ციხე არის?

– არა, იქ ციხე არაა!

– ამ ციხეს რა ჰქვია? – ვკითხულობთ და ვაჩვენებთ სოფლის თავზე გადმოდგარ ძველ ციხეს.

– **ესკი** (ძველი – ავტ.) **ყალეა, სახელი არ აქვს, ყალეა და...!**

– ბატონო მურეთთინ, ჩევრელს რამდენი მაჰალე აქვს?

ჩევრელში 14 მაჰალეა:

1. მეიდან მაჰალე (ამ უბანშია ციხე – ავტ.);

2. ლაჩინგილი;

3. ჰიდროლოგი მაჰალე;

4. აიაზგილი;

5. ქაშიქოლლუ;

6. სირთ მაჰალე;

7. **გიგნარ**;

8. მარამი;

9. **ჯინნარი**;

10. ადა მაჰალესი;

11. **ქურუნგეთი**;

12. **მელიეთი**;

13. **შაფეთი**;

14. ხოლოთგილი.

– თქვენ თქვით, თუხერისი ზემოთ მეზრააო. სხვა მეზრეებიც ხომ არაა მაღლა?

– მეზრეები ბევრია: **ჭუვარი** (<*ჯუვარი¹), **იფინთი**, **ალუზარ** (||ალუძარ), **ჰაქანეთი**, **ჩინთათი**, **ფილიგილ**, **თუქერისი** (||თუხერისი), **ავაზანი**, **ქაჰნუთი** (<*კახნუთი), **სევანზორი**, **ჩიხაჯჯარ** (<*ჯიხაჯჯარ. შდრ. ციხისჯვარი), **ქარსიგელ**, **ჰაპგეთი**, **ასთაბედ**, **ქოჩგათი**, **ქარხელი** (<*კარხელი).

¹ ჭუვარიდან მომავალი თიხის მიწები (ბორები) აღმოჩნდაო, გვითხრეს ჩევრელში.

– ბარემ ადგილის სახელებიც ჩავვაწერინეთ! – ვთხოვთ მასპინძელს.

– **ხახასეთი|ჰაჰასეთი** (მდინარისპირა), **ზოღზორი**, **ჯიღნარი** (მდინარისპირა ველია), **საჩევი** (<*სა[რ]ჩევი?), **უდამუთი**, **ჰანჭუვარი** (*ჰანჯუვარი?), **გუმფი**.

სხვადასხვა ფენა ჩანს ჩვერელისა და მისი მიმდებარე სოფლების ტოპონიმიაში. სოფლის რამდენიმე უბანს ქართული წარმოების სახელი აქვს, ასეთის: გიგნარ, ჯიღნარი, ქურუნგეთი, მელიეთი, შაფეთი. დასახელებულ სახელებში მაწარმოებლად გამოიყოფა –ნარ და –ეთ სუფიქსები. სადღეისოდ მაინც ჰარბობს უცხო, არაქართული გეოგრაფიული სახელები. ყურადღებას იქცევს **ჩიხაჯორ** (<*ჯიხაჯორ) და **ჰანჭუვარ** (*ჰანჯუვარი?) ტოპონიმები. ვფიქრობთ, სადაც **ჯიხაჯორია**, იქ **ჰანჯუვარი** არ უნდა იყოს მოულოდნელი. სხვაგვარად კოლხური სახელები ჭოროხის ხეობაში უძველესი ვითარების ნაშთია.

ვცდილობთ, თუხარისის შესახებ მოვიპოვოთ ინფორმაცია. მნიშვნელოვანია, რომ დადასტურდა საგეოგრაფიო სახელი **თუხერისი**, რაც ჩვენი ძიებისათვის საყურადღებო ფაქტია.

მივყევთ მოვლენებს.

ლეგენდა მოგვითხრობს ერთი მურეთთინმა, ვფიქრობთ, საინტერესო:

თუხერისიდან, ქარსიქერიდან ციხემდე თიხის მილი ჩამოდიოდა, 15-20 კილომეტრი იქნება. თუხერისის გვერდით საღორე ყოფილა, იქ ღორებს წველდნენ, რძეს ზორებით (თიხის მილებით – ავტ.) ციხეში ქრისტიან ჯარისკაცებს აწვდიდნენ (სხვებმა ცხვრის რძეს აწვდიდნენ ციხეს. რელიგიური დაპირისპირების კვალი ჩანს აქ, რადგანაც ჯარისკაცები ქრისტიანები იყვნენ, ამიტომაც ღორის რძეს აწვდიდნენ – ავტ.). დღესაც წააწყდებით მილის ნარჩენებს. წყლის არ უნდა იყოს მილები, რადგანაც წყალი არის ციხის გვერდით.

ამ მოთხრობაში რამდენიმე საინტერესო ნიუანსია, კერძოდ, ა. თუხერისს კავშირი ჰქონია ციხესთან; ბ. თუხერისიდან მარაგდება ციხე რძით (ალბათ წყლით – ავტ.) სპეციალური მილებით.

ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ქრისტიანმა ქართველებმა ააშენეს ეს ციხე. გადმოცემით, 1. ერთი ციხისთვის სახელი იყო **ფეთერეკი**, შემდეგში სოფელს მისი სახელი ეწოდაო; 2. ციხის მაჰალეს ჰქვია **ფეთერეკი** და სახელი იქედან გავრცელდა მთელს სოფელზეო. ეს ორი მოსაზრება ერთმანეთს არ გამორიცხავს.

გადმოცემა საინტერესოა, საყურადღებოც, მაგრამ სოფლის სახელწოდება ახსნას მოითხოვს. შეიძლება მართლაც იყოს იგი დაკავშირებული ადამიანის საკუთარ სახელთან – პეტრე, რომელმაც ახალ ლინგვისტურ გარემოში განიცადა ფონეტიკური ტრანსფორმაცია და თურქულ გამოთქმაში მოგვცა **ფეთერეკი** (<*პეტერეკი<პეტერე<პეტრე). ჩვენი მსჯელობა მხოლოდ ვარაუდია, არაფერს ვიჩემებთ.

კიდევ ერთი ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია მოვიპოვეთ:

თუხარისიდან (ოქუზდალიდან (ხარის მთა – ავტ.) – ასე უთარგმნიათ თუხარისი თურქულად. ჩანს, მასში ძირეულ მასალად ხარი (თ. ოქუზ) დაუნახავთ) მოედინება მდ. **თუხერისი** (თ. ოქუზდალი), მისგან მარცხნივ, **ხევანზორიდან** მოედინება მდ. **ხევანზორი**. თუხერისი და ხევანზორი ერთმანეთს ციხესთან ახლოს ერთვებიან. ციხე მდინარეთა ხერთვისის ქვემოთ, ბექობზეა აშენებული. დასაშვებია, რომ ძველად მთელს ხეობას ჭოროხამდე თუხარისი ერქვა. შესაძლებელია მეორე დაშვებაც, კერძოდ: რამდენადაც ციხე აყურადებდა თუხარისის ხეობას, სახელდებაც – **თუხარისი** აქედან მოდის. ჩვენი აზრით, უპირატესობა მაინც პირველს უნდა მიენიჭოს.

ცნობისათვის: თუხერისის ქვემოთ არის მეზრა **თურენისი**. თუხერისი და თურენისი საერთო წარმოების გეოგრაფიული სახელებია: პირველს საფუძვლად უდევს სახელური ფუძე თუხერ|თუხარ, მეორეს – თურენ|თურან, მაწარმოებლად კი ორივეში -ის ბოლოსართი გამოიყოფა.

დაბოლოს:

– ვინ ცხოვრობს ამ სოფლებში? – ვკითხულობთ.

– ადგილობრივები ემიგრაციაში წავიდნენ, ჩვენი წინაპრები მოვიდნენ ყარაბაღიდან, სევასტოპოლიდან, ნახჩევანიდან...

მაეჭვებს ეს ცნობა. შესაძლებელია, აქ ისეთივე ყარაბაღელები, სევასტოპოლელები და ნახჩევანელები ცხოვრობენ, როგორც შავშეთში, ყვირალას ხეობაში ყივჩაღთა შთამომავლები. აქ რომ არაქართული (უფრო ზუსტად თურქული) ტომების ჩამომავლები ცხოვრობენ, ეს თურქული ისტორიოგრაფიის წარმატებული ცდის შედეგია.

მოდით, ასეც დავსვათ კითხვა:

– თუ ძველი ტაოელები წავიდნენ სოფლიდან, ხეობიდან და დაცლილ სამოსახლოებზე თურქული მოდგმის მოსახლეობა ჩამოსახლდა, ახალმოსულებს ვინ გადასცა ძველი გადმოცემები, ქართული ტოპონიმები, სხვა ბევრი ნიუანსი, რომელიც ქმნის ისტორიული მეხსიერების ჯაჭვს?

ჩვენ ასე გავცემდით პასუხს დასმულ კითხვას: ვიღაც მართლაც წავიდა თუხარისიდან თუ მის მიმდებარე ხეობებში გაშენებული სოფლებიდან, ახალმოსახლეებიც ჩამოსახლეს აქ, მაგრამ მოსახლეობის ბირთვს მაინც ავტოქტონური ფენა ქმნის, რომელიც ინახავს და თაობებს გადასცემს კოლექტიური მეხსიერების ნიუანსებს. ადგილობრივმა ტაოელებმა ასიმილაცია განიცადეს მოსულებთან, გაითქვიფნენ სხვა კულტურაში... მიუხედავად ამისა, მეხსიერების ჯაჭვი, თუნდაც სუსტი, მათგან გადაეცათ ახალმოსულთ...

დავემშვიდობეთ მურეთის და მასთან ერთად შეკრებილ ახალტაოელებს. მადლობა გადავუხადეთ მასპინძლობისათვის და ციხეზე წავედით.

პირველად თუხარისისა და ხევანზორის ხერთვისთან ავედით, შემდეგ უკან დავბრუნდით და თუხარისი დავლაშქრეთ.

არ გავჭირვებია ციხეზე ასვლა. იოლად დავძლიეთ აღმართები. ციხე ერთგოდოლიანია. თუხარისს, ჩანს, ერთი შესასვლელი ჰქონდა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, დღეს ჩაქცეული და მიუვალი. სხვა კარი ახლა არ ჩანს.

თუხარისი ნაშენებია დაუმუშავებელი ქვითა და კირხსნარით. ჩრდილოეთით ერთი კოშკი გადარჩენილია. მისი კედლების სიმაღლე 6 მეტრამდეა, შეიძლება მეტიც. სამხრეთ-აღმოსავლეთით მეორე კოშკის ნარჩენები „იკითხება“ იგი ორსართულიანი მაინც უნდა ყოფილიყო. სართულებს შორის ხის ბოძები ჩანს. სამხრეთით მესამე კოშკის ერთი კედელია გადარჩენილი.

ციხე საკმაოდ დიდია: 42×65 ნაბიჯი, დაახლოებით 35×55 მეტრი (2000 კვადრატული მეტრამდე ფართობით).

განძისმადიებელ „არქეოლოგებს“ აქაც უშრომიათ, ღრმა თხრილი გაუკეთებიათ სამხრეთ კედელთან.

ციხე ბუნებრივადაა გამაგრებული: ოთხივე მხრიდან დაუბრკოლებლად მისვლა შეუძლებელია... სიმაგრე ზემოდან დაჰყურებს ჭოროხისპირა ველებს, მეციხოვნის მხერა საკმაოდ შორს წდებდა. ჩრდილოეთით კი თუხარისი ორ ხეობას აყურადებს.

დაბლა ჩამოვედით. გარედან ვათვალიერებთ ციხეს და ბოლო ჩანაწერებს ვაკეთებთ: სამხრეთი კედლის სიმაღლე 10 მეტრამდე იქნება, კედლების სისქე 1 მეტრამდეა, ზოგან უფრო მეტიც.

დასკვნა: ციხე, რომელზეც დღეს ავედით, უდაოდ თუხარისია, ძველი საქართველოს მნიშვნელოვანი სიმაგრე, ციხე-ქალაქი. დასტურად ტოპონიმი **თუხერისი|თუხარისი** კმარა. ჩანს, თუხარისი ერქვა ხეობას და მიმდებარე სოფელს. შემდეგ დავიწროვდა გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობა და დღეს იხმარება იგი მეზრესა და მდინარის სახელად. რაც მთავარია, სოფელ ჩევრელში მდებარე ციხე ემთხვევა „ქართლის ცხოვრებაში“, კერძოდ, ლეონტი მროველის თხზულებაში ნახსენებ თუხარისის ციხეს.

12 აპრილი, კვირა. დღეს აღდგომაა, ქრისტიანული სამყაროს უდიდესი სასწაული.

დილით ანჭკორაში წავედით. სოფელი არტანუჯი-ანჩის გზაზეა, დუმაკერტის უღელტეხილის უკან პირველივე დასახლებაა. სოფლის სახელწოდება ფონეტიკურად სახეცვლილი **ანჭკორაა**.

ერდემ ყარამანის ოჯახში მიგვიძღვნენ, სიხარულით მიგვიღეს. გარეთ ცივა, გვესიამოვნა მოგიზგიზე ღუმელი და ცხელი ჩაი.

ანჭკორის ტოპონიმია გვანტერესებს, უფრო ზუსტად გიორგი მერჩულეს თხზულებაში ნახსენები ერთი გეოგრაფიული სახელის – **წერტა** მოღწეულობა.

ყარამანების ოჯახში ანჭკორელებმა მოიყარეს თავი. ერთიანი ძალით გვაწერინებენ მიკროტოპონიმებს: **ომარგილი, ჯამიმაჰალე, ქოსაგილი, სირთმაჰალე, ჩაუშგილი, ახშაბეთგილი, სალეგილი, იმაგილ მაჰალესი, ავაზანეთი, მუხუგერტ** (<მუხუგერტ?), **ქუჩუქდუზი, [გ]ვალი ყანა, წირწათ, დალაქერტ** (<დალაკერტ?), **კოკოლა ტაშლარ** (ანჩა სირთი), **ზაქერეთი, დუმასკერტი** (<დუმასკერტი?), **ჰანაქერტ** (<ჰანაკერტი?), **ოიზლარი, ბუაუქ თეფე, იუხარქი ბაღლარ, ორთაბაღი, ხოზან, კუდელისი, იქი თაშ, ბესართხევე, ხორასან, სისევით** (<ზიზევით<[გ]ზი[ს]ხევით), **ახალთ, ნათელეთი, ნახრაკი, ფოზიკი, ხაზაქერტ|ხაზაკერტ, კორხ, ანზა, ყარალი, აჯი ელმა თეფე, ჭიკჭიკ** (თეფე), **დეფან, პანტა, ბერდა** (ქედს გადაღმა), **ოიზი, მარანი სირთი**.

დასახელებულ ტოპონიმთაგან სულ თოთხმეტია ქართული, დანარჩენი – არაქართული. და რაც მთავარია, ანჭკორაში არ ახსოვთ **წერტა**.

ანჭკორისა და მისი შემოგარენის გეოგრაფიულ სახელთაგან ქართულია (ან ქართული მაწარმოებლით გაფორმებული): ავაზანეთი, [გ]ვალი ყანა, წირწათ, ზაქერეთი, ხოზანი, კუდელისი, ბესართხევი, ჭიკჭიკ, სისევით, ახალთ, ნათელეთი, ნახრაკი, პანტა, ბერდა (ბერთა?).

კომპოზიტი ტოპონიმში შემავალი ერთი ფუძე ქართულია (ნაჯვარი ტოპონიმია): ახშაბეთგილი, კოკოლატაშლარ, მარანი სირთი.

არაქართულია: ომარგილი, ჯამიმაჰალე, ქოსაგილი, სირთმაჰალე, ჩაუშგილი, ახშაბეთგილი, სალეგილი, იმაგილ მაჰალესი, მუხუგერო, ქუჩუქდუზი, დალაქერო, დუმასკერო, ჰანაქერტ, იოზლარ, ბუფუქ თეფე, ფუხარქი ბაღლარ, ორთაბადი, იქი თაშ, ხორასან, ხაზაქერო, ანზა, კორხ, ყარალი, აჯი ელმა თეფე, დეფან, ოიზი.

არაქართულ ტოპონიმებში ჭარბობს გილ' და კერტ'იანი წარმოება. არაქართული ფენა კლარჯეთის ამ სექტორის ტოპონიმიაში ახალია, და თუ მოსახლეობის შედგენილობას გავითვალისწინებთ, არაა მოულოდნელი.

ლიტერატურა:

ქართლის ცხოვრება, I, 1955 – ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველ მეფეთა. ქართლის ცხოვრება, I, თბ.

ქართლის ცხოვრება, IV, 1973 – ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, IV, თბ.

ჯავახიშვილი, II, 1983 – ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. თხზ. თორმეტ ტომად, ტ. II, თბ.

ინგოროყვა, 1954 – პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ.

Mamia Paghava
Batumi Shota Rustaveli State University
A SMALL EXPEDITION IN TAO AND KLARJETI
RESUME

The paper deals with the small expedition conducted by the staff of the Center for Kartvelian Studies of the Batumi Shota Rustaveli State University on 10-13 April in the Republic of Turkey (Artvini), historical Klarjeti. The goal of the expedition was to identify the fortress of Tukharisi well-known in the Georgian historical sources. By comparing the information from “Krtlos Tskhovreba” and the Ottoman sources, the author comes to the conclusion that Tukharisi is the fortress located today in modern Chevreli, above Iusupeli, Chorokhi Gorge. The Tukharisi Gorge is nearby as well as the summer station of Tukherisi (Tukharisi>Tukherisi phonetic transformation).

იზა ჩანტლაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**პროფესორ გენადი ბურჭულაძის ღვაწლი კომპარატივისტულ
კავკასიოლოგიაში**

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევხვით რომელიმე სრულიად ახალი ლინგვისტური კანონზომიერების აღმოჩენით გამოწვეულ სიხარულს, რომელსაც თავისი მეტად ნაყოფიერი მოღვაწეობის მანძილზე დღენიადაგ საოცრად განიცდიდა პროფესორი გენადი ბურჭულაძე და მუხლჩაუხრელი შრომის შედეგებს სტატიებისა თუ მონოგრაფიების გამოქვეყნებამდე ყოველთვის აღტაცებული და მასწავლებელთა წინაშე ერთგვარად ვალმოხდილი დიდი სიამოვნებით გვიხიარებდა კოლეგებსა თუ მეგობრებს.

თუმცა რა გასაკვირია ამგვარი ქცევა აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას მოწაფისაგან, რომელსაც, ალბათ, არასდროს დაავიწყდებოდა ბრძენი მოძღვართმოდვრის აზრი იმის შესახებ, რომ „დიდი სიხარული, რაც ახალი კანონზომიერებების შერჩევასა თუ გამოვლენას მკვლევრისათვის მოაქვს, ესთეტიკური ძალით ყოველ პოეზიას წააჭარბებდა. ამის გარეშე მეცნიერული სიზუსტე მძიმე ტვირთად იქცეოდა (და ან ინტრიგის შხამს რა გაუძლებდა?)“ – ჩიქობავა 1998: 3.

სპეციალისტებისთვის ცნობილია დიდი ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთი მეთოდი უთარილო ხელნაწერების დათარიღებისა იმის მიხედვით, **ყ, ჯ და ზ** გრაფიკაში მოხაზულობა თავშეკრული იყო თუ თავგახსნილი. „ქართული პალეოგრაფიის“ სახელმძღვანელოზე მუშაობისას უძველეს ტექსტში მან ადრევე შენიშნა თავშეკრული **ყ** და **ჯ**, ხოლო ამგვარსავე **ზ**-ს მხოლოდ 1922 წელს, პროფესორ პავლე კოკოვცოვის მიერ გამოქყენებული ქართულ-ებრაული პალიმფსესტის კითხვისას, მიაკლია. აი, რას წერს უდიდესი მეცნიერი ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ: „მვირფასი პალიმფსესტის კითხვას გულდასმით შევუდექი და ეხლა განსაკუთრებით ზანს ვეხედდი. პირველსავე ფურცელზე, მარჯვნივ სვეტის მე-9 და მე-10 სტრიქონებში ორჯერვე „ზ“ სრულებით გარკვევით თავშეკრული იყო, ენაც გასაოცარი სიძველის მომასწავებელი გამოდგა. ამ აღმოჩენისაგან გამოწვეული სიხარულისა და მღელვარებისაგან მუშაობა აღარ შემეძლო“ (ჯავახიშვილი 1949: 318). ბუნებრივია, რომ ახალ კანონზომიერებათა დადგენით გამოწვეული სიხარულის განცდაც ვისწავლეთ დიდებული მასწავლებლებისაგან ფუნდამენტურ მეცნიერებათა ჩვენამდე მოღწეულ ღრმა თეორიებთან ერთად; და აი, დღეს თვალწინ მიდგას პროფ. გ. ბურჭულაძე თავისი „ლაკური პარადოქსებით“ კათედრასთან მდგარი მთელი 8 წლის მანძილზე ახალ აღმოჩენათა მსმენელთათვის გასაცნობად. სრულიად ბუნებრივია, რომ მოხსენებათა სერიების სათაური იქცეოდა, უპირველეს ყოვლისა, აუდიტორიის ყურადღებას – რატომ პარადოქსებიო. ყველა მორიგი მოხსენების წაკითხვის დამთავრებისთანავე გაირკვეოდა, რომ იმ პრობლემებს ექცეოდა ყურადღება, რომლებიც არ თავსდებოდნენ ლაკური ენის ფონოტაქტიკისა თუ მორფოსინტაქსური კატეგორიების ფარგლებში და ამიტომ საჭირო იყო ამ ენობრივი სამყაროდან გასვლა გენეტიურად მონათესავე თუ ტიპოლოგიურად მსგავს სისტემებში მით უფრო მაშინ, როცა იბერიულ-კავკასიური თეორიისა და მეთოდოლოგიის მოწინააღმდეგენი ხელაღებით გვესხმოდნენ თავს მთის კავკასიურ და ქართველურ ენათა ნათესაობის აღიარების გამო ისე, რომ ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი ამ ენათა შედარებითი გრამატიკა კავკასიოლოგთა მიერ არც ჩვენში და არც უცხოეთში. ახლა გაცილებით უკეთესი ვითარებაა – უკვე გვაქვს მიხეილ ქურდიანისა და მერაბ ჩუხუას ფუნდამენტური პუბლიკაციები, რომლებშიც მკაცრი კომპარატივისტული მეთოდოლოგიის გამოყენებით თუ სინქრონია-დიაქრონიის მონაცემთა უთრირთშეპირისპირების საფუძველზე გადასინჯულია ადრინდელი ფონემათშესატყვისობანი და დადგენილია შესაძლებლობის მიხედვით ზუსტი კანონზომიერებანი ქართველურ და მთის კავკასიურ ენებს შორის, აგრეთვე, მოხმობილია ბასკურის მონაცემებიც. როგორც ყველა მნიშვნელოვან ახალ ნაშრომში, ორივე ავტორთან არაერთი საკითხი გვაქვს სადავო, მაგრამ ეს არ არის მთავარი – ამჟამად ჩვენთვის არსებითი ისაა, რომ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის პროფესორთა მიერ შეიქმნა ფუნდამენტური შედარებითი გრამატიკები ქართველური და მთის კავკასიური ენებისა, რაც აქამდე არ არსებობდა.

დასახელებულ მონოგრაფიებში ბევრ ადგილასაა მითითებული გ. ბურჭულაძის გამოკვლევებში წარმოდგენილი დამაჯერებელი კომპარატივისტული მიგნებანი.

აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას აზრით, „ლექსიკური მასალის მიმოქცევა მომე ენებში მრავალგვარი სახის პროცესს გულისხმობს. სწორი ეტიმოლოგიური ანალიზი იძლევა შესაძლებლობას იმისა, გავარკვიოთ, თუ როდის და სად, რომელ რეგიონში გვქონდა სათანადო კონტაქტები და საით მიიმართება შეთვისებული მასალის ინტერფერენციის პროცესი“.

პროფ. გ. ბურჭულაძე საგანგებოდ იკვლევდა ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომელთა სტრუქტურულ-ფონოლოგიური ანალიზი მას შესაძლებლობას მისცემდა ზოგადკავკასიურ პრობლემებზე მსჯელობისათვის. მან არაერთი საერთოკავკასიური ფუძე თუ ძირი გამოავლინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველურ-კავკასიური შედარებითი გრამატიკის დაწერა აღარ დასცალდა – მიინდა დიდი კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ტარდება საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც სწორედ ეტიმოლოგიურ ძიებებს ეძღვნება. დარწმუნებული ვარ, გ. ბურჭულაძე დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, მიუხედავად თავისი ჯანმრთელობის მძიმე პრობლემებისა, ერთ-ერთ მთავარ მოხსენებას წაიკითხავდა.

გარდა „ლინგვისტური პარადოქსებისა“, პროფესორმა გენადი ბურჭულაძემ დააარსა, აგრეთვე, სერია „იბერიულ-კავკასიურ ენათა ლექსიკიდან“, რომელშიც 19 გამოკვლევა შედის – ყოველი მათგანი დაბეჭდილია ძალზე ავტორიტეტულ სამეცნიერო გამოცემებში 1981-2002 წლებში.

მკვლევარი, უპირველეს ყოვლისა, განიხილავს ძველისძველ ძირებს, ფუძეებს, აფიქსებს, მორფემებს და თავისი კვლევის ობიექტის კომპარატივისტული თვალსაზრისით შესწავლისათვის მიმართავს ნებისმიერ ენაში არქაული ეპოქებიდან მომდინარე მონაცემებს – ე. წ. სომატურ ლექსიკას, ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველ ტერმინოლოგიას, ფლორასა თუ ფაუნას, ადამიანთა ყოველდღიური საქმიანობის გამომხატველ ვერბალურ გამონათქვამებს – ზმნებს, ნაცვალსახელებსა თუ რიცხვით სახელებს. აღნიშნული მეთოდი ავტორს სჭირდება იმისთვის, რომ ლექსიკურ მონაცემებში დაგვანახოს

ქართველთა და კავკასიელთა ოდინდელი გენეტური თუ კულტურული ერთობა. საილუსტრაციოდ დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს:

1. „ერთი ჩვენებითი ნაცვალსახელის შესახებ ხუნძურში“ დაბეჭდილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბის 101-ე ნომერში 1981 წელს;

2. „**კვერცხის** აღმნიშვნელი საერთო იბერიულ-კავკასიური ფუძეები“ გამოქვეყნებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბის 104-ე ნომერში 1981 წელს;

3. „**ღრმილ**- სიტყვის ეტიმოლოგიისათვის ქართულში“ – დაბეჭდილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბის 137-ე ნომერში 1990 წელს;

4. „**კბილისა** და **ერთის** აღმნიშვნელ ფუძეთა თაობაზე დაღესტნურ ენებში“ გამოქვეყნებულია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების XXVII-ე ტომში 1988 წელს;

5. „**კუამლ**– ფუძის წარმომავლობისათვის ქართულში“ დაბეჭდილია იბერიულკავკასიური ენათმეცნიერების XX-XXI ტომში 1993-1994 წლებში;

6. „**ლაპარაკის, ხმაურის** აღმნიშვნელი ერთი წყების ლექსემათა თაობაზე ქართულში“ გამოქვეყნებულია „ეტიმოლოგიურ ძიებაში“ 1990 წელს;

7. „**ადამ** ფუძის თაობაზე ლაკურსა და ზოგ სხვა დაღესტნურ ენაში“ დაბეჭდილია „ეტიმოლოგიური ძიებანის“ VII ნაწილში 1997 წელს;

8. „Общие основы, обозначающие **сон, сновидение** в дагестанских и нахских языках“ გამოქვეყნდა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის XV-ე ტომში 1988 წელს;

9. „О древнем названии **дуба** в лакском языке“ დაიბეჭდა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის XIV-ე ტომში 1987 წელს... პროფესორი გენადი ბურჭულაძე 19-ვე სტატიაში, სულ ერთია, რა სახელწოდება აქვს მათ, სკრუპულოზური სიზუსტით განიხილავს იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შემავალი ოთხივე ჯგუფის (ქართველური, აფხაზურ-ადიღური, ნახური, დაღესტნური) მონაცემებს და ამ სტატიათა პუბლიკაციამდე სპეციალურ ლიტერატურაში არსებული ყველა (მისაღები თუ ნაკლებად მისაღები) თეორიის გამოწვლილვითი ანალიზის შემდგომ დაასკვნის:

განალიზებულ ფუძეთა ერთობა არ მდგარა განცალკევებით, რაც მოწმობს, ერთი მხრივ, აღნიშნულ ლექსემათა ერთნაირ სემანტიკას იბერიულ-კავკასიურ ენებში, ხოლო, მეორე მხრივ, სათანადო ძირეულ მორფემათა გენეტურ და მატერიალურ იდენტურობასაც – მაშასადამე, ფაქტობრივად პროფესორ გენადი ბურჭულაძის გამოკვლევათა შემდგომ ენათმეცნიერებს უკვე ხელთ გვექონდა „იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკა“, ოღონდ დაუსრულებელი სახით, რადგანაც, მის ავტორს ერთი სიცოცხლე ვერ ეყო ფუნდამენტური მონოგრაფიის დასამთავრებლად.

რაკი რეგლამენტით ძალზე შეზღუდულნი ვართ, ამიტომ დეტალურად მხოლოდ ერთ გამოკვლევას განვიხილავ – ეს გახლავთ „О древнем названии **дуба** в лакском языке“, რომლის ერთი ნაწილი სტატიის გამოქვეყნებამდე ქართულ ენაზე მოხსენდა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა რესპუბლიკურ სამეცნიერო სესიას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1986 წელს.

პროფესორ გენადი ბურჭულაძის აზრით, ლაკურ ენაში „მუხის“ სახელწოდება **ფლუთ** ნასესხებია (შდრ. სპარსული **ბალუდ** იმავე მნიშვნელობით). საკუთრივ ლაკური **მაჟა** „მუხა“, დღეს რომ ზოგ დიალექტში დასტურდება, წარმოდგენილია ტოპონიმებშიც. ის მიღებულია ***მაგა** -სგან (შდრ. **მიგ** „მუხა“), ხოლო ეს უკანასკნელი **მაგალ**-ისაგან, რომლის პარალელურად ლაკურში უნდა აღვადგინოთ -**ილ** დეტერმინანტსუფიქსიანი სათანადო ფუძეც, რადგანაც ლაკურ და ანდიურ ენათა დიალექტებში დღესაც დაცულია შემდეგი მონაცემები: **მაჟ-ილ-უ-ლ** მურხ < ***მაგ-ილ-უ-ლ** მურხ „მუხის ხე“; **ნოჟ-ი** || **ნოჯ-ი** < ***ნოგ-ი** „მუხა“.

-**ალ** || -**ილ** დეტერმინანტთა ბადალი ჩანს ნახურ ენათა იმავე წარმომავლობის ლექსემის მრ. რიცხვის ფორმაში დაცული -**ნ** || -**ინ** ელემენტები: **ნაჟ** „მუხა“ (ჩაჩნ.) – **ნეჟ-ნ-აშ**, **ნაჯ-ინ-იშ** (ქისტ.) „მუხები, რკოები“.

აფხაზურ-ადიღურ ენებში „მუხისა“ თუ „რკოს“ აღსანიშნავად **გვხვდება: ა-ჯ, ჯ-გ, ჟ-ღ, გ-ღა, -გნგ**, რომელთა ამოსავალი **ჯ** აფრიკატი, ალაბთ, ხშული **გ** თანხმოვნისგან მომდინარეობს.

იმავე **გ** ძირის ნაყარი ჩანს ქართული **რკო**, უძველეს ტექსტებში „მუხის“ სემანტიკითაც რომ გამოიყენება, და წარმოგვიდგება **კრკო** || **გურკო, კურკო** ვარიანტებით (შდრ. მეგრული **კგ, კი**), აგ-რეთვე ზოგი დაღესტნური ენის (ხუნძურის, ანდიურის, წახურულის, რუთულურისა და თაბასა-რანულის) „ფიჭვის“ აღმნიშვნელი ლექსემები, რომლებშიც ძირში ყველგან -**კ**- დასტურდება.

დაბოლოს, **დასკვნა** ასეთია: „მუხისა“ თუ „რკოს“ ძველი ლაკური სახელწოდება იბერიულ-კავკასიურ ენათა ლექსიკის საერთო ფონდს განეკუთვნება.

პროფესორ გენადი ბურჭულაძის გამოკვლევაში, რომლის მიხედვით, ლექსემა „მუხა“ ქართულში დაღესტნური ენებიდანაა ნასესხები (იხ. გვ. 296), რატომღაც გამოტოვებულია სვანური **ჯიჰ-რა** („მუხის ხე“), სწორედ მჟღერი **ჯ**- აფრიკატის შემცველი, რაც მას ძალიან დაეხმარებოდა თავისი თეორიის

განმტკიცებაში – პალატალური -ი- ხმოვნის წინა პოზიციაში მყოფი ჯ- შესაძლოა სულაც ხშული გ-თახმოვნის პალატალიზებული ვარიანტიც იყოს, თუმცა ჩვენ განსხვავებული მოსაზრებები გვაქვს (იხ. ჩანტლაძე 2014: 111-113).

ლიტერატურა:

- ჩანტლაძე ი., სვანეთის ფლორა, თბილისი, 2014;
ხსოვნის წიგნი, მიძღვნილი აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას 100 წლისთავისადმი, თბილისი, 1998;
ჯავახიშვილი ივ., ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, „ქართული პალეოგრაფია“, თბილისი, 1949;
Бурчуладзе Г., О древнем названии дуба в лакском языке, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, ტ. XIV, თბილისი, 1987.

Iza Chantladze

Ilia State University

**PROFESSOR GENADI BURCHULADZE'S CONTRIBUTION TO COMPARATIVE
CAUCASIOLOGY
RESUME**

Professor Genadi Burchuladze's works covered the problems, which are the beyond the bounders of phonotactics and morpho- syntactic categories of the Lak language. Therefore it was necessary to research the genetically as well as typologically related similar systems. Today we have Mikheil Kurdiani's and Merab Chukhua's fundamental works, in which basing on comparative methodology and synchronic-diachronic comparative data it is determined the phoneme-correspondences and the exact regularities in the Kartvelian and mountain Caucasian languages. Additionally, the Basque data is given, as well. It is essential that the scholars of the Arnold Chikobava Institute of Linguistics have created the fundamental comparative grammars of the Kartvelian and mountain Caucasian languages. In the mentioned monographs G. Burchuladze's trustworthy comparative studies are given, as well.

Prof. C. Burchuladze has specifically studied the lexical units. The structural and phonological analysis of these lexical units enabled him to discuss Common Caucasian problems. Mr. G. Burchuladze has revealed many Common Caucasian roots and stems, but, unfortunately, he didn't live to create Kartvelian-Caucasian comparative Grammar.

To illustrate Professor Genadi Burchuladze's comparative methodology his well-known work "*Etymology of muxa* "oak-tree" is thoroughly analyzed in the paper.

ჰარუნ ჩიმქე

რეჯევ ტაიფ ედოგანის უნივერსიტეტი (თურქეთი)

ქართულის ზოგიერთი თავისებური ზმნის გამოხატვა თურქულში

ქართული ზმნა მეტისმეტად რთული და მრავალმხრივი მეტყველების ნაწილია. ამასთან, ზოგიერთი ზმნა არ ემორჩილება საზოგადოდ შემუშავებულ წესებს და ავლენს თავისებურებას. ასეთ ზმნებს დეფექტურს ანუ თავისებურ ზმნებს უწოდებენ. ეს სირთულეები და თავისებურებები განსაკუთრებულ პრობლემებს ქმნის თურქული ენის მატარებლებისთვისაც. ამ ასპექტით საჭიროდ მიგვაჩნია ქართულ-თურქული მასალის შედარება-შეპირისპირება.

ქართულში ზმნათა თავისებურების საფუძველი მრავალნაირია და, შესაბამისად, თავისებური ზმნაც მრავალგვარია. ტრადიციული თვალსაზრისით თავისებურ ანუ დეფექტურ ზმნებს მიეკუთვნება რთული, მიმდებარეობითი, ფუძემოცვლელი, პირნაკლი, ქცევანაკლი და მწკრივგამოცვლილი ზმნები (შანიძე,

1973: 500). შ. ძიმიგურს მიაჩნია, რომ ასეთი ზმნების წარმოშობა სხვადასხვაა: „ზოგი არქაულია, ძველია და ახალ წესებს არ დაქვემდებარება, ზოგი დიალექტური წარმოშობისაა და დამკვიდრებულია სალიტერატურო ენაში, ზოგიც კი შეიძლება ანალოგიის შედეგი იყოს“ (ძიმიგური, 1956: 131).

ქართულ ზმნათა თავისებურებები თურქული ენისათვის, რომელიც სხვა ენათა ჯგუფს მიეკუთვნება, ძალიან უცხოა. თურქული ზმნა ამ თვალსაზრისით ძალიან მოწესრიგებულია და თითქმის არ იჩენს თავისებურებებს. სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიებისათვის დამახასიათებელი ნიშნები ყველა ზმნის ფორმაზე ერთ დონეზე მოქმედებს. მაგალითად, თურქულ ენაში ყველა დროს თავ-თავისი ნიშანი აქვს და უღლების დროს ზმნის ფუძე არ განიცდის ცვლილებას. მაგალითად, **Gelmek** (= მოსვლა) ახლანდელ დროში არის **gel-iyor** (= მოვდივარ), მომავალში – **gel-eceğim** (= მოვალ), წარსულში – **gel-dim** (= მოვედი). როგორც ვხედავთ, აღნიშნული ზმნის ფუძე **gel-** არც ერთ შემთხვევაში არ არის შეცვლილი. ასევე უცვლელია დროის ნიშნები სხვა ზმნის ფუძეზე დართვისას. მაგალითად, **Bitirmek** (= დამთავრება) ახლანდელ დროში არის – **bitir-iyor** (= ვამთავრებ), მომავალში **bitir-eceğim** (= დავამთავრებ), წარსულში **bitir-dim** (= დავამთავრე).

ამ ეტაპზე განვიხილავთ ფუძემონაცვლე ზმნებს, რომლებიც დანარჩენებთან შედარებით ყველაზე მეტ თავისებურებას იჩენენ და რაოდენობრივად ყველაზე მეტია (შდრ. თალაკვაძე, 1959: 261), აგრეთვე პირნაკლსა და მწკრივნაკლ ზმნებს. ჩვენი არჩევანი განპირობებულია იმ პრობლემებით, რაც უჩნდებათ ქართულ და თურქულ ენათა შემსწავლელებს.

ქართულ ენაში არის ერთი წყება ზმნებისა, რომელთაც აკლიათ ესა თუ ისე ფორმა და ამ ნაკლს სხვა ფუძის ზმნებით იცვებენ. ამ დროს ზმნის ერთ ფორმას ენაცვლება მეორე. შენაცვლება სხვადასხვაგვარია. იგი ხდება რიცხვის, პირის, მწკრივის, ასპექტის, გვარის, ქცევის მიხედვით. შესაბამისად არის პირნაკლი, რიცხვნაკლი, მწკრივნაკლი და ა. შ. ზმნები. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ა) შენაცვლება რიცხვის მიხედვით: ჩვეულებრივ მრავლობითის ფორმა იწარმოება მხოლობითის ფუძისაგან. ასეთ შემთხვევაში ზმნა მრავლობითისათვის სხვა ფუძეს იშველიებს. მაგალითად:

ჯდომა – სხდომა

მხოლობითი

მე – ვზივარ

შენ – ზიხარ

ის – ზის

მრავლობითი

ჩვენ – ვსხედვართ

თქვენ – სხედხართ

ისინი – სხედან

მოკვლა – დახოცვა

მხოლობითი

მე – მოკვლავ

შენ – მოკლავ

ის – მოკლავს

მრავლობითი

ჩვენ – დავხოცავ

თქვენ – დახოცავ

ისინი – დახოცავენ

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ფორმები მრავლობით რიცხვში სხვა ფუძის სახით არიან წარმოდგენილი, რაც თურქული ენისათვის უცხოა. თურქულში ფუძე თითქმის არ იცვლება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფონეტიკურ დონეზე ცვლილებას. თურქულში **-a**, **-e** ხმოვნებზე დაბოლოებული ფუძეები ახლანდელი დროის ნიშნის **-yor** სუფიქსის წინ ვიწროვდება: **-a** გადადის **-i**-ში, **-e** გადადის **-i**-ში. მაგალითად, **Yemek** (= ჭამა) – **yi-yorum** – ვჭამ, **Anlamak** (= გაგება) – **anlı-yorum** (ვიგებ)... აღნიშნული ფონეტიკური ცვლილება ნებისმიერ **-a**, **-e** ხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეებზე ერთნაირად მოქმედებს. ასე რომ, ამ მხრივაც თურქული ზმნა უფრო სისტემურ ხასიათს ატარებს, ვიდრე ქართული;

ბ) შენაცვლება მწკრივის მიხედვით: სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ შენაცვლება მწკრივში უფრო მეტია, ვიდრე რიცხვში. ასეთ შემთხვევაში ერთმანეთს ენაცვლება ორი, ზოგჯერ სამ-სამი ფუძე. ასეთია, მაგალითად, **ყოფნა, სვლა, ქონება, თქმა, ჯდომა...** მაგალითები:

	ახლ.	მყოფ.	ნამყოფ.
მე	ვარ	ვიქნები	ვიყავი
მე	დავდივარ	ვივლი	ვიარე
მე	ვამბობ	ვიტყვი	ვთქვი
მე	ვეუბნები	ვეტყვი	ვუთხარი

დასახელებული მაგალითების საფუძველზე იქმნება სრულიად განსხვავებული სურათი, რომელიც ძალზე ძნელი აღსაქმელია თურქული ენის მატარებლისათვის. ამის მიზეზად შეიძლება დასახელდეს: 1. ზმნის საწყისი ფორმის კვალი არ დასტურდება არც ერთი მწკრივის ფორმაში, 2. ზოგ შემთხვევაში ორი, ზოგ შემთხვევაში კი სამივე მწკრივი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულია და საერთო არ გააჩნიათ არაფერი. თურქული ზმნის ბუნებიდან გამომდინარე, ზმნის ძირი, რომელიც საწყისშია მოცემული, აუცილებლად არის წარმოდგენილი მწკრივის (დროის) ფორმებში და არ იცვლება დროების მიხედვით. მაგალითად, ზემოთ დასახელებული ქართული ზმნის ფორმათა თურქულ ვარიანტებს

(ყოფნა – Olmak, სვლა – Yürümek, ქონება – Sahip olmak, თქმა – Söylemek, ჯდომა – Oturmak) ექნება ასეთი სახე:

		ახლ.	მყოფ.	ნამყოფ.
Olmak		Ben Ol-uyorum	Ol-acağım	Ol-dum
Yürümek	Ben	Yürü-yorum	Yürü-yeceğim	Yürü-düm
Sahip olmak	Ben	Sahip ol-uyorum	Sahip ol-acağım	Sahip ol-dum
Söylemek	Ben	Söyl-üyorum	Söyle-yeceğim	Söyle-dim
Oturmak	Ben	Otur-uyorum	Otur-acağım	Otur-dum

როგორც ირკვევა, თურქული ზმნის საწყისი ფორმის ფუძე არსად არ არის შეცვლილი და ასევე სამივე დროში არის შენარჩუნებული ფუძის სახით. გარდა ამისა, დასახელებულ ზმნებში სამივე დროის ნიშანი ყველგან ერთი და იგივეა, რაც აჩვენებს თურქული ზმნის უღლების სისტემის სიმარტივეს. ეს უადვილებს თურქული ენის შემსწავლელს ზმნის დროის ფორმათა აღქმას;

გ) შენაცვლება ზმნის პირის მიხედვით: პირთა მიხედვით მონაცვლე ზმნათაგან ერთი ჩვეულებრივ საუბარში გამოიყენება, მეორე კი – თავაზიან, მორიდებულ საუბარში. მაგალითად: ჭამე – მიირთვი, თქვი – ბრძანე, აიღე – ინებე, მოდი – მობრძანდი, დაჯექი – დაბრძანდი, არის – გახლავს, გინდა – გნებავს...

ქართულისათვის დამახასიათებელი გრამატიკული თვისება თურქული ენისათვის არის უცხო. თურქულ ენას არ ახასიათებს ზმნის პირთა შენაცვლება. სამაგიეროდ, სალიტერატურო თურქული თავაზიანი ფორმების გამოსახატავად იყენებს სხვადასხვა ფორმას. ასეთია, მაგალითად, გამოთქმა **Buyrun**, რომელიც ქართულად ერთი სიტყვით არ ითარგმნება, გააჩნია სიტუაციას: მაგალითად, თუ მაგიდასთან ხართ, ნიშნავს „მიირთვით!“ ანდა, თუ ვინმეს რაიმე უნდა მიაწოდოთ, ნიშნავს „ინებეთ!“; თუ ვინმეს ადგილი უნდა შესთავაზოთ დასაჯდომად, „დაბრძანდით“ და სხვ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თურქულის **Buyrun** არის წამომწყები თავაზიანი მიმართვისა და პირდაპირი გაგებით ქართულად მას შესატყვისი არ მოეძებნება. ამიტომ თურქული ენის შესწავლით დაინტერესებულმა პირმა აუცილებლად უნდა იცოდეს **Buyrun** გამოთქმის გამოყენების სიტუაციები. **Buyrun** შეიძლება ნიშნავდეს: მობრძანდით, მიბრძანდით, დაბრძანდით, ბრძანეთ, გისმენთ, და სხვ. (ჩიმქე, 2013: 159).

ასევე, თურქულისთვის დამახასიათებელია განუსაზღვრელი დრო, რომელიც ქართული ენის გრამატიკაში არ არის. თურქულში განუსაზღვრელი დროის კითხვითი ფორმის მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის II პირის ფორმები გამოიყენება ბრძანებითის მაგივრად, როგორც თავაზიანი მიმართვა. მაგალითად, **gel!** ნიშნავს „მოდი“, მაგრამ ამ ფორმის გამოყენება გარკვეულ ფენებში (ასაკის, თანამდებობით... განსხვავებულ პირებთან) გამოიწვევს უხერხულობას. ამიტომ ხშირ შემთხვევაში იყენებენ **gelir misin?** ფორმას, რომელიც ითარგმნება ასე: „მოხვალ (თ)? /მობრძანდები (თ)?“. ნებისმიერ ზმნასთან აღნიშნული ფორმის გამოყენება არის, რაიმე შეზღუდვა არ არსებობს. რა თქმა უნდა, აქაც ინტონაციას, უფროს-უმცროსობის სტატუსს, პატივისცემასა და სხვა ფაქტორებს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა: თუ ვინმე აღნიშნულ ფორმებს გაბრაზებული ტონით ამბობს, მაშინ ბრძანების გაგებას შეიცავს, ანდა, თუ ვინმე, უბრალოდ, რაღაცის შესასრულებლად დახმარების მიზნით მოგვმართავს, მაშინ თხოვნა არის გათვალისწინებული (იქვე).

ისეთი ფორმების გადმოსაცემად, როგორებიცაა: არის – გახლავს, გინდა – გნებავს... თურქულში გამოიყენება აღნიშნული სიტუაციის გამომხატველი შესაბამისი თავაზიანი ფორმები: **გინდა** თურქულად არის **İstiyorsun**, **გნებავს** კი – **Arzu ediyorsun**; ასევე: არის **ზმნა** თურქულად გადმოიცემა **Var** ზმნით, **გახლავს** კი ასე: **Teşrif etti, buyurdu**. თურქულის აღნიშნული ფორმებიდან პირველი გამოიყენება ჩვეულებრივ სიტუაციაში, მეორე კი – მაღალფარდოვანი საუბრის დროს;

დ) შენაცვლება ზმნის გვარის მიხედვით: ქართულში მოქმედებითი გვარის ზმნის კონვერსიის დროს ზოგჯერ საჭირო ხდება სულ სხვა ფუძის შენაცვლება. ასეთ შემთხვევაში საწყისის ფორმები ორივე გვარისათვის საერთოა და ცვლილება ხდება გვარების მიხედვით უღლების დროს. მაგალითად, გააგდო – გავარდა, დასვა – დაჯდა, გაიყვანა – გავიდა, შეაყენა – შედგა, გახეთქა – გასკდა, გატეხა – გატყდა...

აღნიშნული ფორმების თურქულად გამოხატვისას თავს იჩენს განსხვავებული მხარეები:

1. თურქულში გვარების მიხედვით საწყის ფორმებს ემატება ინფიქსები. უფრო სწორად, თურქული ზმნის გვარის ფორმებს აქვს თავ-თავისი ნიშანი. მოქმედებითი გვარის საწყის ფორმებს გვარების მიხედვით ემატება ინფიქსები. მაგალითად, **დასმა** არის თურქულად **oturtmak**, ხოლო **დაჯდომა** არის **oturmak**. ამ ორ ფორმას შორის განსხვავება მხოლოდ გვარის ნიშანში. ესაა **-t-** (**otur-t-mak**) და ამით ხდება მათი გარჩევა, ქართულში კი ზოგ შემთხვევაში გვარის ფორმებს ერთი და იგივე საწყისი აქვს. მაგალითად, **გატეხა – გატყდა** ფორმათა საწყისია **გატეხვა**;

2. სხვა შემთხვევათა ანალოგიურად თურქული ზმნისათვის ამოსავალია საწყისი ფორმის ფუძე, რომელიც უცვლელი რჩება გვარების მიხედვითაც. მაგალითად, ქართულში გვარის მიხედვით

შეცვლილი **გახეთქა** – **გასკდა** ფორმების თურქულად გამოხატვისას იცვლება მხოლოდ გვარის ნიშანი და ფუძე და დროის ნიშნები იგივე რჩება: **გასკდა** არის თურქულად **çatladi**, ხოლო **გახეთქა** კი – **çatlattı**. როგორც ვხედავთ, სხვადასხვა გვარის ორივე ფორმაში (**çat-ladi** – **çat-lattı**) ზმნის ამოსავალი ფუძე უცვლელი რჩება.

ქართულში არის, აგრეთვე, ისეთი თავისებური ზმნები, რომლებსაც შეიძლება ერთდროულად ახასიათებდეს ორი თავისებურება. მაგალითად, სხვადასხვა ზმნისწინიანი (**და-**, **ჩა-**, **გადა-** და სხვ.) **სმა** ფუძისაგან მიღებული ზმნა ერთდროულად არის მონაცვლე გვარსა და რიცხვში. ზმნის პირთა მიხედვით მონაცვლეობას განაპირობებს პირდაპირი ობიექტის რიცხვი: **ბავშვი დავსვი – ბავშვები დავსხი**; იგი გვარში ენაცვლება „ჯდომას“: **ცხენზე შევჯექი – ცხენზე შემსვა...** (შანიძე, 1973: 542). აღნიშნული ფორმების თურქულად გადმოცემისას ყურადღება ექცევა მათ სემანტიკურ მხარეს, ანუ რა შინაარსითაც არიან გამოყენებული, იმ შინაარსით იქნებიან გადმოცემული.

ე) პირნაკლი ზმნები: ქართულში ზოგიერთი ზმნა მხოლოდ III პირის ფორმით გამოიყენება, აკლია I და II პირები. ასეთ ზმნას პირნაკლი ჰქვია. ამგვარია: თოვს, წვიმს, ელავს, ქუხს... ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ იშვიათად პირნაკლი ზმნა შეიძლება შეგვხვდეს I და II პირის ფორმითაც, მეტწილად პოეზიაში: „ვითა დავღამდი, ისე გავსთენდი“ – დ. გურამიშვილი (ფეიქრიშვილი: 1992, 229).

საინტერესოა, რომ აღნიშნული სიტუაცია თითქმის ანალოგიურ ხასიათს ატარებს თურქულშიც, ერთი განსხვავებით: თურქულში ასეთი ზმნები სახელის გარეშე არ გამოიყენება. მაგალითად, თოვს – *Kar yağıyor* (= თოვლი თოვს), წვიმს – *Yağmur yağıyor* (= წვიმა წვიმს), ქრის – *Rüzgar esiyor* (= ქარი ქრის), ელავს – *Şimşek çakıyor* (= ელვა ელავს) და ა. შ.; ასევე: ე. წ. ზმნური ფორმები ქართულის მსგავსად შეიძლება შეგვხვდეს I და II პირის ფორმითაც, ძირითადად პოეზიაში. მაგალითად, *Yağmur gibi yağıdim sevda kapına – İsmail Koca*, რომელიც ქართულად შეიძლება ასე ითარგმნოს: წვიმის მსგავსად გავწვიმდი სიყვარულის კარს... (<http://www.antoloji.com/yagdim-sevda-kapina-siiri>). ეს შემთხვევა, ალბათ, ზოგადენობრივია, ბუნების მოვლენების ამსახველ მოქმედებებს არც ერთ ენაში არ ექნება I და II პირები, გარდა პოეზიის ენისა.

ვ) მწკრივგამოცვლილი ზმნები: ქართულში არის რამდენიმე ზმნა, რომელთა ფორმები სხვა მწკრივის ფორმებად იყო გაგებული და დღეს სხვა მწკრივის ფორმებად არის მიჩნეული. ესენია: **იცის, უწყის, უნდა** (ძვ. ქართ. – უწყვ., ახ. ქართ. აწყყო). ამგვარი რამ თურქული ენისათვის, მისი ბუნებიდან გამომდინარე, უცხოა. თურქულში არ არსებობს მწკრივგამოცვლილი ზმნური ფორმა. აღნიშნულ ზმნათაგან **იცის** (მან) და **უწყის** (მან) აწყმოში ერგატიული კონსტრუქციის მქონე ორადორი გამონაკლისია ქართულში, რაც გამოწვეულია მწკრივები მომხდარი ცვლილებებით.

დეფექტური ანუ თავისებური ზმნები, რომლებიც არ ემორჩილებიან საზოგადოდ შემუშავებულ წესებს, გარკვეულ სიძნელეებს ქმნის სწავლის პროცესში (შავთვალაძე, 1999: 140). აქ უნდა ვიგულისხმოთ როგორც ქართველები, ასევე უცხოელები.

რომ გაადვილდეს ქართული ენის თავისებურ ზმნათა გაგება და აღქმა, აუცილებელია კარგად ვიცოდეთ არა მარტო მათთან დაკავშირებული გრამატიკული წესები, არამედ მათი გამოყენების ნიუანსები და სემანტიკაც.

ლიტერატურა:

1. **თალაკვაძე, მ. (1959).** ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდика, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. **ფეიქრიშვილი, ჟ., სალინაძე, რ. (2014).** ქართული ენა ფონეტიკა - მორფოლოგია, თბილისი: უნივერსალი.
3. **შავთვალაძე, ნ. (1999).** ქართული თავისებურ ზმნათა შესწავლის ისტორიის კლასიფიკაციის, კონსტრუქციისა და სწავლების საკითხები, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. **შანიძე, ავ. (1973).** ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები I (მორფოლოგია), თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
5. **ჩიმქე, ჰ. (2013).** ბრძანებითი კილოს გამოხატვის თავისებურებანი ქართულსა და თურქულში, გოგებაშვილისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გორი.
6. **ბიძიგური, შ. (1956).** ქართული ენის ლექსიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია, თბილისი: სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა.
7. (<http://www.antoloji.com/yagdim-sevda-kapina-siiri>).

Harun Chimke
Recep Tayyip Erdogan University (Turkey)
**SOME OF THE SPECIAL GEORGIAN VERBS AND THEIR
EXPRESSION IN TURKISH
RESUME**

Georgian verbs is quite a complicated and multidimensional part of speech. Besides, some of the Georgian verbs do not conform to the general rule of use and are of a spontaneous character. Such verbs are called defective verbs. Especially foreigners, who wish to study Georgian Language are experiencing some serious difficulties while dealing with these type of verbs. The same is true for Turkish native speakers, who study Georgian Language. In this context we consider the comparison of Georgian-Turkish units of a crucial importance.

There are many variations of verb usage in Georgia and therefore, there are many verbs that exhibit such non-standard type of characteristics. Traditionally, complex, root supplementary and participle verbs are presented in this category.

Peculiarities of the Georgian verb is totally unknown for Turkish, which belongs to the different Language Family. Turkish verbs in this respect are uniformed and do not exhibit spontaneous character.

We are going to examine verbs which have roots that are pro to changing their forms. We will also examine their semantic and structural peculiarities while translating into Turkish Language.

Keywords: special/complex verbs, Georgian Verb, Turkish Verb, root, comparison.

ნანა ცეცხლაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**მყარი ენობრივი შედარებანი ქართულში
(ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი)**

ხატოვან გამოთქმებში გამოიყოფა კომპარატიული ენობრივი შედარებანი, რომელთა შეცნობა გრამატიკულად ადვილია, რადგან ფიქსირებული ენობრივი სტრუქტურა აქვთ. კომპონენტების სემანტიკური შერწყმა, ტროპული ბუნება, სტაბილურობა და მზა ფორმით გამოყენება იმის საფუძველს წარმოადგენს, რომ დაისვას საკითხი მყარი შედარების ენობრივი სტატუსის შესახებ. ორმაგი ბუნების გამო ის უპირისპირდება ტროპის სხვა სახეობებსაც და სპონტანურ შედარებებსაც.

„შედარებისთვის დამახასიათებელია საგნის, მოვლენის ემოციური წარმოსახვა სხვა საგნის, მოვლენის რომელიმე თვისების ხაზგასმით,“ - მითითებულია „ლიტერატურის თეორიის საფუძვლებში.“ მეტაფორული შედარების მთავარი ნიშანია ახალი შინაარსის პროდუცირება: „მეტაფორული შედარების შემთხვევაში გრძნობადი შინაარსის სიტყვები სულ სხვა, ახალი შინაარსის გამოსახატავად გამოიყენება. ჩვენ ახალ შინაარსს ვიღებთ, რომელიც არ დაიყვანება წინასწარ აღნუსხულ ნიშნებზე“ (რამიშვილი, 1963: 214).

შედარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის შემეცნების პროცესში. ა. პოტეზნიას აზრით, თვით შემეცნების პროცესი შედარებაა. როგორც შემეცნების ფორმა, შედარება განუმეორებელია“ (პალიევსკი, 1962: 76). შედარებისას, როდესაც ვავლენთ მსგავსებას უცნობსა და ნაცნობს შორის, ვაკავშირებთ აბსტრაქტულსა და კონკრეტულს, ჩვენ შევიმეცნებთ გარესამყაროს და, გამოვხატავთ ჩვენს დამოკიდებულებას მისდამი. ლიტერატურაში ავტორის მიერ შემეცნებული სამყარო მხატვრულადაა დახასიათებული, ამიტომაცაა შედარება შემოქმედის მხატვრული ინდივიდუალურობის დასადგენი ერთ-ერთი საშუალება. მიგნებული და მოულოდნელი შედარება მეტად ექსპრესიულია.

საკითხის კვლევა საინტერესოა შიდაფორმის (ინვარიანტული კონცეპტური მოდელის) და ლოგიკურ შედარებათა სემანტიკური და სტრუქტურული ტიპების გამოსაყოფად. ამრიგად, მყარი შედარების გარეგანი ფორმა და შინაგანი სტრუქტურა პირველ რიგში იქცევა ჩვენს ყურადღებას.

„ნებისმიერი პოეტური შედარება ემყარება მეტ-ნაკლებად რთულ ფსიქოლოგიურ ასოციაციებს, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს გარემომცველი სამყაროს ნაირგვარ, ზოგჯერ არსებითად

ურთიერთგანსხვავებულ საგნებსა და მოვლენებს. ესა თუ ის ასოციაცია წარმოდგენათა შორის ისეთ კავშირს გულისხმობს, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მსგავსების ან კონტრასტის მიხედვით“, - წერს ელგუჯა მაკარაძე (მაკარაძე, 1999: 61) ქართული საგმირო ლექსის ხატოვანი მეტყველების ანალიზისას.

I. მყარ შედარებათა ერთ ნაწილში ჩანს ისტორიული მოვლენები, კონკრეტული გეოგრაფიული გარემო, ტოპონიმები, ტრადიციები, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ცნობები, რწმენა და ა. შ. ისინი ლოგოეპისტემებია, ლინგვოკულტურებებია, გადმოგვცემენ კონკრეტული ხალხის მსოფლგაგებას. „XXI საუკუნის ლინგვისტიკაში აქტუალურია კვლევის მიმართულება, რომლის მიხედვითაც ენა მოიაზრება, როგორც ეროვნების კოდი. ფრაზეოლოგიზმები ნათლად გამოხატავენ ნაციონალურ რეალიზებს“ (ცეცხლაძე, 2014: 131). „ხატოვანი გამოთქმა ხატოვნების ფუნქციით გვიან აღიჭურვება ხოლმე. თავდაპირველად მას სავსებით ზუსტი და პირდაპირი დანიშნულება ჰქონდა: უშუალოდ გამოხატავდა ფაქტს, მოვლენას,“-- წერს ბ. ჯორბენაძე (ჯორბენაძე, 1997: 89). დ. გოცირიძემ მყარი შედარების აღსანიშნავად შემოიტანა **ტექსტობრივი აბრევიატურის ცნება**, ე. ი. ის არის მინიმალური ტექსტი, რომელსაც კულტუროლოგიური მნიშვნელობა აქვს.

ინფორმაციულ-კონსტრუქციული თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტრიადის მესამე წევრს-შედარების საყრდენს, რემას, რომელიც ყველაზე ხშირად ნაციონალურ-კულტურული კომპონენტია.

ატოვის გლახასებრ სიარული - თავგანწირვით, დაჟინებით მთხოვნელი (მგლ).

სოფელი ატოვი შიდა ქართლში, ქარელის რაიონში მდებარეობს. იქაურები ღარიბები იყვნენ და ამ სოფლის ეკლესიის დღეობაში იცოდნენ თავის მოყრა ეკლესიის კარებთან სამათხოვროდ და მლოცველთა თავის მოსაბეზრებლად (სახოკია, 1979: 31).

აჭარაში თუ იტყვიან: **მახოს ხიდივით აქვს ცხვირი გაშვერილიო**,-- ამით მიანიშნებენ გაბრაზებაზე, დიდ წყენაზე.

ბ) ზოგ შედარებაში საუბარია ტრადიციებზე, რომლებიც გადავარდა, მაგრამ ხატოვანი გამოთქმა დარჩა. ასეთია **ხახვივით შემრჩა** - იოლად გადავრჩები პასუხისმგებლობას (მგლ.); **მეზობელი კარგად გამოგილანძღე და ყველაფერი ხახვივით შემრჩა**. ხახვი ყველაზე ხშირად გამოიყენება სამზარეულოში, უხახვოდ იშვიათად თუ მზადდება რაიმე კერძი. ღარიბი კაცი მას პურთან ერთად მიირთმევდა, რადგან ბევრ ვიტამინს შეიცავს.

ხახვი მწარეა, დაჭრისას ცრემლს ადენს ადამიანს კახეთში თუ ვინმე ვინმესგან ხახვს ისესხებდა, მას, როგორც სიმწარის სიმბოლოს, უკან აღარ იბრუნებდნენ.

გასესხებული ხახვის უკან დაბრუნებას, ცრურწმენის მიხედვით, მოჰყვებოდა ოჯახში სიმწარე, მწუხარება, დარდი, ნაღველი, ცრემლის ღვრა. ამის მეორენაირი ახსნა ისიცაა, რომ ხახვი ძალიან იაფი იყო, ამიტომ მისი ართმევა ადვილი გასაძღები იყო (სახოკია, 1979: 905).

გირაო ქვაბივით დაათრევენ - რაიმე საგანი ყველგან და ყოველთვის რომ ატარო. „სოფლად ქვაბები, ჩვეულებრივ, სპილენძისა იყო და გაჭირვების დროს ხელის მოსანაცვლებლად ასეთ ქვაბებს უფრო ადვილად აგირავებდნენ“ (სახოკია, 1979: 98)

გირაო წალღივით მიგდებული - უპატრონოდ მიტოვებული: „ამ ვაჟბატონებმა დატოვეს სოხუმი და სოხუმის ქართველები გირაო წალღივით მიგდებულად.“ ფულს რომ ისესხებდა მეზობელი, სესხის უკან დაბრუნების გარანტიად მასესხებელს ოჯახში ყველაზე საჭირო ნივთს, წალდს უტოვებდა. წალდს ვინც იგირავებდა, არც ხმარობდა და ისიც იდო უყურადღებოდ, სანამ პატრონს მისი გამოსყიდვა არ მოაგონდებოდა (იქვე).

ფლავივით არიგებს - უხვად, ხელგაშლილი უბოძებს. „ეგ ქალი ძმაო, ყველაფერს ფლავივით არიგებსო.“ ფლავი საყვარელი საჭმელია საქართველოში, ქელეხსა თუ ქორწილში ის აუცილებლად უნდა ჰქონდეთ და ბლომდაც არავის რჩება, რომ ფლავი საძლომად არ დაურიგონ (შდრ: აჭარაში გავრცელებული გამოთქმა **ბაირამის ჰალვასავით არიგებს**). თ. სახოკიასთან დასახელებულია ამ გამოთქმის მეორე მნიშვნელობაც: ქალი თუ ფლავივით არიგებს, ის აღვირახსნილია (სახოკია, 1979: 6).

ჭრიანტელივით ერთმანეთში არევა - მართლისა და ტყუილის, სხვადასხვა საგნის არევა ასე, რომ თითოეულის თვისება ცალკე არა ჩანდეს. „შენ, ჩემო კარგო, ჭრიანტელივით კი აურიე ერთმანეთში ეს საქმეები, კაცი ვერას გაიგებს, სად თავია და სად -- ბოლო“ (მგლ.).

ჭრიანტელი ქართლ-კახეთში ხელმოკლეთა საჭმელს ჰქვია, მზადდება ტყემლისა და მწვანილებისგან, მერე პურსაც ჩააყრიან და ასე შეეცევიან. ჭრიანტელს ნაბახუსევზეც მიირთმევენ. მომზადების ასეთი წესის გამო ის უწესრიგობის, განუკითხაობის სიმბოლოდ იქცა (სახოკია, 1979: 899).

ბზოზის ყვავივით გაქრა - „იგრიალა ხალხმა და მიიწია სოსიკასკენ, რომელიც ბზოზის ყვავივით სადღაც გაქრა“ (ს. მგალ.). ყვავები ზამთარში სოფელს არ შორდებიან, აღდგომის წინა კვირას კი აიყრებიან

სოფლიდან და ტყეს მიაშურებენ, სადაც სარჩო საკმაო აქვთ. ამის შემდეგ ყვავს სოფელში იშვიათად ხედავენ (სახოკია, 1979: 56).

რომის პაპივით შეუცდომელი - წმინდა, უბიწო: „რომის პაპასავით შეუცდომელი გამკითხავია“ (ილია). პაპი შეუცდომლად ითვლება.

დიაკვანივით კითხვა - გაურკვევლად, ლულულულით, ჩქარა კითხვა. ძველად, ეკლესიებში, წირვა-ლოცვის დროს, მღვდლების თანაშემწეებს და დამხმარეთ დიაკვნები ერქვათ. როცა ესენი კითხულობდნენ საღვთო წერილის წიგნებს, ჩქარობდნენ და თან ისე კითხულობდნენ, რომ ეკლესიაში მდგარ ხალხს მათი გაურკვეველი ხმიანობა ესმოდა (სახოკია, 1979: 155). ამავე სემანტიკისაა **ონოფრე ბერივით ბუტბუტიც**.

ბალბასებრ ფესვის გადგმა - **მყარი საძირკვლის ჩაყრა**, „ამან ძმო, ბალბასებრ გაიდგა ფესვი სამსახურში.“ ბალბა, იგივე მოლოქა, ფესვს ღრმად იდგამს მიწაში, ის ძნელი მოსაგლეჯია (სახოკია, 1979: 44).

ლაზარესებრ დასველება - მეტისმეტად დასველება: „ლაზარეებს დაგვამსგავსებს ჩვენ ეს წვიმა“ (ნ. ლომ.). ლაზარეზე დავლა იყო წეს-ჩვეულება, გვალვის დროს სოფლის ხანში შესული დედაკაცები ძირს უხვად ღვრიდნენ წყალს, რომ ცისთვის პირი გაეხსნევიანებინათ.

ლეკური ხმალივით მოსვლა - დაურიდებელი, ჯიქური ბრძოლა, უკავშირდება ლეკური ხმლის მჭრელობას.

მამალივით იბღინძება - მამალი თავმომწონე, ჩხუბის მოყვარული ქედმაღალი ფრინველია; **ინდაურივით იბღინძება** - გაბრაზებულია, გაფხორვა ინდაურის თვისებაა.

მყარ შედარებებს, რომლებიც ლოგოეპისტემებია, არ აქვს შესაბამისობები სხვა კულტურაში. თარგმნისას ეს განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს მთარგმნელისგან, რადგან მას აუცილებლად ესაჭიროება კონკრეტული ხალხის ყოფისა და კულტურის ცოდნაც. ცალკეული ენის მყარი შედარების შესწავლა საშუალებას გვაძლევს, უნივერსალობის ნაციონალურ-სპეციფიკური გამოვლინება დავაფიქსიროთ. მსგავსება შესაძლოა შესადარებელი კულტურებისთვის საერთო მესამე წყაროსთან იყოს დაკავშირებული. არ არის გამორიცხული აგრეთვე კულტურათა კონტაქტებიც. სხვაობა, როგორც წესი, შეუმჩნეველია ინტრაკულტურულ ურთიერთობაში, მაგრამ აშკარა ხდება კულტურათშორისი შეპირისპირებისას.

მყარ შედარებაში ერთი ობიექტიდან მეორეზე გადატანილი თვისება ხშირად უამრავი თვისებიდან ერთი გამოკვეთილი ნიშანია. ესენია: **სიჩქარე** (შავარდენი, თოფის წამალი), **ძლიერება**, **გემო** (თაფლი, ბალღამი), **თავდაუზოგაობა** (ვირი), **სიღარიბე**, **ხმაური** (წისქვილი, წყალი), **საგნის ფიზიკური მონაცემები**, **გარეგნული ფორმა** (*თითი, კიტრი, ნიახურის ფორმა*) და **სულიერი თვისებები**, **მოქმედების (სიარულის, ლაპარაკის, ვარდნა, დნობა) თავისებურებანი** (*ქიანჭველნაჭამი დათვის გაჭირვებით ბუტბუტი; სანთლის დნობა ან ნთება; ჯორის ტლინკების ყრა; წისქვილის წყლის ჩქარი ვარდნა; ხურჯინის (მუდამ) აკიდება, სათადარიგო საბურავის (მუდამ) ტარება; ჩალის (სწრაფად) აბრიალება, დედოფლის (მეტისმეტი) მოკრძალება...*); ასევე **მოძრაობის ტემპი, რიტმი** (ასკილის ნაყოფის ქანაობა). *აქ იკვეთება სახე-სიმბოლოები: არწივი, მიმინო, თაფლი, სანთელი, დედოფალი, ტოროლა, ვირი, მამალი, კატა, ინდაური.*

სიჩქარე - თოფის წამალივით იფეთქებს: ფიცხია, ცხარია, უცხად იცის გულის მოსვლა. „ისევ მელიტონს უშველოს ღმერთმა. ზაალს აღარ დააცადა და თოფის წამალივით იფეთქა“ (მ. ჯავახ).

უწესრიგობა - ირაო საქონელივით სიარული - თავაშვებული საქციელი.

სიღარიბე - თითივით ტიტველი- (*ჩხიკვი*) თითივით ტიტველი უნდა გავუშვა“ (ვაჟა).

სიტკბო - თაფლივით გადნებიან პირში - პირფერობა: „მაგისტანა ხალხი თაფლივით გადნებიან პირში“ (ს. მგალობ).

თავდაუზოგაობა, გამეტება - ვირივით მუშაობა/ ვირივით ცემა „პატარა დემეტრეს სულ ცეცხლის ალში ატარებდნენ... საცოდავი ვირივით ამუშავებდნენ და ვირივითვე სცემდნენ“ (ს. მგალობ). ვირი შინაურ ცხოველებში ყველაზე გამძლეა მუშაობაში, მომთმენი გაჭირვებისა და შიმშილისა. პატრონები წელში წყვეტენ მძიმე საპალნის ზიდვით, არ აკლებენ ცემას, საკმარის საკვებსაც არ აძლევს ბევრი (სახოკია, 1979: 203).

უაზრობა - არახუნებს მოშლილ წისქვილივით - „ვისაც რა მოხვდება, არახუნებს მოშლილ წისქვილივით“ (ილია).

ძალიან გახდობა - სანთელივით დნობა - „ამას მოსთქმიდის, იწვოდის, ვითა სანთელი დნებოდის“ (ვტ).

სიხშირე - ჯორის ტლინკებივით მიყრა - ზედიზედ დარტყმა/ სხაპასხუპით ლაპარაკი. „ადვოკატს სტატიები ჯორის ტლინკივით მივაყარე“ (რ. ერისთავი).

ჯორის კუდივით არც გრძელდება, არც მოკლდება - სულ ერთი ზომისაა.

მოუშორებლობა, ჩაცემა, სულ თან ადევნება - ჩონგურივით ჩამოკიდება: „ჩონგურივით ჩამოეკიდა მიხას, სანამ არ დაითანხმა“ (ე. მენთ). ამ გამოთქმის სინონიმები და მისი სტრუქტურული ვარიანტებია: **წურბელასავით მოკიდება/ მიწებება და ხურჯინივით აკიდება:** „დიდ არსენას ხურჯინივით ავეკიდები და მივენდობი“ (მ. ჯავახ); „იმ დღიდან ხურჯინივით ჩამომეკიდა და სისხლი გამიშრო, სისხლი“ (ა. ხახუტ); „ვეყო ეს ძალიან წურბელასავით მოეკიდა ამ საღვინესა, რაც მოუტანია, კიდეც დასცლის“ (ზ. ანტ). ცნობილია, რომ წურბელა მჭიდროდ ეკვრის ხორცს, მისი მოშორება ძალიან ძნელია. აჭარაში გავრცელებულია გამოთქმა **ზაპასკა პაგრიშკასავით ახლავს ...**

მეტიჩრობა - ჭრელტარა კოვზივით ჩაეჩრება - „განა არ ვიცი მაგის თავხედობის ამბავი, საცა არა მგონია, ჭრელტარა კოვზივით ჩაეჩრება“ (მგლ). მისი სინონიმებია ტარმოტეხილი/ გატეხილი კოვზივით ვარდნა.

გაჭირვება - ჭიანჭველანაჭამ დათვივით ბუტბუტებს - ჭიანჭველა შეიცავს ერთ შხამიან მჟავას, რომელიც ადამიანს სხეულზე მოქმედებს, როგორც მწვავე ნივთიერება. ამ მჟავამ ჩაყოლა იცის თავლის საშუალებით, იმავე გზით ჩადის ხოლმე დათვის მუცელში, ნაწლავს დაუწვავს და ფაღარათს მართებს ცხოველს.

ადვილად მორევა, დამარცხება - წიწილასავით გაგლეჯა: „გულგახეთქილ ილიკოს წიწილასავით გაგლეჯდა, იქ რომ დახვედროდა“ (ა. ხახუტ).

სისწრაფე - წისქვილის წყალივით გადავარდა: „იმ ქალის ავადმყოფობა წისქვილის წყალივით გადაუვარდა“.

დარწმუნება - ჩემი ხუთი თითივით ვიცი: „თელავის ბაზარი აი ამ ჩემი ხუთი თითივით ვიცი და მომატყუებენ“ (ვ. ბარნ).

ფეიქრის ქსელივით გაბმა (647) - რა დაგემართა ადამიანო? **ფეიქრის ქსელივით გააბი** და აღარ დაამთავრე ლაპარაკი: „იმან კი გამიცრუა ყველა იმედებშიო... გააბამს და დასასრული აღარ ექნეს მის ამისთანა წუწუნს“ (სახოკია, 1979: 66).

გადაჭარბება - ფარვანასავით თავს ევლება - მეტისმეტად უვლის, ელოლიავენ: „როდის იქმნება თავლი ჩემს სახლში შემოვიყვანო, რომ ცივი ნიაღვი არ მივადინო, თვალისჩინივით გავუფრთხილდე, ფარვანასავით თავს მოვევლოთ“ (სტ. მენთ.) (სახოკია, 1979: 644).

უკვალობა - უტარო დანასაებრ დაიკარგა -- უკვალოდ დაიკარგა. „ჩვენი მეგობარი უტარო დანასაებრ დაგვეკარგა. ვის არა ვკითხე მისი ამბავი, მაგრამ ვერავინ გვითხრა მისი ასავალ-დასავალი“ (სახოკია, 1979: 634).

სიმარტოვე - ტოროლა ჩიტივით დარჩა- მარტო, უამხანაგოდ დარჩა: „და ასე ჩამოვრჩით, მეცა და ჩემი ამხანაგებიცა სწავლასა მრავალნი სწავლასაცა და წუთისოფელსაცა და დავრჩით ტოროლა ჩიტივით მინდორში“ (ილია, 615).

ბედისწერა - სამგლე გოჭივით ატყდომა- განსაცდელისთვის პირდაპირ ჩავარდნა პირში, ხიფათში ძალით ჩაგდება თავისა, გაუფრთხილებლობა: „სჯობია, სამგლე გოჭივით ნუ ატყდებით, თორემ...“ (მ. ჯავახ.).

სიმაღლე - აბრიალებულ ჩალასავით ჩაქრობა- „ცოტა ხანს იპარპაშა (ავტორიტეტების წინაშე პოლემიკამ) და მერე აბრიალებულ ჩალასავით ჩაჰქრა“ (ილია).

იშვიათობა - ახალ მთვარესავით გამოჩენა - რად დაგვიძვირე შენი ნახვა, რაღა ახალ მთვარესავით გამოჩნდები ხოლმე? (ახალი მთვარე თვეში ერთჯერ გამოჩნდება, და, ისიც მოკლე ხნით).

დაუდგრომლობა, თავგასულობა: აჯილღასებრ დააჭენებს: აჯილღა ულაყი ცხენია, რომელიც ჭაკებს უკან დასდევს...

სისხარტე - ჯარასავით დატრიალდა- ეს პატარა საქართველო ჯარასავით დატრიალდა (აკაკი).

სიმწარე - ბალღამსავით გამიმწარდა- „ეხლა კი, როცა სიცოცხლე ბალღამსავით გამიმწარდა ... ფიქრი აღარაფრისა მაქვს“ (ილია).

სილაღე - გამოშვებული ხარივითა- „ის, ჩემო მშაო, გამოშვებული ხარივითაა, აულია თავი და დადის, სხვათა გაჭირვება არა ადარდებს.“

დარდი, ნაღველი - გულზე მუწუკივით ბმა - „ეს საქმე ისე მადარდებს, თითქო გულზე მუწუკი მამიაო“ (მგლ).

ყველაზე წაჩხუბება - ნიორწყალივით გადაესხა ყველას: „ნაცნობი, მოყვარე და მეზობელი აღარ შეგვარჩინა, ყველას ნიორწყალივით გადაესხა“ (ნ. აზიანი).

შეუმჩნევლობა - ნიორივით გაიპარა - ნიორს აქვს თვისება, გაზაფხულზე გაქრეს, დაიფშუტოს, დაილიოს. თუ ადამიანი ჩუმად წავიდა, გაიპარა, იტყვიან, ნიორივით გაიპარაო.

თავგერძობა - ექოსავით თავისკენ მოთლა- „ამ ბურჟუაზიამ ისე წარმართა საზოგადო და სახელმწიფო საქმე, რომ ექოსავით სულ თავისკენ მოითალა“ (ილია).

გამოსადეგობა - ხერხივით კაცია- ისეთი კაცია, რომელიც ყველას გამოადგება, ხერხი ექოსგან განსხვავებით, ნახერხს წინაც ყრის და უკანაც.

გაუაზრებლობა -- რა ასკილივით თავს იქნევ- ტყუილსაც და მართალსაც ეთანხმები: „შე კაი კაცო, რა ასკილივით თავს იქნევ, საჭიროა თუ არაა, ყველას ეთანხმები“ (მგლ.).

ქართულში ასეთი გამოთქმა სხვაც ბევრია: ყაჭივით ჭამს - ნიშნავს ბლომად, გაუჩერებლად ჭამს; თავი კიტრით// ნიახურის ფოჩივით მოაქვს (მედიდურობს, ამპარტავნობს), წყალივით იცის; ღვედივით გაქნილი (ეშმაკი), ჭიანჭველებივით ირეოდნენ, შავი დედალივით გასუქდა, თავგვივით გაძვრება, ცხვარივით ადამიანი და ა.შ. ლაზურში დასტურდება მხალივით ჭამს - არ მომჭირნეობს.

წისქვილის წყალივით გადავარდა, ცხვარივით ადამიანი, ნიორივით გაიპარა, ხერხივით კაცია, ფლავივით არიგებს, ხახვივით შემრჩა, ყაჭივით ჭამს, გამოშვებული ხარივითაა და ა. შ ფრაზეოლოგიზები უფრო ღრმა, ნაირსახოვან ასოციაციურ წრეს ქმნიან, რადგან მათში შესაძარბელი ნიშანი უშუალოდ არ არის მოცემული. განსხვავებული ვითარებაა, როცა ეს ნიშნები ამკარაა, ცხადია, შესაბამისად, მეტაფორის მნიშვნელობაც ნათელია: *თავი ლობიოსავით სარჩო ჰგონია, გველივით აჭრელებს; შამფურივით ტრიალებს, აბრიალებულ ჩალასავით ჩაქრობა; სანთელივით დაწვა, ვირივით მუშაობა, ვირივით ცემა, ჭრელტარა კოვზივით ჩაეჩრება, ჯორის კუდივით არც გრძელდება, არც მოკლდება...* სავარაუდებელია, ზემოთმოყვანილი მაგალითები ხშირი ხმარების გამო იყოს შემოკლებული.

მყარ შედარებათა უმეტესობა თანდებულიანია (ვით, ებრ), შედარებით ნაკლებად გამოიყენება საკავშირებელი სიტყვები (ისე, ასე, რომ, თითქოს, როგორც). თანდებულიანი გარემოებით წარმოდგენილი შედარება ახასიათებს ობიექტის მოქმედებას (მიმინოსავით ქრის, ვირივით მუშაობს - გარემოება); გადმოგვცემს თვისებას (შავარდენივით მალი - განსაზღვრება), პორტრეტულ ნიუანსებს. მყარ შედარებათა უმეტესობა გარემოებაა, რაც მოქმედების დინამიზმზე მიუთითებს.

ისე გაჩუმებულია, თითქო ქალი გასჩენიაო: ქართველისთვის რამდენადაც სასიხარულო იყო ვაჟის შეძენა, იმდენად ნაღვლიანი იყო ქალიშვილის დაბადება. სწორედ ამ გარემოებამ წარმოშვა თქმა: *რას გაჩუმებულხარ, ქალი ხომ არ გაგჩენიაო* (სახოკია, 1979: 293- 294);

თითქო ქათამს უვლია ზედაო - უშნოდ, გაურკვევლად და წერილი: „იმის ნაწერის კითხვაში ადამიანი თვალებს ჩაიწყალებს, თითქო ქათამს უვლია“ (მგლ.).

თითქო შეულოცაო - საკვირველი რამ გააკეთაო, ხიფათს გადაარჩინაო. როცა უეჭველი საკითხის წინაშე დამდგარტ მოულოდნელად გაუმარჯვდებოდათ, უეჭველ განსაცდელს თავს დააღწევდნენ, იტყოდნენ, თითქო ვიღაცამ შეულოცაო (სახოკია, 1979: 274).

თითქო გუშინ იყოო - სულ ცოტა დრო გავიდა.

თითქო ბუზი არ აფრენიაო - „ასე თამამად და შეუპოვრად ხალხს ენახვება, თითქო ბუზი არ აფრენოდეს“ (ა. ცაგარელი). ადამიანს, ვისზედაც არის ლაპარაკი, მცირედი საშიშროებაც არ ემუქრება.

როგორც ძაღლს კატა, ისე ეჯავრებოდა - ძალიან ეჯავრებოდა: „დათოს, როგორც ძაღლს კატა, ისე ეჯავრებოდა გიტო“ (ილია). ამის სტრუქტურული ვარიანტია **როგორც სიკვდილი, ისე ეჯავრება** - „ჩვენებურ ხალხს, როგორც სიკვდილი, ისე ეჯავრება მომრიგებელ მოსამართლესთან სიარული“ (ილია).

როგორც ცა და დედამიწა - ერთმანეთისგან შორს „ისე ვერ დასწვდებიან იროდიონს, როგორც ცა დედამიწას“ (ს. მგალობ.);

როგორც თავის ორ თვალს, ისე გაგვიფრთხილდება - მოგვივლის, იზრუნებს.

როგორც კრუხი წიწილას, ისე დასტრიალებდა - უვლიდა, ზრუნავდა, უფრთხილდებოდა: „მაშინვე მივხვდი, რაღაც ამბავია, როგორც კრუხი წიწილას, ისე დასტრიალებდა“ (ილია).

როგორც კედელს - არაფერი არ ესმოდა: „(კერპაძეს), მაგრამ იმას როგორადაც კედელსა, არ ესმოდა“ (ლ. არდაზ.).

როგორც თევზი უწყლოდ - სასიცოცხლოდ აუცილებელი: „ეს არსებითი პური ჩვენი დედებისა, ურომლისოდაც გაძლება არ შეუძლიანთ, როგორც თევზს უწყლოდ“ (ილია).

თვალში რომ ჩავარდნოდან, ხელს არ ამოისვამდნენ (შ. არაგვ.);

ვაშლი რომ გასჭრა, სწორედ იმ ჩვენს უბედურს შალვას ჰგვანდა, პირწავარდნილი“ (ე. მენთ.).

ემოციური ელფერიტა და ექსპრესიულობით განსაკუთრებით გამოირჩევა ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებაში დადასტურებული მოულოდნელი შედარებანი: დოდოფალს ყირმიზათ გადაფარებული ქონდა, **სუნაგ კატასავენ ააფარებდნენ** თვალეზზე (ქობ.194); **დოდოფალივით** სიძე მყავს, დაჟდება, არ დეილაპარიკებს (იქვე, 188); **შვილების ხესავით გაზრდა** (ჩვენებ. 74); დედამთილი ძველ ფალაზივით მიგდებულია (ჩვენებ. 141); მისი ნათქუამი **ხარბურ ქუეშ დარჩა, დამპალ სხლებივით**

გაჩეჩდენ (ჩვენებ. 109); 2); აქვე გვხვდება ერთი მეტად საინტერესო გამოთქმა ჩაუშის ნაჯახსავით დარჩენილია, უკან ველარ გააგზან (ხახუტაიშვილი... 2009:210);

მყარი შედარების მხატვრულ-ესთეტიკური ბუნების კვლევისას იკვეთება ჰიპერბოლურობა:

ისე გაგებხი, როგორც მღვდლის ცოლი- ზომაზე მეტი მივირთვი; ისე შშია, ძაღლის ყეფა არ მესმის - ძალიან შია - როცა ადამიანს შია, მისი ორგანიზმი იე აფორიაქებული, რომ არ იცის, ის გარშემო რა ხდება; ისეთი კაცია, ცხენზე რომ შემოისვა, გადმოგაგდებს- უმადურია, ადამიანის სიკეთეს ვერ დაინახავს, არ დააფასებს; ხიდან ყვავს ჩამოაგებს, ისეთი ენა აქვს- მოქარგული ლაპარაკი იცის. „ამაღამ კი ასეთს ცხვრის მწვადებს გაჭმევთ, რომ ხონთქარმაკ კი ტუჩები ილოკოს“ (ილია).

რომის პაპივით შეუცდომელი, ვირივით მუშაობა, ისე გავლანძღე, ხელში პური რომ სჭეროდა, ძაღლი არ გამოართმევდა, როგორც თავის ორ თვალს, ისე გაგვიფრთხილდება.

მეტად ექსპრესიულია ჩვენებურთა მეტყველებაში მოპოვებული შედარებანი: იმფერი წოწოქაი გიგიკეთებიან, კდარსაც ალაპარაკეფს (ჩვენებ. 483); მისი გემო ჰალა პირში მაქ, იმფერი გემრიელი იყო (იქვე, 86);...ფატყუმა ნენედ, ფირუზა ნენედ დეილაპარიკებდენ, ხორთლადი ადგებოდა (ჩვენებ. 84); ღმერთი იმსისხო დიდია, რომ თუ უნდა, ამ დუნას ერთ ტყემალის, ერთ ბალის, ერთ ყავალის ჟუერივით გააქანეფს (ჩვენებ. 68).

ამრიგად, ქართული მდიდარია მეტაფორული შედარებებით, რომლებიც უცვლელი სტრუქტურითა და ახალი შინაარსის პროდუცირებით მეტად საინტერესოა. ისინი ხშირად ერთმანეთთან აკავშირებს არსებითად განსხვავებულ საგნებსა და მოვლენებს.

მყარ შედარებათა ერთი ნაწილი ლოგოეპისტემებია.

ერთი ობიექტიდან მეორეზე გადატანილი თვისება ხშირად არის გამოკვეთილი ნიშანი. ესენია: სიჩქარე, ძლიერება, გემო, თავდაუზოგაობა, სიღარიბე, ხმაური, საგნის გარეგნული ფორმა და სულიერი თვისებები, სიარულის მანერა, ლაპარაკის თვისებურება, ვარდნის სიჩქარე). იკვეთება სახე-სიმბოლოები: წყალი, ვირი, მამალი, ინდაური, წისქვილი, კატა.

მყარ შედარებაში შესადარებელი ნიშანი ძირითადად შეკვეცილია (ნიორივით გაიპარა, ხერხივით კაცია, ფლავივით არიგებს, ხახვივით შემრჩა) იშვიათად კი ეს ნიშნები აშკარაა: თავი ლობიოსავით სარჩო ჰგონია, გველივით აჭრელება...

მყარი შედარების მხატვრულ-ესთეტიკური ბუნების მთავარი ნიშანი ჰიპერბოლურობაა, არც კიდევ უფრო აძლიერებს ექსპრესიულობას.

მყარი შედარება უმრავლეს შემთხვევაში თანდებულიანია (ვით, ებრ), შედარებით ნაკლებად გამოიყენება საკავშირებელი სიტყვები (ისე, ასე, რომ, თითქოს, როგორც). მყარი შედარება სინტაქსურად განსაზღვრება გარემოება, ან განსაზღვრებით- ან გარემოებითდამოკიდებული რთული ქვეწყობილი წინადადებაა. ეს უკანასკნელი ხშირად შეკვეცილია.

საკითხის შესწავლა საინტერესოა ცალკეული მწერლის ენაში შემოქმედებითი ინდივიდუალურობის გამოსავლენად. განსხვავებული ვითარება იქნება სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებშიც. ზოგადად ქართულში მისი გამოწვლილვითი შესწავლა მოგვცემს სხვა ენების მონაცემებთან შედარების საშუალებასაც. კვლევის შედეგები გამოადგებათ მთარგმნელებს ლინგვოკულტურმათა ეკვივალენტების შერჩევისას.

ლიტერატურა:

1. ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, მეოთხე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 1995;
2. მაკარაძე, 1999: ქართული ხალხური საგმირო ლექსის ხატოვანი მეტყველება, გამომცემლობა „აჭარა.“ ბათუმი;
3. პალიევსკი, 1962: Палиевский П., Внутренняя структура образа, в кн. Теория литературы II., Москва;
4. რამიშვილი, 1963: დ. რამიშვილი, მეტყველების განსხვავებულ სახეთა ფსიქოლოგიური ბუნებისათვის, სმამ გამომცემლობა, თბ.;
5. სახოკია, თ. 1979 – ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, გამომცემლობა „მერანი“, თბ.;
6. ფუტყარაძე, 1993: ფუტყარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი;
7. ცეცხლაძე, 2014: ხატოვანი სიტყვა-თქმები -- ეროვნული რეალიების ენობრივი სურათი; ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები VI, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ.;
8. ხახუტაიშვილი, ცეცხლაძე, 2009 - ხახუტაიშვილი მზ., ფუტყარაძე შ., ქობულეთური კილოკავის მასალები ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით. შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. კრებული VI;
9. ჯორბენაძე, 1997: ჯორბენაძე ბ. ენა და კულტურა, თბ.

Nana Tsetskhladze
Batumi Shota Rustaveli State University
SET LINGUISTIC COMPARISONS IN GEORGIAN (LINGUOCULTURAL ANALYSIS)
RESUME

Comparisons with fixed structure and new sense can be singled out in phraseological units. Metaphoric comparison differs from ordinary comparison from the viewpoint of its sense. In set comparison the individual character of creator is established by subjectivity of the object presentation.

Historic events, traditions, faith, etc. are revealed in one part of set comparisons (**bzobis yvavivit gaqra, romis papiviT ucdomeli, flavivit arigebs, khakhvivit shercha, balbasavit fesvi gaidga**).

The singled out feature is often the property of one object revealed in another. They are: speed, strength, taste, poverty, noise, and physical properties of the object, external form and spiritual features, peculiarities of action (*santlis dnoba an nteba, joris tlinkebis yra, wisqvilis wylis vardna, khutjinis akideba, dedoflis mokrjaleba, katis msunagoba...*) ; movement speed, rhythm. Facial symbols can be seen here: water, donkey, cock, turkey, cat.

The feature to be compared is not given in the most of set comparisons (*khakhvivit shercha, niorivit gaipara, flavivit arigebs*).

From the viewpoint of emotional colouring and expressiveness the comparisons can be observed in the speech of Kobuleti religious refugees: *msunag katasavit aafareben; dedofaliviT sije myavs, chayshis najaxaavit darchenili*).

The rare comparisons can be met in the speech of Georgians living in Turkey: *shvilebis khesavit gazrda, dedamtilis zvei falazivit migdeba*.

Hyperbolic set comparisons are very expressive: *romis papivit sheucdomeli, ise gavlandzge, khelshi puri rom scheroda, ar gamoartmevda*.

როინ ჭიკაძე
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილის ღვაწლმოსილების სადარაჯოზე
(გ. გოგოლაშვილი, „სიბრძნე იაკობისა“, თსუ გამომცემლობა, 2014 წ.)

„იაკობ გოგებაშვილი ჩვენი სინამდვილისათვის გაცილებით დიდი ადამიანი იყო, ვიდრე ეს წარმოდგენილი გვაქვს“ - ქართული პედაგოგიური აზროვნების მესამი კვლის, სამშობლოს კეთილდღეობის თანამდევნი უკვდავი სულის ვასილ ბარნოვისეული შეფასების ჭეშმარიტებაში კიდევ უფრო მეტად დავრწმუნდით, როცა გავეცანით გიორგი გოგოლაშვილის ოთხასგვერდიან მონოგრაფიას - „სიბრძნე იაკობისა“, რომელიც ათეული წლების დაუღალავი შრომის ნაყოფია.

...ვიდრე ეს წარმოდგენილი გვაქვსო...

ამ მონოგრაფიით უკვე კარგად გვაქვს წარმოდგენილი იაკობ გოგებაშვილის საშვილიშვილო ღვაწლი, რასაც თანმიმდევრულად გვაუწყებს ავტორის მიერ ესოდენ სიღრმისეულად და გამოწვლილით შესწავლილ-გამოკვლეული საკითხები: ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა; იაკობ გოგებაშვილი და ქართული სალიტერატურო ენა; იაკობ გოგებაშვილის ენობრივი სივრცე; „დედაენა“ - ძეგლი სამარადისო; მთავარმოღვაწენი; სიბრძნე იაკობისა; პოლემიკა...

„წინამდებარე წიგნი იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება. თუმცა იაკობზე საუბარი ილიასა და აკაკის მოღვაწეობის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია... ამიტომაც ამ წიგნში დიდებული სამეულის როლი და მნიშვნელობა ქვეყნისათვის, ერისათვის, ვფიქრობთ, კიდევ უფრო

წარმოჩინდება“ (გვ. 5), -წინასიტყვიდანვე გვაკვლიანებს გიორგი გოგოლაშვილი - იაკობ გოგებაშვილის ღვაწლის შემფასებელი და დამფასებელი, „ბურჯი ეროვნებისაზე“ თავადაც ბურჯად შემდგარი, დიდი იაკობის მემკვიდრეობის დასაცავად მკლავმოუღლეელი მეზრძოლი.

მონოგრაფიის ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება სწორედ ისაა, რომ ი. გოგებაშვილის მოღვაწეობა განხილულია სამოციანელთა ერთობლიობაში და მათგან განუყრელად; იაკობი მოიაზრება ამ სამეულის უცვლელ წევრად: „ეს სამეული - ილია, აკაკი, იაკობი - ნებისმიერი კულტურული ერის ისტორიას დაამშვენებდა... ღმერთმა უზარმაზარი წყალობა გაიღო ქართველებისათვის“ (გვ. 3). ავტორმა მათ მთავარმოღვაწენი უწოდა და ამასთანავე, ჩვენს ცნობიერებაში დამკვიდრდა გოგებაშვილის მოხსენიება მხოლოდ სახელით.

სამეულს აერთიანებდა ზრუნვა ქვეყნის კეთილდღეობაზე; საამისოდ თითოეულ მათგანს მოქმედების თავთავისი ასპარეზი ჰქონდათ, რასაც ნაშრომის ავტორი შესანიშნავად გამოკვეთს: „ილია და აკაკი ბრძოლითა და ხმაურით შემოვიდნენ საზოგადო ასპარეზზე. იაკობმა მოკრძალებით შემოაღო ფართო კარები და თავის საქმეს მიაშურა - სკოლას. ილიასა და აკაკის მხარში ამოუდგა და იმ სფეროს სიმძიმე - ეროვნული სკოლა რომ ჰქვია - ძირითადად საკუთარ მხრებზე იტვირთა“ (გვ. 221).

გიორგი გოგოლაშვილმა წარმოაჩინა, რომ, რაც ილიასათვის „ღვთაებრივი საუნჯეა“, ის იაკობისათვის „ეროვნების ბურჯია“: „ილიასეულ სამებას იაკობი მეოთხე ფენომენს დაამატებს - ეროვნულ სკოლას; ამგვარად, იაკობის აზრით, ჩვენს ეროვნულობას **ოთხი ბურჯი** აქვს: **მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნოება**“, და იქვე დაასკვნის: „**იაკობ გოგებაშვილის უდიდესი დამსახურება ისაა, რომ მან ქართველებს გაუცნობიერა არსი და მნიშვნელობა ამ ოთხი ეროვნული ბურჯისა და პირადი მაგალითი უჩვენა მათი უანგარო, თავდადებული მსახურებისა**“ (გვ. 9).

გიორგი გოგოლაშვილმა მონოგრაფიას სათაურად შეურჩია „**სიბრძნე იაკობისა**“. და ეს არ არის შემთხვევითი; როგორც ავტორი შეგვახსენებს, „**იაკობ გოგებაშვილი ბრძენი იყო. სიბრძნე იაკობისა გამოსჭვივის მის ყოველ ნაფიქრსა თუ ნააზრევში... ზოგჯერ ეს სიბრძნე ფორმულის სახითაა ჩამოქნილი**“, (გვ. 338). ამ წიგნის ბოლო თავიც სწორედ ესაა - „**სიბრძნე იაკობისა**“, სადაც თავმოყრილია იაკობის ბრძნული გამონათქვამები და მსჯელობანი, რომელთაგან შეგახსენებთ ილიასეული სამების „ღვთაებრივ საუნჯეზე“ დაყრდნობილ იაკობისეული ოთხი ეროვნული ბურჯის სიბრძნისმეტყველებას:

1. **მამული**: „სამირკველს ნაციონალური ძალისას შეადგენს ტერიტორია, მიწა-წყალი, მამული, სამშობლო“ (338).

2. **ენა**: „ბურჯი ერის აღორძინებისა გახლავთ სამშობლო ენა“ (347).

3. **სარწმუნოება**: „ბურჯი ერის წარმატებისა არის ეკლესია“ (359).

4. **ეროვნული სკოლა**: „ბურჯი ერის წარმატებისა გახლავთ სკოლა“ (364).

მამასადამე, იაკობ გოგებაშვილისათვის **მამული** ნაციონალური ძალის **სამირკველია**, რომელზედაც დაშენებულია **სამი ბურჯი: ენა, სარწმუნოება, ეროვნული სკოლა**, რომელთაგან **ენა** ემსახურება **ერის აღორძინებას**, ხოლო **სარწმუნოება და ეროვნული სკოლა ერის წარმატების საწინდარია**.

გიორგი გოგოლაშვილი იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობას განიხილავს მეცხრამეტე საუკუნის სამოციანელთა მოღვაწეობის ჭრილში და მას წარმოაჩენს, როგორც ეროვნული მეობის დამცველსა და ერთ-ერთ წინამძღოლს ერის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში. მონოგრაფიის ავტორის აზრით, იაკობის ნაშრომი - „ქართული მიმართულება“ ფაქტობრივად გახლავთ თეორიული დასაბუთება ილიას „ღვთაებრივი საუნჯისა“; მასში მოცემულია **ეროვნული სამოქმედო პროგრამა და მარადიული სამოქმედო გეგმა ქართველთა**, რითაც დაფუძნდა ოთხი ეროვნული ბურჯი: **მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნოება**.

იაკობ გოგებაშვილი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მხარდამხარ მუხლჩაუხრელად იბრძოდა ამ ეროვნული პროგრამის განსახორციელებლად; „ეს იყო თავდადებული შრომისა და შეუპოვარი ბრძოლის გზა, ეს იყო ერისა და ქვეყნისათვის თავშეწირული მოღვაწის გზა, **ნამდვილი მოწამის გზა**“, (33) - წერს გიორგი გოგოლაშვილი.

ნაშრომში დეტალურადაა განხილული, თუ რამდენი წინააღმდეგობა ხვდებოდა ი. გოგებაშვილს გარეშეთა თუ შინაურთაგან ამ მართლაც მოწამებრივი გზის გასავლელად. და მაინც, „უფრო აბეზარი, უფრო ხანგრძლივი, დამქანცავი, მომაბეზრებელი და შეურაცხყოფელი შინაურ მტერთან ბრძოლა იყო, (51) - იტყვის გ. გოგოლაშვილი. ამ ბრძოლამ შეიწირა იაკობის ჯანმრთელობა, მოუწესრიგებელი პირადი ცხოვრება და, საერთოდ, წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა.

მაგრამ იაკობი არ გამტყდარა, არ შემდრკალა; მას გათავისებული ჰქონდა ილიასეული შეგონება; „წუთისოფელს თუ ერთი ბეწო ხანს თვალი მოუხუჭო...“ იაკობ გოგებაშვილსაც დღედაღამ თვალი არ მოუხუჭავს და ასე შეიქმნა ხელიხელსაგომანებელი „ძეგლი სამარადისო“ (გ. გოგოლაშვილი) „დედაენა“. შეიძლება ითქვას, რომ როგორც დავით გურამიშვილმა იშვილა თავისი „დავითიანი“, ისე იაკობ გოგებაშვილმა იშვილა თავისი პირში - „დედაენა“. ამ „პირში“ ფასდაუდებელი ამაგი დასდო არა

მხოლოდ, პედაგოგიური აზროვნების განვითარებას, არამედ ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის მოგვარებას, რასაც სათანადოდ ადასტურებს მონოგრაფიის ავტორის თეზა: „იაკობ გოგებაშვილის „დედაენამ“ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, განვითარებასა და დამკვიდრებაში ისეთივე როლი შეასრულა, როგორც წმინდა სახარებამ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში“(13).

გიორგი გოგოლაშვილმა ისიც დაადგინა, რომ ეს ღვიძლი სიტყვა **დედაენა** გოგებაშვილის სიტყვათშემოქმედების ნაყოფია, რომელმაც თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა ქართული ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში; ამასთანავე, საესეებით მართებულია წიგნის ავტორის კატეგორიული მოთხოვნა, რომ ეს ლექსიკური ერთეული შეტანილ უნდა იქნეს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის განახლებულ გამოცემაში.

არაერთხელ თქმულა და დაწერილა გოგებაშვილისეულ **აი ია**-ს გენიალურად მიგნებულ ბგერობრივ ფორმულაზე, რომელსაც გ. გოგოლაშვილი ცის გახსნას უწოდებს. მეცნიერის დაბეჯითებული თქმით, „საანბანე პირველ სიტყვად **ია**-ს მიგნება უტოლდება სხვა სინამდვილეში ყველა დროის ყველაზე მნიშვნელოვან აღმოჩენას“ (109). შემდეგ: „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სინამდვილეში **„დედაენის“ მსგავსი სახელმძღვანელო არ შექმნილა“** (16). კვლავ: „**1876 წლიდან „დედაენა“ იქცა ერთადერთ შეუცვლელ სახელმძღვანელოდ ეროვნულ სკოლაში“** (17).

ასე რომ, იაკობ გოგებაშვილის „დედაენამ“ საგანმანათლებლო ასპარეზზე გამოჩენისთანავე შეძლო ერთადერთ და შეუცვლელ სახელმძღვანელოდ დამკვიდრება იმის მიუხედავად, რომ მას ათიოდე საანბანე სახელმძღვანელო დახვედრია.

ეს მაშინ, იაკობის თანადროულობაში...

დღეს? დღეს რა ხდება?

რა ხდება და ... დღევანდელ უამრავ საანბანე ე.წ. სახელმძღვანელოებში „განუკითხავად შეილახა იაკობის პრინციპები“(323).

წიგნის მეხუთე ნაწილის - **რიტორიკა მეპაექრობისა** - მონაკვეთების სათაურებიც კი გვამცნობს, რომ ამჯერადაც მიმდინარეობს „თურამაჟულის პატრონების“ „ბრძოლა „დედაენის“ გადარჩენისათვის.“ მიუხედავად იმისა, რომ „აი ია“ შეუცვლელია და მწარედ ცდება, ვინც გოგებაშვილის „დედაენას“ უარყოფს“, „განათლების სამინისტრომ გოგებაშვილის „დედაენას“ ცხრა ლახვარი ჩასცა“. „ათი „დედაენის“ არნახული კონკურენციის“ პირობებში „პედაგოგთა უმეტესობა გოგებაშვილის წიგნის მომხრეა“; ამიტომ იმედიანი ქვესათაური: „იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ ქართულ სკოლაში ბრუნდება“... იქვე დაქვევს - „შეუშვებენ?“... და კვლავ ავტორის ოპტიმისტური შემახილი: „მჯერა, იაკობ გოგებაშვილი ახლაც გაიმარჯვებს!“, წინააღმდეგ შემთხვევაში „დილექტანტიზმი და არაკომპეტენტურობა დაღუპავს ქართულ სკოლას“.

მონოგრაფიის ავტორი მოგვიწოდებს: „იაკობის „დედაენის“ გადარჩენისათვის ზრუნვა ეროვნული სკოლის გადარჩენისათვის ზრუნვის ტოლფასია“(337).

იმედიანად გაისმის გიორგი გოგოლაშვილის ომახიანი შემომახილი: „იმედია, ეროვნული სკოლა დაიბრუნებს იაკობ გოგებაშვილის „დედაენას!“... გამოჩნდა ამ იმედის მაუწყებელი ცისარტყელა... ეროვნულ სკოლაში ბრუნდება იაკობ გოგებაშვილი!“ (181). სხვაგვარად ხომ მართლაც წარმოუდგენელია; და წიგნის ავტორი სიამაყით გვაუწყებს: „დედაენას“ - საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს - მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი - ეს კი უნდა იყოს გარანტია იმისა, რომ სახელმწიფომ (ამ შემთხვევაში სამინისტრომ) იზრუნოს კოლტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვაზე და არავის მისცეს უფლება, ხელყონ იაკობ გოგებაშვილის ინტელექტუალური საკუთრება“(323).

ამ ინტელექტუალური საკუთრების დასაცავად მრავალწლიანი შეუპოვარი ბრძოლა დასჭირდათ იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების ჭეშმარიტ იაკობინელებს: მამა კონსტანტინეს, ავთანდილ არაბულს, მარიამ ცაცანაშვილს, გიორგი გოგოლაშვილს, ასევე მათ თანამოაზრეებსა და თანამებრძოლებს; სწორედამ რომ ბრძოლა დასჭირდათ! ამის თაობაზე იოსებ ჭუმბურიძე იტყვის: „პარადოქსია, რომ ამისათვის ბრძოლა გვჭირდება. ბრძოლა გვჭირდება იმის დასაცავად, ვისზედაც ილიას სიცოცხლეშივე ამბობდა აკაკი: „ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე“.

ვიმედოვნებთ, „იაკობინელები“ ფარხმალს არ დაჰყრიან და მართმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდთან მხადამხარ ბოლომდე მიიყვანენ იაკობ გოგებაშვილის წმინდანად კანონიზირების საკითხს.

გიორგი გოგოლაშვილის სტიქიაა შეუპოვრობა და უღალატობა როგორც მეცნიერებაში, ისე საზოგადოებრივ მოღვაწეობაში; ბატონი გიორგი ის კაცია, ვისთვისაც ძვირფასია ბედი ქართული უნივერსიტეტისა, ვისთვისაც სანიადაგო ზრუნვის საგანია „ენა შექმნილი და კურთხეული“, ვინც ესოდენ სიღრმისეულად შეისწავლა და უკეთურთა ხელყოფისაგან დაიცვა იაკობ გოგებაშვილის

ინტელექტუალური მემკვიდრეობა. გიორგი გოგოლაშვილი თუ გადახედავს დღემდე განვლილ ცხოვრების გზას, სავსებით უფლებამოსილია, გაიმეოროს დიდი იაკობის სიტყვები: „ისეთი მოკავშირის წყალობით, როგორიცაა სიმართლე, ერთხელაც არ დავმარცხებულვარ“.

და ეს მებრძოლი სულის ადამიანი საოცრად მოკრძალებულია გოგებაშვილის ღვაწლისა და თავისი შრომის ნაყოფის წინაშე: „თუ ეს ჩვენი წიგნი ცოტათი მაინც შეეწევა იმ საქმეს, რასაც „დედაენის“ შეფასება-დაფასება ჰქვია, „დედაენის“ მოვლა-პატრონობა ჰქვია, ბედნიერი ვიქნებით!“, 84. ამას ამბობს გიორგი გოგოლაშვილი, რომელმაც ამ წიგნით მაგალითი გვიჩვენა მოქალაქეობრივი და მეცნიერული კეთილსინდისიერებისა.

გიორგი გოგოლაშვილმა „დედაენას“ უწოდა „ძეგლი სამარადისო“ და იაკობ გოგებაშვილის ღვაწლით შთაგონებულმა შექმნა წიგნი „სიბრძნე იაკობისა“ - ძეგლი სამარადჟამო.

Roin Chikadze
Iakob Gogebashvili Telavi State University
MERIT OF IAKOB GOGEBASHVILI
(“THE WISDOM OF IAKOB” BY G. GOGOLASHVILI, 2014)
RESUME

Professor Giorgi Gogolashvili devoted 400-page monograph ‘The Wisdom of Iakob’ to life and activities of Iakob Gogebashvili, where such cardinal issues are researched and studied as Iakob Gogebashvili and Georgian literary language; Language areas of Iakob Gogebashvili; ‘Deda Ena’ – eternal monument; Main public figures; Wisdom of Iakob, Controversy, etc.

The author of the monograph considered Iakob Gogebashvili’s merits within the union of the main public figures of 19th century – Ilia Chavchavadze and Akaki Tsereteli, he, at the same time, adopted the practice to mention Gogebashvili only by his name – **Iakob**.

The monograph highlights that Iakob added the fourth pillar – ‘**National School**’ - to Ilia’s three ‘Divine treasures’ (homeland, mother language, religion).

‘He made Georgians to be aware of essence and importance of these four national pillars and showed personal examples of altruistic and dedicating service’ (G. Gogolashvili).

In this monograph Gogolashvili showed that I. Gogebashvili’s ‘**Deda Ena**’ is an indispensable guide to the national school; at the same time, it becomes clear to the reader how courageous struggle it took the author of the monograph to establish ‘Deda Ena’, - the only indispensable guide indeed, - at national schools of the country.

მზია ხახუტაიშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხმოვანთა მონაცვლეობის ერთი შემთხვევისათვის ქობულეთურში

აჭარულ კილოსა და მის კილოკაურ დიფერენციაზე ფრიად საინტერესო მოსაზრებებია სპეციალურ ლიტერატურაში. აჭარულის (განსაკუთრებით ქვემოაჭარულის, შავიზღვისპირა სექტორისა და ქობულეთურის) სახით ჩვენ გვაქვს მეტად საინტერესო კილო – აღნიშნავს შ. ნიჟარაძე. (ნიჟარაძე, 1975: 10). მკვლევრის ამგვარი შეფასებითი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ არის და იგი თავის მონოგრაფიაში საგანგებოდ საუბრობს კიდევ ქობულეთურ მეტყველებასა და მის თავისებურებებზე. „არსებობს სავსებით რეალური საფუძველი, სადიფერენციაციო ნიშნები, რათა ქობულეთური მეტყველება მივიჩნიოთ აჭარულ დიალექტში შემავალ ცალკე კილოკაურ ერთეულად“ – ასკვნის შ. ნიჟარაძე (ნიჟარაძე 1975: 15–22). პროფესორ მამია ფაღავას მიაჩნია, რომ „როგორც ენათმეცნიერული, ისე ისტორიული თვალსაზრისით გამართლებული იქნება აჭარულ დიალექტში გამოვყოთ: ზემოაჭარული, ქვემოაჭარული და ჩაქვისწყლის ხეობის მკვიდრთა და ქობულეთური

კილოკავი (ფადავა 2003: 13). ღირსსაცნობია, რომ ამის შესაძლებლობა მეცნიერებს მისცა ბოლო ხანს დაგროვილმა საინტერესო ემპირიულმა მასალამ. აღნიშნულ თავისებურებებზე სასაუბროდ, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებების ერთი ასპექტის გათვალისწინება.

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილება შეიძლება გამოიწვიოს თანხმოვანმა და ჩვეულებრივ ეს ლაბიალური თანხმოვანია, რომელიც განაპირობებს ხმოვნის ასიმილაციას (ლაბიალიზაციას) ან დისიმილაციას (დელაბიალიზაციას). ასიმილაციას იწვევს ყველა წყვილბაგისმიერი ბილაბიალური თანხმოვანი (ბ, ვ, პ) სონანტი (მ) და ნაპრალოვანი (უმარცვლო უ/ვ) (ჯორბენაძე 1998: 154). ასიმილაცია ამ შემთხვევაში ნიშნავს ლაბიალიზაციას, რომლის საფუძველზეც შეიძლება იცვალოს სამივე არალაბიალური ხმოვანი (ა, ე, ი), ხოლო ო-უ ლაბიალურობის მატების თვალსაზრისით. სწორედ ამ უკანასკნელ ცვლილებაზეა საუბარი განსახილველ მასალაში.

ხმოვანთა სპონტანურ შენაცვლებად (სუბსტიტუციად) მიიჩნევა ისეთი შემთხვევები, როცა არ არის გამოვლენილი ცვლილების გამომწვევი მიზეზები (ჯორბენაძე, 1998:119). მოვლენის ნათელსაყოფად ბესარიონ ჯორბენაძეს მოჰყავს მაგალითები, მიუხედავად ფორმათა ატიპურობისა (მოუწონა-მუწონა; ტომარა-ტუმარა), იგი მაინც სპონტანურ მონაცვლეობაზე საუბრობს. ო-უ მონაცვლეობის შემთხვევაში მკვლევარი დასძენს, რომ აქ აკომოდაციაა – თანხმოვნის მიერ ხმოვნის მიმსგავსება-შეგუება. გამვლენელია წყვილბაგისმიერი მ სონანტი.

მ-ს წინ ო-ს დავიწროებაზე საუბრობს კახაძე ოკრიბულში: **რუმ, მდგუმარეობა** (კახაძე, 1954: 169). **რუმ, ხუმ** ასევე გვხვდება გურულში. (ყლენტი, 1936: 53).

თ. უთურგაიძის აზრით, „ქართულში ასიმილაცია განიხილება ხმოვანთა და თანხმოვანთა დონეზე. ხმოვნები ვერ ახდენენ გავლენას თანხმოვნებზე, თანხმოვნები კი განიხილავენ ლაბიალიზაციასა და ბგერათმერწყმას (უთურგაიძე 1980: 97).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა შ. ნიჟარაძის მოსაზრება: „ლაბიალური ო ხმოვანი ნაზალურ მ-სთან მეზობლობაში ხშირ შემთხვევაში იმავე რიგის უ ხმოვნად იქცევა. ამასთან ერთად მ-ს გავლენა ო ხმოვანზე ცხადად შესამჩნევი ფაქტი აღმოჩნდება გამვლენელი თანხმოვნის ყოველგვარ პოზიციაში. შესაბამისად იგი ადასტურებს მაგალითებს: **სანდუმინი**; ინადში **ჩადგუმა**; **დაჟდუმლება**, **ხუმ**, **რუმ**, **ტუმარა** (ნიჟარაძე 1975: 10). უნდა აღინიშნოს, რომ ქობულეთურში უგამონაკლისოდ დასტურდება როგორც **ხუმ** ნაწილაკი, ასევე **რუმ** კავშირი. **ხუმ** მომდინარეობს **ჰომ** საგან (შანიძე 1980, 609). **ხომ** კითხვითი ნაწილაკი „**ხუმ**“ ფორმით და **რომ** კავშირი **რუმ** ფორმით ასევე უგამონაკლისოდ გვხვდება ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებაში: შენ **ხუმ** არ სწერავ ლექსებს? გზაში იკითხა, **ხუმ** არ დიგინახვენო ამფერს რუმ ჭამსო; **ხუმ** არ დაგმიწყნია?; მარგლიხან **რუმ** ყივოდენ; ქორწილს **რუმ** ექცეოდით; დედოფალს რუმ ნეფის ოჯახში მიიყვანდენ; ამას რუმე ჭამს, ამას **რუმე** იქს (ხახუტაიშვილი 2009).

ყურადსაღებია, რომ ხმოვანის ლაბიალიზაციის შემთხვევები დასტურდება ქართული ენის ინგილოურ, გურულ, იმერულ, მთიულურ-გუდამაყრულ დიალექტებში: ჩონ ბუთუმრამს წინაითი ჰკბინავთ, უკანი ჰკომთ, ის რაისა, **რუმ** უკანი ჰკბინავთ, წინაითი ჰკომთ?; იქ ერ ქალიც **რუმ** გაქონდა?; ჰამთონ დღე არ შეიძლებოდა მამას რუმ დეენახას?(ინგილოური, კაკური); აგინს პატრონი **რუმ** არ ხავს, აგინს ვალამი პატრონოფს; უწინ გრაფინკები **ხუმ** არ იყო სტოლმე, ბოთლები იცოდენ ღვინოიზა (ზემოგურული, მერი მიმიშვილი); ადგა, წაიდა, ემამ, ბენაი ქნა იტიროს და ეს **ტუმარა** რო ვერ გათეთრდა, თავის კაცმა მოიდა(ფერეიდნული); ბაბუაჩემა, აგერ ვორი **ტუმარა** გასისინებული ღომი (გურული, ქვემოგურული); **რატუმ** და ნათქვამი აქ მეფეს: ვინც მუა და მეტყვის, –თქვენი ცხენი მოკვტაო, იმას თავს მოჭრის (იმერული, ქვემოიმერული); ერ დღეს მართალმა უთხრა ტყვილას: **რატუმ** შენ იქ გიძახიან და მე ებზედი ბოლოში ვჭებო? იმან რუმ არ ილოცოს, ღმერთი მემკითხავს, **რატუმ** არ ასწავლეო (ქობ. მუჰაჯ.); სადილი ერკვირაზე, ოზდაორზე მიმიტანეს და ტირილში გავსკტი, **რატუმ** ადრე არ მიმიტანეს-მეთქინ; წელზე ვიკიდევდით, მეშუკებიც არ ეყო წაღან, **ტუმარა** ეყო (ინგილოური, კაკური); ხანათი **ტუმარა** ავიდოთ; წინავ, ადრევე ჯალაზნი ვყოფილვართ, აგერ სოფელში დგანან, ერთ გოდორშია ორმოდადექსი **ტუმარა** ჩადენილა (მთიულურ-გუდამაყრული). ცხადია, რომ ქართული ენის დიალექტებში დასახელებული მონაცვლეობის შემთხვევები მეტ-ნაკლებად დასტურდება.

როგორც საკვლევი მასალიდან ჩანს, ხმოვანთმონაცვლეობა დასტურდება როგორც ტერიტორიულად ახლომყოფ, ისე დაშორებულ კილოებსა თუ კილოკავებში და ეს გასაკვირი არც შეიძლება იყოს. ენა სისტემაა და ეს თავისებურება შედეგია მისი შინაგანი პოტენციის, იმანენტური გამოვლენისა.

ღირსსაცნობია, რომ ერთ შემთხვევაში ქობულეთურში გვაქვს **ხუმ**, **რუმ**, **რატუმ**, **ტუმარა**, მაგრამ არა გვაქვს აჭარული დიალექტის სხვა კილოკავებში. ეს შემთხვევა შეიძლება იოლად აიხსნას გურულის გავლენით (ყლენტი), თუმცა იგივე მიდგომა არ გამოგვადგება საერთო პროცესების ასახსნელად, რომლებიც ტერიტორიულად დაცილებულ დიალექტებში გვხვდება. კერძოდ კი, როგორც ვნახეთ,

ქობულეთურის მსგავსად **ხუმ, რუმ, ტუმარა** და მსგავსი ფორმები დასტურდება ზემოთხსენებული დიალექტის ოკრიბულ თქმაში, ფერეიდნულში, კონკრეტულად კი კაკურში, და მთიულურ-გუდამაყრულში. მამასადაძე, ამ შემთხვევაში იდენტური მოვლენების პოვნისთვის, როგორც წესი, „ენის შინაგანი ტენდენციის გამოვლენით შეიძლება აიხსნას“ (ჯორბენაძე, 1989: 137).

საკვლევ მასალაზე დაკვირვება მეტის თქმის საშუალებას გვაძლევს. უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული მოვლენა თვალში საცემია ქობულეთურში, რადგან მონაცვლეობა შორსწასული ტენდენციაა და ლაბიალიზაციის საინტერესო მაგალითები დასტურდება ისეთ ფორმებში, როგორებიცაა: **ნდუმა, ჟდუმა, დგუმა, ხტუმა**. დასახელებული მაგალითები ანალოგიაზე მსჯელობის საშუალებას გვაძლევს, რადგან, როგორც წესი, „ენა ისწრაფვის რომელიმე ერთი მნიშვნელობისთვის გამოიყენოს ერთი ფორმოზრევი სტრუქტურა“ (ჯორბენაძე, 1989: 137). კიდევ მეტიც, როგორც შ. ნიჟარაძე აღნიშნავს: „ცალკე უნდა გამოიყოს ხმოვანთა სუბსტიტუციის შედეგად მიღებული ფორმა **ბუმიე, ბუძია**. ქობულეთურისათვის ეს სიტყვა ამ ფორმით იმდენად დამახასიათებელია, რომ საკმარისია აჭარელმა ვისიმე (უცნობის) საუბარში გაიგონოს სიტყვა **ბუმიე**, რომ მოუბრის ვინაობა (ქობულეთლობა) მარტო ამ სიტყვის მიხედვით დაადგინოს (ნიჟარაძე, 1975: 17). ბუძია უგამონაკლისოდ დასტურდება ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაშიც: მემრე სომეხები ოსმანლის დროზე გაასახლენ და ერთი სომეხის ბიჭი ხასიე მეგრელიშვილმა, ჩემმა **ბუძიამ**, შეინახა სახლის ქვეშ; იუსუფ **ბუძიამ** გამეიქცა, მერეგს რუმ ცეცხლი მოჰკიდვია, ხალხი წყლით აქრობდა, მაი მივდა და მერეგი ხელით წამოსწია და გეიქნია შით და გადაარჩინა საქონელი. დასახელებულ მაგალითში მასიმილირებული ისევ წყვილბაგისმიერი **ბ** არის, მხოლოდ ზემოთ დასახელებულ შემთხვევათაგან განსხვავებით, დასტურდება პროგრესული ასიმილაცია არალაბიალური ი ხმოვნის შეცვლით. უნდა აღვნიშნოთ, რომ რაჭულში დასტურდება **ბუბუა** სიტყვა (უთურგაძე, 1986: 98).

ამრიგად, ქართული ენის დიალექტებში დადასტურებული ლაბიალიზაციის პროცესი ზოგადად გამოხატული თავისებურებაა. როგორც საკვლევ მასალაში გამოიკვეთა მასიმილირებულად სონანტი **მ** და ბილაბიალური **ბ** გვევლინება. **მ** **ო-უ** ლაბიალურობის მატების თვალსაზრისით ფრიად საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს ქობულეთურში, ისევე როგორც წყვილბაგისმიერი **ბ**, როგორც არალაბიალური ხმოვნების მასიმილირებელი.

ლიტერატურა:

გიგინეიშვილი 1961: ივანე გიგინეიშვილი, ვარლამ თოფურია, ივანე ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი.

უთურგაძე 1980: უთურგაძე თ., ქანთარია ლ., ასიმილაციისათვის ქართული ენის თანხმოვანთა და ხმოვანთა შერეულ კომპლექსებში, იკე XXV.

ჟდენტი 1936: ჟდენტი ს., გურული კილო, თბ.

შანიძე 1980: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ. ტ. III, თბ.

ჯორბენაძე 1989: ჯორბენაძე., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ.

ხახუტაიშვილი... 2009: ხახუტაიშვილი მ., ფუტკარაძე შ., ქობულეთური მასალები//რსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „კრებული“, ტ. VI, ბათ., 2009.

კახაძე 1954: კახაძე ოტ., ოკრიბულის თავისებურებანი, იკე, ტ. VI, თბ.

<http://www.mygeorgia.ge/>; საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი; ქართული დიალექტური კორპუსი.

Mzia Khakhutaishvili
Batumi Shota Rustaveli State University
ONE CASE OF “VOWEL CHANGE” IN KOBULETURI
RESUME

The article discusses one aspect of phonetic change of vowels in Kobuletian speech. This change is represented with assimilation. Here we have accommodation- a process of accommodating the vowel by the consonant. Bilabial M sonant is influential.

This change is represented in some Georgian dialects (In Ingilouri; In Gurulian; In Imerelian; In Mtiulur-Gudamakruli dialect). Manifesting language tendency can be the main explanation of identical cases in far-away dialects. We meet the same case in Gurulian and Kobuletian, the reason of it- is Gurulian dialect influence (**hum, rum, ratum**), but we don't face the same case in Adjarian and different dialects.

Labialization in Kobuletian speech is a deep tendency, (**nduma, jduma, dguma, htuma**). This peculiarity gives us a chance to reinterpret the approaches that exist in Linguistics.

თხრამლი-ს ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში“ **თხამი**, **თხრამლი** სინონიმურ ერთეულებადაა წარმოდგენილი, ხოლო მათი განმარტებები ემყარება სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონასა“ და დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონს“, შდრ.: „**თხამ-ი** (თხამისა) ძვ. იხ. **თხრამლი** (საბა)“; „**თხრამლ-ი** (თხრამლისა) ძვ. მუწუკიდან ნადენი სქელი ჩირქი (საბა) – „ბაყლი, წუთხი, შალალი“ (დ. ჩუბ.)“ (ქეგელი 1955: 506, 516). ასეა წარმოდგენილი განმარტებები თავად „სიტყვის კონაში“: „**თხამი** თხრამლი ZAB. ნ. თხრამლი“ (ორბელიანი 1991: 317). „თხრამლი შარავთან ნახე Z; ბაყლი AB. თხამი, ბაყლი CD. “ (იქვე: 318); „**თხრამლი** არს მუწუკის ზრქელი ბაყლი ნადენი Zaa.“ (ორბელიანი 1993: 279) და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში: „**თხრამლი** ს. ბაყლი, წუთხი, შალალი, густой гной из раны; **თხრამლი**, შარავი მუწუკისა სქელი“ (ჩუბინაშვილი 1984: 575, 1394). სხვა განმარტებით, **თხრამლი** არის „ჩირქი“¹ (სარჯველაძე 2001: 100; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი 2005: 400). **თხრამლი/ თხამი** არ დასტურდება ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“, ხოლო „ქართულ სინონიმთა ლექსიკონის“ მიხედვით **ჩირქის** სინონიმებია: ბალღამი, მწიკვლი, **თხრამლი**, ჟუჟდი, ბაყლი, წუთხი, შალალი, სარავი, წალა, ფაქლი, მჯღივანი, (თვალის ჩირქი), წირპლი (ნეიმანი 1978: 147; ხაზგასმა ჩვენია – ნ. ხ.).

წარმოდგენილი განმარტებებით არ არის ნათელი, თუ რა ნივთიერებას, ექსუდატის რომელ სახეს აღნიშნავს ძველ ქართულში **თხამი/თხრამლი**. ამისათვის აუცილებელია თავად *ბაყლის*, *შარავის*, *შალალის*, *წუთხის*, *ჟუჟდას*... ზუსტი დეფინიცია, მისადაგებული სამედიცინო ტერმინოლოგიას.

არნ. ჩიქობავა „ქანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონში“ მიუთითებს, რომ „ამჟამად სალიტერატურო ქართულში **თხრამლი** არ იხმარება, ძვ. ქართულისთვის კი ეს სიტყვა ჩვეულებრივია“ (ჩიქობავა 1938: 74). მართლაც, სახელი **თხრამლ-ი** ორჯერ დასტურდება ძველი ქართული მწერლობის უპირველესი ძეგლის, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“, ერთსა და იმავე მონაკვეთში, შდრ.: „... შუშანიკის ზედა წყლულებადცა ჯორცთა მისთა და დაუცხრომელად შრომათა მათ გამო დაუსივდეს ფერჳნი მისნი და **თხრამლი** აღმოსდიოდა (გარდმოსდიოდა F) ადგილდ-ადგილდ.“ (იაკობ ხუცესი 1963: 25); „...განვბანეთ იგი [შუშანიკი] მატლისა მისგან მიწოვანისა და **თხრამლისაგან**...“ (იქვე, 28). მაგრამ ეს სიტყვა არ ჩანს ძველი ქართული მწერლობის სხვა ნიმუშებსა და მათ მიხედვით შედგენილ სიმფონია-ლექსიკონებში, ვიდრე სულხან-საბას „სიტყვის კონამდე“. სიტყვა **თხრამლი** ძველი ქართული წერილობითი ძეგლებისათვის „ჩვეულებრივი“ არ უნდა იყოს, ამ მნიშვნელობით უფრო მიღებული ჩანს: **შალილი/შალალი**, **ჟუჟდა²/ზუზდა**...

დღეს სახელი **თხრამლი** (ფონეტიკური სახესხვაობებით) ცოცხალი სიტყვაა ქართულის დასავლურ კილოებში: **თხამლ-ი** გურ. „ჩირქი“ (შარაშიძე 1938: 31); **თხლამ-ი** იმერ. „ბალღამი“, „ჩირქი“ (დლონტი 1984); **თრამლი** იმერხ. „ჩირქი“ (ფუტყარაძე 1993: 471). **თხამპლი** აჭ. „ჩირქი“, „თხრამლი“ (ნიჟარაძე 1971: 213).

„ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ გამოთქმულია ვარაუდი, რომ „**თხრამლ-** ძირის არქაული სახე დაცული უნდა იყოს დიალექტებში, სადაც **თხამლ-** დასტურდება... არაა გამორიცხული,

¹ შდრ.: **ჩირქი**-თათრთ ენაა, ქართულად მწიკვლი, ბაყლი, გემსი ჰქვიან (ორბელიანი 1993: 320); **ჩირქი** (სპარს.) ს. მწიკვლი, ჟუჟდი ან ბაყლი, შალალი; грязь, нечистота, гной, материя из рань. **ჩირქიანი** ზედ. მწიკვლიანი, ჟუჟყიანი, შალალიანი, ბაყლიანი,- грязный, гнойный (ჩუბინაშვილი 1984: 1579); **ჩირქი** (ჩირქისა) [სპარ. ჩირქ] 1. მყრალი სუნის მქონე მოსქო, მოყვითალო სითხე; გამოიყოფა ცხოველური ორგანიზმის სისხლისა და ქსოვილების ელემენტთა დაშლის შედეგად მიკრობების ზემოქმედებით,- ბალღამი, თხრამლი. 2. ძვ. ჟუჟყი, სიბინძურე //ფიგურ. (ქეგელი 1955: 512). „**ჩირქი-** ანთებითი გამონაჟონის (ექსუდანტი) ერთ-ერთი სახე; სქელი, მღვრიე, მოყვითალო-ნაცრისფერი (ზოგჯერ მწვანე) სითხე. შეიცავს დიდი რაოდენობით ლეიკოციტებს, რ-თა ნაწილი იშლება (ჩირქოვანი სხეულები), ცილას, ქსოვილთა დაშლის პროდუქტებს, ფერმენტებს...“ (ქსე 1987: 138).

² „შუშანიკის წამების“ სხვა ხელნაწერის ზემოთ მოხმობილ მონაკვეთში დასტურდება **ჟუჟდა**, შდრ. „... და განზანეს გუამი წმიდისაი მის მატლთაგან და ჟუჟდათა...“ (იაკობ ცურტაველი 1938: 52,3); შდრ.: **ჟუჟდა** – ზუზდა, თხრამლი, ბალღამი (აბულაძე 1973: 344); **ჟუჟდა** – ჩირქი (სარჯველაძე 2004: 494). **ჟუჟდი** წყლულის მონადენი (ორბელიანი 1991: 635); **ჟუჟდი** არს წუთხი ცოცხლის წყლულთა ნადენი (ორბელიანი 1993: 279); **ზუზდა**–„წყლულება“, წყლული, ბალღამი (აბულაძე 1973: 170); **ზუზდა** ჩირქი (სარჯველაძე 2004: 433); **ზუზდა** [წყლული, იარა]: ძალღნიცა ჰლომნიდეს ზუზდასა მისსა, ლ. 16, 21C (იმნაიშვილი 1986: 212).

რომ „შუშანიკის წამების“ თავდაპირველ ტექსტში სწორედ **თხამლ**- ყოფილიყო (საქმე ისაა, რომ ძველის ის ნაწილი, სადაც ეს სიტყვა იკითხება, გვიანდელ, XVII-XVIII საუკუნეების ხელნაწერებშია შემოახული)“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 247).

ვფიქრობთ, ვარაუდი საფუძლიანია (შდრ.: **თხამი**, **თხამლი** საბა, **თხამლი** გურ., **თხლამი** იმერ.), თუმცა დასაზუსტებელია **რ**-ს საკითხი¹. ღირსაცნობია, რომ ის ხშირად ჩნდება ანლაუტში, შდრ.: **თხმელა** და **რთხმელა** (იმერხ. რაჭ. ლეჩხ.) = ჩვ. მურყანი (მაყაშვილი 1961: 83); **თხევა** (ძვ. ქ. „ამოღვრა...“) და **რთხევა** (მთიულ.) - ბაზალუყის გადმოსვლა არყის გამოხდის დროს (ღლონტი 1984: 453); ასევე: **ჩხა** (ქართლ., კახ., ინგ., თუშ., ოკრ.) და **რჩხა** (ქართლ., კახ.); **ჯღა** და **რჯღა** (გურ.); **ცხილა** (ქართ.) და **რცხილა** (ინგ.), **ცხემლა** და **რცხემლა** (აჭ., გურ.)...

ვფიქრობთ, ისტორიულადაც უნდა გვქონოდა დიალექტური ვარიანტები: **თხამლი** და ***რთხამლი** (> **თხრამლი**).

ქართველურ ენებში **თხრამლის** („ჩირქი“) შესატყვისი ერთეულებია:

მეგრ.: **თხომ-ურ-ი/თხუმ-ურ-ი** „ჩირქი, თხრამლი“ (ქობალია 2010: 322);

ლაზ.: **თხომ-ურ-ი/თხომრ-ი/თხომზრ-ი** „ჩირქი“ (თანდილაშვილი 2013: 311);

ქართულ-ზანური შესატყვისობა უდაოა. ერთიანობის ხანისათვის აღადგენენ ***თხამლ**- არქეტიპს და აქვე აღნიშნავენ, რომ „სვანური ექვივალენტი გამოვლენილი არ არის“ (კლიმოვი 1998: 77; ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 247-248), თუმცა საგულისხმოა „სვანურ ლექსიკონში“ დადასტურებული ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ახსნას მოითხოვს, შდრ.: სვან. **თწრ/თწრ/თწრ** „ჩირქი“, „ბალღამი“ (თოფურია... 2000: 258); **ლგთარწე** „ჩირქიანი“ (ნიჭარაძე 2007: 228) და **თხმ/თხამ** „შური“, **თხმმინ/თხამიან** „შურიანი“; ხ-**ათხმ/ხ-ათხამ** „შურს, ეხარბება“ (თოფურია... 2000: 264, 33).

ჩვენი ვარაუდით, სვანური **თხამ** „შურის, სიხარბის“ მნიშვნელობით მეორეულია, თავდაპირველი უნდა ყოფილიყო „**ჩირქის**“, „**ბალღამის**“² აღნიშვნა. საგულისხმოა, რომ ძველსა და ახალ ქართულში, მეგრულში **ჩირქი**, **ბალღამი** და **თხრამლი** სინონიმებად აღიქმება³ (თუმცა მათ შორის თავდაპირველი სხვაობა უეჭველია); სინონიმებია **ჩირქი** და **ბალღამი** სვანურშიც. ამასთან, **ბალღამი** ქართულში გადატანითი მნიშვნელობით არის: **ღვარძლი**, **შხამი**, **გესლი** (ქეგლი 2007: 950). შდრ.: „**ბალღამს** ანთხევს. – **შურის** ბალღამი“ (ქეგლი 1986: 57). **ბალღამის** სინონიმებია ასევე: **სევდა** (სარჯველაძე 2004: 390), **ნაღველი**, **დარდი** (ჩუბინაშვილი 1984: 94; სახოკია 1979: 457-459), ხოლო დანალვლიანება **დამწუხრება** (ქეგლი 1959: 593; სახოკია 1979: 458). ე. ი. ქართულში **თხრამლი**, **ბალღამი**, **ნაღველი**, **სევდა**, **დარდი**, **მწუხრება** ერთ სემანტიკურ ჯგუფს ქმნის, რომელიც გარკვეული ნიუანსით „შურის“ სემანტიკასაც გულისხმობს, შდრ.: „შური არს მწუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა“ (ორბელიანი 1993: 310). სემანტიკური გადასვლები ქართულში ასე უნდა წარმართულიყო: **თხამი/თხრამლი** „ჩირქი“ > „ბალღამი“ > ნაღველი“ > „მწუხარება“ > „შური“. სვანურისთვისაც სწორედ ამგვარ სემანტიკურ გადასვლებს ვვარაუდობთ. არ არის გამორიცხული, რომ ის ქართულის გაგვლენითაც მომხდარიყო.

ამგვარად, სვანური **თხმ/თხამ** („შური“) არის ქართული **თხამი**-ს („ჩირქი“) შესატყვისი, ხოლო „ჩირქის“ აღსანიშნავად სვანურში დამკვიდრდა სიტყვები: **თწრ/თწრ/თწრ**, ასევე: **შალწრ/შალწრ**... (თოფურია... 2000: 258, 810). ე. ი. **თხამ**-ის სემანტიკურმა მრავალფეროვნებამ სვანურში („ჩირქი“, „შური“) განაპირობა დიფერენცია: **თწრ**; **შალწრ**... „ჩირქი“ და **თხმ** „შური“. თავის მხრივ, სვან. **თწრ** („ჩირქი“, „ბალღამი“) მიღებული ჩანს ***თხარ** -ისგან, რაზეც უმლაუტიზირებული ხმოვანი მიგვანიშნებს.

მაგრამ როგორია თავად ***თხარ**-ის წარმომავლობა? გარკვეულ მსჯელობაზე დაყრდნობით⁴, შეიძლება ვივარაუდოთ შემდეგი პროცესი: ქართ. **თხამ** > სვან.: ***თხალ** > **თხარ** > **თწრ** „ჩირქი“, აქედან: ***ლი-**

¹ არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც: „...**თხომ**- ში გვაკლია ქართ. **რ**-ს შეატყვისი: უნდა ყოფილიყო **თხრამ**“; საფიქრებელია, რომ **თხრ-** კომპლექსში **-რ-** დაიკარგა; ნაკლებ მოსალოდნელია, ქართ. **თხრამ**-ში **-რ-** იყოს მეორეული ხასიათისა“ (ჩიქობავა 1938: 74). „ზანურისათვის ამოსავალი ***თხრამლ**- ფორმა უნდა ვივარაუდოთ (უმარცვლო [“რ] ელემენტით C-V პოზიციაში) (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 110). გ. კლიმოვის აზრით, კი **თხრამლ**-შესაძლოა წარმოიშვა ზმნურ **თხარ**-, **თხრ**-, **თხრა**“ ძირთან კონტამინაციის შედეგად და მკვლევარი არ გამორიცხავს ამგვარ პროცესსაც: **თხამლ** < **თხრამლ**- (კლიმოვი 1964: 98).

² ბალღამი – 1. წყლულის, მუწუკის **ჩირქივანი** სითხე 2. ნარწყევი, ნაღველი (ზაფრის აშლისას) (ქეგლი 2007: 950).

³ შდრ.: „ჟუჟდა – ზუზდა, **თხრამლი**, **ბალღამი**“ (აბულაძე 1973: 344); „ჩირქი ... **ბალღამი**, **თხრამლი**“ (ქეგლი 1964: 512); თხომური, თხუმური – „**ბალღამი**, **ჩირქი**, **თხრამლი**, **ზაყლი**, **შალაღი**“ (ჭარაია 1997: 72) (ზაზგასმა ჩვენია – ნ. ხ.).

⁴ შდრ.: „საერთოქართველური მ სონანტის მ > ლ გადასვლა დაედო საფუძვლად ზეგრატიშესატყვისობის შემდეგ სახეობას-ქართ. **მ** : სვან. **ლ**; შდრ.: სვან. **გჷალ** „ბოსელი“ : ქართ. **გომ**-ი, **გომ**-ურ-ი, სვან. **გჷალ** < ***გოლ** < **გომ**- ... **ლ** > **რ** გადასვლა სვანურში ფაკულტატიური ფონეტიკური პროცესია და პოზიციით არ არის შეზღუდული და არც შეპირობებული: ... სვან. **ჟღერ** „თავსხმა წვიმა, თქემი“: ქართ. **ზღველ**-, **ზღველ**-ა „კოკისპირული წვიმა“ : ზან.(მეგრ.) **ზღვარ-ზღვალ**-ი (რედუპლ.), „ზღველა“, სვან **ჟღერ-ჟღუელ**“ (ჩუბუა 2000-2003: 18-19).

თხარ-უნ-ე***ლი-თჳრ**-უნ-ე „თხარამღვა“, „(და)ჩირქება“. შდრ.: *ჩუ-ლი-თჳრუნე* „დაჩირქება“ (ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი 2015: 91); ასევე: **ლეთხრე** „გასახეთი“, „ძირმაგარა“; „მუწყვი“ (თოფურია... 2000: 196); **ლეთჳრნე** ჩირქიანი (ნიჭარაძე 2007: 228); **თხგრე** სითხეს ადენს, მუწყვიდან ჩირქს ადენს, დაგუბებულს სკდომით ადენს; **თხარა**, **თხერა**... გახეთქვა, წასკდომა (ლიპარტელიანი 1994: 112).

თავის მხრივ, ***თხარ**-ში გამოყოფენ საერთოქართველურ **თხ**- ძირს, რომელსაც შემდეგ ფორმებში ადასტურებენ: **ლი-თხ**-უნ-ე „პირღებინება“, **ა-თხ**-არ „გასკდა“, **ლი-თხ**-რ-ე „სითხიანი ჭურჭლის გახეთქვა“ და მას საერთოქართველურ დონეზე აკავშირებენ „სითხესთან, თხევასთან“ (ნადარეიშვილი 1978: 147; ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 244; 404; ჩუხუა 2000-2003).

ამგვარად, ქართ.- ზან. **თხარამ-ლ-/თხომ-ურ** -ის შესატყვისად სვანურში ვვარაუდობთ **თხამ** ან **თჳრ** -ს, რომლებიც, შესაძლოა, სხვადასხვა ქრონოლოგიური მოწინააღმდეგე იყოს (საკითხი დაზუსტებას მოითხოვს). ეს ფორმები შესაძლოა წარმოშობილიყო: 1. საერთო-ქართველური უაფიქსო **თხამ** -ი- საგან; 2. **თხარამ-ლ**-ფორმისაგან და სვანურში შემდგომ დაკარგულიყო შესაბამისი სუფიქსი (***თხამ-ჴ**), შდრ.: ***მსხალ-**; ქართ. **მსხალ-/სხალ-**; სვან. **იგხ/ჴიგხ/უგხ**; მეგრ. **სხულ-**; ლაზ. **მგხულ-**; (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 336).

თავად ქართულ **თხ(რ)ამ-ლ**-ს -**ლ** სუფიქსით ნაწარმოები ნაზმნარი სუბსტანტივის სახე აქვს. **ლ**-ს შესატყვისად მეგრულსა და ლაზურში კანონზომიერადაა წარმოდგენილი – **-ურ** მიმდევრობა (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 110).

მიჩნეულია, რომ **-ლ** ქართულში არაპროდუქტიული სუფიქსია. მისი ერთ-ერთი ფუნქციაა ნაზმნარ არსებით სახელთა წარმოება: თოვ-ლ-ი (თოვ-ს), კუამ-ლ-ი (ძვ. ქართ.: კუამ-ს, კუმ-ოდ-ა...), ლუაწ-ლ-ი (ძვ. ქართ.: მო-ლუაწ-ე, ლუწ-ა...) (ჯორბენაძე... 1988: 267). ამ თვალსაზრისით საგულისხმოა სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილი მოსაზრებები:

„... სუფიქსი, რომელიც ზმნასთან მასალობრივად საერთო სახელურ ფუძეებს აფორმებს, არის **-ლ**. ეს სუფიქსი გამოწვევადება შემდეგ სახელურ ფუძეებში: **თეს-ლ**- (თეს-ს), შდრ. ზან. **თას-ი** „თესლი“; **კუამ-ლ**- (კუმ-ი-ს, სა-კუამ-ი...), შდრ. სვან. **კუჳმ** „კვამლი“; ზან. კომა//კუმა; **ჯომ-ლ**-, დასტურდება **-ლ** სუფიქსის გარეშეც **ჯომ-ი**, ხოლო ზმნური ძირი ივარაუდება ***ჯუჳმ**- სახით, რომლის უხმოვნო ვარიანტი დასტურდება ფუძეებში **ჯუმ**-ილვა, სა-**ჯუმ**-ილი...“ (არაბული 2001: 318).

„ქართული **თრიმლ**-ი სახელი წარმოდგარია ზმნური **თრემლ-//თრიმლ**-ისაგან **სათრიმლა-ვი//თრიმლის** სემანტიკით... ქართ. **-ლ** შეიძლება ძირეული არ იყოს. ს.-ქართვ ***თრემ-ლ-/თრიმ-ლ**- „თრიმლვა, გრეხა, დამუშავება; თრიმლი...“ (ჩუხუა 2000-2003: 301).

თხ(რ)ამ-ლ- ნაზმნარი სახელისათვის ვვარაუდობთ **/რ/თხ**-ამ-//**რა-თხ**- ზმნურ ძირს, რომელიც დასტურდება ძველ ქართულში და საკმაოდ ფართო სემანტიკური ველითაა წარმოდგენილი (შდრ.: „ძველ ქართულში **რათხ-/რთხ**- ძირისაგან მრავალი ფუძე იწარმოება“ - ფენრიხი... 2000: 377):

რთხმა- *აღრთხმა(-ული)*, *განრთხმა(-ული)*, *გარდართხმა(-ული)*, *დართხმა*, *მომრთხმელი*, *წარმორთხმა*:

აღრთხმა-აღმართვა, აზიდვა . **განრთხმა** - „განყოფა“, „მიყოფა“, „წარმოზიდვა“; გაზმა; გაშვერა, გაშლა, „განვრცომა“; გაკრვა; **განრთხმულობა** - გაჭიმვა; **გარდართხმა**-გადაკვრა, გადაჭიმვა, გადაფარვა; **გარდართხმ(-ული)** - „განვრცელებ[ული]“;

დართხმა-გართხმა; **წარმორთხმა** - გაშლა, გაჭიმვა (აბულაძე 1973);

გარდათხმა-გარდაფენასავით (ორბელიანი 1991:147).

რთხმა - გაშლა, გაჭიმვა¹ (სარჯველაძე 2004: 495).

წარმოდგენილი მრავალი მნიშვნელობიდან ჩვენთვის საყურადღებოა: **გაშლა**, „განვრცომა“, **გადაფარვა**, „გარდაფენა-სავით“. ისინი უახლოვდება ან თანხვედრა სხვა ზმნის მნიშვნელობებს . შდრ.: **თხევა**- „ამოღვრა; ღებინება; გაშლა, დაყრა, დასხმა“...; **გარდათხევა** - „გადადინება“ (აბულაძე 1973). არ არის გამო-რიცხული მომხდარიყო მნიშვნელობათა ერთგვარი კონტამინაცია² (გადამკვეთი მნიშვნელობა ჩანს „**გაშლა**“). შესაბამისად: ***თხამ-ს/რთხამ-ს** „იშლება, განიცრება, (გადმო)დინდება“³, ხოლო ქართულ წერილობით წყაროებსა და დასავლურ დიალექტებში (ასევე, ზანურსა და სვანურში) დასტურებული შესაბამისი ნაზმნარი სახელებისა (**თხამ-ლ-ი**, **თხარამ-ლ-ი**; **თხომ-ურ-ი**) და სახელური ფუძის (**თხამ-ი**) მნიშვნელობა

¹ შდრ.:**სართხამ**-(ინგ.ფშ.) ტყავების **გასართხმელი** ჭიგოები“ (დლონტი 1984: 474); **სართხამი**- ნედლი ჭიგო, რომლის წაწვეტებულ პირებს ტყავის კიდეებში გაუყრიან. რომ... ტყავი გაიჭიმოს...“ (ჭინჭარაული 2005: 765).

² არ გამოვრიცხავთ **თხ**- ძირიდან მათ საერთო წარმომავლობასაც, იხ. ქვ.

³ „**დენა** - დინება, სვლა, „გარდამოდინება“... იხ. გამოდენა, გარდამოდენა, დამოდენა, დამოდინარე, მოდენა; **დამოდინება** გამოდინება; „გარდამოდინება“: რუდ სისხლისად დამოადინა მისგან“; „**გარდამოდენა** ჩამოდენა; **გარდამოდინება** „გარდამოყრა“, „დამოდინება“ (აბულაძე 1973: 140, 115, 84); „**დინება** დენა“ (სარჯველაძე 2004: 426); „**დენა** მდინარეთ სლვა, გინა ჯართ სლვა, გინა ნადირთა და პირუტყვთ სლვა. მოდენა“ (ორბელიანი 1991: 217).

უნდა იყოს „განგრელებ[ული]“, **გადმოშლილი, ნადენი რამ – ჩირქი**“. აქცენტი გაკეთებულია „ამორწყვის შედეგად მიღებული გადმოღვრილი მასის **გაშლა-განგრეობის** თვისების მქონეობაზე. შდრ.: ამორწყავს – ჩირქს **გამოადენს** (ქეგლი 2007: 445); ასევე: ძვ. **გამონადინები** „წუთხი“ (აბულაძე 1973: 43); „ჩირქი“ „**გამონადენი**“ (სარჯველაძე 2004: 393). „თხრამლი **აღმოსდიოდა** ადგილდ-ადგილდ“ (იაკობ ხუცესი 1963: 15); „თხრამლი არს მუწუკის ზრქელი ბაყლი **ნადენი** ...; შარავი (და მისი სახეები – ნ. ხ.) სახელი არს ყოველთა წყლულთა **ნადინებ[ი]სა** (ორბელიანი 1993: 279)¹. (ხაზგასმა ყველგან ჩვენია – ნ. ხ.).

/რ/თხამ - ზმნაში გამოყოფენ **თხ-** ზმნურ ძირს, შდრ.: „ქართ. რა-**თხ-** გაშლა, გაჭიმვა... რა- ამ ზმნაში ძირეული არ არის (შდრ. მეგრ.-ჭანური)“ (ჩიქოვაძე 1938: 283-284)². შესაბამისად, გამოცალკევდება **თხ-** ჩვენთვის საინტერესო ფორმებშიც, შდრ.: **თხ/თხრამლ** (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი 2005: 400).

ამასთან, მიგვაჩნია, რომ სპეციალურ ლიტერატურაში გაანალიზებული მთელი რიგი ლექსიკური ერთეულები, რომელთათვისაც აღდგება ერთი და იგივე მატერიალური მონაცემი - საერთოქართველური ***თხ-** ძირი - უძველეს მასალაში ომონიმას არ უნდა გულისხმობდეს. ამ თვალსაზრისით ღირსაცნობია მოსაზრება: „გამოვრიცხავთ, რომ ძირეულ ისტორიულ მასალაში ომოფონიის შემთხვევები გვქონდეს, ანუ: ადამიანური სამყაროს ასახვის თვალსაზრისით მაქსიმალურად გამომხატველი და პროდუქტული სისტემა უკვე საწყის მორფმათა დონეზე უშვებდეს ომონიმას“ (არაბული 2001: 246) და კიდევ: „შესატყვისობათა დადგენის დროს ფუძეთა წყვილებად (ერთი-ერთზე) წარმოდგენა, რაც, თავისთავად განპირობებულია სიზუსტის მოთხოვნით, იწვევს რთული ენობრივი მიმართებების მექანიკურ გამარტივებას, მთლიანი ენობრივი სურათის ხელოვნურად იზოლირებულ ფრაგმენტებად დანაწევრებას... შედარებით ლექსიკონებში ხშირად თვალშისაცემია გამონაწევრებულ თუ რეკონსტრუირებულ ფუძეთა ...პოლისემიური სიმრავლე... ერთი ენის ფარგლებში, თუ ამას არ ეწინააღმდეგება ენის შინაგანი კანონები, შესატყვისობათა სისტემები და წესები, მიზანშეწონილია ფუძეთა ერთობის დადგენა (შეერთება), ანუ ერთი ძირის ნაყარ ფუძეთა მწკრივების დაზუსტება, რათა შედარებით სრულად შევძლოთ ფუძეთა მთელი პარადიგმატული სპექტრის ასახვა და შესატყვისობებშიც შრეები დავადგინოთ, უკეთუ ამას რეალური საფუძველი აღმოაჩნდა“ (იქვე, 234).

წარმოდგენილი მსჯელობის გათვალისწინებითა და ჩვენი დაკვირვებით ვვარაუდობთ, რომ ზმნური ძირი **თხ-**, რომელსაც საერთოქართველურ დონეზე სამართლიანად აკავშირებენ „თხევასთან“ და, რომელიც გამოცალკევდება, ასევე, მთელ რიგ ქართველურ ლექსიკურ ერთეულებში, უფრო ზოგადი სემანტიკისა უნდა იყოს - „**გაშლა, განგრეობა ჰორიზონტალურად**“. მისგან წარმომდგარი ***თხამ**-ს ზმნის მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო: „**დის, გადმოდინდება, იშლება, ეფინება**“, ხოლო შესაბამისი ზმნური ფუძისაგან ნაწარმოები ნაზმნარი სახელი **თხ/რ/ამ-ლ**-ი არის „**ნა-დენ-ი, ნა-შალ-ი რამ**“³ - ჩირქი“.

ლიტერატურა:

აბულაძე 1973 – ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

არაბული 2001 – ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი.

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

თანდილავა 2013 – ალ. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი;

თოფურია, ქალდანი 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

იაკობ ცურტაველი 1938 – ი. ცურტაველი, მარტვილობაი შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილ. აბულაძემ, თბილისი.

იაკობ ხუცესი 1963 – ი. ხუცესი, „შუშანიკის წამება“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის

¹ იხ. შარავი-ს განმარტება ვრცლად (ორბელიანი 1993: 279).

² განსხვავებული მოსაზრებით, საერთოქართველურისათვის აღადგენენ ***რთხ-** (კლიმოვი 1964: 156), ***რათხ-** /***რთხ-** არქეტიპებს (ფენიხი... 2000: 376-377), რასაც ვერ გავიზიარებთ.

³ ამ მხრივ საინტერესო ჩანს **შალ-/შლ-** ძირისგან ნაწარმოები ფორმები, შდრ.: „**შალვა, შლა** რევა; **შალილ**-ი ლეში, მძორი“ (აბულაძე 1973: 470). „**შალილი** არეული; ჩირქიანი, დაწყლულებული“ (სარჯველაძე 2004: 536); „**შალალი** ჩირქი (ჩირქოვანი წყლული)“ (სარჯველაძე 2001: 238); „**შალალ-ი** ჩირქი, ჩირქიანი ჭრილობა“ (სამოციქულო 2009: 464); „**შალალი** არს ზრქელი და დია(დ) მყრალი ნადენი“ (ორბელიანი 1993: 279; ქეგლი 1962: 620); „**შალალი** ს. ჩირქი, წალა, ბაყლი წყლულისა; гной, матерія из ранъ“ (ჩუბინაშვილი 1984: 1393); „**დაშლა** გადატ. გახრწნა, დაღობა; **ნაშალი** – 1. გაშლილი //გადმოშლილი, ჩამოშლილი... 2. რაც დაიშალა, დაირღვა; რაც რისამე დაშლის, დარღვევის შემდეგ დარჩა“ (ქეგლი 1959: 963; 1958: 1407-10408); „**ნაშალ-ი** 1. რაც შალეს, რაც ანგრის. 2. ნანგრევი; **შილაგ**-ს შლის, ფშვინის“ (ჭინჭარაული 2005: 957, 982, 663); სვან. „**შალზრ/შალზრ** ჩირქი“ (თოფურია...2000: 810). მეგრ. „**შალარი** ხისგან ნალვენთი წვენი; **შამარა** შავი, ჩირქნარევი ან ვენური სისხლი“ (ქობალაძე 2010: 657, 658).

მეგლები, წიგნი I, თბილისი.

იმნაიშვილი 1986 – ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი.

კლიმოვი 1964 – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.

კლიმოვი 1998 – G. Klimov, Etimological Dictionary of the Kartvelian Languages, Berlin/New York, 1998.

ლიპარტელიანი 1994 – ასლან ლიპარტელიანი, სვანური ლექსიკონი, [ჩოლურული კოლო], თბილისი.

მაყაშვილი 1961 – ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.

ნადარეიშვილი 1973 – ლ. ნადარეიშვილი, ჭანურში დაცული ძველი ქართული ლექსიკონიდან, იხერი-ულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XX, თბილისი.

ნეიმანი 1978 – ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი.

ნიჟარაძე 2007 – ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

ნიჟარაძე 1971 – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი.

ორბელიანი 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი.

ორბელიანი 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი.

სამოციქულო 2009 – ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი.

სარჯველაძე 2004 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბილისი.

სარჯველაძე 2001 – სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი.

სახოკია 1979 – ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი.

ფუტყარაძე 1993 – შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი, 2015 (შემდგენლები: რამაზ ქურდაძე, დოდო შონია, ლილე თანდილავა, ლელა ნიჟარაძე). თბილისი.

ქ. ს. ე. 1987 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, II, თბილისი

ქეგელი III, 1959; IV, 1955; V, 1958; VII, 1962; VIII, 1964; I, 2007.

ქეგელი 1986 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი.

ქობალაძე 2010 – ალ. ქობალაძე, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ღლონტი 1984 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

შარაშიძე 1938 – გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბილისი.

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი.

ჩუბინაშვილი 1984 – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ, თბილისი.

ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის მეგლების სიმფონია-ლექსიკონი, I, 2005; II, 2007.

ჭინჭარაული 2005 – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

ჭარაია 1997 – ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი

ჯორბენაძე... 1988 – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი.

Nana Khocholava-Machavariani

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics

ON THE ETYMOLOGY OF THE WORD თხრამლი IN THE KARTVELIAN LANGUAGES RESUME

The words თხამი or თხრამლი denote “thick gleet of a blain (Saba) - „ბაყლი, წუთხი, შალალი“ (D. Chub.)” (GLED 1955: 506, 516). “At this time the word თხრამლი is not used in the literary language but this word is very common for Old Georgian” (Chikobava), although this word with its phonetic versions is a living one in the western dialects of the Georgian language e.g. Gur. თხამლ-ი; Imer. თხლამ-ი; Imerkh. თრამლი; Achar. თხამპლი and in Zan e.g. Megr. თხომ-ურ-ი/თხუმ-ურ-ი; Laz. თხომ-ურ-ი/თხომრ-ი/თხომბრ-ი.

Historically, it is supposed that this word had the following variants - თხამლი and *რთხამლი (>თხრამლი), cf. თხმელა and რთხმელა (Imerkh. Rach. Lechkh.); თხევა (Old Geo) and რთხევა (Mtiul.); გელა and რგელა (Gur); გხილა (Geo) and რგხილაი (Ing.)...

In the special literature the archetype ***თხამლ-** have been restored for the Georgian-Zan unity era and it is also said that “the Svan equivalent have not been identified” (G. Klimov, H. Fahnrich, Z. Sarjveladze) but a number of lexical units attested in the Svan vocabulary need to be explained, cf. Svan. **თჳრ/თჳრ/თჳრ** „gleet”; **ლჴთჳრნე** „purulent“ and **თხამ/თხამ** „envy”, **თხამიან/თხამიან** „envious”; **ხ-ათხამ/ხ-ათხამ** „He/She envies“.

We believe that the meaning of “envy and avidity” of the Svan word **თხამ** is secondary while the meaning of “gleet” is initial. We think that in Svan just like in Georgian the semantic changes were the following - **თხამი** „gleet” > “affliction” > „grievance” > „envy”. (These changes may have happened under the impact of the Georgian language).

The semantic diversity of the word **თხამ** led to the differentiation in Svan - **თჳრ** „gleet” და **თხამ** „envy”. As it seems the Svan **თჳრ** was derived from ***თხარ**. It is indicated by the long vowel. The process can be assumed as follows - Geo. **თხამ** > Svan. ***თხალ** > ***თხარ** > **თჳრ**.

Thus, we suppose that the equivalent of the Georgian and Zan **თხრამ-ლ-/თხომ-ურ** is Svan **თხამ** or **თჳრ** that may be the different chronological data (the issue needs to be clarified).

The verbal root **/რ/თხ-ამ-//რა-თხ-** can be separated for the Georgian converb **თხ/რ/ამ-ლ-** that is attested in Old Georgian and has quite a wide semantic field.

We think that the verbal root **თხ-** that is associated to the word „თხევა” on the proto Georgian level and that is attested in a number of the Kartvelian lexical units has a general semantics - „გაშლა, განვრცობა ჰორიზონტალურად” (spreading horizontally). The meaning of the verb ***თხამ-** derived from this root may have been the following - „დის, გადმოდინდება, იშლება, ეფინება” (It pours, spreads), while the converb **თხ/რ/ამ-ლ-** derived from the relevant verbal stem is „ნა-დენ-ი, ნა-შალ-ი რამ - ჩირქი” (gleeted

ელენე ხოჯევანიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მზის მხატვრული სახე ესმა ონიანის პოეზიაში (მხატვრულ-სტილისტური ანალიზი)

„მე დავიბადე ადამიანად
არაფრიდან გამოვმზიანდი“
ე. ონიანი

პოეტური ტექსტის, პოეზიის ენის თავისებურებათა კვლევა ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემაა, რადგან სწორედ პოეტური ტექსტია ენის შინაგანი ბუნების რეალიზების ერთ-ერთი საშუალება. პოეზია ენის წიაღში იბადება და არსებობს. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ VII საუკუნის საკუთრებაა ფრაზა: „პოეზია - ეს ენაა“. სალიტერატურო ენა პოეტური ენის ბაზისია, თუმცა თუ სალიტერატურო ენას ნორმების დაცვა მოეთხოვება, პოეზიის ენა ენობრივ ნორმათა აქტუალიზაციით ენის შესაძლებლობებს, მის შინაგან პოტენციას გამოავლენს. შემოქმედი, პოეტი, ინტუიტიურად, მისთვის ბუნებით მინიჭებული ენობრივი ალღოს წყალობით, სწორედ პოეტურ ნაწარმოებში ასახავს ენის სხვადასხვა დონეზე მოქმედ კანონზომიერებებს და მათი გამოვლენა მკვლევართა საქმეა. ჩვენი შრომა ესმა ონიანის პოეტური ენის სტიქიაში დაუნჯებულ იდუმალებათა ამოხსნის ერთგვარი მცდელობაა.

ესმა ონიანის - ფერმწერის, პოეტის, მოაზროვნის და ხელოვნების კრიტიკოსის ლექსების პირველი კრებული 1968 წელს გამოქვეყნდა. 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისში საზოგადოების ნაწილმა „უცნაურად“ მიიჩნია მისი თავისუფალი ლექსი - ვერლიბრი და მიუღებელი აღმოჩნდა პოეტის როგორც სულიერი განწყობა, ისე მისეული ხედვა სამყაროსადმი. მხოლოდ დრომ დაადასტურა, რომ ვერსიფიკაცია ქართული პოეტური აზროვნების ორგანული გამოვლენაა, ხოლო ესმა ონიანი - ვერლიბრის დიდოსტატი, ქართული ლექსის სტრუქტურის და ბუნების კარგი მცოდნე. მისი პოეზია უღრმესი ფილოსოფიური აზრითაა დატვირთული, ხოლო როგორც კრიტიკოსები წერენ,

პოეტური ხილვებით ადრეულ გალაქტიონსა და ანა კალანდაძეს ეხმიანება. ესმა ონიანს აქვს **სიტყვის** შეგრძნების არაჩვეულებრივი ნიჭი და მისთვის **სიტყვა**, როგორც სამყაროს საწყისი, („პირველთაგან იყო **სიტყუად**, და **სიტყუად** იგი იყო ღმერთისა თანა, და ღმერთი იყო **სიტყუად** იგი“) იყო, არის და რჩება განსაკუთრებულ ფენომენად. პოეტი **სიტყვას** საკუთარი სულის გამოხატულებად მიიჩნევს და ამიტომ წერს:

„ეს „მე“ ვარ თქვენს წინ,
ამოდრეკილი, ამოძალული ჩემს **სიტყვებში**
ჩემი სულია დადასტურებულ, ურყევ-თანმხლები.
ასე იქნება-თუკი ოდესმე
ვინმე ჩემს **სიტყვებს** მიეკარება,
გაღიმებულს, თვალმოზგენილს, ურყევ თანმხლებს
მას, შეუბოჭავს, ჩემს სულს იხილავს“ [2:55].

მას უყვარს **სიტყვა**, შეუძლია მისი მოფერება და **სიტყვით** სრულიად ახალი სამყაროს შექმნა და როგორც თავად ამბობს, მის **სიტყვებს** „ავლიათ ამოსუნთქვის მსუბუქი ქარი“ [2:78], „ძალა აქვს **სიტყვას**“ [2:41] და სიტყვისადმი პოეტის დამოკიდებულება მაშინაც იგრძნობა, როცა იგი წერს, რომ მისთვის განსაკუთრებულად ძვირფასი იყო ბაბუას ნათქვამი ყოველი **სიტყვა**: „ყოველჯერზე გასახარელ საჩუქრად ამოვინთებ ბაბუას **სიტყვებს**“ [2:79].

ალბათ ამიტომაც არჩევს იგი განსაკუთრებული სიფრთხილით ყოველ **სიტყვას**, რათა თავი აარიდოს ერთფეროვნებას, გაცვეთილ ფრაზებს. ალბათ ამიტომაცაა, რომ ვერც ერთ ფუჭ, შემთხვევით **სიტყვას** ვერ შეხვდებით მის მხატვრულ სამყაროში. პოეტური ხიბლი, თავისი მუსიკა, ფერი და სურნელი სდევს თან ყოველ მათგანს. **სიტყვების** მეშვეობით იკვლევს ესმა ონიანი გზას ფიქრებისაკენ.

ამჯერად მის პოეზიაში მხოლოდ ერთ სიტყვაზე - „**მზეზე**“ შევჩერდებით, ულამაზეს სამკაულებად რომ მიმოუბნევია თავისი ლექსების სტრიქონებში.

მზემ, როგორც სიცოცხლის, სილამაზის და ბედნიერების სიმბოლომ განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ აზროვნებაში. მზე - ეს ხომ უძველესი წარმართული და ქრისტიანული არქეტიპია, რომელიც თავის თავში ღვთაებრივს, დიდს, სიკეთის საწყისს, ნათელს, მშვენიერს აერთიანებს. ამ სიტყვის გამოყენებას მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით დიდი ხნის ტრადიცია აქვს ქართულ მწერლობაში. იგი უმაღლეს ესთეტიკურ ფენომენად მოგვევლინა და შესანიშნავი ტროპული სახეებით გაამდიდრა ჩვენი სასულიერო და საერო ლიტერატურა. **მზის** სიმბოლური გადააზრების მაგალითებს ვხვდებით სახარებისეულ არა ერთ ეპიზოდში, დავით აღმაშენებლის, დემეტრეს, იოანე პეტრიწის საგალობლებში. **მზის** კულტითაა გაჯერებული ქართული ფოლკლორიც. ამ ტრადიციებზეა დამყარებული „**მზის** ესთეტიკა“ „ვეფხისტყაოსანშიც“, (ვ. ნოზაძე აღნიშნავს, რომ **მზე** ამ პოემაში ყველაზე ხშირად ხმარებული სიტყვაა და 341-ჯერ არის ნახსენები), ხოლო ახალ მწერლობაში ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს ნ. ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, გ. ლეონიძის, გრ. რობაქიძის, ა. კალანდაძის შემოქმედება იწვევს.

ყოველივე ამის შემდეგ ჩნდება ეჭვი, რომ **მზის** პოეტური სახის გამოყენებაში ახალი ნიუანსის შეტანა გაუჭირდება პოეტს, მაგრამ ესმა ონიანის პოეზია ამ ეჭვს აქარწყლებს. **მზე** პოეტის საყვარელი სიტყვათაგანია, მის კრებულში - „100ლექსი“ ეს სიტყვა 169-ჯერაა ნახსენები და აშკარად იკვეთება თაყვანისცემა **მზისადმი**; თავადაც **მზესთანაა** ნაზიარები და წილნაყარი, იგი ეძიებს და ყველაფერში ხედავს **მზესა** და მის ძალას: „ვარსკვლავის ცეცხლოვან გამონათებაში“, „მცხუნვარების ცოცხალ სურნელში“, „სიციხის ხვავებად ამომჩქეფარ ყვავილებში“, „ბაბუას მოხრილ მხრებზე გახუნებულ ხალათსა“ თუ „ღამის ცაზე მოცურავე მთვარეში“ - „ყველაფერი **მზედ** იქცევა, **მზედ** სახეობს“. მისი სათქმელი ხშირად ვერ ეტევა სიტყვათა ჩვეულებრივ, ტრადიციულ შეთანხმებებში, მათ სალექსიკონო მნიშვნელობებში და მკითხველისათვის მოულოდნელ სიტყვათხდვარზე ახლებურად იკითხება, რითაც ენის გამომსახველობითი საშუალებები უფრო მდიდრდება:

„და ტყვიასავით დაიტენა სისხლის **მზეთა** გამოსასხმელად
და დაატყვევა თავისუფლების მკაცრი საკანით...“ [2:18].

ხშირად უცნაურ ასოციაციას იწვევენ სიტყვათა მოულოდნელი ვარიაციები:

„და თოხლო შუქი ჩაშვებულიყო დერგების ბნელში
შემოდოდა **მზიან** ერდოდან“ [2:141].

მწუხარე განცდის, ელეგიურობით გამსჭვალული სურათის დასახატად სიტყვა-ქმნადობის უმაღლეს გამოხატულებად გვევლინება სტრიქონები:

„ცა ჩამომტირის არეული შიშველ ტოტებში
მტოვებენ დამშრალ სილამაზით ფოთლები წყნარად
ვემშვიდობები პირ-დამსკდარი, ხმელი გოდებით,

მწუხრის **მზის** სხივებს, გარინდულნი ველზე რომ წვანან“ [2: 172].

უმზეობა, **მზის** ჩასვენება ერთგვარ სევდას ჰგვრის პოეტს:

„თითქოს **მზე** ჩავიდა (უცებ შევიცვლედი),

ჩაქრა ჩემი თმები“... [2: 123].

სინანული იგრძნობა პოეტის ხმაში, როცა იგი იხსენებს დავით გარეჯის გამოქვაბულებს, „აბედისფერი კლდეების კედლას“ და „**მზით** დაბნელებულ სენაკში მიმირვას“ [2:149].

დროის წარმავლობის სევდით აღავსებს მკითხველს ეს სტრიქონები:

„აქ პანთეონის სლიპ ოთხკუთხედებს

მზის ჩასვლის სევდა წარწერებს უქრობს“ [2:86].

და ალბათ ამიტომაც წერს ასე მძაფრად დროის გაუტანლობაზე პოეტი:

„დრომ არ იცის ჩქარა, ნელა,

დროს უცვლელი ერთი სვლა აქვს,

დროს თავისი მუდამ გააქვს“ [2:179].

მაგრამ ზოგჯერ „ჩამავალ **მზეში** გუმბათების თბილ ანთებასაც“ შეუძლია შვება მოჰგვაროს მკითხველს, გამორჩეული შთამბეჭდაობით იხატება იდილიური სურათი სტრიქონში: ღია ფანჯრები „**მზის** ჩასვლისას ჩაისფერი საღამოებით“.

ჩამავალი **მზის** „ნელი ალით დაფარული კედლები“ და „ჩუმად ანთებული ძველი რიკულები“, „**მზის** მოცამტვერვით და არშიებით შეფაკებული კედლები“ და „მუქი კვიპაროსები“ - ადამიანთა სულებს სილამაზის დავიწყების საშუალებას არ აძლევენ და როცა მკითხველი პოეტის სინაზითა და სევდით სავსე სტრიქონებიდან თვალნათლივ ხედავს როგორ დგება „გალობის ამოთქმის წუთი“ **მზით** აღმოდებულ ტაძარში, თავადაც უჩნდება სევდის განდობის სურვილი:

„იყო გალობის ამოთქმის წუთი,

მზისგან იწვოდა მთელი ტაძარი“ [2:186].

დიდი სითბოთია დახატული ჩამავალი **მზის** სხივებში ამოჩენილი მშობლიური ადგილები:

„მერე კი, როცა ჩვენთან ბინდდება,

ჯერ ისევ **მზეში** ამონაშვერი

შორით ღორეშა, მირონწმინდა და ხორითია“ [2:33].

რადაც მარადიულს, ამაღლებულს აზიარებს არაფრისმთქმელ სიტყვათა ანაზარა დარჩენილ თანამედროვე მკითხველს პოეტის სტრიქონები და ეკლესიათა გუმბათები ნუგეშისმომგვრელ სახედ იქცევა:

„გადიარებნის შუშაბანდები ალავარდნილ ოთხკუთხედებად,

წითელ ფანჯრებში ელვარს ყველაფერს

ჩამავალი **მზის** ალი ედება.

და უცებ ჩაქრა, გადაეგლისა ცივი ცეცხლით გუმბათებს თავი,

გული მევსება გაურკვევი, უცოდველი ამაოებით“ [2:33].

ხშირად ის, რაც პარადოქსი და შეუსაბამოა ლოგიკური აზროვნებისათვის, ესმა ონიანის პოეზიაში რეალობაა:

„რადაც დიდებულ ტაძარს ამსგავსებს **მზე** გარე მდგომი

ძველი ქურის დაკრეჭილ ბაგეს შავს და შმორიანს“ [2: 19].

ესმა ონიანის პოეტური სიტყვისთვის არ კმარა მისი მხოლოდ სალექსიკონო მნიშვნელობა. მის პოეზიაში სიტყვა იძენს მრავალხმიანობას და მოულოდნელ კონტექსტში მათი ახლებურად ამეტყველებით მის ტრადიციულ მნიშვნელობას ახალი ნიუანსი ემატება:

„აბზუ, ჭაბუკები, თმების **მზიანი** ხვრელებით,

ვნებადაუმცხრალი გახელებით,

ყველას შეხედე -

კაქისფერ **მზეში** კრიჭა შეჰკვრიათ!“ [2:147].

მის ერთ ლექსში, რომელიც ამავე დროს ერთგვარი ლოცვა-ვედრებაა, განსაკუთრებული ლიტერატურული გემოვნებით გამორჩეულ სტრიქონებს ვხვდებით:

„დაივიწყეთ დაფოთილიად **მზის** ჩაბურვა ტყეში

რიყის ლოდთა თბილი ზურგი, ქვა-ჩხრიალა ხრეში“ [2:134].

განუმეორებელ ხიბლს სძენს სტრიქონს ულამაზესი სინტაგმა „**მზის** მორევი“, რომელშიც მზეა აქცენტირებული: „ვედარ დაიჭერს თქვენი თვალი ლამაზ **მზის** მორევს“ [2:135].

ლექსებში მეყსეულად გამოჩენილი ფრაზები გარკვეულ სტილისტურ როლს ტვირთულობენ პოეტის განწყობის გამოსახატავად:

„სამსახურში, ყავისფერი სკამების ჯოგში

შენს **მზე** - თავს ვხედავ“ [2:21].

ესმა ონიანი თავისი თვალით დანახული სამყაროს ყველასგან გამორჩეულ ხატს ქმნის და საკუთარი ხელწერით, მხატვრული სიტყვით, მის თანაზიარად გვხდის:

„ჩქარა და ჩქარა **მზე** თავზე ბრუნავს,

რკალს წითლად ღუნავს“ [2:127].

ავტორის შეგრძნებებს მკითხველისთვისაც ხელშესახებს ხდის მისივე საოცარი ლექსიკით წარმოდგენილი ფერწერული ხატები:

„**მზით** გამომარცვლულა გიცრული სუნმმაფრი,

ჩამოყრილ ფოთლებში ცვივა“ [2:132].

ესმა ონიანი პოეტია თავისი სიტყვით, ხედვით და გამოხატვის ფორმით. ამავე დროს ფერწერაა მისი პოეზია. საოცარ ასოციაციას იწვევს ლექსის სტრიქონები, როცა პოეტურ ნახატში ხედავ ჩამავალ **მზეში** უნაბისფერი კედლების წითლად აბრიალებას:

„უნაბისფერი კედლები

ჩამავალ **მზეში** წითლად ბრიალებს“... [2:22].

ხელის ერთი მოსმითაა დახატული შთამბეჭდავი სურათი:

„უკაცრიელ **მზე**-ღია გზაზე

ორი გამვლელი დაბარბაცებდა“ [2:183].

„როგორ მეცნობა ეს მუქი **მზე**,

ქალით, ბავშვებით, ჩაჩუმებული **მზიანი** დამრეცი“ [2:30].

ისევ **მზე** ანიჭებს ფერადოვნებას ულამაზეს პეიზაჟს:

„**მზისფერია** ყველაფერი,

მუქი ოქროს, აბანოს უბნის ლურჯი თაღები“ [2:31].

დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე „დამრეცი ჩუმად“ გაწოლილი „ბადაგისფერი მუქი **მზე**“ და „ბადაგისფერი **მზით** დაბინდული შუშაბანდი“.

საოცარი სულიერი სიმშვიდე ეუფლება მკითხველს ფერადოვანი სტრიქონების ჩაკითხვისას და თითქოს განტვირთავს კიდეც მას თანამედროვე ცხოვრების თანმხლები ამაო ხმაურისგან:

„თბილად გვაბრუებს თვლელმა-ღიმილით

ეს მუქი **მზე** და

მისი სქელი ოქროვანი ჩამოვანება“ [2:31].

სილამაზის შემოქმედია **მზე**, მაგრამ თავად **მზის** დაუვიწყარი სურათია შექმნილი სტრიქონებით:

„ხის გვირგვინებში, სახლ-კედლებს შორის მცირე ჩიხებში **მზე** მუქდება

ჩაისფერი მძიმე სინათლით“ [2:160].

უნდა აღინიშნოს, რომ ესმა ონიანის ლექსის სტრიქონები მხოლოდ ფერწერული სიტყვათხელოვნების ნიმუში არაა, არამედ ხმელი გვიმრების შრიალიც გვესმის და იელის თუ გიცრულის მძაფრი სურნელიც იგრძნობა:

„ეს ყველაფერი მოვა შენამდე,

როგორც შრიალი ხმელი გვიმრების,

მზის ნესტოებში მათრობელა სუნით შეაღწევს,

ჰყვავის იელი“ [2:130].

პოეტის მიერ „მზით დანაჩვრეტი ყვითელი უდაბნოს“ ულამაზესი მხატვრული ტილო გადაიშლება მკითხველის წინ, დავით გარეჯის შავგულა, აბედისფერ ყვავილებად გადაშლილი სენაკების და გამოქვაბულთა გახსენებისას:

„არა - გამოშიგნული ყვითელი უდაბნო,

მზით დანაჩვრეტი სიცხის შეხება,

ხეები მიმხოზიან წითელ ხრიოკებს,

გაკავებული კლდეზე-ახრილა

სენაკებად გადაშლილი,

შავგულა, აბედისფერ ყვავილებად“ [2:148].

იდილია, დრო-ჟამის ლიტერატურული რეფლექსიაა გადმოცემული სტრიქონში:

„**მზე** ჩავიდა თავის ჟამისად“, რომელსაც იდუმალებით სავსე ფრაზა მოსდევს:

„ჩემი ოთახის მღებავი კედელი -

სისხლი, ნაჟონი მხარზე ჟანგისფრად“ [2:23].

თითქოს სწორედ იდუმალებით აღსავსე წამია შეჩერებული სტრიქონში:

„და **მზე** გაშემდა რიკულებში“... [2:141].

ესმა ონიანისეული **მზისმეტყველების** ბგერითი წყობა ევფონიის შესანიშნავი ნიმუშია, **მზეს** უკავშირდება მკითხველისთვის განსაკუთრებული განწყობის შექმნაც:

„ივსებს სარკმლები ოთხკუთხე ჩარჩოებს,

ჩამოჩუნდრულ მზიან გორებით,

სახლების ხვავში **შუშაბანდების** წითელ მინებზე **მზის** შემუქებით

მზე მოაჭრელებს აივნის ფილებს, თეთრ კვადრატებს წითელ ფორაჟით“... [2: 155].

თითქოს **მზე** აერთებს და აკავშირებს სამყაროში ყველაფერს:

„და **მზიანია** და მოშრიალე

ნაზ ოქროსფერი კედლების და ქუჩების და ამ გუმბათების

სამუდამო შეკავშირება“ [2:158].

ესმა ონიანი პოეტური ოსტატობის შემწეობით ახერხებს ჩამავალი **მზის** ნარინჯისფერი შუქის ფონზე დანახული ტრადიციული ყოფის ელემენტები სილამაზის სიმბოლოდ აქციოს:

„აგერ მიადგა ჩამავალი **მზე** ბუფეტის შუშის

ყვავილებით მოჭიკნილ სარკმლებს -

ნარინჯისფერი შუქის ფარფლით ელავს ულევით“ [2:25].

ალბათ მხოლოდ ესმა ონიანისნაირ სათუთი სულის პოეტს შეუძლია დაინახოს **მზის** ბურუსი და სიტყვათა ჩვეულებრივი წყობით, უჩვეულო სიმძაფრით შეაგრძნობინოს მკითხველს „**მზის** ბინდში“ გახვეული ნივთების სილამაზე:

„ფეხი შემოვდგით, **მზეში** მეზობლის ჭრელი ფარდაა.

ოთახის ბინდში წითელ იატაკს ხალიჩა ბურავს,

მზის ბურუსშია ყველაფერი იმ კუთხის გარდა!“ [2:27].

პოეტის ფაქიზი მხერა განსხვავებულად აღიქვამს და გადმოგვცემს **მზის** შარავანდედით მოსილ, ერთი შეხედვით უბრალო საგნებს:

„სადარბაზოს ვარდისფერი ბათქაში **მზეში**,

ნიკელის ძველი საწოლის სინათლე“ [2:32].

ავტორის შეგრძნებათა გავლენით მომხიბლავადაა წარმოდგენილი ყოველწუთიერი რუტინა და ყოფით სინამდვილეს პოეზიად აქცევს:

„ჩამავალ **მზეში** მთელ დღეს მხურვალე

დარაბები გადაიღალა“ [2:33].

ეს ყველაფერი ყველას გვინახავს, „რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება; არაფერია **მზის** ქვეშ ახალი“, (ეკლესიასტე) მაგრამ უთუოდ მხერის განსხვავებული რაკურსი, განსაკუთრებული პოეტურობით მხედველი თვალი სჭირდება „**მზით** და სინათლით ჩამოღვარული“ ოთახის კედლების, „ცხვრის ტყავის ხშირი, ფაფუკი ხვეულის ოქროს მზისფრად გამორიყვის“, „**მზით** გაბრწყინებული სიკი ქვის ფირფიტების წყობის“ თუ „**მზეში** მეზობლის ჭრელი ფარდის“ სილამაზის აღქმა-დანახვას!

ალბათ მხოლოდ ესმა ონიანს შეეძლო ულამაზეს, ექსპრესიულ მეტაფორად ექცია **მზის** ჩასვლის, დღისა და ღამის გაყრის სურათი:

„**მზე** დაიშალა რიკულებში...

ჩემს ოთახში, როცა **მზე** ჩადის, ...

იატაკზე აბრიალდება ერთი ბილიკი

კომშისფრად ღუის,

ღამე მშვიდობის, ღამე მშვიდობის!

მზე მიდის შინა“ [2:38].

ასევე უმშვენიერეს მეტაფორადაა გარდასახული მოაჯირთან, „**მზის** დაფლეთილ კალთაში“ მიმჯდარი უპოვარი ეფემიას პორტრეტი და არა ერთი სტრიქონი:

„**მზის** სიმუქის ბოლო ბურუსი,

მოვარვარე ვარაყიან ფინჯანს მოესკვნა“ [2:31].

მზის მეშვეობითაა შექმნილი შესანიშნავი მეტაფორული სახეები: „თვალთა ბორცვებზე **მზიანმა** ქუთუთომ ინათა“ [2:108].

ან: „თამბილის თვალები

მზისგან დაბერილი გვალვებით დასიცხავს“ [2:110].

ასევე: „გამოდნა **მზისგან** ღრმული ტაძრისა,

შიგ ეშვებოდა ღონიერი შტო მისი - **მზისა!**“ [2:186].

ასე სტრიქონ-სტრიქონ იქსოვება პოეტის საოცარი წარმოსახვა, ფანტაზიითა და თითქოს სიზმრისეული ხილვებით სავსე და მკითხველს ბუნების ძალას შეაგრძნობინებს:

„მძიმე ღრუბელის ფაშვიდან

მზიანი თქემის ქროლვა იძვრება“ [2:43].

შეუძლებელია დაივიწყო ბუნების სურათი, როცა

„**მზიანი** სიწყნარე უძრავი

ღეროზე დასწოლია გვიმრას!“ [2:132].

ან როცა „დროდადრო **მზე** ბრუნავს ტოტებში“ [2:131].

სინერგიის მაღლით და **მზიური** სინათლითაა აღვსილი ფრაზა, რომელიც ქართველთა უძველეს რწმენას მოგვაგონებს, რომლის მიხედვითაც „თითოეულ თემსა და ოჯახს უნდა ჰყოლოდა თავისი **მზე**“ [7:63].

„ჩვენ ჩვენს კოშკში შემოგვაქვს

მზე თითო მუჟა“ [2:90].

ესმა ონიანის პოეზიაში ჩვენს თვალწინ ხდება ჩვეულებრივი სიტყვების პოეზიად გარდასახვა და **მზე** ახალ სიცოცხლეს იძენს ლექსის სტრიქონებში:

„ცხრამეტი წლისა ვარ

ცხრამეტჯერ **მზისა** ვარ!“ [2:90].

განსაკუთრებული ექსპრესიითაა აღბეჭდილი ქვემოთ მოყვანილი სტრიქონები და არის მასში „რადაც უსაზომოდ დამაფიქრველი“:

„ჩემს შუბლს - ძველ კედელს ქვისას -

მოედო ხავსი ჟანგისფრად,

ჟანგისფერივე **მზით** მიჩრდილული

მღვრიედ დამიმდა“ [2:128].

მწერალი „**მზეს**“ მრავალფეროვანი ეპითეტებით ამკობს და მისი სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებით ახალ-ახალ სტილისტურ ნიუანსს სძენს. მაგალითად: „საღამოს **მზე** სისხლოვანი ფერით“, „**მზიანი** სისხლი“, „**მზიანი** ტკივილი“, „**მზიანი** ჯადო“... **მზე** სხვადასხვანაირად იცვლის სახეს და იგი ხან გამჭვირვალეა, ხან მწველი, ხან გადარეული, ხან კაჟისფერი, ხან სხივმოხვეული და ხანაც გადაწვერილი.

პოეტი გრძნობს **მზის** სიძლიერეს და სწორედ მისი შემწეობით შეიცნობს საგნებს:

„ეს მე მიგრძვნია შემოდგომის **მზის** სიძლიერე

მზეში ჩნდებოდა გულახდილად ჩემთვის საგნები“ [2:43].

პოეტის მიერ დახატული ბურუსით მოცული **მზე**: „**მზის** ირიბი შუქის ბურუსი“, „მუქი **მზე**“, „**მზის** სიმუქის ბოლო ბურუსი“ სევდასა და რუტინასთან ასოცირდება, რადგან მკითხველს სინათლის და სიბნელის, სიკეთის და ბოროტების განუყოფლობაზე მიანიშნებს, თუმცა პოეტს სწამს, რომ **მზის** „ნათელი ვერ დაიძლევს“, „**მზიანი** დღით, გუმბათებით მოგვირგვინდება“ ყოველი და „**მზის** ბორბალი“ შეცვლის მშვიდობიანად ღამის უკუნს.

სმენაგაფაქიზებულ პოეტს ესმის, როგორ „ფშუის ხე **მზეში**“ და ჩვენც გვასმენინებს „ენკენისთვის **მზიან** შრიას“, ხედავს „**მზის** და შუქის ფერფლს“ და „დატკეპნილ, **მზიან**-კაკუნა ბილიკებს“, გრძნობს **მზის** ნედლ სუნს, ხედავს, რომ **მზეში** ჩახჩახებს ხეთა ბოლქვები“, და „გაბრუებული მტვერი ბრესავით **მზეში** ტრიალებს, ხუფს ვერ იკავებს“. ფერწერული სიტყვათხელოვნებით გვიხატავს ივლისის თვეში „**მზის** აღმურში გახვეულ თბილისს“.

ბავშვური გულწრფელობით, საოცარი სიტყვების მოშველიებით იხსენებს პოეტი ბებიის „**მზემომდგარ** სახეს, ნაოჭებით უფსკრულ დაღარულს, შავი ჩრდილებით ჩამოტორილს“. აქ უამრავი სათქმელია დატოვილი სიტყვებს მიღმა და მრავალნაირ ფიქრს აუშლის მკითხველს მეტაფორად ქცეული ეს პორტრეტი... ბებია-ბაბუას საცხოვრისი „**მზის** სახლად და ბინად“ მიაჩნია, ხოლო თავად **მზე** კი „შინის სიცოცხლედ“.

ესმა ონიანის პოეზიაში **მზე** კიდევ ერთ დატვირთვას იძენს და იგი პერსონაჟების აღწერას, მათი სილამაზის და სამიჯნურო გრძნობების გამომწვეურებასაც ემსახურება:

„დალი კვენისის თუ გალობს თავის ძეზე, პირით **მზეზე**“ [2:105].

ან „ჩემი სხეული ნახონ, **მზე** მახლავს!“...

„**მზესავით** სხეული გაჩვენეთ

სიმშაგის მგვრელი“ [2:124].

ან „გვალვის დროს შობილი, **მზის** სხივდასობილი,

ჩვიდმეტი წელია ივსება სისხლით და ლოდინით“ [2:145].

„ასდის მთელ დღეს ნაჯაფს სითბო ნამჯა-**მზისა**“ [2:184].

„შავი ფრთებივით გავშალე თმები ქარსა და **მზეში**“ [2:184].

ქართველი ხალხის წარმოსახვაში **მზე** ოდითგან იყო სიცოცხლის მომნიჭებელი, მგრძნობიარე, სულიერი არსება. ამიტომ პოეტი ხან მფარველობას, ხან მასპიდლობას, ხან კი მტრის მოსაგერიებლად

გმირობა-ვაჟკაცობის ძალის მონიჭებას შესთხოვს მას. ესმა ონიანის წარმოსახვაში **მზე** მბრძანებელია, სალოცავია, საოცარია და მზისადმი აღვლენილ ხოტბაში ასე მიმართავს მას:

„**მზეო**, დიდო **მზეო**,

მზეო, საოცარო,

მზეო, მბრძანებელო,

ჩვენო სალოცავო,

მოგვადექ!“ [2:90].

ამიტომ შესთხოვს არსთა გამრიგეს:

„დამაყენე **მზის** შუქი

ოქროსფერი ფოთლებით“ [2:193].

ამიტომ ელტვის პოეტი **მზეს**, ბინდს კი ერიდება:

„**მზეო**, მომადექ! ბინდო მერიდე!“ [2:105].

მზე პოეტის იმედია, **მზიანი** დღეები კი სიხარულიანი დღეების სინონიმი, ამიტომ სწამს, რომ „**მზე** არ დატოვებს“, „ბინდს დააშინებს!“ [2:108] თუმცა წუხს იმის გამო, რომ მას „**მზე** დიდებული აღარ შესწევია“, და მისი დღეები, „**მზისგან** გამოცლილი, უკუღმა მიდიან“ [2:125]...

ინტერპრეტაციები შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, ეს უაღრესად საინტერესო ენობრივ-ლიტერატურული პროცესი და იმის დასტურია, რომ მხოლოდ გამორჩეული ნიჭის შემოქმედთ ხელწიფებით სიტყვათა მოხდენილად შეკავშირებით მისი უხილავი ძალა გვაგრძნობინონ.

პოეტმა ლექსს უძღვნა სული და ვფიქრობთ, შესძლო თავისი ოცნების ასრულება:

„მინდა იყოს ჩემი სული დროის საზღვარს გადასული!“ [2:179].

მან მართლაც გადალახა დროის სამანი და სამუდამოდ დარჩა თავის ლექსებში.

ლიტერატურა:

1. ნოზაძე ვ., „ვეფხისტყაოსანის მზის მეტყველება“, სანტიაგო დე ჩილე, 1957.
2. ონიანი ე., „100 ლექსი“, თბ., 2010.
3. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, თბ., 1991.
4. რობაქიძე გრ., „საქართველოს სათავენი“, ჟ. ლიტერატურა და ხელოვნება. თბ., 1991.
5. სირაძე რ., „ქართული მითოლოგიური ესთეტიკიდან“, ჟ. საბჭოთა ხელოვნება, თბ., 1977.
6. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I. თბ., 1979.
7. ჯორბენაძე ბ., ენა და კულტურა, თბ., 1997.

Elene Khojevanishvili

Gori State Teaching University

ARTISTIC IMAGE OF THE SUN IN THE POETRY OF ESMA ONIANI (ARTISTIC AND STYLISTIC ANALYSIS) RESUME

The research of a poetic text and poetic language is of great interest from the point of view of revealing inner nature of the language, its potential by actualization of language norms. Due to special language flair, it is the poet, who reflects the active regularities of the language and hidden mysterious possibilities in the work. The article is meant to reveal various artistic images of **the sun** in the poems of Esma Oniani – a painter, a poet, a thinker and an art critic. She made the reader feel the invisible power of the language by combining words ingeniously and using pleasing word combinations.

ლიტერატურათმცოდნეობა Literature Studies

ნათელა ადუაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი

იაკობ გოგებაშვილი - მაღალი ზნეობის მაგალითი და მისი ისტორიული მოთხრობები

იაკობ გოგებაშვილი ჩვენი სინამდვილისათვის გაცილებით
დიდი ადამიანი იყო ვიდრე ეს წარმოდგენილი გვაქვს....
ვასილ ბარნოვი

„მაღალი და წმინდა ზნეობის შთანერგვა მოწაფის გულში“ - აი, გოგებაშვილის აღზრდის უმთავრესი მიზანი. ნამდვილი ადამიანის ღირსებათა შორის, იგი უპირველესად მიიჩნევს საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებას და ჰუმანურობას, რომ ადამიანის სიცოცხლის ყოველი წამი ეკუთვნის „მოყვასთა სამშობლოსა და კაცობრიობას“. ადამიანის პიროვნების ყველა მაღალ ღირსებათა შორის იაკობ გოგებაშვილი ჰუმანიზმს ანიჭებს პრიორიტეტს და ჰუმანურ თვისებებს მოკლებულ ადამიანს არ თვლის სრულყოფილ ადამიანად. ამავე დროს, მოითხოვს აღზრდის საქმეში ჯანსაღ თვისებათა განვითარებას, ცხოვრების სინამდვილის ცოდნას, ისეთი თაობის აღზრდას, რომელსაც უნდა ჰქონდეს ძლიერი გონება, რეალური ცოდნა, მტკიცე ნებისყოფა და ხასიათი, სახალხო საქმის თაოსნობის უნარი, სამშობლოსა და ხალხის მგზნებარე სიყვარული, თავისი თავის იმედი, თავაზიანობა, სიდარბაისლე, სინდისი და პატიოსნება.

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ ესთეტიკურ-ფილოსოფიური ნააზრევი ქართული განმანათლებლური უბრწყინვალესი ფურცელია მეფის თვითმპყრობელობის, ეროვნული ჩაგვრისა და ძალდატანებითი გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ. ბატონყმობის ნაშთების აღმოფხვრის და საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველმხრივ განვითარების მხურვალე სურვილი, მთელი ერის კეთილდღეობის დამყარება - აი, ის უმაღლესი მიზანი, რომლითაც გამსჭვალული იყო იაკობ გოგებაშვილის მთელი პიროვნება. თავისი დროის აქტუალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხებიდან იაკობ გოგებაშვილი უპირველესი მნიშვნელობის საკითხად ეროვნულს თვლიდა. „ეს აიხსება იმ გარემოებით, რომ ჩვენი ეროვნული მდგომარეობა უფრო საშიში იყო, ვიდრე ეკონომიური. ეროვნული მხარე ჩვენის არსებობისა უფრო ძლიერ გვტკიოდა, გვაღონებდა, ვიდრე სოციალური“ - ამბობდა იაკობი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის ერთ-ერთ გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩვენი ქვეყნის წარსულის, მისი გმირული ისტორიის ცოდნის გავრცელებას ხალხში. მხოლოდ სამშობლოს სიყვარულით ანთებულ გულს შეეძლო იმდენი შრომის გაწევა, ზნეობრივად მაღალი ადამიანის შესანიშნავი მაგალითის მიცემა, აი, ეს შეძლო იაკობმა. იაკობი ზრდიდა ბავშვს ნამდვილი ადამიანის სულისკვეთებით. იაკობ გოგებაშვილი უღვივებდა ახალგაზრდობას სწავლა-განათლების ინტერესს, მშობლიური ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის უზომო სიყვარულს, მშრომელი ხალხისა და მისი იდეალებისთვის თავდადებას, მაღალ ზნეობრივ პრინციპებსა და ადამიანის ღირსებათა პატივისცემას“. - წერს გიორგი თავაზიშვილი. გულისხმიერება, ადამიანთა ღირსების დაცვა, პიროვნების პატივისცემა, იაკობ გოგებაშვილის კეთილშობილური თვისებებია, მაგრამ განუზომელია მისი სიყვარული ბავშვის პიროვნებისადმი. მომავალი, მოზარდი თაობა იყო იაკობის არსების მთავარი მიზანი. „ბუნების კარის“ წინასიტყვაობაში ის წერდა: „პატიოსნის, კეთილშობილის გრძნობების აღზრდა მოზარდი თაობის გულში კიდევ უფრო საჭირო და ძვირფასია, ვიდრე გონების გამდიდრება სხვადასხვა ცოდნითა“.

იაკობი მოითხოვდა ისეთი ადამიანის აღზრდას: „ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველ დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას, წარმატების გზაზე გადალობებია, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის

გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ღხენითა, ვინც ბედნიერია მის ბედნიერებით, უბედურია მის უბედურებით და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავის სიცოცხლე“. (რჩ. ნაწერები ტ. II გვ. 111).

პატრიოტიზმი უნდა ასულდგმულებდეს ჩვენს საზოგადოებას, განსაკუთრებით ახალგაზრდობას...“ იგი უნდა იყოს ისეთი მხურვალე, როგორც ზაფხულის მზე, მძლავრი, როგორც ქარიშხალი, ნოყიერი, როგორც დედამიწა და ენთოს ჩვენს გულში, როგორც პრიალა ცეცხლი.“

სწორედ ასე ზრდიდა იაკობი თავისი დროის ახალ თაობას: სიამაყე წარსულისათვის, შეურიგებლობა აწმყოსადმი და რწმენა საიმედო მომავლისა; ასე ზრდიდა იგი ახალგაზრდობას, საკუთარი პედაგოგიური მოძღვრებით, მხატვრული შემოქმედებით, თვით პიროვნებით.

კეთილშობილი, უანგარო, მაღალი ზნეობის მატარებელი, სამაგალითო ყველა დროისათვის: იაკობის პატივისმცემელმა მეგობრებმა გადაწყვიტეს, იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის 35 წლისთავი აღენიშნათ და იუბილე მოეწყოთ, ამის გამო იაკობმა „ივერიაში“ შემდეგი წერილი დაბეჭდა: „როგორც თქვენი ახალი ამბებიდან ჩანს, ზოგიერთ ქართველს მოუწადია გამიმართოს საიუბილეო სადილი. დიდ მადლობას მოგახსენებთ და გთხოვთ დიდი თხოვნით ხელი აიღოთ ამ თავის წადილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სადილი უჩემოდ ჩავივლის. ჯერ ქართველმა საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს ის დიდი ვალი, რომელიც, მას აწევს კისერზე ჩვენის მთავარ მოღვაწეებისა, რომლებთაც ჩემზე უფრო დიდ ხანს უმოქმედნიათ და ჩემზე უზომოდ მეტი გაუკეთებიათ, ჯერ იალბუზსა და მყინვარს ღირსეული იუბილეები გაუმართონ და მერმე გაუწიონ თავაზიანობა სერებსაც თუ არ დაუშლიათ“.

იაკობი თავისი ნაწერების ჰონორარით ცხოვრობდა, „დედა ენის“, „ბუნების კარის“ და „русское слово“ - ს გამოცემის საშუალებით. ეს წყარო გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა, იაკობ გოგებაშვილი რომ დათანხმებულიყო ამ სახელმძღვანელოების ცოტა ოდნავ გაძვირებაზე, ფასის გადიდებაზე, მაგრამ ამას ყოველი საშუალებით ერიდებოდა. მაგალითად, მან „დედა ენის“ პარალელურად ქართული წერის „დედანი“ გამოსცა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მალე გასაღდა, მან მისი გამოცემა აღარ განაახლა: ის „დედანი“ შემოკლებული სახით „დედაენაში“ შეიტანა და იმავე დროს „დედაენის“ ფასი აღარ გაუდიდება - „ოთხი აზაზის გაღება ჩვენი ხალხისათვის სამძიმოაო“ - იხენებს ფილიპე გოგიჩაიშვილი. თავისი შემოსავლის ნახევარს იაკობი საქველმოქმედო საქმეებზე ხარჯავდა, უმთავრესად მოსწავლე-ახალგაზრდობას უწევდა დახმარებას.

„ზაფხულობით სანამდე ყველა სახელმძღვანელოს არ დაბეჭდავდა, ქალაქიდან არ გადიოდა დასასვენებლად - მოგვითხრობს ი. გომელაური - მას ყველა სკოლების ცნობილ მასწავლებლებთან ქონდა მიმოწერა და ყველას ამას სთხოვდა: შემატყობინეთ, თქვენი აზრით რა ნაკლი აქვს ჩემს სახელმძღვანელოებსო. მისთვის არ არსებობდა პირადული, მთელი მისი არსება საზოგადოებას ემსახურებოდა. ჩვენი საზოგადოების საქმიანობაში თავი და თავი საზრუნავი სკოლები და ბიბლიოთეკებია.

იაკობის ნაფიქრ-ნააზრევი მრავალ საკითხში თანამედროვეობას ეხმაურება, იგი ჰარმონიული განათლების პრინციპის მომხრეა: „შეაიარაღეთ ბავშვი ადრეულ ასაკშივე ზოგადი განათლებით, მიეცით მას სპეციალური ცოდნის საფუძველი. ამავდროულად იაკობი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა აღმზრდელობით მხარეს. განსაზღვრული ცოდნის შეძენასთან ერთად საჭიროა, მოსწავლე იყოს შრომისმოყვარე, პატიოსანი, სამართლიანი. „უნდა შთაბეროთ მოსწავლეებს ქართული სული და აღუზარდოთ ჩვენს სამშობლოს ღირსეული მამულიშვილები“ - მოგვიწოდებს იაკობ გოგებაშვილი და ამის შესანიშნავ მაგალითს გვაძლევს მისი არა მხოლოდ პედაგოგიური, მხატვრული თუ პუბლიცისტური მოღვაწეობა, არამედ პირადი ცხოვრება.

პატრიოტული მოთხოვნები

იაკობი მამულიშვილებს შეაგონებს, ქვეყნის გადარჩენისათვის „გაფურჩქნეთ, გააძლიერეთ და ააყვავეთ ყველა თქვენი ეროვნულნი, ანუ ნაციონალური ძაღნიო“, იაკობის აზრით ჩვენს ეროვნულობას ოთხი ბურჯი აქვს, ოთხი „ეროვნული ძალა“ ამოძრავებს: მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნოება. და იაკობ გოგებაშვილმა, ერთი მხრივ, თავისი სახელმძღვანელოებით, ხოლო მეორე მხრივ, თავისი მხატვრული შემოქმედებით, პუბლიცისტიკითა თუ პირადი ცხოვრების მაგალითით, უდიდესი წვლილი შეიტანა იმაში, რომ ქართველობას შეენარჩუნებინა თავისი მიწა-წყალი, მამული და სხვა ხალხის ხელში არ ჩაეგდო იგი...

რა არის სამშობლო, მამული და როგორ ვემსახუროთ მას? - ეს უმთავრესი კითხვა იყო, რომელიც დასვა იაკობმა; დასვა და უპასუხა კიდეც, თეორიულადაც და პრაქტიკულადაც.

მამულის დაკარგვა საშინელ უბედურებას შეადგენს.

სამშობლოს დამკარგავი ერი ვერ დაიცავს თავის არსებობას, ვერ გააგრძელებს სიცოცხლესა და თუნდაც გააგრძელოს, თუნდაც მოიპოვოს სიმდიდრე ვაჭრობით და მრეწველობით, მაინცდამაინც

ყოვლად უბედური იქნება, იგი, დაემსგავსება ბოგანო ადამიანსა, რომელსაც საკუთარი კერა და მიწა არ გააჩნია... აი, რისთვისაა საჭირო, უკიდურესად საჭირო, რომ ქართველობამ სავსებით შეინარჩუნოს თავისი მიწა-წყალი, მამული და სხვა ხალხის ხელში არ ჩააგდოს.

იაკობ გოგებაშვილი სწორედ ამ მიზნით წერდა, ისეთ ისტორიულ მოთხრობებს, როგორიც არის: „ასპინძის ომი“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „სამასი თავდადებული გლეხი“, „სხივი წარსული“ და სხვ.

ისტორიულ მოთხრობებს დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდაში. მოთხრობა „ასპინძის ომი“ გადმოგვცემს საქართველოს ისტორიის ერთ შესანიშნავ და მეტად სახელოვან ფურცელს. ქართველი მცირერიცხოვანი მხედრობის მიერ 1770 წელს, ოსმალეთის მრავალრიცხოვანი ჯარის განადგურება ერეკლე მეორის მეთაურობით მეტად მდიდარ მასალას შეიცავს, არა მარტო ისტორიული თვალსაზრისით, არამედ პატრიოტულ-აღმზრდელობითი თვალსაზრისითაც და სწორედ ეს აინტერესებს იაკობ გოგებაშვილს.

ავტორი გადმოგვცემს ქართველი ჯარის და მისი ხელმძღვანელობის სამხედრო სტრატეგიას, თავდაჭერილობას, სიდინჯეს, გამირობასა და ტექნიკურ გაწვრთნილობას. ამასთან არ ივიწყებს იგი, ჩვენი ჯარის ჰუმანურობას, პატარა მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს იაკობის მიერ მარტივად, მაგრამ ცოცხლად აღწერილი ეპიზოდები (განსაკუთრებით ერეკლესა და კოხტა ბელადის შერკინება), კოლეგიალური სოლიდარობის ფაქტები ქართულ ჯარში და ის ძლიერი პატრიოტული აღტყინება, რომელიც ახასიათებდა ჩვენს მხედრობას შემოსეულ დამპყრობლებთან ცხარე ომში. ამ მოთხრობაში ავტორს არ შეეძლო გვერდი აეხვია გენერალ ტოტლებენის მუხანათური ღალატისათვის.

„ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ - ისტორიული ხასიათის მოთხრობად შეიძლება ჩაითვალოს იმდენად, რამდენადაც აქ გადმოცემულია, საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული ფაქტები. (ერეკლეს მიერ ლეკების რამდენჯერმე დამარცხება და კრწანისის ომი 1795 წელს), მაგრამ მოთხრობის მხატვრული კვანძი, - ინგილო ქალის მიერ ერეკლესათვის ქლიავის სროლა და ამაზე აგებული მოთხრობის ფაბულა, როგორც თვით ავტორიც აღნიშნავს, ხალხის თქმულებიდან გამომდინარეობს.

იაკობ გოგებაშვილი არ იყო აღტაცებული ერეკლეს პოლიტიკური ნიჭით, მაგრამ მოწიწებით ახასიათებს მას, როგორც სამხედრო სტრატეგს და დიდ სარდალს. მოხიბლულია ერეკლეს დემოკრატიზმით და მისი თავმდაბლობით.

პატრიოტიზმის ბრწყინვალე ასახვა იაკობ გოგებაშვილმა მოგვცა აგრეთვე მოთხრობაში „სამასი თავდადებული გლეხი“. ქართველი მხედრობის მტკიცე ისტორიული დევიზი: ან გამარჯვება ან სიკვდილი ბრძოლის ველზე, - ეს იყო მათი გამაერთიანებელი ლოზუნგი, და, მართლაც, კრწანისის ველზე სამასივე თავდადებულმა გლეხმა ფშავ-ხევსურეთიდან და არაგვის ხეობიდან გამირულად შესწირა თავი სამშობლოს.

ისტორიულ-პატრიოტულ მოთხრობათა ციკლიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოთხრობები საერთო სათაურით: „თავდადებულნი ქართველნი“ და „თავდადებული ქართველი ეჯიბი“. ეს თხზულებანი იძლევიან მამაცობისა და თავგანწირვის იშვიათ ნიმუშებს.

კეთილშობილ თედორე მღვდელს უდაბურ ტყეში შეჰყავს და გზას უბნევს თათრებს, რომელთაც სურთ საქართველოს მეფის დატყვევება და ქვეყნის დარბევა. თედორემ იცის, რომ მას ელის „გამოუთქმელი ტანჯვა-წამებით სიკვდილი, ცოლ-შვილის დაობლება“, მაგრამ მისთვის სამშობლოს აოხრება უფრო მეტი ტანჯვაა, ხალხის ღალატია და, მაშასადამე, უმძიმესი დანაშაული. აქ გოგებაშვილს არ დავიწყებია ერთი ფსიქოლოგიური დეტალი: როცა თედორე მღვდელმა მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, სამშობლოსათვის ენაცვალებინა თავი, უცებ წელში გასწორდა, სახე გაუნათდა და დიდებული გამომეტყველება მიიღო. სწორი და სავსებით დამაჯერებელია ეს დეტალი. დიდი სახალხო და საგმირო საქმისათვის პიროვნული ინტერესების უკლებლივ შეწირვას შეუძლია მიანიჭოს ადამიანს ასეთი კმაყოფილება და ნამდვილი სიხარული.

სამეგრელოს სახელოვანი წარმომადგენელი, გულწრფელი პატრიოტი, ცოტნე დადიანი, ამხანაგური თანაგრძნობისა და იშვიათი კოლეგიალობის განსახიერებაა. ის უყოყმანოდ, ყოველგვარი იძულების გარეშე იზიარებს ერთი მიზნისათვის მებრძოლი მეგობრების ტრაგიკულ ბედს. თავის განწირვით მას მიაქვს საქართველოსათვის წამებულთათვის უკანასკნელი ნუგეში, მორალური გამხსნელება.

იაკობ გოგებაშვილის „ცოტნე დადიანი“ მაღალი ემოციური განცდით ასახული ისტორიული სინამდვილის გადმოცემაა, მეგობრული სოლიდარობა და პირადი კეთილშობილება აქ აგებულია ნამდვილი პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის პრინციპზე.

სამშობლოს სიყვარულის, გამირობის მტკიცე საფუძველზე აქვს გაშლილი მწერალს სხვა ისტორიული მოთხრობებიც. ცხრა ძმა ხერხეულიძენი, საჩინი ბარათაშვილი („საშინელი სასჯელი მოღალატისა“), გლეხი ბოსტაშვილი და სხვა ნამდვილი მამულიშვილები - ღირსეულად ამკობენ

სამშობლოსა და ხალისათვის გამართა სახელოვან კრებულს, რომელმაც ჩვენი სახელოვანი პედაგოგისა და მწერლის მხატვრულ შემოქმედებაში ჰპოვა ასახვა.

საქართველოს ისტორიული წარსულის სხვადასხვა კუნძულს ეხება აგრეთვე იაკობის „სხივი წარსულისა“, „საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა“ და სხვ. ეს მოთხრობები, უდავოდ ბევრს აკეთებენ იმისთვის, რომ ჩვენი ახალგაზრდობის და საერთოდ ქართველი მკითხველის მეხსიერებებში მტკიცედ აღიბეჭდოს მისი ხალხის წარსულის მართლაც მღელვარე ეპიზოდები.

ლიტერატურა:

1. ი. გოგებაშვილი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. I, თბ., 1954.
2. ი. გოგებაშვილი, თხზულებანი ათ ტომად, ტ. IV, თბ., 1955.
3. გ. თავზიშვილი, იაკობ გოგებაშვილი, საბლიტგამი, თბ., 1952.
4. ი. გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბ., 1977.
5. დ. კასრაძე, იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1940.
6. გ. გოგოლაშვილი, „სიბრძნე იაკობისა“, თბ., 2014.

Natela Aduashvili

House Museum of Iakob Gogebashvili

IAKOB GOGEBASHVILI - EXAMPLE OF HIGH MORAL AND HIS HISTORICAL STORIES RESUME

I. Gogebashvili lived with true Christian life full of kindness, contribution and careful attitude towards his homeland, the people and the future in general. This persistent person used to have a lot of enemies who fought against him ruthlessly with the purpose of his physical and moral destruction; as a result of several violent attacks I. Gogebashvili was led to depression. However, being sensible, Iakob defeated himself, won the personal battle and returned to his proper life and authored “Mother Tongue”, “The Door to the Nature”, “Russian Word”, methodical manuals and teaching doctrines which are still considered to be relevant and modern.

ქეთევან ზარბაქაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ერთი პოლემიკის ისტორიიდან იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტურ ნააზრევში

დიდი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის ღვაწლსა და დამსახურებაზე არაერთგზის აღნიშნულა მის თანამედროვეთა მხრიდან (პერიოდული გამოცემებიდან, მოგონებებიდან). იგი წარმოგვიდგება არა მხოლოდ პედაგოგი, მეთოდისტი და ახალი სახელმძღვანელოების ავტორი, არამედ გამგრძელებელი 60-იანელთა პრინციპისა ეზრუნათ როგორც „ახალი ტიპის“ ქართველის ჩამოყალიბებაზე, ისე მისი სწავლა-განათლების პირობების გაუმჯობესებაზე. როგორც ცნობილი საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია იგონებს, „როცა სწავლა-აღზრდის შესახებ საკითხი წამოიჭრებოდა, როცა სკოლაში ქართული ენის სწავლების აუცილებლობის საქმე იყო გასარჩევი თუ გადასაწყვეტი - იაკობ გოგებაშვილს დავუწყებდით ცქერას: ის იყო ქართველთა საესავი, მისგან მოელოდნენ გაჭირვებისაგან ხსნას. ისიც მთელი ერუდიციით, ავტორიტეტული აზრით, სკოლის საშუალებით ჩვენი ხალხის გარუსების მომხრეთ უმტკიცებდა ასეთი პოლიტიკის მავნებლობას, ამჟღავნებდა თვით სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით შეუნიშნავ დანაშაულს არარუსი მოსახლეობის ასეთი ჩაგვრისა“ (სახოკია 1984: 39). ამ თვალსაზრისით საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ი. გოგებაშვილი ზრუნავდა ყველა ქართველ ნიჭიერ ახალგაზრდაზე, მითუმეტეს მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებულებზეც. თავად იაკობის დამოკიდებულებაზე მუსიკის შესახებ კარგად გვიხატავს სოფრომ მგალობლიშვილის

მოგონებები: „იაკობი ცხოვრებაში მდაბიო კაცი იყო ... უყვარდა სადილზე შექცევა, ლხინი, სიმღერა. ერთს ზაფხულს აგარაკად იყო სურამში; ვეწვიეთ მე და ვანო მაჩაბელიც, სურამში შეგვხვდა აკაკი და არისტო ქუთათელიძე. იაკობს ძალიან გაეხარდა, გავვიმართა სადილი ფონას სადგურთან, მშვენიერს ჭალაში; ...სადილზე ბევრი ვილხინეთ, „მრავალ-ჟამიერს“, „კურდღელას“ და სხვა სიმღერებს თვით იაკობი იწყებდა და ჩვენ მოძახილს და ბანს ვეუბნებოდით“ (მგალობლიშვილი 1938: 191-192). გარდა ამისა, გოგებაშვილმა „დედა ენის“ 1912 წლის გამოცემას დაურთო ხალხური სიმღერის ნოტები. ამის შესახებ იხილეთ ჩვენივე სტატია (ბარბაქაძე 2014: 25-27).

ამჯერად კი ჩვენი სტატია ეხება ერთ საჩოთირო პოლემიკას, რომელიც გაიმართა გაზეთ „ივერიისა“ და „ისრის“ ფურცლებზე 1907-1908 წლებში იაკობ გოგებაშვილსა და იმ დროისთვის უკვე კარგად ცნობილ კომპოზიტორსა და პედაგოგს, ზაქარია ფალიაშვილს (1871-1933), შორის. იგი ეხებოდა მოსკოვში მოღვაწე ქართველი სტუდენტის, კონსტანტინე (კოტე) ფოცხვერაშვილისთვის (1880-1959), სტიპენდიის გამოყოფის საკითხს. აღნიშნულ საკითხზე საკმაოდ მიმოხილვითი ხასიათის კვლევა ჩაუტარებია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ნუნუ მიქელაძეს თავის სადისერტაციო ნაშრომში „ქართული სოციალისტ-ფედერალისტური პრესა 1906-1908 წლებში“. ი. გოგებაშვილს სამი წერილი ეკუთვნის აღნიშნულ საკითხებზე, ზ. ფალიაშვილს - ორი. ი. გოგებაშვილის ბოლო წერილს „ბიუროკრატიული თრევა საკითხისა“, ზ. ფალიაშვილის გამოხმაურება აღარ მოჰყოლია.

იაკობი ემყარება მოსკოველი კორესპონდენტების გამოქვეყნებულ ინფორმაციას იმ შესანიშნავი სადამოს შესახებ, კოტე ფოცხვერაშვილს რომ გაუმართავს მოსკოვში, „რომელსაც მოკლე ხნის განმავლობაში შეუდგენია მომღერალთა მრავალ-რიცხოვანი გუნდი ორას სამოცი კაცისაგან, ჩინებულად მოუშადადებია და ისე საუცხოოდ უმღერებია ქართული ეროვნული ხმები, რომ სადამოს დამსწრე საზოგადოება დიდს ალტაცებაში მოუყვანია.

როგორც სხვადასხვა გაზეთის კორესპონდენტები გვარწმუნებენ, ფოცხვერაშვილი არა თუ კარგი მომღერალია, ჩინებული ორგანიზატორი და ლოტბარი, არამედ ნიჭიერი კომპოზიტორიც. მას ესაჭიროება მხოლოდ მუსიკალური განათლების დამთავრება, რომელსაც წინ ეღობება მისი სიღარიბე. სულ შვიდი თუმანიაო თვეში საჭირო, რომ ამ ნიჭიერმა ქართველმა დაამთავროს განათლება და სრულიად მომზადდეს თავისი საყვარელი საქმისთვისაო“ (გოგებაშვილი 1955:197). აშკარაა, რომ გოგებაშვილი პირადად არ იცნობდა კ. ფოცხვერაშვილის, რასაც თავადაც აღიარებს: „პირადად ჩვენ არაფერი გვითქვამს ფოცხვერაშვილზე და ვერც ვერაფერს ვიტყოდით, რადგანაც მას ჩვენ პირადად სრულიად არ ვიცნობთ, არც მისი სიმღერა გვსმენია, არც მისი ხოროთი დამტკბარვართ, და ასე გასინჯეთ, მისი გვარიც კი პირველად გავიგონეთ კორესპონდენტებისაგან“ (გოგებაშვილი 1955:230). მის მონაცემებზე მსჯელობისას გოგებაშვილი ემყარება რუს და ქართველ კორესპონდენტებსა და რეცენზენტებს: „უტყუარ ნიჭს ბ-ნ ფოცხვერაშვილისას, როგორც კომპოზიტორისას, ორგანიზატორისას და ლოტბარისას, მოწმობს ყველა ქართული სადამო, რომელიც კი გამართულა უკანასკნელის ორი-სამის წლის განმავლობაში საუნივერსიტეტო ქალაქებში“ (გოგებაშვილი 1955:270). ამიტომ, გოგებაშვილი თავის პირველ წერილში „ქართული სიმღერის ხოროს შესახებ“ ცდილობს რა დაასაბუთოს ქართული ეროვნული სიმღერის საზღვარგარეთ გატანის აუცილებლობა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ადამიანებისათვის ხელის შეწყობას, რომლებიც პოპულარიზაციას უწევენ მას: „სწორედ ამის გამო ნაციონალურს სიმღერას, ეროვნულს ხოროს დიდად აფასებდნენ და აფასებენ ყველა ერნი, მეტადრე იმისთანანი, რომელნიც ქართველებსავით მორჩილების უღელს ქვეშ კვნესოდნენ და კვნესიან. ჩეხელებს, პოლონელებს, ირლანდიელებსა და სხვა დამონაგებულ ერებს უდიდესი სამსახური გაუწიეს ნაციონალურმა სიმღერამ, ნაციონალურმა ხოროებმა...ჩვენც ამგვარსავე სიკეთეს შეგვძღვნის ქართული ეროვნული სიმღერა, ქართული ნაციონალური ხორო“ (გოგებაშვილი 1955: 198-199). მოჰყავს რა საქართველოში სასულიერო სემინარიებისა და სასწავლებლების რევიზორის მიროპოლსკის აღფრთოვანება ქართული მუსიკით, რომელსაც საჭიროდ ჩაუთვლია, „რომ მათ უაღრესობა მონიჭებოდათ რუსების წინაშე თანამდებობაში გამწესების დროსა; მოითხოვა აგრეთვე ქართულის კათედრის დაარსება სემინარიაში ფართო საფუძველზე, სრული პროგრამით“ (გოგებაშვილი 1955:199). ყოველივე აქედან გამომდინარე, გოგებაშვილი ასკვნის ფოცხვერაშვილისთვის მეტი ყურადღების გამოჩენას ფულადი დახმარების სახით: „დიაღ, ქართველს ხალხს აქვს სასიქადულო ეროვნული ჰანგები, სიმღერები, საგალობლები. რათა ეს სიმდიდრე მკვდარ თანხად არ დარჩეს, რათა მან იმოქმედოს, წინ წავიდეს, სისრულე შეიმატოს, გახდეს ინტენსიურის სიამოვნების წყაროდ ქართველთათვის და უცხოელების თვალშიაც სახელი გაგვიკეთოს, საჭიროა, უკიდურესად საჭირო ქართული დიდი ნაციონალური ხორო.

და რათა ამისთანა ხოროს დაარსება, წარმატება და აყვავება შესაძლოდ გავხადოთ ახლო მომავალში, ჩვენი მეცენატები მოვალენი არიან ხელი გაუმართონ იმისთანა ყმაწვილებს, როგორიც არის ბ-ნი ფოცხვერაშვილი, დაჯილდოებული ნამდვილი სამუსიკო ნიჭით“ (გოგებაშვილი 1955, 199).

რამდენიმე სიტყვით თავად ფოცხვერაშვილის შესახებ. მაშინდელი სტუდენტი კოტე ფოცხვერაშვილი იყო ქართველი კომპოზიტორი, დირიჟორი, მუსიკათმცოდნე, რომელსაც გოგებაშვილის სიცოცხლეში უსწავლია რა უნივერსიტეტში, პარალელურად თავისუფალ დროს მიჰყოლია მუსიკას. 1901 წელს მან „რუსეთში ჩამოაყალიბა ქართული გუნდი, რომელიც პროპაგანდას უწევდა ქართულ ხალხურ მუსიკას“ (ქსე X 1986: 387). 1921-1935 წლებში იგი ყოფილა საქართველოს სახელმწიფო გუნდის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. ჩამოუყალიბებია მეჩონგურე ქალთა ანსამბლი, ეკუთვნის ოპერები: „მანანა“ და „არმაზი“, სიმფონიური პოემები: „კერპთა დამხობა“, „ამირანი“, საგუნდო სიმღერები: „ძლევის სიმღერა“, „ლაშქრული“, „აჭარული მაყრული“, „ნანინა“. მონაწილეობა მიუღია მ. ბალანჩიშვილის ოპერა „დარეჯან ცხიერის“ ლიბრეტოს შექმნაში” (ქსე X 1986: 387). მოგვიანებით ი. გოგებაშვილი ასახელებს მის ერთმოქმედებიან ოპერას „ბაყბაყ-მღევს“, რომელიც დაუდგამს 1909 წლის 22 იანვარს პეტერბურგში გამართულ ქართულ საღამოზე. დორპატში, 1909 წლის 23 თებერვლის „დროების“ ინფორმაციით, „უმთავრესი ადგილი საღამოზე ეჭირა საკონცერტო განყოფილებას. პირველად ორმა შეერთებულმა ორკესტრმა (ქალების კაპელამ და ვაჟების თეატრის ორკესტრმა) ბ-ნი ფოცხვერაშვილის დირიჟორობით შეასრულა იპოლიტოვ-ივანოვის ქართული მარში, ჰაიდნის მეხუთე სიმფონია, ბეთხოვენის და მოცარტის თათრული მარშები, ბალანჩიშვილის დავლური და ლეკური და იპოლიტოვ-ივანოვის კავკასიური ესკიზები. ამ განყოფილებამ ძლიერ მწყობრად ჩაიარა. ყველა ნომერი ცხარე ტაშის ცემით დააჯილდოვეს. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ბ-ნ კ. ფოცხვერაშვილის ახალმა სიმფონიურმა ესკიზმა: „ღმერთის არმაზის თაყვანისცემა“. ამ უკანასკნელმა ძალიან ასიამოვნა საზოგადოება და ტაშის ცემას ბოლო არა ჰქონდა. ფოიეში ბ-ნ ფოცხვერაშვილს შეეგება რამდენიმე პროფესორი, დიდი მადლობა განუცხადეს და სთხოვეს კვლავ გააგონოს ამგვარი მუსიკა“ (გოგებაშვილი 1955: 271). ყოველივე აქედან გამომდინარე, გოგებაშვილი აფასებს რა ზაქარია ფალიაშვილისა და მისი თაოსნობით შექმნილი ფილარმონიული საზოგადოების ღვაწლს და დამსახურებას, სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ საზოგადოება ვერ ახერხებს დახმარებას ნიჭიერი მამულიშვილებისა, რამდენადაც მაინც ბიუროკრატიას აქვს ადგილი.

აღნიშნულ წერილს, რომელიც დაიბეჭდა 1907 წ. ივრიის №273 ნომერში, მოჰყოლია გაზეთ „ისარში“ გამოქვეყნებული ზ. ფალიაშვილის საკმაოდ გაცხარებული წერილი სტიპენდიების შესახებ (1907 წ. №282-283). მოცემულ წერილში ფალიაშვილი აღნიშნავს, რომ თვითონ პირადად არ იცნობს ფოცხვერაშვილს. „მე პირადად არ ვიცნობ ბ-ნ ფოცხვერაშვილს და არ ვიცი, რა მუსიკალურ ნიჭის პატრონია, ამიტომაც არ შემიძლიან ავი ან კარგი ვთქვა იმაზე“ („ისარი“:1907) სამწუხაროდ, ფალიაშვილი გაუღიზიანებია ფოცხვერაშვილისთვის „კომპოზიტორის ტიტულის“ მინიჭებას იაკობის მიერ და ცდილობს დაიცვას „ჭეშმარიტი“ მუსიკოსის აუცილებელი ატრიბუტები: „მე არ ვიცი, ჩვენი საზოგადოება როგორ უყურებს ამ დიდებულს სახელს „კომპოზიტორისას“, მაგრამ ჩემის და ყველა შეგნებულ მემუსიკოსის აზრით, „კომპოზიტორის“ სახელის მოხვეჭა შეუძლიან მხოლოდ მას, ვისაც ძირიან-ბუდიანად შეუსწავლია სამუსიკო თეორია, თავისუფლად სთხზავს და კიდევ შეუთხზავს სხვა და სხვა ფორმაზედ ხელოვნურად შემუშავებული მუსიკა, და არა იმას, ვისაც ჯერ კიდევ ესაჭიროება თეორიულ სწავლის მიღება კი“ („ისარი“:1907). აქვე მიანიშნებს იგი, რომ ქართველი ფილარმონიული საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა შორის თვით გოგებაშვილიც ყოფილა, მაგრამ, სამწუხაროდ, „უსახსრობის გამო“ არავისთვის მატერიალური დახმარება არ აღმოუჩენია. გარდა ამისა, მისი აზრით, აუცილებელია დასაბუთებული იყოს სტიპენდიის მთხოვნელის ნიჭი, რამდენადაც, ფალიაშვილის აზრით, საზოგადოების წევრები საკმაოდ ნიჭიერი მუსიკოსები არიან, რომ დაადგინონ ეს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზ. ფალიაშვილი მკაცრი მომთხოვნე იყო როგორც საკუთარი თავისადმი, ისე ახალგაზრდა კომპოზიტორებისადმიც, რაზეც ჯერ კიდევ პავლე ხუჭუა შენიშნავდა თავის მონოგრაფიაში: „ჯერჯერობით... არც ამ სტრიქონების დამწერი თქვენი უმორჩილესი მონა, არც სხვა ქართველი მემუსიკენი კომპოზიტორები არ გახლავართ, რადგანაც არც ერთს ჩვენთაგანს ამ ასპარეზზე თავი არაფრით არ გვისახელებია და არა გაგვიკეთებია რა“ (ხუჭუა 1961: 16)

გოგებაშვილის მეორე წერილი „უცნაური გაწიწმამა“ დაიბეჭდა ამავე გაზეთ „ისარში“ 1908 წლის #3. გოგებაშვილი თვლის, რომ მისი წინა წერილი არ იყო რაიმე საკამათოს შემცველი. გოგებაშვილის პოლემიკური ნიჭი აშკარად იკვეთება ამ წერილში, რამდენადაც, თუ, ფალიაშვილის აზრით, მთავარია მუსიკოსის ნიჭი „ბ-ნს ფალიაშვილს ორის წლის წინად ღირსეულად უქეს სამუსიკო ნიჭი; მაგრამ ამან სრულიად არ შეაყენა მისი წინსვლა სპეციალურს საქმეში. რად ჰგონია ბ-ნს ფალიაშვილს, რომ რამაც მას არ აწყინა და კიდევაც არგო, ის საწამლავად მოედება ბ-ნს ფოცხვერაშვილსა?“ (გოგებაშვილი 1955: 231). ამავე დროს, იაკობი ფალიაშვილს შეახსენებს, რომ მას ვერ შეუქმნია ქართული ნაციონალური ხორო: „თუმცა ნიჭი და მომზადება შესწევდა მას, და რომ ვერ შექმნა, ამაში აშკარად დარწმუნდა ქართველი საზოგადოება 27 წასულს ოქტომბერსა, ილიას ხსოვნის საღამოზე, რომელზედაც ეს ხორო გალობდა. მაგრამ ეს დაქვეითება ხოროსი არას გზით არ უნდა მივაწეროთ იმ ქებასა და იმედებსა, რომლითაც საზოგადოება შეხვდა ამ ხოროს დაარსებასა და პირველს მის კონცერტებსა. აქ მთავარი დამნაშავეა

ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობა... ამ გამგეობას რომ პირველს ხანებში მთელი თავისი ძალდონე დაემყარებინა ქართულის ხოროს ორგანიზაციაზე და სახალხო სიმღერების შეკრებაზე, საქმე ჩინებულად გაიჩარხებოდა. ჩვენ ამ ჟამად გვეყოლებოდა ქართული ნაციონალური ხორო, მუდმივი მომღერლებით, და არა შემთხვევითი პირების მონაწილეობით. ეს ხორო გამართავდა კონცერტებს თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში, თავის თავს მომავალში თვითონვე შეინახავდა და ქვეყანასაც გაუწევდა იმ დიდს სამსახურს, რომელსაც უწევდა და უწევს ნაციონალური ხორო პოლონელებს, ჩეხებს და სხვა ჩვენ მდგომარეობაში მყოფს ერებსა. ამ ხოროს შექმნა მჭიდრო კავშირი დაეჭირა ქართულ თეატრთან, ემღერა ანტრაქტებში, ინტერესი ნაციონალურის თეატრისა გაემლიერებინა და საზოგადოებაც მეტი მიეზიდნა წარმოდგენებზე” (გოგებაშვილი 1955: 231-232). აქვე გოგებაშვილი კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას იმ ბიუროკრატიულ სისტემაზე, რომლების მისამართით სტიპენდიის მამდიებელმა სამი არზა უნდა გააკეთოს. ერთი დეპუტატთა საკრებულოს სახელზე, მეორე სარაჯიშვილისა და მესამე ზუბალაშვილების სახელზე, რასაც შედეგი ვერ მოჰყვება ხოლმე: „ერთს დაწესებულებას მეორეს იმედი აქვს სტიპენდიის დანიშვნის შესახებ, მეორეს-მესამესი, და ხშირად მთხოვნელი პირცარიელი რჩება, ამ უკიდურესს უხერხულობას, ვიმეორებ, ბოლო უნდა მოეღოს ერთის სასტიპენდიო კომიტეტის დაარსებით“ (გოგებაშვილი 1955: 232).

საპასუხო წერილში „ისევ საზოგადოება და არა კერძო კომისიები“ (დაიბეჭდა გაზეთ „ისარში“ 1908 წლის №10) ფალიაშვილი საკმაოდ განრისხებულია გოგებაშვილის, როგორც არაპროფესიონალის მსჯელობით, თუმცა იგი განმარტავს, რომ მას არ ქონია მიზნად ვინმეს შეურაცხყოფა და თანაც ბოდიშს უხდის როგორც გოგებაშვილს, ისე ფოცხვერაშვილს. ფალიაშვილი ფიქრობს, რომ მას უნდოდა საზოგადოების ყურადღება დიდი ხანია მიექცია აღნიშნული საკითხისთვის, მაგრამ მას ხელს უშლის საზოგადოების ზოგიერთი წევრის არაპროფესიონალიზმი, ხოლო ფილარმონიული საზოგადოების მიზნები კი უნდა იყოს შემდეგი „რომ საზოგადოებამ ნდომის თვალთ შეჰხედოს იმ სიმპატიურ დაწესებულებას, როგორც არის ფილარმონიული საზოგადოება, რომელსაც უპირველეს საქმედ ისა აქვს დასახული, რომ შეჰკრიბოს და შეისწავლოს ქართული სახალხო სიმღერები და თუ ჯერ-ჯერობით თვითონ ძალა არ შესწევს, ეცდება სხვა და სხვა ტომის მემუსიკეთა დახმარებით მათ ხელოვნურად შემუშავებას. ამ გზით საზოგადოებამ უნდა აღზარდოს ახალგაზრდა ქართველი მემუსიკენი და მათის შემწეობით დაამზადოს ნელ ნელა მასალა, შეჰქმნას ქართულ მუსიკის ლიტერატურა რომანსებიდან, დუეტებიდან, ხოროებიდან და ანსამბლებიდან (ოპერების წერაზე კი საკითხი შემდეგისთვის გადავსდეთ“ („ისარი“: 1908).

„უკანასკნელ მხილებაში“ (1908 წლის №15 „ისარი“) გოგებაშვილი ცდილობს უსაფუძვლოდ ჩათვალოს ფალიაშვილის მიერ გაცემული პასუხი და აღნიშნავს, რომ ილიას სადამოზე გამოსულმა ხორომ, რომელიც პირადად ფალიაშვილმა დააარსა, ვერ გაამართლა. ამით ხსნის გოგებაშვილი თავის კეთილგანწყობას ფოცხვერაშვილის მიმართ: „ამასთან ერთად დავრწმუნდი, რომ ამ გზით და ამ სახით ნაციონალური ხოროს შექმნა, გაწყობა და წარმატება შეუძლებელია, და, რადგანაც ამ გვარს ხოროს უდიდეს მნიშვნელობას ვაწერდი და ვაწერ, ამის გამო დიდი თანაგრძნობით მივეგებე ბ-ნ ფოცხვერაშვილის მოვლენას სამუსიკო ასპარეზზე. და რომ ეს მიგებება საფუძვლიანი იყო, ამას ცხადად ამტკიცებენ, ვიმეორებ, კორესპონდენციები მოსკოვიდან და ოდესიდან, სადაც ქართულის სადამოზე ფოცხვერაშვილის ხოროს აღტაცებაში მოუყვანია განათლებული საზოგადოება, რომელსაც არა ჩვეულებრივი მხურვალე გრძნობა უჩვენებია და საჩუქრად ალბომიც მიუერთმევია“ (გოგებაშვილი 1955: 234).

ამით არ დამთავრებულა გოგებაშვილის ზრუნვა ნიჭიერი სტუდენტებისათვის დახმარების გაწევის საქმეში. აშკარაა, მისმა წერილებმა ერთგვარად გამოიწვია როგორც ფოცხვერაშვილის გააქტიურება თავისი მუსიკალური სადამოზებით, ისე ქართველი სტუდენტური ორგანიზაციებისა, რომელთაც სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან (პეტერბურგი, ოდესა) მიმართეს თავადაზნაურთა წინამძღოლს. პეტერბურგის უნივერსიტეტების სტუდენტთა ორგანიზაციების თხოვნის დეკემას ხელს აწერდა პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი და, როდესაც გოგებაშვილი თავად მივიდა დეპუტატთა საკრებულოში, თავად პავლე იოსების ძე თუმანიშვილს აღუთქვია პირველი იანვრიდან ფოცხვერაშვილის დასახმარებლად ხუთი თუმნით შეწევნა, მაგრამ გოგებაშვილმა მოგვიანებით მიიღო ცნობა, რომ საკრებულომ მოითხოვა ახალი ცნობები ფოცხვერაშვილის შესახებ. აღნიშნული წერილით (რომელსაც ერქვა „ბიუროკრატიული თრევა საკითხისა“) გოგებაშვილი ცდილობს კიდევ ერთხელ დაასაბუთოს კ. ფოცხვერაშვილის აქტიური მუსიკალური საქმიანობა და ნიჭი და წერილის ბოლოს ასეთ დასკვნას აკეთებს: „და ნუ თუ ამისთანა ნიჭიერს და მომავლიანს შვილს საქართველოსას ქართველი საქველმოქმედო საზოგადოებანი არ მისცემენ შეძლებას დაამთავროს უმაღლესი მუსიკალური განათლება და შეიქმნას მნათობად ნაციონალურის მუსიკისა“ (გოგებაშვილი 1955: 272). აღსანიშნავია, რომ გარდა იაკობ გოგებაშვილისა კოტე ფოცხვერაშვილს დადებით შეფასებას აძლევდა მისი თანამედროვე მწერალი

გრიგოლ რობაქიძეც წერილში „ფოცხვერაშვილის კონცერტზე“ (იხ. გრ. რობაქიძე, ომი და კულტურა, თბ., 2014).

ამდენად, სტატიაში განხილულმა პოლემიკამ ცხადყო გოგებაშვილის კიდევ ერთი მხარე - საოცრად მზრუნველი მამულიშვილისა ნიჭიერი ქართველის მიმართ, რასაც მოჰყვა კიდევ შემდგომ ის ფაქტიც, რომ კოტე ფოცხვერაშვილის მიერ შექმნილი მუსიკა იქცა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ჰიმნად.

ლიტერატურა:

ბარბაქაძე 2014: ბარბაქაძე ქ., გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 14 ივნისი, 2013, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2014;

გოგებაშვილი 1955: გოგებაშვილი ი., თბულებანი, ტ. 4, თბ., 1955;

„ისარი“ 1907: „ისარი“, 1907, №282;

„ისარი“ 1907: „ისარი“, 1908, №10.

მგალობლიშვილი 1938: მგალობლიშვილი ს., „მოგონებანი“, თბ., 1938;

სახოკია 1984: სახოკია თ., „ჩემი საუკუნის ადამიანები“, თბ., 1984;

ქსე 1986: ქსე, X ტ., თბ., 1986.

ხუჭუა 1961: ხუჭუა პ., ზაქარია ფალიაშვილი, თბ., 1961.

Ketevan Barbakadze

Gori State Teaching University

FROM THE HISTORY OF ONE DISPUTE IN THE PUBLICISTIC WORK OF IAKOB GOGEBASHVILI RESUME

Several controversial letters of Iakob Gogebashvili, the great Georgian educator and public figure, and Zakaria Paliashvili, the famous composer, are discussed in the paper. The letters touch upon the question of financing the talented young man, Kote Potkhverashvili. The dispute between Z. Paliashvili and I. Gogebashvili was caused by the letter “About the Georgian song “Khoros”, published in the newspaper “Iveria”. The letter was followed by the response and dispute of Zakaria Paliashvili “About Scholarships”.

The discussed dispute in the article once again points to the active participation of Iakob Gogebashvili in the public sphere.

თამარ გოგოლაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილი და „მთავარი ქართველი მგოსნები ახალი დროისა“

იაკობ გოგებაშვილი (1840-1912) არა მარტო ქართული პედაგოგიური აზროვნების მამამთავარია, არამედ მხატვრული ნიჭით დაჯილდოებული მწერალი და ლიტერატურის კრიტიკოსიც. აღნიშნული საკითხი არაერთგზის შესწავლილა პედაგოგიკის ისტორიასა თუ ლიტერატურათმცოდნეობაში. ჩვენი სტატია მიზნად ისახავს მხოლოდ მისეული შეფასებისა და მხატვრული ოსტატობის გამოკვეთას „ბუნების კარის“ მესამე გამოცემის (1876 წ.) პირველი ნაწილის ბოლოს, 254-ე გვერდზე, სათაურის, „მთავარი ქართველი მგოსნები ახალი დროისა“, ქვეშ განთავსებულ 4 მწერალზე: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, ვაჟა-ფშაველა.

თავად ი. გოგებაშვილი III გამოცემის წინასიტყვაობაში აღნიშნავდა: „წიგნის მესამე განყოფილებას ჩვენ ვაძლევთ დიდ მნიშვნელობას“. მრავალი და საუკეთესო ლექსები ჩვენი პოეტებისა და მშვენიერი

პროზის ნაწევრები როგორც შინაარსით, ისე ენით აძლევენ მასწავლებელს ხელში მძლავრ ღონიმიებას, რომ მან, ერთი მხრით, ყმაწვილების გონებაში დანერგოს სამოქალაქო გახსნის თესლი, შეიტანოს მათ აღზრდაში ესთეტიკური და ზნეობრივი ელემენტი, შეიყვანოს მათი გონება მაღალი ჰაზრების სფეროში და მათ გულს გააცნოს ღრმა კაცური გრძნობები და კეთილშობილი ლტოლვილებანი, - მეორე მხრით, გადასცეს მათ ცოცხალი ცოდნა ქართული ენის ხასიათისა, თვისებისა, მისი სულისა, სიმდიდრისა. საუკეთესო ლექსები, რომელთა შორის ყველა ლექსი თ. გ. ორბელიანისა, ზეპირად უნდა ისწავლებოდნენ. ლოგიკური გარჩევისათვის მასწავლებელმა უნდა აირჩიოს პროზაული ნაწევრები თ. ი. ჭავჭავაძის თხზულებათაგან, რომლებიც არიან დაწერილი ნამდვილი და სრულიად უნაკლო ქართული ენით“ (გოგებაშვილი IV 1990:118). ეს წინასიტყვაობა შეცვლილია „ბუნების კარის“ 21-ე გამოცემაში (1912 წ.). აქ ამოღებულია მწერალთა გვარები და ზოგადად აღნიშნულია, რომ „...მეორე, სალიტერატურო განყოფილება, რომელშიაც მოთავსებულია საუკეთესო საყმაწვილო ლექსები, საუკეთესო ადგილები საყმაწვილო მოთხრობებისა და მთელი მოთხრობებიც უკლებლივ. ეს ლექსები და მოთხრობანი თითქმის ყველანი ეკუთვნიან სახელოვანს ქართველს მწერლებსა, დაწერილი არიან ნამდვილი და წმინდა ქართული ენით, სავსენი არიან მაღალი მისწრაფებით, მხატვრული სურათებით და მოზარდს თაობაში უნდა აღზარდონ, ენის ცოდნის გარდა, ღირსეულის ადამიანის და მხურვალე მამულიშვილის თვისებანი“ (გოგებაშვილი, 1912:II). აშკარაა, ავტორმა უფრო დახვეწა წინასიტყვაობა, მაგრამ მისი თანამედროვე ქართველი მწერლების ჩამონათვალი სურათებით წარმოდგარა მეორე ნაწილს, რომელსაც „ქრესტომათია“ აქვს ქვესათაურად და მასში შესულია სწორედ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავისა და ვაჟა-ფშაველას ფოტოები. ბუნებრივია, ი. გოგებაშვილის სურვილი სწორედ იდეური, ენობრივი თვალსაზრისით მოწინავე გუნდის წარმომადგენელთა, - ილიასა და აკაკის წარმოჩენა და სამაგალითოდ ჩვენება უნდოდა ფოტოებით. ი. გოგებაშვილი სამოციანელი იყო და ეს მისი სულისკვეთებაც ამ ახალი დროის წარჩინებულ მწერლებთან იყო დაკავშირებული. „ეკონომიური, პოლიტიკური და ეროვნული უფლებების მოპოვებისათვის საერთოდ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მშრომელების ბრძოლისადმი ასეთმა ღრმა თანაგრძნობამ სამოციანელების ინტერესთა ასე გააფართოვა და საქართველოს მომავალი საერთაშორისო რიგის პრობლემად აქცია. ჩვენთვის აქ საინტერესო ის არის, რომ ამ საქმიანობაში მთელი არსებით ჩაება ი. გოგებაშვილი, კაცი, რომელიც „სამოციანელობას დაუკავშირდა, როგორც „ბუნების კარის“ ავტორი“ (ობოლაძე 1977:25). იაკობი ბრმად არ ენდობა სამოციანელებს, მას გასიგრძეგანებული აქვს მათი პროგრამაც და საკუთარი მიზნებიც. როგორც უშანგი ობოლაძე შენიშნავს თავის წიგნში „იაკობ გოგებაშვილი ქართული სახალხო სკოლის ფუძემდებელი“, იგი „ილია ჭავჭავაძეს თვლიდა ჩვენი ახალი მწერლობის დედაბოძად“, „აკაკის შემოქმედებისადმი მიძღვნილ წერილში „იალბუზი ქართული პოეზიისა“ იაკობი აკაკის პოეზიას ადარებდა მაღალი მთის წიაღიდან მომდინარე ნაკადულებით ნასაზრდოებ ბროლისფერ მორევს, რომელშიც „კამკამებს ცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მასვე თავის სარკედ ხმარობენ ღრუბელნი ცისანი... აკაკიმ შექმნა თავისი საოცარი გავლენით მთელი სკოლა პოეტებისა“ (ობოლაძე 1977:12).

ჩვენი ყურადღებაც ჩერდება იაკობის მიერ ილიასა და აკაკის ღვაწლის შეფასებისადმი მიძღვნილ რამდენიმე პუბლიცისტურ წერილზე: „ილიას ფონდის შესახებ“ (გამოქვეყნდა ჟურნალ „ნიშადურში“ 1908 წლის №20-ში) „იალბუზი ქართული პოეზიისა“ (საიუბილეო დახასიათება) (დაიბეჭდა ჟურნალ „საქართველოში“ -1908 წლის №10-ში სათაურით „აკაკი“) და წერილი „საარაკო სინამდვილე და საიუბილეო ოცნება“ (რომელიც დაიბეჭდა სალიტერატურო, მხატვრულ აღმანახში „აკაკის დღენი საქართველოში“ - 1908 წ. №2).

იაკობ გოგებაშვილს არაერთ პუბლიცისტურ წერილში უმსჯელია ილია ჭავჭავაძის ღვაწლზე ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში. მაგრამ მისი გარდაცვალებიდან ოთხი თვის შემდეგ გამოქვეყნებულ პატარა წერილს „ილიას ფონდის შესახებ“, ჩვენი აზრით, იმ ღრმა გულისტკივილთან ერთად, რომელიც ჟონავს თითოეული აზრაციდან, ის საყურადღებოა გენიოსი შემოქმედის პიროვნების შეფასების თვალსაზრისითაც. იაკობ გოგებაშვილის მსჯელობა სწორედ ქვეყნის, ერის ინტერესების დაცვისაკენაა მიმართული, რაც თვით ილიას ღვაწლიდან მომდინარეობს, და რასაც გოგებაშვილი თვითონ განმარტავს: „ილიას ფონდი ნაციონალურია, რამდენადაც „სახალხო სკოლები და სამკითხველოები, გახსნილი ილიას ფონდით დიდ სიკეთეს შესძღვნიან მთელს ჩვენს ერს, ნაციას, უმთავრესად კი გლეხებსა და მუშებსა. მისი სახელით დაარსებული სტიპენდიები მაღალს განათლებას აღიარებენ არაერთს შვილს ხალხისას. ამ ფონდით ღირსეულად გამომცემელნი ილიას, აკაკის და ვაჟა-ფშაველას უკვდავნი ქმნილებანი ნათელს მოჰვენენ მთელს ქართველობასა და სხვანი“ (გოგებაშვილი III, 1990:145). და ეს რატომ? „გულიერმა ილიამ თვითონვე აუგო თავის სახელს უკვდავი და დიდებული ძეგლი ყოველ შეგნებული ქართველის სულსა და გულში თავისი მაღალნიჭიერი ქმნილებებით... იგი იყო შეურყეველი ბურჯი ამ ბანკისა, მისი დაარსებიდან უკანასკნელ წლებამდინ, როდესაც მან ეს ბანკი დასტოვა სიბერის გამო... ილიას მოპოვებული ჰქონდა უსაზღვრო ნდობა არამარტო ქართველებში, არამედ რუსებშიც, თათრებშიც,

სომხებშიც. ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ მის მაღალ ჭკუაში, მის სიფრთხილეში, მის მოუსყიდველობაში“ (გოგებაშვილი III 1990:145-146). სწორედ ამის საფუძველზე ითხოვს იაკობ გოგებაშვილი მოწინავე საზოგადოებისაგან ილიას გუნდისათვის შეწირულებათა გაღებას, რადგან მტკიცედ სჯერა, რომ „ამ ფონდის შექმნაში უნდა მხურვალე მონაწილეობა მიიღოს დიდმაც და პატარამაც, ქალმაც და კაცმაც, მდიდარმაც და ღარიბმაც. მაშინ ყველა დარწმუნდება, რომ ქართველობა ცოცხალი ერია და ძლიერი, სასიქადულო მოძრაობის უნარი ახლაც შერჩენილი აქვს, წინააღმდეგ ჯოჯოხეთური პირობებისა“. (გოგებაშვილი III 1990:148).

გოგებაშვილის მინიშნებით ის ადამიანები, რომლებიც განგებ აჭიანურებენ ილიას ფონდის დაფინანსებას, მოგვაგონებენ ლილიპუტებს მაღალი ღირსებებით შემკული გულივერის ილიას ხსოვნის უკვდავყოფისათვის.

გოგებაშვილის პუბლიცისტური ტონი აქაც ჭეშმარიტად მამულიშვილური გრძნობით არის ნაკარნახევი. ასევეა აკაკის იუბილისადმი მიძღვნილ წერილში. „საარაკო სინამდვილე და საიუბილეო ოცნება“, რომელშიც აკაკი წერეთლის, როგორც შემოქმედის, დახასიათებისას ჩაურთავს ერთგვარ ლირიკულ გადახვევას, სიზმრად ხილული ამბის მსგავსად, თითქოს იუბილეზე აკაკიმ მწარედ ჩაილაპარაკა, რომ ვიღაც დიდებულმა მგოსანმა, რომელიც იყო „დიდი პოეტიც, დიდი მამულიშვილიც და დიდი ადამიანიც და რომელსაც „უსაზღვროდ უყვარდა თავისი დაჩაგრული სამშობლო“, ისე დაასრულა სიცოცხლე, ვერ მოესწრო საკუთარ იუბილეს. გოგებაშვილის წარმოსახვით აკაკის მიერ იუბილეზე დანთებული კელაპტარი გაუძღვა დამსწრეთა გუნდს, რათა ილიასთან მაღლა წაეღო „მთელის ქართველის ერის უმხურვალესი საუკუნო თაყვანისცემა“.

საიუბილეო დახასიათებაში კი, რომელიც ცნობილია სათაურით „იალბუზი ქართული პოეზიისა“, გოგებაშვილი მიმართავს თავის მწერლურ ოსტატობას, საოცარი ხერხებით ცდილობს დახატოს აკაკი წერეთლის, გენიოსი პოეტის, პორტრეტიც. აქ გოგებაშვილი წარმოგვიდგება როგორც საზოგადო მოღვაწე, სამოციანელი, გულმხურვალე მამულიშვილი, შემფასებელი აკაკი წერეთლის ღვაწლისა ერის წინაშე.

მოჰყავს რა დავით ერისთავის მიერ აკაკის თხზულებათა რუსული თარგმანების (დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზში“ „გვირგვინი დავით მეფისა“) წაკითხვისას რუსული ინტელიგენციის შეფასებაც „რა იშვიათი კაზმულობაა, რა მაღალი აზრებია, რა ღრმა და ნაზი გრძნობაა“, ასკვნის, რომ „ამ სამი იშვიათის ღირსების ბეჭედი აზის კაკის ყველა ქმნილებასა, ხოლო ამ სამს ღირსებას, ერთად შეზავებულს და ერთ დონეზე დაყენებულს, ვპოვებთ მარტო დიდ ტალანტებში, მსოფლიო გენიოსებში“. (გოგებაშვილი III 1990:149).

გოგებაშვილი გამოყოფს იმ ფაქტსაც, რომ აკაკის მაღალ ბუნებაში მთელი საქართველოა. და რომ აკაკი შექმნა მთელი სკოლა პოეტებისა, თუმცა იქვე მიაწიშნებს, მისი სკოლის პატარა აკაკებს არ მიეკუთვნება ისეთი შემოქმედი „რომელსაც არ ემორჩილებიან მხოლოდ იმისთანა უთავისებურესი მგოსნები, როგორიც არის ვაჟა-ფშაველა“ (გოგებაშვილი III 1990:150).

აკაკის სიყვარული სამშობლოსადმი „განხორციელებული მამულიშვილობად“ შეიძლება ჩაითვალოს. მის იდეალს ასე ახასიათებს გოგებაშვილი: „აკაკის იდეალია: აღორძინება მთელი ჩვენი ხალხისა მისი ქართველური თავისებურებითა“, ხოლო თავისი ნაკლით იგი მსოფლიო გენიოსებს მიაგავს. საბოლოოდ დასკვნის სახით აცხადებს გოგებაშვილი, რომ აკაკი მსოფლიო გენიოსიც შეიძლება გამხდარიყო, მაგრამ XVIII საუკუნის დასასრულს ნავსაყუდელად მიჩნეულია გარემომ, დახავსებული ჭაობის ატმოსფერომ შეუშალა მას ხელი. აქ ავტორი უეჭველია, გულისხმობს საქართველოს ანექსიას რუსეთის იმპერიის მიერ.

„რაც შეეხება აკაკის იუბილეს, ამ დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ არა მარტო დიდნი, არამედ ნორჩი ქართველებიც, რომელთათვის სასიქადულო იუბილარმა შექმნა ბევრად მეტი საუცხოო ლექსები და მოთხრობები, ვიდრე სხვა ჩვენებურმა მგოსნებმა (გოგებაშვილი III 1990:153).

ილიასა და აკაკის არაერთი ნიმუშია შეტანილი ი. გოგებაშვილის „ბუნების კარში“, როგორიცაა მაგალითად: ი. ჭავჭავაძის „ჩიტი“, „გუთნისდედა“, „მუშა“, „ქართვლის დედას“, „მესმის, მესმის“ და სხვ. აკაკი წერეთლის „გლეხის გოდება“, „დის სიმღერა“, „გაზაფხული“, „ხატის წინ“ და სხვ. შერჩევა სახელმძღვანელოსთვის წარმოება თემატურად, ზოგი ლექსი „ბუნების კარის“ I ნაწილში შევიდა, ზოგი II ნაწილში სათაურით „ქრესტმატია“ – (პოეზია, პროზა).

ი. გოგებაშვილი განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა ამ შერჩევას, ზოგჯერ კი, თუ ვინმე გამოედავებოდა დასაბუთებულად წარმოადგენდა პასუხს კიდეც თავის ფელეტონებში. ასეთია „ერთი პრეტენზიის გამო“, რომელიც წარმოადგენს „მესხი ვ. გვარამიძის“. „კვალში დაბეჭდილი „მცირე შენიშვნის“ პასუხს (დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1897 წლის №919) სადაც ი. გოგებაშვილი აღწერს „დედა ენისათვის“ საკითხავი ტექსტების შერჩევისა და შედგენის ფაქტობრივ მდგომარეობას, აღნიშნავს იმასაც, რა წყაროებიდან იღებდა საჭირო მასალას და ვინ ეხმარებოდა ამ ეროვნულ საქმეში“ (გოგებაშვილი IV 1990:690). ი. გოგებაშვილს ახალციხიდან მიუღია მოზრდილი რვეული, რომლის ნაწილიც უნდა ეთარგმნა მამია გურიელს, მაგრამ მისი უარის გამო მიუმართავს აკაკისათვის, რომელმაც

„სწორედ იმ დროს შექმნა რამდენიმე ჩინებული საბავშვო ლექსი, და, მათ შორის, „ყმაწვილი და პეპელა“, გამოვართვი აკაკის რვეულები და ახლა მივმართე სხვა პოეტს – თავად რაფიელ ერისთავს. მივუტანო არა მარტო რვეულები, არამედ ყველა ის რუსული წიგნიც, რომელნიც გამოვიდნენ ექვსი წლის განმავლობაში და სადაც მოიპოვებოდა გამოსადეგი ლექსები. თარგმნით ამანაც მაგდენი არაფერი თარგმნა, სულ სამი-ოთხი ლექსი გადმოიღო რუსულიდან; მაგრამ სწორედ ამ დროიდან (სავარაუდო 1895 წლიდან) იწყო წერა და ბეჭდვა თავისებური ლექსებისა სახალხო და საბავშვო თემებზედ, როგორც მაგალითად: თინას მამითადი, სამშობლო ხევსურისა, გაზაფხული, ზამთარი, ბზობა, აღდგომა, ზაფხული, სათიბი, რვეული, სურათი ხალხის ცხოვრებიდან და სხვანი, რომელნიც ჩვენს პოეზიაში მარგალიტებივით ბრწყინავენ და რომელთაც დაჩრდილეს ყველა წინედ დაწერილი ლექსები იმავე ავტორის მიერ“ (გოგებაშვილი IV 1990:496).

ასე შევიდა ი. გოგებაშვილის „ბუნების კარში“ რაფიელ ერისთავის თარგმნილი, გადმოკეთებული თუ ორიგინალური ლექსები და თვით ფოტოც, სათაურის „მთავარი ქართველი მგოსნები ახალის დროისა“ ქვეშ.

მიუხედავად იმისა, რომ ი. გოგებაშვილი არ იცავს ამ ფოტოებში თანამიმდევრობას, რაფიელ ერისთავის პორტრეტის მოთავსება ცხადყოფს მის მიზანსწრაფვას, ავტორიტეტული, კარგად მოქართულე, მაღალმხატვრული ლექსების ავტორთა ნაწარმოებები მოათავსოს თავის სახელმძღვანელოებში.

ვაჟა-ფშაველას შესანიშნავი საბავშვო ნაწარმოებებიც სწორედ ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებით გახდა ცნობილი, მისაღები ფართო საზოგადოებისა და უმეტესწილად მოზარდი თაობისათვის.

სწორედ ამაშია ი. გოგებაშვილის, როგორც პედაგოგიური, ისე მხატვრული თვალსაზრისით, ზუსტი დახასიათება თავისი თანამედროვე ქართული მწერლობისა. როგორც თვითონ აღნიშნავს, მას მიზნად ჰქონდა დასახული ახალი თაობის აღზრდა როგორც ძველი, ისე ახალი ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებზე, თემატურად წარმოდგინა ენობრივად გამართული ნაწარმოებებით ისეთი მასალა მისი თანამედროვე ავტორებისა, როგორებიც იყვნენ ილია, აკაკი, რაფიელ ერისთავი და ვაჟა-ფშაველა.

ლიტერატურა:

- ი. გოგებაშვილი, „რჩეული თხზულებანი“, ტ. III „განათლება“, თბილისი, 1990;
- ი. გოგებაშვილი, „რჩეული თხზულებანი“, ტ. IV, „განათლება“, თბილისი, 1990;
- ი. გოგებაშვილი, „ბუნების კარი“, თბილისი, 1912;
- უ. ობოლაძე, „იაკობ გოგებაშვილი ქართული სახალხო სკოლის ფუძემდებელი“, „განათლება“, თბილისი, 1977.

Tamar Gogoladze

Gori State Teaching University

IAKOB GOGEBASHVILI AND “MAIN TROUBADOURS OF A NEW EPOCH” RESUME

The article aims to underline the place and role of a great teacher and writer and public figure I. Gogebashvili (1840-1912) and his contemporary Georgian writers (I. Chavchavadze, R. Eristavi, Vazha-Pshavela). The article also deals with the evaluation of his publicist articles and the book “Bunebis Kari” (“The Door of Nature”).

It becomes clear that I. Gogebashvili realized the importance of the creative works of the above mentioned writers for the wide society and for the future generation as well from the point of view of ideology of their artistry and refined writing language.

გალაკტიონ ტაბიძის ერთი ამოუცნობი ლექსემა

გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „აივანზე“, რომელიც ტერცინას ფორმითაა დაწერილი, ასეთი სამტაპედით ბოლოვდება:

მანსარდაზე დგას შენი მხატავი

პოეტი, სული ირმიგალისა:

აი, რა არის თავი და თავი!

(ტაბიძე 1966: 105)

ლექსი შექმნილია 1922 წელს, ხელოვნების სასახლეში, სადაც უბინაო გალაკტიონი იმ ხანებში თავს აფარებდა. მანსარდის სიმაღლიდან გადაშლილი ხედის დეტალებს აქ თბილისური ცხოვრების ტკბილ-მწარე, ხანაც პოეტური ექსტაზებით გასხივოსნებული „დაუვიწყართა დღეთა თილისმა“ ახლავს: „ამ სასახლიდან მიტარებია/ ფეერიული მერნის სადავე“...

ლექსის ფინალში გალაკტიონი მოგონებიდან აწმყოში ინაცვლებს და წარმოგვიდგება, როგორც თბილისის „მხატავი პოეტი - სული ირმიგალისა“.

რას ნიშნავს „სული ირმიგალისა“, უფრო ზუსტად, „ირმიგალი“?

გ. ტაბიძის აკადემიური გამოცემის მეორე ტომში, ლექსის კომენტარებში განმარტებულია „ფანტაზმი“ და „მანსარდა“, ხოლო „ირმიგალი“ ახსნილი არაა (ტაბიძე 1966: 357).

„ირმიგალი“ საკუთარ სახელებს შორისაა შეტანილი „გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონში“, თუმცა მობოდიშებით აღნიშნულია, რომ ეს „გაუგებარი სიტყვა“, შესაძლოა, საკუთარი სახელი არც იყოს (სანიკიძე 1996: 535).

აქვე ვიტყვი, რომ „ირმიგალის“ მივხედოთ სხვადასხვა ენციკლოპედიებსა და სპეციალურ ლექსიკონებში შედეგი ვერ მოიძიება. უნაყოფო აღმოჩნდა ინტერნეტსივრცეში ძებნაც.

„ირმიგალის“ შესახებ ახალი მასალა შეგვძინა გ. ტაბიძის საარქივო გამოცემამ, სადაც პირველად დაიბეჭდა უსათაურო ლექსი „მებრძოლს მიტაცებს ზღვა უდაბური“:

მებრძოლს მიტაცებს ზღვა უდაბური,

თვითონ მის ფრთებში არის გრიგალი,

თავით გაკვეთა ღრუბლისაბური

აეროს რიგი და ირმიგალი.

(ტაბიძე 2005: 316)

ზღვის სივრცეებსა და გრიგალზე შეყვარებული პოეტი-მეზღაურის თემას გალაკტიონი ხშირად მიმართავდა. ამ ლექსში ზღვის ფრთებს შეფარებული გრიგალი ღრუბლებამდე, ცამდე აღწევს - იქ, სადაც აეროების (თვითმფრინავების) რიგია და ირმიგალი. პოეტური კონტექსტის მიხედვით, „ირმიგალის“ ადგილსამყოფელი ცაა, რაც ბადებს ვარაუდს, რომ ამოსაცნობი ლექსემა პლანეტას აღნიშნავს, ოღონდ უცხო, დღემდე უცნობ პლანეტას.

გალაკტიონის ხელნაწერებზე მუშაობისას „ირმიგალის“ გამოყენების ერთი შემთხვევაა ვნახეთ, რაც აკადემიურ თორმეტტომეულში ასახული არაა. მხედველობაში მაქვს ლექსი „იქ პოეზიის ფრიალებს დროშა“ (1921), რომელიც კვლავაც პოეტისა და ზღვის თემას ეძღვნება და ძირითად ტექსტში ასე მთავრდება:

მიცურავს გემი, ტრიალებს ზვირთი,

ჩვენ გაგაყოლეთ ხომალდებს კვალი,

იქ პოეზიის ფრიალებს დროშა

და დროშებს შურით გასცქერის თვალი.

(ტაბიძე 1966: 34)

ეს ლექსი, ჩემი დაკვირვებით, დავალებულია ჟოზე მარია დე ჰერედიას სონეტით „Plus ultra“ (ლათ. უფრო მიღმა), რომლის თარგმნა გალაკტიონს 20-იანი წლების დასაწყისში უცდია (ტაბიძე 1972: 200). როგორც სონეტში, ისე ლექსში გამოხატულია სურვილი დარკინული ზღუდის იქით, უკვე აღმოჩენილის „უფრო მიღმა“ გასვლისა, სადაც უკანასკნელი საზღვარია - უცხო მიწა და ნაპირი. თუ ჰერედიათვის

ორიენტირი შპიცბერგენი და ჩრდილო პოლუსია, გალაკტიონს მზით გაჟღენთილი „სხვა მხარე“ ზიბლავს, სადაც პოეზიის დროშა ფრიალებს.

გალაკტიონის ამ ლექსს ერთადერთი ავტოგრაფი (№4316) აქვს, სადაც ბოლო სტროფის ამგვარი ვარიანტული წაკითხვაა:

**დამშვიდდი, გულო, გრიგალი ჩადგა,
ჩვენ გაგაყოლეთ გრიგალებს გული,
აღმოვაჩინოთ სადმე კამჩატკა,
რუკაზე არსად არ აღნიშნული.**

ავტოგრაფში უფრო ღიად ჩანს უცნობი მატერიკის ძიებისა თუ აღმოჩენის მოტივი. „სადმე“, გაურკვეველ შორეთში არსებული „კამჩატკა“ გალაკტიონის პოეტურ წარმოსახვაში რეალურ კონტურებს კარგავს და იმ „სხვა მხარის“ სიმბოლოდ გარდაიქმნება, რომელიც პოეტურ სიახლეთა სივრცეს გულისხმობს.

ამავე ავტოგრაფში ბოლო სტროფის სხვა ვარიანტიცაა, რომელიც ასახული არაა აკადემიურ თორმეტტომეულში: ნაცვლად სტრიქონისა „აღმოვაჩინოთ სადმე კამჩატკა“, აქ იკითხება - „აღმოვაჩინოთ ის ირმიგალი“. სიტყვათა ჩანაცვლება აშკარად სინონიმის დონეზე ხდება, ამიტომ ლოგიკური ჩანს ვარაუდი, რომ „ირმიგალიც“, „კამჩატკას“ ანალოგიით, სიმბოლოა იმ „სხვა მხარისა“, რომლის აღმოჩენა მამიებელი პოეტის მიზანია. „ირმიგალი“ უცხო, გამოგონილი პლანეტა თუ მატერიკია, რომელიც აღნიშნული არ არის არც გეოგრაფიულ და არც ასტრონომიულ რუკებზე.

უნდა ითქვას, რომ ავტოგრაფში ამოკითხული სტროფი „კამჩატკას“ შესახებ უარყოფილ ვარიანტად არ დარჩა. გალაკტიონმა იგი მცირე ცვლილებით იმავე ხანებში დაწერილი სხვა ლექსის („ავდრები“) ძირითად ტექსტში შეიტანა და ამით „კამჩატკას“, როგორც სიმბოლოს, ლეგიტიმური არსებობა მიანიჭა:

**ოჰ, როდის ვიტყვი: გრიგალი ჩადგა!
იქნება დაცხრეს მშფოთვარე გული...
იქნებ გამოჩნდეს სადმე კამჩატკა,
რუკაზე არსად არ აღნიშნული.**

(ტაბიძე 1966: 86)

„ირმიგალისგან“ განსხვავებით, მისი სინონიმური დუბლეტი „კამჩატკა“ რამდენჯერმე ნახსენები გალაკტიონის 1921-1923 წლების პროზაულ ჩანაწერებში, რაც საშუალებას გვაძლევს, ზოგი რამ კიდევ გავიგოთ მასზე და, მამასადამე, „ირმიგალზეც“.

ერთაზნაობიან რუსულ ციტატაში, რომელიც გალაკტიონს 1921 წელს ამოუწერია, ბოლო წინადადება ასე იკითხება: „Нужно уметь открывать Камчатку, еще не обозначенную на карте“ - „უნდა შეგეძლოს კამჩატკას აღმოჩენა, რომელიც რუკაზე ჯერ კიდევ აღნიშნული არ არის“ (ტაბიძე 2006: 81). ციტატის წარმომავლობა დაუდგენელია, ის კი ცხადია, რომ პოეტს ფრაზა პირდაპირ უთარგმნია რუსულიდან და ლექსის სტრიქონებად უქცევია. თუ აზნაობის მთლიან კონტექსტსაც გავითვალისწინებთ, „კამჩატკა“ აქ ადამიანის იდუმალებით მოცულ სულიერ სამყაროში შედგენას უკავშირდება.

1921 წლის კიდევ ერთ ჩანაწერში, სადაც შექმნილი ლიტერატურული სიტუაციაა დახასიათებული, ვკითხულობთ:

„უმრავლესობას სწყურია გამბედავი მეთაური: მთელი ეს ხალხი ამაყი და შეგუებული ხალხია. ფსიხოლოგიურად ეს გასაგებია. საჭიროა სხვა, რუკაზე არსად არ აღნიშნული პოლიუსის, რომელიმე კამჩატკის გამოჩენა“ (ტაბიძე 2006: 64).

ამ მცირე ფრაგმენტში ახალი ლიტერატურული რეალობისა და საკუთარი როლის გალაკტიონისეული ხედვაა: მას ლიდერის პოზიციის დაკავება სურს, საამისოდ კი საჭიროდ თვლის წინ - „უფრო მიღმა“ გაჭრას, სადაც „რომელიმე კამჩატკა“ ანუ პოეზიის აუთვისებელი ტერიტორიაა.

ამ თემაზე უფრო გახსნილად, ნაცნობი მეტაფორისტიკის მოშველიებით არის საუბარი სხვა ჩანაწერშიც:

„ჩვენ, საქართველოს თანამედროვე პოეტებმა, გავიარეთ ნაწილი ჩვენი გზისა და პირისპირ ვდგევართ სრულიად ახალი გამოცანების წინაშე. რა შორსა ვართ იმ ნაპირისაგან, სადაც პირველად ავედით გემის ბაქანზე, ჩვენ ეხლა შეიძლება შუაგულ ოკეანეში ვართ, მაგრამ შეიძლება ახლოა ნაპირი სრულიად უცნობი ქვეყნისა“ (ტაბიძე 2008b: 168).

მსჯელობას, რომელსაც გასდევს ოკეანის, გემის, უცნობი ნაპირის მეტაფორები, მოსდევს ჩვენთვის ცნობილი სალექსო სტრიქონები კამჩატკაზე.

განხილული მასალის საფუძველზე, ვფიქრობ, დაუეჭვებლად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ „კამჩატკა“ და მისი სინონიმური „ირმიგალი“ გალაკტიონთან პოეზიის მიუკვლეველი მატერიკის (ან პლანეტის) აღმნიშვნელი სიმბოლოებია.

მიების გზაზე გალაკტიონმა, როგორც თავად გვაუწყებს, შეძლო თავისი „კამჩატკისა“ თუ „ირმიგალის“ აღმოჩენა. ლექსში „დადგა აგვისტო“ (1925) იგი სიხარულით და თავდაჯერებული სიამაყით წერს:

**ღრუბლებო შავო, მზეო საჰყარო,
მე აღტაცების ზღვაში შეველი,
აღმოვაჩინე მთელი სამყარო,
ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი.**
(ტაბიძე 1966: 185)

ლექსის ავტოგრაფმა (№404) ტექსტის საწყისი ვარიანტი შემოინახა, საიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ პოეტის აღმოჩენილი, მანამდე მიუკვლეველი სამყარო იგივე „კამჩატკაა“:

**თითქო კვლავ ვიყო მძლეთამძლეველი,
ეხლა მე ვიცი, რომ ქარი ჩადგა,
ჯერ ყველასათვის მიუკვლეველი
აღმოვაჩინე თითქო კამჩატკა.**

* * *

გალაკტიონის 1929 წლის დღიურში ლექსემა „ირმიგალი“ პროზაულ ტექსტშია ჩართული და კვლევის ობექტს სრულიად მოულოდნელი კუთხით წარმოგვიდგენს. პოეტი წერს:

„იყო დაჯგუფებანი: ცისფერი ყანწები, აისის ჯგუფი, ცისარტყელას ჯგუფი, გიონის ჯგუფი, გადარეულთა ჯგუფი, მეცხვარეებთან კავ. ჯგუფი, ქალთა უამრავი წრეები, ეკვ. მრავალი ჯგუფი-პარტია, ირმიგალის ჯგუფი“ (ტაბიძე 2006: 520).

სხვა ლიტერატურულ ჯგუფებთან ერთად („ცისფერყანწელები“, ჟურნალების „აისისა“ და „ცისარტყელას“ ჯგუფები, პოეტ გიონ საგანელის ჯგუფი...) ჩანაწერში, როგორც ვხედავთ, დასახელებულია „ირმიგალიც“, როგორც რეალურად არსებული ჯგუფი. იქვე მითითებულია ფ. მახარაძის წერილი „უაზრო ჯგუფები“, რომელიც, პოეტის ცნობით, „ერთობაში“ ყოფილა დაბეჭდილი და, სათაურს თუ გავითვალისწინებთ, „ირმიგალს“ სხვებთან ერთად მკაცრი ბოლშევიკური კრიტიკაც დაუმსახურებია.

წყაროს მითითებაში გალაკტიონი აშკარად ცდებოდა, რადგან გაზეთ „ერთობაში“ ასეთი წერილი დაბეჭდილი არაა და ძნელად წარმოსადგენიცაა, რომ მენშევიკთა ცენტრალურ ორგანოში, რომელიც 1921 წლის მარტამდე გამოდიოდა, ბოლშევიკ ფ. მახარაძის წერილი გამოქვეყნებულიყო. სტატიას ვერც 20-იანი წლების პრესის ფურცლებზე მივაგენით და არც ფ. მახარაძის თხზულებათა ხუთტომეულში აღმოჩნდა.

დამატებითი ცნობა „ირმიგალზე“, მართალია, ვერ მივიპოვეთ, მაგრამ თუ გალაკტიონის ჩანაწერს ვენდობით, 20-იან წლებში, როდესაც საქართველოში „ჯგუფობრიობა“ ყვაოდა, არსებულა ლიტერატურული ჯგუფი „ირმიგალი“, რომლის მიზანი, როგორც დავადგინეთ, პოეზიაში სიახლის, უცხო მატერიკის აღმოჩენა იყო. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი ფაქტი აღნიშნული არაა, ეს კი ნიშნავს, რომ ახალი შტრიხი ჩნდება დიდი პოეტის ბიოგრაფიასა და იმ დროის სამწერლო ცხოვრებაშიც.

* * *

„ირმიგალი“, როგორც ლექსემა, აშკარად ინდივიდუალური სიტყვათქმნადობის ნიმუშია, სავარაუდოდ, ჯგუფის სახელდებისათვის ხელოვნურად შექმნილი საკუთარი სახელი. ხომ არ არის ამ გამოგონილ სიტყვაში დაქარაგმებული რაიმე ინფორმაცია ჯგუფთან მიმართებით?

ამ კუთხით ყურადღებას იმსახურებს გალაკტიონის ახლო მეგობრის, მხატვრის, ხელოვნებათმცოდნისა და პოეტის - ირაკლი ტოფაძის პირადი წერილი პოეტისადმი. ეს ის ირაკლი ტოფაძეა, რომელიც 1921-1923 წლებში გალაკტიონის გვერდით ჩანს, ხშირად იბეჭდებოდა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ ფურცლებზე, დახატა პოეტის პორტრეტი და ლექსიც უძღვნა მას.

გალაკტიონის ჩანაწერებში არის ერთი ძალიან მეტყველი ცნობა. 1950 წელს ირაკლი ტოფაძეს, „როდესაც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა“, გალაკტიონისთვის საჩუქრად მიუტანია უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული 1914 წლის კრებული. „წიგნში ჩადებული იყო მხატვრის ლექსი, მოძღვნილი ჩემდამი“, - წერს შეძრული გალაკტიონი (ტაბიძე 2008ა: 131).

სიცოცხლის ბოლომდე ი. ტოფაძე, როგორც ვხედავთ, გალაკტიონის ერთგულ მეგობრად და თაყვანისმცემლად დარჩენილა.

დავუბრუნდეთ წერილს, რომელიც აღფრთოვანებული გამოხმაურებაა გალაკტიონის ახლადგამოსულ კრებულზე, ე.წ. ზარნიშიან წიგნზე (1927) და 1928 წლის 3 აპრილით არის დათარიღებული. პოეტური ფორმების მრავალფეროვნებითა და ლექსთა სრულყოფილებით

განცვიფრებული ირაკლი ტოფაძე პოეტს სწერს: „ქართული პოეზია შენი ლექსების სახით ავიდა მაღალ მწვერვალზე, სადაც ელავს გრძნეული თილისმით და გადადის ხალხის წიაღში. დიდება და დღეგრძელობა შენ, პოეზიის ქურუმო, გალაქტიონ!“ (ტაბიძე 2008გ: 258).

წიგნის შეფასებას და მეგობრის ტალანტით გულწრფელ აღტაცებას უფრო პირადულ-ინტიმური პასაჟი მოსდევს, რომელიც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

„გალაქტიონ, მე წავიკითხე ლექსები „ირმიგალზე“ და „კაცი, რომელმაც გაზედა“ და ძლიერ გამეხარდა. მწამს შენი ძმობა ისე, როგორც არავისი. გმადლობთ, გმადლობთ, გალაქტიონ!“ (ტაბიძე 2008გ: 258).

ი. ტოფაძის მიერ ნახსენები ორი ლექსიდან ერთი („კაცი, რომელმაც გაზედა“) პირდაპირაა დასახელებული (იგი ადრე „მნათობში“ დაიბეჭდა), ხოლო **ლექსი „ირმიგალზე“** შეიძლება იყოს მხოლოდ ჩვენთვის კარგად ცნობილი „აივანზე“, რომელიც პირველად სწორედ „ზარნიშიან წიგნში“ გამოქვეყნდა და „ირმიგალიც“ მარტო აქაა ნახსენები.

ირაკლი ტოფაძე ადრესატია ლექსისა „კაცი, რომელმაც გაზედა“ - ავტოგრაფში (№23) მისი სახელი და გვარი სათაურადაა გატანილი, გამოქვეყნებულ ტექსტში კი უშუალოდ არის ნახსენები:

მხოლოდ შენ იცი, **ძმაო ირაკლი**,
უცნობი ქუჩის იდუმალება.

(ტაბიძე 1966: 195)

აღნიშნულ ლექსთან დაკავშირებით ირაკლი ტოფაძის სიხარული ბუნებრივიცაა და მარტივად ასახსნელიც, მაგრამ რატომ უნდა გახარებოდა მას ე.წ. ლექსი „ირმიგალზე“? ამაზე მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება, თუმცა ეს ვარაუდი შორს არ უნდა იყოს ჭეშმარიტებასთან: ირაკლი ტოფაძე, როგორც გალაქტიონის ახლობელი და თანამოაზრე, ირმიგალის ჯგუფის წევრი უნდა ყოფილიყო! ამას მხარს უჭერს ავტოგრაფი (№674) ლექსისა „აივანზე“, რომელიც თავდაპირველად ასე ბოლოვდებოდა:

აივანზე დგას შენი **მხატავი**

ირაკლი, სული ირმიგალისა...

„მხატავი ირაკლი“, უეჭველად, ირაკლი ტოფაძეა, რომელსაც გალაქტიონი „ირმიგალის სულს“ უწოდებს, რაც, ცხადია, ჯგუფთან მის ახლო კავშირს გვიდასტურებს. მართალია, ტექსტის პუბლიკაციისას დამოწმებული სტრიქონები გალაქტიონმა საკუთარ პერსონას მოარგო („პოეტი, სული ირმიგალისა“), მაგრამ ლექსში დარჩა „ირმიგალი“, როგორც ხსოვნა მეგობართა თანამოაზრეობისა.

ყურადღება მოვაქციოთ ერთ დეტალსაც: წერილში ჯერ დასახელებულია ლექსი „ირმიგალზე“ და მხოლოდ ამის შემდეგ - „კაცი, რომელმაც გაზედა“. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს წერილის ავტორისათვის „ირმიგალი“ უფრო მნიშვნელოვანი და ძვირფასია, ვიდრე პერსონალური მოხსენიება, თითქოს ეს სიტყვა რაღაც ისეთს ფარავს, რაც ოდენ ძველი მეგობრებისათვის არის ცნობილი და საზიარო.

წერილში თავისებურია მადლობის თქმის ფორმაც - ზრდილობიანი, მოზომილი, მაგრამ მაინც დამაფიქრებლად აღმატებული. გავიხსენოთ: „მწამს შენი ძმობა ისე, როგორც არავისი. გმადლობთ, გმადლობთ, გალაქტიონ!“ ნუთუ ეს ორგზის გამეორებული მადლობა, „ძმობის“ ხაზგასმა და გალაქტიონის გამოყოფა ამ კუთხით მხოლოდ იმ ლექსის გამოა, პოეტმა განმეორებით რომ დაბეჭდა და ი. ტოფაძეა ნახსენები?! მე ვფიქრობ, რომ „ძმობის“ აქცენტირება და მადლობაც უფრო „ირმიგალს“ უკავშირდება, მის კონკრეტულ, ჩვენთვის ჯერაც ამოუცნობ მნიშვნელობას.

ვინ შეიძლება ყოფილიყო „ირმიგალის“ წევრი გალაქტიონთან და ირაკლი ტოფაძესთან ერთად? პიროვნება, რომელიც ამ დროს ბუნებრივად გახსენდება, მიხეილ ბოჭორიშვილია - გალაქტიონის სიკაბუჯის მეგობარი, მწერალი, რომელიც 20-იანი წლების დასაწყისში განუყრელად მასთან იყო და ურთულეს პირობებში დიდი წვლილი შეჰქონდა „გალაქტიონ ტაბიძის ჟურნალის“ გამოცემაში. მ. ბოჭორიშვილი აღმერთებდა თავის გენიალურ მეგობარს, რასაც გალაქტიონი ყურადღებით და სითბოთი უპასუხებდა. ეს კარგად ჩანს სტრიქონებში, რომლებიც მ. ბოჭორიშვილს ეძღვნება:

გვიყვარდა როსმე, ძვირფასო მიშელ,
საღამოს ქარში ერთად ცხოვრება,
მზეებში ვქმნიდით მაშინ მე და შენ
და ქარი მარად გვემახსოვრება.

.....

ოჰ, ყველაფერი გაქრა ქარივით,
სულს, ოცნებებს ველარავის ფენ,
მოსილი ძველი ნასიზმარევით
დავრჩით ქარივით ისევ მე და შენ.

(ტაბიძე 1966: 344)

ლექსი დაწერილია 1921 წლის 31 ივლისს, ხოლო „მიშელი“ რომ ნამდვილად მიხეილ ბოჭორიშვილს გულისხმობს, ჩანს გალაკტიონის წერილიდან, რომელშიც ის ოლია ოკუჯავას **მიშელ ბოჭორიშვილის** ამბავს ატყობინებს (ტაბიძე 1975: 521).

ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, მ. ბოჭორიშვილი, რომელიც ყველა საქმეში მხარში ედგა გალაკტიონს, „ირმიგალის“ წევრი არ გამხდარიყო. შესაძლოა, ჯგუფში სულაც სამი წევრი იყო, „ირმიგალი“ მხოლოდ სამ უახლოეს მეგობარს აერთიანებდა: გალაკტიონ ტაბიძეს, მიხეილ ბოჭორიშვილს და ირაკლი ტოფაძეს...

მ. ბოჭორიშვილი „ირმიგალის“ გეზს რომ იზიარებდა, ჩანს მისი ლექსიდან „ახალი წელი“, რომელიც „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ 1923 წლის იანვრის ნომერში დაიბეჭდა:

ჰო, მეგობრებო!
ჩვენ აწ ნაცადი გზით სიარული
არ გვიტაცებს,
ჩვენ წინ იშლება ბილიკები
უფრო ძნელი და მიმზიდველი...
(გტჟ 1923: 16)

აქ იგივე კამჩატკა/ირმიგალის კონცეფციაა, იგივე შემოქმედებითი სწრაფვა, რაც გალაკტიონის ლექსებსა და ჩანაწერებში იკითხება.

დღეს გაჭირდება იმის დადგენა, ვის მოუვიდა აზრად ჯგუფის სახელწოდების შექმნა წევრთა სახელების პირველი მარცვლებით:

ირ-აკლი; მი-ხელი; გალ-აკტიონი
ანუ

ირ-მი-გალი!

მიხეილ ბოჭორიშვილმა მონაწილეობა მიიღო 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში. მას, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის კომიტეტისა და აჯანყების მთავარი შტაბის წევრს, ბოლშევიკებმა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მოუსაჯეს, რაც ცოტა მოგვიანებით გადასახლებით შეუცვალეს. სამშობლოსათვის თავგანწირული ვაჟკაცი „ხალხის მტრად“ გამოაცხადეს - მისი სახელის ხსენებაც კი გაქრა.

1927 წლის „რჩეულში“ გალაკტიონმა შეიტანა ლექსი „აივანზე“, სადაც ახსენა „ირმიგალი“. ეს გამოგონილი სიტყვა-აბრევიატურა ორი ძველი მეგობრის - გალაკტიონისა და ირაკლის სახელებთან ერთად შეფარულად რუსეთის ტრამალებში გადაკარგული მიხეილ ბოჭორიშვილის ხსოვნასაც ინახავდა. აი, რატომ უხაროდა ასე ძლიერ ირაკლი ტოფაძეს პირველ რიგში ლექსი „ირმიგალზე“, რატომ სწირავდა იგი მადლობას გალაკტიონს ძმობის გამორჩეული უნარისათვის.

ლიტერატურა:

გტჟ 1923: „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, №5.

სანიკიძე 1996: სანიკიძე თ., სანიკიძე ც. გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონი, V, თსუ გამომცემლობა, თბ., 1996.

ტაბიძე 1966: ტაბიძე გალაკტიონ, თხზულებანი თორმეტ ტომად, II, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1966.

ტაბიძე 1972: ტაბიძე გალაკტიონ, თხზულებანი თორმეტ ტომად, VII, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1972.

ტაბიძე 1975: ტაბიძე გალაკტიონ, თხზულებანი თორმეტ ტომად, XII, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1975.

ტაბიძე 2005: ტაბიძე გალაკტიონ, საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად, VIII, „ლიტერატურის მატიანე“, თბ., 2005.

ტაბიძე 2006: ტაბიძე გალაკტიონ, საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად, XIII, „ლიტერატურის მატიანე“, თბ., 2006.

ტაბიძე 2008ა: ტაბიძე გალაკტიონ, საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად, XVIII, „ლიტერატურის მატიანე“, თბ., 2008.

ტაბიძე 2008ბ: ტაბიძე გალაკტიონ, საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად, XXIII, „ლიტერატურის მატიანე“, თბ., 2008.

ტაბიძე 2008გ: ტაბიძე გალაკტიონ, საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად, XXIV, „ლიტერატურის მატიანე“, თბ., 2008.

წერილში მითითებული ავტოგრაფები დაცულია საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გალაკტიონის ფონდში.

Teimuraz Doiashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
ONE UNGUESSED WORD OF GALAKTION TABIDZE
RESUME

There is one unguessed word „Irmigali” in the poem - „On the Balcony” (1921) – by Galaktion Tabidze. The meaning of this word is not known yet.

After studying Galaktion’s autographs and writings it became clear that:

- a) At the beginning of 1920s existed literary group „Irmigali”. The members of this group were: Galaktion Tabidze, Mikheil Bochorishvili and Irakli Tophadze;
- b) The name of the group was made from the first syllables of the members’ names.
- c) „Irmigali” as a symbol implicated the unknown mainland of lyric. The main aim of the young artists was to discover this mainland.

ვახტანგ ინაური
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ისტორიული სინამდვილე და მხატვრული გამონაგონი
იაკობ გოგებაშვილის მოთხრობაში „იავნანამ რა ჰქმნა“

„იავნანამ რა ჰქმნა”, მკვლევართა აზრით, მშობლიური ენისა და სიმღერის ფუნქციასა და მნიშვნელობას ასახავს. ენა ფიგურირებს სამშობლოს მოწყვეტილი მოზარდის ეროვნულ ძირებთან დაბრუნებასა და ბიოლოგიურ მშობლებთან შეჩვევისა და შეთვისების სირთულეების დამღევაში. ეს მოთხრობის აღმზრდელობითი მხარეა, შეიძლება ითქვას, მწერლის ძირითადი სათქმელია, მაგრამ ფონი, რომელზეც აღნიშნული პრობლემა გაშუქებული, მეტად საინტერესო ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მდგომარეობას გვამცნობს. წარსულში წიაღსვლა წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისეული ტკივილისა და კეთილი ყოფის დრამატულ სურათებს. მოთხრობის სიუჟეტში ერთიანდება დროის სამივე განზომილება წარსული, აწმყო და მომავალი.

მოთხრობაში ასახული ისტორიული რეალობა ქართველებისა და ლეკების მტკივნეული ურთიერთობაში გამოიხატება. კერძოდ, რეალურია ის ფაქტი, რომ კახელებსა და მათ მეზობელ დაღესტანს შორის იყო კეთილი განწყობაც და იყო მტრობაც, ლეკთაგან ხშირი თავდასხმები არღვევდა ქართველთა სასოფლო-სამეურნეო სისტემას, იტაცებდა და ანადგურებდა მოსახლეობის მოსავალსა და სარჩოს. ამის მრავალი მაგალითია აღწერილი, „ქართლის ცხოვრებასა“ და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში. ასევე ბევრი ფოლკლორული მასალაა შემონახული, რომლებიც ლეკებთან კონფლიქტსა და საქართველოდან ქართველი ქალების, კაცებისა და ბავშვების მოტაცებაზე გვიამბობენ.

ეს ისტორიული სიმართლე ასახულია ნაწარმოებში. მოთხრობის მიხედვით, ადრეულ პერიოდში ქართველებსა და ლეკებს შორის მძვინვარე ურთიერთობა იყო, ისინი მტერს ერთობლივი ძალებით ებრძოდნენ და ლხინსაც ერთად იზიარებდნენ. „მველის დროიდან დაღესტანსა და საქართველოს შორის ტბილი განწყობილება არსებობდა. დიდი მეგობრობა სუფევდა, ყოველს საქართველოს მტერს დაღესტანი მტრობას უწევდა: ყოველს საქართველოს მეგობარს მოყვრულად ეპყრობოდა. არავის არ ახსოვდა, რომ ლეკები როდისმე საქართველოს დასცემოდნენ და ჩხუბი აეტეხნათ ქართველებისათვის. ლეკები მტრად გაუხდნენ ქართველებს შემდეგში, როდესაც მაჰმადიანობა მიიღეს და საქართველომ მართლმადიდებლის რუსეთისაკენ გაიწია. (1-416)

მოცემული ციტირებიდან დასტურდება ისტორიული რეალობა: ლეკები საქართველოს მტრობენ ორი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენის შემდეგ. პირველი, ეს არის ლეკების გამუსულმანება, ხოლო მეორე, საქართველოს მართლმადიდებელი რუსეთისაკენ ორიენტაცია.

მაშასადამე, „სარწმუნოებამ ამ ორი მეგობრულად მცხოვრებ ხალხთა შორის მტრობის ამოუვსები უფსკრული გააჩინა. (2-365).

რელიგიურ-პოლიტიკურ დამაბულობას დაერთო ვაჭართა უზნეობა და ვერაგობა. ადამიანებით ვაჭრობა. ე.ი. ქართველთა და ლეკთა შორის მტრობა განაპირობა ორმა გარემოებამ: ეს არის სარწმუნოება და ვაჭართა გაიძვერული ბუნება.

ასეთი ვითარების შედეგია ქეთოს მოტაცება ლეკების მიერ. ეს რა თქმა უნდა, გამონაკლისი არ ყოფილა შუა საუკუნეებში, ლეკები იტაცებენ გამოსასყიდის მისაღებად ან გასაყიდად. ქართველი ქალიც და ვაჭიც ძვირად ფასობდა სტამბოლშიც და კაიროშიც.

უშუალოდ ლეკების მიერ მოტაცების ფაქტი ასახულია დავით გურამიშვილის „დავითიანში“, რომლის მიხედვით თავადიშვილი დავითი ილტოზის ხეობიდან გადმოსულმა ლეკებმა მოიტაცეს შიდა ქართლის შუა გულიდან, ქსნის ხეობის სოფელ ლამისყანიდან.

„შემიპყრეს, წამომიყვანეს, ხელ-ფეხს მომიდეს გენია,

გადამატარეს ასი მთა, მინდორი - ცხრა იმდენია,

მაჭამეს დუმა და ხალი მახვრიტეს ხინკლის წვენია“ (5-215)

ი. გოგებაშვილის ლეკებიც „ფულის წურბელები, იოლად სიმდიდრის მაძიებელნი არიან“ (3-87). ისინი სხვის უბედურებაზე აგებენ თავიანთ ბედნიერებას. შორს დგანან სიკეთისა და ადამიანურობისგან. ეს ნათლად ჩანს მწერლის მიერ გადმოცემული ორი მოვაჭრე ბაჯაჯგუნა ლეკის დიალოგიდან, როდესაც ისინი ბჭობენ ქეთოს მოტაცების თაობაზე.

ეს ლეკები ბოროტად სარგებლობენ საქართველოსა და დაღესტნის ურთიერთობით. პირადი გამორჩენის მიზნით იყენებენ ამ ორი მეზობელ ქვეყნას შორის არსებულ ვითარებას და უფრო ამწვავებენ შუღლსა და მტრობას. მათ ადამიანის სიცოცხლეს არაფრად მიაჩნიათ (გამდელს „ლეკმა“ თავში კეტი დაარტყა და უსულგულოდ დასცა მიწაზე).

ეს არის ისტორიულად რეალური სახე ლეკისა და იმ პერიოდის „ლეკიანობის“ ჭეშმარიტი სიმართლე. ხოლო მწერლის მიერ მხატვრული გამონაგონია ქეთოს ანგელოზებრივი სიკეთე. ამ გამონაგონით ი. გოგებაშვილი ცდილობს დანერგოს საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა უცხო ერისა და უცხო რელიგიის ადამიანებს შორის. ამ მიზნით მწერალი ჯერ ნაიბისა მისი ცოლის ადამიანობასა და სათნოებას, სითბოსა და სიყვარულს ხატავს, რომ შექმნას სივრცე, რომელშიც ქეთო უნდა გაზრდილიყო, უნდა გაზრდილიყო ქალი, რომელიც ქართველთა და ლეკთა შემაერთებელი იქნებოდა და, რომელიც განასახიერებდა ჰუმანიზმის მაღალ იდეალებს. ავტორი ხაზს უსვამს, რომ ეს მისია ახალ თაობას უნდა ეკისრა. ისტორიულად მომდინარე ბოროტება მან უნდა შეცვალოს სიკეთით, ახალი მეგობრული განწყობილებებით. ეს დიდი მისია ბრწყინვალედ შეასრულა ქეთომ. მას „თავისიანად მიაჩნდა, ქართველებიც და ლეკებიც, საქართველოც და დაღესტანიც, და რადგან სიყვარული შობს სიყვარულსა, ამიტომ ქართველები და ლეკები, თითქოს ეჯიბრებოდნენ ერთმანეთსა, ვინ უფრო მეტს პატივისცემას, მეტს ხათრსა და მეტს სიყვარულს უჩვენებდა ქეთოს... ყველა შეჰხაროდა, ყველას უყვარდა ქეთო, რომელიც ერთსა და იმავე დროს სტკებოდა თავისი სიყვარულით მოყვასისადმი და მოყვასთა სიყვარულით თავისადმი, უკეთესი ბედნიერება განა იქნება ამ ქვეყანაზე (1-429)?

მოთხრობაში ძირითადი ქეთოს თავგადასავალია, მასთან მიმართებაში აისახება ისტორიული სინამდვილე, საყურადღებოა ქართველი თავადის იმ პერიოდის ტიპური მეომრული სახე და ქრისტიანული ბუნება, რომელიც განსახიერებულია ზურაბ ქართველამის პიროვნებაში. იგი, ერთ მხრივ, ჩვენი წარსულის რეალური გმირია და მეორე მხრივ, შევსებული და გამდიდრებულია მაღალი ზნეობრივი იდეალებითა და ჰუმანური სულისკვეთებით, რაც ფაქტობრივად ამ პერსონაჟს ნახევრად გამოგონილის ხდის. მწელია სისხლიანი შუა საუკუნეების თავადის სიამაყის, მრისხანების განეიტრალება მხატვრული ფერებით, შეუძლებელია იმ პერიოდის თავადი შვილის მოტაცებით არ გაავებულიყო და არ შეჭრილიყო თავისი რაზმით ლეკთა აულის დასარბევად და შვილის გამოსნის მიზნით, არ აეკლო იქაურობა და არ გაეძარცვა ისინი ისე, როგორც ლაშქრობის წესია. მაგრამ ი. გოგებაშვილი ამას ახერხებს მაღალი სამწერლო ოსტატობითა და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით. მწერალი წინა პლანზე წამოსწევს ქართულ სიძარბაისლეს და ქრისტიანულ გონიერებას. ზურაბი დროის გასვლაზე გათვლილი გეგმით მოქმედებს, შურისძიებისა და ფეთქებადობის ნაცვლად, იგი დინჯი რაციონალური თავდაჭერილობით იქცევა. მან კარგად იცის ნაიბის ძალა, იცის რომ პირდაპირი შეტევა მსხვერპლს მოითხოვს, მას დიდი სისხლის ღვრა მოჰყვება და წარმატების პერსპექტივა სათუთაა, უცხო მხარეში ქართველებისადმი მტრულად განწყობილ ლეკებზე ლაშქრობა მარცხიანი იქნება და შვილიც, შეიძლება, სამუდამოდ დაკარგოს.

ნაიბი, რომელიც იმ მხარის ხელისუფალია და დიდი ავტორიტეტი აქვს ხალხში, ძლიერი მოწინააღმდეგეა ზურაბისათვის. იგი არჩეულია თემის და ხელდასხმულია თურქეთის სულთნის მიერ. მის უკან თურქეთის სამხედრო ძალა მოაზრება. ამდენად კერძო მოქმედებით იოლი იყო ქეთოს მოტაცება. ვიდრე, ღია, სახელმწიფოს დონეზე ჯარის შეყრა და ლეკებთან ომი, ამით საქმე გართულდებოდა და ნაწილობრივ დაემსგავსებოდა ტროას ომს, რომელიც ვიზუალურად სხვა მიზნით, მაგრამ მაინც ქალის მოტაცებას მოჰყვა.

ურთიერთობის გამწვავების მიუხედავად, ქართველთა და ლეკთა პირადი მეგობრობა და ნაცნობ-ნათესაობა არ იკარგებოდა. ამის მაგალითია ლევან კახთა მეფის ურთიერთობა შამხალის ოჯახთან, რომელსაც შამხალის ასული უყვარდა და ცოლადაც შეირთო. ზურაბმაც მასთან დაახლოებული ლეკების მეშვეობით შესძლო ნაიბთან კონტაქტის დამყარება და ქეთოს მოტაცებაც. ნაიბიც ნახევრად ისტორიული და ნახევრად გამოგონილი სახეა, ისტორიულია, ის ფაქტი, რომ ნაიბი რეალური თანამდებობის პირია, მაგრამ ნაიბისათვის უჩვეულოა, რომ იგი ზურაბს ომს არ უცხადებს მისი აღზრდილი ქეთოს მოტაცების გამო, ამ ფაქტს მიზეზად არ იყენებს ილამქროს საქართველოზე, რაც მისთვის ძნელი არ არის და, რაც მიზეზის გარეშეც, ხშირად ხდებოდა. ასეთ დრამატულ სიტუაციაში ნაიბის ქმედება იაკობისეულია და არა ისტორიული. ყოველი მწვავე პრობლემა ლეკებსა და ქართველებს შორის ი. გოგებაშვილის ჰუმანურ და კეთილშობილურ მიზანს ემსახურება. იგი ქმნის მწარე ისტორიული წარსულიდან სასიამოვნო სიკეთით გამთბარ აწმყოს, რითაც ნათელს უმზადებს მომავალს. ამიტომ მისი თხრობა მსუბუქი, უბრალო და დამაჯერებელია, ყოველი სტრიქონი აწონილი და გაზომილია, ყოველი ფრაზა და ყოველი სიტყვა მწერლის მთავარ მიზანს, ძირითად იდეას ექვემდებარება. ისტორიული სინამდვილისა და მხატვრული გამოწარმოებით წარსულის ამსახველი და მომავლის მანიშნებელი პასაჟები ერთიანდებიან ქეთოს ირგვლივ, რომელიც სიმბოლო და წარმმართველი სახე გახდა დაღესტნისა და ქართველი ხალხის ძმური და მეგობრული ურთიერთობისა. ამით ი. გოგებაშვილი ცდილობს აღადგინოს ლეკთა გამაჰმადიანებამდე არსებული მეგობრობა ორ მეზობელ ერს შორის, რაც ჩვენი ქვეყნისათვისაც და დაღესტნისათვის აუცილებელია მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანაცხოვრებისათვის.

ლიტერატურა:

1. იაკობ გოგებაშვილი, „იავნანამ რა ჰქმნა“, საგანძური თბ., „განათლება“, 1989.
2. არჩილ ჩაჩიბაია, ქართული საბავშვო ლიტერატურა, თბ., „განათლება“, 1978.
3. ჯონდო ბერიშვილი, იაკობ გოგებაშვილის ჰუმანიზმი, თბ., შსუ, 1992.
4. „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1956.
5. დავით გურამიშვილი, „დავითიანი“, ქართული პოეზია, თბ., „ნაკადული“, 1976.

Vakhtang Inauri

Gori State Teaching University

HISTORICAL TRUTH AND FEATURE FICTION IN STORY “WHAT HAS LULLABY DONE”

BY IAKOB GOGEBASHVILI

RESUME

Iakob Gogebashvili enriches historical truth with feature fiction in his story “What Has Lullaby Done”. The story is historical, but the characters are half historical and fictional. Writer adds mood of humanism, kindness and friendship in his story. Thus he increases inner world of heroes and creates ideally and moral role model.

**გიორგი სააკაძის ციკლის საისტორიო ზეპირსიტყვიერება
(გ. შატბერაშვილის ნარკვევის - „გიორგი სააკაძე ხალხის ხსოვნაში“ - მიხედვით)**

ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება იქმნებოდა და ვითარდებოდა იმ გამუდმებული ბრძოლების საფუძველზე, რომელთაც ქართველი ერი საკუთარი ღირსებისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად საუკუნეთა მანძილზე შეუპოვრად აწარმოებდა მომხდურთა თუ შინაურ მტერთა წინააღმდეგ. ისინი უშუალოდ განგვაცდევინებენ სხვადასხვა ეპოქის ბედნიერებასა და მწელობას, გამარჯვებასა და მარცხს. სწორედ ამიტომ სხვადასხვა მკვლევართა მხრიდან სამართლიანადაა იგი მიჩნეული ჩვენი ქვეყნის შეუფარავ, თავისებურ ზეპირ ისტორიად. მისი შინაარსი მდიდარი და ღრმაა, ფორმა – მიმზიდველი. ხალხური საისტორიო ლექსების ძირითადი ნაწილი საგმირო ხასიათისაა და მათი საზოგადოებრივი ფუნქციაც ანალოგიურია. იშვიათად მათში ამა თუ იმ ისტორიული პირისადმი დამოკიდებულება უკიდურესად სუბიექტურია, ამიტომ ქართული ისტორიული მატერიალისათვის ორჭოფულად განსახილველი, მაგრამ ხალხისთვის საყვარელი ესა თუ ის გმირი ლექსებსა და გადმოცემებში მხოლოდ დადებითი კუთხითაა წარმოდგენილი. ამის ნათელი მაგალითია, XVII საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი სააკაძე. საქართველოს ისტორიის მკვლევართა ნაწილი მას დიდ მამულიშვილად მიიჩნევს, ნაწილი – ქვეყნის მოღალატედ. ეს დავა დღესაც გრძელდება.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა და მწერალმა პლატონ იოსელიანმა პირველმა დაიწყო გიორგი სააკაძეზე ხალხური სიტყვიერების ნიმუშების გამოვლინება და ჩაწერა. მან რვა ხალხური გადმოცემა ჩაიწერა. მისი საქმის გაგრძელება თავად იდო ასევე ცნობილმა ქართველმა მწერალმა და პუბლიცისტმა ანტონ ფურცელაძემ. მწერალი ამ მიზნით დიდი ხნის განმავლობაში დადიოდა ხალხში და აგროვებდა მსგავსი ხასიათის მასალებს.

გიორგი სააკაძის შესახებ ხალხში გაფანტული გადმოცემების შესწავლის საქმეში ფასდაუდებელია გიორგი შატბერაშვილის წვლილი; სწორედ ისაა პირველი გამომქვეყნებელი „დიდ მოურავზე“ შექმნილი ზეპირსიტყვიერი მასალისა. თუ გიორგი სააკაძის სიცოცხლეშივე ხალხში არსებობდა მისი ქებანი, XX საუკუნემდე ჩაწერილ და გამოქვეყნებულ ხალხურ სიტყვიერებაში (კერძოდ პოეზიაში) არსად ჩანდა ამ დიდებული გმირის სახელი. ამ ფაქტისთვის ყურადღება ქართული ხალხური სიტყვიერების დიდ მოტრფიალეს გიორგი ლეონიძესაც მიუქცევია.

უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ქსენია სიხარულიძეც ხაზს უსვამს გიორგი ლეონიძისა და გიორგი შატბერაშვილის უდიდეს დამსახურებას დიდ მოურავზე შექმნილი ხალხური ლექსებისა თუ თქმულებების მოძიება-გამოქვეყნების საქმეში, [ლეონიძე, 1970:268-269]. მკვლევარი ვ. სიდამონიძეც აღნიშნავს, რომ „პლატონ იოსელიანის, ანტონ ფურცელაძისა და გიორგი ლეონიძის საშვილიშვილო საქმე ძალისხმევით გააგრძელა მწერალმა გიორგი შატბერაშვილმა, რომელმაც, ჯერ კიდევ 40-იან წლებში, მწერალ მიხეილ კეკელიძესთან ერთად კავთურას ხეობის სოფლებში (კავთისხევსა, ეზატსა, ნოსტესა, თვალადასა და ახალციხეში) ჩაიწერა შესანიშნავი ხალხური ლექსები და თქმულებანი“ [სიდამონიძე, დასახ., 1988:8].

გიორგი შატბერაშვილი შეუშფოთებია იმ ფაქტს, რომ „კაცი, რომელიც თანამედროვეთა ცენტრში იდგა თავისი სამხედრო საქმიანობით და ზოგის აღტაცებას იწვევდა, ზოგის – შურსა და სიძულვილს, თითქოს არავითარ გამოხმაურებას არ პოულობს ქართულ ზეპირსიტყვიერებაში“. ეს ერთი შეხედვით პარადოქსული მოვლენა ექვს აღუძრავს მკვლევარს: „ნუთუ მართლა ასეთი დუმილი სუფევდა მოურავის გარშემო?“ დუმილი კიდევ უფრო დაუჯერებელია მაშინ, როდესაც ღრმაა რწმენა, „ხალხი უნდა გამოხმაურებოდა გიორგი სააკაძის პოლიტიკურ მრწამსს თუ არა, მის სამხედრო წარმატებას მაინც... როგორც სარდალი, სააკაძე ხომ აღტაცებას იწვევდა თანამედროვეთა შორის“. ამ მოსაზრების ნათელსაყოფად ისტორიკოს მწერალს (გიორგი შატბერაშვილმა 1932 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი ისტორიკოსის დიპლომით დაამთავრა) ქართველი მემკვიდრის სიტყვები მოჰყავს: „იმდღინდელი მოურავის ნაქმარი ომი და საქმეები პირველთა გმირთაგანც არა თქმულ არს, რაც იმ დღეს მოურავმა სახელი და ომი ქნა.“ [შატბერაშვილი, 1975: 13].

გიორგი შატერაშვილი მართებულად შენიშნავს ერთ გარემოებას: ხალხი თავის ლექსებში იხსენიებს „სისხლის წვიმების დროის მრისხანე ფეოდალებს“ – ნუგზარ და ზურაბ ერისთავებსაც კი... თუმცა წყევლა-კრულვით, მაგრამ მაინც იხსენიებს, გიორგი სააკაძეზე კი დუმს, რას უნდა მივაწეროთ ეს? იქნებ იმას, რომ დიდმა მოურავმა ნეფსით თუ უნებლიეთ მტკივნეული ჭრილობა მიაყენა საკუთარ ხალხს თავისი ტრაგიკული ბედის გამო? თუ ეს ასეა, ხალხი მას წყევლა-კრულვით მაინც მოიგონებდა, როგორც მის გულქვა თანამედროვე ერისთავებს! [შატერაშვილი, 1975: 11]

შატერაშვილს დიდი მოურავის პიროვნების შესახებ ხალხში გაფანტული გადმოცემების შესწავლა სააკაძის მშობლიური კუთხიდან დაუწყია. ამ მიზნით მას ნოსტე და სოფლები – კავთისხევი, თვალადი, ეზატი და ახალციხე – შეუსწავლია; ისიც, ავტორისავე თქმით, ნაწილობრივ და არასრულად; ამდენად, შესაძლებელია, ბევრი საინტერესო მასალა კიდევ აღმოჩნდეს იმავე სოფლებში და სხვაგანაც. მიუხედავად ამისა, მკვლევარს მოუხერხებია ჩაეწერა თქმულებები და ლექსები, რომლებიც მეტად საინტერესოდ გვიშუქებენ დიდი მოურავის პიროვნებას და ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ სააკაძისადმი ხალხის დამოკიდებულების თაობაზე. ეს მასალა იმითაც არის ნიშანდობლივი, რომ წარმოადგენს გიორგი სააკაძის პიროვნების შესახებ არსებულ ზეპირგადმოცემათა პირველ გამოქვეყნებულ ნიმუშებს.

გიორგი შატერაშვილის მიერ შეკრებილი მასალა ყველა უშუალოდ მოურავს ეხება, გარდა ერთისა („გიორგის დროზედ ნათქვამი“), რომელიც ასახავს მე - 17 საუკუნის ქართლ-კახეთის პოლიტიკურ ვითარებას და გაჯერებულია სამშობლოსადმი სიყვარულით გამოქვეყნების შემდეგ ეს ლექსი, როგორც იმ შავზნელი დროის ამსახველი, პოეტმა ირაკლი აბაშიძემ მთლიანად შეიტანა თავის პოემაში: „რას გადაურჩა თბილისი“ [შატერაშვილი, 1975: 15].

გიორგი შატერაშვილის დამოკიდებულება გიორგი სააკაძის პიროვნებისადმი ერთმნიშვნელოვნად დადებითია. იგი თვლის, რომ „გიორგი სააკაძის ნიჭი, მისი მხედრული უნარი და გამოცდილება, საერთაშორისო პირობების გამო, სათანადოდ ვერ გამოიყენა მაშინდელმა საქართველომ. მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა შინაური არეულობანი.

შატერაშვილი ცდილობს, ისტორიულ წყაროთა და მის მიერ მოპოვებულ ზეპირგადმოცემათა ურთიერთმეჯერების შედეგად დაგვიხატოს დიდი მოურავის როგორც გარეგნული, ისე შინაგანი პორტრეტი. მაგალითად, გიორგი სააკაძის გარეგნობაზე საუბრისას იშველიებს თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმის ცნობას, რომელშიც ვკითხულობთ: „მოურავი ჭეშმარიტად გულადი, ღონიერი, ტანით სპილოს მსგავსი, იშვიათი ვაჟკაცი და დევისდონე იყო“. ცოტა ქვემოთ იგი განსხვავებულ ცნობას გვაწვდის: „მოურავი სპეტაკწვერიანი, საშუალო ტანისა იყო“.

საინტერესოა მოურავის შესახებ უცნობი ავტორის მიერ თურქეთში გამოთქმული ლექსი, რომელიც სპარსულ ენაზე ყოფილა დაწერილი გიორგი სააკაძის ერთ-ერთი მხლებელი ქართველის მიერ:

„ვარ მსმელი, მივირთმევ ღვინოს ფლავით,
ტანით ვარ მსხვილი, როგორც ხარი.
არ ვარ წარმართი, არც მუსლიმი, არც იუდეველი,
ვარ ყარამანის მირ-მირა მოურავი“

[სიდამონიძე, 1988: 19]

გიორგი შატერაშვილი მიიჩნევს, რომ ლექსში შური და დაცინვა გამოსჭვივის სააკაძისადმი. მისი განხილვისას მუსტაფა ნაიმიც სწორედ ამ დეტალზე აკეთებს აქცენტს.

სააკაძის თანამედროვე იტალიელი მისიონერი კასტელი, რომელმაც დიდი მოურავის პორტრეტი დახატა, წერდა: „დიდი მოურავი, სარდალი საქართველოს მხედრობისა, კაცი წარჩინებული, დიდად შემძლე და ყოველთა უმამაცესი; მან მრავალი სახელოვანი საქმე მოახდინა იბერიის სამეფოში სპარსელთა მეფის წინააღმდეგ ბრძოლის დროს“ [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973: 258]. სამწუხაროა, რომ ამ „დიდად შემძლე და ყოველთა უმამაცესი“ კაცის გარეგნობის შესახებ არაფერია ნათქვამი შატერაშვილის მიერ მოპოვებულ მასალაში. სამაგიეროდ, ფრიად საინტერესო ცნობას ვაწყდებით გიორგი სააკაძის წარმოშობის შესახებ: „გიორგის გვარი ნამდვილად სააკაძე კი არ იყო, არამედ – გიგაური, ხევსურეთიდან იყო. სააკაძეობა მაშინ დაირქვა, როცა დიდი სახელი გაითქვა. ის გლეხი კაცი იყო. სააკაძეს თავადები ემტერებოდნენ, რადგან იგი გლეხი იყო“ [შატერაშვილი, 1975: 12]. ანალოგიურია ს. ჯიქიას მიერ დაცული ცნობა. ანტონ ფურცელაძეც გიორგი სააკაძის წინააღმდეგ ფეოდალთა ბრძოლის მიზეზად დიდი მოურავის გლეხურ წარმოშობას ასახელებს. მაგრამ, ამ მოსაზრებას არ იზიარებს ივანე ჯავახიშვილი [ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1967:350].

უნდა აღინიშნოს, რომ სააკაძეთა „ძველი სამკვიდრო“ ატენის ხეობის ზემო წელში მდებარეობდა. შემდეგ კი თემის ხეობაშიც მოიკიდეს ფეხი. გიორგი სააკაძის ფეოდალური სამფლობელო სწორედ ამ ხეობაში ჩამოყალიბდა. მისი ცენტრი იყო სოფელი ნოსტე. აქ ჰქონდა მას სასახლე ციხე-კოშკით და კარის ეკლესია [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973: 257-158].

საგულისხმოა, რომ სწორედ თემის ხეობაში არსებულ გიორგი სააკაძის ციხე-კოშკთან დაკავშირებული საინტერესო გადმოცემა გვხვდება გიორგი შატბერაშვილის მიერ შეკრებილ მასალაში: „საყარაულო სერზე (სააკაძის კოშკის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს) იდგა ყარაული, რომელსაც დღისით ალამი ეკავა ხელში, ღამით კი, თუ საჭიროება მოითხოვდა, აანთებდა ჩირაღდანს ან კიდეც თივის ზვინს წაუკიდებდა ცეცხლს... სააკაძის კოშკიდან ჩანს ჭყოპიანი ციხე თემის ხეობაში, ჭყოპიანის ციხიდან – ცხირეთის ციხე, საყარაულო სერიდან ჩანს ძლევის ქედი, ძლევის ქედიდან – წინარეხი და სხვა... ეს საყარაულო სერი გიორგიმ მოაწყო. (მთქმელი: ვ. გობაძე, სოფ. ნოსტე) [შატბერაშვილი, 1975: 12].

როგორც ვხედავთ, გადმოცემა ნათლად გვიხატავს გიორგი სააკაძის წინადახედულობას.

გ. შატბერაშვილის მიერ ჩაწერილ გადმოცემათა დიდ ნაწილში საუბარია გიორგი სააკაძის დისა და ლუარსაბ მეფის ქორწინებაზე, ფეოდალთა მოშურნეობაზე, მათი ძალისხმევით „დიდი მოურავისადმი“ მეფის გადამტერებაზე. ასე მაგალითად, „გიორგი დიდი მეომარი იყო (აქაური იყო, ნოსტელი). ლუარსაბ მეფემ მისი და გაიცნო და ცოლად შეირთო. გიორგის ეწყინა, ფიქრობდა, თავადები გადამეკიდებიანო; მართლაც გადაეკიდნენ, ნოსტიდამ აიყარა და ყვინთან წავიდა. (მთქმელი ა. ქებაძე, 60 წლის, სოფ. კავთისხევი, 1943 წ.) [შატბერაშვილი, 1975: 16].

ეს საგულისხმო მომენტი ოდნავ განსხვავებული სახით ისტორიულ წყაროებშიც პოულობს ასახვას [ეგნატაშვილი, 1989: 760].

უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი შატბერაშვილის მიერ შეკრებილ ყველა გადმოცემაში სააკაძის ირანში გადახვეწა, მსგავსად ისტორიული წყაროებისა, შექმნილი პოლიტიკური სიტუაციით იყოს ახსნილი; გამონაკლისს წარმოადგენს სოფელ ნოსტეში (მთქმელი ვ. სიდამონიძე, 65 წლის, 1943) ჩაწერილი გადმოცემა, რომელშიც სააკაძის „თათრების მიერ დაჭერისა და ტყვედ წაყვანის შესახება“ საუბარი.

ხალხის ღრმა რწმენით, სამშობლოდან გადახვეწილი, მტრის ბანაკში მყოფი გიორგი სააკაძე არ წყვეტს საქართველოს კეთილდღეობაზე ფიქრს. ზოგი გადმოცემის მიხედვით, იგი ყოველნაირი გზით ცდილობს შაჰ-აბასის დარწმუნებას საქართველოს დალაშქრის აუცილებლობაში, იმ მიზნით, რომ შური იძიოს მტერზე, შეძლოს მისი შემოტყუება და განადგურება. ახერხებს კიდეც, მაგრამ ეს ნაბიჯი შვილის – პაატას - სიცოცხლის ფასად უჯდება.

ყურადღებას იპყრობს ერთი გადმოცემა, რომლის თანახმადაც სააკაძის მიერ შაჰ-აბასის ლაშქრის განადგურება წინასწარ დაუგეგმავ, მოურავის მიერ სპონტანურად მიღებულ გადაწყვეტილებად არის მიჩნეული: „სპარსეთში ბევრი ჯარი მისცეს, მაგრამ იქაურმა ნეფემ უთხრა: გენდოო? და შვილი გამოართო მძევლად. იმ შვილს შალვა ერქვა. წამოვიდა ჯარით გიორგი სააკაძე. მოვიდა საქართველოში, მაგრამ გულში თქვა: „საქრისტიანო როგორ გავწიროო? მოუბრუნდა სპარსეთის ჯარს და სულ გაწყვიტა. გიორგის ძლიერ ეხმარებოდნენ მხარგრძელი და ჩივადე. შვილი გასწირა გიორგიმ და სამშობლო კი – არა“. (მთქმელი ს. ბერიძე, სოფ. კავთისხევი, 194 წ) [შატბერაშვილი, 1975: 14].

გიორგი სააკაძისა და პაატას გმირობის შესახებ საოცრად ღრმა განცდით მოგვითხრობს გ. შატბერაშვილის მიერ სოფელ თვალაღში ჩაწერილი ლექსი. მასში ნათლად ჩანს, რომ არა მხოლოდ მამას, შვილსაც გაცნობიერებული ჰქონდა შაჰის წინააღმდეგ გალაშქრების შემთხვევაში მოსალოდნელი საფრთხე (მთქმელი კ. ონოფრიშვილი, სოფ. თვალადი, 1942 წ.). სათანადოდ არ დაუფასეს გიორგის სამშობლოსათვის თავდადება. საქართველოში დაბრუნებული მოურავი ამჯერად მეფე თეიმურაზს უპირისპირდება. იგი იძულებული ხდება, ოსმალეთში გადაიხვეწოს.

გიორგი სააკაძის გარდაცვალების შესახებ არსებული გადმოცემა ისტორიული წყაროსგან განსხვავებულ ცნობას გვაწვდის (მთქმელი ა. ქებაზე, სოფ. კავთისხევი, 1943 წ.). ფეოდალების მიერ მეორედ მოძულებული მოურავი ხონთქართან მიდის: „ხონთქარს ოცი ცოლი ჰყავდა. მეოცე ცოლი ცოტა უხამსი იყო, შავვრემანი იყო; გიორგის უთხრა, უნდა დაგნებდეო, მაგრამ გიორგიმ არა ჰქნა, შორს დაიჭირა. ქალი გაბრაზდა, ჩამამტერა და მიმნარე მოჰკლა. გიორგის ალაღმა ცოლმა თავი ზედ დააკლა, საცა ჩემი გიორგი მოკვდა, მეც იქ უნდა მოკვდეო. იმათ საფლავებს ახლაც ყარაულები უყენია“ [შატბერაშვილი, 1975: 12].

როგორც ვხედავთ, ხალხურ გადმოცემებში „დიდი მოურავის“ სახე მხოლოდ დადებითი კუთხითაა დანახული და შეფასებული. ისტორიკოსთათვის საორჭოფო ყოველ საკითხზე სააკაძისათვის გამამართლებელი მიზეზია ნაპოვნი, ხოლო მოურავის ნამოქმედართ გამოწვეული

არასასიამოვნო შედეგი, მისი ნების მიღმა, მძიმე ისტორიული რეალობიდან გამომდინარე გარდაუვალ აუცილებლობადაა მიჩნეული. სააკაძისადმი ხალხის მოჭარბებული სიყვარულის ნათელი დასტური ქართველთა სათაყვანებელი მეფე ქალის – თამარის - გვერდით ხსენებაცაა. შატბერაშვილის მიერ ჩაწერილ ერთ-ერთ გადმოცემაში (მთქმელი გ. ბარნოვი) ვკითხულობთ: „თამარ მეფის შემდეგ ყველაზე დიდი სახელი მას ჰქონდა“ [შატბერაშვილი, 1975: 14].

ყურადღებას იქცევს გადმოცემა, რომლის თანახმაც მითიურ ლურჯ ცხენზე ამხედრებული გიორგი სააკაძე გამოიყურება ზღაპრისა თუ მითოსის გმირად, რომელიც ებრძვის დემონოლოგიურ პერსონაჟს – გველეშაპს, ემსახურება სიკეთეს და ბოროტთა ტყვეობიდან ათავისუფლებს როგორც ცალკეულ ადამიანებს, ისე – მთელ თემს. ერთ-ერთი ამგვარი ლეგენდა მოგვითხრობს, თუ როგორ დაამარცხა სახელგანთქმულმა მოურავმა ტბას დაპატრონებული უზარმაზარი გველეშაპი. (მთქმელი ქ. იაშვილი, 80 წლის, სოფ. ეზატი, ჩაწერილია 1943 წლის იანვარში). „გიორგი სააკაძე ნოსტეში იყო. ერთხელ სახლის წინ ჩრდილში იწვა. ამ დროს მოვიდა მასთან ბერიკაცი, ორად მოხრილი და უთხრა: „– გიორგი, დღეს გველეშაპს ერთი ბავშვი უნდა მივართვათ“. გიორგი სააკაძეს ეს ამბავი გაუკვირდა და უთხრა: „– აბა, წავიდეთ, ვნახოთ“. ნოსტეს ზემოდან არის პატარა ტბა. იმ ტბაში, თურმე, ყოფილა გველეშაპი და ის გველეშაპი თხოულობდა თურმე ბავშვსა. გიორგი სააკაძე იმ დროს ახალგაზრდა, ჯეელი ყოფილა. ბევრი აღარ ალაპარაკა გიორგიმ, დაჯდა ლურჯა ცხენზე და მივიდა გველეშაპთან. გველეშაპმა სამადლიანი პირი გააღო და გიორგიმ ისარი ესროლა, ზედ ენის წვერზე მოარტყა და მოკლა გველეშაპი. ამ ამბავმა გიორგის სახელი გაუთქვა“ [შატბერაშვილი, 1975:14].

როგორც ვხედავთ, აშკარაა მსგავსება წმინდა გიორგის მიერ გველეშაპის მოკვლის სასწაულებრივ ამბავთან; ეს მსგავსება სააკაძისადმი ხალხის მოჭარბებული სიყვარულით, მისი ნებისმიერი მოქმედების კეთილგანზრახვათა რწმენით უნდა აიხსნას. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველი ხალხი მის საყვარელ წმინდანს მოკვდავ მოურავს არ გაუტოლებდა. ერთ-ერთი თქმულება (მთქმელი ვ. გობაძე, სოფ. ნოსტე, 62 წლისა, 1943) მოგვითხრობს: „საკაძე ხმლითა და ხმით ომობდა. ხმალი მისი ისეთი მძიმე იყო, რომ ახლანდელი ათი კაციც ვერ აწევდა. ხმაც ძალიან დიდი ჰქონდა. საფეთქლებზე ხელებს მოიჭერდა და საშინელი ხმით დაიკვივლებდა. მტერს ამით აშინებდა [შატბერაშვილი, 1975: 13]. გიორგი სააკაძის ხმის უცნაურ შესაძლებლობებზე კიდევ ერთ გადმოცემაშია საუბარი: „გიორგიმ ასეთი ომი იცოდა: გულმკერდზე ხელებს მოიჭერდა და ისეთი ხმით დაიკვივლებდა, ყველას აშინებდა, მაშინაც ეგრე მოიქცა და ყინის ჯარი სულ გააქცია“. (მთქმელი ქ. იაშვილი, 80 წლის, სოფ. ეზატი, ჩაწერილია 1943 წლის იანვარში) [შატბერაშვილი, 1975: 16].

ჯადოსნური ხმლისა და ხმის მოტივი უცხო არ არის აჭარის ზეპირსიტყვიერებისთვისაც. ქართველ მუსლიმთა რწმენა-წარმოდგენებში არსებული ძლიერი მეომრისა და ბრძენკაცის – ხეზრეთი ალის ციკლის აჭარულ ლეგენდათა თანახმად, ფალავნური ღირსების ერთ-ერთი თანამდევია ატრიბუტია ჯადოსნური ხმალი, რომელიც, ხალხის რწმენით, ღმერთმა აჩუქა უფლის მხედარ ალის. მას ხშირად „ლეკურის“ სახელითაც მოიხსენიებენ. „მისი ლეკური იმფერი იყო, უნდოდა, ჯიბეში ჩეიდებდა, რასაც ეტყოდა იმას ასრულებდა, ღმერთიდან ჰქონდა მიცემული“. ხალხს სჯეროდა, რომ ხეზრეთი ალის „ჰქონდა ხმალი, რომლითაც სერიდან სერზე გადადიოდა მოქნევის დროს“ [შიოშვილი, 2010: 182].

აჭარულ ლეგენდათა უმრავლესობა ხაზგასმით მიაწვდის, აგრეთვე ხეზრეთი ალის საარაკო ხმაზეც: „ხეზრეთი ალის, მეგემ, აფერი არ გუუმკლავდებოდა, იმისიმსხო ფეკლივანი ყოფილა; მეგემ, ეს ფეკლივანი რუმ დეეყვირეფს, იმისიმსხო ხმა აქ, რუმ მის ახლომახლო თუ ვინმე ინსანე იქნება, ამ ხმით გასწყდება, ამნაირი შეძლებული ფეკლივანია, მეგემ, ეს ხეზრეთი ალი“; ხეზრეთი ალიმ „ერთი დააკივლა იმფერი, რომე მაღარამ კანკალობა დეიწყო, გამოედვიდა დივს...“; ხეზრეთი ალი „რომ დეიყვირებდა, მარტო დაყვირებაზე ნახევარი ჯარი წყდებოდა“ [შიოშვილი, 2010: 184].

როგორც ვხედავთ, ხალხური სიტყვიერების ზოგადი პრინციპის შესაბამისად, ხალხურ ლექსებსა და თქმულებებში „საქართველოს გმირად“ შერაცხული დიდი მოურავის ხმალი ქების ობიექტად არის ქცეული, იგი ძლევამოსილების სახე-სიმბოლოა.

გიორგი შატბერაშვილის მიერ შეკრებილ ზეპირსიტყვიერ მასალაზე საუბრისას გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. მის მიერ ჩვენთვის მოწოდებული ყველა გადმოცემა თუ ლექსი გიორგი სააკაძის მშობლიურ კუთხეშია ჩაწერილი. ამით კიდევ უფრო ძლიერდება მთქმელთა სუბიექტური დამოკიდებულება ამ უდავოდ საინტერესო ისტორიული პირისადმი. ხშირად სწორედ ამით აიხსნება სააკაძის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯის დადებითი კუთხით შეფასების სურვილი, თუმცა ისიც უდავოა, რომ გიორგი შატბერაშვილის მიერ

მოპოვებული მასალა ფასდაუდებელია გიორგი სააკაძის ისტორიული გადაწყვეტილებების ორიგინალური ინტერპრეტაციის თვალსაზრისით.

ლიტერატურა:

1. ბერი ეგნატაშვილი, ახალი „ქართლის ცხოვრება“, ქართული მწერლობა, ტ. VI, თბ.; 1989.
2. „ენიკის მოამბე“, ტ. XIII, თბ., 1943.
3. იოსებ თბილელი, „დიდმოურავიანი“, ქართული მწერლობა, ტ. VII, თბ., 1989.
4. ლეონიდე გიორგი, საიუბილეო კრებული, თბ., 1970.
5. ჟურნალი „ისტორიანი“, №3, თბ., 2011.
6. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
7. სიდამონიდე ვ, გიორგიმ ნახა სიზმარი, თბ., 1988.
8. გ. შატბერაშვილი, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1975.
9. თ. შიოშვილი, წმინდა გიორგი ქართულ ხალხურ სასულიერო პოეზიაში, - კრ. „დიდაქარობა“, თბ., 2010.
10. თ. შიოშვილი, ხეზრეთი ალის ციკლის ლეგენდები აჭარის ფოლკლორში, - ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, ბათუმი 2010.
11. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967

Lela Kukuladze

Tbil Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

HISTORICAL FOLK-LORE OF GIORGI SAAKADZE CYCLE

**(ACCORDING TO G. SHATBERASHVILI'S LETTER 'GIORGI SAAKADZE IN PEOPLE'S MEMORY')
RESUME**

We should mention that G. Shatberashvili was the first person who published the legends and rhymes about Giorgi Saakadze, who was a very interesting historical figure. He began to collect and study stories and legends, which were spread among people, from his native country. In G. Shatberashvili's letter 'Giorgi Saakadze in people's memory' there are different interesting materials, which give us interesting information about Giorgi Saakadze's ancestors, members of family, about his motivation of political steps.

The aim of my work is to analyze this letter.

მარიამ მარჯანიშვილი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

ცნობიერების ნაკადში დანახული სამშობლო (მარიამ კერესელიძის ეპისტოლეების მიხედვით)

„გავდივართ სოფლიდან ძველნი, ჩვენი თაობაც გათავდა, ხოლო თუ საქართველოში ახალ თაობას ჩვენი არა ესმის რა, მისი შემდგომი თაობა გაგვიგებს...“

მიხაკო წერეთლის ეს სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. „ხმა მართლისა სიმართლის“ - ხან საქართველოში გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან დადგა, როცა ბოლშევიკურ-საბჭოური იდეოლოგიით გაჟღენთილმა საზოგადოებრივ სისტემამ თანდათანობით მეტამორფოზა განიცადა და ქართველი პოლიტიკური ემიგრაციის ცხოვრება-მოღვაწეობით საზოგადოება დაინტერესდა და თან იმაშიც დარწმუნდა, როგორც ემიგრანტი სოფიო ჩიჯავაძე-კედეა ამბობდა: „თუ ოდესმე ჩემი ნაამბობი მისწვდება იმას, ვინც ძველი თაობის სიძულვილშია აღზრდილ-დავაჟკაცებული, ურიგო არ იქნება გაეცნოს

ძველ ამბებს და იმაში მაინც დარწმუნდეს, რომ ჩვენ თაობას სამშობლოს ტკივილები საკუთარ ჭირად მიგვიჩნევია, მაგრამ თუ მის იარებს სამკურნალო მალამო ვერ აღმოვუჩინეთ, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ჩვენ ძალ-ღონეს აღემატებოდა...”

ეს დრო დღესაც გრძელდება... და ამ იმედითა და რწმენით სააშკარაოზე გამოგვაქვს მარიამ კერესელიძის წერილები, რომლის ადრესატი გახლდათ თბილისში მცხოვრები ელენე კერესელიძე-გლურჯიძისა:

„ჩემო საყვარელო და მუდამ სანატრელო მამიდა ელენე!

როცა უიმედო ვიყავი (დაიკარგა ჩემი საყვარელი მამიდას წერილი, ძვირფასზე ძვირფასი!), აი! მივიღე შენი პასუხი, მრავალჯერ ვაკოცე და სველი ქაღალდი შენი ცრემლებით და შენი სახით მეც ბევრი ვიტირე...

... მამილო და დედა სულ შენზე ილაპარაკებდნენ და ჩემთვის, შენ იყავი როგორც სიზმრის არსება, რომელიც ამ მსოფლიოს არ ეკუთვნება და ცხოვრობს სადმე, შორეულ ვარსკვლავში; ვარსკვლავი - საქართველო, რომელიც მე ვიცქირებოდი ბნელ ღამეში ნატვრით, დარდით... და ეხლა ვკითხულობ შენი სიტყვები, ვღებულობ შენი თბილი ალერსი!

ეხლაც თვალები ცრემლებით სავსე გწერ, მხოლოდ ჩვენ, ქართველები, ისეთი ღრმა და თბილი სიყვარული ვიცით...” (ლიმა 30.08.56).

მამიდა-მმისშვილს შორის 1956 წლით დათარიღებულ პირველ წერილებს ნოსტალგიით სავსე ეპისტოლეების მთელი წყება მოჰყვა.

მარიამ კერესელიძის შემდგომი წერილი მოგვითხრობს: „მივიღე ბიძა გოგიას წერილი, იწერება რომ უკვე ორი თვე შენი წერილი არ მიიღო... გენაცვალე! რომ იცოდე როგორ მიყვარხარ! ოხ! გენაცვალე გწერ და თანაც ვტირი... ახალ წლისათვის ჩემი ფიქრები და კეთილი სურვილი, ჩემი ნატვრა და გული შენთან, თქვენთან იქნება...

და იფიქრე რომ სადმე, შორს, დაკარგული უცხოეთში, შენით ოცნებობს დაკარგული ქართველი ქალი, შენი ძმის შვილი, შენი მარიამ“ (პერუ 18.12.59).

სულის სიმეზზე გატარებული ამ სტრიქონების ავტორი მარიამ კერესელიძე სამშობლოს დიდი პატრიოტისა და მამულიშვილის ლეო კერესელიძის ქალიშვილი გახლავთ. და, როგორც გიორგი კერესელიძე წერდა თავის დას ელენეს: „ლეო იყო და არის მისი კერპი, მარიამი ლეოს ხატი“ (პარიზი 23.08.59).

ლეგენდარული ძმები კერესელიძეები - „ლეო, გიორგი, იასონი - XX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს იმ პოლიტიკურ, საზოგადო და სამხედრო მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნებიან, ვინც თავისი საქმე და ცხოვრება სამშობლოს დამოუკიდებლობის იდეას დაუკავშირა. ბედმა ძმებს მნიშვნელოვნად განსხვავებული სამოქმედო დრო და ასპარეზი გამოუყო: 39 წლის იასონ კერესელიძე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სხვა წევრებთან ერთად 1923 წლის 23 მაისს დახვრიტეს. 1906 წლიდან მოყოლებული ცხოვრების ბოლომდე, ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებად რჩებიან ლეო და გიორგი კერესელიძეები“, - აღნიშნავს პროფესორი ლევან გლურჯიძე.

ძმები კერესელიძეების მამა მათე კერესელიძე 1873 წელს დასახლდა გორში ილიასა და ანტონ ფურცელაძის თხოვნით. მალე აზნაურის ქალი მარიამ ყანჩელი შეირთო. სოფელი ახრისი, სადაც კერესელიძეები სახლობდნენ, მეჯვრისხევთან ახლოს მდებარეობდა, „იქ, სადაც მეჯუდას ერთი ფშანი უერთდება, მეჯუდა ლიახეს და ლიახეი მტკვარს“.

„ჩვენ გვქონდა ჩვენი დედ-მამის სურათი პოეტ იოსებ დავითაშვილის მიერ ამოჭრილი ჩუქურთმიან ჩარჩოში. უკან ეწერა პოეტის სახელით - ჩვენი მშობლებისადმი მიძღვნილი მისი ლექსი. იქნება კიდევ არსებობს. ნუ დაჰკარგავ თუ შენს ხელთ არის. დედა-ენის ძველ გამოცემაში იყო მოთავსებული ი. დავითაშვილის „იზარდე, მწვანე ჯეჯილო“ - რომელსაც წამღვნილი ჰქონდა: „ვუძღვნი ლეო კერესელიძეს“, ხომ არა გაქვს ეს გამოცემა“ (ჩვენს ხელთ არსებულ დედა-ენაში იოსებ დავითაშვილის 1885 წლით დათარიღებულ ლექსზე „ჯეჯილი“ წამძღვარებულია „ვუძღვნი პაწია ლევანს“).

ჩვენ გვქონდა აგრეთვე ანტონ ფურცელაძის პოემა: „თამარ-ლაზნელი“, რომელიც მამა ჩვენს უძღვნა...

გვქონდა აგრეთვე დედას მოთხრობა: „ნენე“ - მისი ლამაზი ხელით დაწერილი. ნეტავ ვისა აქვს ეხლა - თუ კიდევ არსებობს?“ - წერდა თავის დას გიორგი კერესელიძე“ (პარიზი 15.07.1959).

მათე და მარიამ კერესელიძეები 6 შვილს უზრდიდნენ სამშობლოს (მხოლოდ ერთი ადრიანად გარდაეცვალათ) და ბავშვობიდანვე უნერგავდნენ რწმენას, რომ რუსი საქართველოდან უნდა წავიდეს. მათ ოჯახს ხშირად სტუმრობდა საქართველოს ჭირ-ვარამზე დაფიქრებული ინტელიგენცია, რომლებიც ახალგაზრდებს კიდევ უფრო უმტკიცებდნენ აზრს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შესახებ. ოჯახთან ნათელ-მირონობა აკავშირებდა მწერალ ანტონ ფურცელაძეს, რომელიც ლეო კერესელიძის ნათლია გახლდათ. მისი ორი წლით უმცროსი გიორგის ნათლია იყო ქაიხოსრო ფურცელაძე, ხოლო ერთადერთი ასულის ელენე კერესელიძის კი - აკაკი წერეთელი.

ფშანის ნაპირებზე ძმები კერესელიძეები ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების სოფ-
რამ მაგალობლიშვილისა და ნიკო ლომოურის შვილებთან ერთად თამაშობდნენ და მეგობრობდნენ.

ლეო კერესელიძე და ლეო მაგალობლიშვილი ერთა თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის ლეო
გამბეტას საპატივცემულოდ მის სახელს ატარებდნენ.

ცხადია, ოჯახი და გარემო პირობები დიდ ზეგავლენას ახდენდნენ ძმები კერესელიძეების თავი-
სუფლების იდეალების ჩამოყალიბებასა და პატრიოტული სულისკვეთებით აღზდაზე.

1890 წელს მათე კერესელიძე ოჯახით თბილისში გადასახლდა, სადაც მათი შვილები აქტიურად ჩა-
ებნენ ლიტერატურულ, პოლიტიკურ თუ მებრძოლთა წრეებში. თავდაპირველად ძმები „ცნობის ფურ-
ცლის“ ირგვლივ გაერთიანდნენ და საქართველოში მეფობის აღდგენაზე ოცნებობდნენ, თუმცა სოციალ-
ფედერალისტური პარტია, რომლის ორგანოს ზემოხსენებული გაზეთი წარმოადგენდა ავტონომიისა და
ფედერალიზმის მომხრე იყო, მაგრამ საბოლოოდ ყველა ერთ საერთო მიზანს ემსახურებოდა: „საქართვე-
ლოს დამოუკიდებლობასა და რუსთა განდევნას“...

ქენევაში გაიცნო ლეო კერესელიძემ თავისი მომავალი მეუღლის ოჯახი, რომლებიც ისე მოხიბლა,
რომ მათ საქართველო და ქართველობა საოცნებო საგნად გაუხადა: „ლეოს მეუღლე მართა (მარტა) არაჩვე-
ულებრივი სიღრმის ბუნებისაა, ინტელგალურად პატიოსანი, თავდადებული სხვისათვის“, - წერდა დას
რძალზე გიორგი კერესელიძე (**პარიზი 23.08.59**).

ლეოს მომავალი მეუღლე მართა ეჩოულტრე იყო ცნობილი შვეიცარიული საათების განთქმული და
დღესაც მსოფლიოში მეტად წარმატებული ფირმის („ჟაეგერ-ეჩოულტრე“) დამაარსებლისა და მფლობე-
ლის ჟაცქუეს-ავიდ ეჩოულტრეს (1875-1948) ქალიშვილი.

მართა ეჩოულტრე იყო ლეო კერესელიძის ყველა საქმის თანამდგომი და თანამგრძნობი. იყო ეს -
საქართველოს დამოუკიდებელი კომიტეტის დაარსება ქენევაში, მის შემადგენლობაში მუშაობა შვეიცარი-
აში, გერმანიაში თუ ოსმალეთში. ქართული ლეგიონის ჩამოყალიბება და მისი პირველი სარდლობა; საბ-
რძოლო ოპერაციები საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში; პატრიოტულ-ახალგაზრდული ორგანიზა-
ციის „თეთრი გიორგის“ დაარსება და წინამძღოლობა, ისტორიულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა და მრავ-
ალი სხვა.

სულთ და ხორციტ უმშვენიერესი ქალბატონი მეუღლის სიყვარულის გამო ბევრ გაჭირვებას იტან-
და: „6 წლის ვიყავი როცა დავინახე საწყალი დედა როგორ წაიქცა უგონოტ შიმშილის გამო. მამა მაშინ მა-
ლიან ავად იყო. შემდეგ რამოდენიმე წელიწადი უკან, მე და დედა დიდი ხანი გარეთ დავიძინეთ და ლუკ-
მა პურიც კი არა გვქონდატ“ (**სოფელი მანკორა 13.12.56**).

გრიგოლ რობაქიძე ამბობდა: „ჯიშის გენისათვის მარტო „სისხლი“ არ კმარა: ვიცით, რომ მისთვის
საჭიროა წვართი სულისა და გულისა და ხასიატისა“.

ქართული ჯიშისა და გენის, ერის თავისუფლებისაკენ სწრაფვის დაუოკებელი სურვილი და უდი-
დესი მოვალეობა ჩაუნერგა მარიამ კერესელიძეს მამამ - გენერალმა ლეო კერესელიძემ. იგი თავის ერთ-
დერთ ქალიშვილს „მამაკაცურად ზრდიდა, ცდილობდა, მისთვის გამოემუშავებინა ისეთი თვისებები,
რომლებიც რთულ ვითარებაში გამოადგებოდა. მამის სურვილიტ, ის უნდა ყოფილიყო მისი პოლიტიკუ-
რი კურსის გამგრძელებელი და „თამარ მეფე“ თუ არა ქართველი „ჟანა დარკი“ მაინც“.

„მარიამ კერესელიძე დაიბადა 1922 წლის 13 ივლისს თურქეთში“, რომელსაც მამამ თავისი დედის
მარიამ ყანჩელის საპატივცემულოდ მისი სახელი დაარქვა. „როგორ მიხარია ჩემი ცუდი ხელტანწერი საყ-
ვარელი დიდედა მარიამისას რომ ჰგავს!“, - აღნიშნავდა ერთ-ერთ წერილში მარიამი.

მარიამ კერესელიძის დაბადების თარიღად მისი მამიდის ელენე კერესელიძე-გლურჯიძის პირადი
არქივის მიხედვით 1921 წელი და შვეიცარიაში დაბადებაა მიჩნეული, რომელსაც ადასტურებს 1959
წლიტ დატარიღებული თვით მარიამ კერესელიძის ერთ-ერთი ეპისტოლეტ: „13-7-59 ჩემი დაბადების
დღისათვის მივიღე შენი ძვირფასი წერილი სურათით. როცა ვნახე შენი სურათი ამ საათში ვიფიქრე „რა-
ტომ ზიდა გოგია მიგზავნის ჩემი პირადი სურათი! „მეთქი!“ მე და შენ იგივე სახე გვაქვს! შენი ძვირფასი
სურათი ისევე როგორც საყვარელი პატარა ლეოს სურათები ჩემი მაგიდაზე არიან. დამე როცა ვიწვები, ვა-
ყურებ და ღმირად ვტირი და ვფიქრობ რომ უკვე 14 წელიწადი გაიარა რაცა უკანასკნელათ ველაპარაკე
ქართველ ადამიანს, ვფიქრობ რომ ყოველ დღე მავიწყდება მშობლიური ენა და რომ უკვე 38 წლისა ვარ და
მიკვდება გული!“ (**18.12.1959**).

მარიამ კერესელიძემ განათლება რომში „წმინდა მარიამის“ სახელობის მონასტერში მიიღო. იგი
კარგად ფლობდა როგორც ევროპულ, ასევე აღმოსავლურ ენებსაც.

„წმინდა მარიამის“ სასწავლების დასრულების შემდეგ იგი მშობლებთან ერთად ჩრდილოეთ მარო-
კოში, ქალაქ ტანჟერში ცხოვრობდა.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ლეო კერესელიძე ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტებთან ერთად
იბრძოდა დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად და საქართველოს რუსეთის სივრციდან გამოსახ-
სნელად. იგი ამ მსოფლმხედველობასა და იდეებს უნერგავდა თავის ერთადერთ ქალიშვილსაც.

სამშობლოსათვის თავდადებული და ფიზიკურად ძლიერი, მედგარი და უშიშარი, მიზანდასახული და უაღრესად ნებისყოფიანი მარიამ კერესელიძე მამას მუდმივად გვერდით ედგა და მის მრავალ საქმეთა შეუპოვარი თანამონაწილედ გახლდათ.

გასული საუკუნის 20-იან წლებში კერესელიძეების ოჯახს ევროპაში ცხოვრება ძალიან გაუჭირდათ. ამასთან დაკავშირებით მარიამ კერესელიძე თავის ეპისტოლეში აღნიშნავდა: „1924 წელს სულ უარაფრით ვიჯექით. რატომ ვიყავით ამდენათ ღარიბი? მშობლებმა ხომ ყველაფერი დაკარგეს. შემდეგ დედას რაც ჰქონდა შვეიცარიაში დახარჯეს, ძალიან ბევრ ქართველს უშველეს. მამა მუშაობას ეძებდა პარიზში, მაგრამ თითქმის არაფერს არ იგებდა და მალე ავად გახდა. დედა კერვის მუშაობა დაიწყო, მთელ ღამეს ათენებდა, რომ ლუკმა პური მოეგო.

1933 წლამდე მამა ძლიერ იყო ავად, მაგრამ რასაც ვღებულობდით დედის ოჯახიდან ძლივს გვაცოცხლებდა. მერე დიდდაჩემი მოკვდა და ფული დაგვიტოვა. შემდეგ კი საჯდომი სკოლა გვქონდა და ამით წესიერად ვცხოვრობდით“ (30.07.1957).

მშობლიური ენა მარიამს მამამ ბავშვობიდანვე შეასწავლა. იგი ქართულად ლექსებსაც წერდა და მღეროდა: „ძლიერ იმოქმედა ჩემზე ამ ამბავმა, რომ გარდა ნათესავებმა, ნაცნობებმაც მოუნდომიათ ჩემი წერილის კითხვა. ეხლა დღიურად ვმაცადინებ ქართულ ენაზე და ვესაუბრები ჩემ თავს ხმა მაღლა ქართულად! 11 წლის განმავლობაში ქართული წიგნი არ წამიკითხია, მაგრამ დამერწმუნე რომ ეხლა მაცადინებ... მე სიმართლე გითხრა, რომ დედა არა მყოლიყო იქნებ თავს მოვიკლავდი ათი წლის უკან. აქ არაფრისი გემო არ მაქვს, მკვდარივით დავდივარ, ჩემი გული და ოცნება კი, მანდ არის თქვენთან... საერთო მდგომარეობაზე ბევრი სათქმელი მაქვს, მაგრამ მეშინიან ამერიკელის ცენზურას არ ჩაუვარდეს ხელში ჩემი წერილი“ (მანკორა 16.10.56).

განათლებით, ჭკუითა და ქალური მომხიბვლელობით გამორჩეული მარიამ კერესელიძე თავყვანის-მცემელთა დიდ ყურადღებას იპყრობდა. იგი დაინიშნა ტანჟერში შვეციის დესპანზე, მაგრამ მათი ურთიერთობა მალე დამთავრდა. შემდეგ იგი ცოლად გაჰყვა ერთ-ერთ მსხვილ ინგლისელ ჩინოვნიკს, არც ეს კავშირი აღმოჩნდა მტკიცე.

ლეო კერესელიძეს მაროკოში ცხოვრებისას ბევრი წმინდა სისხლის ცხენი ჰყავდა. მამის წყალობით მარიამი კარგად დაეუფლა ცხენოსნობას. იგი ცხენოსნობაში მამაკაცებსაც სჯობნიდა, რომლის შესახებაც პრესა არა ერთხელ აღნიშნავდა.

მ. კერესელიძე გატაცებული იყო ჟურნალისტიკითა და სიძველეთა კვლევით. მის ქმედებას, ქცევასა და საზოგადოებასთან ურთიერთობებს კონტროლს უწევდა მამა. ტანმაღალი, მუქ-თაფლისფერ თვალები, გრძელი შავთმიანი და მომხიბვლელი მარიამი მუდამ ყურადღების ცენტრში იყო.

მარიამი საკმაოდ საინტერესო პიროვნება გახლდათ და ქართველთა შორისაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. 1940 წელს ლეო კერესელიძემ დატოვა ტანჟერი და ჯერ საფრანგეთში, შემდეგ კი გერმანიაში გაემგზავრა.

ამ პერიოდიდან მოყოლებული, „მარიამ კერესელიძემ თანამშრომლობა დაიწყო ტანჟერში და ესპანეთის მაროკოში მოქმედ გერმანიის დაზვერვასთან, რომელსაც ფაშისტური გერმანიის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურის გერინგის ბიძაშვილი ხელმძღვანელობდა. მ. კერესელიძის სამსახურეობრივ მოვალეობაში შედიოდა გერმანიის დაზვერვისათვის საინტერესო პირთა გადმოხიზვა და მასთან კავშირზე მყოფი აგენტების მეშვეობით სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება. სწორედ მის მონაცემებზე დაყრდნობით გერმანიის ავიაციის მიერ სამი წლის მანძილზე იბომბებოდა გიბრალტარი, მარიამის „დამსახურების“ ნუსხაში იყო აგრეთვე ტანჟერში აკრედიტებულ ამერიკელ და პორტუგალიელ ელჩებს შორის წარმოებული საიდუმლო მოლაპარაკებების გამჟღავნება“.

1942 წელს მარიამ კერესელიძე დედასთან ერთად ბერლინში გაემგზავრა. მამის დაჟინებული მოთხოვნით, ვუსტრაუს ტყვეთა ბანაკში ანტისაბჭოთა აგიტაციას ეწეოდა და მამის ინტერესების გამტარებლად საქმიანობდა. „იგი ბანაკში ორგანიზებულ ქართული სიმღერისა და ცეკვის გუნდში (ხელმძღვანელი პავლე მალრამე) მონაწილეობდა. გუნდში მღეროდა ქართულად და მომხიბვლელად ასრულებდა კავკასიურ ცეკვებს. გუნდი მთელ გერმანიასა და მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოგზაურობდა. ტყვეთა ბანაკში მან ბევრი ქართველი მეგობარი შეიძინა და ქართული ენა უფრო განიმტკიცა“ (ბერლინი 10.03.1943).

1943 წელს ბერლინის დაბომბვისას ლეო კერესელიძე დაიღუპა. ამასთან დაკავშირებით მარიამი მამიდას წერდა: „22 ნოემბერს 1943 წელს მამილომ გვითხრა, რომ სიხმარში ნახა თავისი თავი თეთრად ჩაქმული და მთელი ნათესავები, დედ-მამა, რომლებიც მოკვდნენ - შავი ტანისამოსით და გვითხრა: „ცუდია, მალე მოკვდები“ და 23-ში დაიღუპა, როგორც ბებია მარიამი“ (30.08.1956).

ცნობილი ემიგრანტისა და ესეისტ თამარ პაპავას წერილის „ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე“ პერიფრაზის გამოყენებით, შეიძლება განვაცხადოთ, რომ ასე და ამგვარად სამშობლოს მკერდიდან მოკვე-

თილმა ღირსეულმა შვილმა ლეო კერესელიძემაც მისი ნიჭი და უნარი თავისი ქვეყნის ერთგულებას, სიყვარულს და მის უკეთეს მერმისზე ფიქრს შეაღია...

„მამაჩემი სულ ამბობდა: მე ვერ ველირსები საქართველოში დაბრუნებას, მაგრამ თქვენ კი დაბრუნდებით“, – აღნიშნავდა მარიამი მამიდის სახეზე გაგზავნილ წერილში **(30.08.1956)**.

1945 წლის 26 მარტს მარიამ კერესელიძე დედასთან და სხვა ქართველებთან ერთად, ჩრდილოეთ იტალიაში გაემგზავრა, სადაც ქართველთათვის განკუთვნილ რაიონში შეუერთდა 150 იძულებით გადაადგილებულ თანამემამულეს.

იტალიაში ჩამოყალიბებულ სათვისტომოში მ. კერესელიძე ანტისაბჭოთა აგიტაციას ეწეოდა. იგი 1945 წლის 29 აპრილს გამთენიისას იტალიელ პარტიზანებთან გადასვლის მცდელობისათვის „სს“ – ის ქართული პოლკის მეზრძოლებმა დააპატიმრეს.

ქართველი „ესელები“ აზრით, იმდენად დიდი იყო ლეო კერესელიძის ავტორიტეტი ანტისაბჭოთა ემიგრაციაში, რომ მის ქალიშვილს ფაშისტებისათვის არ გაიმეტებდნენ და გაქცევას მაინც მოუწყობდნენ.

ამასთან დაკავშირებით მარიამ კერესელიძე ეპისტოლეში აღნიშნავდა: „ომის ბოლოს პარტიზანი ვიყავი იტალიის მთებში, წამიყვანია 600 ქართველი ბიჭები. გერმანელმა „ესელებმა“ კინალამ დამხვრიტეს, მაგრამ, როგორც იყო გადავრჩი. დედამ საშინელი დრო გაატარა, სულ მოელოდა ამბავს, რომ მკვდარი ვიყო. მის შემდეგ რაღაც ჯილდო უნდოდათ მოეცათ, მაგრამ მე ეს არ მაინტერესებს. მანდ, იტალიის მთებში ქართველებს აღმერთებენ და ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ „ქართველების წყალობით და მარიამის წყალობით ჩვენ გადავრჩითო. თორემ, იტალიელი პარტიზანების იმედიტო ყოფილიყვნენ, ბევრი ხალხი დაიღუპებოდა, ვინაიდან იტალიელი პარტიზანებმა კურდღელებივით ირბინეს საშიშ დროს.

ომის დროს ფრიდონ წულუკიძემ ჩამაბარა თავისი ხელით გერმანელ „სს“ რომ დამხვრიტონ! როგორღაც გადავრჩი. იტალიაში, ომის შემდეგ იტალიურმა მთავრობამ მოხოვა თუ შეიძლებოდა საკონცენტრაციო ბანაკიდან ფრიდონის გაშვება და მე ვეთანხმები“ **(01.10.1958)**.

ომის შემდეგ ბიძამ მარიამი და დედამისი შვეიცარიაში წაიყვანა. 1948 წელს მარიამ კერესელიძე შევიდა შვეიცარიის უნივერსიტეტში. სწავლის პარალელურად იგი ევროპულ ენებს ასწავლიდა სკოლებში. შემდეგ კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მთარგმნელადც მუშაობდა.

„ჩემმა ბიძამ, (დედის მხრივ) წაგიყვანა 1948 წელი შვეიცარიაში, უნივერსიტეტში ვსწავლობდი, თანაც ენებს ვასწავლიდი სკოლებში, მერე დავიწყე უნო–ში მუშაობა მთარგმნელათ და მანდ კარგი ფული ვიგებდი. აქაც თევზაობით კარგათ წავიდა საქმე და იმედია კარგათ წავა ლიმაში...

შენი წერილი სიცოცხლის წყაროა ჩვენთვის. მე და დედა სულ ველი შენგნით წერილს. ჯერ ვერ გავმთავრე რომანი ვინაიდანგან დღიური მუშაობა და ბრძოლა ცხოვრებისათვის არც დრო და არც სიწყნარეს არ მაძლევს“ **(30.07.57)**.

„ვგონებ ყველაზე მეტად მარიამს მე ვუყვარდი და ყველაზე მეტი ავტორიტეტი მის თვალში მე მქონდა. ბევრი ვურჩიე, დარჩი შვეიცარიაში, გათხოვდი შვეიცარიელზე, დაამკვიდრე საღ ნიადაგზე შენი ცხოვრება მეთქი. არა გამოვიდა რა. ბუნება აქვს ცოტა ავანტურისტული. კარგია საღი ავანტურა, მაგრამ როდესაც საზღვარს და საღ ანგარიშს გადალახავ – ცუდად მთავრდება“, – წერდა დას გიორგი კერესელიძე **(პარიზი 23.08.59)**.

ომის დამთავრების შემდეგ მარიამ კერესელიძესაც დევნილობა მოუწია, რომლის მიზეზი იყო მეორე მსოფლიო ომში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის გარკვეული ნაწილის, მათ შორის მამა–შვილ კერესელიძეების, ნაციტურ გერმანელებთან თანამშრომლობა. ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირი ევროპის მრავალ ქვეყანაში ინტენსიურად აწარმოებდა ფაშისტური გერმანიის მომხრე პოლიტიკური ემიგრანტების, ტყვედჩაგვარდნილებისა და გერმანიის მხარეზე გადასულ საბჭოთა მეომრების დაჭერასა და დახვრეტას.

ამას გარდა, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული საბჭოთა კავშირი ცდილობდა დანგრეულ ევროპაში ადგილობრივი კომუნისტური პარტიების ზეწოლით სოციალისტური წყობილება დაემყარებინა და ეს რეგიონი თავისი გავლენის ქვეშ მოექცია. ყოველივე ეს საფრთხეს უქმნიდა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას, ტყვედ ქმნილებსა და დევნილებს, რომელთა რეპატრაციას საბჭოეთი და მისი მეტაური სტალინი აშკარად მოითხოვდა.

ასეთი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან ერთად მარიამ კერესელიძემაც სამხრეთ ამერიკას მიაშურა. იგი დამკვიდრდა პერუში, კითხულობდა ლექციას ლიმას უნივერსიტეტში.

„მიიღე თუ არა, ჩემი თებერვალში დაწერილი წერილი, რომელში გატყობინებდი, ჩემი უბედური შემთხვევა სატვართო ავტომობილით? კინალამ მოვკვდი! ეხლა კარგად ვგრძნობ თავს.

გემი დაიღუპა და სულ ყველაფერი დავკარგე, საბედნიეროდ არავინ არ დაიკარგა, ეს მთავარია.

მატერიალურად ცუდი დრო გავატარეთ ბოლოს დროს, მაგრამ არაფერი არ გვაკლია. ეხლა კი, იმედი მაქვს ახალი საქმე გავაკეთო, თუმცა ამაზე ლაპარაკი ნადრევია. პატარა ხე-ტყის ქარხანა მინდა მოვაწყო. ნაცნობებმა მანქანები მამლევენ, ეს პირველი ნაბიჯია, მერე ბანკიდან ფული უნდა მოვახერხო სესხად, ცოტა ძნელია. ხე-ტყის მუშაობა ჩემთვის ახალი საქმეა, მაგრამ იმედია მაინც გამოვა. თამარ გულ-მოსულია ჩემზე: „რათა მუშაობ მაშაყავურ და მაგარი მუშაობაზეო? შენი ადგილი ხომ უნივერსიტეტშიაო!“ მე დიდი ქალაქის ცხოვრება არ მომწონს, არც დედას. გვიყვარს ბუნება და მარტოობა...

მე და დედის უდიდესი სურვილია თქვენთან ვიყოთ და ვიმედობთ რომ ოდესმე შეგხვდებით. რატომ არაფერს არ იწერები დედის სურათის შესახებ? ალბათ ძალიან შეიცვალა. დიას! საწყალი დედა, მანამ მამა ცოცხალი იყო, ახალგაზრდა იყურებოდა და მიუხედავად ამისა, რომ დედა ჩვენი გულისათვის მეტის მეტად იმუშავა და იწვალა. მამა რომ მოკვდა, უცბად დაბერდა და თუ კი არ მომკვდარა თვითონ სევდით ეს იმიტომ იცოდა, რომ მარტო მე სადღაც დავიკარგებოდი. მაგრამ დედის ცხოვრება ამის შემდეგ, ნამდვილი ჯოჯოხეთია... თუმცა მუდამ ხალხს შეხვდება ღიმილით, მე მხოლოდ ვიცი როგორ იტანჯება. მეტისმეტად უყვარდათ ერთმანეთი და მამა აუცილებლად მომკვდარიყო 1925–1928 წელს უდედოთ. შენ არ იცი რა მძიმეთ იყო ავად მამაჩემი, და რა პირობებში ვცოცხლობდით ძლივს“ **(ლიბა 21.04.57)**.

შრომით საქმიანობასთან ერთად პერუში მარიამ კერესელიძე კეჩუას ენის შესწავლასაც დაეწევა. იგი წერდა: „მე კეჩუას ვსწავლობ, რომ ამ საწყალ, დაჩაგრულ ხალხთან უფრო ახლოს ვიყო, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით მანკორაში, მანდ კეჩუა დაუფიქრიათ. მე ხუთ ენაზე ვლაპარაკობ და ვწერ თითქმის ყოველდღე და ეხლა ინდიელების ენას, კეჩუასაც ვსწავლობ, რადგან აქ კეჩუას ენაზე ლაპარაკობს ათი მილიონი კაცი. მთავრობა პერუში ოფიციალურად არ სცნობს კეჩუას და აქ მხოლოდ ესპანური იხმარება ყველაფრისათვის“ **(31.08.1960)**.

მარიამ კერესელიძეს მამის ყველა თვისებასთან ერთად მისი სამწერლო ნიჭიც გამოჰყვა: „14 წელიწადის უკან პატარა, ქართულად დაწერილ ლექსებს ვწერდი, რომელიც მღეროდი ფანდურზე, მიკვირს და გული მტკივა რომ სრულიად დავიწყებული მაქვს მშობლიური ენა!

ჩემო კარგო, შენ ხომ იცი გონიერათ მაშაყავი ვარ! 2 კვირაში ვიწყებ პატარა ხმადის ფაბრიკას. ჩემთან ერთათ საქმეში იქნება ძალიან კარგი ბელგიელი მეგობარი ქალი. აქ უნივერსიტეტში მთხოვეს რომ ფრანგული ენა ვასწავლო, მაგრამ ჯამაგირი ისეთი პატარაა, რომ მართლა არ მაინტერესებს“ **(1.10.58)**.

„ბოლოს დროს, ორი დრამა დავწერე, ვნახოთ თუ მიიღებენ ტეატრში!“ **(24.09.58)**.

მარიამ კერესელიძემ პერუში ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში, 38 წლის ასაკში, ესპანურ ენაზე დაწერა პიესა „მაიტა“, რომლის შესახებაც იგი აღნიშნავდა: „სექტემბრის თვეში აქ პირველ თეატრში დგამენ ჩემს პირველ პიესას-დრამას ესპანურად დაწერილს. გიგზავნი გაზეთს, სადაც იწერება, რომ ქართველი ვარ. ჩემი პსევდონიმია – ლეო კერელი! იმედია მეორე დრამა ჩემი დაიდგმება 1960 წელს და თუ კი კარგია, ვინ იცის, იქნებ ევროპაში მიიღონ და ... ვინ იცის თუ კი საბჭოთა კავშირში არ მიიღონ? იმიტომ რომ ეს დრამა პერუს ცხოვრებიდან არის აღებული. მე დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი პიესა „მაიტა“ მიიღებენ თბილისშიც და მოსკოვშიც და ეს იქნება დიდი საშუალება ჩვენი შეხვედრისა“ **(03.07.1960)**.

მარიამ კერესელიძემ თავისი ორი დრამატული პიესიდან, ერთ-ერთი „მაიტა“ თბილისში მამიდას გამოუგზავნა, რომლის შესახებაც იგი თავის ეპისტოლეში აღნიშნავდა: „როგორ მიხარია ჩემი პიესა რომ მიიღე! მე გთხოვ, აუცილებლად ვიღაც ამხანაგს სთხოვე, რომ გადაგვითარგმნონ შენთვის, ხმა მაღლად, რადგან მეტისმეტად მაინტერესებს და მინდა რომ შენ გაიგო ამით ჩემი გულის კვეთება და აზრი. რასაც მე პიესაში ვწერ აქაური ხალხის უბედურების და ტანჯვის შესახებ, ეგ ყველაფერი მართალია! აქ ინდიელები მხეცებივით ცხოვრობენ და შიმშილით კვდებიან“ **(31.08.1960)**.

ამ წერილიდან ნათლად ჩანს, რომ მარიამ კერესელიძე ბუნებით ალტრუისტი ადამიანი იყო. იგი არა მარტო საქართველოს, არამედ ყველა დაჩაგრულ ერის პიროვნული, ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის იბრძოდა.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს გიორგი კერესელიძის 1960 წელს დისადმი ელენე გლურჯიძისადმი გაგზავნილი ბარათი: „მარიამმა (ჩემთვის მარიამი ისე „მუმუნით“ რჩება, – ესე ვეძახდი მას ბავშვობიდანვე და ესევე ვეძახი მას დღესაც), დასწერა ესპანურად ერთი სათეატრო პიესა. ამ პიესის დადგმა სცენაზე იკისრა ერთმა ცნობილმა თეატრმა. გამგეთ ძალიან მოსწონებიათ. დიდი ხანია რეპეტიციები სწარმოებენ, დეკორაციები მზად არის. 4 ამ თვეს, ე.ი დღეს, პირველად წარმოდგენა უნდა იყვეს. თუ მწერალმა (ანუ მსმენელმა) საზოგადოებამაც მოიწონა – მათი, მარტასი და მუმუნის მდგომარეობა ცოტათი მაინც გაუმჯობესდება. იქნება შემდეგშიც დაწეროს და გზა გაიკვლიოს. (მეორე პიესა – „მაიტა“ – მარიამმა თბილისშიც გადმოგზავნა. აქ მისი თარგმანიც უკისრიათ, მაგრამ შემდგომ მისი კვალი იკარგება).

წერის ნიჭი მუმუნის, უსათუოდ აქვს. ამ რამდენიმე წლის წინად გადმომიგზავნა თავისი ერთი ნაწარმოები – მოგონებების და დაკვირვების სახით ფრანგულ ენაზე. მთხოვა ჩემი აზრი და ჩემი შენიშვნები

მიმეწერა. აღტაცებაში მოვედი მისი მწერლობის ნიჭით. ღმერთმა ქნას და ეს სათეატრო ნაწარმოებიც ასევე ნიჭიერად დაწერილი იყოს...” (პარიზი 17.01.60).

არა მარტო გიორგი კერესელიძე იყო აღფრთოვანებული ძმიშვილის შემოქმედებითი ნიჭით, არამედ მარიაშიც ამაყობდა თავისი ბიძით: „რა კარგი და ლამაზია, ლერმონტოვის ლექსი მიმისგან თარგმნილი! მართლა რომ მეც ასე ვარ როგორც იანქარი და მხოლოდ საქართველოში ალბათ სიმშვიდეს ვიპოვებ“ (ლიმა 25.03.58).

ენით გამოუთქმელი ტკივილი და თანაგრძნობაა გამოხატული მამიდისადმი გაგზავნილ 1960 წლით დათარიღებულ მარიამ კერესელიძის წერილში: „ფიქრით სულ შენთან ვარ ჩემო კარგო ადამიანო. რა დღეში იქნები, გენაცვალე ამ საშინელი ამბავი გაგებით. საწყალი ბიძა, გოგია, იმანაც სამშობლოს სიტკბო არ ეღირსა კიდეც, და ისევ დაიღუპა, საზღვარგარეთ როგორც მამა, როგორც ბევრი ქართველი ადამიანი...“

გენაცვალე, მე ვიცი შენი მგრძნობიარე გულით, თუ რა დღეში ხარ და როგორ იწვალები. საწყალი დედაჩემი ცუდად გახდა. ბიძა გოგია ძლიერ უყვარდა, რადგან მამის ძმა იყო და მოწმე იმისი ბედნიერების მამასთან ერთად...

შენ ხარ ეხლა ჩვენი ოჯახის თავი, ჩვენი საწყალი ოჯახი გაფანტული და დანგრეულია.

მე იმედით ვცხოვრობ გნახო ოდესმე, მოგეხვია, გაკოცო... მივიღე გაზეთები და წიგნები. ვერ წარმოიდგენ რა სიყვარული იქნება ჩემთვის, თბილისის გაზეთი წავიკითხო და თეატრის პროგრამაში ვხედავდე „მაიტა“ მარიამ კერესელიძის პერუს დრამა... მე მგონი „მაიტა“ მშვენიერი კინო სურათიც იქნებოდა. ოხ! ყველაფერი ეცადე გენაცვალე“ (პერუ 1.06.60).

მარიამ კერესელიძისათვის იმდენად საოცნებო იყო საქართველოში დაბრუნება, რომ იგი პერუში მცხოვრებ ჩინელ მკითხავთანაც მისულა, რაზეც მეტყველებს მისი ეპისტოლე: „ამ სამი თვის უკან ერთმა მეგობარმა წამიყვანა ჩინელ გულთმისანთან. ის ამხანაგი ძალიან კულტურული და ჭკვიანი პიროვნებაა და მიკვირდა, ის რომ ჩინელ გულთმისანს ყურს რომ უგდებდა. მეც მივედი ჩინელთან მისი რჩევით და ვკითხე: 1. თუ კი მე და დედა დავბრუნდებით საქართველოში და შენთან ერთად ვიქნებით. 2. თუ კი ჩემი მატერიალური მდგომარეობა გაისწორდება. 3. თუ კი ოდეს მე რაღაც არაჩვეულებრივი საქმე გავაკეთებ. 4. თუ კი ის სულიერი გზა რომელიც მე ავირჩიე მართალია.“

მე ცხოვრების დიდი ოპტიმისტი ვარ და მე ასე მგონი რომ კარგი ილბალი მაქვს. გასაკვირველია, მაგრამ ღმირად ძალიან ცუდი მტრები მყოლია და თანაც არაჩვეულებრივი მეგობრები...

ქართული ბალეტი აქ ყოფილა ერთი კვირა, მაგრამ ჩემთვის შეუძლებელი იყო მაგნებთან შეხვედრა! გული მიკვდებოდა და ძალიან ბევრი ვიტირე. ბიძა გოგიას მიეწერე ამის შესახებ.

ვთხოვ ვახტანგი ჩაბუკიანი ინახულე. არაუშავს, ძირითადი საქმე ის ჩვენი შეხვედრაა, გენაცვალე!“ (1.10.58).

მარიამ კერესელიძე თავის ეპისტოლეებს ადრესატს 1956-60 წლებში უგზავნიდა პერუდან. ამ ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან ჩვენი აზრით მეტად მნიშვნელოვანია ქართველი ქალის ის სულიერი აღსარება და ტკივილი, რომელიც ამ წლებში შექმნილ ერთ-ერთ წერილშია გადმოცემული: „ჩემი აქ ცხოვრება, ე.ი საზღვარგარეთ, სულ უმიზნოთ და უინტერესოდ მიმაჩნია. სხვა ჩემსავით ემიგრაციაში დაბადებული ადამიანი შეეჩვია სხვა ქვეყანას. მე არც ერთ ერს ვერ ვეგუები, არც სულიერად და არც აზროვნულად. მე მიზიდავს და მაინტერესებს მხოლოდ საქართველო, ის ხალხი რომელიც მანდ ცხოვრობს. მე არ მაინტერესებს ფული, სიმდიდრე, დროს გატარება და საერთოდ ბედნიერება, რომელიც უდიდეს მიზნად დაუდგება თვალწინ ბევრ ხალხს. მე მინდა შინაარსიანი ცხოვრება, მაინც უშინაარსოდ დარჩება ვინაიდან, ეგ ჩემი ხალხი არ არის და მე მაგათვის მუდამ უცხო ვიქნები. თუ კი საქართველოში ვიქნებოდი, რაც უნდა უბრალო მუშაობა რომ მექნეს, მაგალითად გზის გაკეთება, ეს მაინც რაღაც შრომა იქნება საქართველოსთვის და ის პატარა ქვა ჩემი ხელით დაწყობილი დარჩება“ (26.09.1956).

მამიდა ელენეს მარიამთან დიდი სულიერი მეგობრობა აკავშირებდა. მისი სურვილი იყო ძმიშვილს ქართული ოჯახი შეექმნა.

„მე თან მეცინა, თან ვიტირე! ნუთუ ამდენათ ცუდად იცნობს ჩემს გულსა და სულს. ჩემთვის საქართველოსა და ნათესავების სიყვარულია მთავარი. ერთი წუთით ჩემს გულში ჩაიხედოს, მაშინ გაიგებს თუ რა გიჟურია ასეთი ფიქრი! თანაც გამახარა, რადგან ეს ნიშნავს, რომ ჩვენი საქართველოში გადასვლა შესაძლებელია. მე სულ მუდამ შენით და საქართველოში დაბრუნებით ვოცნებობ...“ (პერუ 6.08.60).

განცვიფრებას იწვევს ეპისტოლეებში გამოხატული სამშობლოს უსაზღვრო მონატრება, სევდა და ტკივილი ემიგრანტი ქართველი ქალისა, რომელსაც სამშობლო არასოდეს ენახა და თავისი ქვეყნის სიყვარული მის გულში მხოლოდ მამის გადმოცემით იყო გაღვივებული.

ეს იყო ის ჯიშისანი ქართველი ქალი, რომლის შესახებ გრიგოლ რობაქიძე აცხადებდა: „ჯიში“ ჩვენში თეორია“ კი არაა, როგორც ევროპაში: იგი „სინამდვილეა“ თვითონ“.

ამ ეპისტოლეებიდან ირკვევა, რომ მარიამ კერესელიძემ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ყველა ნარ-ეკლიანი გზა გაიარა. იყო ეს სხვადასხვა სახელმწიფოებისადმი მიმართული ათასი რეზოლუციები თუ ანტისაბჭოთა საქმიანობა. უცხო ცის ქვეშ საბოლოოდ მან შექმნა და სამშობლოს დაუტოვა: ფრანგულ ენაზე დაწერილი მოგონებები და ესპანურ ენაზე დაწერილი ორი პიესა. რომელის შესახებ მსჯელობას აქ იმ მოტივით აღარ გავაგრძელებთ, რადგან მწერალი ეკუთვნის იმ ერს, რომლის ენაზეც წერს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მარიამ კერესელიძის პირადი ბარათები ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ეპისტოლარული მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშებია და მკითხველს იზიდავს თავისი უნიკალური დოკუმენტური მასალებით, რომელიც ხასიათდება ემიგრანტული მიმოწერის ზოგადი თავისებურებებით: ნოსტალგიით, სევდით, მონატრებით, წუხილით და ურთიერთდაპირისპირებულობით. თუმცა მათში იგრძნობა ურთიერთდახმარების სურვილიც, რადგან, ალბათ, უცხოეთში ქართველებს უფრო მეტად სიყვარული აძლებინებდათ. ისიც ცხადია, რომ ემიგრანტ მოღვაწეებს, როგორც მარიამ კერესელიძის ზემოთქმული წერილებიდან აშკარად ჩანს, გააზრებული ჰქონდათ ასევე ღონე სულიერისა და ღონე ხორციელის ერთიანობის საჭიროებისა, რომელთაც ამას ისინი ხშირად ვერ ახერხებდნენ, მაგრამ გრძნობდნენ, რომ უცხოეთში ქართველს უფრო სჭირდებოდა ერისათვის დამახასიათებელი მაღალი ღირსების შენარჩუნება.

ლიტერატურა:

1. გაზეთი „ახალი თაობა“, №97, 17.07, თბილისი, 1996,
2. კერესელიძე-გლურჯიძე ე., პირადი არქივი, თბილისი, 1956-1960.
3. კედია ს., „მასალები პირადი არქივიდან“, თბილისი, 2007.
4. ჟურნალი „ლიტერატურული მივლიანი“, ტ. XXVIII, თბილისი, 2007.
5. სულაძე გ., „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები“, თბილისი, 2012.
6. სამეცნიერო ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“, №1, თბილისი, 2013.

Mariam Marjanishvili

Kutaisi State Historical Museum

HOME COUNTRY – THROUGH STREAM OF CONSCIOUSNESS (ACCORDING TO MARIAM KERESOLIDZE’S EPISTOLARY) RESUME

“We are leaving the village, we are old, our generation is coming to its end, but if a new generation in Georgian doesn’t understand us, the next generation will...”

With these words by Mikhako Tsereteli, we presented Mariam Kereselidze’s epistolary works and its place in Georgian emigrant literature. She was the only daughter of a famous emigrant Leo Kereselidze, who brought her up preserving Georgian traditions. According to her father, she had to follow his political way and become, “if not Queen Tamar but Georgian Jean of Ark at least”.

Mariam Kereselidze got her education in Rome, at St Maria Monastery and could speak European and Oriental languages.

According to her father’s strong insistence, in 1942, Mariam Kereselidze conducted antisoviet agitation in Vustraus concentration camp. As a result, after the war she had to move to South America together with other Georgian emigrants.

While in Peru, she created her works: “In September, for the first time, they put on my play-drama written in Spanish. I am sending you a newspaper which says I am Georgian. My nickname is Leo Kereselidze! I hope my next drama will be staged in 1960 and if it is good, who knows, it may be received in Europe... I hope that my play ‘Maita’ will be welcome in Tbilisi and Moscow and it will be a great opportunity for us to meet”.

In 1956-60, Mariam Kereselidze sent her epistles to the addressee from Peru, in which she expressed a Georgian woman’s inner feelings and pain: “My life here, i.e. abroad, is aimless and dull. Others, born in emigration just like me, got used to another country. I can’t put up with any other nation, neither with my heart, not my mind. Only Georgia attracts and interests me, only the people who live there. I am not keen on money, wealth, entertainment and happiness in general, which is very important for a lot of people. I want a life with a content, but it will always remain dull because they are not my people and I will always be a stranger for them. If I were in Georgia, and had a simple job like repairing roads, it would be a job for Georgia, and the little stone placed by me will remain forever”.

We can say that Mariam Kereselidze’s private cards are the best works of epistolary heritage of Georgian emigration literature.

დიმიტრი ყიფიანის რუსთველოლოგიური ნამუშავეები

1880 წელს, „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემასთან დაკავშირებით, გადაწყდა შექმნილიყო ტექსტის დამდგენი კომისია, რომელიც მოამზადებდა პოემის ახალ, შედარებით სრულყოფილ და მხატვრული თვალსაზრისითაც სამახსოვრო გამოცემას.

იმავლე წლის გაზით „დროების“ 241-ე ნომერში გამოქვეყნდა სამი ცნობილი მოღვაწის რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილისა და იონა მეუნარგიას ერთობლივი წერილი, რომელშიც ერისთავის დამაშვრალი ეს სამი მოღვაწე მკითხველს აუწყებდნენ, რომ განზრახვა ჰქონდათ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის შექმნისა: „დიდი ხანია განზრახვა გვქონდა დასტამბული ვეფხისტყაოსანი“ შეგვეთანხმებინა ხელნაწერ „ვეფხისტყაოსანთან“. აგრეთვე ის გარემოება, რომ [ადრინდელი] მთელი გამოცემა გაიყიდა და ზოგიერთი გამოცემლები აპირებენ ხელახლა ბეჭდვას, გვადლევს მარჯვე შემთხვევას, ჩვენი განზრახვა სისრულეში მოვიყვანოთ დაუყოვნებლივ, მაგრამ ერთ დიდ პასუხისმგებლობას, როგორც არის „ვეფხისტყაოსნის“ ხელის ხლება ჩვენ მარტო ვერ ვიღებთ ჩვენს თავზე. გვინდა, რომ ამ საქმეში ყველამ მიიღოს მონაწილეობა, ვისთვისაც რუსთაველი შეადგენს ძვირფას ნაციონალურ სიმდიდრეს“.

წერილის ავტორები შეახსენებდნენ მკითხველს ბერძენთა დამოკიდებულებას ჰომეროსის პოემების ტექსტისადმი და ხაზგასმით აღნიშნავდნენ ამ თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე მუშაობის აუცილებლობა. აქვე ისინი განსაზღვრავდნენ სამუშაო მიზანს:

ა) შევთანხმდეთ „ვეფხისტყაოსანი სხვადასხვა ვარიანტებთან, რაც აკლია, შევმატოთ ტექსტს და რაც ზედმეტია, გამოვაკლოთ (ხელთ გვაქვს ხუთი ხელნაწერი ვარიანტი. კიდევ ველით რამდენიმეს).

ბ) დავსხათ პოემაში თავთავის ადგილზე მართლწერის ნიმუშები. ამ ნიმუშების შეცდომას ბევრი ზიანი მოაქვს მკითხველისათვის, რადგანაც მისი გონება ირყვნება გაუგებარი აზრების ზეპირებით.

დ) თუ შესაძლებელი იქნება, შევიტყოთ: - ვინ არიან იმ დამატებათ ავტორნი, რომელნიც არ იქნებიან რუსთაველის ნაწერად ცნობილნი; მოვიყვანოთ წიგნში სრული ბიოგრაფიული ცნობა იმაზე, თუ ვის რაგვარი „ვეფხისტყაოსანი“ აქვს ამჟამად.“

აი, ის ძირითადი საკითხები, რისთვისაც კომისიას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცია.

ბუნებრივია, წერილის ავტორებმა კარგად უწყოდნენ, რომ ამ ვეებერთელა საქმეს რამდენიმე ადამიანი ვერ გაუმკლავდებოდა, ამიტომ მათ პერსონალურად მიმართეს იმ ადამიანებს, ვისაც, მათი ღრმა რწმენით, თავისი ცოდნითა და გამოცდილებით შეეძლო დასახული მიზნის შესრულებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა. „თბილისში მყოფთ ამ საქმის თანამგრძნობელთა ვთხოვთ მობრძანდნენ დანიშნულ დროს... და მიიღონ მონაწილეობა რედაქციის შრომაში.

ყოველ შემთხვევაში მობრძანდებიან თუ არა, ჩვენ ვთხოვთ ამ რედაქციაში მონაწილეობა მიიღონ: გ. დ. ორბელიანმა, დ. ი. ყიფიანმა, გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსმა, ი. გ. ჭავჭავაძემ, აკ. რ. წერეთელმა, ვ.ვ. იოსელიანმა, გ. ე. წერეთელმა, ს. ს. მესხმა, პ. ი. უმიკაშვილმა, ნ. ტ. დადიანმა, დ. გ. ერისთავმა და სხვ.“

კომისიის პირველი სხდომის დროდ გამოცხადდა 1880 წლის 24 ნოემბერი, საღამოს 6 საათი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარია“.

იქვე განისაზღვრა მუშაობის განრიგი. პოემა წაკითხული უნდა ყოფილიყო 25 საღამოს განმავლობაში, ყოველი ორი დღის შემდეგ.

აღნიშნულ მიმართვას მკითხველისადმი თარიღად უზის 14 ნოემბერი, ხოლო 15 ნოემბერს ამ წერილმა უკვე იხილა დღის სინათლე გაზეთის ფურცლებზე.

„დროების“ რედაქცია მოწიწებით შეხვდა საინიციატივო ჯგუფის განზრახვას. შემდეგ ნომერში დაბეჭდილ სარედაქციო წერილში ვკითხულობთ: „აღტაცებული მივეგებებით ჩვენ „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციის დაარსებას და სრული იმედი გვაქვს, რომ ყოველი ქართველი, რომელსაც კი რაიმე დახმარება შეეძლება, ამ რედაქციას დაეხმარება, ხელს შეუწყობს იმას და ამნაირად მძიმე ტვირთს შეუმსუბუქებს. ეს საზოგადო საქმეა და საზოგადო საქმეში ყველა ვალდებულია დაეხმაროს იმას, ვისაც ამგვარი საქმე უკისრია“. [1]

როგორც ამ მიმართვიდან ჩანს, იმ რამდენიმე გამორჩეულ მოღვაწეს შორის, ვისზედაც მიმართვის ავტორები განსაკუთრებულ იმედს ამყარებდნენ, გრიგოლ ორბელიანის შემდეგ მოაზრებულია დიმიტრი ყიფიანი. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა იონა მეუნარგიას წერილი დიმიტრი ყიფიანისადმი,

რომელიც მიმართვის დაწერიდან ორი დღის შემდეგ, 16 ნოემბრით თარიღდება: „ბატონო დიმიტრი, თქვენი ძლიერ იმედი გვაქვს. „ვეფხისტყაოსნის“ შესწორებაზე, ვინმე როგორმე ნესტორ წერეთლისთვის გამოგვირთვა ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი, ან კიდევ სხვაგან სადმე გვიმოვო“

საქმე იმაშია, რომ ჯერ კიდევ 1879 წლის 21 თებერვლის გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სურათებით შემკული უძვირფასესი ხელნაწერი (პოემის ვრცელი ვარიანტი) ინახებოდა პელაგია წერეთლის ოჯახში.

ხსენებული წერილის გამოქვეყნების შემდეგ გაზეთის რედაქცია იუწყებოდა: „ჩვენ მივიღეთ თ. გრ. დ. გურიელისაგან შემდეგი შენიშვნა: მე როგორც მახსოვს ბიძაჩემს ქაიხოსრო გურიელს ჰქონდა დანაშთი მამითგან ერთი კარგი „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველისა. ხელნაწერი და შიგ გამოხატული მოქმედი პირებით, რომელნიც უნდა იყოს, ჩემის აზრით, პირველი ანუ სისწორით გადმოწერილი. დღეს ის, როგორც მე ვიცი, აქვს ჩემს ბიძაშვილს პელაგიას, ნესტორ წერეთლის მეუღლეს. ამისთვის არ იქნება ურიგო, რომ ვეფხისტყაოსნის რედაქციამ იმას მიმართოს, რომ გამოგზავნოს და იმედია, უარს არ იტყვის“.

ზემოთ ნახსენები მიმართვის გამოქვეყნების შემდეგ, როგორც ჩანს საერთო სურვილითა და საჭიროების გათვალისწინებით, ამავე გაზეთის ფურცლებიდან საზოგადოებას მიმართა გრ. ორბელიანმა: „ქართულის გაზეთით მოხსენებული გექნებათ, რომ არის სურვილი შეთანხმდეს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“ სხვადასხვა ხელნაწერ „ვეფხისტყაოსანთან“. ამისთვის მიწვეულნი არიან ქართულის მცოდნე პირნი და აგრეთვე ყოველივე, ვისაც ექნება ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“, ათხოვოს წიგნი ამ კეთილის საქმის მოსურნეთა.

მე თვით მივიღე მონაწილეობა ამ სასარგებლო საქმეში და უმორჩილესად გთხოვთ, თუ გქონდესთ, ანუ შოვნა შეგეძლოსთ დროებით გამოგვიგზავნეთ ქვემოთ მოყვანილი ადრესით ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ შემდგომ შესწორებისა, თქვენი წიგნი უნაკლოდ მოგერთვათ. თქვენი გულითადი პატივისმცემელი თავადი გრიგოლ ორბელიანი“.

როგორც ირკვევა, დიმიტრი ყიფიანს ნესტორ წერეთლის ოჯახთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა აკავშირებდა. როგორც ამას პროფ. თ. ჯოლოგუაძე ადასტურებს: „ნესტორის კნენიამ, პელაგიამ და დიმიტრი ყიფიანმა ეკლესიაში შეჰფიცეს ერთმანეთს და-ძმობა“. [6: 14]

დ. ყიფიანი ჩვეული პასუხისმგებლობით მოკიდებია იონა მეუნარგიას თხოვნას და პელაგიასათვის ხელნაწერი გამოურთმევია. 1880 წლის დროების 270-ე ნომერი იუწყებოდა, რომ პელაგია წერეთელს მწერალთა კომისიისათვის გადასაცემად დ. ყიფიანისათვის მიუცია ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“.

1881 წლის დამდეგს დიმიტრიმ ეს ძვირფასი ხელნაწერი კომისიას გადასცა. წერეთლისეული ხელნაწერი შეიცავდა პოემის ვრცელ ტექსტს, შემკული იყო ფერადი ილუსტრაციებით, თუმცა არ ახლდა ანდერძი, თუ ვინ ან ვისი შეკვეთით გადაიწერა ეს ხელნაწერი.

ი. მეუნარგიამ კალიგრაფიის მიხედვით ხელნაწერი დაათარიღა მე-18 საუკუნის დასაწყისით, ხოლო ე. თაყაიშვილმა ის ოდნავ უფრო ადრეულად, ამავე საუკუნის შუა წლებში გადაწერილად მიიჩნია. შემდგომ უკვე პროფ. ს. ცაიშვილმა დაასაბუთა, რომ ხელნაწერი სარგებლობს 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემით.

დიმიტრი ყიფიანის მეორე შეხება „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებულია ერთ უსიამოვნო ამბავთან. 1846 წლის გაზეთ „კავკაზის“ 30-32 ნომერებში გამოქვეყნდა გ. მაისუროვის მოთხრობა „ვარციხის ციხე-სიმაგრე“, რომლის სიუჟეტად მან გამოიყენა უხამსი გადმოცემა თამარ მეფესა და შოთა რუსთაველზე.

მოთხრობის შინაარსი ასეთია: თამარს შოთა რუსთაველისათვის სპარსულიდან პოემის თარგმნა დაუვალებია. პოეტს დავალება შეუსრულებია, საზღაურად კი ხორციელი სიყვარული მოუთხოვია. თამარს შეუსრულებია რუსთაველის სურვილი, შემდეგ კი პოეტი მოუკვლევინებია.

ფაქტია, ისეთი ზნეობის მქონე ადამიანს, როგორც დიმიტრი ყიფიანი იყო, აღაშფოთებდა ეს უმსგავსი ისტორია. მართლაც, ამ მოთხრობის საპასუხოდ დიმიტრიმ დაწერა ნარკვევი „თამარ მეფის საუკუნე“.

ნარკვევში დიმიტრი ყიფიანი ქმნის თამარის ერთგვარ პორტრეტს და მაისუროვს ურჩევს შესაბამისი ეპოქის საფუძვლიან შესწავლას, რათა სწორი წარმოდგენა შეიქმნას აღნიშნული პერიოდისა და მისი ორი დამამშვენებლის თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის შესახებ. „უფ. მაისუროვი, მოგვითხრობს რა ვარდ ციხის ინტრიგებზე, რომელნიც, მართალი რომ ითქვას, რომელნიმე უსახელო ოჯახს უფრო შეეფერება, დიდი თამარის სახელს ისეთი საქმეებით არცხვენს, რომელთაც საეჭვო ისტორიულ პიროვნებას, ვინმე მარგარიტა ბურგონელს მიაწერენ La tour de Nesle-ში, ან რომელიღაც ბნელ პიროვნებას, რომელიც გადმოცემის მიხედვით, ცხოვრობდა კოშკში, რის ნანგრევები მცხეთის იქით აყუდებულა, საფოსტო გზის პირას და დედაკაცის, ბებრის ციხეს რომ უწოდებენ“. [7: 38]

საგულისხმოა ის გარემოება, რომ დ. ყიფიანს არ ღალატობს სამართლიანობის განცდა და ყურადღების გარეშე არ ტოვებს მაისუროვის თხზულების ზოგიერთ მოსაწონ პასაჟს: „უფ. მაისუროვს, რომ არაფერი ვთქვათ მისი არაისტორიული მოთხრობის „ვარდციხის“ ძირითად იდეაზე და ენის სისუფთავის წინაშე ზოგიერთ მეტად მცირე დანაშაულზე, აქვს ადგილები გრძნობის სითბოთი და შედარებით შესანიშნავი, ზოგჯერ ფრიად მარჯვეც“. [7: 38]

დ. ყიფიანი შეახსენებს მაისუროვსა და ევლოხოვს, რომ „საკმაოდ ძნელია იყო მთარგმნელი „ვეფხისტყაოსნისა“ და მომთხრობი თამარის დროის ამბებისა. ამიტომ საჭიროა მეტი ჩაძიება ისტორიული ფაქტებისა, მოვლენებისა, მეტი სიღრმისეული ანალიზი, ობიექტურობა. „ვბედავთ, ორივეს მივცეთ გულწრფელი, მეგობრული რჩევა, თუკი ისინი (მაისუროვი და ევლოხოვი მ. მ.) მას მიიღებენ ღირსეულად, - რომ ნუ გამოაქვეყნებენ აზრებს ისტორიაზე წინასწარი შემოწმების გარეშე, რადგან ქართველთა ისტორია, საერთოდ, ნაკლებ ცნობილია მკითხველთა წრეში და ბევრი შეიძლება შეცდომაში ჩავარდეს“. [7: 38]

ამავე წერილში „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებისას დ. ყიფიანი ყურადღებას ამახვილებს ერთ მეტად მნიშვნელოვან, აუცილებელ მომენტზე, რაც განსაზღვრავს კიდეც პოემის სიდიადეს და მის მნიშვნელობას ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში. ესაა ნაწარმოების პოპულარობის საკითხი. დ. ყიფიანის დაკვირვებით, რუსთაველის ქმნილება იმიტომაცაა დიადი ნაწარმოები, რომ ის ყველა დროის საქართველოში მიჩნეული იყო არა მარტო ერის კულტურის საგანძურად, არამედ მისი გზის მაჩვენებლად. „ვეფხისტყაოსანი“ პოემაა, რომელიც ჩვენში ისეთი ხალხურობით სარგებლობს, როგორაც უსარგებლოა სადმე უდიდესი პოეტების საუკეთესო ქმნილებათ“. [7: 38]

1846 წელს გაზეთ „კავკაზში“ ი. ევლოხოვმა გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტის („ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა“) რუსული თარგმანი.

აღნიშნულ თარგმანს იგივე გაზეთის ფურცლებზე პეტერბურგიდან მკაცრი კრიტიკით გამოეხმაურა პროფ. დ. ჩუბინაშვილი. [3]

დ. ჩუბინაშვილის წერილს თან ერთოდა ი. ბარტდინსკის ლექსი, რომელიც ეძღვნება გ. ლ. დადიანს. ამ ლექსით ავტორი ადრესატს თხოვს დახმარებას, რათა რუსულ ენაზე ერთად თარგმნონ „ვეფხისტყაოსანი“. დ. ჩუბინაშვილის წერილთან ერთად დაბეჭდილია პოემის შესაბამისი ადგილის ბარტდინსკისეული თარგმანი, იგი ამ თარგმანს იყენებს როგორც ნიმუშს და მას უდარებს ევლოხოვის თარგმანს.

დ. ჩუბინაშვილი მთარგმნელს საყვედურობს იმაზე, რომ მიზნად დაისახა რუსი მკითხველისათვის მიეწოდებინა სათარგმნი მასალის მხოლოდ შინაარსი, თანაც არაზუსტად, არეულ-დარეულად, დამატებებით, გამოკლებებითა და ორიგინალთან შედარებით სხვადასხვა ცოდვით.

მეცნიერის სამართლიანი მტკიცებით, მთარგმნელი სწორად ვერ იგებს პოემის საუკეთესო ადგილებს, რომ მან არ გამოიყენა, არ იხელმძღვანელა ბარტდინსკის თარგმანით. მეტიც, მიაჩნია, რომ ევლოხოვი ამ თარგმანს არ იცნობს.

ამ წერილის გამოქვეყნებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ იმავე გაზეთის მე-15 ნომერში დაიბეჭდა ევლოხოვის „პასუხი უფ. დ. ჩ.-ს შენიშვნებზე“.

უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელმა არა მარტო აბუჩად აიგდო დიდი მეცნიერის თვალსაზრისი, ამავე დროს, ერთგვარად შეურაცხყო ქართველი ერი. ის ყურადღებას ამახვილებდა ჩუბინაშვილის თვალსაზრისზე: „ეს იყო დრო უმაღლესი კეთილმდგომარეობისა, საქართველოს სახალხო და სამოქალაქო სიდიადისა, მისი ლიტერატურის, მეცნიერებისა და საერთოდ, განათლებისა“ და ამის პასუხად წერდა: „ნუთუ უფ. რეცენზენტი ხუმრობის გარეშე იმ დროს ნათლავს დროდ „უმაღლესი კეთილმდგომარეობისა, სახალხო და სამოქალაქო სიდიადისა“. (ყურადღება მიაქციეთ გამოთქმას -სიდიადის კეთილმდგომარეობა“. თუ თამარმა დააწყენარა საქართველო იმ დროისაგან, რომელიც სამეფოს არყევდა მის ტახტზე ასვლამდე, თუ იგი განათლებისთვის იღწვოდა და საბერძნეთში მის მისაღებად გზავნიდა ახალგაზრდებს, - ეს ისტორიულის თვალსაზრისით მაინც არ იყო დროდ, საქართველოს უმაღლესი კეთილმდგომარეობისა. მით უმეტეს, იმ დროს არ შეიძლება ეწოდოს საერთოდ ქართული ლიტერატურის, მეცნიერებისა და განათლების ოქროს საუკუნე, სხვაგვარად, ეს ოქროს საუკუნე არ იყო მეტად ბრწყინვალე“. [7: 33]

დ. ყიფიანი, როგორც ყველა მოვლენის პირუთვნელი შემფასებელი, ერთად პასუხობს მაისუროვსა და ევლოხოვს ჩვენს მიერ ზემოთნახსენებ წერილში „თამარ მეფის საუკუნე“.

დიდი მამულიშვილი თავის წერილს იწყებს ერთგვარი შესავლით, რაც, ფაქტობრივად, წარმოადგენს ერთგვარ ანალიზს ადამიანისა და ქვეყნის ურთიერთშედარების საფუძველზე. მას მიაჩნია, რომ ადამიანსაც და ერსაც, თავისი არსებობის განმავლობაში, აქვთ აღმავალი და დაღმავალი ეტაპები. „იმ დროიდან, როცა ადამიანი ახალგაზრდაა, იგი იწახავს ცხოვრების დასასრულამდე ხსოვნას თავისი საკუთარი ღვაწლისა. ხოლო, ოქროს საუკუნის სახელმწიფო დროიდან ხალხი იგონებს

თავისი წარმომადგენლების იმ ღვაწლს, რომელიც უფრო მეტად ეთნევა მის პატრიოტულ გრძნობას და მეტად ამაღლებს პატივისცემას ეროვნული ღირსებისადმი, ვიდრე სხვა ყველა ისტორიული ან ლეგენდარული შემთხვევა.“. [7: 33]

შემდეგ დ. ყიფიანი იხსენებს სახელოვან ქართველ მეფეებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ქვეყნის წინსვლისა და განვითარების საქმეში, თუმცა მათ შორისაც გამოარჩევს განსაკუთრებულს - მეფე თამარს და ხატოვნად მსჯელობს მეფე ქალის უდიდეს ღვაწლზე ქართველი ერის წინაშე. „ჰკითხეთ პირველსავე შეხვედრილ ქართველს, კახეთის ფარგლებში, შავი ზღვის სანაპიროზე, ყაზბეგის მირში, ქართლის შუა გულში, სადაც არ უნდა იყოს: ვინ აამაღლა საქართველოს დიდება, ვინ განავრცო მისი ფარგლები, ვინ დათრგუნა მისი მტრები, ვინ განამტკიცა მასში მართმადიდებლობა? - უყოყმანოდ გიპასუხებენ: - „თამარმა“. ვინ ააგო ეს ტაძარი მწვერვალზე, ვინ ააშენა, ეს სიმაგრე? ეკითხებით ხალხის სიძველის სიდიადის თითოეულ ამ მეგლზე, რომელნიც ყოველ ნაბიჯზე გხვდებით, გიპასუხებენ - „თამარმა“. გკონდათ რაიმე ლიტერატურა? - ეკითხებით თქვენ. -როგორ არ გვკონდა, გვკონდა! რუსთაველი, ჩახრუხადე, აბდსულ-მესია, სარგის თმოგველი, პეტრიძე... აი, მისი კორიფეები“. [7: 37]

ჩამოთვლილ მწერალთაგან, რომელთა შემოქმედებას დ. ყიფიანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს შოთა რუსთაველზე და მის პოემაზე. „ვეფხისტყაოსანი“ პოემაა, რომელიც ჩვენში ისეთი ხალხურობით სარგებლობს, როგორაც უსარგებლია სადმე უდიდესი პოეტების საუკეთესო ქმნილებათ. მთელ საქართველოში, ყოველ შემთხვევაში, არ მოიპოვება არც ერთი კეთილშობილი ოჯახი, სადაც განსაკუთრებით ქალები (ისინი შეადგენენ სწორედ ჩვენში მკითხველ საზოგადოებას) არ წარმოსთქვამდნენ ზეპირად რამდენიმე გვერდს, ზოგჯერ კი მთელ პოემასაც ა-ნიდან ჰოე-მდე. „თამარიანი შეუდარებელი ქმნილებაა წარმოსახვის მშვენიერებით, რითმის საოცარი სიმდიდრით და საუკეთესო უმაგალითო სიტყვათა თამაშით, ყველა ეს დაწერილია თამარის დროს, როცა ჩვენ გვყავდა საუკეთესო მხატვრებიც, საუკეთესო ფილოსოფოსებიც, ხუროთმოძღვრებიც, მათემატიკოსებიც. თამარის დრო ჩვენი სიამაყეა, ჩვენი სახელია, ჩვენი სიდიადეა“. [7: 37]

ეპოქისა და „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობაზე საუბრის შემდეგ დ. ყიფიანი უშუალოდ არ გადადის პოემის ევლოხოვისეული თარგმანის ნაკლოვან მხარეებზე, ის ძალზე დელიკატურად, მოზომილად გამოთქვამს თავის თვალსაზრისს უფრო ზოგად საკითხებზე. „უფ. ევლოხოვი იცავდა „ვეფხისტყაოსნის“ თავისი თარგმანის ცდას უფ. დ. ჩ-ს შენიშვნების წინააღმდეგ, უარყოფდა თამარის საუკუნის სიდიადეს არა მხოლოდ მასზე უკეთესი საუკუნის მითითებით, არამედ მისი მსგავსის მოუნახვადაც კი. ჩვენ არ ვლაპარაკობთ იმაზე, თუ როგორ ბრძანა მან, თქვა რა, რომ - „ვეფხისტყაოსანს“ საქართველოში ცოტანი კითხულობენ და ცოტას ესმისო“. [7: 38]

გასაგებია, რომ დ. ყიფიანი ყურადღებას ამახვილებს პრინციპულ საკითხებზე, კერძოდ, იყო თუ არა თამარის ეპოქა ოქროს ხანა. მისი მიზანია, დაარწმუნოს საპოლემიკო წერილის ადრესატი იმ ჭეშმარიტებაში, რაც დავას არ უნდა იწვევდეს.

სამართლიანად წერს პროფ. თ. ჯოლოგუა, რომ „დიმიტრი ყიფიანის წერილში ავტორის დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნისადმი“ მკაფიოდ კი არის გამოძღვანებული, მაგრამ აქ არ გვაქვს, საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, კვლევაძიებითი ელემენტები და წერილის მნიშვნელობა, ჩვენი აზრით, იმით განისაზღვრება, რომ:

ა) დიმიტრი ყიფიანმა მხარი დაუჭირა და ამით განამტკიცა დავით ჩუბინაშვილის მართებული თვალსაზრისი

ბ) თავისი წერილით დიმიტრი ყიფიანმა ხელი შეუწყო იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ეპოქის პოპულარიზაციას, დაუპირისპირდა საქართველოს ისტორიისა და ძველი ქართული კულტურისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების გავრცელებას“. [8: 145]

„ვეფხისტყაოსნისადმი“ დ. ყიფიანის მიმართების საკითხებზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია მისი მიმართება პოემის ტექსტის დადგენის საკითხებისადმი.

როგორც უკვე ითქვა, იგი შეგნებული პასუხისმგებლობით ჩაერთო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში. დიდი მამულიშვილი საფუძვლიანად იცნობდა პოემის ტექსტს, რაც „მწერალთა კომისიისათვის“ განსაკუთრებულ პრიორიტეტს წარმოადგენდა. კომისია ცდილობდა, გაეწმინდა ტექსტი დანართ-ჩანართებისაგან, ასევე ჩაესწორებინა სიტყვათა ფორმა და მართლწერა.

დიმიტრი ყიფიანმა კომისიას წარუდგინა თავისი მოსაზრებანი პოემის ტექსტის რამდენიმე სიტყვის მართლწერისა და ფორმის შესახებ. კერძოდ ის თვლიდა:

ა) მე-5 ხანაში სიტყვა „საქებრათ“ უნდა იწერებოდეს „საქებრად“ (რადგანაც) მართლწერაში ზმნიზედას დაყვება დ და არა თ;

ბ) მე-18 ხანაში უნდა იყოს „უწუნებდეს“ და არა უწონებდეს;

გ) 29-ე ხანაში უნდა იყოს არაბულითა ენითა, რადგან ამას მოითხოვს კანკლედობის კანონი“. [2]

კომისიამ გაიზიარა დიმიტრი ყიფიანის სამივე შენიშვნა. პირველი - მაშინვე, ორი მოგვიანებით, ოღონდ მეორე შენიშვნა ცოტაოდენი ცვლილებით. კერძოდ, არა „უწუნებდეს“ არამედ „უწუნობდეს“.

საინტერესოა დ. ყიფიანის დამოკიდებულება პოემის ორიგინალობის საკითხისადმი. თუმცა დიდ მამულიშვილს სპეციალურად არ გამოუთქვამს აზრი ამასთან დაკავშირებით, მაგრამ მისი ზოგადი მსჯელობებიდან გამომდინარე, თავის დროზე პროფ. იუსტინე აბულაძემ სწორად შენიშნა, რომ დ. ყიფიანი „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტს ორიგინალურად მიიჩნევდა და არა სპარსულიდან მომდინარედ“. [5: 5-6]

და ბოლოს, კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი: დ. ყიფიანის არქივში ინახება „ვეფხისტყაოსნის ეპილოგის უკანასკნელი სტროფის („ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა“) რუსული თარგმანის ორი ვარიანტი რომელიც წარმოადგენს მისი ხელით ფანქრით ნაწერ ავტოგრაფს“. [4: 22]

უნდა ვიფიქროთ, რომ დიმიტრი ყიფიანი პოემის ამ სტროფის თარგმანით დაინტერესებულა და მისი ორი ვარიანტი გაუკეთებია.

დიდი მამულიშვილისათვის, ბუნებრივია, შოთა რუსთაველი და მისი პოემა იყო ის უპირველესი საგანძური, რითაც ქართველ ერს თავი უნდა მოეწონებინა მსოფლიოს სხვა ცივილიზებული ერების წინაშე.

ლიტერატურა:

1. გაზ. „დროება“ 1880 წ. 16 ნოემბერი, N242
2. გაზ. „დროება“, 1881 წ. N42
3. გაზ. „კავკაზი“ 1846 წ. N27
4. დიმიტრი ყიფიანის არქივი, შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა შალვა გოზალიშვილმა, თბ., 1951.
5. რჩეული რუსთაველოლოგიური ლიტერატურა, III, 1982.
6. საშვილიშვილო მოკავშირე, დიმიტრი ყიფიანი, II, შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ, თბ., 2007.
7. ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, I, თბ., 1955.
8. ჯოლოგუა თ., დიმიტრი ყიფიანი, თბ., 2002.

Murad Mtvarelidze

Gori State Teaching University

DIMITRI KIPIANI'S RUSTAVELI STUDY WORKS RESUME

Dimitri Kipiani, as the appraiser of native literature, felt the importance of the poem “The Knight in the Panther’s Skin” by Shota Rustaveli, in the spiritual life of the Georgian nation. Though he has not left a special work about this poem on paper, but a couple of times he touched upon this issue in different letters. Also the fact, that he took part in the work of “The Knight in the Panther’s Skin” text ascertainment Commission, and made significant changes in the text of the poem, is a matter of great interests. He also became involved in the debate between D. Chubinishvili and Yves. Evlakhov and demonstrated and proved his strong position on the Tamar era.

ციალა წარაკიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

სამგლოვიარო პოეზია ლაზურში

სამგლოვიარო ზეპირსიტყვიერება მსოფლიოს ყველა ხალხის საოჯახო-საწესჩვეულებო ფოლკლორული შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია. ტრადიციულად ლაზური ზეპირსიტყვიერებაც მდიდარია საუკუნეებამოვლილი სამგლოვიარო წეს-ჩვეულებებითა და მასთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერებით.

ლაზური სამგლოვიარო პოეზიიდან ყველაზე უფრო საყურადღებოა მიცვალებულის დატირება, იგივე მოთქმა, ანუ ხმით ტირილი, რომელსაც, სამგლოვიარო მელოდიასთან ერთად, ხშირად ახლავს სიტყვიერი მასალაც, რაც მეტწილად იმპროვიზირებულია.

ლაზთა რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ხმით ტირილის დროს მიცვალებულის სულს ყოველი სიტყვა კარგად ესმის და ამიტომაც „ელაპარაკებინ“ მას, ცდილობენ, მისი გული მოიგონ, რაც წინაპრის კულტის გარკვეული გამოძახილია და, ამავე დროს, ბუნებრივია, გადმოსცემს ჭირისუფლის მწუხარებას.

დატირებას, ანუ ხმით ტირილს, ლაზები უწოდებენ: „მგარა//მგარინი“, „კორეცხალა მგარინი“, „სერსითენ მგარინი“, „ჩელამურიტენ მგარინი“, „ოშიკინუ“.

„მგარა“//„მგარინი“ აღნიშნავს ტირილს, ხოლო „გემგარუ“-დატირებას. „კორეცხალა მგარინი“ ნიშნავს „დათვლით, ანუ მოთვლით ტირილს, „სერსითე მგარინი“ იგივე „ხმით ტირილია“. „ჩელამურიტე მგარინი“ ნიშნავს „ცრემლით ტირილს“; სიტყვა „ოშიკინუ“ კი, როგორც ზ. თანდილაშვილი მიუთითებს, ყოველთვის არ ნიშნავს გლოვას; მისი ძირითადი მნიშვნელობაა „სლოკინი“, თუმცა გლოვა-გოდებასთან დაკავშირებით მას „სლუკუნის“, ანუ გულამოძვდარი ტირილის მნიშვნელობა ენიჭება (თანდილაშვილი, 1972 : 137).

ამათგან სიტყვიერი მასალის წარმოსაჩენად, გამოიყენება „კორეცხალა მგარინი“ (მოთვლით, ანუ მოთქმით ტირილი), რომლის დროსაც მელოდია უკანა პლანზე და მოტირალის მიზანს წარმოადგენს მიცვალებულის სულთან „ლაპარაკი“, რაც სააქაო ცხოვრებასთან მიცვალებულის დამაკავშირებელი ამბების საჯაროდ გადმოცემას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ახმედ თანდ-ოღლის (თანდილაშვილი) მიერ 1926 წელს სოფელ სარფში ჩაწერილი და არნოლდ ჩიქობავას მიერ გამოქვეყნებული ხალხური დატირების ნიმუშები. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, შვილი დასტირის მამას, რომელმაც შვილებისთვის იზრუნა, სახლიც აუშენა და ქონებაც დაუტოვა, თავად კი ვერ დატკბა საკუთარ ნაამაგარში ცხოვრებით:

ლაზური:

მემტკოჩი დო სო ულუ, ბაბა ჩქიმი-ა?!
მან ოხორმანჯობა მახვენენი, ბაბა ჩქიმი-ა?!
ხაქიქ ბაბა თქვა-ში, მან მუბთქვა, ბაბა ჩქიმი-ა?!
მან უსქანელო-ნა ვა მახვენეტუ, ვა გიჩქიტური, ბაბა ჩქიმი-ა?!
ლეტა ოკოპწკა დო ლეტას მეშაფთა-ი, ბაბა ჩქიმი-ა?!
აშო ვა მახვენენ, მანთი მეგაყონამინონ, ბაბა ჩქიმი-ა?!
ბაბა ჩქიმი სო იყონაგინონ, ხოჯა ჩქიმი-ა?!
იყონოფ დო ჩქვა ვა მუყონოფი, ხოჯა ჩქიმი-ა?
აკო შერეფე სქანი მის ნუმქვი, ბაბა ჩქიმი-ა?
აშო ჟეთიმი მოდ მემაშქვით, ბაბა ჩქიმი-ა?
ოხორი კიდი დო ჩქინ მემიშქვითი, ბაბა ჩქიმი-ა!
ოხორიმ ხავესობა ვა ეშაგალუი, ბაბა ჩქიმი-ა!
მან აწი ფიმფილონეფე ბძირაში, გური ოკომიჭკოდას-ი, ბაბა ჩქიმი-ა?!
ჩქვა ფიმფილონეფეს ვარ მენდაპწკერ, ბაბა ჩქიმი-ა!
ჩქვათი ოხორი გოგწკიმერი ქჩუმერ, ბაბა ჩქიმი-ა?!
ჯამეს ოფუტეს ოხორი გიკიდეს-ი, ბაბა ჩქიმი-ა?!
დოლოქუნეფე სქანი ბძირაში მუბთქვა, ბაბა ჩქიმი-ა?!
ფინფილეფე სქანიშ კურბანი ვიდა, ბაბა ჩქიმი-ა!
ფინფილ ფუქია, ბაბა ჩქიმი-ა.

(ჩიქობავა, 2008 : 371).

ქართული:

მიმატოვე და სად მიდიხარ, მამა ჩემო?!
მე უფროსობას შევძლებ, მამა ჩემო?!
სხვა რომ მამას იტყვის, მე რა ვთქვა, მამა ჩემო?!
მე რომ უშენოდ ვერ შევძლებდი, არ იცოდი, მამა ჩემო?!
მიწა გავხსნა და მიწაში ჩავიდეთ, მამა ჩემო?!
ასე ვერ ვიზამ, მეც უნდა გაგყვე, მამა ჩემო?!
მამაჩემი სად უნდა წაიყვანო, ხოჯა ჩემო?
წაიყვან და მეტს არ მოიყვან, ხოჯა ჩემო?
ამდენი შენი ქონება ვის დაუტოვე, მამა ჩემო?
ასე ობლად რატომ მიგვატოვე, მამა ჩემო?
სახლი ააშენე და ჩვენ დაგვიტოვე, მამა ჩემო?

სახლის ნატვრა ვერ აისრულე, მამა ჩემო?
 მე ახლა წვერიანები რომ ვნახო, გული გამისკდებაო მამა ჩემო?
 სხვა წვერიანებს მეტს არ შევხედავ, მამა ჩემო?
 ღია სახლში დაგელოდები, მამა ჩემო!
 ჯამეს ეზოში სახლი აგიშენესო, მამა ჩემო!
 შენი ტანსაცმელები რომ ვნახო, რა ვთქვა, მამა, ჩემო?!
 შენს წვერებს ზვარაკად შევეწირეო, მამა ჩემო.
 წვერყვავილა, მამა ჩემო.

განსაკუთრებულად გულშიჩამწვდომია ალი თანდოღლის მიერ სარფში დაფიქსირებული შვილის დატირების ტექსტი, რომლითაც გადმოცემულია დამწუხრებული დედის განცდები; შვილის სიკვდილით შემძრული დედა ტირის და ამავე დროს, ანუგეშებს რძალს:

ლაზური:

აწი მუ პა? ოხორი სქანი სო ვილა ბერე ჩქიმი?!
 ორთალული მოდ მიმწკუფინი, ბერე ჩქიმი?!
 ოხორი დო კირა სქანი მის გუშქვი, ბერე ჩქიმი?!
 მწკუფი დუნაას ნანა-ბაბა სქანი მუჟო გოგიხთას, ბერე ჩქიმი?!
 სინა ნულუ, აკო მალი სქანი მის ნუშქვი, ბერე ჩქიმი?!
 ოხორი დო კირა სქანი მის ნუშქვი, ბერე ჩქიმი?!
 ნანა სქანი სალი ლეტას მუჟო მეშახთას, ბერე ჩქიმი?!
 სქანი ჭკულე მან სალი ვარ გოულუ, ბერე ჩქიმი!
 ქიმოლი დოღურუა დო მიშ ნეკნას გოხთაგინონ,
 გელინი ჩქიმი?
 ბერე ჩქიმიშ ბეშლუღეფე მიკალა დილიკიდაგინონ, გაელინი ჩქიმი?
 ვა მემტკოჩა დო ელამიხედი, გაელინი ჩქიმი!
 არჩა ჩქიმი რტი დო აწი მიში იყვავინონ, გაელინი ჩქიმი!
 სქანიშ კულე მანთი სალი ვარ გომალენ, გაელინი ჩქიმი!
 მიშ გელინი მიშ კირაში ულუ, გაელინი ჩქიმი?
 მიშ ოხორის მჭკიდი გედვავინონ, გაელინი ჩქიმი?!
 ნეკნა მოზხდიფ დო მანთი მეგოთხოზუ, გაელინი ჩქიმი?!
 მიშ დოლიქუნუ მიკალა ბიწავინონ, გაელინი ჩქიმი?!
 მითის ვარ ნუსიმინა დო ვარ მემტკოჩა, გაელინი ჩქიმი?!
 უჩა პიშთიმალე მოგოთუმე დო დოგოხუნაფ, გაელინი ჩქიმი?!
 (ჩიქობავა, 2008 : 370).

ქართული:

ეხლა რა ვქნა, შენი სახლი სად წავიღო, შვილო ჩემო?!
 არე-მარე რატომ დამიბზნელე, შვილო ჩემო?!
 სახლი და შენი კერა ვის დაუტოვე, შვილო ჩემო?!
 დაბნელებულ ქვეყანაში დედ-მამა შენმა როგორ იაროს, შვილო ჩემო?!
 შენ რომ მიდიხარ, ამდენი შენი ქონება ვის დაუტოვე, შვილო ჩემო?!
 სახლი და კერა შენი ვის დაუტოვე, შვილო ჩემო?!
 დედაშენი ცოცხალი მიწაში როგორ ჩავიდეს, შვილო ჩემო?!
 შენს მერე მე ცოცხალი აღარ ვივლი, შვილო ჩემო!
 ქმარი მოკვდაო და ვის კარებზე უნდა იარო, რძალო ჩემო?!
 ჩემი შვილის ყელსაბამები ვისთან უნდა ჩამოიკიდო, რძალო ჩემო?!
 არ გამაგდო და მომიჯექი, რძალო ჩემო!
 ჩემი შვილის სანაცვლოდ უნდა შეგინახო, რძალო ჩემო!
 აქამდე ჩემი იყავი და ეხლა ვისი უნდა გახდე, რძალო ჩემო!
 შენს შემდეგ მეც ცოცხალი ვერ გავივლი, რძალო ჩემო!
 ვისი რძალი ვის კერაში მიდიხარ, რძალო ჩემო?!
 ვის სახლში ჭადი უნდა დააკრა, რძალო ჩემო?!
 კარს გამოვიხურავ და მეც გამოგეკიდები, რძალო ჩემო?!
 ვისი ტანსაცმელი ვისთან უნდა დახიო, რძალო ჩემო?!
 ვინმეს არ დაუჯერო და არ მიმატოვო, რძალო ჩემო?!
 შავ თავსაბურავს გადაგახურავ და დაგსვამ, რძალო ჩემო?!

დედის მიერ შვილის (შვილების) დატირების ნიმუშებს შორის გამორჩეულია ჩვენს მიერ 1984 წელს სოფელ სარფში ზელების რეჯების ასულ ნარაკიძისაგან ჩაწერილი ორი მოთქმის ტექსტი. პირველ მათგანში დედა დასტირის ხუთ დაღუპულ ქალიშვილს, რომლებიც გათხოვილები ყოფილან; ამის გამო გამწარებული დედა აღარ აპირებს მეექვსე ქალიშვილის – ხავას გათხოვებას:

ლაზური:

მა მუ მადოდუ, მუსთაფა ჩქიმია,
ხუთ კულანი ლუაფას, ართელი სიჯა მილუატუ, მუსთაფა ჩქიმია!
ჩქიმდა მითი ვა მოხთას ჩქვა,
ხავა ჩქიმი ვა ვოქიმოჯაფ, მუსთაფა ჩქიმია,
სანდუდის ხალამიდას გოლაბდუმე ხავა ჩქიმია.
მითი მოხთაში ნოკანჩხულე მოკაფთიუფ
დო გევათხოზე მუსთაფა ჩქიმია!

ქართული:

მე რა დამემართა, მუსთაფა ჩემო,
ხუთი გოგოს სიკვდილს ერთი სიძე მომკვდომოდა,
მუსთაფა ჩემო!
ჩემთან ვინმე არ მოვიდეს მეტი,
ჩემს ხავას არ გავათხოვებ, მუსთაფა,
სკივრის სახურავზე დავსვამ ჩემს ხავას.
ვინმე არ მოვიდეს მის სათხოვნელად,
მუგუზხალს გამოვათრევ და გავეკიდები, მუსთაფა ჩემო!

სარფული დატირების მეორე ტექსტი, რომელიც ფაქტობრივად, გენეტიკურ კავშირშია პირველთან და შეიძლება ითქვას, მასზე მეტად არის დატვირთული მწუხარებით.

ლაზური:

ამ დუნასთი გაული, ბეეფე ჩქიმია,
ემ დუნასთი გაული, ბეეფე ჩქიმია,
ამ დუნას მეემეთი მიყოუნტით, ბეეფე ჩქიმია,
ემ დუნასთი მეემეთი იყვათ, ბეეფე ჩქიმია.
აწიშკულე დოფხედათ დო ისა ვიმგაათ, გელინი ჩქიმია,
მსქიბუს ისა-ისა დოფხედათ დო ვიმგაათ, გელინი
ჩქიმია.

ამ დუნას ვა იჩილი, ჟუსუფი ჩქიმია,
ემ დუნას იჩილი, რუი გოი ჟუსუფი ჩქიმია,
კულანეფე ჩქიმი გოწაგიდგითას,
სიჯალიკობა იქიფტაში ჟუსუფი ჩქიმია.

ქართული:

ამქვეყნად ყვავილნო, შვილებო ჩემო,
იმქვეყნადაც ყვავილნო, შვილებო ჩემო,
ამქვეყნად განებივრებულო შვილებო ჩემო,
იმქვეყნადაც განებივრებულო შვილებო ჩემო,
ამის შემდეგ ერთად დავსხდეთ და ვიტყვით,
რძალო ჩემო,
წისქვილშიც ერთად დავსხდეთ და ვიტყვით, რძალო ჩემო.
ამქვეყნად არ დაქორწილდი, ჩემო უსუფ,
იმქვეყნად დაქორწილდი და ფერია ითხოვე, ჩემო უსუფ,
ჩემი გოგოები გვერდში ამოგიდგებიან სიძეობისას,
ჩემო უსუფ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლაზური ხმით ტირილის ნიმუშები ტრადიციული ქართული „გლოვის მგოსნებისეული“ მსოფლმხედველობრივი ნიმუშებია, ახლოსაა საქართველოს სხვა კუთხეთა დატირების ტექსტებთან, თუმცა ბუნებრივია, გამოირჩევიან ადგილობრივი კოლორიტით, რელიგიური პლასტებითა და სხვა ნიუანსებით.

ლაზური დატირებანი გულსაკლავად მოგვითხრობენ გარდაცვლილი ოჯახის წევრთა და ახლობელთა განცდებს, იხსენებენ წინაპრებს და სჯერათ, რომ საიქიოს მყოფნიც განიცდიან, რომ ახლობელთა სულები გლოვის დროს ოჯახში იმყოფებიან და ამიტომაც ასე მიმართავენ:

ლაზური:

მოთა ქომოგიხთუ, ნანდიდი ჩქიმი!
აჯაბ კაი გაწონუი, ნანდიდი ჩქიმი?
წყაი გაშვეტაში, ნანდიდი ჩქიმი!
მოთას მოლაბი ნანდიდი ჩქიმი!

ქართული:

შვილიშვილი მოგივიდა, დიდედაჩემო,
ნეტავი გაგიხარდა, დიდედაჩემო?
წყალი რომ მოგწყურდება, დიდედაჩემო!
შვილიშვილს მოატანინე, დიდედაჩემო!

ლაზური ხმით ტირილისათვის დამახასიათებელია საიქიოში წინაპრების სულებთან ამბის დაბარება და დარიგება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სარფში დაფიქსირებული სამგლოვიარო ტექსტი, რომლის თანახმადაც დედა დასტირის შვილს და ბებიასთან და ბაბუასთან აბარებს საიქიოში სალამს და მოკითხვას და თანაც სთხოვს კარგად მოუაროს:

ლაზური:

პაპული დო ნანდიდი ძირაში, ამბაი გკითხუფან, ბერე ჩქიმი!
პაპული დო ნანდიდის სელამი უწვი, ბერე ჩქიმი!
პაპული დო ნანდიდის კაი ოლოდი, ბერე ჩქიმი!
მწკუფი დუნაასნა მემაშქვით, ეთი უწვი ბერე ჩქიმი.

ქართული:

ბაბუა და ბებიას რომ ნახავ, ამბავს გკითხავენ, შვილო ჩემო!
ბაბუას და ბებიას სალამი უთხარი, შვილო ჩემო!
ბაბუა და ბებიას კარგად მოუარე, შვილო ჩემო!
ბნელ ქვეყანაზე რომ დაგვტოვე, ისიც უთხარი, შვილო ჩემო!
(თანდილავა, 1971 : 140).

აღსანიშნავია, რომ ლაზ „გლოვის მგოსნებს“ უმეტეს შემთხვევაში არ გააჩნიათ მტკიცე, ტრადიციული ტექსტი; მათ მიერ მიცვალეზულის დატირების დროს ნათქვამი ყოველი სიტყვა წინასწარ მოფიქრების გარეშეა ნათქვამი, ანუ იმპროვიზირებულია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლაზური სამგლოვიარო ტექსტებისათვის დამახასიათებელია ჭირისუფლის საუბარი მიცვალეზულის სულთან, რომელიც, ხალხის რწმენით იმ დროს ოჯახში იმყოფება. ეს ზოგადქართული სამგლოვიარო რწმენა-წარმოდგენაა და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ლაზური მოთქმის თანახმად, თავად მიცვალეზულის სული ლაპარაკობს, ეხმიანება დედას თუ მეუღლეს, ამხნეებს და ემშვიდობება. ამის დასტურია სარფელი ქალბატონის ნურიე ბაირამალის ასულ ხორავასაგან 1983 წელს ჩვენს მიერ ჩაწერილი მოთქმის ნიმუში:

ლაზური:

ბულის თუდე ხაჩუფან გინძე მეზაე ჩქიმი
დოხედი დო იმგაი ზავალი ნანა ჩქიმი!
შქვით კუკუმა წკაი ფენ, ნანა ჩეიზი ჩქიმი!
ნოქთეისას კისმეტი საი ფელედი ჩქიმი.
დოხედი დო იმგაი, ზავალი ნანა ჩქიმი!
გალე ხოჯა ქომოხთუ, ჭაფან ქეფინი ჩქიმი!
გუი ვა იტკვაცინა, ზავალი ნანა ჩქიმი!
ისა, ისა გოიტით, სევგული ნანა ჩქიმი!
სოთი მუთუ ვადუწვა, კაი ქიმოლი ჩქიმის!
ისა ისანა ვორტით, მან ბითუმ კაი მშუნტუ,
აწინა ოკოიწკით დაჩხეე დოლომიგზუნ.
მუნა კაი მოლოდი, ჰელალი დომიხვენი,
კაი ქიმოლი ჩქიმი.

ქართული:

ბლის ხის ქვემოთ ითხრება გრძელი საფლავი ჩემი,
დაჯექი და იტირე, საწყალო დედაჩემო!
შვიდი გუგუში წყალი არის მზითევი ჩემი!
ნაცვლის ბედი ყოფილა ყვითელი ჟილეტი ჩემი.
დაჯექი და იტირე, საწყალო დედაჩემო!
გარეთ ხოჯა მოვიდა, ჩემს სუდარას კერავენ.
გული არ გაიხეთქო, საწყალო დედაჩემო!
სულ ერთად დავდიოდით, ჩემო დედავ ძვირფასო,
საყვედური არ უთხრა ჩემს კარგ მეუღლესა,
სულ ერთად რომ ვიყავით, კარგი მახსოვს მე მისგან.
ეხლა რომ ვითიშებით, ცეცხლის ალში ვწვალობ.

რაც კარგი გიქნია, ნულარ დამამადლო

ჩემო კარგო ქმარო!

სარფულ მოთქმათა ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია დის მიერ ძმის დატირების ტექსტი, რომელიც ერთ-ერთი ადრეული ჩანაწერია (1926 წ) და რომლის თანახმადაც, ძმის სიკვდილი სამყაროს დაბნელებულად აღიქმება:

ლაზური:

აწი მუჰა, სო ვიდა, ჯუმა ჩქიმი?!

დუნაღლული მოდ მიმწკუფინი, ჯუმა ჩქიმი?!

სქანი ჭკულე მანთი სადი ვარ გოულუ

ჯუმა ჩქიმი!

ქართული:

ეხლა რა ვქნა, სად წავიდე, ძმაო ჩემო?!

ქვეყანა რად დამიბნელე, ძმა ჩემო?!

შენს შემდეგ მე ცოცხალი

არ გავივლი, ჩემო ძმაო!

და მზად არის სიკვდილში ჩაენაცვლოს საყვარელ ძმას და ამავე დროს, თანაუგრძნობს ქვრივად დარჩენილ რძალს და ძმისშვილებს, რომელთაც მძიმე ობოლბა ელით.

სინა ნულე იერიშა, მანთი ვულე, ჯუმა ჩქიმი!

ნოლამისა სქანი მის ნუშქვი, ჯუმა ჩქიმი!

ჯუმა ჩქიმიშ იერიწე კირას ელოგოხუნაფ, გეღინი ჩქიმი!

სქანი ჭკულე მან საღლული ვა ბგორუფ, ჯუმა ჩქიმი!

სინთი საღლული ვარ გორა, გეღინი, ჩქიმი!

ორთაღული მწკუფი მიღუნ, ჯუმა ჩქიმი!

ბერეფე სქანი სო ვიყონა, ჯუმა ჩქიმი?!

აშო ყალი გეღლაქთერი სო გიყონათ, ბერეფე ჩქიმი?!

ბაბანა გორათ, სო გიყონაფ ბერეფე ჩქიმი?!

თი ტტელი, კუჩხე ტეტელი მუნდეშა გულეთ, ბერეფე ჩქიმი?!

(ჩიქობავა, 2008 : 370–371)

ქართული:

შენ რომ მიდიხარ, იმ ადგილას მეც წავალ, ძმაო ჩემო!

შენი დედოფალი ვის დაუტოვე, ძმაო ჩემო?

ძმის მაგივრად კერიასთან დაგსვამ, რძალო ჩემო!

შენს შემდეგ მე სიცოცხლე არ მინდა, ძმაო!

შენც სიცოცხლე არ გინდოდეს, რძალო ჩემო!

ირგვლივ სიბნელეა, ძმაო ჩემო!

შენი შვილები სად წავიყვანო, ძმაო ჩემო?!

ასე დამწუხრებული, სად წავიყვანოთ, ბავშვებო ჩემო?!

მამას რომ მოძებნით, სად წავიყვანოთ, ბავშვებო ჩემო?!

თავშიშველი, ფეხშიშველი როდემდე ივლით, ბავშვებო ჩემო?!

სარფულ სამგლოვიარო ზეპირსიტყვიერებაში, ტრადიციული ქართული სამგლოვიარო პოეზიისაგან განსხვავებით ქმრის დატირება ცოლის მიერ რამდენადმე მოსარიდებელ საქმედ ითვლება. ცოლი გამოთქვამს უდიდეს მწუხარებას მეუღლის სიკვდილის გამო, შვილების დაობლების გამო და ემუდარება, თან წაიყვანოს (ჩამწერი ახმედ თანთოღლი):

მან მუნდეშა გომგარელი გოფთა, სევგაული ჩქიმი!

აწი ჭკულე დუნაღლული ჩქიმიშენი მწკუფი ფენსევგაული
ჩქიმი!

ვოჲ, ვოჲ, მუ იყვასინონ, სევგაული ჩქიმი?!

მანთი მენდამიყონი დო ქამომიშლეთინი, სევგაული ჩქიმი!..

ქართული:

როდემდე ვიარო ატირებული საყვარელო ჩემო!

ამის შემდეგ ქვეყანა დაბნელდა, საყვარელო ჩემო!

ვაი, ვაი რა უნდა იქნას, საყვარელო ჩემო?!

მეც წამიყვანე და გადამარჩინე, საყვარელო ჩემო!

ლაზურ სამგლოვიარო ზეპირსიტყვიერებაზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს მისი მხატვრული თავისებურებაც. როგორც მკვლევარმა ზურაბ თანდილაშვილმა მიაჩნია, საანალიზო მასალა საფუძველს იძლევა, დავასკვნათ, რომ ლაზი „გლოვის მგოსნები“ თავიანთ სიტყვიერ ქსოვილს პოეტურ ტრადიციებზე აგებენ და ლექსის სახეს აძლევენ (თანდილაშვილი, 1972 : 140). ამგვარი მოთქმა-დატირების

ყოველი სტრიქონი ბოლოვდება მიცვალებულისადმი მიმართვით („შვილო ჩემო“, „დედა ჩემო“, „რძალო ჩემო“, „მამა ჩემო“ და ა.შ.). ყოველი ტაეპის ბოლოს ამ (ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი) სიტყვების სტერეოტიპული განმეორება კი ქმნის რითმს, რაც ტექსტს ლექსის ფორმას აძლევს და ქმნის მუსიკალურ ჟღერადობას, რაც არქაული ხალხური პოეზიისათვის არის დამახასიათებელი (მაგ.: სამეობო ლექს-სიმღერაში „მზევ, შინ შემოდით“-ს განმეორება). თუმცა, ისიც ნიშანდობლივია, რომ ლაზი მომტირლები აუცილებლად აღარ მიიჩნევენ ამგვარ რეფრენთა განმეორებას, რაც განაპირობებს იმას, რომ ლაზური დატირების ტექსტებში ტაეპთა ზომა არაერთგვაროვანია.

ლაზური სამგლოვიარო ლექსები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადად იმპროვიზირებულია და აგებულია რაიმე ამბავზე, ძირითადად ტრაგიკულზე, რამაც გამოიწვია ადამიანის სიკვდილი. ერთერთი ამგვარი ნიმუშია „ობირუ კულანი ღურუტუში“ („სიმღერა მომაკვდავი ქალიშვილისა“), რომლის შექმნის ისტორიაც ამგვარია: ლაზ ბიჭს ჰყვარებია ქალიშვილი, სახელად აიშე, რომელიც ცოლად უნდა შეერთო ამ ბიჭის უფროს ძმას, სახელად ისმაილს. აიშე უარზე იყო, მაგრამ რძალმა დაიყოლია და ისმაილზე დაინიშნა. ქორწილის დღეს შეყვარებულმა უმცროსმა ძმამ თოფი ესროლა აიშეს და სასიკვდილოდ დაჭრა. დაჭრილი ბიძის სახლში მიიყვანეს; ქალი ეხვეწებოდა ექიმს, სიცოცხლე შეენარჩუნებინა მისთვის, მაგრამ არაფერი ეშველა და გარდაიცვალა. ლექსში აიშეს პირით არის გადმოცემული ეს ტრაგედია:

ლაზური:

...ჟურ საათიში ეკულე
ისმაელი ქომოხთუ
ემუქთი მა მკითხუფტუ
კურშუმი სოლე მოხთუ?
ტოფელი მასთოლუ დო
ოხრასქირიქ დომპილუ.
აჲ მჯვეშ ადეთეფექ
მა მუჭო ქამემპილუ

ქართული:

ორი საათის შემდეგ
ისმაელიც მოვიდა
ისიც მე მეკითხებოდა,
ტყვია საიდან მოვიდა?
მაზლმა თოფი მესროლა,
წამაქცია და მომკლა.
ამ ძველმა ადათებმა
მე როგორ წამაქცია?

ლექსში მომაკვდავი პატარძლის პირით დაგმოხილია დრომოჭმული ადათები, რომლებიც ადამიანთა ტრაგედიის მიზეზი ხდება. ამავე დროს, ლექსის ბოლოს, რომელსაც დიალოგური ფორმა აქვს, ძმის საქციელით გამწარებული ისმაილი ეუბნება აიშეს, რომ მიწას არ მიაბარებს, ვიდრე ძმას არ მოკლავს, თუმცა მომაკვდავი ქალი ეხვეწება, არ მოკლას ძმა, რადგან მისი ცოდვაც თან მიაქვს:

ისმაილი

ნოსის გამაფთამინონ,
შური მოხთუ ყალიშა!
სი მუჭო ლეტას მეგჩაფ,
მა ჯუმა ვა პილაშა.

ისმაილი

ჰკუაზე უნდა შევიშალო,
სული ყელში მომადგა
შენ მიწას არ მიგაბარებ,
მე სანამ ძმას არ მოვკლავ.

აიშე

ამან სოთი ვარ ყვილა
ემუშ ჰაქქი მემილუნ,
ერზაელი ქომოხთუ
ჩქვათი შური ვარ მილუნ

აიშე

ბიჭო იმას ნუ მოკლავ
მისი ცოდვა თან მიმაქვს,
სულთამხუთავი მოვიდა
სული აღარ მიდგია.

ლიტერატურა:

1. ბსკიდა-ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დიალექტოლოგიური არქივი.
2. ბსკიფა-ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი
3. ზ. თანდილავა, ლაზური ხალხური პოეზია, ბათუმი, 1972.
4. არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. III, თბ., 2008.

Tsiala Narakidze

Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili Institute

FUNERAL POETRY IN LAZ DIALECT

RESUME

Traditionally Laz folklore is reach with funeral ceremonies and traditional stories related to them. From Laz folklore the most considerable is mourning of deceased, i.e. wail which is enclosed with funeral melody and words and is mostly improvised.

გრიგოლ რობაქიძის ემიგრანტობის დროინდელი ეპისტოლარული მემკვიდრეობა

გრიგოლ რობაქიძის ემიგრანტული პერიოდის (1931-1962 წწ.) ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება მწერლის ეპისტოლარულ მემკვიდრეობასაც უნდა მივაქციოთ. როგორც მეგობრებისათვის გაგზავნილ წერილებში თავად მწერალიც ხშირად აღნიშნავდა ხოლმე, ხსენებულ ბარათებს იგი მხოლოდ ადრესატებისთვის გასაცნობად კი არ წერდა, არამედ მომავალში მისი მოღვაწეობით დაინტერესებულ მკვლევართათვის საჭირო მნიშვნელოვან ინფორმაციას მისაწოდებლადაც. ასე რომ, გრ. რობაქიძის პირად წერილებში მკვლევარი მის მსოფლმხედველობრივ თვალთახედვასთან და მწერლურ ინდივიდუალობასთან დაკავშირებით ბევრ ისეთ მასალას იპოვის, რომელნიც კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით.

გრ. რობაქიძის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაზე საუბარი მინდა ემიგრაციაში მის წასვლასთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაციის გახსენებით დავიწყო. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ბერძენი მწერლის – ნიკო კაზანდაკისადმი 1952 წლის 17 დეკემბერს მიწერილი ბარათი. როგორც ხსენებული წერილიდან ირკვევა, საზღვარგარეთ მისი წასვლა სპონტანურად მიღებული გადაწყვეტილება არ ყოფილა და ამ ნაბიჯის გადასადგმელად იგი საკმაოდ დიდი ხნით განმავლობაში ემზადებოდა. ამ გადაწყვეტილების მიღების განმაპირობებელ უმთავრეს საფუძველს საბჭოთა კავშირში იმხანად არსებული უმძიმესი პოლიტიკური რეჟიმი და მისთვის სრულიად მიუღებელი იდეოლოგია წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, ორ წელიწადზე მეტი ხნის აქტიური მცდელობის შემდეგ გრ. რობაქიძემ მართლაც მიიღო გერმანიაში შემოქმედებითი მივლინებით გამგზავრების უფლება. ამ საკმეში უმთავრეს ხელისშემწყობ ფაქტორად პირველ ყოვლისა ის დიდი წარმატება იქცა, რომელიც მისი პიესის მიხედვით დადგმულმა სპექტაკლმა „ლამარამ“ მოიპოვა 1930 წელს მოსკოვში გამართულ საბჭოთა თეატრების საკავშირო ფესტივალზე.

ასე დატოვა მწერალმა 1931 წლის 6 მარტს ჩვენი ქვეყანა. ამ ნაბიჯის გადადგმით განცდილ ემოციას ნ. კაზანდაკისათვის მიწერილ ზემოთ ხსენებულ წერილში ის ასე იხსენებს: „საზღვარი რომ გადავლახეთ, ისე შვებით ამოვისუნთქე, როგორც არასოდეს ჩემს ცხოვრებაში. მრავალი ბედნიერი წუთი მქონია სიცოცხლის მანძილზე, მაგრამ იმ წუთებს ვერაფერს შევადარებ... 7 მარტს უკვე ბერლინში ვიყავით. ჩემი გადაწყვეტილება – საბჭოთა კავშირი სამუდამოდ დამეტოვებინა – სინამდვილედ იქცა. ახალი ეპოქა დაიწყო ჩემს ცხოვრებაში“ (რობაქიძე, 2012, I: 79).

დღესდღეობით ფართოდ გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, გრ. რობაქიძის ემიგრანტული პერიოდის შემოქმედების დიდი ნაწილი გერმანულ ენაზეა დაწერილი. თუმცა მკვლევართა გარკვეული ნაწილი (მათ შორის მეც) იმასაც ფიქრობს, რომ გერმანიაში გამოქვეყნებულ თავის მხატვრულ ტექსტებს მწერალი თავდაპირველად ქართულად წერდა და შემდეგ თავადვე თარგმნიდა გერმანულად. თუ ეს სიმართლე გამოდგება, გრ. რობაქიძის შემოქმედების სტილური თავისთავადობა და სხვათაგან მკვეთრად განსხვავებული მხატვრული ინდივიდუალობა ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში, რასაკვირველია, მეტი სიმკვეთრით წარმოჩინდება.

სამწუხაროდ, გრ. რობაქიძის არქივისა და უცხოეთში შექმნილ ნაწარმოებთა დედნების ხელმიუწვდომლობის გამო, აღნიშნული საკითხი დღემდე არაა დაზუსტებული და იმის დაბეჯითებით თქმა, ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებათაგან სიმართლე რომელია, ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. თუმცა იმის თქმა, გრ. რობაქიძეს ემიგრანტობის პერიოდში გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული თავისი ნაწარმოებების დიდი ნაწილი თავდაპირველად მართლაც ქართულად რომ უნდა ჰქონოდა დაწერილი, სულაც არ არის სათანადო საფუძველს მოკლებული შეხედულება.

კერძოდ, მეგობრებისთვის გაგზავნილ წერილებში მწერალი გარკვევით წერს, რომ ემიგრანტული ცხოვრების პირველ ეტაპზე, 30-იან წლებში, თავის მხატვრულ ნაწარმოებებს იგი მართლაც ქართულად ქმნიდა და შემდეგ თავადვე თარგმნიდა გერმანულად, შემდგომ პერიოდში კი უფრო მეტად გერმანულ ენაზე წერდა. სამწუხაროდ, დღესდღეობით ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით, იმის დაზუსტებით თქმა, მწერალს თავისი ემიგრანტული პერიოდის გერმანულენოვანი შემოქმედებიდან ქართულად რომელი ნაწარმოებები ჰქონდა დაწერილი,

ფაქტობრივად შეუძლებელია. თუმცა თავის წერილებში ის გარკვევით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ გერმანიაში შექმნილი და გამოქვეყნებული მისი რომანები თავდაპირველად მას ქართულ ენაზე დაუწერია და შემდგომ უთარგმნია გერმანულად.

მაგალითად, გერმანიაში ახლად ჩასული გრ. რობაქიძე 1932 წლის 12 მარტს იქ მასზე დიდი ხნით ადრე დამკვიდრებულ აკაკი პაპავას წერდა: „ჩამოვიტანე: 1. „მედეას ნაწნავები“ (რომანი, უკვე მაქვს თარგმანი გერმანულად) (ხაზგასმა ჩემია – ა. ნ.), 2. „ნეგრი ევროპაში“ (მაქვს ქართულად, თარგმნილი ჯერ არაა), 3. გასაოცარი მასალა ხევსურეთის ყოფიდან (რომან-ესესათვის)“ (რობაქიძე, 2012: 408). როგორც ვხედავთ, გრ. რობაქიძე მის მიერ ქართულად დაწერილ და შემდგომში გერმანულად გადათარგმნილ ნაწარმოებთა შორის „მედეას ნაწნავებსაც“ ასახელებს – გერმანიაში 1934 წელს „მეგი – ქართველი გოგონას“ სახელწოდებით გამოცემულ თავის რომანს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კიდევ უფრო დაზუსტებით წერდა იგი მისი უცხოელი მეგობრებისათვის მიწერილ ბარათებში. კერძოდ, ი. იედლიჩკასთვის 1937 წლის 2 აპრილს გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „მე ვწერ ჯერ ქართულად, შემდეგ მას ვთარგმნი (ხაზგასმა ჩემია – ა. ნ.). რადგანაც თვითონ ვთარგმნი, ამიტომ თარგმანს ვთვლი პირვანდელი ტექსტის ტოლფასად“ (რობაქიძე, 2012, I: 530).

ვიაჩესლავ ივანოვს კი 1938 წლის 6 ივნისს წერდა: „ორგანიზებული „სატანოკრატის“ ქვეყნიდან მე 1931 წლის მარტში გამოვალწი. აქედან მოკიდებული გერმანიაში ვცხოვრობ, სადაც, როგორც მწერალი, წარმოუდგენლად თბილად მიმიღეს (მე ჯერ ქართულად ვწერ, შემდეგ ვთარგმნი გერმანულად). მხოლოდ „Damon und Mythos“ დაწვერე გერმანულად“ (რობაქიძე, 2012, II: 68).

აქედან გამომდინარე, სულაც არაა საფუძველს მოკლებული მოლოდინი იმისა, რომ მწერლის არქივის სრულყოფილად მიგნების შემდეგ მისი გერმანულენოვანი ტექსტების ქართული დედნებიც ვიპოვოთ.

ახლა რაც შეეხება შემდგომი პერიოდის იმ წერილებს, რომელთა მეშვეობითაც დგინდება, რომ ქართული საბეჭდი მანქანის უქონლობისა და ხელით წერის საქმეში შექმნილი სირთულეების გამო მწერალი 40-იანი წლებიდან იძულებული ხდება ქართულ ენაზე ტექსტების წერა მნიშვნელოვნად შეზღუდოს და უპირატესად მხოლოდ გერმანულად წეროს. მისივე თქმით, ეს გადაწყვეტილება მან იმიტომაც მიიღო, რომ ამ საქმის კეთებას გერმანულენოვანი საბეჭდი მანქანა უადვილებდა.

მაგალითად, აი, რას წერდა თავად ის 1955 წლის 25 მაისს გიორგი გამყრელიძისათვის გაგზავნილ წერილში: „დილითგან საღამომდე ჭაპანწყვეტაში ვარ. ვიღლები, ვიქანცები. ქართული საწერი მანქანა მაინც მქონდეს – წერას გამიადვილებდა (გერმანულად წერისათვის ევროპიულ მანქანას ვხმარობ – უკვე 15 წელია, რაც მანქანაზე წერას შევეჩვიე). ხელით წერა მიჭირს: ნაწერი ჩემი „გასმული“ კი არაა – ალბათ შეამჩნევდი ამას – არამედ „ამოჭრილი.“ ასოების ამოჭრა კი მეტს ძალას მოითხოვს“ (რობაქიძე, 2012, II: 46). მწერალს ხელით წერა თურმე იმდენადაც კი უძნელდებოდა, რომ თავისი ქართული ტექსტების ნაწილს ამოჭრილი ასოებით წერდა, რაც, ბუნებრივია, ძალზე შრომატევად საქმეს წარმოადგენდა.

ქართული საბეჭდი მანქანის უქონლობის გამო მწერალი გულისტკივილს ესოდენ მძაფრად საქმის მართოდენ გასაიოლებლად კი არ გამოთქვამდა, არამედ პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ მშობლიურ ენაზე შემოქმედებითი პროცესის წარმართვას ფაქტობრივად უკვე ვეღარ ახერხებდა. მაგალითად, აი, რას წერდა ის ამასთან დაკავშირებით კ. სალიასთვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში: „ქართული საწერი მანქანა რომ მქონდეს, როგორ გამიადვილდებოდა წერა! ამასთანავე: დაწერილს რამოდენიმეჯერ გადავწერდი, გამოთქმულს მრავალგზის შევასწორებდი, სტილს მეტი ოსტატობით ჩამოვასხამდი!! ჰეი, კრული ბედი ჩვენი!“ (რობაქიძე, 2012, II: 68).

როგორც ითქვა, თავად გრ. რობაქიძის შეფასებითვე, მახლობელი ადამიანებისადმი გაგზავნილი მისი წერილები ისტორიისთვის განკუთვნილ იმ დოკუმენტებსაც წარმოადგენდა, რომლებიც მომავალ მკვლევარებს მისი შემოქმედებითი სამყაროს კიდევ უფრო ღრმად შეცნობაში გაუწევდა დახმარებას. პირველ ყოვლისა სწორედ ამ გარემოებით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ ხსენებულ წერილებში მწერალი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობდა მის შემოქმედებით თვალთახედვასთან დაკავშირებული საკითხების განმარტებასაც და საკუთარი ლიტერატურული ღვაწლის თვითშეფასებასაც.

ასე რომ, ხსენებულ წერილებში იგი ყოველგვარი თავშეკავების გარეშე გამოდიოდა საკუთარ შემოქმედების თვითგანმადიდებლის როლში და თვითდაჯერებით აცხადებდა: „მე საუკუნეებს ველაპარაკებო“ (რობაქიძე, 2012, II: 252), ზოგიერთი მისი შეხედულებისადმი კრიტიკულად განწყობილ ოპონენტებს კი ასე პასუხობდა: „ვინც საუკუნოებს ელაპარაკება, იგი, ცხადია, ვერ გაუწევს ანგარიშს იმას, გაიგებენ თუ არა მის ნათქვამს მისი თანამედროვენი“ (რობაქიძე, 2012: 269).

საკუთარი შემოქმედების ამდაგვარი განდიდების მაგალითები გრ. რობაქიძის პირად მიმოწერაში, მართალია, ადრეც გვხვდებოდა, მაგრამ მათმა რაოდენობამ განსაკუთრებით მაინც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იმატა, რაც პირდაპირი შედეგი იყო აშკარად გამოხატული იმ ნეგატიური დამოკიდებულებისა, რომელსაც იმ დროიდან მოყოლებული, ევროპის ლიტერატურული საზოგადოების დიდი ნაწილი ავლენდა მისი, როგორც ჰიტლერიანელ მწერლად სახელდებული ავტორის, მიმართ.

ჰიტლერის მეხოტბე ავტორად გრ. რობაქიძის მიჩნევა კი არსებითად განაპირობა 1939 წელს გერმანულ ენაზე გამოსულმა მისმა წიგნებმა ჰიტლერსა და მუსოლინიზე. განსხვავებით ომისდროინდელი ვითარებისაგან, როდესაც გერმანიაში მცხოვრები მწერალი ამ წიგნების გამოცემის გამო გარკვეულწილად პრივილეგიებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერული გერმანიის დამარცხების შემდეგ მას უკვე გერმანიაში ცხოვრების უფლებაც კი აღარ ჰქონდა.

სწორედ ამის გამო გახდა იგი იძულებული ეს ქვეყანა დაეტოვებინა და საცხოვრებლად ნეიტრალიტეტის მქონე სახელმწიფოში – შვეიცარიაში გადასულიყო.

მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიას თავშეფარებულმა გრ. რობაქიძემ პოლიტიკურ დევნას მართლაც დააღწია თავი, ზემოთ ხსენებული წიგნების ავტორობამ მის მწერლურ რეპუტაციაზე იმდენად უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა, რომ მისი შემოქმედება თითქმის მთლიანად აღმოჩნდა გარიყული ევროპული ლიტერატურული ცხოვრებისგან. მწერლის აქტიურ მცდელობას, როგორმე გაერღვია მის წინ აღმართული ეს ჯებირი, შედეგი არ მოჰყოლია.

გრ. რობაქიძის პირადი მიმოწერა საინტერესო იმ თვალსაზრისითაცაა, რომ მწერალი თავისი მეგობრებისთვის გაგზავნილ წერილებში აღნიშნულ საკითხზეც არაერთგზის ამახვილებს ყურადღებას. მაგალითად, ამერიკაში მცხოვრებ გიგო (გრიგოლ) დიასამიძეს წერდა: „მივიღე შენი ბარათი – 18-8.1948 თარიღით. პარიზითგან გადმომიგზავნა კ. სალიამ. ვერა მოგწერე რა ამ სამი წლის განმავლობაში, რადგან მეგონა: თითქოს ჩემს სახელს „ერიდებოდი“ მანდ. შენს ბარათში ხ. შავიშვილისადმი ნათქვამი იყო მოკითხვა მანდ მყოფ ქართველებსო – „სხვა“ დროს ჩემს სახელს უთუოდ ახსენებდი. „სარიდი“ კი არა იყო რა: მე ჩემს გერმანელ მეგობრებთან და ნაცნობებთან მიწერმოწერა სრულიად „თავისუფლად“ მაქვს გამართული... ჩემი ცნობილი წიგნი, რომელმაც არასასურველი ატმოსფერო შექმნა ჩემი სახელის გარშემო, ვერ იქნა ნამდვილად გაგებული ვერც მომხრეთა ბანაკში იქ გამოყვანილი პიროვნებისა და ვერც მის მოწინააღმდეგეთა შორის“ (რობაქიძე, 2012, I: 582).

მწერალს ევროპული ლიტერატურული სამყაროსაგან სწორედ მისი ამდაგვარი „განაპირების“ შედეგად მიაჩნდა ის ფაქტი, რომ იმხანად უკვე გამოსაცემად გამზადებულ მის წიგნებს არც ერთი გამომცემლობა არ ღებულობდა დასაბეჭდად.

გერმანელ ფაშისტებთან თითქოსდა სიახლოვის გამო გრ. რობაქიძეს ომის შემდგომ პერიოდში არა მარტო ევროპულ ლიტერატურულ სამყაროსთან ჰქონდა გართულებული დამოკიდებულება, არამედ შვეიცარიიდან გასვლაც და პოლიტიკურ მოვლენებში მონაწილეობაც ჰქონდა აკრძალული.

მიუხედავად ამისა, საქართველოსთან მიმართებით იგი ამ მოთხოვნას ბოლომდე მაინც არ იცავდა და ჩვენს ქვეყანაში ისტორიულადაც და იმხანადაც მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით ხშირად გამოთქვამდა ხოლმე თავის მოსაზრებებს. ნათქვამის ნათელსაყოფად ქვემოთ მკითხველის ყურადღება მიიქცევა იმ შეფასებებს მივაპყრო, რასაც მწერალი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას აძლევდა. რაგინდ მოულოდნელიც არ უნდა გვეჩვენოს, ამ პრობლემის გააზრების დროს გრ. რობაქიძის თვალთახედვა რამდენადმე გაორებულია და შინაგანად წინააღმდეგობრივიც. კერძოდ, მისი ზოგიერთი ბარათის მიხედვით, მწერალი იმ ქართველ მოღვაწეთა თვალსაზრისს იზიარებს, რომელნიც ე. წ. „ორი რუსეთის“ არსებობას ამტკიცებენ და ჩვენი ქვეყნის რუსეთთან შეერთებას ერეკლე მეფის „ძირულად შორსმჭვრეტი გენიის“ (გრ. რობაქიძის სიტყვებია) მიერ მიღებულ მართებულ გადაწყვეტილებად მიიჩნევენ.

მაგალითად, აი, რას წერდა მწერალი კ. სალიას ამასთან დაკავშირებით 1953 წლის 13 თებერვალს: „თითქმის ყოველს თქვენს წერილში ნახმარია „რუსსოფილი“ – „რუსსოფილური“ უარყოფითი მნიშვნელობით... სანამ ეს ტერმინი „რუსსოფილი“ – „რუსსოფილური“ არ ამოვარდება ქართული პოლიტიკური სიტყვარიტგან, მანამდე ქართველობა ვერ ჩაწვდება პრობლემას „საქართველო-რუსეთი.“ საქართველოს ხელმწიფობა გააუქმა იმპერატორების რუსეთმა და არა რუსეთის ხალხმა – „ხალხის“ ქვეშ აქ არ ვგულისხმობ უფესვო ინტელიგენციას, რომელსაც დღემდე ვერ გაუგია „ბედი რუსისა.“ სამწუხაროდ, ქართველებს ვერ განუხილავთ ძირულად (ზაზგასმები ავტორისაა – ა. ნ.) შორს მჭვრეტი გენია მეფე ერეკლესი: მისი ნაბიჯი რუსეთთან შეერთებისათვის“ (რობაქიძე, 2012, I: 133). კალისტრატე სალიას მეუღლეს – ნინოს კი წერდა: „კალესთან დავა მაქვს

რუსეთის საკითხის ირგვლივ, შიგა-და-შიგ ცხარი. ვუმტკიცებ: „სამოდერწავი“ ერთია, რუსი ხალხი სხვა, რუსთა უფესვო ინტელიგენცია კიდევ სხვა. კალე არ მეთანხმება“ (რობაქიძე, 2012, II: 271).

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებისადმი გრ. რობაქიძის დამოკიდებულების გააზრების დროს აქ კ. სალიასადმი გაგზავნილი იმ წერილის ფრაგმენტიც მინდა დავიმოწმო, სადაც მწერალი საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალში ჩვენი ქვეყნის დაპყრობის ფაქტს აფასებს. „მწერთ: „საქართველო 1921 წელს რუსის ჯარმა დაიპყრო.“ ამ ფორმულას ვერ მივიღებ. ეს რომ მივიღო, მაშინ უნდა „ხარაკირი“ გავუკეთო ჩემს წიგნს „Die gemordete Seele,“ საცა პირველი გამოცემის წინასიტყვაში ნათქვამია გარკვევით, რომ **ბოლშევიზმი არ არის მარტო რუსული მოვლენა...** ჩემი ფორმულა ესაა, ფორმულა უკანასკნელად მხვედრი: „**საქართველო დაიპყრეს 1921 წელს ბოლშევიკებმა რუსეთითგან**“ (რობაქიძე, 2012, II: 269).

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაპყრობის ტრაგიკული მოვლენის გრ. რობაქიძისეული შეფასება პრინციპულად მცდარი რომ არის და ამ ტრაგედიის უმთავრეს შემოქმედ ძალად მარტო ბოლშევიკების მიჩნევა აშკარა შეცდომას წარმოადგენს, დღესდღეობით ამის დამამტკიცებელი არგუმენტების მოტანა ჩვენს საზოგადოებას, ვფიქრობ, სულაც არ სჭირდება. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამის დასტურად აქ თუნდაც მხოლოდ იმ დამპყრობლური პოლიტიკის გახსენებაც იქნება საკმარისი, რომლის ძალითაც უკვე არაბოლშევიკურმა რუსეთმა ჩვენს ქვეყანას ამჯერად აფხაზეთი და სამაჩაბლო წარსტაცა და კვლავაც გამუდმებით გვემუქრება ახალ-ახალი აგრესიებით.

გარდა დამოწმებული ბარათებისა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებს გრ. რობაქიძე 1953 წლის 5 მაისს კალისტრატე სალიას მეუღლის – ნინოსთვის გაგზავნილ წერილშიც შეეხო მისთვის ჩვეული კატეგორიულობით. მწერლის მტკიცებით, „რუსებისადმი კალესებური მიდგომა“ მისთვის პრინციპულად მიუღებელ და არსებითად მცდარ თვალსაზრისს იმიტომაც წარმოადგენდა, რომ „ასეთი მიდგომა დამლუპველი იყო საქართველოსთვის... თვითონ **თეთრი გიორგი, ჩვენი ხრმალის სინათლე**, დაჰგმოხდა მას; დავით აღმაშენებელი, აგრეთვე მეფე ერეკლე, რომელთა ხელ-მწიფება ამ ხრმალის სინათლით მტკიცდებოდა, არ დაუშვებდნენ და ვერც დაუშვებდნენ კალესებურ გეზს ხსენებულ საკითხში... საქართველოში ეხლა ვერ მონახავთ ვერცერთ პატრიოტ გონმეტყველს (უნივერსიტეტში, მწერალთა კავშირში თუ სხვაგან), რომელსაც წვდეს გულში ეს გეზი... დეე, ისტორიამ განმსაჯოს სასტიკად! **არ მეშინის!**“ (რობაქიძე, 2012, II: 272).

ვფიქრობ, დამოწმებულ ფრაგმენტთა მიხედვით აშკარად ცხადია, მათი ავტორი პრორუსული პოზიციის მქონე პიროვნებას რომ წარმოადგენს და მიკერძოებული ტენდენციურობით აფასებს რუსეთის „მფარველ“ როლს ჩვენი ქვეყნისადმი. ისტორიამ განგვსაჯოს, ამ დავაში ვინ არის მართალიო, – საკმაო გაცხარებით ამბობს ის და, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნების ისტორიაში არც ამ დროის კიდევ ერთხელ დადგომას დაგვიანებია დიდხანს – დამოწმებული სტრიქონების დაწერიდან სამი წელიც არ იყო გასული, რომ განახლებული რუსული იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების ბრძანებით, 1956 წლის 9 მარტს, თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში ათასობით ქართველი პატრიოტის სისხლი მხოლოდ იმიტომ დაღვარეს, რომ ისინი სტალინის სახელთან ასოცირებულ ჩვენს ეროვნულ ღირსებასა და პატრიოტულ ინტერესებს იცავდნენ რუსული აგრესიისაგან.

გრ. რობაქიძის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაზე საუბრის დროს ყურადღება აკაკი პაპავასადმი (1890-1964 წწ.) გაგზავნილ მის წერილებსაც მინდა მივაქციო. ა. პაპავასთან გრ. რობაქიძის მეგობრულ ურთიერთობას საფუძველი ჯერ კიდევ საქართველოში ჩაეყარა და ემიგრანტობის პერიოდში კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა. როგორც ცნობილია, ა. პაპავა ემიგრაციაში 1921 წელს წავიდა და 1949 წლამდე გერმანიაში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში შექმნილი მისთვის არასასურველი პოლიტიკური ვითარების გამო კი მწერალი იძულებული გახდა არგენტინაში გადასახლებულიყო.

არგენტინაში ქართველ (და არა მარტო ქართველ) ემიგრანტთა გარკვეული ნაწილის გადასახლება იძულებით მიღებული გადაწყვეტილება იყო. როგორც ცნობილია, გერმანიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები, რომელნიც ნაცისტური ხელისუფლებისადმი კეთილგანწყობით დამოკიდებულებაში იყვნენ შემჩნეულნი, ომის დამთავრების შემდეგ რეალურად დადგნენ იმ საშიშროების წინაშე, რომ საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნით მათ საბჭოთა კავშირში დააბრუნებდნენ, სადაც სამშობლოს ღალატის ბრალდებით გასამართლებდნენ და უმკაცრესად დასჯიდნენ.

ომის შემდგომ პერიოდში გერმანიიდან არგენტინაში ქართველ ემიგრანტთა მიგრაციის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ის ფაქტი იქცა, რომ ამ ქვეყნის ხელისუფლება, მათი

პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, პოლიტიკურად დევნილ უცხოელ მოქალაქეებს ოფიციალურად აძლევდა არგენტინაში გადასახლებისა და იქ ცხოვრების უფლებას.

არგენტინაში გადასახლებლად აქტიური მზადება გერმანიაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა ნაწილს ომის დამთავრების შემდეგ აქტიურად დაუწყო. მიუხედავად საცხოვრებლად შვეიცარიაში გადასვლისა და ამ ქვეყნის მფარველობის ქვეშ ცხოვრებასთან დაკავშირებით ოფიციალური ნებართვის მიღებისა, ევროპაში იმხანად შექმნილი არასასურველი პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ამ ნაბიჯის გადადგმას გრ. რობაქიძე აპირებდა.

მაგალითად, 1948 წლის 25 ივლისს ა. პაპავასთვის გაგზავნილ წერილში იგი წერდა: „ვიზა არგენტინისთვის: „სიფრთხილეს თავი არ სტკივა“ – ვემზადოთ ევროპის დატოვებისათვის... არგენტინაში გადასახლება შენთვისაც ძნელია და ჩემთვისაც – მაგრამ სხვა რა დაგვრჩენია?! წარმოვიდგინოთ: ატყდა ომი. პირველი ტალღა საბჭოთა ურდოების წალეკავს ევროპას – ეს მოსალოდნელია. შემდეგ – იმაშიც დარწმუნებული ვარ – ამ ტალღას ისე უკუაქცევენ ანგლო-ამერიკელები, რომ მთელი საბჭოეთისაგან კვალაც აღარ დარჩება – მაგრამ პირველ მოვარდნას საბჭოთა ზვავისა ვერც შენ გადაურჩები და ვერც მე. მჯერა: შენი აზრიც ასეთია. ვიზის ვადა გეცოდინება, ორი წელია – გვქონდეს, თუ გვარგუნეს: ვიყოთ მზად გადახვეწისთვის. ასე სჯობია“ (ხაზგასმამ ჩემია – ა. ნ.) (რობაქიძე, 2012, I: 436).

იმხანად ბერლინიდან ნიუ-იორკში უკვე გადასახლებულ მის მეგობარს, 1911-1915 წლებში გაზეთ „თემის“ რედაქტორს გიგო (გრიგოლ) დიასამიძეს კი წერდა: „ჩვენი აქ „გამოქცევა“ მოაწყო ერთმა ქართველმა. დაწვრილებით – შეხვედრისას... ჩვენ არ ვაპირებთ დავტოვოთ ევროპა – ვიზისათვის (არგენტინაში გადასახლებლად) მაინც ვზრუნავთ („ყოველ შემთხვევისათვის“)“ (რობაქიძე, 2012, I: 584).

გრ. რობაქიძის ეროვნული თვალთახედვის გასააზრებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ ფაქტსაც უნდა მივანიჭოთ, რომ იგი უცხოეთში გადახვეწილ ქართველ ემიგრანტთა შემკავშირებლის როლშიც ხშირად ცდილობდა ხოლმე გამოსვლას და იმაზეც ოცნებობდა, სამშობლოდან გადახვეწილ თანამემამულეთა გარკვეული ნაწილი ევროპის ერთ რომელიმე ადგილზე ერთად რომ დასახლებულიყო და ამით რამდენადმე მაინც აღედგინათ სულიერი სიახლოვე მარადიული ნოსტალგიის საგნად ქცეულ სამშობლოსთან.

ყოველივე ზემოთქმულის არსში უფრო ღრმად ჩასაწვდომად დავიმოწმებ ფრაგმენტს უცნობი ადრესატისადმი გაგზავნილი მისი წერილიდან: „სულიერი მდგომარეობა ამჟამად საშინელია. იმ გრიგოლს, შენ რომ იცნობდი დორპატში, ბერლინში, ჰამბურგში, კაპრის კუნძულზე, მე თვითონ ვეღარ ვხედავ ჩემს არსში... დავკარგე ხალისი, ეს უცინცხალესი ნაკადი სიცოცხლისა. ბერლინის მოშორება ჩემთვის ძნელია არა მარტო იმის გამო, რომ ჩემი ყოფნა ბერლინში ჩემი სამწერლო მუშაობისათვის მეტად საჭიროა, არამედ იმის გამოც, რომ იქ გადმოხვეწილ ქართველთა კერაა... ქართველთა სათვისტომო, მოვცილდები ბერლინს – დავკარგავ ამ უკანასკნელ ნატეხს საქართველოსას. ამის ატანა ჩემთვის ადვილი არ იქნება... ჩემს სიცოცხლეში ასე მძაფრად არ მიგრძვნიან ტომური ნათესაობა ჩვენი; ჩვენი სისხლი, ჩვენი მიწა, ჩვენი ფესვები, ჩვენი ისტორია, ჩვენი ბედი... ამ გრძნობაში, ალბათ, სიკვდილის მოახლოების წინაგზნებაცაა... კარგი იქნებოდა, რამდენიმე ოჯახი მაინც ერთ ალაგას დავბინავდებოდეთ სადმე... ძნელია, ვიცი, ამის განხორციელება, მაგრამ ხანდახან ნატვრის გაზიარებაც კარგი რამეა... ჩემი საყრდენი ახლა ღმერთია და ლოცვა... სამშობლოს მოწყვეტილნი, უცხოეთშიც მოწყვეტილნი ვართ ერთი მეორისაგან. რა მოგველის, სად ვიპოვოთ ნუგეში? გულს არ ვიტეხ მაინც, თუმცა მომდგარ ცრემლებს ვეღარ ვუძლებ ხოლმე, რომელთაც სხვას არ ვუჩვენებ. ვმუშაობ მაინც როგორც მწერალი. შეძლება რომ მქონდეს, გადმოვსახლდებოდი მანდ, შევუერთდებოდი შენს კერას და ამით ადვილად ჩავატარებდი უკანასკნელ დღეებს ამ სოფლად“ (რობაქიძე, 2012, I: 340).

სამწუხაროდ, გრ. რობაქიძე ისე წავიდა ამ წუთისოფლიდან, რომ ნოსტალგიური გრძნობის წიაღიდან აღმოცენებული ეს ხორცმეუსხმელი ოცნება – ემიგრანტ ქართველთა ფიზიკური და სულიერი შეკავშირების გზით მარადიული მონატრების საგნად ქცეულ სამშობლოსთან გაწყვეტილი კავშირის რამდენადმე მაინც აღდგენა – მწერალმა თან ჩაიტანა უცხო მიწაში გაჭრილ სამარეში.

როგორც ითქვა, გრ. რობაქიძე თავისი ემიგრანტი თანამემამულეებისათვის გაგზავნილ ზემოთ განხილულ წერილებს, მისივე თქმით, მომავლის საქართველოსაც უტოვებდა სახსოვრად, როგორც ემოციურ ანარეკლს ნოსტალგიის უმძაფრესი ტკივილით დამდიმებული მისი სულისას. აქედან გამომდინარე, არ გადავაჭარბებთ, საბოლოოდ კიდევ ერთხელ თუ ვიტყვით, რომ დიდი მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობა არა მარტო მისი მსოფლმხედველობრივი მრწამსის, ლიტერატურული ინდივიდუალობისა და პიროვნული ცხოვრების შეცნობის თვალსაზრისით იძენს

ფასდაუდებელ მნიშვნელობას, არამედ ავტორის მხატვრული მემკვიდრეობის საგულისხმო შენაძენსაც წარმოადგენს.

ლიტერატურა:

რობაქიძე გრ. 2012, I: რობაქიძე გრ. ნაწერები, წიგნი IV, პუბლიცისტიკა, ეპისტოლარული მემკვიდრეობა, თბ., 2012.

რობაქიძე გრ. 2012, II: რობაქიძე გრ. პირადი მიმოწერა. შეადგინა, წინასიტყვაობა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეთერ ქავთარაძემ, თბ., 2012.

Avtandil Nikoleishvili

Akaki Tsereteli State University

EMIGRANT PERIOD EPISTOLARY HERITAGE OF GRIGOL ROBAKIDZE RESUME

Emigrant period of Grigol Robakidze's (1880-1962) life is extremely interesting in terms of not only his creative work but his personal relationship with his fellow migrant writers living abroad as well. Gr. Robakidze went into exile in 1931 and until his death had close contacts with our compatriots living in different countries of Europe and America. Gr. Robakidze's personal correspondence with Georgian emigrants sheltered in these countries is extremely important for having a better and thorough understanding of a personal life of the writer as well as his literary beliefs and ideological outlook. Considering the above, the paper analyzes Gr. Robakidze's personal correspondence with the emigrant writers living in Argentina and the United States: Akaki Papava, Giga Diasamidze and Giorgi Gamkrelidze. It should be noted that by means of the intense correspondence with the expatriates living in different countries of America and Europe Gr. Robakidze tried to create the illusory micro world that would relieve his pain caused by being physically far from his homeland that had become his eternal dream.

ზურაბ ოქროპირიძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პიესა „ლამარას“ შექმნისა და დადგმის ისტორია

ათწლეულების მანძილზე (1932-1987) საბჭოური რეჟიმის მიერ გრიგოლ რობაქიძის (1882-1962) სახელისა და შემოქმედების სრულმა აკრძალვამ ბურუსში გახვია მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის არაერთი მნიშვნელოვანი დეტალი. იგი ეროვნული ძირების შეცნობის მძაფრი სურვილით შექმნილი ორიგინალური მისტიკურ-სიმბოლისტური პროზაული შედევრებითაა ცნობილი, თუმცა, არანაკლებ თავისთავადია მისი ემიგრაციამდე შექმნილი პოეტური და დრამატული ქმნილებები. მკვლევართა მართებული შენიშვნით „ბევრი რამ, რაც შემდგომ მის რომანებში შევიდა, ჯერ მის დრამებშია გამოკვეთილი.“ [13,54] მისმა პიესებმა: „ლონდა“ (1917-1919 წწ.), „მალშტრემ“ (1923 წ.), „კარდუ“, „ლამარა“ (1924 წ.) და სხვა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს XX საუკუნის ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. ცნობილი ქართველი მსახიობის აკაკი ვასაძის თქმით, გრიგოლ რობაქიძე ქართველ მწერალთაგან ყველაზე მეტად შეეწია და უთანაგრძნო ქართულ თეატრს. [6,103] ამ მხრივ შთამბეჭდავია „ლამარას“ როლი, რომლის მიხედვით რუსთაველის თეატრსა და საბჭოეთის სხვადასხვა ქალაქებში დადგმულმა (დაიდგა ასევე საქართველოს რეგიონებში) სპექტაკლმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია არა მარტო საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახელოვნებო წრეებში. გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების, სახელდობრ, „ლამარას“ მთავარი მდგენელი და მახასიათებელი მითოსი, ადამიანური ყოფიერების პირველსაწყისია გადმოცემული მაქსიმალურად დაწურული, ორიგინალური ლექსიკით, რიტმითა და მუსიკით. „...პირველად ვუკოლს (ბერიძე) წავუკითხე „ლამარა“, წერს ავტორი. სიტყვა მისი იყო: „...სიმფონიაა, სიმფონია...“ იქვე აღნიშნავს, რომ მის „ნაქმთა“ შორის „ლამარას“ „მუსიკალური

არქიტექტურა“ უფრო „მძლეობითაა მოზმული“. [1,281] ცნობილი ფრანგი მწერლის რომენ როლანის აზრით, გრიგოლ რობაქიძის ხელოვნება „მუსიკოსებს უფრო უახლოვდება, ვიდრე ჩვენს დიდ პოეტებს...“ [3,313] „ლამარას“ ვაჟასა და კოტე მარჯანიშვილის შთაგონებით ქმნის ავტორი. მან არაერთი წერილი უძღვნა მთიელი გენიოსის იდუმალ და თვითმყოფად შემოქმედებას. უკვირს, რომ „ჩვენი თანამედროვეა ეს მკვდრებით აღმდგარი ძე მითოლოგიური წარსულისა...“ [3,93] იგი „განმჭვრეტი მწყემსია“, რომელიც სალამურის მომხიბვლელ ხმებად გარდასახავს ზეცისა და მიწის უძველეს საიდუმლოთ. გრიგოლ რობაქიძე მოხიბვლილია ვაჟას მითოლოგიზმით და ემოწაფება მას. მისთვის „არწივის“ ავტორის მხატვრული მემკვიდრეობიდან ყველაზე „ღრმა და მშვენიერი“ „გველისმჭამელია“ თავისი გმირით - მინდიათი. გველის ხორცის ჭამისაგან განზრუნული მინდიას ესმის მრავალფეროვანი ბუნების ენა. იგი უარს ამბობს ნადირ-ფრინველთა და ხე-მცენარეთა ხოცვა-ჭრაზე. მისნური გონიერებით აღჭურვილი ხევსურთა წინამძღოლად იქცა. პოემის გმირი სძლევეს თავის თავში ვიწრო პირადულს. მინდიასთვის სამყარო ერთიანია. მისთვის ბალახის ღეროც ისეთივე სრულყოფილებიანი ელემენტია ბუნებისა, როგორიც ადამიანი. გველისმჭამელის ტრაგედია დაოჯახების შემდეგ იწყება. ცოლ-შვილი თავისას მოითხოვს... მინდია კომპრომისზე მიდის... ხოცავს, ჭრის... კარგავს მისნურ ძალას. ბოლოს კი თვითმკვლელად იქცევა.

1924 წლის ზაფხულში გრიგოლი სახელოვან რეჟისორთან, კოტე მარჯანიშვილთან ვაჟას შემოქმედებაზე საუბრის დროს სთხოვს მას დაინტერესდეს „გველისმჭამელის“ გასცენიურებით. დიდ ხელოვანს მოსწონებია იდეა და მწერლისთვის უთხოვია პოემის დრამად გადაკეთება. „იმპულსი ანთო ჩემში. არ გასულა სამი დღე - „ლამარა“ ვიხილე უეცარ გაელვებაში...“ [1,275] 1954 წელს უკვე ემიგრაციაში დაწერს, რომ მას დღესაც უკვირს პიესის ასე სწრაფად დასრულება, „სიმაღლე აზრებისა“ და მიზეზად ამისა ასახელებს მის მაშინდელ „სულიერ მდგომარეობას“, რომელიც 1924 წლის ამბოხის მარცხთან და გაუგონარ სისხლისღვრასთან იყო დაკავშირებული. „...წამებულმა ქართველმა ისეთი სიმძაფრით გაიღვიძა ჩემში, მოვინდომე: „ლამარა“ უმაღლეს მიმეხალა მტარვალთა მიმართ...“ [1,276] პიესა ორ კვირაში დაიწერა. იმ ხანებში ისედაც დამწუხრებული მწერალი კიდევ უფრო დაამძიმა ლეგენდარული ქართველი მომღერლის ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალებამ. მეოთხე მოქმედება მისი დაკრძალვის ღამეს იშვა. „...სამუდამოდ დადუმებულმა ორფეოსმა თუ მარგუნა ეს უნათლესი მადლი...“ [1,282] გასცენიურების ნაცვლად გრიგოლ რობაქიძემ „გველისმჭამელს“ ახალი, ორიგინალური პიესა „ლამარა“ ამოუყენა გვერდით. იგი უძველეს მითებზე დაფუძნებული ღრმად ეროვნული და საერთო კავკასიური ერთობის გამომხატველი მანიფესტი-ქმნილებაა. პიესაში ერთმანეთს ერწყმის ქრისტიანული რწმენა და წარმართული ღმერთების კულტი. პიესის სიუჟეტისა და იდეის უმთავრესი განმსაზღვრელი მძაფრი დრამატიზმით გამორჩეული ზეგრძნობადი სიყვარულია, რომელიც ვითარდება „გველისმჭამელიდან“ გადმოსულ ბრძენ ხევსურ მინდიასა და ქისტ ლამარას შორის. ლამარასადმი ტრფიალებში მინდიას მეტოქეობას უწევს ნახევარძმა თორღვაი, ხორციელად მსგავსი და სულიერად საპირისპირო მინდიასი, ძლიერი და დაუნდობელი. იგი მოიტაცებს ლამარას, შემოაკვდება მისი ძმა მურთაზი. ქისტები ლამარას მამას, იოს მეთაურობით სისხლის ასაღებად ემზადებიან. მინდია მისნურ ძალას კარგავს, მაგრამ გამოსავალს მაინც პოულობს: ეახლება ქისტეთში თორღვას სახელით მრისხანე იოს. ფიქრობს, ქისტები შურს იძიებენ მასზე მურთაზის მკვლელობისთვის და მომძე ხალხი ერთუთრთის სისხლს აღარ დაღვრის. საყვარელ ლამარასაც შეუმსუბუქებს სევდას. მინდიას ქცევით გაოგნებული შურისძიებით აღვსებული იყო ამოწვდილ ხმაღს ქარქაშში ჩააგებს. მინდია იბრუნებს მისნურ ძალას. მწერალი ფიქრობდა, რომ გველისმჭამელს თავი არ უნდა მოეკლა. ამიტომ მისი სახის ტრანსფორმაცია მოახდინა. თვითმკვლელობის ნაცვლად იგი თავს სწირავს. დრამატურგისაგან მეტად გაბედული იყო ვაჟას გამოყვანა პიესის პერსონაჟად. იგი ფრთხილობდა, ვაჟა-ფშაველა - ისტორიული პიროვნება, როგორ შეეთვისებოდა ზეისტორიულს, მითიურს? - „გარნა ვიცოდი ისიც, წერს გრიგოლ რობაქიძე, რომ ვაჟა მითიურ სივრცეში იყო მოქცეული... მითოსი მისთვის დედიშობილა იყო...“ [1, 278] პოეტი უძველესი მითოსიდან მოვლენილად მიიჩნია მწერალმა. ეს ზუსტი შეფასება იყო არაგველი გენიოსა.

ენის, როგორც ეროვნულობის უმთავრესი განმსაზღვრელის დაკავშირება რასასთან, ჯიშთან გრიგოლ რობაქიძის აზროვნების ქვაკუთხედი. მწერლის თქმით, „ლამარას“ მისი შესაფერისი სიტყვა უნდა ჰყუებოდა. პიესის შიგთავსის სიტყვიერი გაშლისათვის წმინდა გრაალის მცველმა ფშავ-ხევსურული ქართული მოიმარჯვა. დიდმა მოაზროვნემ ქართულის ძველთაძველ ფენად მიიჩნია იგი, რომელიც „ფესვეგადგმულია და დასაბამიდან მომდინარე“. [3,318] ავტორის წარმოსახვით, ასეთი კილო-კავით ლაპარაკობდნენ ჩვენი უშორესი წინაპრები. ამიტომ პიესის პერსონაჟთა სამეტყველოდ, მათი ხასიათებისა და ბუნების წარმოსაჩენად იგი უფრო ბუნებრივი იყო. შემოქმედის წერის სიტყვაძუნწ მანერას ზედმიწევნით მიესადაგა „სალი კლდისაგან ნაკვეთი“ ხევსურული ქართულის მოკლე, უმშვენიერესი ჩუქურთმოვანი სტილი და იმპერატიული სიდიადე. „ლამარა“ მხატვრული აზროვნების ნიმუშია. მწერალი თითქოს საჩემპიონო დოღს უმართავს იშვიათ მეტაფორა-შედარებებს, რომელი უკეთ

შეამკობს და წარმოაჩენს პიესის გმირებსა და სიყვარულის ყოვლისშემძლეობას. „...ლამარას თეთრ მკერდზე ბროწეულისფერი თმები გადმამეშვა, თითქო მზე მასხა ტანზე...“ მწერალი უნახესი ფრაზებით ეფერება სამშობლოს: „ჩვენი დედული ლბილია: რძიან ძუძუებს გაწოვებს...“ [1,159,165]. გრიგოლ რობაქიძე სარწმუნოებას და ენას ერთ კონტექსტში მოიაზრებს, რადგან მართლმადიდებლობა მწიგნობრობასთან ასოცირდებოდა მუდამ. მისი განმარტებით, „ლამარაში“ მისწურ სიწმინდეს (რწმენას) გვერდით უდგას ხმალი (ფიზიკური ძალა) - „ორი ნაკადი საქართველოს თავგადასავლისა... ჯვარი და ხრმალი...“ [3,18] მათი ერთიანობით იძლეოდნენ ყოველთვის ქართველთა მტრები - ასეა „ლამარაშიც“. ავტორის აზრით, უმითო დრამა უშინაარსოა. მისთვის მითოსი დაფარული სიბრძნეა. იგი ადამიანებს, ერებს (თუ აქვთ ასეთი) თავის თავს შეამეცნებინებს. უძველეს ქართულ მითებში მისტიური ჭკრეტით მწერალს ეროვნული ცნობიერების სათავეებთან მიყვევართ. პიესაში მთელი ძალით ცოცხლდება გაუტეხელობა ამაყი მთიელებისა. ისინი მყარად დგანან სულიერებით გაპოხიერებულ ქართულ-კავკასიურ ნიადაგზე. გრიგოლ რობაქიძის უმცროსი მეგობარი, გერმანელი მკვლევარი ნიკოლაუს ზომბარტი მიიჩნევს, რომ იგი უპირველესად ცდილობდა „მითოსით განაყოფიერებული ტილოების შექმნას... დღეს ბევრს ლაპარაკობენ მითოსზე, ეს იყო კაცი, რომელსაც ამისა მართლა გაეგებოდა...“ [3,326-332] ამ რაკურსით (და საერთოდაც) გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებას დიდად აფასებდნენ შტეფან ცვაიგი, ნიკოს კაზანძაკისი, რომენ როლანი... ქართველი ემიგრანტი მოღვაწეები: მიხაკო წერეთელი, კალისტრატე და ნინო სალიები, გიორგი გამყრელიძე [3, 233-251; 325-333; 2, 35-67; 76-102; 285-300; 307-319; 345] და სხვანი. „ლამარა“ უცხო ყვავილი იყო 20-იანი წლების პროლეტმწერალთა მიერ უღვთოდ დანაგვიანებული ქართული მწერლობის თაიგულში.

დრამატურგიული ნაწარმოების ღირსება-ნაკლოვანებებს თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, უპირველესად სცენა განსაზღვრავს. იქ ცხადდება მწერლის იდეა-ჩანაფიქრი. ფაქტიურად, დამდგმელ რეჟისორსა და მსახიობთა ოსტატობაზე დამოკიდებული პიესის ბედი. 1925 წლის გაზაფხულზე რუსთაველის თეატრმა კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის რეჟისორობით დაიწყო „ლამარაზე“ მუშაობა. ლეგენდარული მსახიობის აკაკი ვასაძის მოგონებით, „...გაგვიტაცა პიესის დასაწყისმა... მოქმედ პირთა უბიწოებამ... ვაჟკაცობამ...“ [9,235] რეპეტიციების დროს კოტე მარჯანიშვილი ცუდად გახდა, პიესის დასრულება ახმეტელს მოუწია (მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით პირველი ორი მოქმედება დამუშავდა). „ლამარას“ პრემიერა 1926 წლის 29 იანვარს შედგა. მასში დაკავებულნი იყვნენ თეატრის საუკეთესო არტისტული ძალები. ლამარას როლს თამარ ჭავჭავაძე ასრულებდა, მინდიას - გიორგი დავითაშვილი, თორღვას - უშანგი ჩხეიძე, იჩოს - აკაკი ხორავა, მურთაზის - აკაკი ვასაძე, ვაჟას - პლატონ კორიშელი და სხვა. მხატვრობა ლადო გუდიაშვილს ეკუთვნოდა, მუსიკა - იონა ტუსკიას. წარმოდგენას ზღვა ხალხი დაესწრო. სცენაზე გაცოცხლებულმა მითოსმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე. გრიგოლ რობაქიძე იგონებს: „...ფეხზე დგება მთელი თეატრი... ტაშის გრიალი... თეატრი მისტერიას ზიარებული... რა ემართება თეატრს არ აგიწერო, არცაა საჭირო...“ [1,288] ავტორი მოხიბლილი იყო მსახიობთა ოსტატობით. მისთვის ნაკლებ მიმზიდველი გამოდგა გუდიაშვილის დეკორაციები. მხატვრობის ერთგვარ ნაკლს ახმეტელი და ვასაძეც აღნიშნავდნენ. [5,243; 9,236] ალექსანდრე ახმეტელმა განუზომელი როლი ითამაშა „ლამარას“ უჩვეულო წარმატებაში. პიესის ორიგინალურ, მითოსით განოყიერებულ შინაარსსა და მომხიბლავ ფორმაში მან ახალი ეროვნული თეატრის საწყისები დაინახა. სპეციალისტები ერთხმად მიუთითებენ [5,240-256; 9,307-310; 14,134-136], რომ მარჯანიშვილის მიერ დაწყებული ლირიკულ-რომანტიკული ხასიათის სპექტაკლი ახმეტელმა გმირულ-რომანტიკულად აქცია. დიდმა რეჟისორმა გენიალური მარჯანიშვილის პატივისცემის მიუხედავად თავისი სახელოვნებო კონცეფციით დადგა პიესა, რამაც ამ უკანასკნელის გულისწყრომა გამოიწვია. აკაკი ვასაძის ცნობით, „კოტემ სამას დააბრალა, რომ მან სპექტაკლს მოახვია ზერელე რიტმი და ისტერიული ტემპი... კოტემ განაცხადა, ჩემი სახელი მოხსენით ამ დადგმიდანო“ [11,125] ორი სახელოვანი რეჟისორის ხედვა განსხვავებული აღმოჩნდა. მარჯანიშვილი არ იზიარებდა ახმეტელისეულ ზეაწეულ განცდებს და ჰეროიკას. იგი უფრო ლირიზმის სამოსში აქცევდა „ლამარას“, რომელიც პოეტურად, ზედმეტი ემოციის გარეშე მოუთხრობდა მსმენელს ადამიანური სიყვარულისა და სიკვდილის არსის შესახებ. პიესაში კავკასიონის მთებივით ჯანსაღი სიცოცხლე ჩქევს. აქ ძალადობას, შიშს, „ფეოდალს, თავადს არ სცნობენ... ჩვენ წავაწყდით „ლამარას“ თავისუფალ ქვეყანაში თავისუფალ მთიელებთან“ [4,169] - აღნიშნავდა რეჟისორი. პიესის ავტორის „რაინდული რომანტიზმი“ და მამხილებელი მხარე ზედმიწევნით გაიზიარა ახმეტელმა. ის, რისთვისაც მწერალმა „ლამარა“ „მიახალა მტარვალებს“, ახმეტელმა უფრო თვალსაჩინო გახადა დადგმით - ჭეშმარიტ ბედნიერებასა და სიყვარულს თავისუფლება განაპირობებს და არა ერების დამონებაო. თეატრალური ხელოვნების კორიფე „ლამარაში“ იპოვა წლების მანძილზე სულის თრთოლვით ნამებნი - ქართული მთის სიწრფელე, წარსულის ამალღებული, ჰეროიკული სული, ბუნებრივად მჩქევარე რიტმი და სანახაობა. ახმეტელი პიესის წარმოდგენით შეეცადა მოეძებნა ქართველ კაცში ყოვლისმომცველი ჰუმანიზმის სათავე. მისი თქმით,

ვეფხისა და მოყმის მითის ქვეყანაში „არ უნდა გაგვიკვირდეს, როცა უმშვენიერესი ლამარას და მინდიას თავგანწირვამ ხევსურები და ქისტები შეარიგა. [5,243] მწერალს თითქმის არ ჰქონია შენიშვნები თეატრის დასთან. „ლამარამ“ დაადასტურა ორი სახელოვანი მოღვაწის თეატრალურ-ესთეტიკური პრინციპების თანხვედრა: პიესაში უკიდურესი ტრაგიზმით განვითარებული კოლიზიები ახმეტელმა სცენაზე წარმოაჩინა როგორც დაპირისპირებულ, მაგრამ თავისუფალ მხარეთა სულის წრთობა, მტრობაზე ყოვლისშემძლე სიყვარულის გამარჯვება. სპექტაკლში დემონსტრირდა არა მხოლოდ გმირთა განცდები, არამედ ღრმად გაიხსნა მათი ხასიათები. თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძის თქმით, „მათთვის ქართველი ხალხის ეროვნული ენერგიის გამოხატვა უმთავრესი იყო...“ [6,98] ჯერ კიდევ 1923 წელს რობაქიძის შესახებ წერდნენ: „თეატრის პრობლემას უკავშირებს რასსიულ ტემპერამენტს და იცავს ანტიკურ დრამას“-ო („რუბიკონი“, 1923, N12). მწერლის შეხედულებებს „რასსიულ ტემპერამენტზე“ სრულად იზიარებდა ახმეტელი. [6,100] ავტორიც და რეჟისორიც ყურადღების მიღმა ტოვებენ ყოფით საკითხებს. ისინი ანტიკური ტრაგედიების მსგავსად დიადი, ყოვლისმომცველი ადამიანური ვნებებით ინტერესდებიან. ლამარას და მინდიას სიყვარული რობაქიძე-ახმეტელისეული გაგებით არაა ვიწრო-კამერული განცდა ქალ-ვაჟისა. ისინი უნივერსალური, ღვთაებრიობამდე აყვანილი სიყვარულით ეტრფიან ერთმანეთს. მწველი გრძნობით მიიწევენ ერთუთრთისაკენ, მაგრამ ხორციელად არ ეხებიან ერთმანეთს. მათი ტრფიალი მისტიურია: „ღვთიურ არს, ხორციელ იგემებ - მოჰკლავ მას, იწვოდ მხოლოდ...“ [3,338] (საოცარია: გრიგოლ რობაქიძემ პიესის შექმნიდან 37 წლის შემდეგ საქართველოდან შორს იპოვა თავისი „ლამარა“ - მასზე 47 წლით უმცროსი ავსტრიელი მხატვრის, გიტა შტრახვიტცის სახით. ისინი ნაწარმოების გმირთა მსგავსად, მისტიურად იყვნენ დაქორწინებულნი [3, 252-310]. გრიგოლისთვის გიტა „ღვთიური სატრფო“, „ღვთიური მეგობარი“ (იყო). სიყვარული მბრძანებლობს და მფარველობს ბუნების კეთილშობილურ საწყისებს, აღწევს ადამიანთა შორის ჰარმონიას. ქართული ხელოვნების ქურუმები „ლამარათი“ მიდიოდნენ ქართულ-კავკასიური მოდგმის სათავეებისაკენ. იქ ეგულებოდათ „ჩვენი კაცობის ფესვები“ (ალ. ახმეტელი) აწ დაკნინებული ქართული მოდგმისა. მკვლევრები მიუთითებენ, რომ ლამარას“ შემდეგ რუსთაველის თეატრის წარმოდგენები რობაქიძისეული ცეცხლით იყო აგზნებული [6,103]. სცენაზე ამტკცვლებულმა მინდიას მითმა მინავლებული ქართული სულის საოცარი აღმავრენა გამოიწვია. წარმოდგენა საბჭოური ძალადობის ფონზე კავკასიელთა თვითმყოფადობის მანიფესტად იქცა. პიესის შექმნიდან 30 წლის შემდეგ „ლამარას“ პრემიერის შესახებ რობაქიძე წერდა: „... გაიმარჯვა თეატრმა... „ლამარათი“ შექმნა ახალი სტილი, წმინდა - ქართული. სახელი „ლამარა“ მოეფინება მთელ საქართველოს... დაარქვეს იგი სადოლე ცხენებს. ერთ რესტორანსაც თბილისში...“ [1,289] როგორც მოსალოდნელი იყო, დადგმას არაერთგვაროვნად შეხვდა კრიტიკა. ერთხმად აღინიშნა სპექტაკლის უმაღლესი ხელოვნება, „მიმზიდველობა...“ („მუშა“, 26.11.1927). კრიტიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღიარებდა პიესის მხატვრულ სრულყოფილებას, მაგრამ იდეოლოგიურ მარწუხებში მოქცეულნი ნაკლად უთვლიდნენ, რომ მასში „არ იყო გაშუქებული პროლეტარული ყოფის პრობლემები...“ [15,36]. პროლეტკრიტიკა „ლამარას“ ასამართლებდა „სიყვარულის იდეის გადმერთებისათვის.“ „სიყვარულისთვის კრიტიკოსები შოლტებს მირტყამდნენ... არ ესმოდათ... მე ვეძებდი იდეალურ სიყვარულს, რომელიც სიკეთისაკენ წარმართავდა ადამიანის გონებას...“ [5,241] - წერდა ახმეტელი. რეჟისორს ოფიციალმა მკაცრად მიუთითა „ლამარა“ აღარ დაედგა. მიუხედავად ამისა, 1926-27 წლების სათეატრო სეზონში მან ოთხჯერ დადგა პიესა (4.11.1926; 9.12.1926; 13.01.1927; 26.11.1927). ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი ხელოვანი უკან არ იხევდა მრისხანე ძალის წინაშე. სპექტაკლი აკრძალეს... დაამსხვრიეს დეკორაციები. რეჟისორმა ყურად არ იღო ეს და 1929 წელს კვლავ განაახლა „ლამარას“ რეპეტიციები. მასში ღრმად შეიჭრა მინდიას მითი. გრძნობდა: მის თვალწინ ტრიალებდნენ პიესის გმირები. აკაკი ვასაძის მოგონების მიხედვით, ახმეტელმა რედაქცია გაუკეთა პირველ სამ მოქმედებას... „ყოველი სცენიური მოქმედება მუსიკალურ რიტმს დაუმორჩილა... დაუკავშირა მხატვრულ სახეს...“ [9,310] პიესა 1930 წლის 25 აპრილს დაიდგა. ლამარას როლს თამარ ჭავჭავაძის ნაცვლად თამარ წულუკიძე ასრულებდა, თორდვას - ვანიკო აბაშიძე. ამჯერად თეატრის მხატვრობა რეჟისორმა ირაკლი გამრეკელს დაავალა. თანადამდგმელად აკაკი ვასაძე აიყვანა. მხატვრას პირდაპირ სცენაზე ნაჩქარევად აუგია დეკორაცია. აკაკი ვასაძე იხსენებს, რომ შეუსაბამო დეკორაციებს აღუშფოთებია ახმეტელი და მისი დაჩეხვა განუზრახავს. მეორე დღეს მთელი ღამის ნამუშევარ ხელოვანს ბრწყინვალე მხატვრობით შეუმკია წარმოდგენა, სადაც „კლდოვანი მთების სახიერი, კოლორიტული მოტივები ისახებოდა“ [9,309]. პიესა თავის ავტორ-რეჟისორიანად ახალი თავდასხმების ობიექტი გახდა. რეჟიმის მთავარი რუპორის - „კომუნისტის“ (01.05.1930) საპირველმაისო ნომერში „ლამარა“ „მავნე და მიუღებელ“ სპექტაკლად და მიჩნეული... „ვერაფერს აძლევს მუშა მაყურებელს...“ პიესის ირგვლივ წინააღმდეგობრივად ვითარდებოდა მოვლენები. 1930 წლის ივნისში მოსკოვის საკავშირო თეატრალურ ოლიმპიადაზე (რომელსაც მრავლად ესწრებოდნენ ევროპელი და ამერიკელი სათეატრო მოღვაწეები) ზემდგომთაგან დიდი ზეწოლის მიუხედავად, ახმეტელმა „ლამარაც“ წაიღო. ამის გამო ავისმოსურნენი ცდილობდნენ

თეატრი საერთოდ არ გაეშვათ მოსკოვში. სამშობლოში ჯვარცმული პიესა და რუსთაველის თეატრი მსოფლიო სათეატრო წრეების ყურადღების ცენტრში მოექცა. დადგმა ოლიმპიადის გვირგვინად იქცა. ცნობილი რუსი და ევროპელ-ამერიკელი მოღვაწეები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ წარმოდგენით. მას უწოდებდნენ „ხალხთა მეგობრობის სპექტაკლს“, „ზეიმს ხელოვნებისა“, „სპექტაკლს შექსპირისებურს...“ [4,170-172] და სხვა. ამერიკელი თეატრალის ჰელი ფალანგანის თქმით, სცენაზე იყო „ამაღლელებელი სიმფონია...“ „მე ვერ წარმომედგინა ხალხური რიტმის, მუსიკის და ფიზიკური მოძრაობის შეერთება ისე, როგორც ეს შესძლო რუსთაველის თეატრმა...“ [4,239] - წერდა ოსლოს თეატრის დირექტორი ნილსენი. ოვაციებს საზღვარი არ ჰქონდა. 17 ივნისის წარმოდგენაზე „ოცდაორჯერ გაიხსნა ფარდა... ოცდაორჯერ გამოვიდა სცენაზე მადლობის ნიშნად თამარ წულუკიძის მშვენიერი ლამარა“ [5,261]. პროგრამის მიხედვით, თითო პიესა ორჯერ უნდა დადგმოლიყო. „ლამარა“ რვაჯერ დაიდგა. ერთ-ერთ წარმოდგენას სტალინიც დაესწრო. მას უთხოვია ახმეტელისთვის თავიდან გაემეორებინათ დადგმა. რეჟისორი იგონებს, რომ სპექტაკლის შემდეგ იგი „უფრო წმინდანს ჰგავდა, ვიდრე მრისხანე სტალინს...“ [5,253]. „ლამარას“ წარმატების ერთ-ერთი საიდუმლო ეროვნული ტკივილის ზოგად-საკაცობრიო ჭრილში დანახვა იყო. პიესის გმირები კავკასიის მიუვალი მთებიდან მიუთითებენ „განათლებულ“ კაცობრიობას, რომ მან განდევნა რა ღვთაებრივი თავისი ყოფიდან, განვითარების ყალბი გზა აირჩია. უღვთოობამ ზნეობრივი ღირებულებების მასშტაბური ნგრევა და ქაოსი გამოიწვია. სხვადასხვა ერის ადამიანები სცენიდან ხედავდნენ უძველესი ეპოქის ხალხთა ბუნებრივ, თანხმიერ ცხოვრებას თავისი კოლიზიებით. ისინი ხვდებოდნენ: ადამიანური ბედნიერება მოაქვს არა კლასთა ბრძოლისა თუ სხვა ჯურის თეორიებს, არამედ წმინდა სიყვარულს, მითოსური სიბრძნის შეცნობას „ლამარას“ პერსონაჟებს ასე ჭარბად რომ აქვთ მომადლებული.

სამი წლის შემდეგ თეატრი კვლავ გაემგზავრა საგასტროლოდ მოსკოვსა და ლენინგრადში. „ლამარას“ წარმოდგენებმა ტრიუმფით ჩაიარა. პრესა აჭრელებული იყო თეატრის დასის წევრთა ფოტოებით და დადებითი რეცენზიებით [5,286]. პიესამ ბაქოს გასტროლებზეც (1935 წ.) გამოიჩინა თავი. ინციდენტიც მოჰყვა მის წარმოდგენას: აკაკი ხორავა დადგმის დღეს ალკოჰოლის მიღებისთვის ახმეტელმა თეატრიდან დაითხოვა. დასმა უამრავი მოწვევა მიიღო უცხოეთიდან. თითქმის გადაწყვეტილი იყო თეატრის გამგზავრება ევროპასა და ამერიკაში. ამასობაში გრიგოლ რობაქიძე ძლიერ შეავიწროვეს. მის შემოქმედებას ბურჟუაზიული უწოდეს. იგი ამაოდ ცდილობდა საბჭოეთის დატოვებას. ამაში „ლამარა“ დაეხმარა: თეატრის გერმანული გასტროლების მოლოდინში ჩავიდა მოსკოვში ახელ ენუქიძესთან და დაარწმუნა - როგორც „ლამარას“ ავტორს, შეუძლია გერმანიაში თეატრს დაეხმაროს. მას მისცეს საბჭოეთიდან გასვლის ნებართვა. უკვე გერმანიიდან აკაკი ვასაძეს სთხოვდა ჩქარა გამომგზავრებულიყვნენ: „აქ უთუოდ დიდი წარმატება ექნებაო თეატრს...“ [9, 315-316] მაგრამ „პენსნიანი“ კაცის წყალობით გეგმა ჩაიშალა. გრიგოლ რობაქიძის განმარტებით, თეატრის კოლექტივს არ ენდვნენ ბოლშევიკები, რადგან მათში „არცერთი კომუნისტი არ არის“. [3, 235] მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნებულ თეატრს და მის ხელმძღვანელს უფრო კატეგორიულად მოსთხოვეს ქებით ცამდე აყვანილი სპექტაკლის მოხსნა რეპერტუარიდან. ახმეტელი ჯიუტად არ თმობდა მას... „ლამარა“ მეორედ მოუხსნეს. რეჟისორმა თავად გამოაკრა აფიშები და წარმოდგენაც გაუშვა. რობაქიძე და ახმეტელი ისე განიცდიდნენ პიესის ბედს, როგორც დედა-შვილისას. ემიგრაციაში წასვლის შემდეგ (1931 წ.) მწერლის სახელი აიკრძალა. შვილივით ნაფერები „ლამარა“ „დაობლდა“ : იგი ჩამოართვეს ავტორს და ვაჟა-ფშაველას მიაწერეს. თავად „ლამარა“ ვერ იქნა ტაბუირებული, რადგან ქართული თეატრის წარმატებებზე საუბარი მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ათეული წლების მანძილზე ყველა მკვლევარი, ვინც ახსენებდა პიესას, ავტორად ვაჟა უნდა მიეთითებინა [5, 239-256; 10, 278-280; 14, 134-142]. სამშობლოდან გადახვეწილი მწერალი მწვავედ განიცდიდა ამ გარემოებას - მისთვის შეურაცხმყოფელი იყო თავისივე ქმნილების „ლიტერატურულ ქურდად“ გამოყვანა. იგი ირაკლი აბაშიძეს უგზავნის ბარათს და შეახსენებს „გველისმჭამელსა“ და „ლამარას“ შორის არსებულ მსგავსებასა და დიდ განსხვავებას [16,31]. პოემის მინდია მოვალეობის გრძნობით ოჯახდება და მისნობის უნარსაც კარგავს, რასაც მომძეთა მარცხი და მისი თვითმკვლელობა მოსდევს. „ლამარას“ გმირი კი, როგორც ზემოთ ითქვა, დრამატურგმა თავისებურად გაიაზრა. იგი ლამარასადმი წმინდა სიყვარულით ნათელმოსილი პირადი თავგანწირვით მომე ხალხებს იხსნის სისხლისღვრისგან. პიესის მინდია ბოლომდე გაუზზარავი პიროვნება რჩება. წარმატებული აღმოჩნდა „ლამარას“ დადგმა რეგიონებში. ბათუმში პიესის წარმოდგენის დროს მაყურებლებს უთხოვიათ: ვაჟა (როგორც პიესის პერსონაჟი) სხვადასხვა კუთხის ქართველებთან ერთად აჭარლებსაც მიესალმოსო [1,289]. ანშლაგით მიმდინარეობდა მისი დადგმა ზუგდიდის თეატრშიც (31.08.19 31). „ლამარას“ პირველი წარმოდგენიდან 70 წლის შემდეგ რუსთაველის თეატრმა რობერტ სტურუას რეჟისორობით კვლავ დადგა პიესა „მასში ერთდროულად ორი ამბის, მიწიერისა და მისტიურის პარალელური მიმდინარეობით“ [17] - წერდა თეატრმცოდნე თამარ ბოკუჩავა. უცნაურ ვარსკვლავზე იყო დაბადებული „ლამარა“. მისი საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე ღვთიური ნათელი

უცხო და ძნელად აღსაქმელი აღმოჩნდა 20-იანი წლების უღმერთო იდეოლოგიისათვის. საბჭოთა პოლიტიკა სტალინის მეთაურობით მოხიზლული იყო მისით. იმავდროულად სასტიკად ებრძოდნენ, რადგან გრძნობდნენ, ის შინაგანად „მათი არ იყო“. უყვარდათ, მაგრამ სჯიდნენ სიყვარულისთვის. „ლამარამ“ შემოქმედებითად დაახლოვა ერთმანეთს ახმეტელი და რობაქიძე. მან მრავალი ბედნიერი წუთი და განსაცდელი მოჰგვარა ორივეს. მისით მოტანილი სიხარული ცხოვრების ბოლომდე გაჰყვათ დიდი კარდუს შვილებს. ავტორისა და რეჟისორისათვის იგი იყო შემოქმედებითი ოლიმპი, საიდანაც ჭვრეტდნენ სამყაროს. მინდიას მითში ისინი ცხოვრების საწყისს, შეუბღალავ სიწმინდეს ხედავდნენ, ამიტომ მის დამცირებას არავის ჰპატიობდნენ. სიცოცხლის მიმწუხრს, 1962 წელს გრიგოლ რობაქიძე ამაყად იტყვის: „საქართველო ოდესმე იამაყებს „ლამარათი“ [2,64]. პიესა ერთგვარი განხეთქილების ვაშლად ექცა ალექსანდრე ახმეტელს. მის გამო საბოლოოდ დაშორდა ძვირფას მეგობარსა და მასწავლებელს კოტე მარჯანიშვილს, გაანაწყენა მხატვრები - ლადო გუდიაშვილი და ირაკლი გამრეკელი. აკაკი ხორავა თეატრიდან გაუშვა. პირისპირ წაეკიდა ლავრენტი ბერიას. ორჯერ მოუხსნეს რეპერტუარიდან, ორივეჯერ აღადგინა. „ლამარას“ უსამართლო ბრალდებისათვის მოსკოვში საჯაროდ, მკაცრად დაგმო გაბოლშევიკებული კრიტიკოსები. ჯიქურ ხედებოდა უსამართლო კრიტიკას. მან პირდაპირ აუკრძალა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებას“ რუსთაველის თეატრზე არა თუ წერა, თეატრში მისვლა. „იგი არც განსახკომს ეპუებოდა“ [9,358]. „ლამარამ“ არცთუ უმნიშვნელო როლი შეასრულა გრიგოლ რობაქიძის ემიგრანტად ქცევისა (თუმცა კრიტიკულ მომენტში წასვლაშიც დაეხმარა) და ახმეტელის ტრაგიკულ აღსასრულში. ავტორისთვის იგი „პიროვნულ არსად“, რეჟისორისათვის კი „მწვერვალად იქცა, რომელიც არავის დაუთმო“ [5,255-256]. განუზომელია პიესის როლი ქართული დრამატურგიული მწერლობისა და თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. მისი შექმნა და დადგმა ავტორისა და რეჟისორის იშვიათ გაბედულებაზე მეტყველებს. „ლამარა“ პირველი ქართული სპექტაკლი იყო, რომელმაც გაარღვია საბჭოეთის დახურული სივრცე და მსოფლიოს თეატრალური სამყარო ალაპარაკა.

ლიტერატურა:

1. გრიგოლ რობაქიძე, დრამები, წერილები თეატრის შესახებ, თბ., 2003;
2. გრიგოლ რობაქიძე, პირადი მიმოწერა, შემდგენელი ეთერ ქავთარაძე, თბ., 2012;
3. ქართული სიტყვიერება, გრიგოლ რობაქიძე, წ. 10 (პროგრამის ხელმძღვანელი ზაზა აბზიანიძე), თბ., 2012;
4. ვასილ კიკნაძე, სანდრო ახმეტელი, თბ., 1977;
5. ვასილ კიკნაძე, ცხოვრება სანდრო ახმეტელისა, თბ., 1986;
6. ვასილ კიკნაძე, სინამდვილე და სახიობა, თბ., 1990;
7. ალექსანდრე ახმეტელი, დოკუმენტები, ნარკვევები, II, წ. I, თბ., 1987;
8. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ქართული ლიტერატურა, II, ნაწ. I, თბ., 2012;
9. აკაკი ვასაძე, მოგონებები, ფიქრები, I, თბ., 2010;
10. აკაკი ვასაძე, მოგონებები, ფიქრები, I, თბ., 1977;
11. ეთერ დავითაია, მარჯანიშვილისა და ახმეტელის ერთობლივი დადგმები, თბ., 1981;
12. აკაკი ბაქრაძე, თხზულებანი, II, თბ., 2004;
13. თომას ჰოიზერმანი, ბედისწერის სიყვარული, თბ., 2006;
14. ნოდარ გურაბანიძე, სცენა, რეჟისორი, მსახიობი, თბ., 1966;
15. რომან ფიცხელაური, ქართული დრამატული მწერლობა, თბ., 1928;
16. ქართული მწერლობა, თბ., 2008, N1
17. კავკასიონი, 12.12.1996, N219;

Zurab Okropiridze

Gori State Teaching University

THE HISTORY OF CREATING AND STAGING OF PLAY "LAMARA" RESUME

Grigol Robakidze's the play "Lamara" was made under the inspiration "Snake Eater" of Vazha Pshavela in 1924. The staging play in the state theaters of Tbilisi Rustaveli (1926) and Moscow (1930) brought world fame to the author and the director (Al. Akhmeteli). The Soviet press sharply criticized Robakidze and Akhmeteli because they were fond of the National themes. The staging the play came to define a director's tragic fate and accelerated migrating of the writer. Since 30s his name was taboo. The author of "Lamara" was declared Vaja Pshavela.

ძალაუფლებისა და კულტურის ფაქტორები ქართველურ ტომებში

აგრესიის სიმცირე და სწრაფვა კულტურისაკენ

ქართველურ ტომებს, მცხოვრებთ ანატოლიაში, ზღვისპირეთში, ამიერკავკასიაში, აკლდათ ბარბაროსული ენერგია და სწრაფვა ძალაუფლებისაკენ, რაც ქმნიდა სახელმწიფო სტრუქტურას, იმორჩილებდა მასებს და იძლეოდა ბიძგს სხვათა ტერიტორიისა და ქონების ხელში ჩასაგდებად, როგორც ეს ჰქონდათ ასურელებს თუ ურარტუელებს.

ამას სჭირდებოდა წესრიგი, დისციპლინა, ფანატიკური რწმენა და ლიდერი, ნაკლები ჰუმანურობა და მეტი სისხლის წყურვილი. სხვაგვარად არ ფართოვდება მშობლიური სივრცე, არ ძლიერდება ქვეყანა, არ მკვეთრდება ეროვნული ხედვა, როცა მოდის სასტიკი მტერი, იმავე მიზნით შეპყრობილი. საუკეთესო თავდაცვა იყო თავდასხმა ღმერთების ნებითა და სახელით. ამიტომაც ჩვენთა წინაპართა ვრცელი განფენა სულ უფრო იკუმშებოდა და მცირდებოდა, ექცეოდა უცხო ძალის არეში.

ვერ იქნა მიღწეული ცივილიზაციური უპირატესობა მაშინაც, როცა წარმატებით ჰედდნენ ბრინჯაოსა და რკინას, რაც გადამწყვეტი ფაქტორი უნდა ყოფილიყო.

ხეთასა და მითანის დაცემამ (მვ. წ. XII ს.) აამოძრავა ქართველური ტომები და მიეცათ საშუალება, რომ შეექმნათ გაერთიანებები. მაგრამ გამოჩნდნენ უფრო ძლიერი აგრესორები – ასურეთი და ურარტუ, შემდეგ – ჩრდილოელი მომთაბარე ტომები – სკვითები და კიმერიელები.

კოლხური სატევარი დაჯახნა კიმერიულმა აკინაკმა.

სწრაფად დაემხნენ კოლხური, დიაოხური, მოსოხური პრა-სახელმწიფოები, განადგურდა არქაული კულტურები, მათი შემქნელი ელიტა.

ეს იწვევდა კულტურის განვითარების წყვეტას, უკუსვლასა და დაცემას, მორჩილებას უცხოურისადმი.

სკვითებისა და კიმერიელების შემოსევებმა, ერთი მხრივ – არივ-დარია ქართველური ტომები, შეცვალა კავკასიისა და მცირეაზიის რუკა, მეორე მხრივ – გააღვიძა თავისუფლებისაკენ სწრაფვა, თავდაცვის ინსტინქტები. თავდაცვა კი შეუძლებელი იყო ერთიანობის გარეშე.

ამასვე აიძულებდა მუშქებსა და მათთან ერთად აღმოსავლეთისაკენ დაძრულ ტომებს ახალი გარემო, უცხო სივრცეში დამკვიდრების პროცესი, რაც მოითხოვდა როგორც შრომას, ისე ბრძოლას.

მათ არა მხოლოდ დემოგრაფიულად, არამედ – მახვილითაც უნდა დაეპყროთ ის მიწა, რაც წინაპრებმა დატოვეს ათასი წლის წინათ, XV საუკუნეში.

კატასტროფა ან კრიზისი ამავე დროს არის განახლების ძლიერი იმპულსი: ასე მოხდა მტკვარ-არაქსისა და თრიალეთური კულტურების დამხობის შემდეგ, სკვითებისა და კიმერიელების გამანადგურებელი ლაშქრობების შემდეგაც, რომელმაც – დათრგუნა ქართველური ტომები, მაგრამ, – აიძულა მცირეაზიელი მუშქები ებრძოლათ ბედისწერის წინააღმდეგ, მოეპოვებინათ ახალი მიწა და სამშობლო.

ცხენი და მახვილი იყო მთავარი ძალა.

200 წლის შემდეგ ქართველური ტომები მონაწილეობდნენ აწ ტრადიციად ქცეულ სხვის ომში – V საუკუნის ირანელთა ცნობილ ლაშქრობებში ბერძნების წინააღმდეგ.

ჰეროდოტეს ცნობით, კოლხებს, მოსხებს, მაკრონებს, მოსინიკებს, ტიბარენებს თავზე ხის ჩაფხუტები ეხურათ, ხოლო ფარები ტყავისა ჰქონდათ.

მხოლოდ ხალიბები ყოფილან აღჭურვილი ხარის რქებიანი სპილენძის მუზარადებით, ორ-ორი შუბით.

ყველა დროში იარაღი ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყო.

თითქმის ერთი საუკუნის შემდეგაც, იგივე შეიარაღება ჰქონიათ ზღვისპირეთის ქართველურ ტომებს.

401 წელს 10.000 ლაშქრით აქ გაუვალა ათენელ სარდალ ქსენოფონტეს. იგი ასახელებს ხალიბებს (ხალდებს), მაკრონებს, სკვითინებს, კარდუხებს, მოსინიკებს, დრილებს, ტიბარენებს.

მათ ჰქონიათ ხის გამაგრებული პუნქტები, ჰყოლიათ ბელადები. აწრთობდნენ რკინას, ამუშავებდნენ მიწას, იყვნენ მეთევზეები.

ქსენოფონტეს ცნობით, კარდუხებს კარგი მშვილდისარი ჰქონიათ. ხალიბებს სცმიათ სელის ჯავშანი; მაკრონები და დრილები გამოდიოდნენ დაწული ფარებით; ტაოხების თითქმის არ ჰქონიათ იარაღი. ისინი კლდეებს იშველიებდნენ.

მოსინიკები ყოფილან ყველაზე უკეთ აღჭურვილი – ეცვათ მოკლე ქიტონი, ეხურათ ტყავის ჩაფხუტი, ხელთ ეკავათ რკინის ჩუგლუგი და შუბი, ხარის ტყავგადაკრული ფარი.

კოლხებს ხის ჩაფხუტები ეხურათ.

როგორც ვხედავთ, რკინის საომარ იარაღებს ნაკლებად იყენებდნენ. ბრინჯაო და სპილენძი, მითუმეტეს – ხე და ტყავი ვერ უძლებდა რკინის მახვილებს, ხანჯლებსა და ჩუგლუგებს.

ქართველური ტომები ქვეითი და ხმელეთზე მოლაშქრენი იყვნენ.

მათ არც ცხენოსანი რაზმები ჰყოლიათ.

ასე რომ, შეიარაღებით არ გამოირჩეოდნენ. ეს მაშინ, როცა ვამბობთ, რომ რკინას და ბრინჯაოს ჭარბად ამუშავებდნენ, რომ აკეთებდნენ მრავალგვარ საომარ იარაღს, რომ კაპადოკიაში საუკეთესო ცხენები ჰყავდათ.

კიდევ უფრო ცუდად იქნებოდნენ აღჭურვილნი კიმერიელების შემოსევის დროს. ამიტომაც ვერ გაუძლეს მეომარი, ცხენოსანი, ლითონში ჩამჯდარი ბარბაროსების შემოტევას.

კიმერიელები იბრძოდნენ ორმეტრიანი რკინის ბუნიკიანი შუბებით, რკინის მოკლე მახვილებით, მშვილდისრებით, ეხურათ მუზარადები, ეცვათ ბრინჯაოს ჯავშანი.

მათ მიერ მოტანილი მახვილი – აკინაკი მთელს კავკასიაში გაბატონდა.

მაგრამ არ კმარა არც ტექნიკა, არც ტექნიკის დაუფლება. აუცილებელია სტრატეგია და ტაქტიკა, ლაშქრის ორგანიზება, რათა მეომართა მასა მოძრაობდეს და მოქმედებდეს როგორც ერთი სხეული.

მაგ., რომაელები აღჭურვილი იყვნენ ორი შუბით, ფართა და მახვილით, რკინის მუზარადით. ლეგიონი მოდიოდა ორ ტალღად. მათ მოჰყვებოდა მესამე ტალღა, როგორც ფალანგა – ერთმანეთთან მიჯრილი მწკრივებით.

ჰყავდათ როგორც ქვეითი, ისე გაწვრთნილი უშიშარი ცხენოსანი ჯარი.

მათთვის მეომრის ღირსება სიცოცხლეზე მეტი იყო.

ქართველი მებრძოლენი ტომობრივი პრინციპით ნაწილდებოდნენ და ცალ-ცალკე ეომებოდნენ მტერს ან იღებდნენ ქალაქსა და ციხე-სიმაგრეს.

მკაცრ ორგანიზებას სცვლიდა სტიქიური თავდასხმა და თავდაცვა. მაგ., მთებისა და ტყეების რელიეფის გამოყენება, სადაც ცხენოსანი ლაშქარი ვერ გაივლიდა და ვერც სიმრავლე იყო ეფექტური, ან კლდიდან – ლოდების დაგორება, ასე მტრის დახოცვა და გზის ჩაკეტვა.

დამარცხების დროს, ტყვედ რომ არ ჩავარდნილიყვნენ, ერთიანად ცვიოდნენ კლდიდან ან თავს იწვავდნენ (შდრ. – ვაჟა-ფშაველას „ბაკური“).

სულის მხნეობის მოსაპოვებლად ბრძოლის ანუ სიკვდილის წინ მღეროდნენ.

ვერც ცხენოსნობით შეედრებოდნენ ჩვენი წინაპრები სტეპებზე მოთარეშე ბარბაროსულ ტომებს, ვერც სისასტიკითა და ამტანობით.

ჰეროდოტეს სიტყვით, სკვითები მოკლულის სისხლს სვამდნენ, შემდეგ გაატყავებდნენ, კანს ხელსახოცებად, მოსასხამებად და კაპარჭების ბუდეებად აქცევდნენ, თავის ქალას – სასმურებად.

მეომართა დიდი მასის გამოყვანა მომთაბარე ტომებს უფრო იოლად შეეძლოთ, ვიდრე ჭაობიან და მთა-გორიან მიწაზე მოსახლეთ.

თუმცა საუკუნეების მანძილზე ბერძნებთან ჰქონდათ კავშირი, კოლხები ძლიერი ზღვაოსნები ვერ გახდნენ, ვერ შექმნეს ფლოტი (მაგ., სალამინის ბრძოლაში მხოლოდ ათენელებმა გამოიყვანეს 180 საომარი ხომალდი), არ ჰქონიათ ზღვის კულტი, ისევე როგორც ხეთებს.

მიზეზი ის იყო, რომ შავ ზღვაში არ არის კუნძულები, რომელთა დასამორჩილებლად საჭირო გახდებოდა საბრძოლო და არა სათევზაო ხომალდების აგება, ზღვის სტიქიის ძლევა, საზღვაო ომები.

საბერძნეთის გარშემო კი უთვალავი კუნძულია. მათზე გადასვლა, მათი ათვისება რომ შესძლებოდათ, ბერძნებს ხომალდები უნდა აეგოთ.

ამიტომ მოახერხეს დარიოსისა და ქსერქსეს დამარცხება.

ქართველურმა ტომებმა ვერც წყალზე, ვერც ხმელეთზე ვერ მოიპოვეს უპირატესობა. ისინი უცხო ხალხების მპყრობელობისა და გავლენის არეალში აღმოჩნდნენ, რამაც დათრგუნა ურჩი, მეომარი სული და განავითარა მორჩილი ქალური საწყისი, რაც მხოლოდ სხვათა გამოცდილების გადმოტანას, დაცვასა და გადარჩენას ჰყოფნიდა.

ამიტომ ქართველურ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს წარმოშობდა და ამხოზდა არა შინაგან ძალთა აფეთქება და კრიზისები, არამედ გარეგანი ფაქტორები, უცხო ძალის აგრესია, ამ აგრესიის შეწელება. მაგრამ არ ხდებოდა ძალთა აკუმულირება თავად აგრესიის კერისაკენ, მის მოსასპობად.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არც დიაოხის, არც კოლხეთის, არც მუშქების სამეფოში მმართველი ძალა არ ყოფილან ქართველური ტომები.

შესაბამისად – ზედაფენა, არისტოკრატია და მათი ღმერთები იყო ხურიტული, ბერძნული, ფრიგიული.

ეს ტრადიცია გაგრძელდა წარმართულ ეგრის-ლაზიკასა და იბერიაში.

ეგრისელები მინებდნენ ელინურ აიეტიდების დინასტიას, იბერები – ირანელებს, ვიდრე გამოჩნდებოდა რომი.

წელთაღრიცხვათა მიჯნაზე ყველაზე დაფანტული აღმოჩნდნენ ზღვისპირელი ტომები, რომელთა წვრილი გაერთიანებანი პერიოდულად ჩნდებოდა და ქრებოდა (მაგ., ხალდია, მოსხიკე, მახელონებისა და ჰენიოხების სამეფო).

მხოლოდ ლაზიკამ შემლო ტერიტორიის გავრცობა და დიდხანს არსებობა.

ფარნავაზის მიერ დროებით გაერთიანებული და შემდეგ ისევ დანაწევრებული ქართველური ტომებისათვის მთავარი იყო გადარჩენა, სიცოცხლის შენარჩუნება, რაც არის მორჩილებისა და გადაგვარების გზა. მაგრამ დროებით პერიოდში ბრძოლისაგან თავის არიდება საჭიროც იყო და აუცილებელიც.

ისტორიის ბარბაროსულ სრბოლაში სიმართლეს განსაზღვრავს ძალა, ძალა ვისაც აქვს, ის აგრძელებს არსებობას.

სასიცოცხლო ინსტინქტები კი გამოიმუშავენ შესაბამის ფორმებს თავდაცვისა და თავდასხმისათვის. მაგრამ ასევე მოქმედებს მეტოქეც, რაც სიცოცხლეს აქცევს საბედისწერო ბრძოლის ველად.

ეს იწვევს ძალთა მაქსიმალურ მობილიზებასა და კონცენტრირებას, რაც ხდება პროგრესის ზამზარა მრავალთა სიცოცხლის ხარჯზე.

თრიალეთური პერიოდიდან ქართველურ ტომებში არსებობდა მთის (გორის) კულტი. საცხოვრისები, სამლოცველები, ციხე-სიმაგრეები იგებოდა გორაზე, იმარხებოდნენ გორაზე.

აქედან ზვერაგდნენ გზასა და შორეთს, რომელსაც მტერი მოჰყვებოდა. აქ უფრო იოლად უმკლავდებოდნენ უცხო ძალას, ვიდრე გაშლილ ველზე (შდრ. ბერძნ. *oros* – მთა და მეგრ. *ორო* – ჩრდილი).

ხეებით დაბურული, პირქუში და ბნელი გორები და მთები უფრო ინახავდა ნადირსა და ფრინველს, წყალსა და ლითონთა საბადოებს (შდრ – ტყის კაცი, ოჩოკოჩი, ტყაშმაფა, ალი/დალი).

ამიტომ გაიგივდა გორა გუართან, როგორც ბუნებრივად შემოსაზღვრული და დაცული ტერიტორია, ბერძნული პოლისის მსგავსი (შდრ – კოლხური დიხაგუძუბები).

ამირანის მიჯაჭვის ადგილი არის მთა და მღვიმე.

ჩვენი წინაპრები ორიენტირებული იყვნენ თავდაცვით სისტემაზე. ისინი იყვნენ მეჯოგეები, მიწის მუშაკები, მჭედლები, ხელოსნები. მხოლოდ მშვიდი ცხოვრების შესანარჩუნებლად იღებდნენ იარაღს – თავს არ ირჩენდნენ ნალაფართა და მონა-ტყვეებით.

ეს კი აფერხებდა როგორც ეკონომიკურ, ისე სამხედრო პროგრესს, ვერ უსწორდებოდნენ მეომარ აგრესორებს, რომლებიც ბარბაროსული სისასტიკით ახერხებდნენ დამატებითი ძალის მოპოვებას.

გასაოცარია, მაგრამ ფაქტად რჩება, რომ ჩერქეზულმა, ჩეჩნურმა და დაღესტნურმა ტომებმა ვერ შექმნეს ვერც სახელმწიფო, ვერც დამწერლობა, ვერც ხელოვნება და დარჩნენ არქაულ-წარმართული წარმოდგენების დონეზე, თუმცა იყვნენ მეომრები და შეინარჩუნეს ენები და ტრადიციები.

ქართველურ ტომებს აგრესიის სინაკლებე უბიძგებდათ კულტურისაკენ, სადაც გადაჰქონდათ რეალობა და ოცნება.

ეს იყო განუხორციელებელ ზრახვათა, შეკავებულ ინსტინქტთა სიმბოლური რეალიზება, კომპენსირება და სუბლიმირება.

ფარნავაზამდელი ჩვენი წინაპრები ავლენენ ყველა იმ ნიშანთვისებას, რაც მკვეთრად გაიშალა ისტორიულ პერიოდებში:

ეს არის ინდივიდუალიზმი, გადარჩენის ინსტინქტი, სახელმწიფოებრივი შეგნების სიმცირე და სწრაფვა უცხოური კულტურისაკენ.

უცხო ყოველთვის სანიმუშო იყო. ხოლო ლიდერს არ სცნობდნენ, რადგან ყოველ ბელადსა და დიდგვაროვანს მხოლოდ თავისი თავი წარმოედგინა ერთადერთ ლიდერად (შდრ. გიორგი მეფის სიკვდილისწინა სიტყვა „დიდოსტატის მარჯვენაში“).

მეტს ფიქრობდნენ კომფორტსა და კარგ ცხოვრებაზე, ვიდრე თავდაცვის აუცილებლობაზე, იარაღსა და ტექნიკაზე.

როგორც ჩანს, ქართველურ ტომებში კულტურის ნიმუშებზე, შრომის იარაღებზე გაცილებით მეტი ლითონი იხარჯებოდა, ვიდრე საომარ აღჭურვილობაზე.

ასევე მოქმედებდა მკვეთრი ინდივიდუალიზმი.

ესეც ჩამოაყალიბა ტომობრივმა პრინციპმა, როცა ვერ ხერხდებოდა ინდივიდების ეგოისტურ მისწრაფებათა დათრგუნვა კოლექტიური ერთიანობის სახელით ლიდერის (ბელადის, მეფის) მიერ.

ამიტომ მტკვარ-არაქსის, თრიალეთისა და კოლხეთის კულტურები უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაა, ვიდრე მათი აქტივობით შექმნილი პრასახელმწიფოები, ცალკეული ტომობრივი გაერთიანებანი.

სახელმწიფოს არქონა, მუდმივად სხვათა მპყრობელობისა და გავლენის სფეროში ყოფნა კულტურასაც უმცირებდა თავისთავადობას, კვალს ამჩნევდა ფსიქიკასა და ხასიათს.

ხათებს, ქაშეებს, ქაშაგებს, ხურიტებს, ურარტუელებს, ალბანელებს, ვაინახებს, დაღესტნელებს, კოლხებს, მოსოხ-იბერებს არ აღმოაჩნდათ ძალა, რათა დაეძლიათ ტომობრივი და ენობრივი დანაწევრება. ეს არის საერთო იბერიულ-კავკასიური თვისება.

ისინი მუდმივად კარგავდნენ საარსებო სივრცეს ან ქრებოდნენ ისტორიის არენიდან, იცვლიდნენ საცხოვრისს, იცვლიდნენ პოზიციებს.

მხოლოდ რწმენა და პირადი სიმამაცე ბედისწერას ვერ შეაბრუნებდა. ქართველური ტომები და ქართველები იყვნენ ამთვისებელი, სხვათა როლების შემსრულებელი და არა ახალი მოდელების შემოქმედი, რომელთაც სხვა აიტაცებს, მიბამავს და განავითარებს, როგორც ეს ხდებოდა ევროპაში.

ამ ქალური საწყისის საპირისპირო მოვლენა აღმოჩნდა სტალინი – ცივისსხლიანი არიმანი (გრ. რობაქიძე).

კულტურის ელიტურ-მასობრივი დიფერენცირება

როგორც წესი, წარსულზე, ისტორიასა და პრეისტორიაზე ვმსჯელობთ სამხედრო და პოლიტიკურ წარმატებათა ან დამარცხებათა მიხედვით, რასაც მოსდევდა ტერიტორიის გავრცობა, მოსახლეობის ზრდა და აღმშენებლობა ან – ტერიტორიების დაკარგვა, ხალხის ამოწყვეტა და ქვეყნის გაჩანაგება.

კულტურაზე ვმსჯელობთ საუკეთესო და გადარჩენილი ნიმუშების მიხედვით, რასაც ქმნიდა, რაც ეკუთვნოდა სამეფო, რელიგიურ და ინტელექტუალურ ელიტას, რომელსაც წინ მიჰყავდა პროგრესი. მაგრამ თითქმის უცნობია თუ როგორი იყო მასა, რომლის ოდენობა ქვეყანაში მოსახლეობის 95% მაინც აღწევდა.

მათში ისევ მძლავრობდა ველური და ბარბაროსული ყოფა, ჩვევები, მეტყველება, სიბნელე და უვიცობა, რომელშიც ძლივს ატანდა კულტურის შუქი, როგორც მზე სქელ ნისლში.

მაგ., არისტოტელე ჰენიოხებზე წერს, რომ ესენი იყვნენ კაციჰამია და ადამიანის ტყავისგამხდელი ტომი; აგათია სქოლასტიკოსის ცნობით, ჭანების დიდი ნაწილი ყაჩაღობით ირჩენდა თავს იყვნენ; ლეონტი მროველის სიტყვით, ფარნავაზამდე ქართლში ველოურების წესით ცხოვრობდნენ.

ყველგან ასე არსებობდა ელიტარულ-კულტურული და მასობრივ-ბარბაროსული წეს-ჩვეულებანი.

ელიტა იყო წესრიგის, ღმერთების ნებისა და კანონის გამომხატველი და დამცველი, ნიმუში და ეტალონი, შეჭურვილი ცხენოსანი მეომარი.

ელიტა თავისი სიმაღლიდან უფრო შორს იხედება. იგი ხელს უწვდის სხვათა გამოცდილებასაც. ამიტომ ჰქონდა ტაძრებსა და სასახლეებს, მეფეთა და ქურუმთა სამოსელსა და ნივთებს ბრწყინვალეობა.

მისი ანარეკლი თვალს სჭრიდა მასას და კრძალვით განაწყობდა.

მასის სისხლი და ოფლი ქმნიდა საარსებო პირობებს, ადუღაბებდა ტაძრებსა და სასახლეებს, იცავდა მათ. მაგრამ მის მარჯვენას, მის მზერას წარმართავდა უმაღლესი ერთი – მეფე – ქურუმი.

მასა იყო კვარცხლბეკი, ელიტა – ქანდაკება. ქანდაკებას ყველა ხედავდა, კვარცხლბეკს მხოლოდ ახლოდან თუ მიაპყრობდნენ მზერას, ისევ როგორც ყველა უყურებს ხის ტოტებს, მაგრამ არავინ ფიქრობს ფესვებზე.

იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც შეაღწევდა აქტიური და ნიჭიერი პირი მასიდან ელიტაში, განსაკუთრებით სახალხო დემოკრატიის ხანაში (მაგ., სარგონი, რომელიც, მიტოვებული დედამამისგან, გაზარდა მეზადემ. შემდეგ კი დააარსა აქადი, შეცვალა ქურუმთა ოლიგარქია, შექმნა დიდი ჯარი და გააერთიანა ქვეყანა – ძვ. წ. XXIV ს.). ალბათ ასე ხდებოდა ქართველურ პრა-სახელმწიფოთა უცხოურ ზედაფენაში.

მასა იყო ნედლეული, რომლისგანაც მეფე – ქურუმი ზელდა ქვეყნის ხატს, როგორც თიხისაგან უფალი-ადამს.

მხოლოდ ძალა და ღმერთები თუ შესძრავდნენ მასის ცნობიერებას. ღმერთებს, რიტუალებს, დამწერლობას აყალიბებდნენ ქურუმები ანუ ქმნიდნენ სულიერ კულტურას, ცხოვრების წესს.

მჭედლები, ოქრომქანდაკელები, მეთუნეები (მეჭურჭლეები), კირითხურონი, ჭიქათმოქმედნი, მქსოველები მათ აძლევდნენ რეალურ და სიმბოლურ ნივთიერ სახეს (იხ. „ქართველური არქაიკის არტეფაქტები“).

ისინი ითვალისწინებდნენ უცხოურ გამოცდილებას. მაგრამ ამოდიოდნენ თავიანთი ფანტაზიიდან, მშობლიური წარმოდგენებიდან.

ამიტომ მიეცა სპეციფიკური, განსხვავებული სახე მტკვარ-არაქსის, თრიალეთისა და კოლხურ კულტურებს, კოლხურ ცულსა და დიხა-გუძუბებს, თრიალეთურ კერამიკას, თრიალეთურ ყორღანებს, საერთოდ ქართველურ ტომთა სამარხეებსა და საცხოვრისებს, გორებსა და სამლოცველოებს.

არტეფაქტები იქმნებოდა ელიტისათვის. საკუთარ მიწასა და ღმერთებს იცავდა, კრავდა და განავრცობდა ხელისუფალი (მეფე, ბელადი, მთავარი), რომელიც ემყარებოდა სამხედრო ძალას, მეომრებსა და სხვადასხვა საბრძოლო იარაღს, რწმენასა და შთაგონებას. იგი მეომარი უნდა ყოფილიყო.

არისტოკრატისათვის ფიზიკური შრომა სამარცხვინოდ ითვლებოდა. მაგ. ხეთების მეფე თელიფინუმ დიდებულებს იარაღი აჰყარა და ხელთ მისცა გუთან (ძვ. ტერმინით – ერქვანი).

ეს იყო მძიმე სასჯელი.

ასე რომ, სახალხო დემოკრატიის უზურპაციის შემდეგ განიყოფოდა ელიტისა და მასის გზები, ცხოვრება, კულტურა და ცნობიერება. მაგრამ მომავლისაკენ მასა, ქვეყანა და კულტურა მიჰყავდა ელიტას.

როცა ქვეყნის სათავეში იდგა უცხო ტომის მმართველი და ზედაფენა, ეს ანელებდა მასის აქტივობას და ზრდიდა გაუცხოებას. ელიტას კი ყოველთვის ჰქონდა გარესამყაროსადმი მიდრეკილება.

ასე იყო ქართველურ ტომებშიც, რომელთაც მართავდნენ უცხოელები – ხურიტები, ბერძნები, ირანელები, ფრიგიელები, ხეთები.

აქვე უნდა გავიხსენოთ კულტურისა და ცივილიზაციის განყოფა. კულტურა მოდის ღმერთებისაგან, სულიდან, ცივილიზაცია – ტექნიკიდან, გონებიდან.

ქართველური ტომების ელიტას, ისევე როგორც შემდეგ – წარმართულ და ქრისტიანულ პერიოდებში, ჰქონდა დიდი კულტურა, რასაც ადასტურებს მრავალი არტეფაქტი და მდიდრული სამარხი. მაგრამ პრა-სახელმწიფოები და გაერთიანებები ჩამორჩებოდნენ ცივილიზაციურად, რაც ნიშნავს სახელმწიფოებრივი წესრიგის, მატერიალური ძალის, ტექნიკური აღჭურვის ნაკლებობას.

მასა როგორც კულტურულად, ისე ცივილიზაციურად ჩამორჩებოდა ზედაფენას. ვიწრო იყო მისი თვალსაწიერი, ინტერესები – შეზღუდული.

იგი იყო ის ნიადაგი, რომლიდანაც ამოდიოდნენ ელიტარული ყვავილები.

ელიტებმა შექმნეს უდიდესი კულტურა. იგი წარმოიშვა პოლისებში, როგორც კონტინენტურ საბერძნეთში, ისე ხმელთაშუა ზღვის, ეგეოსის ზღვის, შავი ზღვის სანაპიროებზე, კიკლადებსა და სპორადებზე.

პოლისების გაერთიანება პრაქტიკულად არც უცდიათ ანუ ვერ ჩამოაყალიბეს ერთიანი სახელმწიფო, რაც ამ კულტურის შესაბამისი ცივილიზაციური გაფორმება იქნებოდა, როგორც ეს მოხდა რომში.

ამიტომ იოლად დაემხო ელინური პოლისები და მიწაში ჩავიდა კულტურა.

არქეოლოგიური მასალა წარმოდგენას იძლევა ელიტაზე, რადგან იგი გვაცნობს იმ საუკეთესოს, რაც მაშინ არსებობდა.

სამარხები ეკუთვნით ბელადებს ან ჭურუმებს. მათ მდიდრულად მარხავდნენ. მასის რიგითი წევრების ან თუნდაც შეძლებული ხალხის საფლავები გამქრალია.

მდიდრულ სამარხებში ჩატანებულია საუკეთესო ნივთები, რაც მაღალ წრეს ეკუთვნოდა. ასეთი სამკაულებით ან ჭურჭლეულით ვერ ისარგებლებდა მიწის მუშა ან მეჯოგე. ასე რომ ქართველურ ტომებს ყოველთვის ჰყავდა თავისი არისტოკრატია.

ჩვენ არ ვიცით, რა ერქვათ მასის წევრებს. ხოლო ელიტა ორიენტირებული იყო უცხოეთზე ან თავად იყვნენ უცხოელები. ამიტომ ჰქვიათ მათ ხურიტული, ხეთური, ბერძნული, ირანული თუ სკვითურ-სარმატული სახელები.

ამ მხრივ თითქოს თანამედროვე ქართველებს არაფერი აკავშირებთ უძველეს წინაპრებთან – მათი სახელები ჩვენთვის უცხოა.

იგივე ითქმის სატომო სახელებზე – ჰენიოხი, კოლხი, მოსინიკი, ლაზი, ხალიბი, მაკრონი.

ისინიც უცხოელების მიერაა შერქმეული და ჭირს ეტიმოლოგიური ახსნა (მაგ., ხალიბებს რკინას უკავშირებენ, შკვითინებს – შვიდსოფლებს, მოსინიკებს – თითბერს, კოლხებს – კოლას ოლქს). მაგრამ ჩვენი წინაპარიც ხომ ეძახდა რაღაც სახელს თავის გვარტომს, თავის ტომს.

სამაგიეროდ ზოგი უცხოელის, ვთქვათ, ხეთელის სახელი იწვევს ქართულ ასოციაციებს – ხუცია, ფილია, თუთხალია, ხანთილი, მასხუილუვა, თავანანა, წყაროს ღმერთქალი ისხასხურია, ღმერთქალი იაია.

შედარებით უფრო უნდა იყოს მიღწეული ტოპონიმები, რადგან ისინი ელიტასა და მასას თანაბრად ეკუთვნოდათ. მათი წარმოხოცვა დღეს უფრო ხდება, ვიდრე ძველად.

ისტორიას ტოპონიმის უფრო სრულად ინახავს, ვიდრე ონომასტიკა. მხოლოდ სამარხების მიხედვით მსჯელობა კი, როგორც ვთქვით, ძნელია, რადგან იძლევა ცალმხრივ სურათს, რომლის მიხედვით ეთნიკური კუთვნილების გარკვევა პირობითად თუ შეიძლება.

ღმერთებზე თითქმის არაფერი ვიცით, ეს მაშინ, როცა ხეობებს განაწილებული ჰყავდათ, ფუნქცია და ადგილი ჰქონდათ მიჩენილი 1000, ბაბილონელებს – 2.500, ეგვიპტელებს – უფრო მეტი ღვთაებისათვის.

არც ჩვენი წინაპრები იქნებოდნენ გამონაკლისი.

ფიქსირებულია ანუ ოფიციალურია და აღიარებული არაქართული ღმერთები. (იხ. „წარმართული ღმერთების არმაზული პანთეონი“).

მშობლიური ენობრივი წრიდან ამოსული ადგილობრივ ღვთაებათა სახელები კი მხოლოდ ზეპირად შემორჩა ხალხის მეხსიერებას ან ძალიან გვიან მოხდა ფიქსირება. ამიტომ ეს არის ფოლკლორის ნაწილი, რომელიც წარმოშობის ქრონოლოგიას ვერასოდეს გაგვირკვევს. მხოლოდ უცხოურ წყაროებს, უცხო ავტორებს შეაქვთ სინათლის სხივი ჩვენს არქაიკაში, რომელიც სამარხებში ცოცხლობს.

ამიტომ უძველესი პერიოდის რეკონსტრუქცია ჰიპოთეზურად თუ მოხერხდება, სადაც ფანტაზია მეტია, ვიდრე დოკუმენტური მასალა.

კულტუროლოგები იშვიათად ახსენებენ ქართულ კულტურას. ისტორიის რუკაზე მისთვის ადგილი არ არის გამოყოფილი. მაგ., არნ. ტოინზის მიერ კლასიფიცირებულ 34 კულტურას შორის არც განვითარებულად, არც თანამგზავრად, არც განუვითარებლად ჩვენ არ ვიწოდებით.

სახელმწიფო და დამწერლობა

უცხოური კულტურული ცენტრები ააქტივებენ ერის მოქმედებას. მაგრამ თუ სუსტია ეთნოწარმონაქმნი, თუ სუსტია თვითშეგნება, მაშინ იგი ნებდება ძლიერ ძალას და შეიძლება თავიც დაკარგოს და ენაც, არათუ გამაგრდეს.

საერთოდ – ენის კვდომა ან მკვეთრი სახეცვლა უკავშირდება ისტორიულ პროცესებს – მარცხსა და დაცემას, ან – მიგრაციას, ხალხთა განტოტვას, ურთიერთიზოლირებას, სახელმწიფოს პრობლემას.

დამარცხება სხვა ტომებთან აღრევასა და ასიმილირებას ნიშნავდა, რაც ენის სიკვდილიც იყო.

მ. სვოდემის გლოტოქრონოლოგიური მეთოდი, რომელსაც იყენებენ ლინგვისტები (ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის ცვლილების ერთნაირი სიჩქარე ყველა ენაში), არ ითვალისწინებს ისტორიულ პროცესებს, ერების შეჯახებას, რაც აჩქარებს დროს – ენათა აღრევასა და შერწყმას, დაშლასა და განცალკევებას.

სახელმწიფოებრიობის საწყისს ქმნიდა მონათესავე ტომების დასახლებული ტერიტორია. მათ უნდა ჰქონოდათ ერთი ენა, გამაგრებული ცენტრი – ციხე-ქალაქი, ჰყოლოდათ ერთი ხელისუფალი, საერთო ღმერთები და ქურუმები, შესძლებოდათ მეტნაკლებად დაეცვათ ბუნებრივი ზღუდეებით (მთა, ზღვა, მდინარე, უდაბნო) შემოსაზღვრული საცხოვრისი.

ასეთი ერთეულები მრავლად იყო გაფანტული. ამიტომ იწყებოდა ბრძოლა ინტეგრირებისათვის, სხვათა საძარცვად და დასახარკად, მათი მიწების დასაუფლებლად.

უცხოთა და ნათესავის განმასხვავებელი მთავარი ნიშანი იყო ენა. სუსტი ან არარსებული ცენტრალიზების გამო ტომთა გაერთიანებაშიც ბევრს თავისი ენა ჰქონდა, რაც აჩქარებდა განკერძოებას.

მსოფლიოში დღეისათვის ითვლიან 5.000-მდე ენას (ზოგი მეტს, ზოგი – ნაკლებს). მათგან განვითარებული სახელმწიფო ენები გაცილებით ნაკლებია იმ ქვეყნების რიცხვზე, დღეს გაეროს წევრები რომ არიან (ინგლისურია 62 ქვეყნის მთავარი ენა, მაგ., დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის, კანადის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ინდოეთის).

ძველ დროში კი, როცა არ არსებობდა სახელმწიფო სტრუქტურა, სუსტი იყო ყოველი კულტურულ-ცივილიზაციური წარმონაქმნი, კონკრეტული ენაც სუსტი და ლაბილური იყო და მხოლოდ ადამიანთა ვიწრო წრეს აკავშირებდა.

არქაულ პერიოდში ენას სიმყარეს აძლევს უცვლელი საგნები (მაგ., მზე, მთვარე და ვარსკვლავები, მიწა და წყალი, ცა, ჰაერი და ცეცხლი, მცენარეთა და ცხოველთა, სექსის, კვების, მშობლების აღმნიშვნელი სახელები), პირველად წარმოდგენათა წრე.

ხოლო ახალ საგანთა შემოსვლასა და ათვისებას მოაქვს ახალი ლექსიკური მარაგი, ხშირად – უცხოური.

ენა მანამდე ინარჩუნებს დამოუკიდებლობას, ვიდრე არ დარღვეულა მისი მორფოლოგიური სტრუქტურა და სინტაქსური კონსტრუქციები.

ენათა სიმრავლიდან ისტორიულად ის გამოიყოფოდა, რომლის მტარებელ ტომსაც შეეძლო სხვა ტომთა დამორჩილება, ასიმილირება ან მათში უსისხლოდ შეღწევის უნარი ჰქონდა.

მონათესავე ტომთა ერთად ყოფნა, ერთ სივრცეში თანაარსებობა კონფლიქტის მიზეზი ნაკლებად იქნებოდა. მაგრამ ერთ ტერიტორიაზე ვერ იარსებებდა ორი ძირითადი, ავტონომური ეთნოსი. ტომთა სახელმწიფოებრივი კონსოლიდირება წარმოშობს დამწერლობის შექმნის აუცილებლობას, რათა შესაძლებელი გახდეს ერთი ენით სივრცეში განფენილი მოსახლეობის მართვა, დამორჩილება ერთნაირი ღმერთებისა და რიტუალებისადმი.

ქართველურ პრა-სახელმწიფოებს არ ჰქონიათ დამწერლობა, მითუმეტეს – ანბანი. ქურუმთა კასტა ემსახურებოდა უცხო ღმერთებს, დინასტიაც იყო უცხოური.

ადგილობრივი ფეტიშები, ღმერთები და ანიმისტური წარმოდგენები კულტურის ცენტრებიდან განდევნილი იყო.

ისინი ძველებურად თავს აფარებდნენ მღვიმეებს, მთებსა და ტყეებს, მიწურებს, სადაც ჰქონდათ გვარ-ტომებს სალოცავები.

დამწერლობა, ცოდნის საიდუმლო, რიტუალების მისტიკა ებარა ქურუმებს.

ძლიერი სახელმწიფოც კი იღებდა სხვის ანბანს, მოარგებდა მას თავის ენის სპეციფიკას და აყალიბებდა სახელმწიფო, საეკლესიო და სალიტერატურო ენას. მაგრამ როცა სახელმწიფოს მართავდა უცხო ელიტა, იგი არჩევდა თავის წრის კულტურას, ან – ორიენტირს იღებდა განვითარებულ, დიდ კულტურაზე (მაგ., ინგლისში საუკუნეების მანძილზე სახელმწიფო ენა იყო ფრანგული, რუსეთის სამეფო კარისათვის სანიმუშოდ ითვლებოდა ფრანგული და გერმანული).

კოლხები ადრევე მოექცნენ ბერძნულ არეალში, მათ მართავდნენ აეტიდები. ამიტომ არ წარმოქმნილა კოლხური ენით სახელმწიფოებრივი ფუნქციონირების მოთხოვნილება ან დამწერლობის შექმნის აუცილებლობა.

ელიტის ინტერესებს აკმაყოფილებდა ბერძნული კულტურა.

მცირეაზიელი მუშქები, მათი მეზობელი ტომები სარგებლობდნენ ხეთური ენით, ხეთური დამწერლობით.

მათთვის სანიმუშო იყო ჯერ ხეთური კულტურა, ღმერთები და ცხოვრების წესი, შემდეგ – ფრიგიული.

მოგვიანებით ასევე მოხდა იბერიაში, სადაც ბატონობდა ირანული და არამეული ენები, ირანული წეს-ჩვეულებანი, მაზდეანური რელიგია.

სახელმწიფოს კი წარმართავდა, კულტურას განსაზღვრავდა მმართველი დინასტია და ქურუმების კასტა (იხ. „ქართული ენა და მწიგნობრობა ქართული“).

ამრიგად, პრა-ქართულ სახელმწიფოებს და ქართველურ ტომებს არ ჰქონიათ დამწერლობის შექმნის მოთხოვნილება და საჭიროება, ნაციონალიზების პროცესი არ იყო მკვეთრი და ძლიერი, რომ დაპირისპირებოდნენ კულტურულ-რელიგიურ აგრესიას. თუნდაც ამიტომ იყრის თავს ქართველურ ენებში ადრევე შეთვისებული ამდენი ლექსიკური ძირი, რაც გავლენას ახდენდა ენობრივ მსოფლხედვაზე (გ. მელიქიშვილი, თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი).

Soso Sigua

Gori State Teaching University

POWER AND CULTURAL FACTORS IN THE GEORGIAN TRIBES RESUME

Formation of Georgian tribes took place throughout the III Century BC. With their participation were created Mtkvari-Araksi, Trialeti, Kolkheti cultures and early states- Kolkha, Diaokhi and Mushkians kingdom (End of II Century BC). However, they couldn't consolidate. The reasons were lack of organization and poor defence technology, as well as invasions of powerful neighbour aggressors (Uartians, Skvits, Kimerians).

გალაკტიონ ტაბიძის ორი ლექსის გენეზისისათვის

გალაკტიონ ტაბიძის არაერთი ნაწარმოები ამა თუ იმ ავტორის ტექსტიდან მიღებული შემოქმედებითი იმპულსის შედეგად არის შექმნილი. „გალაკტიონი ხშირად თვითონ იყო სხვათა შთაგონების წყარო, მაგრამ, არცთუ იშვიათად, სხვებისგანაც იღებდა შემოქმედებით იმპულსს“, – წერს თეიმურაზ დოიაშვილი (დოიაშვილი 2013: 148).

შთაგონების წყაროზე პოეტი ზოგჯერ პირდაპირ მიუთითებს, უმეტესად კი ამგვარი მინიშნებანი ხელნაწერებშია შემორჩენილი. რა თქმა უნდა, ავტოგრაფზე არსებული ყველა მინაწერი ერთნაირად მნიშვნელოვანი არ არის, თუმცა, მიუხედავად ამისა, ხელნაწერში ჩატოვებული თითოეული ფრაზა საგანგებო დაკვირვებას საჭიროებს.

გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა თორმეტტომეულში ავტოგრაფების თავისებურებები სრულყოფილად არ არის ასახული, რის გამოც პოეტის შემოქმედებით ლაბორატორიაზე სათანადო წარმოდგენის შექმნა გაძნელებულია.

გალაკტიონის ნაწარმოებთა ხელნაწერი წყაროების ხელახლა გადასინჯვამ და შესწავლამ არაერთი საგულისხმო ფაქტი გამოავლინა. იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც პოეტის ავტოგრაფები ნაწარმოების გენეზისზე, მის პირველწყაროზე მიგვანიშნებდა.

* * *

გალაკტიონის აკადემიური გამოცემის მეოთხე ტომში შეტანილია ოთხსტროფიანი ლექსი „ეს რა ნიაღვრებს ვეზუვი ისვრის?“. ნაწარმოები პირველად 1935 წელს, თხზულებათა რვატომეულის მეორე ტომში გამოქვეყნდა. ჩვენამდე მოღწეულია ლექსის სამი ავტოგრაფი. შემოქმედებით პროცესზე დასაკვირვებლად განსაკუთრებით საინტერესოა B ვარიანტი (79-დ., გვ. 2) – პოეტის 30-იანი წლების უბის წიგნაკში ჩაწერილი ტექსტი, სადაც ნაწარმოები ავტორის მიერ ზუსტად არის დათარიღებული (1933 წლის 22 ოქტომბერი). ეს ლექსის პირველი, ე. წ. შავი ავტოგრაფი უნდა იყოს, რომელმაც პოეტის მიერ უარყოფილი, ნაწარმოების თავდაპირველი მონახაზი შემოგვინახა.

თორმეტტომეულის პასპორტში ვკითხულობთ:

„ტექსტის დასაწყისში B-ში გადახაზულია:

ვეზუვი ისვრის ალებს,

ალთა ნიაღვრებს,

ცეცხლის შადრევნებს ისვრის ვეზუვი,

სვეტი ცეცხლისა დგას სიბნელეში“

(ტაბიძე 1966b: 261).

ხელნაწერზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ავტორისეული სწორებები აქ ზუსტად არ არის ასახული.

პოეტს ჯერ დაუწერია: „ვეზუვი ისვრის ალებს“, შემდეგ ეს ფრაზა გადაუხაზავს და ახალი ვარიანტი მოუსინჯავს: „ცეცხლის შადრევნებს ისვრის ვეზუვი“, თუმცა „ცეცხლის შადრევნები“ იქვე „ალთა ნიაღვრებით“ („ალთა ნიაღვრებს ისვრის ვეზუვი“) შეუცვლია. შემდეგ იკითხება: „სვეტი ელვარე დგას სიბნელეში“; „ელვარე“ გადახაზულია და მიწერილია „ცეცხლისა“. ავტორმა უარყო საბოლოოდ მიღებული ორი სტრიქონი („ალთა ნიაღვრებს ისვრის ვეზუვი / სვეტი ცეცხლისა დგას სიბნელეში“).

აკადემიურის პასპორტში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზეც, რომ ციტირებული სტრიქონების ოდნავ ზემოთ, დღიურის იმავე გვერდზე გადახაზულია ეს სიტყვები:

დერჟავინი.

იზმაილის ალების გამო.

„იზმაილის ალების გამო“ («На взятие Измаила») გავრილ დერჟავინის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოდაა. იგი 1790 წელს დაიწერა და რუსების ჯარის მიერ სუვოროვის მეთაურობით თურქეთის ციხე-სიმაგრის - იზმაილის ალებას ეძღვნება.

ნაწარმოები ასე იწყება:

Везувий пламя изрыгает,

Столп огненный во тьме стоит,

Багрово зарево зияет,
Дым черный клубом вверх летит...
(დერჟავინი 1985: 90)

(ვეზუვი ალს აღმოაფრქევს,
ცეცხლის სვეტი წყვდიადში დგას,
დაფიონი წითლად ხსნის პირს,
კვამლი შავ ბოლქვებად მაღლა მიფრინავს...)

როგორც ჩანს, დერჟავინის ოდის დასაწყისში ასახულმა სურათმა, განრისხებული ვეზუვის სახემ, გალაკტიონის ყურადღება მიიპყრო, პოეტმა ლექსის თარგმნა გადაწყვიტა, თუმცა პირველი და მეორე სტრიქონების გადმოქართულების შემდეგ განზრახვაზე ხელი აიღო.

გადახაზულ სტრიქონებს ავტოგრაფში გალაკტიონის ორიგინალური ნაწარმოების („ეს რა ნიაღვრებს ვეზუვი ისვრის?“) ტექსტი მოსდევს, რომლის თავდაპირველ ვარიანტში დერჟავინიდან ნათარგმნი ფრაზა („ალთა ნიაღვრებს ისვრის ვეზუვი / სვეტი ცეცხლისა დგას სიბნელეში“) უმნიშვნელო ცვლილებით მეორდება:

ალთა ნიაღვრებს ვეზუვი ისვრის
და სიბნელეში დგას ცეცხლის სვეტი,
ასე ჩემს გულში სიმღერა იძვრის
და თან მოჰყვება მას სისხლის წვეთი.

ეს სტრიქონები პოეტს იქვე შეუსწორებია, თუმცა, მიუხედავად ამისა, დერჟავინის ოდის დასაწყისთან სიახლოვე ლექსის საბოლოო ვარიანტის პირველსა და მეორე სტროფებში მაინც შენარჩუნებულია. შევადაროთ:

დერჟავინი:

ვეზუვი ალს აღმოაფრქევს,
ცეცხლის სვეტი წყვდიადში დგას,
დაფიონი წითლად ხსნის პირს,
კვამლი შავ ბოლქვებად მაღლა მიფრინავს.

გალაკტიონი:

- ეს რა ნიაღვრებს ვეზუვი ისვრის,
რა სიბნელეში სდგას ცეცხლის სვეტი? -
- ეს ამ გულიდან სიმღერა იძვრის
და თან მოჰყვება მას სისხლის წვეთი.
- ეს რა შავბნელი კვამლი მოედო,
რა ბურუსები მოაქვს რგოლებად?
- ეს შენს სიმღერას და სისხლს, პოეტო,
თან მოსდევს წყევლა და დაბრკოლება.

(ტაბიძე 1966ბ: 12)

შემდეგ ორი სტროფში დერჟავინისეულ სურათთან კავშირი ქრება:

- ეს რა გრიგალმა დაიწყო ძრწოლა,
რა ჟრუანტელი წყვდიადს აწუხებს?
- ეს შენი ისმის სიმღერის ბრძოლა,
ბრძოლაზე ბრძოლით რომ უპასუხებს...
- ეს რა ბრწყინვალე მზე ამოენთო,
რა ჟრიალულმა გადაიჟღერა?
- ეს სიმღერაა შენი, პოეტო,
გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა!

(ტაბიძე 1966ბ: 12-13)

დერჟავინთან სტიქიის სურათი რუსთა ლაშქრის სიძლიერეზე შთაბეჭდილების შესაქმნელად არის დახატული („О роце! Таков твой образ славы./ Что зрел под Измаилом свет!“; ო, რუსეთო! ასეთია შენი დიდების სახე,/რაც მთელმა ქვეყანამ ნახა იზმაილთან); გალაკტიონთან კი იგი პოეტის შემოქმედების - მისი „სიმღერის“ დასახასიათებლად გამოყენებული.

გალაკტიონმა ტექსტის სწორებისას პირველივე სტროფში უარყო მარტივი პარალელი ბუნების სურათსა და შემოქმედებას შორის და ლექსს დიალოგის ფორმა მისცა: ყოველი სტროფის პირველი-მეორე

სტრიქონები კითხვას წარმოადგენს სტიქიის შესახებ, მესამე-მეოთხე სტრიქონებში კი პასუხია გაცემული და ბუნების სურათის თავისებურებებით პოეტის „სიმღერა“ დახასიათებული.

1933 წელს, როდესაც „ეს რა ნიაღვრებს ვეზუვი ისვრის?“ დაიწერა, დიდი ზეიმით აღინიშნა გალაკტიონის სალიტერატურო მოღვაწეობის ოცდახუთი წლისთავი: საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მოეწყო პოეტის საიუბილეო სადამოებო, გამოიცა კრებული - „გალაკტიონ ტაბიძე - XXV - 1933“, სადაც იმ დროისათვის ცნობილი ლიტერატორების წერილები დაიბეჭდა. სავარაუდოდ, „ეს რა ნიაღვრებს ვეზუვი ისვრის?“ სწორედ ამ თარიღს უკავშირდება და განვლილი პოეტური გზის დახასიათებასა თუ შეფასებას წარმოადგენს.

გალაკტიონის ბიბლიოთეკაში დღემდე ინახება XIX საუკუნის 60-70-იან წლებში გამოცემული დერჟავინის თხზულებათა ტომები. 1933 წელს რუსი ავტორის ნაწარმოებებს რომ კითხულობდა, ამის შესახებ თვითონვე გვატყობინებს პოეტი - მაგიდის კალენდრის ერთ-ერთ გვერდზე გალაკტიონს მიუწერია: „ვეითხულობ დერჟავინს (რა დროს დერჟავინია?)“ (ტაბიძე 2008: 327).

გალაკტიონმა ამ ლექსში გამოყენებულ პარალელს (ვულკანის ამოფრქვევა// პოეტის გულში სიმღერის გაჩენა) კიდევ ერთხელ მიმართა 1935 წლით დათარიღებული ნაწარმოებში „ვეზუვი“.¹ აქ თითქმის 1933 წელს დაწერილი ლექსის პირველი სტროფის პოეტური განმარტებაა გადმოცემული:

**უცებ ქვა გასკდა და მის სიღრმიდან
ამოჩუჩხუხდა ცეცხლების წყარო.
ასე, პოეტის ზედიც: დუმილი
დიდხანს აწვალეს ქვათა სიმძიმით...
უცებ მოსკდება გრძნობათ ნაკადი
და სიბნელები შედის ციმციმით!**

(ტაბიძე 1966ბ: 95)

გალაკტიონის აკადემიური თორმეტტომეულის პირველ ტომში შეტანილია ლექსი „ავდარი“, რომელიც პირველად 1940 წელს დაიბეჭდა. ავტორის მიერ იგი 1916 წლით თარიღდება.

ნაწარმოებს ორი ავტოგრაფი აქვს. ერთი მათგანი №1572 (B) ნასწორებია, მეორეში ცვლილებები თითქმის არ არის შეტანილი.

აკადემიური გამოცემის მიხედვით, B ავტოგრაფში ლექსს სათაურის ნაცვლად მიწერილი აქვს ვილჰელმ ტელი, ქვესათაურად კი - ქება მეოთხე (ტაბიძე 1966ა: 489).

მკითხველისათვის მიწოდებული ინფორმაცია ამ შემთხვევაშიც არაზუსტია: სინამდვილეში, ავტოგრაფის დასაწყისში სათაურის ნაცვლად მიწერილი სიტყვები - „ვილჰელმ ტელი. აქტი მეოთხე“ გადახაზულია.

გალაკტიონის მიერ მითითებულ, შილერის დრამატულ ნაწარმოებზე დაკვირვებისას აშკარა გახდა, რომ ავტოგრაფმა ამ შემთხვევაშიც ლექსის პირველწყაროზე მინიშნება შემოგვინახა: „ვილჰელმ ტელის“ მეოთხე მოქმედების პირველივე სცენაში, რომელიც ტბის ნაპირზე ვითარდება, დახატულია ავდრის სურათი: ტბა საშინლად ღელავს, ელვაა, ქუხილი და სეტყვა.

გალაკტიონის ლექსშიც ავდარი იხატება - საშინელი ტალღები და გრიგალი, თალხით შემოსილი ცა, გადატყდომის დროს აჭრიალებული მაღალი ფიჭვები, ტყვიისფერ ნატბორში დატყვევებული მთვარე...

ლექსისა და „ვილჰელმ ტელის“ კონკრეტული მონაკვეთის შედარებისას ერთმა გარემოებამ დაგვაფიქრა: შილერთან ავდარი ცალკე არ არის ასახული, ქუხილის, სეტყვისა თუ ტბის ღელვის შესახებ პერსონაჟების საუბრიდან ვიგებთ, თუმცა, ავდარი არც ამ დიალოგშია ისე აღწერილი, გალაკტიონი რომ შთაეგონებინა...

გაჩნდა ვარაუდი, რომ ორ ტექსტს შორის კიდევ უფრო დიდი შინაგანი კავშირი არსებობდა, ვიდრე ეს პირველი შთაბეჭდილების მიხედვით ჩანდა. მიმართების ხასიათის დასადგენად შილერის ნაწარმოების მთლიანი შინაარსისა და მეოთხე მოქმედების დასაწყისში აღწერილი ავდრის აზრობრივი დანიშნულების გათვალისწინება იყო საჭირო.

„ვილჰელმ ტელის“ სიუჟეტის განვითარებაში დარისა და ავდრის მონაცვლეობას მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს მინიჭებული. პიესის დასაწყისში, როდესაც მთავარი პერსონაჟი პირველად გამოჩნდება, ავდარია. ტელი არ შეუშინდება ბობოქარ ტალღებს, სტიქიას და ნავით უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანს კაცს, რომელიც თავისი ოჯახის ღირსების დასაცავად იბრძვის. ამ ავდრის ფონზე ცხადად წარმოჩინდება ვილჰელმ ტელის ფიზიკურ სიძლიერე და გამბედაობა.

¹ ზოგადად, ბუნების მოვლენებთან შემოქმედებითი პროცესის დაკავშირება გალაკტიონისათვის უცხო არ ყოფილა - პოეტი ამ ხერხს მიმართავს ჯერ კიდევ 1910 წელს დაწერილ ლექსში „ნიაღვარი“.

რაც შეეხება მეოთხე მოქმედებაში დახატული ავდარის სურათს, იგი მხოლოდ სტიქიის აღწერა არ არის.

ნაწარმოების შინაარსის მიხედვით, მეფისნაცვალის გესლერი არჩევანის წინაშე დააყენებს ვილჰელმ ტელს: ის ან შვილთან ერთად უნდა მოკვდეს, ან - ბავშვის თავიდან ისრით ვაშლი ჩამოაგდოს. ტელი ვაშლს ისრით ისე ჩამოაგდებს, რომ ბავშვი უვნებელი რჩება. მიუხედავად ამისა, გესლერის ბრძანებით ვილჰელმ ტელს შეიპყრობენ და ხომალდზე აიყვანენ. სწორედ ამ დროს გამძვინვარდება სტიქია.

ამ ამბის მოსმენა პიესის ერთ-ერთ პერსონაჟს - მეზადურს საოცრად აღაშფოთებს. იგი კანონზომიერად თვლის ბუნების განრისხებას, რადგან, ისეთი დრო დამდგარა, როდესაც მამას აიძულებენ, შვილი სასიკვდილოდ გაწიროს. მისი აზრით, ავდარი სასჯელია. სწორედ ამის გამო მეზადური კიდევ უფრო გამძვინვარებისაკენ მოუწოდებს სტიქიას:

Крутися, вихрь! гори, небесный сводъ!
Бушуй, гроза! вы, тучи громовыя,
Залейте все потокомъ бурныхъ водъ!
Разбейте въ прахъ грядущій новый родъ!
Вы царствуйте, свирѣпыя стихіи!

...

Пустить стрѣлу въ главу родного сына!
Какой отецъ къ тому былъ принужденъ?
И какъ на то не возставать стихіяхъ?

(შილერი 1901: 129)

(იტრიალე, გრიგალო! დაიწვი ცის თაღო!
იბოზოქრე, ჭექა-ქუხილო! თქვენ, ქუხილიანო ღრუბლებო,
აავსეთ მიდამო წყლის მშფოთვარე ნაკადებით!
მტვრად აქციეთ მომავალი ახალი მოდგმა!
თქვენ იბატონეთ, სასტიკო სტიქიონებო
... ღვიძლ შვილს ვესროლო ისარი?!
რომელი მამა აიძულებს ეს რომ გაეკეთებინა?
როგორ არ უნდა აღშფოთდეს ამაზე სტიქიონი?).

თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ არც გალაკტიონის ლექსშია ასახული ჩვეულებრივი უამინდობა. ნაწარმოები შემოფოთების გამომხატველი ფრაზებით იწყება:

რა საშინელი ტალღები,
რა საშინელი გრიგალი...
(ტაბიძე 1966ა: 355)

ავდრის სურათი (თაღებით შემოსილი ცა, გადატყდომისას აჭრიალებული ორი ფიჭვი, მგლოვიარე მთვარით განათებული ოხრადშეთნილი ჩარდახი...) და პოეტის მიერ გამოყენებული სიტყვები (ტყვე, მგლოვარე, თაღები, პარტახი, გაოხრებული, ოხრად შთენილი, ორჯერ განმეორებული ტყვიისფერი) რაღაც უბედურებაზე მიგვანიშნებს:

ცასაც ჩაუცვამს თაღები
ტყვიისფრად ჩანარიგალი.
ნაპირთან გადატყდომის დროს
ჭრიალებს ფიჭვი მაღალი,
ელვამ კვლავ უნდა იეღოს,
გრგვინვამ ჰკრას მეხი ახალი.
ტყვე ტყვიისფერი ნატბორის,
გაქანებულად მგლოვარე,
ხანდახან ღრუბელთა შორის
გამოანათებს მთოვარე.
და განათდება უეცრად
გაოხრებული, პარტახი,
უეზოოდ და უეწროდ

ობრად შთენილი ჩარდახი...

(ტაბიძე 1966ა: 355-356)

მებადურის მსგავსად, გალაკტიონის ლირიკული გმირსაც სურს ავდარი უფრო გამძვინვარდეს („ელვამ კვლავ უნდა იელვოს, / გრგვინვამ ჰკრას მეხი ახალი“), რადგან სტიქიას ისიც სასჯელად აღიქვამს („ცა ელვას ისვრის წყრომისას...“).

ვილჰელმ ტელი მიუვალ მხარიდან, სიპი, შვეულად დაქანებული კლდეების გავლით ბრუნდება სანაპიროზე, მებადურის ქოხთან. ჩარდახის დანახვისას გალაკტიონის ლირიკული გმირი ამბობს: „სადაც მთებისა და ხევის/ გზით წამოვსულვარ ყარიბი...“

შილერის ნაწარმოები ადამიანების ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლას ეძღვნება. პიესაში თავისუფლებისა და ძალადობის უმნიშვნელოვანესი პრობლემა დასმული.

როდის და რა ვითარებაში უნდა მიეპყრო გალაკტიონის ყურადღება შილერის ამ ნაწარმოებსა და მის პრობლემატიკას? როდის დაიწერა „ავდარი“?

როგორც ითქვა, ლექსი 1916 წლით თარიღდება, მაგრამ პირველად 1940 წელს გამოქვეყნდა. B ავტოგრაფი - ე.წ. შავი, ნასწორები ვარიანტი 1935-40 წლებით დათარიღებულ უბის წიგნაკშია ჩაწერილი. ამდენად, უფრო სარწმუნოა, რომ ლექსიც სწორედ ამ პერიოდში, გამოქვეყნებამდე გარკვეული დროით ადრე შექმნილიყო.

შილერის ტექსტთან მიმართების გათვალისწინებით „ავდარი“ აღიქმება, როგორც ალეგორია. გალაკტიონი მიგვანიშნებს ტირანიაზე, ადამიანთა სისასტიკესა და ბუნებისაგან მოვლენილ სასჯელზე. შეიძლება ითქვას, რომ „ავდარი“ - ეს მეოცე საუკუნის 30-იანი წლების გალაკტიონისეული შეფასებაა.

ნაწარმოების ამგვარი გააზრებისას ცხადი ხდება, რატომ შეიტანა პოეტმა „ავდარი“ 1940 წელს გამოცემული მესამე ტომის ცალკე განყოფილებაში - „ძველი მოტივებიდან“, ხოლო შემდეგი პუბლიკაციისას 1954 წლის „რჩეულში“ ლექსის „შექმნის“ თარიღიც - 1916 წელი - მიუთითა.

დაბოლოს, ვფიქრობთ, მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ შილერის ნაწარმოები ბოროტების დამარცხებით მთავრდება, გალაკტიონის ლექსის ბოლოს კი „ავდარის“ დაუსრულებლობაზეა მინიშნება:

ნაპირთან გადატყდომისას

ფიჭვი მეორე ჭრიალებს,

ცა ელვას ისვრის წყრომისას,

გრიგალი ისევ გრიალებს.

(ტაბიძე 1966ა: 355)

ამრიგად, დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ გალაკტიონის ნაწარმოებები „ეს რა ნიაღვრებს ვეზუვი ისვრის?“ და „ავდარი“ სხვა ავტორთა ტექსტებიდან მიღებული შემოქმედებითი იმპულსის შედეგად დაიწერა. ერთ შემთხვევაში გალაკტიონის ლექსს პირველწყაროსთან საერთო არც ფორმა აქვს და არც თემატიკა, მასთან მხოლოდ სამი მსგავსი სტრიქონი აკავშირებს. განსხვავებული ვითარებაა „ავდარის“ შემთხვევაში. პირველწყაროს გათვალისწინება აქ ლექსის მეორე პლანის აღქმასა და გააზრებაში გვეხმარება.

ამ საკითხზე საუბარი თეიმურაზ დოიაშვილის სიტყვებით დავასრულოთ, რომელიც უშუალოდ ეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხს: „პოეზიაში შეხმიანება თუ სესხება არაფერს წყვეტს, მთავარი ახალი ესთეტიკური ფასეულობის შექმნაა. გალაკტიონი ისე გარდაქმნის ყველაფერს, – ანტიკურსაც, რომანტიკურსაც, თანამედროვესაც, – აზრისა და ფორმის ისეთ მწვერვალებს აღწევს, რომ ხშირად უკან იტოვებს პირველწყაროს, რაოდენ მაღალი რანგის ქმნილებაც არ უნდა იყოს იგი“ (დოიაშვილი 2013: 253).

ლიტერატურა:

დერჟავინი 1985: Державин Гавриил Романович: Сочинения, Москва, „правда“, 1985.

დოიაშვილი 2013: დოიაშვილი თეიმურაზ, მოტივალ-მოცინარი, თბ., „სიტყვა“, 2013.

ტაბიძე 1966ა: ტაბიძე გალაკტიონ, თხზულებანი თორმეტ ტომად, I, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1966.

ტაბიძე 1966ბ: ტაბიძე გალაკტიონ, თხზულებანი თორმეტ ტომად, IV, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1966.

ტაბიძე 2008: ტაბიძე გალაკტიონ, საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად, XXIV, „ლიტერატურის მატთანე“, თბ., 2008.

შილერი 1901: Собрание сочинений Шиллера, Т.3. Санкт-Петербург : Брокгауз-Ефрон, 1901.

Natia Sikharulidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
ABOUT THE GENESIS OF GALAKTION TABIDZE'S TWO POEMS
RESUME

The paper analyses two poems of Galaktion Tabidze. Both of them evince closeness to the works of other authors. In Galaktion's poem - „What Streams Are Struck from Vezuv?i” – are repeated the lines of Gavril Derjavini's work. However the resemblance between the two works ends here.

Galaktion's poem „Bad Weather” is connected to Shiller's work „Wilhelm Tell”. The closeness to the inspirer text is more important in this case because we can better understand Galaktion's poem.

თინა შიოშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კლარჯული ხალხური გამოცანები

გამოცანა მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირპოეტური შემოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ზეპირსიტყვიერების ეს ფორმით მცირე, მაგრამ უაღრესად დიდი სიბრძნის შემცველი კოლორიტული ჟანრი მეტწილად მეტაფორაა, საგნის ან მოვლენის პოეტური, ნართაული დახასიათება თვით ამ ობიექტის დაუსახელებლად, მისი გამოცნობის მიზნით. არისტოტელეს აზრით, გამოცანა კარგად შედგენილი მეტაფორაა.

წარმოშობით გამოცანა პირველყოფილ საზოგადოებას მიეკუთვნება; თავდაპირველად მას საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა, იმ უძველეს წარმოდგენებს უკავშირდებოდა, რომლებიც საგნის ან მოვლენის საკუთარი სახელით მოხსენიებას კრძალავდა. მოგვიანებით გამოცანამ მხატვრულ-ესთეტიკური და შემეცნებითი ფუნქცია შეიძინა. მისი დანიშნულებაა ადამიანში გონებამახვილობისა და დაკვირვების უნარის აღზრდა.

ქართულ ფოლკლორში უძველესი დროიდან მომდინარე ჟანრებს შორის გამოცანას, ანუ ასახსნელს, ანუ საცნაურას, როგორც მას უწოდებენ, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს; იგი მნიშვნელოვანწილად გამოხატავს ჩვენი ერის გონებრივსა და ზნეობრივ დონეს და იმავდროულად მათი წვრთნის მისიასაც ითავსებს. „ამ ფორმით მცირე, მაგრამ საოცრად პოპულარულსა და პოეტურ ფორმულაში დაუნჯებულა ჩვენი წინაპრების მსოფლმხედველობა, ფიქრები და მისწრაფებები, შეხედულებანი სამყაროს სხვადასხვა მოვლენებზე, ცოცხალსა და არაცოცხალ ბუნებაზე... თავმოყრილია ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი ცოდნა-გამოცდილება, რომლის რეალიზებასაც საზოგადოებრივი დანიშნულება ენიჭება“ (ვინც..., 1996: 9). ჩვენს ქვეყანაში გამოცანის ფართოდ გავრცელება და საზოგადოებრივი ხასიათი ჯერ კიდევ არჩილმა აღნიშნა თავის ცნობილ ნაწარმოებში „საქართველოს ზნეობანი“ (არჩილი, 1976: 11).

საქართველოში ოდითგანვე ძლიერი იყო გამოცანების თქმის ტრადიცია. ყველა სოციალურ ფენაში, ყოველგვარ სიტუაციაში, სადაც საჭირო იყო სიბრძნის, გონებამახვილობის გამოცდა და წარმოჩენა, რადგანაც „ამ ჟანრში კოდირებულია ცოდნა, რომელიც სინამდვილეზე ღრმა დაკვირვების შედეგად არის მიღებული“ (ზანდუკელი, 1985: 164). ამგვარი დანიშნულებით იგი სახელმწიფოს მართვაშიც იყო გამოყენებული. გამოცანების ამგვარი ფუნქციის კვალი ცალკეული მოტივებისა და ეპიზოდების სახით შემორჩენილია ზღაპრებში გამოცანის ახსნის, ძნელი დავალების შესრულებისა თუ რთულ კითხვებზე პასუხის გაცემის სახით. გამოცანა ქართული საქორწილო ცერემონიალის ელემენტიც იყო. ვაჟის მყრებიდან ეჯიბს ან სასიძოს უნდა აეხსნა გამოცანა; ამით იგი დაადასტურებდა იმ გვარის სიბრძნეს, რომელიც საპატარძლოს უნდა გაეგრძელებინა. საზღაპრო ეპოსში კი მეტოქისათვის სამი გამოცანის დასმა და მისი ამოხსნა აუცილებელი პირობაა სასურველი მიზნის მისაღწევად.

გამოცანის თემატიკა შეუზღუდველია, მისი ფორმა — კომპაქტური, დახვეწილი, უმთავრესად რიტმული, ზოგჯერ რითმიანიც. მის უაღრესად ლაკონურ ფორმულაში შემორჩენილია კაცობრიული აზროვნების სხვადასხვა საფეხურები პირველყოფილი ანიმისტური რწმენა-წარმოდგენებიდან დღემდე; აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაპირველ არქაულ ფორმულებში ჩამოქანდაკებულმა გამოცანებმა შინაარსი აღარ შეიცვალეს — დღემდე გვხვდება გამოცანები, რომლებშიც უსულო საგნებზეა საუბარი, თუმცა ისინი გასულიერებულად წარმოდგინებიან და ესეც იმ მეტაფორული ველის შემადგენელი ნაწილია, სადაც ამოსახსნელი საგანი თუ მოვლენა შენიღბულ-მეფარულია.

გამოცანას ოდითგანვე გავრცელების ფართო არეალი ჰქონდა საქართველოს ყველა კუთხეში; ბუნებრივია, ზეპირსიტყვიერების ეს უაღრესად მოქნილი ჟანრი ასევე პოპულარული იქნებოდა კლარჯელ ქართველთა ზეპირპოეტურ მეტყველებაშიც, რასაც ადასტურებს კლარჯეთის ულამაზეს სოფლებში მოპოვებული პარემიოლოგიური მასალა.

გამოცანას კლარჯელები „დასამზელს“ ეძახიან; კლარჯელმა მთქმელმა მიერიე ქესუმმა გამოცანები რომ გვითხრა, დააყოლა: „ — ერთმანეთ დავაბამთო“. იგივე სახელწოდებით დასტურდება გამოცანა აჭარაშიც, რაც, სხვა მრავალ ნიუანსთან ერთად, დასტურია იმისა, რომ კლარჯული ზეპირსიტყვიერება ერთიანი ქართული ფოლკლორული სივრცის ნაწილია.

გამოცანისეულ სიბრძნეს, როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოებრივი დანიშნულება აქვს; იგი გამიზნულია ფართო აუდიტორიისათვის და მის ლაპიდალურ ფორმულაში ტრადიციულად ხაზი ესმება გამოსაცნობი ობიექტის ღირებულებას სოციუმისთვის, მის სარგო-სასიკეთო ფუნქციას. კლარჯთა შორის ძალზე პოპულარულია გამოცანები წისქვილზე, რაც ჩვენი ხალხის მეტაფორული აზროვნების ერთ-ერთი საუკეთესო გამოვლენაა; გამოცანის ვარიანტი, რომელიც 2013 წელს ჩავიწერეთ სოფელ ქლასქურში (წინწკალაშვილების უბანში) 70 წლის ქალბატონის — აიშე თურანლისაგან (მამისეული გვარია კოტრეკანოლი), ამგვარად წარმოაჩენს წისქვილს:

ოფოფი ფრინავს,
ფეშტემალ ფინავს.

სხვა ვარიანტში, რომლის მერტაფორული ველი უფრო ვრცელია (მთქმელი ქაზიმ ერყილიჩი, 74 წლის, მცხოვრები სოფელ კარტლაში. ჩაიწერა მაია ბარამიძემ 2014 წელს), წისქვილი ამგვარად წარმოდგინება:

არქო ფრინავს,
ბერი ღრინავს,
თეთრ ფეშტემალ
შამეფინავს.

ეს გამოცანები წისქვილზე არსებულ ზოგადქართულ გამოცანათა ვარიანტებია; განსაკუთრებულ სიახლოვეს კი ავლენენ აჭარულ და შავშურ ვარიანტებთან:

აჭარული:

ოქრო ფრინავს,
ბერი ფშვინავს,
თეთრ ფეშტემალს
შემოფინავს.

(ქ. ა. გ., 1976: 41)

შავშური:

ოქრო ქვრინავს,
დევე გვრინავს,
მოშდადერა
წყარო წიკავს.

(მთქმელი რეჯებ ადურნი, მცხოვრები ბურსას რეგიონის სოფ. გაზელ-ჰამიდიეში. წარმოშობით შავშელია. ჩაიწერა ნაზიბროლა ბერიძემ 2013 წელს).

ქართული ხალხური გამოცანების დიდი ნაწილისათვის დამახასიათებელი კომპოზიციური თავისებურებაა მთქმელის მიერ ხაზგასმა იმისა, რომ გამოცნობა, ამოხსნა ადვილი არ არის, სიბრძნეს მოითხოვს; ამიტომაც ტრადიციულად სწორი პასუხის ჩქარა ამომცნობი ბრძენ ადამიანად მოიხსენიება („... გამოიცან, სიბრძნე გაქო“; „ამისი გამომცნობელი ჭკვიანია და ბრძენია“; „ვინც კი ამას ამოხსნის, მასთან არის ჭკუა დიდი“ და ა. შ.); მაგრამ ის, ვინც ვერ შეიცნობს გამოცანის პირობაში შეფარულად, მეტაფორულად შენიღბულ გამოსაცნობ ობიექტს, ის უჭკუოდ არის შერაცხილი („... ვინც ამას ვერ გამოიცნობს, ყრუც არის და ბენტერაცა“; „ვინც ამას ვერ გამოიცნობს,

ცუდია და გაბასრული“ და ა. შ.). ხშირად გამოცანის სწრაფად ამომხსნელს საჩუქარსაც ჰპირდებიან („... აბა, თუ გამოიცანი, მზად არის საჩუქარი“).

კლარჯ ჩვენებურთა შორის დაფიქსირებულ გამოცანაში მამალზე მთქმელი საკმაოდ მისაგნებად ახასიათებს გამოსაცნობი ობიექტის დამახასიათებელ გარეგნულ მონაცემებს და, თუკი ყოყმანი შეატყო მოპასუხეს, იქვე დაურიდებლად ლანძღვას და პასუხსაც თავადვე ამბობს. სოფელ ისკებში მცხოვრები 60 წლის ქალბატონის – ასიე ალფაისაგან (ჩხეიძე) რამაზ ხალვაშის მიერ 2007 წელს ჩაწერილი გამოცანა მამალზე ამგვარია:

თავ – ხერხი, ბოლო – მანგალა,
ვირო, ახსენი!.. მამალა!

ამავე გამოცანის ვარიანტი ჩავიწერეთ 2013 წელს სოფელ ქლასქურში (წკირმონეთის უბანში) 78 წლის მიერიე ქესუმისაგან;

თავი სავარცხალი,
კუდი მანგალი,
თუ ვერ გააგენი,
ვირო, – მამალი!

იმავე სოფელში 2014 წელს 84 წლის ქალბატონისაგან – ალთუნ თაბანისაგან (მამისეული გვარია შამლოღლი) ჩავიწერეთ კიდევ ერთი, თითქმის იდენტური, ვარიანტი:

კუდი მანგალი,
თავი სავარცხელიო,
ვერ გეიგენი თუ,
ვირო?! – მამალი!

მამლის მეტაფორულად წარმოდგენილ ვიზუალს („თავს – ხერხი, ბოლოს – ნამგალი“) კარგად იცნობს საქართველოს ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერება. მისი აჭარული ვარიანტი ამგვარია:

თავ ხერხი, ბოლო ნამგალი,
თუ ვერ მიხვდი, თავი აგალი!
(ქ. ა. გ., 1976: 33)

მამალზე გაგრძელებული კლარჯული გამოცანის თითქმის იდენტურია შავშური გამოცანა:

კუდმარგალა,
თავსავარცხალა.
თუ ვერ დააკვირდი,
ვირმამალაი!

(მთქმელი რეჟებ ადურნი, მცხოვრები ბურსას
რეგიონის სოფ. გაზელ-ჰამიდიეში. წარმოშობით
შავშელია. ჩაიწერა ნაზიბროლა ბერიძემ 2013 წელს).

სათქმელის მეტაფორულად გამოხატვა, რაც გამოცანათა სპეციფიკად უნდა ჩაითვალოს, კლარჯული ხალხური გამოცანებისთვისაც უცილობელი თვისებაა. ასეთ გამოცანებში კითხვითი სიტყვა საჭირო არც არის; ობიექტი, მისთვის დამახასიათებელი თვისებით, წარმოდგენილია ჩვეულებრივი თხრობითი წინადადებით. როგორც ზოგადქართულ ფოლკლორში, ისე კლარჯ ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებაში, ამგვარი გამოცანები მრავლად მოიპოვება:

1. „ოცდათორმეტი გოგო ვართ ერთ ფიცარზე დამწკრივებული“ („კიბილები“);
2. „თავი წევს, კუდი ღრინავს“ (თოკი);
3. „მივა, მივა, კვალ არ აჩენს“; „მე მივალ, ის მომდევს, უკნიდან კვალ არ აჩენს“ (ჩრდილი);
4. „შიანაჲ ათასი,
გარეთაჲ ანტლასი“ („ბიბერი“, ბროწეული).

(მთქმელი მიერიე ქესუმი, მცხოვრები სოფელ ქლასქურში
(წკირმონეთის უბანში). ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2013 წელს).

კლარჯულ ხალხურ გამოცანებში, საქართველოს ყველა რეგიონში დადასტურებული პარემიოლოგიური მემკვიდრეობის მსგავსად, უაღრესად დიდი სიყვარული და პატივისცემაა გამოხატული შრომის იარაღების მიმართ. ამ ციკლის გამოცანებში კლარჯმა მშრომელებმა ჩააქსოვეს ყოველდღიურ ცხოვრებაში მათთვის მახლობელი და საჭირო შრომის იარაღებისადმი დამოკიდებულება, წარმოაჩინეს მათი სიკეთე და დანიშნულება საზოგადოების კეთილდღეობისათვის. 2013 წელს სოფელ ქლასქურში, წინწალაშვილების უბანში, ჩვენ მიერ

ჩაწერილი სამეურნეო დანიშნულების ობიექტთა გამოსაცნობი „დასამბელები“ ამგვარად არის ფორმულირებული:

1. „ავა, ჩავა, ღმერთ ეხვეწება“ (სანაყი, საძიგველი);
2. „ევა ცარიელი, ჩამუა ჭკირთული“ (გიდელი);
3. „წევა ტყეში, ყეფს, ყეფს, მოვა, თარო ქვეშ დაწევა (ნაჯახი, ცული, წალდი);
4. „ხუთი მმა არიან, ერთმა ებეძგება“ (წინდის ჩხირები).

(მთქმელი აიშე თურანლი, 70 წლის, მცხოვრები სოფელ ქლასქურში, წინწკალაშვილების უბანში. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2013 წელს).

84 წლის ქლასქურელი ქალბატონი ალთუნ თაბანი კი საჩეჩელს ასე განმარტავს: „თავი ჩიჩავს, კუდი ღრინავს“.

კლარჯული გამოცანების საყვარელი თემაა საოჯახო ნივთები; ასოციაციები, რომლებიც კვებას ამ რიგის გამოცანებს, არსებითად ზოგადქართულის იდენტურია, რაც განაპირობებს კიდევ გამოცანათა მსგავსი ფორმულით წარმოდგენას და, ბუნებრივია, საერთო წარმომავლობაზე მიუთითებს:

1. „კატა კუდით კიდია“ (ტაფა);
(მთქმელი ნაზმიე ერთიქინი (თავდგირიძე), 85 წლის, მცხოვრები სოფელ დევსქელში. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2013 წელს).

2. „ევა ჭკირთული, ჩამუა ცარიელი“ (კოვზი);

3. „ციდან მუა რახარუხით,

ქვეშიდან გადის ფლაქმა-ფლუქშით“ (საცერი);

4. „ერთი მანანაჲ ხან გაიცინებს, ხან – არა“ (ლამპა);

(მთქმელი აიშე თურანლი, 70 წლის. მცხოვრები სოფელ ქლასქურში, წინწკალაშვილების უბანში. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2013 წელს).

5. „სადამოზე კალოები, დილაზე – მოდინულები“ (ლოგინი).

(მთქმელი ქაზიმ ერყილიჩი, 74 წლის, მცხოვრები სოფელ კარტლაში. ჩაიწერა მაია ბარამიძემ 2014 წელს).

სამყარო, ადამიანი, ბუნებრივი მოვლენები და მათდამი დამოკიდებულება კლარჯული პარემიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა. გამოცანა, რომლის გამოსაცნობი ობიექტი გზაა, კლარჯულსა და საქართველოს სხვა კუთხეთა პარემიოლოგიურ მემკვიდრეობაში იდენტური ფორმულით გამოიხატება: „ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე“ (მთქმელი ასიე ალვაი (ჩხეიძე), 60 წლის, მცხოვრები სოფელ ისკეშში. ჩაიწერა რამაზ ხალვაშმა 2007 წელს). ასევე ითქმის ვარსკვლავზე არსებულ კლარჯულ გამოცანებზეც:

1. „ვკრიფე, ვკრიფე, ვერ მოვკრიფე“;

2. „ვთვალე, ვთვალე, ვერ დავთვალე“.

(მთქმელი ქაზიმ ერყილიჩი, 74 წლის, მცხოვრები სოფელ კარტლაში. ჩაიწერა მაია ბარამიძემ 2014 წელს).

მკვეთრად უარყოფითი ემოციებია გამოხატული კლარჯთა შორის ცეცხლზე გავრცელებულ გამოცანებში, რაც, აგრეთვე, ზოგადქართულის ვარიანტებია:

1. „წიქარას ნადოვნზე მოლი არ ამუა“;

(მთქმელი აიშე თურანლი, 70 წლის. მცხოვრები სოფელ ქლასქურში, წინწკალაშვილების უბანში. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2013 წელს).

2. „წითელი ხარის ნადოვნზე მოლი არ ამუა“.

(მთქმელი ალთუნ თაბანი, 84 წლის, მცხოვრები სოფელ ქლასქურში, წკირმონეთის უბანში. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2014 წელს).

ადამიანი და ყველაფერი, რაც მის არსებობას სჭირდება, კლარჯული გამოცანების საყურადღებო ობიექტებია:

1. „ვწონე, ვწონე, ვერ ავწონე“ (მილი);

2. „ერთ პლაკეზე ორი თევზი“ (წარბები);

3. „ხორცის ყანთარი ალთუნ წონავს“ (ყურსაკიდი);

4. „ერთი ქათამი გულგამოჭმული“; // „შავი ქათამი გულგამოჭმული“ (ბუხარი – „ოჯადი“);

(მთქმელი აიშე თურანლი, 70 წლის. მცხოვრები სოფელ ქლასქურში, წინწკალაშვილების უბანში. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2013 წელს).

5. „პატინა სინათლე ქვა ორთაღული შამეიარს“ (თვალი);
 6. „დავაბამ – წავა, გუშუგებ – დადგება“ (ქალამანი, „ჩარული“);
 7. „წახვალ – წამოა, მოხვალ – მოგდება, დადგები – დადგება“ (ჩრდილი – „შუქე“).
- (მთქმელი ქაზიმ ერყილიჩი, 74 წლის, მცხოვრები სოფელ კარტლაში. ჩაიწერა მაია ბარამიძემ 2014 წელს)

კლარჯ ჩვენებურთა პარემიოლოგიური მემკვიდრეობა მდიდარია, აგრეთვე, გამოცანებით მეწველ ძროხაზე; გამოცანისეული მეტაფორის ობიექტია ფურის ცური (ძუძუები):

1. „ოთხი ძმა ერთ ქოთანში ჩატირავს“;

(მთქმელი ჯესურ ათამანი (ჩაუშოდლი), 70 წლის, მცხოვრები სოფელ ებრიკაში. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2013 წელს).

2. „ოთხი თითი თასში უყურავს“;
3. „ოთხი თითი ქოთანში ჩატირავს“.

(მთქმელი აიშე თურანლი, 70 წლის. მცხოვრები სოფ. ქლასქურში, წინწკალაშვილების უბანში. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2013 წელს).

ძროხა, მისი ცური და კუდი ერთ გამოსაცნობ ფორმულაშია მოქცეული ჩვენ მიერ 2014 წელს სოფელ მარადიდში („მურათლი“) 46 წლის ქალბატონის – ემინე ოზთურქისაგან (სადიროდლი) ჩაწერილ გამოცანაში:

ოთხი ფეხი,
ორი ყური,
ოთხი ჩაკიდული,
ერთი გაქანება.

ქართულ ხალხურ გამოცანებში ხშირია გამოსაცნობი ობიექტის გარეგნული მომენტების წინ წამოწევა, გარეგნული მხარის ტრანსფორმაციაზე ყურადღების გადატანა, რაც მნიშვნელოვანი დეტალია გამოსაცნობ ფორმულაში. ამგვარ გამოცანათა კლასიკური მაგალითია გოგრაზე ან კიტრზე არსებული გამოცანები, რომლებსაც კარგად იცნობს საქართველოს ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერება:

აქ ჩავაგდე ცერცვისხელა,
იქ ამოძვრა დერგისხელა.

(ვინც..., 1996: 80)

გოგრაზე (ხაპზე) არსებული კლარჯ ჩვენებურთა გამოცანების მეტაფორული ფორმულა კი ამგვარია: „გეგერძელეზა, გეგერძელეზა, ოღლუმალ მეიგებს“ (მთქმელი აიშე თურანლი, 70 წლის, მცხოვრები სოფელ ქლასქურში, წინწკალაშვილების უბანში. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2013 წელს).

გამოცანა, როგორც მუდმივად განახლებადი პოეტური ფორმულა, ჩვენი ერის მსოფლმხედველობის, მისი ამაღლებული სულიერების დასტურია. ამ არქაული ჟანრის „მეტაფორული ბუნება მიგვანიშნებს, რომ ადამიანს ძალიან ადრე მოუხერხებია პოეტური მიმართულების მიცემა აზრისათვის“ (ქურდოვანიძე, 2001: 268). კლარჯული ხალხური გამოცანების ეროვნულ-კულტურული ღირებულებაც ამ პოზიციიდან უნდა შეფასდეს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ, ვიდრე კლარჯი ჩვენებურების ზეპირსიტყვიერებაში იცოცხლებს გამოცანებში დაუნჯებული ქართული პოეტური სული, მათ იდენტობას საფრთხე არ ემუქრება.

ლიტერატურა:

1. არჩილი, 1976 – არჩილი, „საქართველოს ზნეობანი“, თბილისი;
2. ვინც..., 1996 – „ვინც ამას ვერ გამოიცნობს...“, ქართული ხალხური გამოცანები. შეადგინა თინა შიოშვილმა. ბათუმი;
3. ზანდუკელი, 1985 – ფიქრია ზანდუკელი, „ქართული გამოცანები“ – კრებულში: „მხატვრული ოსტატობის საკითხები ქართულ ფოლკლორში“, თბილისი;
4. ქ. ა. გ., 1976 – ქართული ანდაზები და გამოცანები, ბათუმი;
5. ქურდოვანიძე, 2001 – თეიმურაზ ქურდოვანიძე, „ქართული ფოლკლორი“ თბილისი;
6. შიოშვილი, 1988 – თინა შიოშვილი, ზნეობრივი აღზრდის ტრადიციები მცირე ჟანრის ქართულ ზეპირსიტყვიერებაში (ანდაზა, გამოცანა), – კრებულში: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება“, ტ. IX, თბილისი.

Tina Shioshvili
Batumi Shota Rustaveli State University
KLARJIAN RIDDLES
RESUME

Klarjeti has been within the Turkish jurisdiction for centuries already. It made a great impact on the Georgians, living in this old Georgian region, spiritual and material culture. In spite of this, the folklore, preserved to this day, testifies, that their customs and traditions have not changed much.

The Klargian riddles are example of this: Riddles that are widespread in the villages of historical Klarjeti are part and parcel of Georgian folklore. Till there exist riddles in the speech of Klarjeti in habitants, Georgian National spirit will always be survived.

მარინე ცერცვაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თამარ მეფის სახის სამი ლიტერატურული რეფლექსია

როლან ბარტი მიიჩნევს, რომ ტექსტის ზოგიერთი ანალიტიკოსი ისურვებს - ერთ სტრუქტურაში დაინახონ ამქვეყნად არსებული ყველა ტექსტი. მათი აზრით, თუ ყოველ ტექსტს ცალკეულ მოდელად გავიაზრებთ, ასეთი მოდელებიდან შეიქმნება ნარატივის ერთი დიდი სტრუქტურა, რომელიც შემდგომში ნებისმიერ ტექსტს მოერგება, თუმცა ფიქრობს, ეს დამქანცველი და საბოლოოდ არასასურველი საქმეა, ვინაიდან ამის შემდეგ ტექსტი ინდივიდუალობას კარგავს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალობა სულაც არ წარმოადგენს ტექსტის სპეციფიკური იერსახის გამოვლინებას, არც მიგვითითებს ტექსტის დამთავრებულობაზე, პირიქით, ყოველ ახალ ტექსტში სახეშეცვლილი ორიგინალობაა.

ვდგებით ასეთი არჩევანის წინაშე: ან ყველა ტექსტი საგამოფენო სტენდზე უნდა გამოვფინოთ, მიუკერძოებელი მეცნიერების პოზიციიდან გავათანაბროთ, ანდა ყოველი ტექსტი თავიდან უნდა აღვადგინოთ არა თავისი ინდივიდუალური იერსახით, არამედ თამაშისებურ დინამიკაში და ისინი ზოგად ტიპოლოგიას, შეფასების სისტემას დაუქვემდებაროთ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გამოვფინოთ საგამოფენო სტენდზე ყველა არა, მაგრამ სამი ტექსტი: XIX ს. იაკობ გოგებაშვილი - ისტორიული მოთხრობები - თამარი, XX ს. - შალვა დადიანი - გიორგი რუსი (უბედური რუსი), XXI ს. ლაშა ბუღაძე - პირველი რუსი.

ქართული ლიტერატურა და თამარ მეფის ფენომენზე წერა განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს, რადგან, ჯერ ერთი, ფეოდალური საქართველოს სამეფო ტახტზე ქალი იჯდა და ისიც ისეთი დიდი და გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, როგორიც იყო თამარ მეფე; მეორე მხრივ, საჭირო იყო თამარის გამეფების უფლებრივი და მორალური გამართლება. ეს ყველაფერი თამარის კარის პოეტებს, და განსაკუთრებით შოთა რუსთაველს, ასევე ქართველ მემკვიდრეებს, აძლევდა საბაზს განედიდებინათ მისი სახელი. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო თამარის პოპულარიზაციას ხალხში, იმ ხალხში, რომელიც „საუკუნეების მანძილზე ტკბებოდა რუსთაველისა და ჩახრუხადის ქმნილებებით“- წერს სერგი მაკალათია.

პოპულარიზაცია პოპულარიზაციად, მაგრამ ქართველი ხალხი კარგად ხედავდა თამარის ღვაწლის სიდიადეს, იმ პიროვნებისა, რომელიც „სიცოცხლეშივე შეიმოსა უკდავების შარავანდედით“. თამარს უწოდებდნენ „ღვთის სწორად მეფეთ-მეფეს“.

სერგი მაკალათია: „თამარ მეფემ სიკვდილის წინ მოიწვია დიდებულები და ასეთი სიტყვით მიმართა: „მძანო ჩემო... გვედრებით ყოველთა, რათა მარადის კეთილსა შინა იყუნეთ მახსენებლად ჩემდა“. სტატიაში განვიხილოთ რამდენად „კეთილსა შინა მახსენებლად“ გვევლინება თითოეული ავტორი; გავარკვიოთ, როლან ბარტის მიხედვით, ამ სამიდან „რომელია ის ტექსტი, რომლის დაწერასაც თავად დავთანხმდებოდ და ჩემს სამყაროში მათ დამკვიდრებას ვისურვებდი ქმედითი

მაღის სახით?“ ცვადათ გამოვავლინოთ ის ღირებულება, რომელიც „განაწესებს რა უნდა დაიწეროს დღეს“.

სანამ დავიწყებდეთ ანალიზს, გავიხსენოთ: „მე ვკითხულობ ტექსტს. კითხვის პროცესში სუბიექტურობა და ობიექტურობა ისეთი ფაქტორებია, რომელთაც შეუძლიათ გადაფარონ ტექსტი“. წაკითხვა ნიშნავს მნიშვნელობების პოვნას, ხოლო მნიშვნელობების პოვნა, მათთვის სახელის დარქმევას.

თამარ მეფის ცხოვრების სრულად წარმოდგენა შეუძლებელია. ზემოთაც ვთქვით და გავიმეორებთ, რომ მისი სახელის უკვდავსაყოფად მრავალი იღვწოდა, უხინჯოდაც წარმოგვიდგინეს, რომ არა ერთი საჩოთირო მომენტი - თამარის პირველი ქორწინება.

არც აუცილებლობაა და არც სტატიის ფორმატი მოგვცემს საშუალებას, სამივე ნაწარმოები დაწერილობით განვიხილოთ, ამიტომაც ჩვენ დავანაწევრებთ ტექსტებს, ყურადღებას გავამახვილებთ იმ ფაქტზე, თუ როგორ აღწერენ ისინი თამარის ქორწინებას გიორგი-იური-ზე (როგორც მას შალვა დადიანი უწოდებს).

რადგანაც „ცალკეულ ტექსტს ლიტერატურის ყველა ტექსტის ღირებულება მოეპოვება“ [6, გვ. 54] და თავად ლიტერატურაც სხვა არაფერია, თუ არა ერთი ტექსტი, ცალკეული ტექსტის ერთი ნაწილის განხილვით, „მივცეთ თავს უფლება, ჩავუღრმავდეთ და უყურადღებოდ არ დავტოვოთ სწორედ ეს მონაკვეთი“ [6, გვ. 54].

როგორ არის წარმოდგენილი თამარის ქორწინების ეპიზოდი იაკობ გოგებაშვილის ისტორიულ მოთხრობებში. მოკლე ფრაგმენტის განხილვით, ტექსტის ნაწილებად დაყოფით შესაძლებელია რამდენიმე წინადადებისგან შემდგარი მონაკვეთის ანალიზი, გააჩნია, როგორ იქნება უფრო მოსახერხებელი.

იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები ბავშვების საკითხავად არის განკუთვნილი. ავტორიც ჩვეული ლაკონურობით ხატავს დიდი თამარის სურათ-ხატებას. ჩამოთვლის რა, მის მიერ ერის განსამტკიცებლად გადადგმულ ნაბიჯებს, იაკობ გოგებაშვილი შუა თხრობაში აღნიშნავს: „საქართველოს სიკეთისათვის საჭირო იყო თამარს მემკვიდრე ჰყოლოდა. ამიტომ სთხოვეს თამარს მეუღლის შერთვა ენებებინა და თამარიც დათანხმდა“ [1, გვ. 312]. ქორწილი გადაიხადეს „ისეთი დიდებულად, რომ არც წინათ და არც შემდგომ საქართველო იმისთანა საარაკო ქორწილს არ მოსწრებია“ [1, გვ. 312].

იაკობი წერს: „საუბედუროდ, გიორგი რუსი მეტად უზნეო აღმოჩნდა,... დროს ატარებდა ქეიფსა, ლოთობას და გარყვნილებას, ცუდ მაგალითს უჩვენებდა თავის ქვეშევრდომებს. თამარი ბევრს ეცადა, გაესწორებინა თავისი მეუღლე, მაგრამ ვერას გახდა. მაშინ იგი იძულებული გახდა გაჰყოლოდა თავის ქმარს და გაეგზავნა საქართველოდან, მისცა საცხოვრებელი ფული და გაისტუმრა კონსტანტინოპოლში“ [1, გვ. 314]. ეს არის სულ ამ ფაქტის შესახებ. იაკობ გოგებაშვილი თამარის პირველ ქორწინებას განიხილავს, როგორც ნაბიჯს, რომელიც მემკვიდრის ყოლის საჭიროებისათვის და საქართველო-რუსეთის განსამტკიცებლად არის გამიზნული.

იაკობ გოგებაშვილი ისტორიულ მოთხრობებში იშველიებს „ქართლის ცხოვრების“ სტრიქონებს. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის პრესაში (1859 წ. „ივერია“, 1897 წ. „ცნობის ფურცელი“, 1890 წ. „მწყემსი“) განიხილავდნენ ამ მოთხრობებს ილია ფერაძე, თეოფილე ხუსკივაძე, გ. წერეთელი, აქვეყნებდნენ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებს; მიაჩნიათ, რომ „საყმაწვილო მწერლობა ყველაზე უფრო ძნელი და საპასუხისმგებლო საქმეა“ [4, გვ. 61], რომ საყმაწვილო ნაწარმოების ავტორს დიდი ნიჭი, სიფრთხილე და სიფაქიზე სჭირდება და რომ ამგვარი მოთხრობების წერა მეტად საძნელო საქმეს წარმოადგენს. ზოგ მოთხრობას აქებენ, ზოგს არ იწონებენ. არსად ჩანს შენიშვნები მოთხრობაზე „თამარ მეფე“. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იაკობ გოგებაშვილი ამ მოთხრობების დაწერით ცდილობდა მომავალ თაობაში „გაედვიძებინა პატრიოტული სულისკვეთება, რათა ისინი შემდგომში კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში ჩამდგარიყვნენ“ [4, გვ. 62].

შემდეგი ნაწარმოების განხილვისას უნდა მოვიშველიოთ მარიამ მირესაშვილის აზრი იმის შესახებ, რომ ეროვნული ლიტერატურის კვლევა მსოფლიო სალიტერატურო პროცესებთან მიმართებაში თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა და ჩვენი არჩევანიც ამითაა განპირობებული - თამარ მეფის შესახებ დაწერილი ისტორიული რომანის განხილვა პოსტსაბჭოური პერიოდის ანალოგიურ თემაზე დაწერილ მოთხრობასთან მიმართებაში.

შალვა დადიანის ისტორიული რომანი „გიორგი რუსი“ ეროვნული სპეციფიკის მქონე ისტორიულ მასალაზეა აგებული, რითაც ავტორს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ტრადიციული ისტორიული რომანის ჩამოყალიბების საქმეში. რომანის დაწერის მიზეზია „მუდმივი ბრძოლა დამოუკიდებლობისა და თვითგამორკვევისათვის, ეროვნული სიამაყე, აგრეთვე საკუთარი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ტრაგიკული განცდა“ [5, გვ. 106]. სწორედ ამიტომაც შალვა დადიანის რომანი „უბედური რუსი“ ხშირად რჩებოდა კრიტიკოსების ყურადღების მიღმა, თუმცა საკითხი, რომელიც ამ რომანშია დასმული, ყოველთვის იყო აქტუალური, განსაკუთრებით დღეს. მწერალმა

ჩაატარა შრომატევადი მოსამზადებელი სამუშაო, გაეცნო თამარისდროინდელ როგორც ქართულ, ისე ბიზანტიურ, არაბულ, სომხურ, რუსულ და სხვა ისტორიულ წყაროებს და დოკუმენტებს. ნაწარმოებიც გამოვიდა საგულისხმო არა მარტო მხატვრული დონით, არამედ ისტორიულ-მეცნიერული სიმართლითაც, მიიჩნევა ავტ. ნიკოლეიშვილი. ამან, რა თქმა უნდა, სოციალისტური რეალიზმის (ანუ ოფიციალური) კრიტიკის გულისწყრომა გამოიწვია, განსაკუთრებით „მკაცრად აკრიტიკებდნენ ავტორს იმის გამო, რომ, მან რომანში სათანადოდ არ ასახა რუსეთის სასიკეთო გავლენა საქართველოზე“ [7, გვ. 107].

კრიტიკოს მიაჩნია, რომ შალვა დადიანის რომანში შეგვიძლია ამოვიკითხოთ მკვეთრი ანტირუსული განწყობილება. ავტ. ნიკოლეიშვილი მკითხველის ფანტაზიას ანდობს ყველა იმ უსიამოვნების წარმოდგენას, რასაც შეახვედრებდა ოფიციალური კრიტიკა რომანის ავტორს.

შალვა დადიანი დაწვრილებით აღწერს იმ სიტუაციას, რომელიც სუფევს საქართველოში თამარის ქორწინების წინ.

დავიმოწმოთ ზოგიერთი პერსონაჟის აზრი რომანიდან: რაჭის ერისთავს აწუხებს ის ამბავი, რომ „არ ვიცნობთ მის არც ზნეს, არც ჩვეულებებს და ხასიათს და არც სამხედრო უნარს და სიქველეს“ და აღმოხდება „დიდებულნო, რას სჩადიხართ!“ [2, გვ. 201].

აბულ-ასანმა და ვარდან დადიანმა თავისი გაიტანეს. საგულისხმოა, რომ შალვა დადიანი არ ინდობს ვარდან დადიანს, აღნიშნავს, რომ „ეს სულ მისი ოინებია“ და სრულად წარმოაჩენს იმ უარყოფით შედეგს, რომელიც მისმა ინიციატივამ მოუტანა თამარს და სრულიად საქართველოს და რომელიც მას არ ეპატიება, განსხვავებით ზანქანისგან, რომელიც მხოლოდ მოგებაზე ფიქრობს და რომელიც „ერთი ორად აიღებს სანაცვლოს, რაც დახარჯა“. არც ვარდანი დარჩება მოგების გარეშე; ვინ იქნება ჯარის და მთელი სამეფოს გამგე? დადიანი, აბა ეს „უსუსური ღლაპი, ლოთი და გარყვნილი ხომ არა?“ [2, გვ. 202].

აქ ავტორი ყურადღებას ამახვილებს თამარის თვალეზზე, დადიანისკენ რომ არის მიმართული, თამარმა კარგად იცის ის, რაც მათე თავის სათაურად გამოიტანა ავტორმა – „დღეს დაიღუპა საქართველო“, და რადგანაც ვარდან დადიანი იმუქრება, რომ ქორწინება თუ არ შედგა, როქის სპას ააჯანყებს, თამარი ასეთ გადაწყვეტილებას იღებს: „რაკი სამეფომ ესე დაჟინებით მოითხოვა ჩემგან ამ ვალდებულების გასრულება, აღარ გეურჩებით, დასტური მომიცია, მაგრამ ახლა მხოლოდ დავიწინდები. ერთი წელი შევისწავლოთ მისი ხასიათი და უკეთუ შემდგომშიც ღირსი აღმოჩნდება“..... [2, გვ. 210]. აი, მხოლოდ ამ პირობით დაქორწინდება თამარი.

მაგრამ საქმე სხვაგვარად შეტრიალდა; აღმოჩნდა, რომ გიორგის სიღოდა - ავი სენი, ბნედა აღმოაჩნდა. პირველივე შეტევა, რომელიც ყველას თვალწინ მოუვიდა, თავზარდამცემია მხილველთათვის, ეს იყო ოთხზე დადგომა, ტირილი, ჯერ სტვენა, მერე ცვატას წაქცევა. სიტუაცია კუზმას შემოსვლამ განმუხტა.

შეტევები გაგრძელდა, ყველაფერ ამას ემატება ისიც, რომ იური ცდილობს დაამციროს თამარი და „გაქელოს“, როგორც ამას ავტორი წერს: „ჩემია და არ გავქელო?“..... „ეგ წმინდანია, განა წმინდანის ქმრობა შეიძლება?“

კეთილისმსურველები თამარს ურჩევენ: „დიდი უღირსი კაცია ეგ და დღესვე უნდა მოიშორო თავიდან“... „სულ უკუღმართად იქცევა, საჯაროთაც აღარა ფარავს თავის ნაკლს“ [2, გვ. 205].

სანამ „მოიშორებენ“: „გკურნებდით ბაბილოვანსა და არა იყო კურნება“ [2, გვ. 216].

მხოლოდ ამის შემდეგ ამბობს კათალიკოსი: „ეს უღირსი კაცი მე დავწინდე მეუღლედ თამარისა, ჩემისვე უფლებით ამიერთ ამიხსნია თამარისგან მიცემული პირობა. გიორგი აღარ იქნება მეუღლედ მეფისა ჩვენისა“ [2, გვ. 238].

თამარი წმინდა რუსულით მიმართავს იურის: „განვედ ჩემგან!“...

„მე არა მიძლავს აჩრდილსა მრუდისა ხისასა გამართვად...და უბრალოდ განვიყრი მტვერსაცა, რომელი აღმეკრა შენ მიერ“ [2, გვ. 240].

ხელიდან ბეჭედი მოიხსნა და გავიდა.

თამარის დიდსულოვნებას მოწმობს ის, რომ არც ერთი მონაწილე ამ ამბებისა მკაცრად არ დასჯილა. იურის ურჩიეს გასულიყო საქართველოდან, დადიანმა ბიზანტიას მიაშურა, თუმცა ქართველებთან მიწერ-მოწერის უფლება აქვს. თამარმა კარგად იცის, რომ დანაშაულის მიუხედავად დადიანი დიდი კაცია და საპატიოდ უნდა დატყვევება. თვითონ ვარდანს მომავლის იმედი აქვს: „მე არაფერს ვიტყვი ჩემს საქციელზე-შთამომავლობა დააფასებს, რაც მიხდოდა ჩემი ქვეყნისთვის და როგორ ვიღწვოდი“ [2, გვ. 308]. ხვაშაქი კი ადანაშაულებს: „ვარდან, შენ არ გწამდა ქალი მეფედ“ [2, გვ. 308].

არ შეიძლება არ დაეთანხმო ავთანდილ ნიკოლეიშვილს, როდესაც ამ რომანს განიხილავს, როგორც ჩვენი ეროვნული უბედურების ერთი საგულისხმო მომენტის მძაფრი ცინიზმით წარმოდგენს, - სხვა ერების წარმომადგენელთა საბედისწერო როლი ჩვენი სახელმწიფოებრიობის ისტორიაში.

რომანში კი ჩანს წარსულის იდეალიზაცია, ეროვნული თვითშეგნების გრძნობის გაცოცხლება, თამარის ეპოქის გაიდება, მაგრამ სოსო სიგუას უადგილოდ მიაჩნია კრიტიკა იმის გამო, რომ მასში სათანადოდ არ აისახა „რუსეთის სასიკეთო გავლენა საქართველოზე“, რომ გიორგის სახე-ანტირუსულ განწყობილებას გამოხატავს - „სად არის რუსეთი? მე ვერ ვხედავ ანტირუსულ განწყობას. ეს თვით გიორგიმ გააფუჭა ყველაფერი“.

თუ ისევ როლან ბარტს მოვუსმენთ, ის მიიჩნევს, რომ ნებისმიერი მხატვრული აღწერა არის გარკვეული პერსპექტივა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთხრობელი აღწერამდე ჯდება ფანჯარასთან არა იმდენად იმისთვის, რომ კარგად დაინახოს, არამედ იმიტომ, რომ ჩარჩოში ჩასვას, მყარი საზღვრები შეუქმნას იმას, რასაც თავად ფანჯრის ჩარჩოს მიღმა ხედავს [6, გვ. 65]. ფანჯრის ჩარჩო ქმნის სანახაობას. აღწერა ნიშნავს მხოლოდ ცარიელი ჩარჩოს გამართვას, რომელსაც რეალისტი მწერალი ყოველთვის თან ატარებს (ჩარჩო მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოღბერტი) საგნების გარკვეული ნაკრებისა თუ რიგის წინაშე, რომელიც სიტყვისათვის მიუწვდომელი რჩება“.. [6, გვ. 68].

იმისათვის, რომ (წერს რ. ბარტი), მწერალს ამა თუ იმ საკითხზე ლაპარაკის უფლება ჰქონდეს, საჭიროა „რეალობა“, რაც არსებობს ამ თემის გარშემო, დახატულ (ჩარჩოში ჩასმულ) საგნებად გარდაქმნას, რის შედეგადაც მას ექნება შესაძლებლობა, ეს საგნები კედლიდან ჩამოხსნას, გამოიღოს ის თავისი ფერწერული ტილოდან, გამოსახოს, რაც ნიშნავს კოდების ხალიჩის გაშლას, დამოკიდებულების დადგენას თავად კოდებს შორის. ე.ი. დაასკვნის რ. ბარტი, რეალიზმი (ხშირად ცუდად ინტერპრეტირებული) არის არა რეალობის კოპირება, არამედ რეალობის (ფერწერული) ასლის კოპირება.

თუ ამ სიტყვებს შალვა დადიანის რომანს მოვარგებთ, ვნახავთ თუ რა დიდი მოწიწებით, დიდი სიყვარულით და ტაქტით აღწერს შალვა დადიანი იმ საჩოთირო მომენტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ისტორიაში. როგორ ახდენს ის არსებული რეალობის კოპირებას და როგორ გაშლის თავისი კოდების ხალიჩას.

ახლა კი ვნახოთ, როგორ ზის ლაშა ბუღაძე ფანჯარასთან და აღწერამდე როგორ ცდილობს უკვე არსებულის თავის ჩარჩოში მოქცევას.

რეალობა, წერს რ. ბარტი, რომელიც შიშის გამო გვიკრძალავს პირდაპირ მასთან შეხებას... აღქმულია იმ ფერწერული საბურველის საშუალებით, რომლითაც მას ვმოსავთ, ვიდრე მას სიტყვებს დაუუქვემდებარებთ.

ლაშა ბუღაძის წინ არის რეალობა - თამარი, მისი პიროვნება - განდიდებული მიზეზთა და მიზეზთა გამო, მისი ღვაწლი, რასაც შრომის დასაწყისშიც აღვნიშნავდით (თავიდან იმის გამო, რომ განმტკიცდეს მეფე-ქალის ინსტიტუტი და თამარის სიცოცხლის ბოლოს, აღქმა იმ ღვაწლისა, რაც თამარის მოღვაწეობას ახლდა). მისი მოთხრობა „პირველი რუსი“ დაიბეჭდა 2001 წლის იანვრის ნომერში და როგორც თვითონ აღნიშნავს: „ივნისში ტექსტს ერთადერთი მკითხველია ჰყავდა და ისიც მე ვიყავი“ [3, გვ. 89].

თუ წარმოვიდგენთ, თუ როგორ უკითხავს ავტორი ამ მოთხრობას მამამისს, ცნობილ მხატვარს და იმ დროს სამხატვრო აკადემიის რექტორს, რომელიც იმ დროს ცხენზე ამხედრებულ მეფეს ხატავს ქართველ მეფეთა გალერეიდან, „მე კი ქალი მეფის უიღბლო საქორწინო ღამის ამბავს დავყვიროდი თავზე“ [3, გვ. 90]. მამის რეაქციაზე ლაშა ბუღაძე არაფერს წერს - მოისმინა და დამთავრდა.

მოთხრობის „პოპულარობას“ ხელი შეუწყო 2002 წლის იანვარში გაზეთ „რეზონანსის“ და ტრადიციული ორთაბრძოლის ცენტრ-სასწავლებელ „ხრიდოლის“ შეფის მიერ ატეხილმა აურზაურმა, რამაც ცუდზე მეტად კარგი შედეგი მოიტანა. გაჩნდა ინტერესი ამ მოთხრობისადმი. კრიტიკა გამოვიდა უნებური რეკლამა და პიარი ამ უზადრუკი მოთხრობისადმი, რომელიც, როგორც თვითონ ავტორი მიიჩნევს, 23 წლის ბიჭმა უფრო იმისთვის დაწერა, რომ საზოგადოების ყურადღება მიექცია, და, რაც ვერ შესძლო თვითონ, გამოვიდა, „მტრების“ (თვითონ ასე უწოდებს) დამსახურებაა.

ლაშა ბუღაძემ კარგად იცის საქართველოს ისტორიის ეს პერიოდი, მაგრამ, რატომღაც, დაუდარაჯდება მეფეთ მეფესა და იურის საქორწინო სარეცელის ქვეშ და „დიდი კადნიერებით“ აღწერს იქ გათამაშებულ სცენებს. მაგრამ, სანამ ამბების უშუალო თხრობაზე გადავა, ამბავს თამარის სიკვდილით იწყებს და წერს: „...ათას ორას მერომელიდაცე წლის ოცდაშვიდი იანვარი იდგა და კვდებოდა ეს ქალი. კვდებოდა, რადგან ზოგჯერ მეფეთ მეფე ქალებიც კვდებიან.... ოხერი სენით ის

ადგილი შეუბილწა სატანამ, საიდანაც მემკვიდრე უნდა გამოეგდო თავის დროზე...(საშვილოსნოს კიბო ჰქონდა)“ [3, გვ. 7].

არ არის საინტერესო, როგორ აგრძელებს ავტორი ამ უხამსობებს, საინტერესოა ის ახალი ტალღა, რომელიც აგორდა მის წინააღმდეგ. პარლამენტის სხდომაზე დეპუტატები პირდაპირ ეთერში ლანძღავდნენ ავტორს, რომელსაც ვერ გაეგო შეშინებოდა, თუ გახარებოდა მის ტექსტს ასეთ რეკლამირებას რომ უწევდნენ. შემდგომში დაწერილ ესეში, „პირველი რუსის ამბავი“, ლაშა ბუღაძე ყველაფერს ამას დაწვრილებით აღწერს: „სასწაული ხდებოდა - 21-ე საუკუნის საქართველოს პარლამენტში ლიტერატურული ტექსტის აკრძალვას და ჩემნაირების დასჯას მოითხოვდნენ“ [3, გვ. 92]. დადგა საკითხი მისი საქართველოდან გასახლებისა, და ამ ფონზე, აღსანიშნავია გიორგი მარგველაშვილის პირველი სწორი და არაიდევური მოსაზრება - რომ წერ თამარს თმები სცვივა, რა, კიმიას იკეთებსო?

ამ ყველაფერს დაემატა საპატრიარქოს პოზიცია, როდესაც მის განკვეთას ითხოვენ, ზენონი კი სთავაზობს კვიპროსზე მოგზაურობას ხარჯების ანაზღაურებით აღიარების სანაცვლოდ, მაგრამ ავტორი არ ცვლის არაფერს და იცავს „ტექსტს“, რადგან მიაჩნია, რომ ლიტერატურის მიდგომა ისტორიისადმი ერთია, ეკლესიისა კი მეორე.

ბოლოს დავუბრუნდეთ ისევ როლან ბარტს და დავსვათ კითხვა-სად გაქრა ფერწერული კოდი ლაშა ბუღაძის მოთხრობაში? რატომ გაქრა იგი? რამ ჩაანაცვლა იგი?

საქმე იმაშია, რომ ჩვენს დროში გამომსახველობითი კოდი მრავალწევრიანი სივრცის სასარგებლოდ ინგრევა. ამ დროს მისი მოდელი აღარ შეიძლება იყოს ფერწერა (ან ტილო), მაგრამ, თუ ლიტერატურა და ფერწერა შეწყვეტს იერარქიულ ურთიერთდამოკიდებულებას, თუ ერთი უკუაგდება მეორეს, ალბათ, მივიღებთ იმ შედეგს, რაც ლაშა ბუღაძის მოთხრობაშია.

ასეთია თამარ მეფის სახის სამი ლიტერატურული რეფლექსია.

ლიტერატურა:

1. საგანძური, თბ., 1982.
2. შალვა დადიანი, ტ. 3, თბ., 1959.
3. „ცხელი შოკოლადი“, №56, 2010.
4. ზურაბ ბოცვაძე, ქართული საყმაწვილო ლიტერატურის საწყისები, თბ., 1977.
5. მ. მირესაშვილი, ისტორიული რომანი, თბ., 2005,
6. როლან ბარტი, S/Z (სარაზინი), თბ., 2014.
7. ავთ. ნიკოლეიშვილი, ქართული ლიტერატურა, ტ. 3, თბ., 2013.
8. სერგი მაკალათია, თამარ მეფე, თბ., 1976.

Marine Tsertsvadze

Gori State Teaching University

THE THREE LITERARY REFLECTIONS OF QUEEN TAMAR'S FACE RESUME

The article represents the discussion of the King “Tamara” and the content shows us how well the authors: Iakob gogebasvili, Shalva Dadiani and Lasha Bugadze managed to describe the King. According to Rolan Barts we have to final out the most acceptable one, that I wish to be founded in the Universe as an effective power. Let us try to display those Values that will definitely establish the rule about what we should write today.

პედაგოგია Pedagogics

ლალი აზმაიფარაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სპორტსმენი და არასპორტსმენი მოზარდების ფიზიკური განვითარების და ფიზიკური მომზადების გამოკვლევა

მოცემულ თავში მოყვანილია არასპორტსმენების (42 – ვაჟები) 5 წლიანი გამოკვლევის შედეგები და სპორტსმენი ვაჟების (16 – ვაჟი), რომლებიც კვირაში 6-10 სთ-ს ვარჯიშობდნენ ფეხბურთის, კალათბურთის და კრივის სექციებში. ცხრილი 14-ში მოყვანილია მონაცემები, რომლებიც მიღებულია მოზარდების ანკეტური გამოკითხვის შედეგად, მათი მოძრაობის აქტიურობის დროის შესახებ (იმ საათების გარდა, რომლებსაც ნორჩი სპორტსმენები ატარებენ სპორტულ სექციებში). ცხრილი 14-დან ჩანს, რომ სპორტსმენი ვაჟები მეტ დროს უთმობენ დილის ვარჯიშებს, მაგრამ სამოძრაო ქმედებების სხვა ფორმებში არიან ნაკლებად აქტიურები არასპორტსმენებთან შედარებით.

ცხრილი 14

12-16 წლის ასაკის სპორტსმენი (1) და არასპორტსმენი ვაჟების
მოძრაობის აქტიურობა (წუთები დღეში)

მოძრაობის აქტიური ფორმები	ჯგუფები	ასაკი, წლები				
		12	13	14	15	16
დილის ვარჯიში	1	6 ± 2	6 ± 3	5 ± 2	7 ± 9	4 ± 2
	2	4 ± 1	3 ± 2	3 ± 1	3 ± 1	2 ± 1
	P	< 5	< 5	< 5	< 0.1	< 5
სუფთა ჰაერზე სიარული	1	105 ± 21	96 ± 18	101 ± 19	90 ± 22	83 ± 20
	2	112 ± 26	106 ± 27	105 ± 20	101 ± 27	93 ± 15
	P	> 5	> 5	> 5	> 5	> 5
ველოსიპედით სიარული	1	7 ± 3	8 ± 3	10 ± 4	10 ± 6	9 ± 5
	2	10 ± 4	12 ± 3	13 ± 3	12 ± 4	10 ± 3
	P	< 1	< 0.1	< 1	> 5	> 5
სპორტული თამაშები	1	26 ± 10	28 ± 12	26 ± 11	25 ± 9	18 ± 6
	2	30 ± 18	35 ± 19	32 ± 19	30 ± 11	22 ± 19
	P	> 5	> 5	> 5	> 5	> 5
სულ		144	138	142	131	114
		156	156	153	146	127

(1) მოძრაობის აქტიურობა აღირიცხებოდა ყოველი წლის მაისის თვეში

ნორჩ სპორტსმენებში მაჩვენებლის ინტენსიური ზრდა იწყება 12 წლის ასაკიდან, 15-დან 16 წლის ასაკამდე კი ზრდის ტემპები მცირდება. არასპორტსმენებში სიმაღლის პუბერტატული მატება

აღინიშნება 13-14 წლის ასაკიდან და 17 წლისთვის ჯგუფებს შორის განსხვავება სხეულის სიგრძეში უმნიშვნელოა.

ამგვარად აღინიშნებოდა პარალელიზმი სქესობრივი მომწიფების ტემპებს და სხეულის სიგრძის ყოველწლიურ მატებას შორის, ვინაიდან ნორჩი სპორტსმენები შევიდნენ სქესობრივი მომწიფების პერიოდში საშუალოდ 2 წლით ადრე, ვიდრე მათი არასპორტსმენი თანატოლები.

მოზარდების სხეულის წონა 5 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად იზრდება. ნორჩი სპორტსმენების უპირატესობა სხეულის წონაში მატულობს 12 წლის ასაკიდან და აღწევს მაქსიმალურ მნიშვნელობას 14 წლის ასაკში. შემდგომში მაჩვენებლების მატების ტემპები ჯგუფებში თანაბრდება.

თავდაპირველი განსხვავება სხეულის წონაში ჯგუფებს შორის შესაძლებელი იყო ხელოვნური შერჩევის შედეგად. თუმცა, ზრდადი უპირატესობა სხეულის წონაში, რომელიც გააჩნიათ ნორჩ სპორტსმენებს, ჩვენი აზრით, აიხსნება მათი აქტიური მოძრაობის რეჟიმით და ადრეული შესვლით სქესობრივი მომწიფების პერიოდში. სხეულის სიგრძისგან განსხვავებით, სპორტსმენი ვაჟების უპირატესობა სხეულის წონაში არასპორტსმენების წინაშე, ნარჩუნდება 16 წლის ასაკისთვის.

ნახატ 4-ზე ნაჩვენებია სპორტსმენი და არასპორტსმენი ვაჟების გულმკერდის გარშემოწერილობის დინამიკა 5 წლიანი კვლევის განმავლობაში აღინიშნება ნორჩი სპორტსმენების მაჩვენებლების მაღალი დონე. გულმკერდის გარშემოწერილობის ზრდა მიმდინარეობს საკმაოდ თანაბრად, თუმცა მაჩვენებლის მატების ჯამური სიდიდე განვლილ პერიოდში მნიშვნელოვნად მაღალია (ნორჩ სპორტსმენებში 18.1 სმ, არასპორტსმენებში 16.8 სმ).

ზემოხსენებული ჯგუფების ვაჟების სხეულის ზოგიერთი გარშე-მოწერილობითი ზომების ასაკობრივი დინამიკა (კისრის, წელის, თეძოების, მხრის, წინამხრის, წვივის) მოძრაობის აქტივობის სხვადასხვა რეჟიმის მქონე 12-დან 16 წლამდე ვაჟებში აღინიშნება გარშემოწერილობითი ზომების უწყვეტი ზრდა, რომელიც მიმდინარეობდა გამოხატული პუბერტატული ნახტომის გარეშე. აღნიშნული მაჩვენებლების მატების ოდენობა იყო განსხვავებული: მეტი – წელის და თეძოსთვის, ნაკლები – კიდურების და კისრისთვის. 12-14 წლის ასაკში სხეულის აღნიშნული ზომების ზრდა ნორჩ სპორტსმენებში მეტია, ვიდრე მათ თანატოლ არა სპორტსმენებში. 15-დან 16 წლის ასაკამდე განსხვავებული მაჩვენებლების ზრდის ტემპები ჯგუფში თითქმის თანაბარია. გამოსაკვლევი პერიოდის მანძილზე აღინიშნება ნორჩი სპორტსმენების უპირატესობა არასპორტსმენებზე სხეულის ყველა გამოსაკვლევ ზომებში.

ზემოხსენებული განსხვავებები სპორტსმენ და არასპორტსმენ ვაჟებს შორის შეიძლება ავსხნათ ჯგუფების კომპლექტაციის შერჩევის ფაქტორით და მათი სქესობრივი მომწიფების ტემპების თავისებურებებით.

გამოსაკვლევ ჯგუფებში სხეულის განივი ზომების სიდიდე ხუთწლიანი დაკვირვებების განმავლობაში მუდამ იზრდებოდა. მატების ტემპების ზრდა ნორჩ სპორტსმენებში აღინიშნება 12 წლის ასაკიდან, ხოლო არასპორტსმენებში – 13.0-13.5 წლიდან. გულმკერდის გარშემოწერილობაში ნარჩუნდება მატების მაღალი ტემპები გამოსაკვლევი პერიოდის ბოლომდე, როგორც პირველ ასევე მეორე ჯგუფშიც. მაჯისა და წვივის ჯამური ზომების ზრდა მეტად არის გამოხატული 14.5 წლის ასაკამდე, შემდეგ კი მატების ტემპები მცირდება. ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში აქტიური მოძრაობის რეჟიმის მქონე ვაჟები სხეულის განივ ზომებში აღემატებოდნენ თავის თანატოლ არასპორტსმენებს.

ამგვარად, მოზარდობის პერიოდში სხეულის განივი ზომები განიცდიან მნიშვნელოვან ცვლილებებს. ამ ზომების მატების მაქსიმალური ტემპები დროში ემთხვევა სქესობრივი მომწიფების პერიოდს.

კეტლეს ინდექსის ცვლილების მრუდი მეტყველებს ამ მაჩვენებლის დონის უწყვეტ და არათანაბარ ზრდაზე ჯგუფებში. ნორჩ სპორტსმენებში კეტლეს ინდექსის ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება 12-დან 14 წლის ასაკამდე, შემდეგ კი მცირდება. არასპორტსმენი მოზარდების ჯგუფში ამ მაჩვენებლის დონის მატება აღინიშნება 13-15 წლის ასაკში. როგორც აჩვენა შედარებითმა ანალიზმა, გამოსაკვლევი ასაკობრივი პერიოდის განმავლობაში ნორჩ სპორტსმენებს ჰქონდათ წონა-სიმაღლის ინდექსის მეტი სიდიდე, ვიდრე მათ თანატოლ არასპორტსმენებს.

ფიზიკური განვითარების ინდექსებში, რომლებიც ასახავენ კისრისა და გულმკერდის პერიმეტრების შეფარდებას სხეულის სიგრძესთან, აღინიშნება ამ მაჩვენებლების ტალღისებრი ცვლილებები ასაკის მატებასთან ერთად. ნორჩ სპორტსმენებს ქონდათ აღნიშნული ინდექსების უფრო მაღალი მაჩვენებლები არასპორტსმენებთან შედარებით, 12-დან 16 წლის ასაკამდე.

კუნთოვანი მასის განაწილების ინდექსის ასაკობრივ დინამიკაში აღინიშნება მისი მნიშვნელობების სტაბილური დონე 11.5-დან 14 წლის ასაკამდე და ამ დონის ამაღლების ტენდენცია შემდგომ წლებში, როგორც სპორტსმენებში ასევე არასპორტსმენებშიც. სარწმუნო განსხვავებები ჯგუფებს შორის აღნიშნულ მაჩვენებლებში არ არის აღმოჩენილი, თუმცა დეფინიტიური მნიშვნელობების დონე უფრო მაღალია სპორტსმენ ვაჟებში.

მხრის დიამეტრის სხეულის სიგრძესთან თანაფარდობის ასაკობრივი ცვლილება, ხასიათდება ფიზიკური განვითარების მოცემული ინდექსის არათანაბარი ზრდით. 12-დან 14 წლის ასაკამდე მაჩვენებლის სიდიდე იცვლება უმნიშვნელოდ, შემდეგ კი ზრდის ტემპი მატულობს. ნორჩ სპორტსმენებში ყოველწლიური მატების ზრდა იწყება ნახევარი წლით ადრე, ვიდრე არასპორტსმენებში. აქტიური მოძრაობის რეჟიმის მქონე 14-16 წლის ვაჟები აღნიშნული მაჩვენებლის მონაცემებში ჯობნიან თავის თანატოლ არასპორტსმენებს.

ამგვარად, ფიზიკური განვითარების შესასწავლი ინდექსების სიდიდე, რომლითაც ხასიათდება სხეულის აგებულება, სპორტით სისტემატიურად დაკავებულ ვაჟებში აღწევდა მაღალ დონეს არასპორტსმენებთან შედარებით.

გამოსაკვლევ ჯგუფებში ცვლილებები სხეულის მასის კომპონენტების განვითარებაში მიმდინარეობდნენ ერთი მიმართულებით, მაგრამ განსხვავდებოდნენ რაოდენობრივად. 12-დან 14 წლის ასაკამდე აქტიური კუნთოვანი და ძვლოვანი მასის ზრდის ტემპები მეტად ინტენსიური იყო სპორტსმენ ვაჟებში, ვიდრე არასპორტსმენებში, შემდეგ ეს ტემპები თანაბრდება, ან მეტად გამოიხატება მეორე ჯგუფში. ძვლოვანი მასის პროცენტული შემადგენლობა, კუნთოვანისაგან განსხვავებით, არ განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს, ხოლო 13-14 წლის ასაკიდან წარმოიქმნება ე. წ. ბუნებრივი პლატო. კუნთოვანი მასის ფარდობით სიდიდეს ჰქონდა ზრდის გამოხატული ტენდენცია გამოსაკვლევ პერიოდის ბოლომდე. ცხიმოვანი ქსოვილის ცვლილებები ხასიათდებოდა მისი აბსოლუტური მნიშვნელობების მცირე ზრდით და ფარდობითი მნიშვნელობების შემცირებით. ცხიმის პროცენტის შემცირება იწყებოდა ადრე და მიმდინარეობდა ინტენსიურად სპორტსმენ ვაჟებში. უპირატესობა, რომელიც გააჩნდათ აქტიური მოძრაობის რეჟიმის მქონე 11.5-12 წლის ვაჟებს აქტიური მასის, კუნთოვანი და ძვლოვანი ქსოვილის სიდიდეში, შენარჩუნებულია გამოკვლევების ბოლომდე. ცხიმოვანი მასისთვის ჯგუფებს შორის არ არის აღმოჩენილი სარწმუნო განსხვავებები.

ნორჩი სპორტსმენების უპირატესობა აქტიური ქსოვილების შემცველობაში, სავარაუდოდ იყო სპორტული შერჩევის შედეგი. სპორტსმენებში აქტიური მასის ზრდის შემდგომი მაღალი ტემპები, მართებული იქნება რომ მივაწეროთ სქესობრივი მომწიფების ტემპების ზრდას, ნორჩი სპორტსმენების ადრეულ შესვლას პუბერტატული ზრდის პერიოდში, რომლის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს ჩონჩხის და კუნთოვანი ქსოვილი ზრდის სიჩქარის მატება.

ამგვარად, პუბერტატულ პერიოდში ასაკობრივი განვითარების ბუნებრივი ტენდენცია მდგომარეობს აქტიური მასის წილის ზრდაში, ძირითადად კუნთოვანი ქსოვილის ხარჯზე ძვლოვანი ქსოვილის ფარდობითი მნიშვნელობების სტაბილიზაციაში და ცხიმოვანი ქსოვილის წილის შემცირებაში. ზომიერი მოცულობის სისტემატიური სპორტული ვარჯიში ასტიმულირებს და აჩქარებს სხეულის მასის კომპონენტების განვითარების ბუნებრივ ტენდენციას.

კან-ცხიმოვანი ნაკეცის სისქეს მუცელზე და ბეჭის ქვედა კუთხის ქვეშ ჰქონდა მდორე მატების ტენდენცია ჯგუფებში გამოკვლევის მთელი პერიოდის მანძილზე. ამ მაჩვენებლის სიდიდე მხარის უკანა ზედაპირზე 12-დან 14 წლის ასაკამდე მცირდებოდა როგორც სპორტსმენებში, ასევე არასპორტსმენებშიც. მნიშვნელოვანი განსხვავებები ჯგუფებს შორის ზემოთ ხსენებულ კან-ცხიმოვანი ნაკეცების სისქეში არ არის აღნიშნული. იმის გათვალისწინებით, რომ აქტიური მოძრაობის რეჟიმის მქონე ვაჟები სჯობნიდნენ არასპორტსმენ თანატოლებს სხეულის ტოტალურ ზომებში და მათი ზრდის ტემპებში, დასტურდება სპორტის გავლენით ორგანიზმში ცხიმოვანი ქსოვილის წილის შემცირებაზე.

მოძრაობის აქტიურობის სხვადასხვა რეჟიმის მქონე ვაჟების ფიზიკური შრომისუნარიანობის აბსოლუტური სიდიდე ჯგუფებში განუწყვეტლივ იზრდება დაკვირვების მთელი პერიოდის განმავლობაში. ნორჩი სპორტსმენების უპირატესობა ამ მაჩვენებლის სიდიდეში იზრდება 12-დან 15 წლის ასაკამდე, შემდეგ კი მცირდება არასპორტსმენთა ჯგუფებში ფიზიკური შრომისუნარიანობის მატების უფრო მაღალი ტემპების ხარჯზე. ფიზიკური შრომისუნარიანობის ფარდობითი სიდიდე, როგორც სპორტსმენებში, ასევე არასპორტსმენებში, 12-დან 16 წლამდე ასაკში მუდმივად იზრდება. ამ მაჩვენებლის აბსოლუტური მნიშვნელობებისაგან განსხვავებით, არ აღინიშნება მნიშვნელოვანი სხვაობა ჯგუფებს შორის მის ფარდობით მნიშვნელობებში. ფიზიკური შრომისუნარიანობის ზრდის ტემპები, რომლებიც გათვლილია სხეულის მასის 1 კგ-ზე, 12-დან 14 წლის ასაკამდე მაღალია სპორტით დაკავებულ ვაჟებში, შემდეგ კი ისინი მეტად გამოხატულია არასპორტსმენების ჯგუფში.

ასაკის მატებასთან ერთად უწყვეტად იზრდება სტატისტიკური წონასწორობის შენარჩუნების დრო სპორტსმენ და არასპორტსმენ ვაჟებში. ეს ზრდა 12-დან 16 წლის ასაკამდე ინტენსიურად მიმდინარეობს, როგორც პირველ, ასევე მეორე ჯგუფში. ასაკის მატებასთან ერთად სტატისტიკური წონასწორობის ფუნქციის უდავო გაუმჯობესება იხსნება მოძრაობის და ვესტიბულარული ანალიზატორების ურთიერთქმედების მზარდი სრულყოფით.

კუნთოვანი ძალის ასაკობრივ დინამიკაში გამოკვლეული პერიოდის მთელ მანძილზე აღინიშნება აბსოლუტური მაჩვენებლების დონის უწყვეტი ზრდა. ტანის ძალის მატებაში, აღინიშნება ნახტომისებური ზრდა 14,5 წლიდან 16,5 წლამდე არასპორტსმენებში და 13-დან 15 წლამდე სპორტსმენებში. სპორტსმენებს 13 წლის ასაკიდან გააჩნიათ უდავო უპირატესობა კუნთოვანი ძალის განვითარებაში. ხელის მტევნის აბსოლუტური ძალის ყოველწლიური მატების ინტენსივობის ამგვარი ზრდა ხორციელდება ადრეულ ასაკში, როგორც სპორტსმენებში ასევე არასპორტსმენებშიც. ასაკობრივი დინამიკის აღნიშნული თავისებურებების მექანიზმები, რომლებიც დაკავშირებულია სპორტულ მეცადინეობებთან, სავარაუდოდ განპირობებულია სქესობრივი მომწიფების აქსელერაციით. ტანის ძალის ფარდობითი სიდიდე განიცდის უდავო ზრდას 13,5-დან 16 წლამდე ასაკობრივ პერიოდში, რომელიც თანაბრად არის გამოხატული გამოსაკვლევთა ორივე ჯგუფში, რაც სავარაუდოდ დაკავშირებულია ცენტრალურ ნერვულ-რეგულატორული მექანიზმების ასაკობრივ გაუმჯობესებასთან.

მორფო-ფუნქციონალურ მაჩვენებლებს და სქესობრივი მომწიფების ჯამურ ქულას შორის ჩატარებულმა კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა დადებითი და არათანაბარი სიმჭიდროვის კავშირი 12-16 წლის ასაკის ვაჟებში. სქესობრივი მომწიფების დონე ავლენს, როგორც წესი, საშუალო კორელაციურ კავშირს კუნთოვანი ძალის ფარდობითი სიდიდესთან, ხელის მტევნის მომხრელი კუნთების ძალასთან, ფიზიკური შრომისუნარიანობის აბსოლუტურ სიდიდესთან. ფიზიკური მომზადების შედეგებისათვის აღინიშნება ნაკლებად გამოხატული დამოკიდებულება სქესობრივი მომწიფების ინდივიდუალურ ტემპებზე.

34-ე ცხრილში მოყვანილი მონაცემები მოძრაობის აქტივობის სხვადასხვა მოცულობის მქონე 12-16 წლის ასაკის მოზარდების ფიზიკური მომზადების შედეგების ასაკობრივ დინამიკას. გამოკვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ პირვანდელი უპირატესობა მოძრაობის თვისებების განვითარებაში ნორმ სპორტსმენებში ასაკთან ერთად არა მარტო ნარჩუნდებოდა, არამედ განუწყვეტლივ მატულობდა. მოძრაობის სისწრაფეში ჯგუფებს შორის განსხვავების შემცირება 16 წლის ასაკისათვის აიხსნება გენეტიკური განპირობებულობის დიდი წილით ამ თვისებების განვითარებაში და ვარჯიშების ზომიერი მოცულობით სპორტსმენ ვაჟებში.

მოძრაობის თვისებების განვითარებაში ეტაპების და პერიოდიზაციის შესასწავლად მოზარდების ფიზიკური მომზადების კვლევის შედეგები არიან დიფერენცირებულნი ფარდობითი ძვრის სიდიდის მიხედვით რამოდენიმე პერიოდზე. განვითარების ტემპების ანალიზისადმი ამგვარი მიდგომა შემოთავაზებული იყო ლ. პ. მატვევის მიერ და ფართოდ გამოიყენებოდა ა. ა. გუჟალოვსკის (101) ნაშრომში. წლიური პერიოდები განიხილებოდა პირობითად, როგორც სუბკრიტიკული. თუ ძვრის სიდიდე ამა თუ იმ მოძრაობის თვისებების განვითარებაში აღმოჩნდებოდა ათვლის პირობით ერთეულზე – 5 წლიან პერიოდში განვითარების საშუალო წლიურ ტემპებზე დაბალი იმ შემთხვევაში, როდესაც წლიური ძვრის სიდიდე აღემატებოდა ათვლის პირობით ერთეულს, განიხილებოდა განვითარების კრიტიკული პერიოდის ჰიპოთეზა. განვითარების პირობითი კრიტიკული პერიოდები თავის მხრივ იყოფოდა პერიოდებზე ზრდის ზომიერად მაღალი ტემპები (1,0-დან 1,5-მდე პირობითი ერთეული), ზრდის ტემპებით (1,51-დან 2,0-მდე) და ზრდის მაქსიმალურად მაღალი ტემპებით (2,0-ზე მეტი).

სხვადასხვა მოძრაობის თვისებების განვითარების მაქსიმალური ტემპების წლიური პერიოდები ხშირად არ თანხვდებიან დროში, რაც მოწმობს მათი ჰეტეროქრონული განვითარებაზე. რიგ შემთხვევებში აღინიშნებოდა განსხვავებები იმ თვისებების განვითარების ტემპებში სპორტსმენტა და არასპორტსმენტა ჯგუფებს შორის.

სპორტსმენი და არასპორტსმენი ვაჟების ფიზ. მომზადების შედეგები 12-16 წლის ასაკში (ქულები)

მომზადების ტესტები	ჯგუფი	სტატ. სიდიდე	ასაკი (წლები)				
			12	13	14	15	16
სირბილი 20 მეტრზე	1		8.8 1.1	8.9 1.0	10.0 0.7	10.5 0.8	11.11 0.7
	2	%	7.8 1.1 <1	8.3 1.2 >5	9.1 1.1 <0.1	10.1 1.2 >5	11.1 1.2 --
ადგილიდან სიგრძეში ხტომა	1		5.7 1.4	6.0 1.3	7.6 1.9	8.6 1.6	10.2 1.2
	2	%	4.8 1.2 <5	5.3 1.3 >5	6.6 1.3 >5	7.4 1.5 <5	8.8 1.4 <0.1
ღერძზე მიზიდვა	1		2.9 2.2	3.1 2.1	4.1 2.2	5.5 2.1	7.2 2.5
	2	%	2.0 1.8 <5	2.2 1.6 <5	3.0 1.6 <5	3.7 2.0 <1	4.9 2.3 <1
აზიდვები ორძელზე ბჯენიდან	1		2.0 2.3	2.0 2.5	2.2 2.5	3.1 2.4	5.2 2.3
	2	%	0.9 1.0 <5	1.0 1.1 <5	1.2 1.4 <5	1.7 1.4 <5	2.6 2.0 <0.1
ფეხების აზიდვა მართ კუთხემდე სატანვარჯიშო კედელზე დაკიდვით	1		3.4 3.4	3.6 3.5	3.6 3.3	4.3 2.6	5.5 2.8
		%	1.9 2.0 >5	2.0 1.8 >5	1.9 1.8 >5	2.4 2.2 <5	3.5 2.5 <5

20 მეტრზე სირბილის შედეგების ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება 13-14 წლის ასაკის სპორტსმენებში, ხოლო 15-დან 16 წლამდე ეს ტემპები ზომიერად მაღალია გამოსაცდელთა პირველ და მეორე ჯგუფებში.

ადგილიდან სიგრძეზე ხტომის შედეგებში შეინიშნება ორი პერიოდი, რომლებიც ჯგუფებში დროში ემთხვევა ზრდის ზომიერად მაღალ ტემპებს: 13-დან 14 წლამდე და 15-დან 16 წლის ასაკამდე.

სხეულის გამშლელი კუნთების ძალა ხასიათდება ზრდის ზომიერად მაღალი ტემპებით სპორტსმენებში 13-დან 14 წლამდე, ხოლო ვაჟების ორ ჯგუფში ერთდროულად – 15-დან 16 წლის ასაკამდე. ზრდის მაღალი ტემპები, როგორც სპორტსმენებში, ასევე არასპორტსმენებშიც, აღინიშნება 14-დან 15 წლის ასაკამდე.

ხელის მტევნის დინამომეტრიის შედეგები ზომიერად მაღალი ტემპით მატულობს სპორტსმენ მოზარდებში (დინამიური) ამტანობის ვარჯიშებში შედეგების მნიშვნელოვანი ზრდა ჯგუფებში აღინიშნება 14 წლის ასაკიდან. ნორჩ სპორტსმენებში ღერძზე მიზიდვის შედეგების ზრდის ტემპები შეფასებულია, როგორც ზომიერად მაღალი 14-დან 15 წლამდე და როგორც მაღალი ერთდროულად ორ ჯგუფში – 15-დან 16 წლამდე. ორძელზე ბჯენიდან აზიდვები და სატანვარჯიშო კედელზე ფეხების მართ კუთხემდე აზიდვებში შედეგების ზრდის ზომიერად მაღალი ტემპები დაფიქსირებულია ჯგუფებში 14-დან 15 წლამდე, ხოლო 15-დან 16 წლამდე ეს ტემპები მაღალია, იმ შედეგების ზრდის გარდა, რომლებიც არ არიან დაკავებული სპორტით ბოლოს დასახელებულ ვარჯიშში.

სხეულის სტატიკური წონასწორობის ფუნქციაში ზრდის ზომიერად მაღალი ტემპების პერიოდების ზონა ნორჩ სპორტსმენებში ვლინდება უფრო ადრე, ვიდრე მათ თანატოლ არასპორტსმენებში და ემთხვევა შემდეგ ასაკობრივ ინტერვალებს; 12-დან 14 წლამდე და 15-დან 16

წლამდე. არასპორტსმენების ჯგუფში ზემოთხსენებული ზრდის ტემპები შეინიშნებოდა 14-დან 16 წლის ასაკამდე.

ამრიგად, სპორტსმენი და არასპორტსმენი ვაჟების ხუთწლიანი კვლევები გვაძლევს საშუალებას ობიექტურად ვიმსჯელოთ მოზარდობის პერიოდის განმავლობაში ფიზიკური მომზადების და განვითარების მაჩვენებლების დინამიკაში ასაკობრივ თავისებურებებზე ზომიერი მოცულობის (6-10 საათი კვირაში) სპორტული მეცადინეობების გავლენის ხარისხზე.

ლიტერატურა:

მატვევეი ლ., სპორტული წვრთნის საფუძვლები, თბილისი, „განათლება“, 1987, გვ. 267.

ძაგანია ჯ., სპორტულ თამაშებში მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენების სპორტულ-პედაგოგიური საფუძვლები, თბილისი, საზოგადოება „ცოდნა“, 1998.

Гужаловский А.А. Этапность развития физических (двигательных) качеств и проблема оптимизации физической подготовки детей школьного возраста: докт. пед. наук. Минск, Челиабинск, 1979, стр. 285.

Lali Azmaiparashvili

Iakob Gogebashvili Telavi State University

ATHLETE AND NONATHLETE TEENAGERS' PHYSICAL DEVELOPMENT AND PHYSICAL TRAINING RESEARCH RESUME

It is necessary to be forseen during students' physical and sexual mature their firmness, their period of training as sports clubs their level of physical readiness at physical training lessons at state schools.

Physical loading for teenagers who are follon into divisions, should be time-limited.

ნაზიკო ბერიკაშვილი

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდის საჯარო სკოლა

ინტერკულტურული განათლება სკოლებში

თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის გაზრდილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ინტერკულტურული განათლების გარეშე, მასწავლებლის საქმიანობა პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

მასწავლებელმა აუცილებლად უნდა იცოდეს მულტიკულტურული განათლების კონცეფციები, პრინციპები, თეორია და პრაქტიკა. მან ასევე უნდა განსაზღვროს საკუთარი რასობრივი და ეთნიკური დამოკიდებულებები და შეიძინოს ისეთი პედაგოგიური ცოდნა და უნარები, რომლებიც სხვადასხვა რასის, ეთნოსის, კულტურის, სქესის, სოციალური კლასისა და რელიგიის მოსწავლეებთან ეფექტური მუშაობის საშუალებას მისცემს.

აღსანიშნავია, რომ ტერმინებს შორის „ინტერკულტურული განათლება“ და „მულტიკულტურული განათლება“ მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ეს ორი ტერმინი ხშირად ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, თუმცა, თანამედროვე განათლების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მათ მკვეთრად მიჯნავენ. ერთ-ერთი ყველაზე მარტივი და მკაფიო განსაზღვრება ამ ორი ტერმინისა ეკუთვნის კამილერის (1992), რომელიც აღნიშნავს, რომ „მულტიკულტურული“ არის აღწერითი ტერმინი, რომელიც უბრალოდ აფიქსირებს *პლურალიზმის* არსებობას და სხვადასხვა კულტურის მატარებელი ხალხის ფაქტობრივ თანაცხოვრებას, ხოლო ტერმინი „ინტერკულტურული“ ასახავს არსებულ *ინტერაქციას* (გაცვლა-გამოცვლა) განსხვავებული კულტურის მქონე ხალხებს შორის.

„მულტიკულტურული განათლება“ ემსახურება სწავლებას სხვადასხვა კულტურის შესახებ, რათა მიღწეულ იქნეს „მიმდებლობა“ ან, სულ მცირე „ტოლერანტობა“ განსხვავებული კულტურების მიმართ.

ხოლო „ინტერკულტურული განათლება“ სცილდება სხვადასხვა კულტურათა პასიური თანაცხოვრების მიღწევის ამოცანას და მიზნად ისახავს, შექმნას მდგრადი წინაპირობა, რომ მულტიკულტურული საზოგადოების თანაცხოვრება დაეფუძნოს ურთიერთგაგების, პატივისცემისა და დიალოგის პრინციპებს.

მულტიკულტურული განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი ჯეიმს ბენკსი თავის ნაშრომში: „შესავალი მულტიკულტურულ განათლებაში“ განმარტავს: „ეს არის იდეა, კონცეფცია, საგანმანათლებლო რეფორმა და პროცესი“. მულტიკულტურული განათლების იდეა ის არის, რომ ყველა მოსწავლეს, განურჩევლად სქესისა, სქესობრივი ორიენტაციისა, სოციალური კლასისა და ეთნიკური, რასობრივი, ან კულტურული მახასიათებლისა, სკოლაში სწავლის თანასწორი უფლება უნდა ჰქონდეს.

ასეთი განათლების შესწავლის საგანია, რა გავლენას ახდენს რასა, ეთნოსი, კლასი, სქესი, რელიგია, ენა მოსწავლის სწავლასა და ქცევაზე, ის ამ ფაქტორებზე ეფექტური ზემოქმედების გზებსაც სწავლობს.

მიუხედავად იმისა, რომ მულტიკულტურული განათლება ჯერ კიდევ არ არის მრავალი სკოლის, კოლეჯისა თუ უნივერსიტეტის კურიკულუმის არსებითი ნაწილი, მნიშვნელოვნად მაინც ვითარდება. ეროვნული და საერთაშორისო კონფერენციების, მასწავლებელთა გადამზადების კურსების რაოდენობა მულტიკულტურული განათლების წარმატებისა და მზარდი მნიშვნელობის მაჩვენებელია. ის სულ უფრო დახვეწილი ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, ჩინეთსა და კორეაში, სადაც ეთნიკური სტრუქტურა სულ უფრო ღრმავდება.

იცვლება მოქალაქეობის განმარტება ასეთ საზოგადოებაში: დემოკრატიული მულტიკულტურული ქვეყნის მოქალაქე ისეთი ყოვლისმომცველი იდეალების მომხრეა, როგორიცაა სამართლიანობა და თანასწორობა, პასუხისმგებელია ამ იდეალების შენარჩუნებასა და დაცვაზე, თანახმაა და მზად არის იმოქმედოს ამ იდეალების შებღაღვის შემთხვევაში (ბენკსი, 2004), ამიტომ სამოქალაქო განათლების მნიშვნელოვანი ამოცანაა, დაეხმაროს მოსწავლეებს შეიძინონ ის ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები, რომლებიც საჭიროა გააზრებული გადაწყვეტილებების მისაღებად და აქტიური მოქმედებისათვის, რათა საკუთარი ქვეყანა კიდევ უფრო დემოკრატიული და სამართლიანი გახადონ (ბენკსი, 2004).

დემოკრატიული მულტიკულტურული საზოგადოება ხასიათდება სამოქალაქო თანასწორობით, ტოლერანტობითა და აღიარებით (გუტმენი, 2004). მოქალაქედ ჩამოყალიბება პროცესია და მასში განათლებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მოსწავლეებმა მოქალაქეობის პრაქტიკა სკოლაშივე უნდა გაიარონ და მიიღონ განათლება დემოკრატიული ინსტიტუტების შესახებ. სათანადოდ წარმართული სამოქალაქო განათლების საფუძველზე მოსწავლეს კულტურულ, ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ იდენტობებს შორის წონასწორობა უნდა ჩამოუყალიბდეს.

გამოიყოფა ცოდნის 5 კატეგორია:

1. პერსონალური/კულტურული ცოდნა; 2. პოპულარული ცოდნა; 3. ძირითადი აკადემიური ცოდნა; 4. ტრანსფორმაციული აკადემიური ცოდნა და 5. პედაგოგიური ცოდნა.

ტრანსფორმაციული კურიკულუმის მთავარი მიზანია მოსწავლეების ცოდნა, ზრუნვა და ქმედება, რომელთა ურთიერთკავშირითაც მასწავლებლები შეძლებენ გლობალური საზოგადოებისათვის მოსწავლეთა მომზადებას.

ბენკსს აღწერილი აქვს ის ცოდნა, რომელიც წარმატებულ მულტიკულტურულ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს:

1. *შინაარსის ინტეგრაცია*, რაც ნიშნავს იმას, თუ რამდენად და რა ხარისხით იყენებს მასწავლებელი სწავლების დროს მაგალითებს სხვადასხვა კულტურებიდან;

2. *ცოდნის აგების პროცესი* - მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს გაიგონ, გამოიკვლიონ და განსაზღვრონ, თუ რა გავლენას ახდენს საგნის დისციპლინის ფარგლებში არსებული კულტურული ვარაუდები, მინიშნებათა ჩარჩოები, პერსპექტივები, წინასწარი შეხედულებები კონსტრუირების გზებზე.

3. *ცრურწმენის შემცირება* - განზომილება ფოკუსირებულია მოსწავლეთა ეთნიკური ურთიერთობების მახასიათებლებზე, როგორ შეიძლება შეიცვალოს ისინი სწავლების მეთოდებისა და სასწავლო მასალების გამოყენების საშუალებით.

4. *თანასწორობის პედაგოგიკა* - როცა მასწავლებლები ცვლიან თავიანთი სწავლების სტილს ისეთი ახალი საშუალებების გამოყენებით, რომლებიც ხელს უწყობენ სხვადასხვა ეთნიკური, გენდერული და სოციალური კუთვნილების მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესებას.

5. *სკოლის კულტურის ამაღლება* - სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა, მიღწევებში ბალანსის დაცვა. განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებს მიკუთვნებული მოსწავლეების ურთიერთობის პოზიტიური მაგალითები მიჩნეულ უნდა იქნას სკოლის კულტურის შექმნის ეფექტურ საშუალებად, რაც თანაბარუფლებიანს გახდის განსხვავებული ეთნიკური და გენდერული იდენტობის მქონე მოსწავლეებს.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ოთხდონიან ვერსიაში კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინება და უსაფრთხო გარემოს შექმნა სხვადასხვა კულტურის მოსწავლეებისათვის ყველა საფეხურის მასწავლებელს მოეთხოვება.

მუხლი 6. პუნქტი 1.

მასწავლებელი ქმნის უსაფრთხო გარემოს სხვადასხვა კულტურის მოსწავლეებისათვის;

მუხლი 12. პუნქტი 1.

იყენებს მოსწავლეთა კულტურულ მრავალფეროვნებას დადებითი სასწავლო გარემოს შესაქმნელად;

მუხლი 13. (5) პუნქტი 1.

მასწავლებელი იკვლევს კულტურული თავისებურებების გავლენას მოსწავლეთა ღირებულებების ფორმირებაზე; შეიმუშავებს რეკომენდაციებს პოზიტიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად.

მუხლი 13. (11) პუნქტი 1.

მასწავლებელი არის სკოლასა და სასკოლო თემში ინტერკულტურული სასკოლო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშემწყობი საქმიანობების, სკოლაში ქცევის მართვასთან დაკავშირებული კვლევების ინიციატორი; კვლევის შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლაში პოზიტიური გარემოს დასამკვიდრებლად (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, 2014).

იმის მიუხედავად, არის თუ არა კლასში სხვა ეთნიკური წარმომავლობის მოსწავლე, თითოეული მასწავლებლის მოვალეობაა, ამკვიდრებდეს მრავალფეროვნების მიმართ ტოლერანტულ დამოკიდებულებას, იგი უნდა აცნობიერებდეს, რომ მრავალფეროვნება სასარგებლოა როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობის კულტურული ჯგუფის მოსწავლეთათვის. მრავალფეროვნება „ამდიდრებს“ სასწავლო გარემოს. ამ დროს მოსწავლეს უვითარდება:

ა) მრავალმხრივი ხედვა;

ბ) კონფლიქტის თავიდან არიდების უნარი;

გ) საერთო ღირებულებების მიმართ პატივისცემა.

ვინ იცის, იქნებ ჩვენს ტერიტორიაზე არსებული გაყინული კონფლიქტების მოგვარების გზა სწორედ ინტერკულტურული განათლების კომპონენტის გაძლიერებაზე გადის.

სამწუხაროდ, რეალობაში გვხვდება ფაქტები, რომლებიც მეტყველებენ იმაზე, რომ ყველა პედაგოგს არა აქვს გაცნობიერებული საკუთარი როლი კულტურული მრავალფეროვნების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში.

განსხვავებულობა ხშირი დისკუსიის საგანია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება რელიგიასა და მის მიმართებას კულტურასთან. იმ განსაკუთრებით მგრძნობიარე დამოკიდებულებებიდან გამომდინარე, რომელიც ადამიანებს რელიგიის მიმართ აქვთ, აუცილებელია, რომ ინტერკულტურული განათლება მყარად დაეფუძნოს ეთიკის ნორმებს.

განათლება, რომელიც არ უკავშირდება ან აცდენილია ეთიკის პრინციპებს, წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ პრაგმატულ განათლებას, რომელიც ყოველთვის მოითხოვს უფრო მეტად მშრალ წესებს და მათ იძულებით მორჩილებას, ვიდრე ინტერესსა და აზროვნებას. თუ სამოქალაქო საზოგადოება არ ცდილობს ეთიკის პრინციპების აღიარებას, ეს ნიშნავს, რომ მისი რწმენა არაა სრულყოფილი, რაც ადვილად ქმნის კონფლიქტის წინაპირობას.

რელიგიური სხვაობების განათლება საჭიროებს რელიგიის გააზრებას, არა მხოლოდ როგორც ერთგვაროვანი რწმენის სისტემისას. ტრადიციებსა და ჯგუფებს შორის ურთიერთკავშირის კონტექსტის გათვალისწინებით, მასწავლებელმა უნდა შესთავაზოს მოსწავლეს ანალიზისა და აზროვნების კომპეტენცია, მისსავე რწმენასა და ღირებულებებზე დაფუძნებული, რათა შეძლოს კრიტიკული რეფლექსიის უნარის გამომუშავება.

მასწავლებელი, რომელიც თვითონ არ არის თავისუფალი დისკრიმინაციისა და ქსენოფობიისაგან (უცხოურისა და უცხოელებისადმი სიძულვილი), ვერ შეძლებს მოსწავლეებში ინტერკულტურული შეხედულებების დანერგვას.

გარკვეულწილად ენა კულტურის ერთ-ერთი გამოხატულებაა. კომუნიკაცია წარმოადგენს სოციალურ და კულტურულ დინამიკას იმდენად, რამდენადაც ნიშნები, ვერბალური თუ არავერბალური, კულტურულ კუთვნილებაზე მიუთითებენ. მულტიკულტურულ კონტექსტში ბავშვისათვის ახალი ენის შესწავლა (რომელ კულტურულ გარემოშიც უხდება ცხოვრება) არამარტო ენის, არამედ კულტურის გაგებას ნიშნავს. რეალურად ორი ენისა და ორი კულტურის გადაკვეთის წერტილში აღმოჩნდება.

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ძირითად მაჩვენებელს სწორედ სახელმწიფო ენა წარმოადგენს და მისი ცოდნა სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი საშუალებაა. აუცილებელია, რომ სახელმწიფო ენის პროპაგანდასა და მისი გავრცელებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს ახლდეს უმცირესობათა ენების

უფლებების აღიარებაც, რათა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებმა იგრძნონ, რომ დაუბრკოლებლად აქვთ საკუთარი ღირებულებების დაცვის საშუალება.

სახელმწიფო ენის სწავლების საკითხში წამყვანი როლო, ბუნებრივია, სკოლას ენიჭება. კვლევებმა აჩვენა, რომ ენების სწავლების გრამატიკისა და ლექსიკის დაზეპირებაზე დაფუძნებული ძველი მეთოდები საკმარისი არ არის და, რომ ინტერკულტურულ გარემოში ბავშვები ენას უკეთესად სწავლობენ ინტერაქტიული მეთოდებით, როცა კი არ იზეპირებენ, არამედ უშუალოდ იყენებენ ენას. სწორედ იმიტომ გაჩნდა აუცილებლობა ბილინგვური (ორენოვანი) თუ მულტიბილინგვური (მრავალენოვანი) განათლების დანერგვისა.

ლიტერატურა:

1. ინტერკულტურული განათლება; შ. ტაბატაძე, ნ. ნაცვლიშვილი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბ., 2008.
2. განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის; ნაწილი I, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბ., 2007.
3. გ. რამიშვილი. დედაენის თეორია, დედაენა, მისი ფუნქციები და მისი სწავლება, თბ., 2000.
4. პადრაიგ ორიაგენი, ჯორჯ ლიუდი, ბილინგვური განათლება, ძირითადი სტრატეგიული ამოცანები; თბ., 2008.
5. ჯეიმს ბენკსი. „შესავალი მულტიკულტურულ განათლებაში“, 2004; 2011.

Naziko Berikashvili
Gori municipality Public School of Village Tiniskhidi
INTERCULTURAL EDUCATION IN SCHOOLS
RESUME

In the article is discussed important differences between intercultural and multicultural education, their roles during bringing up children from different ethnics, what foreign professors advice us, what are teachers asked to do according professional standards.

Multicultural education still does not exists in school syllabuses. It is important to increase teachers knowledge about intercultural education by giving them different courses and become it as good as it is in America, China or in Korea.

Each teacher should take into consideration his/her role and realize its importance in increasing tolerance toward cultural diversity.

National language is most important indicator during civil integration and knowing language is one of the best chance to integrate into civil society.

თენგიზ კაციტაძე
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილის შეხედულება სასკოლო ფიზიკური აღზრდის შესახებ და დღევანდელობა

ქართული პედაგოგიური აზროვნების კლასიკოსი, გამოჩენილი საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი აღზრდის სხვა მხარეებთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფიზიკურ აღზრდას. ამასთან მას მიაჩნდა, რომ ასეთი აღზრდა უნდა მიკუთვნებოდა კლასგარეშე დროს.

ფიზიკური აღზრდის მიმართ იაკობის დამოკიდებულების შესახებ სრული წარმოდგენის მისაღებად აუცილებელია პირველ რიგში იმ სასკოლო დოკუმენტების შესწავლა, რომლებიც თვით

იაკობს შეუდგენია სასწავლო გეგმის სახით, წარუდგენია მოხსენებად ამა თუ იმ სკოლის სასწავლო გეგმის, მუშაობის ანგარიშისა და სხვა მასალების შესწავლის ანალიზის საფუძველზე.

იაკობმა ჯერ კიდევ 1871 წელს შეადგინა თბილისის სასულიერო სასწავლებლის გარდაქმნის პროექტი. ამ დროს ის თვით ამ სასწავლებლის ზედამხედველის მოვალეობას ასრულებდა.

იაკობს, როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრს, რამდენჯერმე მოუხდა მოხსენების წარდგენა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის, აგრეთვე სხვა სკოლების მუშაობის შესწავლასთან დაკავშირებით. ამ მოხსენებებში იგი მეტად საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს სასკოლო ფიზიკური აღზრდის შესახებაც. ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ანგარიშთან დაკავშირებით ის 1882 წელს წერდა: „მესამე ნაკლოვანება გაკვეთილების განაწილებაში იპოვება. გიმნასტიკას კვირაში ორი გაკვეთილი უჭირავს ყოველ განყოფილებაში და სხვა საგნებთან დილით ასწავლიან. უკეთესი იქნებოდა, რომ გიმნასტიკა ყველა მოწაფეებისათვის ან კლასების გათავების შემდეგ ესწავლებინათ, ან ხანგრძლივი დასვენების დროსა მესამე და მეოთხე გაკვეთილის შუა, როდესაც მოწაფეებმა შეიძლება 40 მინუტით შეისვენონ. მაშინ გიმნასტიკის გაკვეთილები სხვა საგნებს შეემატება“ ის კატეგორიულად მოითხოვდა ქართული ენის სწავლებას კიდევ უფრო მეტი დრო დათმობოდა. (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი ტ.9 თბ. 1962 წ. გვ. 187 ი. იოვამძე)

მართალია ი. გოგებაშვილს სურდა ამით მიღებული თავისუფალი გაკვეთილები დამატებოდა ქართულ ენას, წერა-ხაზვას და რუსულ ენას, მაგრამ მსგავსი ღონისძიებების გატარება ალბათ სწორი არ იქნებოდა, რადგან შეუძლებელი იყო დიდი დასვენების ტანვარჯიშს მთლიანად და სრულფასოვნად შეეცვალა ტანვარჯიშის გაკვეთილები.

იაკობის თვალსაზრისით ნათელი არ არის, როგორი უნდა ყოფილიყო 40 წუთში ჩატარებული ტანვარჯიში, ცხადია, რომ იგი ტანვარჯიშს მოითხოვდა „ყველა მოწაფეებისათვის“.

ხანგრძლივი დასვენების ტანვარჯიში მესამე და მეოთხე გაკვეთილებს შუა იმ დროს კარგად იყო ცნობილი. ჯერ იყო და მას მიმართავდნენ 1874 წელს ახლად გახსნილ თბილისისა და ქუთაისის პროგიმნაზიებში, იგი სავალდებულოდ იყო გამოცხადებული სახალხო განათლების მინისტრის 1876 წლის 11 დეკემბრის ცირკულარული წერილით.

რაც შეეხება ქუთაისის სააზნაურო სკოლის ტანვარჯიშს, ეს ტანვარჯიში უთუოდ შემოღებული უნდა ყოფილიყო თვით სკოლის ინიციატივით; მას რომ რაიმე ოფიციალური და თანაც სავალდებულო ხასიათი ჰქონოდა, იაკობი თავის მოხსენებით ბარათში ვეღარ იტყოდა „უკეთესი იქნებოდაო“.

1886 წლის 21 იანვარს ი. გოგებაშვილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მოხსენებას უდგენს ქუთაისის სააზნაურო სკოლის პროგრამის შესახებ. მას ეს პროგრამები ადრე უკვე განუხილავს და სკოლის ინსპექტორ ჭიჭინაძესათვის შენიშვნები უცნობებია. ჭიჭინაძეს ახალ პროგრამებში შენიშვნები გაუთვალისწინებია. იაკობი ხელახლა განიხილავს მათ, ლაპარაკობს ცალკეულ საგნებზე, მაგრამ ტანვარჯიშს და ფიზიკურ აღზრდას არ მოიხსენიებს (ა. იოვამძე, დასახელებული წიგნი, გვ. 71-72)

1887 წლის 27 მარტით დათარიღებულ ერთ-ერთ მოხსენებაში იაკობს განხილული და გარჩეული აქვს „განაჩენი ქუთაისის სააზნაურო სკოლის პედაგოგიური რჩევისა ყოველდღიური გაკვეთილების განაწილებითურთ“. ი. გოგებაშვილი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას გაკვეთილების განაწილებაზე და მოითხოვს ცვლილებას სასწავლო გეგმაში. იგი წერს: „გაკვეთილების განაწილებას შესწორება ეჭირვება; მაგალითად გიმნასტიკას საგნების გაკვეთილებზე თურმე ასწავლიან და ხან თურმე პირველს გაკვეთილსაც უთმობენ, ამავე დროს ქართულის წერისათვის მხოლოდ თითო გაკვეთილია კვირაში დანიშნული მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილებაში, რაც საკმარისი არ არის და რის გამოც ქართული წერა, როგორც ჩემი თვალთ დავრწმუნდი წარსულს შემოდგომაზე ძლიერ კოჭლობს ქუთაისის სააზნაურო სკოლაში. უნდა ეცნობოს ინსპექტორს, რომ გიმნასტიკის სწავლება გაკვეთილებზედ უთუოთ მოსპობილ იქმნას, ქართულის წერისათვის დაიდოს არა ნაკლებ ორი გაკვეთილისა ყოველს განყოფილებაში“.

ამრიგად, იაკობი კატეგორიულად წინააღმდეგია „გიმნასტიკის“ გაკვეთილის, მითუმეტეს, პირველ გაკვეთილად მისი დატოვებისა.

იაკობმა ჯერ კიდევ 1882 წელს, როდესაც გიმნასტიკას კვირაში ორ-ორი გაკვეთილი ეჭირა მოითხოვა ამ საგნის გაკვეთილების ცხრილიდან საერთოდ ამოღება და მისი კლასგარეშე დროში გადატანა, იაკობის ეს მოთხოვნა გათვალისწინებულ იქნა და ორ-ორის ნაცვლად ახლა მხოლოდ თითო გაკვეთილი იყო გათვალისწინებული. მან ეს მცირე დათმობად მიიჩნია და კიდევ ერთხელ მოითხოვა ამ საგნის გაკვეთილების ცხრილიდან საერთოდ ამოღება და მისი კლასგარეშე დროში გადატანა.

იაკობის 1887 წლის 27 მარტის მოხსენებაში ქუთაისის სააზნაურო სკოლის განჩინების წინ, განხილული აქვს „ძველი სენაკის სააზნაურო სკოლის“ წლიური ანგარიშიც, იგი წერს: „განაწილება გაკვეთილებისა საგნებს შორის და მათი რაოდენობა საჭიროა შეიცვალოს.... პირველს

განყოფილებაში მომეტებული გაკვეთილები იყოს დანიშნული ქართული ენის და წერისათვის, ვიდრე ქუთაისის და თბილისის სააზნაურო სასწავლებლებშია დანიშნული. ჩვენ სხვა საგნებს ვერ მოვაკლებთ გაკვეთილებს, რადგან ახლანდელი რიცხვი გაკვეთილებისა ძლივ-ძლივობით საკმარისია ამ საგნების შესწავლისათვის. თუ მასწავლებელი ყოველს გაკვეთილზედ შეღავათს და დასვენებას მისცემს ბავშვებსა გიმნასტიურის ვარჯიშებით და ლექსების სიმღერით, მაშინ ბავშვებისათვის დღეში ოთხი გაკვეთილი სამძიმო არ იქნება, მით უმეტეს, რომ სკოლაში შედიან მოზრდილი ბავშვები 8-9 წლისანი. შემდეგს განყოფილებებშიაც უნდა იმატოს ქართული ენის და ქართულის წერის გაკვეთილების რიცხვმა. მე ამ მოხსენებასთან ვადგენ გაკვეთილების განაწილებას საგანთა შორის, და თუ ეს განაწილება იქნება მიღებული და დამტკიცებული მართველობის მხრივ, იგი უნდა იქმნას გაგზავნილი დაუყოვნებლივ ახალ-სენაკის სკოლაში სახელმძღვანელოდ“ (თხზულებანი ტ. 9 გვ. 214)

იაკობის მოხსენებითი ბარათის ამონაწერით ირკვევა, თუ როგორი ტანვარჯიშის მომხრეა აქ იგი. შემთხვევით არ არის, რომ იაკობი ამის მეტს არაფერს მიუთითებს ამ სკოლაში ტანვარჯიშის სწავლების თაობაზე და ფიზიკური აღზრდის არსებულ მდგომარეობაზე, მაგრამ რაკი საჭიროდ მიიჩნევს საგანგებო ღონისძიების მიღებას, ჩანს არსებული ვითარებით კმაყოფილი არ არის. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, თანახმად ინსპექტორის მიერ წარმოდგენილი სენაკის სკოლის ანგარიშისა, ის დასძენს, რომ „სკოლის გამგებელი სამსონ ყიფიანი ასწავლიდა IV -ში ქართულს და სამშობლოს აღწერას, (III-ში და IV-ში საღმრთო სჯულს - სრულიად 14 გაკვეთილი ჰქონდა), ამას გარდა (როცა დარი იყო) უსასყიდლოდ ასწავლიდა გიმნასტიკას“. სხვა საგნებს ცუდი დარი ვერ აფერხებს, გიმნასტიკას აფერხებს და ცხადია, ამინდის ხასიათთან ერთად, დამოკიდებული იყო თვით მისი ჩამატარებლის ხასიათსა და განწყობილებაზეც. გიმნასტიკა აქ გერია, სხვისი შვილია, მას არავითარი არსებითი უფლება არ გააჩნია, რადგან ის ხშირ შემთხვევაში ტარდებოდა დასვენებებზე და უფრო ხშირად დიდ დასვენებებზე.

1887 წლის მარტის თვეში იაკობის მიერ შედგენილია ცხრილი ყოველკვირეულის გაკვეთილების საგანთა შორის ძველი სენაკის სააზნაურო სკოლისათვის, სადაც შეტანილია: ქართული ენა, ქართული წერა, საღმრთო სჯული, არითმეტიკა, რუსული ენა, რუსული წერა, თვალსაჩინო სწავლა, სამშობლოს აღწერა, გალობა, ხატვა-ხაზვა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ცხრილში და ამავე დროს, სასწავლო გეგმაშიც გაკვეთილებს შორის ტანვარჯიშისათვის ადგილი არ დარჩა. ცხადია, ი. გოგებაშვილმა იგი გადაიტანა და მთლიანად მიანდო „დარის“ დროს, ალბათ დიდ დასვენებაზე „უსასყიდლოდ“ ჩატარებულ ტანვარჯიშულ მეცადინეობებს. ასეთი ტანვარჯიში ფიზიკური აღზრდის მხოლოდ დამატებით საშუალებას წარმოადგენს და ის ვერასოდეს შეცვლიდა ფიზიკური აღზრდის ნორმალურ გაკვეთილს. სინამდვილეში სკოლა რჩებოდა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ მოწაფეები ხშირად ავადმყოფობენ.

ი. გოგებაშვილის დამოკიდებულება სასკოლო ფიზიკური აღზრდის მიმართ, რა თქმა უნდა დადებითია, მაგრამ ამ საგნისათვის ვერ იმეტებს სასწავლო დროს, მას ისეთი დიდი შემოქმედება გააჩნია, რომ ეს დამახასიათებელი და თავისებური დამოკიდებულება სასკოლო ფიზიკური აღზრდისადმი მის მოძღვრებას აღზრდის შესახებ, ჩრდილს ვერ აყენებს.

მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას იაკობმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა რუსულად დაწერილ ვრცელ წერილში „თბილისის სასულიერო სემინარიის მდგომარეობის საკითხისათვის“ გოგებაშვილის თხზულება II ტომში. ის თავის დროზე გაეგზავნა უწმინდესი სინოდის ობერპროკურორს, რეაქციონერ პოპედონოსცევს. ამ წერილში იაკობი თვლის, რომ სემინარიის პანსიონში მოსწავლეთა დისციპლინის დამყარებისა და ცხოვრების დალაგებისათვის ერთ-ერთი ხელშემწყობი მოვლენა იქნება მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მოგვარება.

ამრიგად, იაკობი ერთგული რჩება მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა, რომელსაც შემდგომ დიდი გამაჯანსაღებელი საქმის კეთება შეეძლო ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში.

თუ შევადარებთ მე-19 საუკუნის იაკობის დროინდელ სკოლებში არსებულ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ჩატარების მდგომარეობას დღევანდელობას, ალბათ იაკობი მართალი იყო იმ დროისათვის, რომ მოითხოვდა მისი გაკვეთილების ცხრილიდან კლასგარეშე დროს გარეთ გამოტანას. თუ ასეთი დამოკიდებულებით გაგრძელდება ჩვენს სკოლებში ფიზიკური აღზრდის სწავლება, მაშინ უმჯობესია გავიზიაროთ იმ დიდებული მამულიშვილის იაკობის აზრი, ფიზიკური აღზრდის სასწავლო ცხრილიდან გარეთ გამოტანის შესახებ (ეს უკვე დარგის სპეციალისტთა მსჯელობის საგანია) რადგან დღეს ჩვენი სკოლების დიდ უმრავლესობაში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილის ჩატარება ფორმალურ ხასიათს ატარებს. გასათვალისწინებელია ის მდგომარეობა, რომელიც ჩვენს სკოლებში არსებობს, როდესაც ესოდენ ჭირს ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ჩატარება, ხშირია შემთხვევები მოსწავლეები გაკვეთილებზე სპორტული ფორმის გარეშე ცხადდებიან, სპორტული ფორმის გარეშე ჩატარებულ გაკვეთილებს რომ ეფექტი დაკარგული აქვს, ეს ყველასათვის კარგად არის ცნობილი.

მოსწავლეთა ჯანმრთელობის განმტკიცება, პიროვნების ჰარმონიული განვითარება, ახალგაზრდობის მომზადება შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის ამდღებს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მნიშვნელობას, მათი ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვის აუცილებლობას, საქმე ისე უნდა წარმართოთ, რომ ყველა ადამიანმა ახალგაზრდობიდანვე იზრუნოს თავისი ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ფიზიკური სრულყოფისათვის, დაეუფლოს ცოდნას ჰიგიენისა და სამედიცინო დახმარების სფეროში, სისტემატიურად ეწეოდეს ჯანსაღი ცხოვრების წესს.

რა მდგომარეობაა დღეს საჯარო სკოლებში?

საქართველოს მთელ რიგ სკოლებში ჯერ კიდევ არ არის დამყარებული სათანადო წესრიგი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროგრამის შესრულების მიზნით, მრავალგვარ შეინიშნება ზერელობა და ფორმალიზმი.

დროის მოთხოვნათა შესაბამისად, ტექნიკური პროგრამის მძლავრ შემოტევას ვერ უწევს კონკურენციას სპორტული ბაზების სიმცირე სკოლებში. ყოველივე ამან განაპირობა ბავშვთა მასობრივი უმოძრაობა. ეს თავის მხრივ, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა ჯანმრთელობას. დღეს სკოლის მთავარი დანიშნულებაა ბავშვის რეჟიმის გარდაქმნა და მეტი მოძრაობითი დატვირთვა. ამ მიზნით, სკოლაში ფიზიკური აღზრდის სრულყოფის, ანუ საგნის სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის სკოლის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს: სკოლაში ფიზიკულტურულ-სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის წარმართვა საქართველოს განათლების სამინისტროს რეკომენდაციების მოთხოვნათა დონეზე. უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, უმრავლეს სკოლებში სათანადო ყურადღება არ ეთმობა თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, მრავალგამტარიანი ნაგებობების, ინვენტარისა და მოწყობილობათა უზრუნველყოფას, რაც განაპირობებს მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური მომზადების დაბალ დონეს.

დღეს თანამედროვე ტექნოლოგიების ესოდენ მაღალ დონეზე განვითარების ეპოქაში უკანა პლანზე რჩება ერის მომავალი თაობის, ფიზიკური განვითარებისადმი ეფექტური მიდგომა, ხშირია შემთხვევები მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოსწავლეთა გარკვეულ პროცენტს აღენიშნება ხერხემლის გამრუდების, ბრტყელტერფიანობისა და მკერდის ძვლის დეფორმირების შემთხვევები და სწორედ ამ ვითარებაში დაკვირვების შედეგად მიღებულმა შედეგებმა რამოდენიმე მოსწავლეთა მაგალითებზე, საერთო ფიზიკურ მომზადებაში ერთობ დაბალი შედეგები დააფიქსირა. მოსწავლეების დიდი ნაწილი ვერ ასრულებს იმ აუცილებელ სანორმატივო მოთხოვნებს, რომლებიც ესოდენ საჭიროა მისი ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის.

ყველამ უნდა გაითავისოს, რომ ფიზიკური აღზრდა და სპორტი სასკოლო პედაგოგიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. იგი მოსწავლეთა ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარების, შრომისუნარიანი და ჯანსაღი თაობის აღზრდის საწინდარია.

სკოლამ ჯანმრთელი თაობა უნდა აღზარდოს, ჯანსაღ თაობას რომ აღზრდა უნდა, ამაზე თითოეულმა ჩვენგანმა უნდა იზრუნოს, რადგან ახლანდელი ცხოვრების წესი მომავალი თაობისათვის უმოძრაო გახდა, რაც ადამიანთა ჯანმრთელობაზე აისახება. ამას კი ფიზიკურმა კულტურამ და სპორტმა უნდა უშველოს, ამასთანავე სკოლამ უნდა ითაოს და მანვე უნდა მოახდინოს გავლენა ოჯახზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას თითოეული მოსწავლის ფიზიკური კულტურისადმი და ზოგად ფიზიკური მომზადებისადმი დამოკიდებულების შეცვლა.

და, ბოლოს, ჩვენ მივისწრაფით ევროპულ ოჯახში გასაწევრიანებლად, მაშინ მივბადოთ მათ ამ სფეროშიც, მაგალითისათვის, ჯერ კიდევ 80-იან წლებში გერმანიის თითქმის ყოველ მეორე სკოლას ჰქონდა კეთილმოწყობილი საცურაო აუზი, რა ექნებათ ახლა - ალბათ უკეთესი.

ლიტერატურა:

1. ზ. შერაზადიშვილი, „ყველა მოწაფეებისათვის“ ი. გოგებაშვილის შეხედულებანი მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაზე. ჟურნალი მართვე, „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვარტალური დამატება N4, 1976.
2. ა. ციბაძე, ფიზიკური აღზრდის მეცნიერული თეორიის ჩამოყალიბება საქართველოში, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1982.

Tengiz Katsitadze
Iakob Gogebashvili Telavi State University
**IAKOB GOGEBASHVILI'S OPINION ABOUT SCHOOL PHYSICAL EDUCATION AND
PRESENT RIME
RESUME**

Leading public figure of Georgian pedagogical thinking Iakob Gogebashvili gave great importance to physical education of children of school age. According to his opinion gymnastic lessons were necessary to be implemented at schools. To his opinion gymnastic lessons had to be held in extracurricular time in order not to make dissonance in major subjects teaching sequence. He presented several reports to the government regarding these issues. In the reports he substantiated role of physical education in young generation in order to maintain a healthy lifestyle.

Iakob Gogebashvili's position on the improvement of students' physical education is still relevant nowadays. Powerful attack of technical progress cannot be competitive towards the lack of sports bases at schools. In the implementation process of physical education programs formalism is still observed that prevents youth from developing harmonically.

Everyone should understand that physical education is an integral part of the educational process.

დავით მახაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობის ფსიქო-პედაგოგიური
თავისებურებები**

პედაგოგიური ურთიერთობა უშუალოდაა დაკავშირებული ჰუმანურ ტენდენციებთან, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში წარმოადგენს დომინანტს თანამედროვე სასწავლო - აღმზრდელობით პროცესში. პედაგოგიურ საქმიანობაში არსებობს ერთი მხრივ პედაგოგიური ურთიერთობის ხასიათის ეფექტურობა, ხოლო მეორეს მხრივ - მჭიდრო ურთიერთკავშირი.

მოსწავლეებისა და მასწავლებლების პროფესიული ურთიერთობები არის მნიშვნელოვანი სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელიც მთელს პედაგოგიურ ურთიერთობას დადებით ემოციურ დატვირთვას ჰმატებს და სწავლის დაწყების პროცესიდანვე ახდენს არსებითად ზეგავლენას მოსწავლეების სასწავლო-შემეცნებითი პროცესის პროდუქტიულობაზე.

ინტენსიურობის თვალსაზრისით სტუდენტებთან მიმართებაში მათი ურთიერთობის გათვალისწინებით პირობითაც შეიძლება გამოვყოთ მასწავლებელთა ოთხი ჯგუფი:

- პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ის მასწავლებლები, რომლებიც საქმიან საკითხებში (სწავლება, დისციპლინა) სტუდენტებთან ურთიერთობისას შემოიფარგლებიან ვიწრო მასშტაბებით და არ მიისწრაფიან უფრო ახლო ურთიერთობისაკენ.

- მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან ის მასწავლებლები, რომლებიც მიისწრაფიან ახლო ურთიერთობისაკენ სტუდენტებთან, მაგრამ ვერ აღწევენ ამ ურთიერთობას სხვადასხვა მიზეზების გამო (დროის უკმარისობის გამო, სტუდენტების მხრიდან სიმპათიის არქონის გამო, როდესაც სტუდენტები არ არიან მასწავლებლის მიმართ კარგად განწყობილი).

- მესამე ჯგუფს მიეკუთვნებიან ის მასწავლებლები, რომლებიც პატივისცემით ეპყრობიან სტუდენტებს, სარგებლობენ მათი ნდობით და სიმპათიით, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო მათთან ურთიერთობას არ აქვს რეგულარული ხასიათი, თუმცა განსაზღვრული სირთულეების შემთხვევაში სტუდენტები ზუსტად ამ მასწავლებელს მიმართავენ.

- მეოთხე ჯგუფს მიეკუთვნებიან ის მასწავლებლები, რომლებიც გამუდმებით ურთიერთობენ სტუდენტებთან. მათთან ურთიერთობა გამოირჩევა ნდობის და ინტენსივობის მაღალი ხარისხით. მთავარი პირობაა მოსწავლეების ნდობა მასწავლებლის მიმართ, რომელიც ეფუძნება მაღალ

პროფესიონალიზმს და პიროვნულ თვისებებს, როგორცაა პატიოსნება, მოწესრიგებულობა, მოთხოვნა, სამართლიანობა და გამომხატურება.

პედაგოგიური ურთიერთობა არ შეიძლება ატარებდეს ფრონტალურ ან დიდაქტიკურ ხასიათს, ესე იგი ის ხორციელდება ჯგუფურ ან ინდივიდუალურ ფორმაში. არსებობს შემთხვევები, როცა მასწავლებელი წარმატებით უმკლავდება ფრონტალური ურთიერთობის მოთხოვნებს და ვერ ახერხებს გარკვეულ სტუდენტებთან პირისპირ ურთიერთობას. ინდივიდუალური მიდგომის პერიოდში რთულდება ემოციური დატვირთვების და სამოქმედო საშუალებების გამოყენება. მასწავლებლისთვის მთავარია შეინარჩუნოს ფუნქციონალური როლის მანძილი. მასწავლებლის ამგვარი პოზიცია ნაკლებად გამოიწვევს მოსწავლეებში გულახდილობის გრძნობას, გაზიარების სურვილს. ამგვარი ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია მასწავლებლის ტემპერამენტი. ასე, რომ მასწავლებლები, რომლებიც გამოირჩევიან ფრონტალური, „სატრიბუნო“ სიტუაციების წარმართვით, შიდა - პირადული ურთიერთობის კუთხით ახასიათებთ ხმადაბალი საუბარი და მელანქოლია. ისინი არიან დაუცველები, ეჭვიანები, მარტოობას მიჩვეულები, ძნელი წარმოსადგენია მათი დანახვა აუდიტორიის წინაშე მოსახერხებელ შემთხვევისას.

ხდება ისე, რომ დაუცველი, მორცხვი მასწავლებლები შეგნებულად ან შეუგნებლად ხვდებიან ფუნქციონალური როლის ურთიერთობაში, მათ არავის შეშვება არ სურთ საკუთარ სამყაროში და არ სურთ „სხვის სულში შემოღობა“, ისინი შემოიფარგლებიან ოფიციალური შეკითხვებით. ტემპერამენტის გარდა მასწავლებელს გააჩნია განსაზღვრული სირთულეები ინდივიდუალური ურთიერთობის პროცესში, რომელსაც აგრეთვე შეუძლია გამოიწვიოს ელემენტარული მოუმზადებლობა, საჭირო უნარ-ჩვევების არქონა ხალხთან მუშაობისას სხვადასხვა ურთიერთობის სიტუაციაში.

მოსწავლეებზე მასწავლებლის მხრიდან პედაგოგიური ზეგავლენისათვის გამოიყენება შემდეგი ფორმები: ორგანიზება, შეფასება და დისციპლინა. თითოეული მასწავლებლის მიერ უნდა განხილულ იქნეს საქმიანობის დონის და სტუდენტებთან ურთიერთობის შესაბამისად. საქმიანობის დონე შესაძლოა იყოს მაღალი ან დაბალი. დადგენილია, რომ იმ მასწავლებლებს, რომლებსაც აქვთ საქმიანობის მაღალი დონე გააჩნიათ ორგანიზაციული ხასიათი, ხოლო დაბალი დონის მქონე მასწავლებლებს დისციპლინიზებული ხასიათი. ამის ახსნა მარტივია, რადგან თუ მასწავლებელი არ უთმობს საკმარის დროს მოსწავლეების საქმიანობის ორგანიზებას, მაშინ მას უწევს ძალების და დროის დახარჯვა დისციპლინის შესანარჩუნებლად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სწავლების დროს არსებული არეულობა გამომდინარეობს სასწავლო პროცესის არასაკმარისი ორგანიზებულობიდან. მასწავლებლის საქმიანობის მაღალი დონისას, მასწავლებლის პედაგოგიური ზემოქმედების საშუალო რაოდენობა ერთ ჩატარებულ ლექციაზე იწარმოება უფრო ნაკლებად, მაგრამ თავისთავად უფრო ეფექტურია.

ვერბალური ზემოქმედების სისტემა მასწავლებლებში, რომლებსაც გააჩნიათ მაღალი და დაბალი დონის საქმიანობა განსხვავდება არა მარტო რაოდენობრივად, არამედ ხარისხითაც. საქმიანობის მაღალი დონის მქონე მასწავლებლები ყველაზე ხშირად იყენებენ სიტყვიერი ზემოქმედების შემდეგ ფორმებს (მათი მნიშვნელობის მიხედვით): ინსტრუქტირება, ინტონაციის ამაღლება, გვარების დასახელება, წახალისება, იუმორი. ხოლო რაც შეეხება საქმიანობის დაბალი დონის მქონე მასწავლებლებს, ისინი კი ხშირად იყენებენ გვარების დასახელების მეთოდს, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ იუმორი და წახალისება ხშირი „სტუმრები“, რომ იყვენ მათ გაკვეთილებზე. მათ ნაკლებად ახასიათებთ ინსტრუქტირება, რადგან ასეთი სახის მასწავლებლები მეტ ყურადღებას უთმობენ დისციპლინას, ვიდრე მოსწავლეთა ორგანიზებას. დადგინდა, რომ მასწავლებელი საუბრობს ორჯერ მეტ ხანს ვიდრე სტუდენტი გაკვეთილზე. ამასთანავე, ცნობილია, რომ სწავლების ეფექტურობა უკავშირდება ზუსტად მოსწავლეთა აქტიურობის დონეს გაკვეთილზე და უფრო ფართო გაგებით, მოსწავლის პირადულობის განვითარების ეფექტურობას. მაღალი დონის მქონე მასწავლებლის გაკვეთილზე სტუდენტები საუბრობენ ორჯერ მეტს, ვიდრე იმ მასწავლებლის გაკვეთილზე რომელსაც დაბალი დონე აქვს.

მასწავლებლის მიდგომა და მისი წარმოქმნა უმთავრესი ფსიქოლოგიური ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს პედაგოგიური ურთიერთობის ეფექტურობას. გამოყოფენ მასწავლებლის მიდგომის ორ ტიპს მოსწავლეების მიმართ: პოზიტიურს და ნეგატიურს.

მასწავლებლის ნეგატიური მიდგომის ნიშანია:

- მასწავლებელი „ცუდ“ მოსწავლეს უთმობს უფრო ცოტა დროს პასუხის გასაცემად, არ უსვამს მას დამხმარე შეკითხვებს და არ აძლევს მას მინიშნებას;
- ხშირად ადანაშაულებს მოსწავლეს, ვიდრე ახალისებს;
- არ რეაგირებს მოსწავლის წარმატებულ მოქმედებებზე და ვერ ამჩნევს მის წარმატებებს; ხანდახან საერთოდ არ მუშაობს ამ მოსწავლესთან.

მასწავლებლის პოზიტიური მიდგომისას:

- უფრო მეტ დროს უთმობს მოსწავლეს შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, სირთულის შემთხვევაში მას აძლევს დამხმარე შეკითხვას, ახალისებს ღიმილით, გამოხედვით;

- არასწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში არ ჩქარობს ნიშნის დაწერას და ცდილობს გამოასწოროს მისი პასუხი;

- ხშირად მიმართავს მოსწავლეს თვალებით და ა.შ.

მასწავლებლის ამგვარი მიდგომისას „ცუდი“ მოსწავლეები მტკივნეულად განიცდიან მის არაობიექტურობას და უფრო იშვიათად მიმართავენ მასწავლებელს, ვიდრე კარგი სტუდენტები.

მასწავლებლის მიკერძოებამ, სუბიექტივიზმმა, სტერეოტიპების მიმდევრობამ, რაც არის მისი უუნარობის ან სურვილის უქონლობის ერთ-ერთი შედეგი, შეიძლება გაართულოს პედაგოგიური ურთიერთობადა სერიოზული დაბრკოლებები შექმნას მოსწავლეებთან ურთიერთობის ორგანიზებაში სირთულეების გადალახვისას.

მოსწავლეებთან მუშაობისას სუბიექტური შეფასება ხშირად დაკავშირებულია სტუდენტის გარეგნობის შეფასებასთან. გავრცელებულია ისეთი სტერეოტიპები, როგორიცაა: „ეს მოსწავლე სათვალეს ატარებს ე.ი. ჭკვიანია“, „ეს მოსწავლე სპორტული აღნაგობის არის ე.ი. არ არის ჭკვიანი“ და ა.შ. გარეგნობაზე შეფასების გაკეთება ამცირებს პედაგოგიურ ძალისხმევას, ყალიბდება მოსწავლისადმი მასწავლებლის დადებითი და უარყოფითი მიდგომა რაღაც მიზეზის გამო, რომელსაც სინამდვილეში არ აქვს არავითარი საერთო ცოდნის რეალურ დონესთან.

ხანდახან მასწავლებლები თვითონ უქმნიან მოსწავლეებს წარუმატებლობის საფუძველს. მოსწავლის მხრიდან პირველი წარუმატებელი პასუხის შემდეგ მასწავლებელს შესაძლოა ჩამოუყალიბდეს უარყოფითი მიდგომა (მათ შორის ანალოგიური გზით - დადებითიც). დასაწყისშივე წარმოიქმნება მიკერძოება, ხოლო მის საფუძველზე წარმოიქმნება სუბიექტივიზმი, ხოლო შემდეგში მიიღება განსაზღვრული მოქმედებები იმისათვის, რომ ეს მიდგომა გამართლდეს.

ამასთან ერთად, სტერეოტიპების მოქმედება არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად შეფასდეს როგორც ნეგატიური. პიროვნების ამოცნობისას სტერეოტიპები თამაშობენ ნეგატიურ როლს, თუ მასწავლებელი ამ სტერეოტიპებს მკაცრად ადევნებს თვალ-ყურს, მაშინ მათი ზემოქმედება აბსოლუტურ ხასიათს იძენს. დადებითი მნიშვნელობა ენიჭებათ სტერეოტიპებს იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი მათზე დაყრდნობით აკეთებს მხოლოდ სტუდენტის პიროვნების აღზატობის შეფასებას და შეეცდება მომავალი ურთიერთობის მსვლელობისას ამ შეფასების თანდათან დაზუსტებას.

სუბიექტივიზმს, სტერეოტიპიზაციას, გარკვეული ბეჭდებისა და ტრაფარეტების ქონას, რომელსაც მასწავლებელი იყენებს საკუთარ ცნობიერებაში სტუდენტის მიმართ, მიეყვართ პედაგოგიური ურთიერთობის მცდარი გზისაკენ. ამასთან დაკავშირებით საჭიროა ყოველგვარი ინფორმაციის შემოწმება და წინასწარი მიდგომების შეფასება, რომ შევიტყოთ ჭეშმარიტი ადამიანი, მისი პლუსები და მინუსები, ვიურთიერთოთ მასთან დადებითი განზრახვით, იმ გაგებით, რომ ყოველი ადამიანი რაღაცით უკეთესია სხვაზე, მათ შორის თავად თქვენზე უკეთესიც.

ეს ყველაფერი შესაძლებელია არა მხოლოდ პედაგოგიური შესაძლებლობების, არამედ სპეციალური უნარების წყალობით, რომლებიც შესაძლოა ჩამოყალიბდეს პროფესიული, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მომზადების პროცესში, იმ მეთოდების, წესების და ტექნიკის გამოყენებით, რომლებიც არსებობს პედაგოგიურ ურთიერთობაში და ურთიერთქმედებაში.

ლიტერატურა:

1. მასწავლებლის პროფესიული განვითარება, პედაგოგიკის საკითხები, თბ., 2013;
2. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრი, პრაქტიკული სახელმძღვანელო ტრენინგებისათვის, თბ., 2012;
3. განვითარებისა და სწავლის თეორიები #1, თბ., 2008;
4. ბასილაძე ი., აბზიანიძე ლ., (2009): გაკვეთილი, როგორც პედაგოგიური ფენომენი. ქუთაისი,;
5. ჯინჯიხაძე გ., (2012): თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები, „უნივერსალი“.
6. ბასილაძე ი. კობრიძე ქ., (2004): პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, ქუთაისი.
7. ხუხუა გ., (2009): პედაგოგიკა, თბილისი.
8. არახამია მ., (2006): სკოლათმცოდნეობა, ქუთაისი.

Davit Makhashvili
Iakob Gogebashvili Telavi State University
THE FEATURES OF PSYCHO-PEDAGOGICAL RELATIONSHIP WITH TEACHERS AND PUPILS
RESUME

Pedagogical relationship is directly related to the human tendencies, which in modern training - educational process of secondary school is dominant. On the one hand there is the nature of the relationship between teachers' teaching effectiveness, and on the other hand - in close interrelations.

Professional relations with students and teachers is an important socio-psychological factors, which adds positive emotional workload in all pedagogical relationship and at the beginning of the process of learning has a substantial impact on the learning - cognitive process in productivity of the students.

To achieve success in pedagogical relationship is possible not only with the educational opportunities, but also due to special skills, which can be formulated in the process of professional, psychological and pedagogical training, in those methods, regulations and techniques, which are in pedagogical relations and interactions.

მანანა მიჩიტაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ისტორიის გაკვეთილის დაგეგმვის კონსტრუქტივისტული მიდგომა

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის მთავარი ვექტორი განათლების ხარისხის გაუმჯობესებაა. ისტორიის გაკვეთილის ეფექტურად დაგეგმვის ახალი მიდგომები მიდის ოპტიმალურ დასკვნამდე, რომ ისტორიის მასწავლებელთა შემოქმედებითი უნარის ამაღლებით, პედაგოგთა ინოვაციური გამოცდილების ურთიერთგაზიარებით შევძლოთ ვუპასუხოთ თანამედროვე სკოლის ახალ გამოწვევებს და ინიციატივებს.

სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ძირითად ფორმად კვლავაც რჩება გაკვეთილი და ბუნებრივია, შესაბამისი ცვლილებებიც უპირველესად გაკვეთილის დაგეგმვაში უნდა აისახოს. იგი იწყება სასწავლო გარემოდან, გაკვეთილის საორგანიზაციო საკითხებიდან, მასწავლებლის პირადი თვისებებიდან (შრომისმოყვარეობა, აქტიურობა, ტოლერანტობა, თანამშრომლობა, კომუნიკაბელურობა), პროფესიული კომპეტენტურობის, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

ისტორიის გაკვეთილის დაგეგმვა პრობლემების გადაჭრის კრეატიული პროცესია. გაკვეთილამდე მასწავლებელი მოიძიებს დამატებით ინფორმაციას, საგანმანათლებლო რესურსებს, მუშაობს მასალის პრეზენტაციაზე, ადგენს სტრატეგიებისა და აქტივობების შესაბამისობას გაკვეთილთან. გაკვეთილის პროცესის განხორციელებისას იგი გვევლინება სწავლების ორგანიზატორად, მოსწავლეთა პარტნიორად, რომელსაც აკისრია პროფესიული იდენტიფიკაციისა და ცოდნის დიაგნოსტიკოსის როლი, შემფასებლისა და გაკვეთილზე ან ჯგუფში სოციალურ ურთიერთობათა მარეგულირებლის როლი. აღნიშნული ფაქტორები მასწავლებლისგან მოითხოვს დიდ პასუხისმგებლობას, ახალი მიდგომების გათვალისწინებას გაკვეთილის დაგეგმვისას.

ჯ. ბრუნერმა ერთ-ერთმა გავლენიანმა მოაზროვნემ, ლევ ვიგოტსკისთან, ჯონ დიუისთან და ჟ. პიაჟესთან ერთად სწავლის და ცოდნის სფეროში „კონსტრუქტივისტული“ მიდგომა შემოიტანა. კონსტრუქტივისტული მიდგომა ეს არის მათი თეორიების დანერგვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებაში. კონსტრუქტივიზმის თეორიებმა დიდი როლი შეასრულა დასავლეთის ქვეყნებში აქტიური სწავლების დანერგვის საქმეში, ასევე ევროკლიო, ჩამოყალიბებიდან (1993 წ.) დღემდე (იოკე ვან დერ ლეუ-როორდი - ევროკლიოს დამფუძნებელი) [3:42-63] ხელს უწყობს ინოვაციური საისტორიო განათლების და ისტორიის სწავლების განვითარებას ამ მიმართულებითაც.

ამ მიდგომის თანახმად, მოსწავლეს სწავლაში ენიჭება აქტიური და დამოუკიდებელი როლი. იგი დაფუძნებულია სწავლა, სწავლების პროცესის ისეთ ხედვაზე, რომელიც კონცენტრირებულია მოსწავლეებზე, სადაც მზა სახით კი არ მიეწოდებათ ცოდნა, არამედ თვითონ ახდენენ ცოდნის

„კონსტრუირებას“, კონსტრუქტივისტური მეთოდით, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით და მასწავლებლის თანადგომით რეალური ისტორიის აგებას.

ამდენად, კონსტრუქტივიზმის ძირითადი იდეა საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლებისას იმაში მდგომარეობს, რომ ვასწავლოთ მოსწავლეებს ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის არა მარტო შეგროვება, არამედ გადამუშავება, ძირითადი და განსხვავებული იდეების, მიზნების გამოყოფა პირველად და მეორედ წყაროებში, ალტერნატიული გადაწყვეტილებების ძიება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, შედეგების დამოუკიდებლად შეფასება, ე. ი. ცოდნის კონსტრუირება - შენება. სწავლებისადმი კონსტრუქტივისტული მიდგომის მიზანია განუვითაროს შემოქმედებითი და ინტუიციური აზროვნება. ამ მიდგომის მიხედვით, მოსწავლეებს უვითარდებათ აზროვნება და უფრო რთული შემეცნებითი უნარები წინარე ცოდნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე კონსტრუქტივიზმი ორიენტირებულია მოსწავლის ძალისხმევაზე. იგი სწავლის პროცესის აქტიური მონაწილე ხდება, ინფორმაციის პასიური მიმღები კი არ არის, არამედ მწყობრად აშენებს საკუთარ ცოდნას მისთვის უკვე ცნობილისა და წინარე გამოცდილებების საფუძველზე. აშენების პროცესში მასწავლებელი ისევე ეხმარება მოსწავლეს, როგორც ხარაჩოები-მშენებელს. ხარაჩოების ფუნქციას ასრულებს მასწავლებლის მიერ შერჩეული ეფექტური აქტივობები გაკვეთილისათვის, საგანმანათლებლო რესურსები, მასწავლებლის მიერ შექმნილი გარემო და ამ კონკრეტული გაკვეთილისათვის საგანგებოდ მომზადებული, განსაკუთრებული სასწავლო სიტუაციები, რომელშიც მოსწავლე დამოუკიდებლად აგებს ახალ ცოდნას.

სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდოლოგია გულისხმობს სწავლების პროცესში მოსწავლეთა ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებას, მათ წახალისებას, რათა მათ შეძლონ ისტორიული ფაქტების, მოვლენებისა და ცნებების ანალიზი და ინტერპრეტაცია.

მამასადამე, კონსტრუქტივისტული გაკვეთილი ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეებს თავად ააგონ ცოდნა, მოიძიონ სანდო ინფორმაცია, მიაგნონ და ახსნან ისტორიული პროცესის გამომწვევი მიზეზები, ან მასზე დაყრდნობით განსაზღვრონ მოსალოდნელი შედეგები, შეაფასონ გადაწყვეტილებანი და ისტორიული ფაქტის მნიშვნელობა, დაამყარონ მიზეზშედეგობრივი კავშირი და შეძლონ ანალიზი.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ისტორიის გაკვეთილის დაგეგმვა ახალი კონსტრუქტივისტული მიდგომით ითვალისწინებს გაკვეთილის თემა წინასწარ საგანგებოდ შეირჩეს და დაიგეგმოს, შესაბამისად მომზადდეს კითხვები, რომელიც მოსწავლეებს მიმართულებას მისცემს და გაუიოლებს მისაღწევ შედეგზე გასვლას.

გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისტორიული მოვლენის რეალური სიტუაციიდან აღებულ პრობლემებს. დაგეგმვაში გათვალისწინებული უნდა იქნას, ფაქტობრივი მონაცემების შესაგროვებლად მოსწავლეთა უშუალო ჩართულობა, რათა სწორად შეაფასონ არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთ მიმდინარე პროცესები, რომელიც გავლენას უთუოდ მოახდენდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. უნდა შეძლონ და წინასწარ განსაზღვრონ მოსალოდნელი შედეგები, შეაფასონ ამ მხრივ წარმოებული დიპლომატიური მოლაპარაკებები, კავშირები და სხვ. არგუმენტირებულად იმსჯელონ იმ გადაწყვეტილებებზე, რომელიც უკავშირდება კონკრეტულ ისტორიულ ფაქტს, ან პიროვნებას, ასევე მონახონ ალტერნატიული გზები, ან წამოაყენონ ჰიპოთეზა, რომელიც რადიკალურად შეცვლიდა და პოზიტიურ როლს ითამაშებდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ჰიპოთეზა და ალტერნატიული მოსაზრება შესაძლოა ჯგუფებიდან არჩეულმა წარმოდგენილმა „ექსპერტებმა“ გამოიტანონ სადისკუსიოდ.

კონსტრუქტივისტული გაკვეთილი დანერგვის პროცესშია და შესაბამისად აზრთა სხვადასხვაობაა, ამიტომ შევეცადეთ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებულ მოსაზრებათა გათვალისწინებით და ჩვენეული ხედვით წარმოგვედგინა ისტორიის გაკვეთილის დაგეგმვისას სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომის ძირითადი პრინციპები:

- სწავლება უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს საკუთარი აზრის ჩამოყალიბებაში. მოსწავლე ყველაზე უკეთ მამინ ითვისებს, როდესაც საკუთარი ცოდნის და გამოცდილების მეშვეობით წყვეტს პრობლემას;
- სწავლის მოტივაციის შექმნა. მოტივაცია ხელს უწყობს არა მხოლოდ შემეცნებას, არამედ გულისხმობს სწავლის მიზნის (ცოდნის საჭიროებას) გაგებას.
- სწავლა გულისხმობს ისტორიული საკითხის მნიშვნელობის სიღმისეულ წვდომას. მასწავლებელი ცდილობს სასწავლო აქტივობები ისე წარმართოს, რომ მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი იდეები, ჰიპოთეზები და აღმოჩენები კარგად გაიაზრონ.
- სწავლა თანამშრომლობითი ურთიერთობების გზით აიგება. შესაბამისად, სასწავლო გარემოში ცოდნის კონსტრუირების საუკეთესო საშუალებაა თანამშრომლობითი სწავლების გამოყენება.

- სწავლების განსაკუთრებული პირობების შექმნა, სადაც მოსწავლეთა ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, შემოქმედებით, ჰიპოთეტურ და ანალიტიკური აზროვნების ინდივიდუალურ სტილს, სიტუაციის უნიკალურ ხედვას და პრობლემის გადაჭრის უნარს პრიორიტეტი მიენიჭება.
- სწავლა ყოველთვის გულისხმობს კონტექსტს. მოსწავლე ყველაზე კარგად ითვისებს მაშინ, როდესაც ახალი ინფორმაცია კავშირშია უკვე ნასწავლთან.

გაკვეთილის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომის შემადგენელი ნაწილები [5:13]

- ახალი იდეების დაკავშირება წინარე ცოდნასთან.
- მოდელირება - (ე.წ. „სიმბოლური მოდელი“). მასწავლებელი მიმართავს რთულ დავალებას და ცდილობს მოსწავლეთათვის თვალსაჩინო გახადოს ის ნაბიჯები, რომლებიც ამ დავალების შესასრულებლად საჭირო;
- „ხარაჩოს“ მეთოდი - მასწავლებელი ისეთ დავალებებს აძლევს მოსწავლეებს, რომელთა დახმარების გარეშე გაკეთებაც გაუჭირდებათ ბავშვებს. მასწავლებელი სხვადასხვა ხერხებით მათ ეხმარება, დახმარების წილს თანდათან ამცირებს და საბოლოოდ მოსწავლეები თავად ახერხებენ დავალებისთვის თავის გართმევას.
- არტიკულაცია - საკუთარი შეხედულებების გამოთქმა ვერბალიზაციის გზით და მათი დაცვა, რაც დაეხმარება მოსწავლეებს მასალის უკეთ გააზრებაში.
- რეფლექსია - მოსწავლეები ახდენენ საკუთარი სწავლის პროცესის ანალიზს. ეს ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას. სხვაგვარად ამ პროცესს „მეტაკოგნიცია“, ანუ სწავლის პროცესის გაანალიზება ეწოდება.
- კონსტრუქტივისტული მიდგომა გულისხმობს ურთიერთსწავლებას, ერთობლივ მუშაობას;
- არჩევანი - მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება, რაც ხელს შეუწყობს სწავლის პროცესს, გაიზრდება ინტერესი სასწავლო პროცესისადმი და ჩართულობა.
- მოქნილობა - კონსტრუქტივისტული მეთოდის თანახმად, მასწავლებელი საჭიროებისამებრ მოქნილად ცვლის გაკვეთილის მიმართულებას.
- ადაპტაციის უნარი - მასწავლებელს უნდა შეეძლოს სასწავლო მიზნებისა და ამოცანების ადაპტირება მოსწავლეთა შესაძლებლობებთან.
- მრავალმხრივი რეალობა - მრავალმხრივი რეალობის გააზრება დაეხმარება მოსწავლეებს გაიგონ, რომ ყოველთვის ერთი სწორი პასუხი არ არსებობს. ეს უვითარებს მოსწავლეს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას. ამისთვის მასწავლებელმა აუცილებლად მოსთხოვოს მოსწავლეებს რამდენიმე ალტერნატიული შეხედულება ერთი და იგივე საკითხის შესახებ.

აღნიშნულის გათვალისწინებით დაწყებითი საფეხურიდანვე შეუძლია მასწავლებელს დასვას მიმანიშნებელი კითხვები, წაახალისოს მოსწავლეების არასრული მონაცემები, ან დაეხმაროს მათ მოსაზრებათა დამტკიცებას ან უარყოფაში. ამისათვის მოსწავლეების ინტუიციური და ანალიტიკური აზროვნების ამოქმედებაზე მუშაობა დაწყებით საფეხურიდანვე იწყება.

დაწყებითი საფეხურის მე-5 კლასში გაკვეთილის, რა როლს ასრულებდა შავი ზღვა საქართველოსთვის ძველად [8:26] - სწავლებისას გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით შემოწმდება წინარე ცოდნა ოქრო საწმისის, არგონავტების და შავი ზღვით სარგებლობის შესახებ (შესაძლებელია შავი ზღვის კარიბჭის - ფოთის პორტის 1 წუთიანი ვიდეო კოლაჟის ჩვენება). მასწავლებლის დაგეგმილ პრეზენტაციაში წარდგენილი იქნება ოქრომრავალი კოლხეთი, არქეოლოგიური, ზეპირსიტყვიერი, ადაპტირებული წერილობითი წყაროებიდან პატარა საინტერესო ამონარიდები და ვიდეო მასალები. რუკით ნაჩვენები იქნება გზა ქალაქ იოლკოსიდან ფაზისამდე, რომლითაც შემოვიდნენ არგონავტები. რუკის პარალელურად წარვუდგენთ პროგრამა Windows Movie Maker მომზადებულ ინგლისელი მეცნიერის ტიმ სევერინის 1984 წ. ექსპედიციის ამსახველ სასწავლო ვიდეო მასალას. ამით წინასწარ ვამზადებთ მოტივაციას, ნამდვილი და მითიური რეალობა უკეთ აღიქვან და ბერძნებთან ურთიერთობის ისტორია ფართო სპექტრით წარმოჩნდეს. ამდენად, ხარაჩოების მიწოდების შემდგომ ვითვალისწინებთ მოსწავლეების გარკვეული აბსტრაქტული აზროვნების უნარს, რომელსაც თავის მხრივ, თან ახლავს იდეალიზებისა და წარმოსახვის, ჰიპოთეტური აზროვნების უნარები; სწორედ ამის გამოყენების გზით ვახდენთ პასუხი გაცენ კითხვებს რა არის არგონავტების მითში სინამდვილე და მითიური? შეაფასონ მრავალმხრივი ურთიერთობანი ბერძნულ ახალშენებთან? თემატური რუკის, საპრეზენტაციო მასალის და სახელმძღვანელოს ტექსტის მიხედვით იმართება დისკუსია: რა როლს ასრულებდა შავი ზღვა საქართველოსთვის ძველად? შესაძლებელია კლასი გაიყოს 2 ჯგუფად: 1. ჯგუფი საკმაოდ ბევრი მნიშვნელოვანი არგუმენტებით დაიცავს მოსაზრებას - სასარგებლო იყო შავი ზღვით ბერძნების მოგზაურობა საქართველოში და ბერძნებთან ურთიერთობა, 2. ჯგუფი იმსჯელებს საპირისპირო მოსაზრებაზე, რომელსაც გაცილებით ნაკლები არგუმენტები ექნებოდა.

თუ ბავშვი დამოუკიდებლად ვერ შეძლებს ამოცანისათვის თავის გართმევას, მას უნდა მივაშველოთ, ე.წ. „ხარაჩო“, რადგან სწავლების პროცესი თანამშრომლობაა, მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირებაში და ხელს უწყობს მისი უნარების განვითარებას. ასეთი მიდგომა და ცოდნის ტრანსფერი საშუალებას მოგვცემს თავი ადვილად გართვან, რომ შემდგომ შემაჯამებელ მეცადინეობაზე საინტერესოდ წარმოადგინონ როლური თამაში - „არგონავტების სტუმრობა საქართველოში“. [5:26]

კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე აგებული ისტორიის გაკვეთილი გულისხმობს, მოსწავლეთა შემოქმედებითობას, აქტიურობას, ისტორიული ფაქტების, მოვლენებისა და ცნებების ანალიზს, ინტერპრეტაციას, წარმოსახვის გააქტიურებას, მიზეზშედეგობრივი კავშირების და ალტერნატიული გზების ძიებას. რა თქმა უნდა იქნება სირთულეები, ცხადია, მოსწავლე შეცდომებსაც დაუშვებს და დაბრკოლებებსაც წააწყდება, მაგრამ მასწავლებლის დახმარებით, მსჯელობითა და კონსტრუქციული თანამშრომლობით, გამოცდილების მიღებით ის პრობლემებსაც გაუმკლავდება, ხარვეზებსაც შეავსებს და შეცდომებსაც გამოასწორებს.

კონსტრუქტივისტული გაკვეთილი აზროვნების მაღალი დონის ფორმებს ანუ კოგნიტური უნარების განვითარების გარკვეულ ხარისხს მოითხოვს. კოგნიტური განვითარება მოსწავლის აზროვნების, შემეცნებითი თუ განსჯითი უნარებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარებას გულისხმობს.

მეცხრე კლასში, თემურ-ლენგის ლაშქრობების სწავლებისას, [6:218] გონებრივი იერიშის მეთოდით მიღებული შედეგების გათვალისწინებით, მასწავლებლის წარდგენილი ეფექტური პრეზენტაციით, საგანმანათლებლო რესურსებით, (ამონარიდი წყაროებიდან, ვიდეო მასალებით, თემატური რუკებით და სხვ.) უნდა მივაწოდოთ ცნობები მსოფლიოს უსასტიკესი დამპყრობლის თემურ-ლენგის პიროვნების და მის მიერ დაარსებული იმპერიის შექმნის შესახებ. პარალელურად დგება მოსწავლეთა ჯგუფური მუშაობის გეგმა და ჯგუფებში ნაწილდება სამუშაოდ თემურ-ლენგის ლაშქრობები საქართველოში. თითოეული ჯგუფები ადგენს ლაშქრობის სქემატურ საბრძოლო რუკას, მუშაობს ინფორმაციის მოძიებაზე, მსჯელობს მასწავლებლის მიერ წინასწარ მომზადებულ დამატებით მასალაზე თითოეული ლაშქრობის შესახებ, ამზადებენ პასუხებს მასწავლებლის მიერ ჯგუფებისთვის განკუთვნილ კითხვარებზე ე. ი. განხორციელდა „ხარაჩო“, ნაჩვენებია გზა, მუშაობის მიმართულება, რომლის შემდგომ ახდენენ ცოდნის კონსტრუირებას ისტორიულ გარემოში: 1. ადგენენ ლაშქრობების მიზეზშედეგობრივ კავშირებს, 2. კრიტიკულად მსჯელობენ თუ როგორ აისახებოდა ბრძოლის შედეგები ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, 3. იმ პერიოდის რეალობიდან გამომდინარე, რამდენად სწორად გათვალა სამეფო კარმა საფრთხეები და მოსალოდნელი შედეგები, რაც შესაძლოა მოჰყოლოდა თემურ-ლენგის წინააღმდეგ ბრძოლებს ქვეყანაში. მასწავლებელი „ხარაჩო“ მეთოდით ჯგუფებს, დახმარების მიზნით აძლევს დამატებით მაპროვოცირებელ კითხვას: ორი უდიდესი დამპყრობლის (თოხთამიშ-ხანის და თემურ-ლენგის) ფართო მასშტაბიანი ბრძოლები რა შედეგების მომტანი იქნებოდა და როგორ აისახებოდა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

ჯგუფებში მუშაობის დროს მოსწავლეები განიხილავენ ახალ ინფორმაციას, ისმენენ განსხვავებულ მოსაზრებას, კამათობენ და ეძებენ ალტერნატიულ გზებს როგორ მივიდნენ საბოლოო დასკვნამდე; შესრულებული დავალების შემდეგ იწყებენ პრეზენტაციას, რომელსაც მოყვება დისკუსია, ვაცნობთ სადისკუსიო საკითხებს:

1. როგორ შეაფასებდით მეფე გიორგი VII-ის განმათავისუფლებელ ბრძოლებს, თვითონ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ ასეთ ვითარებაში?

2. ისტორიული რეალობიდან გამომდინარე არსებობდა თუ არა ალტერნატიული გზა ქვეყანა რომ აგვეცილებინა ამ კატასტროფული შედეგებისაგან.

3. თვითონ რომელ გზას აირჩევდნენ, მოვითხოვთ, არგუმენტირებულად იმსჯელონ ალტერნატიული გზის უპირატესობაზე ისტორიული რეალობის გათვალისწინებით.

ალტერნატიულ მოსაზრებებთან მუშაობისას მასწავლებელი სთავაზობს სამუშაო გეგმას: 1. ჩამოაყალიბონ ალტერნატიული ვარიანტები, 2. დაახასიათონ თითოეული ცალ-ცალკე, 3. წარადგინონ დამოკიდებულება სხვადასხვა ალტერნატივისადმი, 4. შეარჩიონ მათგან ისტორიულ რეალობასთან შედარებით ოპტიმალური ვარიანტი 5. გაარკვიონ უარყოფილი ვერსიების დადებითი და უარყოფითი მხარეები, რათა არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთონ გაკეთებული არჩევანი.

ჯგუფებში ცალკეულ ასეთ კონსტრუქციებზე მუშაობა აჩენს მოსწავლეებში ინტუიციურ, წარმოსახვით და ანალიტიკური აზროვნების ამოქმედებას, სწრაფვას შემოქმედებითი აზროვნების წარმოსაჩენად. ჩნდება საკუთარი მოსაზრების უნიკალურობის განცდა, რის გამოც ისინი გამორჩეულად ცდილობენ დაამტკიცონ არგუმენტებით საკუთარი ვერსია, რაც არც თუ ისე ადვილია. თავიანთი ძალებით და „დამხმარე-ინფორმატორის“ - მასწავლებლის თანადგომით „პოულობენ“ სანდო

ინფორმაციას. განსხვავებული მოსაზრებისადმი მხარდაჭერა, მასში პოზიტიურის დანახვა და გამოყოფა - მხოლოდ ისტორიულ პიროვნებებზე, ფაქტებსა და მოვლენებზე ფიქრის საშუალებას კი არ გვაძლევს, არამედ საფუძველს გვაძლევს, შედარებითი ანალიზისთვის, მათთვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნების გამოსაყოფად და დასკვნების გამოსატანად.

ისტორიის კონსტრუქტივისტული გაკვეთილის დაგეგმვის ერთ-ერთი მთავარი მიზანია წარსულის შესწავლის საფუძველზე მოსწავლის პიროვნული განვითარება და სამომავლო პერსპექტიული გზების დასახვის უნარის გამომუშავება. პიროვნული განვითარება კი პირველ რიგში ითვალისწინებს შემოქმედებითი აზროვნების ფორმირებას, უნარს, კრიტიკულად გაანალიზო წარსული და აწმო, ისტორიული წყაროების დამოუკიდებელი შესწავლის საფუძველზე გააკეთონ საკუთარი დასკვნები, ისტორიული მოვლენებიდან გამოყონ არსებითი და ძირითადი; ისტორიის შესწავლამ მოსწავლე უნდა დააყენოს ზნეობრივი არჩევანის წინაშე, რითაც იგი იღებს უფლებას, იყოს სუბიექტური. მიუხედავად ამისა უნდა შეძლონ ისტორიული მოვლენის, პიროვნების სხვადასხვა ასპექტით წარმოდგენა და არგუმენტირებული შეფასება, იმ კრიტერიუმების გამოვლენა, რომელიც მათ შეფასებას დაედო საფუძველად.

სწავლისადმი კონსტრუქტივისტული მიდგომა მოიაზრებს მოდელით სწავლასაც. „მოდელი“ ანუ მისაბამი პიროვნება (ე.წ. „სიმბოლური მოდელი“). მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა სათანადოდ შეარჩიოს მოდელი. შესაძლებელია ისტორიული რეალობიდან გამომდინარე შედარებითი დახასიათების მიზნით სადისკუსიოდ მივცეთ განსხვავებულ ალტერნატიულ მოსაზრებებზე მდგომი ისტორიულ პიროვნებათა პოზიციები. რომელიც იმავდროულად მათი მოღვაწეობის სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს. მაგ. 1812 წლის აჯანყების სწავლებისას საბაზო წინარე ცოდნიდან გამომდინარე შესაძლებელია ქვეყნის გათავისუფლების სამი განსხვავებული გზა, პირობითად, სამი ქართველი მამულიშვილების პოზიცია გამოიკვეთოს. განისაზღვროს სადისკუსიო თემა, სამი ქართველი - სამი პოზიცია.

ჯგუფებში სამუშაოდ გავანაწილებთ საკითხებს, სამი ღირსეული მამულიშვილის პეტრე ბაგრატიონის, იმერეთის მეფის სოლომონ მეორისა და ალექსანდრე ბატონიშვილის სამი განსხვავებული პოზიციის შესახებ, შესაბამისად უხდებათ მსჯელობა სამი განსხვავებული საგარეო კურსის შესახებ. ჯგუფები ახასიათებენ ისტორიულ პიროვნებებს, დამატებით წყაროებზე დაყრდნობით მსჯელობენ და აფასებენ თითოეული ამ მამულიშვილის პოზიციებს და საბრძოლო გეგმებს. დისკუსიაზე კამათობენ და მსჯელობენ ქართველ მამულიშვილთა გეგმებიდან გამომდინარე რამდენად რეალური იყო რუსეთის ბატონობისაგან საქართველოს გათავისუფლების გზები. რომელი პასუხობდა იმდროინდელ რეალობას, თვითონ რომელ პოზიციას დაუჭერდნენ მხარს და რატომ, არსებობდა თუ არა სხვა ალტერნატიული გზა.

ამრიგად, სწავლისადმი კონსტრუქტივისტული მიდგომა ხელს შეუწყობს გაზარდოს დამოუკიდებლად მოაზროვნე ახალგაზრდა. ამ გზით მიღებული უნარ-ჩვევები გახდება საფუძველი, რომლითაც ახალგაზრდები კონკურენტუნარიან გარემოში მონახვენ რელევანტურ გზებს გადაწყვეტილებათა მისაღებად, შეძლებენ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკური მოვლენების საფუძველიან, ყოველმხრივ გაანალიზებას და შეფასებას.

ლიტერატურა:

1. განვითარებისა და სწავლის თეორიები, ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბ., 2008.
2. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016.
3. ისტორიის საგანმანათლებლო როლი სკოლებში იოკე, ვან დერ ლეუ როორდი, ჟურნალი „ისტორიკოსი“, №1, თბ., 2011.
4. კონსტრუქტივიზმი, მანანა მელიქიშვილი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2012.
5. სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მართვა, შეფასება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (სატრენინგო მასალა), თბ., 2014.
6. საქართველოს ისტორია, მე-9 კლ. სახელმძღვანელო ნ. ასათიანი, მ. ლორთქიფანიძე, ფ. ლომაშვილი, რ. მეტრეველი, გ. სანიკიძე, თბ., 2014.
7. საქართველოს ისტორია, მე-9 კლ. მასწავლებლის წიგნი, თბ., 2014.
8. ჩვენი საქართველო, მე-5 კლ. სახელმძღვანელო, მ. სურგულაძე, ნ. მინდაძე, ვ. ნეიძე, კ. ხარაძე, თბ., 2014.
9. ჩვენი საქართველო, გზამკვლევი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, V-VI კლასები, თბ., 2011.

Manana Michitashvili
Gori State Teaching University
CONSTRUCTIVIST APPROACH IN PLANNING OF HISTORY LESSONS
RESUME

The paper presents a new constructivist approach in planning of the history lesson. This approach bases on teaching and learning process which concentrates on a student who is a “constructor” of knowledge himself/herself within historical environment rather than a passive receiver of transferred knowledge.

The main idea of constructivism while teaching the public disciplines is to teach students not only how to collect new information through comparison of old and new knowledge but to how to process obtained information. In this respect, it is also important to teach students how to construct knowledge: that is how to identify the key and special ideas as well as determine the objectives in the primary or secondary sources, search for alternative decisions, make independent judgment or evaluate the results, etc.

The skills obtained through constructivism will be the bases enabling students to perform a scrupulous and comprehensive analysis and assessment of the events occurring in Georgia or modern world.

ნინო მოდებაძე

იაკობ გოგებაშვილი სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნათია გაბაშვილი

იაკობ გოგებაშვილი სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**დაწყებითი განათლების კურიკულუმში მულტიკულტურული განათლების
განხორციელების ზოგიერთი სტრატეგია**

კულტურის უამრავი განმარტება არსებობს და ყველა მეტ-ნაკლებად მართებულია. საერთო, რაც ყველა განმარტებას შორის იძებნება, არის ის, რომ კულტურა ადამიანთა ჯგუფის შრომისა და ფიქრის შედეგად შექმნილი გარემოა. მულტიკულტურალიზმი კი სხვადასხვა კულტურული წარმომადგენლისაგან შემდგარი ერთობლივი გარემო. „მულტიკულტურული განათლების იდეა ის გახლავთ, რომ ყველა ადამიანს, განურჩევლად სქესისა, სქესობრივი ორიენტაციისა, სოციალური კლასისა და ეთნიკური, რასობრივი ან კულტურული მახასიათებლებისა, სწავლის თანასწორი უფლება უნდა ჰქონდეს“ [4]. ხოლო, მულტიკულტურული განათლების მიზანია სწავლება სხვადასხვა კულტურის შესახებ, რათა მიღწეულ იქნას მიმდებლობა განსხვავებული კულტურის მიმართ.

მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, ადამიანთა შორის თანაბარძალოვანი ურთიერთობა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. დემოკრატიული მულტიკულტურული საზოგადოება ხასიათდება სამოქალაქო თანასწორობით, ტოლერანტობითა და აღიარებით. ამ ტიპის მოქალაქეთ ჩამოყალიბება რთული და ხანგრძლივი პროცესია და მასში განათლებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. ყოველივე ამისათვის, განათლების სისტემამ, რეფორმის ფარგლებში, უნდა უზრუნველყოს რომ შექმნას ისეთი სასწავლო გარემო და შეიმუშაოს ისეთი სტრატეგიები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობას, გახდეს თანაბარძალოვანი ნებისმიერ მულტიკულტურულ გარემოში. ასე რომ, დღეს, საქართველოს განათლების სისტემის რეფორმის პრიორიტეტია, მხედველობაში მიიღოს საზოგადოების მულტიკულტურული თავისებურებანი და ამით, ხელი შეუწყოს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის მშვიდობიან ურთიერთობას. ეს პრიორიტეტი გამოკვეთილია საქართველოს განათლებასთან დაკავშირებულ ყველა სამართლებრივ დოკუმენტში (კანონები ზოგადი და უმაღლესი განათლების შესახებ, შრომის კოდექსი, ეროვნული სასწავლო გეგმა); ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლის ერთ-ერთი ძირითადი მისიაა: „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ, სწავლა-სწავლების პროცესში, ხელი უნდა შეუწყოს ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას, ასევე, შემოქმედებითი და

თანამშრომლობითი გარემოს შექმნას სკოლის საზოგადოების წევრებისათვის“, რაც გულისხმობს იმას, რომ განსხვავებული იდენტობების მქონე მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ გარანტირებული თანასწორობის ურყევი განცდა.

მულტიკულტურული განათლება, ისევე, როგორც ზოგადად განათლება, თავისი არსით, უწყვეტი პროცესია თავისი ჩამოყალიბებული სისტემური მიზნებით. იგი ორიენტირებულია განათლების თანასწორობაზე და დისკრიმინაციის ყოველგვარი გამოვლინების აღმოფხვრაზე, რომელიც არც თუ ისე იშვიათობაა საზოგადოებაში.

მულტიკულტურული განათლების ერთ-ერთი ფუძემდებლის, ჯეიმს ბენკსის აზრით, განათლების მუშაკი, საზოგადოებრივ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული პრობლემების შემცირებას შემოქმედებითად რომ მიუდგეს, უნდა ფლობდეს მულტიკულტურული განათლების კონცეფციებს, პრინციპებს, თეორიასა და პრაქტიკას. მისივე განმარტებით, მულტიკულტურული განათლება: „ეს არის იდეა, კონცეფცია, საგანმანათლებლო რეფორმა და პროცესი“ (9). მისი განხორციელება, ვთვლით, რომ ადრეული ასაკიდანვე უნდა დაიწყოს სათანადო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი პედაგოგთა გუნდის მიერ. რა უნდა იცოდეს პირველ რიგში მასწავლებელმა, რომელიც მოღვაწეობს მულტიკულტურულ გარემოში:

- მოსწავლეებს ყოველდღიურად სჭირდებათ მიკუთვნებულობის, დაფასებისა და აღიარების განცდა;

- მოსწავლეთა კულტურა ფასეულია და მათი კულტურული იდენტობა უნდა განმტკიცდეს გაკვეთილებისა და სწავლების გზით.

საქართველოში გარკვეული ნაწილი ეთნიკურად არაქართველია და უკანასკნელ პერიოდში მათი რიცხვი უფრო იზრდება. ქვეყანაში არსებული მრავალფეროვნება ასახულია საქართველოში არსებული არაქართულენოვანი საჯარო სკოლების არსებობის მაგალითზე. ეთნიკური უმცირესობები არიან კახეთის რეგიონშიც (აზერბაიჯანელები და ქისტები), სადაც მდებარეობს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აქ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისა სტუდენტები სწავლობენ, რომლებსაც განსხვავებული ტრადიციები, კულტურა და ადათ-წესები აქვთ. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მასწავლებლის მომზადების კურიკულუმში, მეტად აქტუალურია მულტიკულტურული განათლების ეფექტური განხორციელების სტრატეგიების ჩამოყალიბება. მულტიკულტურული გარემო პედაგოგებს ავალდებულებს მულტიკულტურული განათლების პრინციპებისა და სტრატეგიების ცოდნას. ხოლო მომავალი პედაგოგები, იმასთან ერთად, რომ იღებენ თეორიულ და პრაქტიკულ კომპეტენციებს მულტიკულტურულ საზოგადოებაში დასამკვიდრებლად, გარკვეული დროის შემდეგ თავად გახდებიან მისი პრინციპების პრაქტიკაში განმახორციელებლები.

მათ, მეცნიერ შალვა ტაბაძის მიხედვით, მულტიკულტურული განათლების ელემენტების გამოყენებით უვითარდებათ :

ა) მრავალმხრივი ხედვა;

ბ) კონფლიქტის თავიდან არიდების უნარი;

გ) ღირებულებების მიმართ პატივისცემა [1].“

რომელთა დაფუძნება პროფესიულ მოღვაწეობაში მათი პირდაპირი მოვალეობა იქნება.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების კურიკულუმის გადაწყობაც ამ პრინციპების გათვალისწინებით განხორციელდა. ამჯერად, ჩვენს ყურადღებას ვამახვილებთ კურიკულუმის არა სასწავლო კომპონენტებზე, არამედ პედაგოგიურ პრაქტიკაზე, რომელიც მულტიკულტურულ გარემოში ინტერაქციის, ამ მიმართულებით ცოდნის პრაქტიკაში განხორციელების საუკეთესო საშუალებაა.

პროგრამა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემუშავებულია უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე და დაწყებითი განათლების მასწავლებლების მომზადებას ისახავს მიზნად. პროგრამაზე ორასამდე სტუდენტი სწავლობს, სადაც ქისტი და აზერბაიჯანელი სტუდენტების გარკვეული რაოდენობაა წარმოდგენილი. კურიკულუმში ინტერკულტურული განათლების უკეთ განხორციელებისა და სტუდენტების ქართულენოვან გარემოში ინტეგრაციისათვის, დაგეგმილია, რომ პედაგოგიური პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტები გაგზავნილ იქნენ არა საკუთარ სოფლებში, როგორც აქამდე ხდებოდა, არამედ ქალაქის ქართულ სკოლებში. როგორც მონიტორინგმა და კვლევამ დაადასტურა, გარკვეული სიმწიფეების მიუხედავად, პოზიტიური შედეგები დაფიქსირდა აღნიშნული სტრატეგიის საპილოტე განხორციელებისას. ჩვენი ჰოპოთეზა დაადასტურა სტუდენტებთან ინტერვიუმაც. ისინი უფრო თავდაჯერებული და მოტივირებული გახდნენ უცხოენოვან გარემოში ინტეგრაციის პროცესში. შესაძლებელია პირიქითაც, ქართველი სტუდენტები გავგზავნოთ პანკისისა და ყარაჯალის სოფლის სკოლებში, სადაც სწავლება ძირითადად ქართულ ენაზე მიმდინარეობს. მომავალმა მასწავლებელმა, სასურველია, რომ გამოიმუშაოს საკუთარ პრაქტიკაზე რეფლექსიის ჩვევა და ამ პროცესში დააკვირდნენ

საკუთარ მულტიკულტურული კომპეტენციების დინამიკას. ამ მიზნით, პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტებს მოეთხოვებათ პორტფოლიოს წარმოება, რომელშიც ასახულია მისი რეფლექსია. ჩატარებული გაკვეთილების ვიდეოფირზე აღბეჭვდა სტუდენტს საშუალებას აძლევს გააანალიზოს მოსწავლეებთან ინტერაქცია, კლასის მართვის მეთოდები, მულტიკულტურული კომპეტენციები. სასარგებლოა კოლეგების (სტუდენტების) გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და შეფასება, რომლებიც ასევე დადებითად იმოქმედებს ამ მიმართულებით სტუდენტის ქცევისა და დამოკიდებულების განვითარებაზე.

ამრიგად, მულტიკულტურული განათლების განხორციელება აუცილებელი და საჭირო მოთხოვნაა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო კურიკულუმში, მითუმეტეს, მაშინ, როდესაც კახეთის რეგიონში საკმაოდ ბევრი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ცხოვრობს. მათი კულტურის, უნარ-ჩვევების, მრწამსის, ისტორიის გაზიარება და ინტეგრაცია ჩვენს ღირებულებებთან და ფასეულობებთან დაგვეხმარება ვიყოთ უფრო ტოლერანტულები:

„გმირობის გამოცდას ვაბარებთ მაშინ, როცა უმცირესობაში ვართ, ტოლერანტობის გამოცდას კი - უმრავლესობაში ყოფნის დროს“ (6). ტოლერანტობა ხომ მთავარი გამოწვევაა საქართველოში საზოგადოებრივი მრავალფეროვნების არსებობისა და განვითარების პირობებში.

ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა. 2011.
2. ინტერკულტურული განათლება - პედაგოგიური მიდგომები, საკითხავი მასალა სალექციო კურსისათვის. თბილისი, 2015.
3. კაპანაძე ნ., მულტიკულტურული და ინტერკულტურული განათლება, თბილისი, 2014.
4. მრავალენიკური და მრავალკულტურული საქართველო, საკითხავი მასალა სალექციო კურსისათვის, თბილისი, 2015.
5. ნოვიკი ბენიამინ, ტოლერანტობის რელიგიურ-ფილოსოფიური საფუძვლები, „სოლიდარობა“ საქართველოს სახალხო დამცველის ყოველთვიური ჟურნალი, 2006, №3.06.
6. ტაბაძე შ., ინტერკულტურული განათლება, თბილისი, 2008.
7. ქუინი დ., მოსწავლეთა უმცირესობის ეფექტური სწავლების სტრატეგიები. თბილისი, 2010.
8. ჭიაბრიშვილი ნ., შესავალი მულტიკულტურულ განათლებაში. თბილისი, 2015.
9. JAMES A. BANKS & CHERRY A. MCGEE BANKS, MULTICULTURAL EDUCATION: ISSUES AND PERSPECTIVES, 7TH ED, WILEY, 2010.

Nino Modebade

Iakob Gogebashvili Telavi State University

Natia Gabashvili

Iakob Gogebashvili Telavi State University

SEVERAL STRATEGIES OF IMPLEMENTING MULTICULTURAL EDUCATION IN PRIMARY EDUCATION CURRICULUM RESUME

Multicultural education is the means which can change people's intercultural relations towards better. In modern civilized world this issue has become more actual. As a result of researches carried out in Georgia, Georgia is distinguished with its ethnic diversity; ethnic minorities live in Kakheti region as well (Azerbaijanis, Kists) where Telavi State University is located. Problems of Georgia's ethnic diversity is one of the priorities for Georgian Educational system. That's why it's natural that forming strategies of implementing Multicultural education for university curricular has become more and more active. The scientific paper offers recommendations about educational strategies, that were specifically created for implementing Multicultural education for Teacher Preparation Curricular in Telavi State University.

შებრუნებული საკლასო ოთახი

გაკვეთილი რთული საგანმანათლებლო პროცესია, რომლის მიზანია მოსწავლეთა ინტელექტუალური და შემეცნებითი უნარების განვითარება. ასეთი მიზანი ყოველ გაკვეთილს გააჩნია, მაგრამ ინტეგრირებული გაკვეთილი საუკეთესო საშუალებაა დასახული მიზნის მისაღწევად.

ჩემი გაკვეთილი მოიცავდა შემდეგ საგნებს: ქართული ენა და ლიტერატურა, ბუნებისმეტყველება, ხელოვნება და ისტ ტექნოლოგიები. გაკვეთილის თემა იყო „თეთრი ყვავილი და თეთრი პეპელა“. გაკვეთილი ჩატარდა შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელით. მოსწავლეებს წინასწარ გადავუზავნე ელექტრონული წიგნი. დავაკვირდით ბუნების მოვლენებს: როდის ამოდიან ყვავილები, რა ფერის შეიძლება იყოს ყვავილი. შევადარეთ ერთმანეთს ყვავილი და პეპელა. ბავშვებმა აღნიშნეს, რომ ორივე არსებითი სახელია, მაგრამ ერთი სულიერია, მეორე - უსულო. ისაუბრეს რა პირობებია იმისათვის საჭირო, რომ მცენარემ იცოცხლოს. ბავშვებმა გაიხსენეს ყვავილების სახეობები, ისინი სიხარულით თვლიდნენ ყვავილების ფერებს ჯიშების მიხედვით. აღნიშნეს, წელიწადის რომელ დროს რომელი სახეობა ყვავილობს.

მათთვის ახალი იყო ინფორმაცია პეპლის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და სახეობათა მრავალფეროვნების შესახებ. ბუნებისმეტყველების გაკვეთილებიდან მათ იცოდნენ, რომ პეპელა მწერებს მიეკუთვნება.

მოსწავლეებმა შეავსეს ცნების რუკები პეპლისა და ყვავილის შესახებ. ვენის დიაგრამის საშუალებით მოძებნეს მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. ყურადღება მიექცა წინადადების ტიპებს. ცხრილში ჩამოთვლილ სიტყვებს მიუწერეს შესაბამისი კითხვები. დაფაზე გავარჩიეთ წინადადებები.

ბავშვებისათვის სახალისო აღმოჩნდა ბუკებში გადაგზავნილი ტესტური დავალება, სადაც დასმული იყო კითხვები გაკვეთილიდან. ტესტებში ფერების ჩასხმით მონიშნეს მათთვის სასურველი პასუხები.

გაკვეთილი დავასრულეთ 3,2,1, მეთოდის გამოყენებით. მოსწავლეებმა აღნიშნეს 3 რამ, რაც მათ იცოდნენ პეპლებსა და ყვავილებზე, 2 რამ, რაც გაიგეს გაკვეთილის შესწავლის შემდეგ და დასვეს 1 კითხვა, რაც აინტერესებდათ.

გაკვეთილით იმდენად მოიხიბლნენ, რომ სურვილი გამოთქვეს სკოლის ეზოც გაელამაზებინათ. საამისოდ ნებართვა სკოლის დირექტორს ვთხოვეთ. პატარებმა თვითონ შეადგინეს განცხადება სკოლის დირექტორის სახელზე, სადაც სთხოვდნენ, ადგილი გამოეყო ყვავილების დასარგავად. დირექტორის ნებართვით ეზო ყვავილებით მოვრთეთ.

დაიგეგმა გასვლითი საგანმანათლებლო ღონისძიება ახლომდებარე მინდორში პეპლებზე დასაკვირვებლად.

შედეგი: გაკვეთილის შედეგად მოსწავლეებს გამოუმუშავდათ ბუნების მოვლენებზე დაკვირვების უნარი. გააცნობიერეს, რომ ყვავილები ცოცხალი ბუნების ნაწილია და იმისათვის, რომ მათი სილამაზით დავტკბეთ, მათ მოვლა და გაფრთხილება სჭირდებათ. გამოუმუშავდათ კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. ესგ შესაბამისად შეძლეს თავიანთი ხელით შეექმნათ და ფურცელზე გადაეტანათ ბუნების ეს მშვენიერი არსებები. დაინტერესდნენ პეპლების სახეობებით. გამოთქვეს სურვილი, რომ პეპელას აღარასოდეს დაიჭერდნენ მისი მოკლე სიცოცხლის გამო და მას მეტ თავისუფლებას მისცემდნენ.

შეძლეს მოთხრობის გმირების დახასიათება. გაიხსენეს ანდაზები, რომლებიც მოთხრობას შეეფერებოდა.

ესგ-ს შესაბამისად საკუთარი ხელით შეადგინეს დირექტორთან მისატანი განცხადების ტექსტი.

Ani Nakhtsrishvili
LEPL - Gori Municipality Village Tinikhidi Public School
FLIPPED CLASSROOM
RESUME

In this work was discussed the lesson which was conducted with the pattern of the returned classroom. The theme of the lesson was “white flower and white butterfly”. The lesson was composed with following subjects: Georgian language and literature, natural science, computer technology. Pupils talked about the feature of flowers and butterflies and about their significance in nature.

After the mastering of the material pupils desired to observe the butterflies in nature. They made a statement where they asked the principal for the place in the schoolyard, where they could plant flowers. With permission of the principal, they decorated schoolyard with flowers. They also made arrangements for observation the butterflies.

ჰამლეტ რაზმაძე
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დაწყებით კლასებში (1-3) სპორტის სწავლების ზოგიერთი თავისებურებანი

ფიზიკური აღზრდა კულტურის შემადგენელი ნაწილია. ფიზიკური კულტურის ისტორიას თუ გადავხედავთ, ფიზიკურ აღზრდას სოციალურად მნიშვნელოვანი ხასიათი ჰქონდა. ძველ საბერძნეთში ფიზიკური აღზრდის რამოდენიმე სკოლა იყო. მათში გამოირჩეოდა სპარტის ფიზიკური აღზრდის სისტემა. ფიზიკური აღზრდის ძირითადი მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ იგი მოზარდი თაობის ფიზიკურ მომზადებას უწყობს ხელს, მოქმედებს მის სულიერ სამყაროზე, ესთეტიკურ გემოვნებაზე და სხვა. ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების ფონზე ძალზე დაქვეითებულია ქართული ეროვნული ფიზიკური აღზრდის სისტემა. მიმდინარეობს ჩვენს სკოლებში. თითქმის დანგრეულია და განადგურებულია სპორტული ინფრასტრუქტურა. არ არსებობს სპორტული ინვენტარი, გაძარცვულია სპორტული დარბაზები და ბაზები. არ ტარდება სკოლაში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები, რაც ტარდება უხარისხოდ მიმდინარეობს. პროგრამები ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს, ვერ ხერხდება ჰიგიენური პირობების დაცვა. დაწყებითი კლასები აღჭურვილია შეუფერებელი მერხებით, რომელიც იწვევს სქოლიოს და ხერხემლის სხვადასხვა დაავადებებს.

ბავშვებისათვის ერთ-ერთი საყვარელი გაკვეთილია ფიზიკულ კულტურის გაკვეთილი. იგი განტვირთვის საშუალებაა აკადემიური მეცადინეობებით გამოწვეული გადაღლის შემდეგ. ამ გაკვეთილებზე ვლინდება ბავშვის ხასიათი, რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს კარგად ჩასწვდეს მოზარდის ბუნებას. ფიზიკური აღზრდის პროცესში სხვადასხვა მოძრაობა და სპორტული თამაშების ფართოდ გამოყენება გვაძლევს საშუალებას მოზარდ თაობას განუვითაროთ ფიზიკური თვისებები, და სხვა მოქალაქეობრივი უნარ-ჩვევების აღზრდის საშუალებასაც წარმოადგენს. ფიზიკურ აღზრდას გარკვეული წვლილი შეაქვს მოზარდის საზოგადოებრივ აქტიულობაში, პიროვნებათა შორის ურთიერთობის სრულყოფაში. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ერთ-ერთი ადგილია, სადაც ფიზიკური კულტურა და სპორტი აუცილებელი სასწავლო საგანია და ყველასთვის ხელმისაწვდომია. აქედან გამომდინარე, ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი უნდა იყოს ღრმად განათლებული ამ სფეროში.

უმცროს სასკოლო ასაკში (6-10 წ.წ) მიმდინარეობს ორგანიზმის აპარატის განვითარება და მოტორული კოორდინაციის სრულყოფა. ამ ასაკში სხეულის ჩონჩხი ინტენსიურად ვითარდება, აგრეთვე ხდება კუნთების განვითარება, რის გამოც ბავშვებს უადვილდებათ გაშლილი მოძრაობების შესრულება. ამ ასაკში ფიზიოლოგიური თვალსაზრისით აგზნებით პროცესები სჭარბობს შეკავებით პროცესებს. ამ ასაკში ბავშვები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი იმოძრაონ, აქედან გამომდინარე სწრაფად ვითარდება დაღლა, ამიტომ არ უნდა გამოვიყენოთ ისეთი ვარჯიშები, რომლებიც მეტ სიზუსტეს და ყურადღების კონცენტრაციას მოითხოვს. 6-10 წლის ასაკში ტორსი ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ არის. ამიტომ უნდა

მოვერიდოთ ისეთი ვარჯიშების გამოყენებას, რომელიც გამოიწვევს ძვალ-სახსროვანი სისტემის დეფორმაციას. უფრო დიდი ყურადღება უნდა გამახვილდეს მუცლისა და ზურგის კუნთების განვითარებას, ამიტომ 6-10 წლის ასაკში კარგია ცურვა.

სასწავლო აღმზრდელობითი პროცესი უმცროს კლასელებზე ემოციურად მოქმედებს, მასწავლებელი ფრთხილად უნდა იყოს მათ მიერ შესრულებული ვარჯიშის შეფასებისას. აქედან გამომდინარე მასწავლებელმა ყოველ გაკვეთილზე ახალი ელემენტები უნდა შეიტანოს, რათა არ გახდეს მეცადინეობა მოსაწყენი. ამ ასაკის ბავშვთა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილი უნდა დაიტვირთოს მოძრავი თამაშებით როგორც ხალხური, ისე თანამედროვე ტიპის.

უმცროს სასკოლო ასაკში ინტენსიურად ვითარდება ცნობისმოყვარეობა, ძლიერდება ინტერესი სპორტისადმი. მოსწავლეებს აინტერესებს შეჯიბრში მონაწილეობის მიღება, რათა გამოსცადოს თავისი შესაძლებლობები, ისწრაფის გამარჯვებისაკენ, თავისი გუნდის გამარჯვებისათვის არ ზოგავს ენერგიას.

ამ ასაკის ბავშვებში გოგონებისა და ბიჭების დატვირთვა განსაკუთრებულია, ბიჭებს იტაცებს უფრო წინააღმდეგობრივი ვარჯიშები და მათი გადალახვის სურვილი. გოგონები კი უფრო მიისწრაფიან რიტმული ხასიათის ვარჯიშებისაკენ. აქედან გამომდინარე ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი ვალდებულია ჩაატაროს კომბინირებული შეჯიბრითი ტიპის თამაშები (მაგალითად მხიარული სტარტები) ისეთი მოძრავი თამაშები, რომელშიც ჩართული იქნება მხატვრული ტანვარჯიშის მარტივი ელემენტები.

ამ ასაკში ვითარდება ნებელობა, ნებისყოფა, 6-10 წლის ბავშვებს მიზნის მისაღწევად მოთმინება არ ყოფნით. დამარცხების ემოციური ფაქტორი უცბად გადაუვლით და წაგების ზრდის წყენაც მალე ავიწყდებათ. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებში ფიზიკური აღზრდის მიმართულება და ყურადღების გამახვილება შემდეგია: 1. ჯანმრთელობის განმტკიცება, 2. ტანადობის გაუმჯობესება, 3. ჰიგიენის შესახებ ცოდნის შეძენა, 4. გარემო პირობებისადმი წინააღმდეგობის გაწევა. 5. შეძენილი უნარ-ჩვევების განმტკიცება. ყველაფრის მისაღწევად გამოიყენება ვარჯიშები ტანვარჯიშიდან იგი ეხმარება ამ ასაკის ბავშვებს საერთო ფიზიკური თვისებების განვითარებაში, ბავშვებს უყალიბებს მოძრაობითი მოქმედებების ლამაზად, ზუსტად შესრულების უნარს. მძლეოსნობა, ვარჯიშები, სიარული, რბენა, ხტომები, ატყორცნები ხელს უწყობს ფიზიკურ განვითარებას, ორიენტაციის უნარს და სწორი ტანადობის ჩამოყალიბებას. თამაშები პედაგოგმა უნდა გამოიყენოს ყოველ გაკვეთილზე, რადგან კომპლექსური ზემოქმედება მოზარდის ორგანიზმზე ეს არის აუცილებელი პირობა ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის, თამაშის გავლენა მოზარდებს უყალიბებს გონებრივ და სულიერ შესაძლებლობებს, თამაში ყოფიერების მიკრო მოდელია და მოზარდი აქტიურად სწავლობს საზოგადოებაში ქცევის წესს. დადებით გავლენას ახდენს გარემო ძალები (მზე, წყალი, ჰაერი) და ჰიგიენა. მზის, წყლის და ჰაერის გამოყენება ხელს უწყობს სხეულის გაკაჟებას.

დაწყებით კლასებში გაკვეთილის ჩატარების მეთოდთა სხვა მოთხოვნებს ითვალისწინებს. ახალი მეთოდით მუშაობისას მთელი ყურადღება გადატანილია მოსწავლესა და მის აქტიურობაზე. ახალი მეთოდი მასწავლებლისგან მოითხოვს მაღალ პროფესიონალიზმს. მან ისე უნდა წარმართოს მეცადინეობის პროცესი, რომ მოსწავლეებისათვის შესასრულებელი დავალება სახალისო გახადოს. მასწავლებელმა მეცადინეობის ჩატარებისას უნდა გამოიყენოს ფრონტალური მეთოდი, ჯგუფური მეთოდი, ინდივიდუალური მეთოდი. მცირე ჯგუფებში წყვილებში გამომუშავებული ჩვევა კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენება ჯგუფური თამაშების დროს. ასეთი ტიპის მეცადინეობის სიმჭიდროვე მაღალია, რაც დადებით გავლენას ახდენს ფიზიკური თვისებების და ჯანმრთელობის განმტკიცებაში.

ლიტერატურა:

1. მეტვევეი ლ., ნოვიკოვი ა. – „ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდთა“, I ტომი, 1979.
2. „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდის საფუძვლები“, I ნაწილი, ავტორთა ჯგუფი. რედაქტორი გ. კახიძე, 2002.
3. „სპორტის თეორია“ - ავტორთა ჯგუფი, რედაქტორი გ. კახიძე, 2007.
4. მიქაბერიძე თ., ლომიძე ე. – „სპორტული ჰიგიენა“, 2005.
5. მაისურაძე მ. – „მოძრავი თამაშობათა მეთოდთა“, 1968.
6. „მოძრავი თამაშები სკოლაში, I-IV კლასი, დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელო სპორტის მასწავლებლებისთვის.“ 2012 წ. - თ. მანჯავაძე, ლ. კიკალიშვილი, ავტორთა ჯგუფი, საქ. ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაცია, საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, UNICEF.
7. „მოძრავი თამაშები კრებული, I-IV კლასი,“ 2012. - თ. მანჯავაძე, ლ. კიკალიშვილი, ავტორთა ჯგუფი, საქ. ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაცია, საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, UNICEF.

Hamlet Razmadze
Iakob Gogebashvili Telavi State University
PARTICULARITIES OF TEACHING SPORTS IN THE ELEMENTARY CLASSES (1-3)
RESUME

Physical training as a studying discipline has its own specifics at public schools on first, second and third grades. The main goal of the program is to improve newly gained skills. A public school is the only public institute, where studying physical training. That is why, teacher of physical training has to be widely educated, has to be highly qualified and interested in different kinds of sports as national as well as classic. Because each of the lesson has to be interesting for pupils. Teacher has to be able to help pupils understand clearly the importance of physical training and its aims, also to study key factors of health life style.

თამარ ყულიაშვილი
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბის საჯარო სკოლა

პროექტებით სწავლება

სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია კვლევაზე/პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, რადგანაც კვლევა არის ახალი ცოდნის ძიება და მისი სისტემატური დოკუმენტირება ანგარიშის, სტატიისა თუ პროექტის სახით. პროექტები, რომლებიც ჩვენს სასკოლო პრაქტიკაში იწერება, აკადემიური ბადის შემადგენელი ნაწილია. პროექტებზე დაფუძნებული სწავლება კი ახლოა იმ მიდგომასთან, რასაც თანამედროვე საგანმანათლებლო თეორიებში პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებას უწოდებენ.

პროექტებით სწავლა განსაკუთრებით ხელსაყრელია ისეთი უნარების განსავითარებლად, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვა. პროექტის მსვლელობისას დავალებები შეიძლება იყოს მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, ერთობლივი და შედარებითი კვლევები, პრეზენტაციები, ვიზიტები მუზეუმებში, არქეოლოგიური გათხრების ადგილებზე, ლაბორატორიებში, სამეცნიერო დაწესებულებებში და ა. შ. თანამშრომლობა მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, თუ მონაწილე ჯგუფებს აქვთ საკმარისი მოტივაცია და დამატებითი ფუნქციების შესაძლებლობა, როცა ინიციატივა სკოლისგან, ან შესაბამისი მონაწილე ჯგუფისგან მოდის და არ არის განპირობებული გარე ზეწოლით. ადარავინ დავობს იმაზე, რომ სწავლის მოტივაცია მოსწავლის წარმატების უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს. განათლების ფსიქოლოგები სწავლის მოტივაციის განხილვისას ორ ძირითად ფაქტორს გამოყოფენ - შინაგანსა და გარეგანს. შინაგანი მოტივაცია ამა თუ იმ საკითხის/საგნის შესწავლის სურვილიდან გამომდინარეობს. ის მოსწავლის თანდაყოლილ ინტერესებზე, კომპეტენციის ზრდისა და საკუთარი თავის სრულყოფის მოთხოვნილებაზეა დამოკიდებული. მასწავლებლებმა სწორედ შინაგანი მოტივაციის გასაძლიერებლად არ უნდა დაიშურონ ძალისხმევა, მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მოსწავლეს სწავლაზე ორიენტირებული საზოგადოების ნაწილად ვაგრძნობინოთ თავი, შევუქმნათ ღია, პოზიტიური ატმოსფერო საკუთარი მისწრაფებებისა და მონაცემების გამოსავლენად.

სასწავლო პროექტების მართვისას მასწავლებელი არა ხელმძღვანელის, არამედ კურატორის, ფასილიტატორის ფუნქციებით სარგებლობს. არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეები გაცილებით უკეთ ართმევენ თავს პრობლემის მართვას, როდესაც კვლევას თავად გეგმავენ და საკუთარი გამოცდილებების საფუძველზე სწავლობენ. ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია, რომ ცოდნის შეძენის პროცესი მიმართული უნდა იყოს არა ზემოდან ქვემოთ – მასწავლებლიდან მოსწავლისკენ, თეორიიდან პრაქტიკისკენ, არამედ, პირიქით: დასკვნები კანონზომიერების შესახებ მაგალითიდან გამომდინარე უნდა ყალიბდებოდეს. ამის თვალსაჩინო მაგალითად გამოგვადგება ზმნის კატეგორიების შესწავლა სკოლაში, როდესაც მოსწავლეებს ვაწვდით თუნდაც ყველაზე მარტივ ფორმულირებას ქართული ზმნის სხვადასხვა კატეგორიის შესახებ, მათი

ენერგია მთლიანად მიმართულია ე.წ. „წესის“ დაზეპირებისკენ. იმ შემთხვევაში კი, თუ ისინი პირსა და რიცხვს, გარდამავლობას, ქცევას, კონტაქტსა და გვარს, როგორც მოვლენებს, გააანალიზებენ მაგალითების, შედარებებისა და სხვადასხვა პრაქტიკული სავარჯიშოს საფუძველზე, თავად შეძლებენ თითოეული კატეგორიის რაობის განსაზღვრას. სწორედ ეს არის ინტერაქტიული სწავლების მთავარი ხიბლი. მასწავლებლის ფუნქციების მოსწავლეებისთვის ნაწილობრივი გადანაწილება მისი როლის დაკნინებას, ან პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას სრულებითაც არ ნიშნავს. მასწავლებელმა მოსწავლეთა აქტივობას თვალყური უნდა ადევნოს და საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს მათ სწორი აქცენტების დასმაში.

პროექტზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა სწორედ ინტერაქტიულობის მაღალი ხარისხია. მოსწავლეთა გააქტიურება და სასწავლო პროცესში მათთვის დამოუკიდებლობის მინიჭება, ერთი მხრივ, ზრდის მათ პასუხისმგებლობას და ამასთანავე, მოზარდებს უვითარებს თანამშრომლობით, კვლევით და ანალიზურ უნარებს. ისინი არჩევის გაკეთებას და გადაწყვეტილების მიღებას სწავლობენ. ამდენად, პრობლემის მართვა, პროექტის დიზაინი და კვლევა-ძიების პროცესის სადავეები მათ ხელშია. საბოლოო ჯამში, ყოველივე აღნიშნული მოსწავლეს სოციალურ, ემოციურ, ესთეტიკურ, კოგნიტიურ უნარებს, ფიზიკურ და მორალურ მხარეებს უვითარებს.

პროექტებით სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა თანამშრომლობითი უნარის განვითარებაა. თანამშრომლობითი სწავლა გუნდური მუშაობის პრინციპზეა აგებული. გუნდში გაერთიანებულნი არიან სხვადასხვა დონის, სწავლის სტილის, შესაძლებლობის, ეთნიკური და სოციალური წარმომავლობის მოსწავლეები. გუნდის მიზანია, ერთობლივად მიაღწიოს მიზანს. ეს განაპირობებს თითოეული წევრის პასუხისმგებლობას და ერთმანეთის დახმარების სურვილს. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, ჩამოაყალიბონ იდეები, მიიღონ გამოცდილება თავიანთი მოსაზრებების პრეზენტაციის დროს, განივითარონ თანმიმდევრულობა, გამოავლინონ თავიანთი ნაკლოვანებები ან დამატებითი ცოდნის-ინფორმაციის საჭიროება. ისინი მასწავლებლის როლს ირგებენ ჯგუფებში. ერთობლივად კითხულობენ ტექსტს ან ასრულებენ დავალებას და შემდეგ ინაწილებენ მასალას სწავლებისთვის.

თუ 21-ე საუკუნის უნარებზე შევაჩერებთ ყურადღებას, უნდა აღინიშნოს, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს წინარე ცოდნაზე ახლის დაშენებას და დისციპლინათმორისი გამოცდილებების გამთლიანებას. პრობლემა, რომელსაც მოსწავლე იკვლევს, როგორც წესი, შემოიფარგლება არა ერთი საგნის დისციპლინური ცოდნით, არამედ სხვადასხვა საგნობრივ გამოცდილებებს გადაკვეთს. სასწავლო პროექტების განხორციელების შედეგად მოსწავლეებს სხვადასხვა დისციპლინური გამოცდილების სინთეზის უნარი გამოუმუშავდებათ. ამის დასასაბუთებლად ერთ მაგალითს მოგიყვანთ საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებიდან: ჩემი კლასის მოსწავლეებმა განახორციელეს სკოლათმორისი პროექტი „ჩემი სოფლის ეტიუდები“ ტინისხიდის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად, რომლის მიზანიც იყო საკუთარი სოფლის ტერიტორიაზე არსებული ხუროთმოძღვრული ძეგლების, საკულტო ნაგებობებისა და სოფლის ისტორიული წარსულის შესახებ მოსახლეობაში გაზრდილი თქმულებების, საგანმანათლებლო დაწესებულებების ისტორიის კვლევა და აუდიტორიისთვის გაცნობა.

თავდაპირველად მოსწავლეები სურვილისამებრ დაწყვილდნენ და დავალებებიც თავიანთი ინტერესების მიხედვით გადაინაწილეს. სურვილის მიხედვით არჩევის გაკეთება მოსწავლეს დაეხმარება განსაზღვროს, თუ რა შეუძლია, არჩეული დავალება კი ზრდის მის მოტივაციასა და პასუხისმგებლობას, რაც წარმატების საუკეთესო საშუალებაა.

დავალებები ასე განაწილდა: I ჯგუფი - სოფლის გეოგრაფიული მდებარეობა, ტოპონიმები და მოსახლეობა. დავალებაზე მუშაობის პროცესში მათ შეადგინეს სოფლის გეოგრაფიული რუკა, გამოიყენეს ინტერნეტით მოძიებული კოსმოსიდან გადაღებული სოფლის ხედები, ფოტოკამერით გადაიღეს სოფლის მნიშვნელოვანი ადგილები, ინფრასტრუქტურა, მოიძიეს მათი დაარსების შესახებ ინფორმაციები როგორც ადგილობრივ თემში, ასევე თემის საკრებულოში, გრაფიკულად-დიაგრამებით გამოსახეს მოსახლეობის რაოდენობის ყოველწლიური ცვლილება 2003 წლიდან დღემდე. რუკაზე მუშაობა და ინტერნეტ-საიტებით ინფორმაციის მოძიება, ასევე ფოტოკამერით მუშაობა, მოსწავლეს უმაღლეს დამოუკიდებლად ძიებისა და კომუნიკაციის უნარს, ზრდის მოტივაციასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და გეოგრაფიის საგნობრივ ცოდნას.

II ჯგუფი - სოფლის ისტორია და ტრადიციები. მუშაობის პროცესში ჯგუფის წევრები დაუკავშირდნენ სოფლის უზუცესებს, შექმნეს ფოკუს-ჯგუფი და ინტერვიუს საშუალებით მათგან მოიძიეს სოფლის დაარსების განსხვავებული ვერსიები. ინტერვიუსთვის საკვანძო კითხვარი თავად შეადგინეს, მოამზადეს კვლევის ანგარიში. უზუცესებისგან მოიძიეს სოფელში ძველად არსებული ტრადიციები, ასევე დღემდე ჩვენთვის უცნობი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები: ანდაზები, გამოცანები,

სახუმარო ლექსები. მათ საფუძვლიანად შეისწავლეს ტექსტების შინაარსობრივი მხარე და ჟანრობრივი თავისებურებები. გააანალიზეს ის ენობრივი ფორმები და სინტაქსური წყობები, რომლებიც აღნიშნული ტექსტებისთვის არის დამახასიათებელი, ეს კი, სავარაუდოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის საგნის სწავლებას წაადგება;

ასეთი მუშაობის პროცესში მოსწავლეს უვითარდება ასევე სოციალური და საკომუნიკაციო უნარები.

III ჯგუფი - სოფლის არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული ძეგლები. ამ ჯგუფის წევრებმა იმუშავეს ძირითადად ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით და გამოიყენეს შესაბამისი ლიტერატურა. ასევე მოისმინეს ხალხში გავრცელებული ისტორიები სოფელში არსებული ღვთისმშობლის, წმინდა გიორგისა და მთავარანგელოზის ეკლესიების შესახებ. მოამზადეს ფოტო და ვიდეომასალა. ისტორიულ წყაროზე მუშაობა მოსწავლეს უვითარებს კვლევის უნარს, შემოქმედებითობასა და კრიტიკულ აზროვნებას. საკითხის კვლევის პროცესში ინფორმაციის შეგროვებისას გამოიყენეს აღწერითი მეთოდი, რაც ისტორიის საგნობრივ კომპეტენციაში მოიაზრება.

IV ჯგუფი - სოფელში არსებული გვარები და მათი ისტორია. ჯგუფის წევრებმა გვარის უხუცესებისგან საინტერესო და უჩვეულო ამბები მოისმინეს და ჩაიწერეს, გვართა ეტიმოლოგია ძირითადად ხალხურ ვერსიებს წარმოადგენს და შეიცავს უნიკალურ, აქამდე უცნობ მასალას. ამ შემთხვევაშიც მოსწავლეს უვითარდება სოციალური, საკომუნიკაციო და შემოქმედებითი უნარები.

V ჯგუფი - სოფლის სკოლის განვლილი გზა. მასალის მოსაპოვებლად ჯგუფის წევრები დაუკავშირდნენ როგორც სოფლის უხუცესებს, ასევე სკოლის ყოფილ მასწავლებლებს, მოძიებული ინფორმაციის გამოყენებით მოამზადეს სტატია. სტატიაზე მუშაობა მოსწავლეს შემოქმედებითობის, დამოუკიდებელი აზროვნების უნარსა და წერის კულტურას უვითარებს.

პროექტის მომდევნო ეტაპი მოძიებული ინფორმაციის დახარისხება იყო, რის შემდეგაც მოსწავლეებმა მოამზადეს პრეზენტაცია power-point-ის გამოყენებით. პრეზენტაციის შესაბამისად მათ მოამზადეს საკონფერენციოდ მოხსენებები აღნიშნულ თემებზე. დაამზადეს საინფორმაციო ბუკლეტი-„ტურისტული გზამკვლევი“.

პროექტის დასკვნითი ნაწილი იყო კონფერენცია, რომელიც ჩატარდა ტინისხიდის საჯარო სკოლაში ამ სოფლის მოსწავლეებთან ერთად. კონფერენციის დასასრულს მოსწავლეებმა გაავრცელეს ბუკლეტები - „ტურისტული გზამკვლევი“.

კონფერენციას ესწრებოდნენ და მონაწილეობა მიიღეს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი სოსიაშვილი, რექტორის მოადგილე, პროფესორი ალექსანდრე მღებრიშვილი და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი იოსებ ალიმბარაშვილი.

უნივერსიტეტიდან მიწვეულმა სტუმრებმა უპასუხეს დასმულ შეკითხვებს. გამოითქვა შემდგომი თანამშრომლობის სურვილი გორის უნივერსიტეტსა და სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა შორის.

პროექტზე „ჩემი სოფლის ეტიუდები“ მუშაობა გრძელდებოდა ორი თვის განმავლობაში, სკოლის მოსწავლეებმა წამოჭრილი პრობლემა გაითავისეს, წარმატებით გაართვეს თავი დასახულ მიზნებს და მიაღწიეს იმ შედეგებს, რომლებსაც პროექტის ხელმძღვანელები ველოდით. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლება სწავლა-სწავლების მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომლის შედეგადაც მოსწავლეს მრავალმხრივი უნარები უვითარდება, სწავლობს პრობლემის გადაჭრის გზებს, აქტიურადაა ჩართული პროცესში და მზადაა, მიღებული ცოდნა ცხოვრებაშიც გამოიყენოს.

დასკვნის სახით, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მისასალმებელია პროექტებზე დაფუძნებული სწავლების დამკვიდრება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. თუმცა ამ პროცესმა რომ მხოლოდ სკოლის მასწავლებელთა „მხრებზე“ არ გადაიაროს, პროცესში ჩართული უნდა იყოს სკოლის ადმინისტრაცია. მან უნდა უზრუნველყოს სკოლების მატერიალური ბაზის კეთილმოწყობა და ნიადაგი უნდა მოუმზადოს მრავალფეროვანი სასწავლო და აღმზრდელობითი პროექტების განხორციელებას ქართულ სასკოლო პრაქტიკაში.

ლიტერატურა:

1. ჯანაშია ს., სამაგლიშვილი შ., წერეთელი მ. დასხვ., პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, ნაწილი II, თბ., 2008.
2. გიუნაშვილი ზ., კოკილაშვილი ლ., ცოდნის კონსტრუირება პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული სწავლებისას, კრებულში: „დიალოგი+აღმანახი“, სტატიების კრებული 2009-2010, ტ. II, თბ., 2010.

Tamar Kuliashvili
LEPL - Gori Municipality Village Akhaldaba Public School
TEACHING WITH PROJECTS
RESUME

In the present paper “Teaching Projects” I will speak about an important component of the modern teaching and learning, such as training projects. Project-based learning is close to the approach, which in modern educational theories is called problem-oriented teaching. A number of studies have shown, that students are much better equipped to deal with problem management, when they plan to do research on their own and they learn things based on their own experiences. Making students’ active and granting them independence in learning process, increase their responsibility and at the same time, help develop cooperation, research and analysis skills. They learn to make choices and decisions. Students willingly take part in the learning process when they have an opportunity to combine two completely remote and separated worlds – school and life. Therefore, for students’ interest and motivation, the best solution a teacher can make is their involvement in training projects. Team work is prerequisite for the students’ productivity. Following from the mentioned examples we can be convinced once again, that project-based education is one of the most important components of teaching and learning, which results in the development of students’ diverse skills, their ability to find solution to important problems, to take an active part in the process and use acquired knowledge in real life.

მარინა ცოტნიაშვილი
სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯავშანიანის საჯარო სკოლა

ბილინგვალური მასწავლებლის პროექსიული როლის ჩამოყალიბების თავისებურებანი

სასწავლო გეგმების შემუშავებისას საგანმანათლებლო თეორეტიკოსები მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის აუცილებლობას უსვამენ ხაზს (მეხია და ტეხედა, 2003). დღეისათვის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო გეგმის შექმნაში არა მხოლოდ ექსპერტების, არამედ პრაქტიკოსი მასწავლებლების ჩართვასაც, რამეთუ პედაგოგები „სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები არიან და წარმოადგენენ იმ უზარმაზარ რესურსს, რომლებიც აკავშირებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს სპეციფიკურ სასწავლო სიტუაციაში“ (მაური და სხვები, 1993, გვ. 27 მეხია და ტეხედა, 2003). რიჩენტო და ჰორნბერგერიც იძლევიან რეკომენდაციას, რომ პრაქტიკული პედაგოგები მოექცნენ სასწავლო გეგმის შემუშავების შუალედში. ეს მოსაზრება განსაკუთრებით საგულისხმოა ქართული რეალობიდან გამომდინარე, რადგან ეთნიკური უმცირესობების განათლების საკითხი პოლიტიკურ ელფერს იძენს და განსაკუთრებით სათუთ მოპყრობას ითხოვს. სპეციფიკური საგნობრივი კურიკულუმების დამუშავება არ უნდა მოხდეს მხოლოდ ექსპერტების მიერ, როგორც ეს ქართული საჯარო სკოლებისთვის სასწავლო გეგმების შემუშავებისას მოხდა. ბევრად მართებულია, რომ მოხდეს ექსპერტების და პრაქტიკოსი პედაგოგების ურთიერთთანამშრომლობა ისინი ერთმანეთის დაბალანსებას მოახდენენ და ეს დადებითად აისახება კურიკულუმებზე როგორც საგნის შინაარსობრივი, ასევე მისი სოციალური და ადგილობრივი ინტერესების შერწყმის თვალსაზრისით. კულტურული ასპექტი კი მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტია სასწავლო გეგმის ეფექტურობისათვის ბილინგვურ სკოლებში. შმიტი-მადოქსი (1998) აღნიშნავს, რომ: „კულტურულად ადეკვატური სწავლებისას ინსტრუქციული სტრატეგიის გამოყენება აბსოლუტურად ცვლის სწავლების ფორმას და შინაარსს. ენერგია და ძალისხმევა წინა პლანზე იქნება წამოწეული პედაგოგთა მიერ და ისინი გაამლიერებენ არა მარტო მოსწავლეთა კულტურულ იდენტიფიკაციას, არამედ საშუალებას აძლევენ მათ, უკეთ გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები, დამოკიდებულებები და ცოდნა პროდუქტის თუ პროცესის შესახებ. ჰავორტი და სხვები (2004) აღნიშნავენ იმასაც, რომ ლიტერატურა ზუსტად ვერ საზღვრავს მასწავლებლის მნიშვნელობას ახალგაზრდების ბილინგვალიზმის განვითარებისას. ეს ახსნილია ასევე კრამერის თეორიების უმრავლესობაშიც, რომელიც თვლის, რომ „ენის უნაკლო ფლობა ბუნებრივი ათვისების პროცესში უფრო ხდება, ვიდრე სწავლების დროს“. ხრომსკი ასევე ხაზს უსვამს, რომ ენის ათვისება ბავშვს ბუნებრივ გარემოებებში შეუძლია. (ხრომსკი, 1965, ლენენბერგი, 1967) და, შესაბამისად, უკიდურესად

მნიშვნელოვანია ბავშვის ჩართვა თამაშზე დაფუძნებულ აქტივობებში. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც მოსწავლეებისათვის ბუნებრივი გარემოს შექმნა და შეუძლია მათი ჩაბმა თამაშზე დაფუძნებულ აქტივობებში, მასწავლებელია. აქედან გამომდინარე, მასწავლებლის მომზადება და გადამზადება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ბილინგვური საგანმანათლებლო რეფორმის განხორციელებისათვის.

როგორც ვარგესი (2004) აღნიშნავს, „ბილინგვური განათლების პოლიტიზებული და საკამათო ბუნებიდან გამომდინარე ბილინგვალი მასწავლებლის პროფესიული როლის განსაზღვრა დიდი მნიშვნელობის ფაქტორი ხდება“. ამავე დროს, ბილინგვალი მასწავლებლის როლი უფრო გაფართოებული სოციალური წნეხის და მათი პერსონალური გამოცდილებისა და ცხოვრების ფაქტორების გათვალისწინებით (ვარგესი, 2004). თუ ყველა ამ მოსაზრებას ქართულ კონტექსტში აღვიქვამთ, ადვილად მისახვედრია, რამდენად რთულია ბილინგვალი მასწავლებლის პროფესიული როლი. ერთი მხრივ, ბილინგვური განათლება მეტად პოლიტიზებულია, ადგილობრივი სოციალური რეალობა ძალიან რთულია, რადგან აქ ბევრი ადგილობრივი „მოთამაშე“, რომელიც ბილინგვური განათლების მოწინააღმდეგეა, ერთვება ამ პროცესში, ხოლო, მეორე მხრივ, თავად მასწავლებლები ადგილობრივ სკოლებში „არაბილინგვლები“ არიან (ისინი თავად არ ფლობენ სახელმწიფო ენას) და, შესაბამისად, ბილინგვური განათლების პოლიტიკა მათთვის ზედმეტი წნეხია. მათ თავად უნდა დაიწყონ სახელმწიფო ენის შესწავლა, რომ შემდგომ მომავალშიც ეთნიკური უმცირესობების სკოლაში მუშაობა. შესაბამისად, მათი პირადი ისტორია და გამოცდილება ვერ აისახება დადებითად ბილინგვური განათლების საქმეში და მათი პროფესიული, როგორც ბილინგვალი მასწავლებლების როლის ფორმირება საკმაოდ რთული გახდება ქართული რეალობიდან გამომდინარე.

ბილინგვალი მასწავლებლის პროფესიული როლის ჩამოყალიბება საკმაოდ მტკივნეულია და შესაბამისად მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას ამ პრობლემის გადაჭრისათვის. უპირველესად, საჭიროა, რომ ეს პრობლემა სრულიად გაიმიჯნოს პოლიტიკური კონტექსტიდან და მხოლოდ პროფესიული ხასიათი მიეცეს. პოლიტიზებული მასწავლებლის გადამზადება ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ამავე დროს რთულიც, რამეთუ თავად ეს თემატიკა არის პოლიტიზებული. შესაბამისად, მასწავლებლების გადამზადების კურსები სამი მიმართულებით უნდა განხორციელდეს:

- 1) მასწავლებლის პროფესიული როლი ბილინგვურ განათლებაში;
- 2) მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები ქართულ ენაში, და

3) მასწავლებლის გადამზადება ინტერაქტიულ მეთოდებში ბილინგვური სკოლებისათვის. ასევე მნიშვნელოვანია, ეფექტური სატრენინგო პროგრამების შექმნა სამივე ამ მიმართულებით, და აქ საერთაშორისო გამოცდილებას გადამწყვეტი როლი ენიჭება. როგორც ვერგესი (2004) აღნიშნავს: „მასწავლებლის მომზადებისას, ტრენინგი კარგად უნდა იყოს მორგებული იმ აქტუალურ სასწავლო გარემოს პრაქტიკას, რომელიც მასწავლებლის რეალობაშია. აუცილებელი მოთხოვნაა, რომ ბილინგვური მასწავლებლები კარგად იყვნენ გათვითცნობიერებულნი მასწავლებლობის შესწავლის ახალ აღქმაში (გვ. 234)“.

მას შემდეგ, რაც საქართველო ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა გახდა, ჩვენში შემოსვლა დაიწყო ევროპის საბჭოში შემუშავებულმა სტანდარტებმა თუ რეკომენდაციებმა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ენის პოლიტიკას ევროპის საბჭოში წარმართავს განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის IV გენერალური დირექტორატის სასკოლო და უმაღლესი განათლების დეპარტამენტის ენის პოლიტიკის განყოფილება. თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ ევროპის საბჭოს დამოკიდებულება ყველა ენის მიმართ არის ძალიან კეთილგანწყობილი და ტოლერანტული. ენობრივი მრავალფეროვნების გამო ევროპის საბჭო ევროპას ენათა საგანძურს უწოდებს და დიდად ხელს უწყობს ამ ენობრივი მოზაიკის შენარჩუნებას. ევროპის საბჭოს მიერ ენების მიმართ პატივისცემის გამოხატულება იყო 2001 წლის ენათა ევროპულ წელიწადად გამოცხადება და 26 სექტემბრის დაკანონება ენათა ევროპულ დღედ. ეს დღე შეახსენებს ყველას, რომ ენების შესწავლა შეიძლება გაგრძელდეს მთელი ცხოვრების მანძილზე. ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკა, ძირითადად, ენობრივი განათლების ზოგადევროპული სტანდარტის შექმნის, პილოტირების, გავრცელებისა და დამკვიდრებისაკენ არის მიმართული, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს მრავალენოვნების განვითარებას. ევროპის საბჭო ენების შესწავლის არანაირ მეთოდს თავს არ გვახვევს. იგი გვთავაზობს მხოლოდ ისეთ ინსტრუმენტებს, რომლებიც უადვილებს ნებისმიერი ასაკის შემსწავლელს ენების შესწავლას მისთვის სასურველ დონეზე.

ევროპის საბჭოს ენის პოლიტიკის ერთ ძალიან მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენს „ევროპული ენობრივი პორტფოლიო“, რომლის კოორდინატორიც მე გახლავართ 2001 წლიდან. ამ დროიდან ევროპის საბჭომ დაიწყო აღნიშნული პროექტის მეორე ეტაპი აღმოსავლეთ ევროპაში, უპირატესად, პოსტსაბჭოთა სივრცეში.

ენობრივი პორტფოლიო – ეს არის დოკუმენტების პაკეტი, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან. ეს ნაწილებია: ენობრივი პასპორტი, ენობრივი ბიოგრაფია და ენობრივი დოსიე.

ენობრივ პასპორტში განისაზღვრა მისი მფლობელის დახელოვნება ამა თუ იმ ენაში შემდეგი კრიტერიუმებით: აუდირება, წაკითხვა, დიალოგი, მონოლოგი, წერა. ამასთანავე, ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ ზოგადევროპულ ენობრივ კომპეტენციაში გამოყოფილია შემდეგი დონეები: A1 – ენის გასაღები, A2 – ენის საფუძველი, B1 – ზღვრული დონე, B2 – ზღვრული განვითარებული დონე, C1 – პროფესიული და C2 – სრულყოფილი ფლობის დონე. ყურადღება მისაქცევია ის, რომ პასპორტში ცალკეა შეტანილი თვითშეფასება, რაც ენობრივი პორტფოლიოს ძირითადი პრინციპია და ხაზს უსვამს, რომ „ევროპული ენობრივი პორტფოლიო“ წარმოადგენს შემსწავლელის და არა მისი გამცემი დაწესებულების კუთვნილებას. ამ დოკუმენტმა გაიარა ვალიდაცია ევროპის საბჭოს სავალიდაციო კომიტეტში და მიიღო შესაბამისი აკრედიტაცია. მას შემდეგ ეს მოდელი მუშაობს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში, გათვალისწინებულია სახელმძღვანელოების შედგენის პროცესში, მაგრამ თვით პროექტი სრული სახით, ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არსად არის დანერგილი. სულ ცოტა ხნის წინ შეიქმნა „ენობრივი პორტფოლიოს“ ახალი ვერსია უმცროსკლასელებს, რომელიც პილოტირებას გადის ქვემო ქართლის რეგიონში, სადაც არაქართველი მოსწავლეები ეუფლებიან ქართულს, როგორც მეორე ენას. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ ენაზე გამოცემულია გზამკვლევი მასწავლებელთათვის და მასწავლებელთა ტრენინგებისათვის, სადაც ასახულია „ევროპული ენობრივი პორტფოლიოს“ გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები. 2004 წლიდან, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციით, ენის პოლიტიკის ეროვნული წარმომადგენელი ვარ ევროპის საბჭოში, დავინტერესდი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტით, რომელზეც ევროპის საბჭო უკვე ათი წელია მუშაობს. ეს გახლავთ „ენის ფლობის დონეთა აღწერილობა“. ენის პოლიტიკის განყოფილებაში შემუშავებული მოდელის საფუძველზე უკვე გამოცემულია ენის ფლობის დონეების აღწერილობა სხვადასხვა ენისათვის. გასულ წელს მრავალენოვანი ევროპის ენობრივ სტანდარტებს შეემატა ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობაც, რომელიც ჯერჯერობით ოთხი დონით არის წარმოდგენილი: A1, A2, B1, B2. სხვადასხვა ენის ფლობის დონეების აღწერილობათა მატებას დიდი წვლილი შეაქვს ევროპის საბჭოს ენის პოლიტიკის შემდგომ წარმართვაში, რომელიც, პირველ ყოვლისა, მიმართულია ევროპის მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილებისა და ურთიერთგაგებისაკენ. ენობრივი სტანდარტები ევროპის კონტინენტზე განფენილ ენობრივ და კულტურულ მრავალფეროვნებაში შედგენის საშუალებას აძლევს და უცხო ეროვნულ გარემოში ადაპტაციის პროცესს უადვილებს მოსახლეობის ყველა ფენას.

ლიტერატურა:

1. პიტერ ბრეტი, პასკალ მომპოინტ-გელარდი, მარია ელენა სალემა, მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო, 2009.
2. ტაბატაძე შ., ნაცვლიშვილი ნ., ინტერკულტურული განათლება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008
3. რობერტ ჯ. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი, ჯეინ ი. ფოლოქი, ეფექტური სწავლება სკოლაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009.

Marina Tsotniashvili

LEPL - Bolnisi Municipality Village Javshaniani Public School

BILINGUAL TEACHER'S ROLE IN THE FORMATION OF PROFESSIONAL FEATURES RESUME

Bilingual teacher's professional role in shaping is quite painful and therefore requires a comprehensive approach to this problem. First of all, it is necessary that this problem must be completely separated from the political context and only will get professional initiative. Politicized teacher training is very important, but at the same time it is difficult, because the subject itself is politicized. Consequently, teachers' training should be carried out in three areas: the role of the teacher's professional bilingual education, teacher training and teacher training courses in Georgian language in schools for bilingual interactive methods.

რეალური განათლების პრინციპები იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში

ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების საკითხი, მისი ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, შრომითი, მოქალაქეობრივი აღზრდის საკითხები განვითარების ყველა ეტაპზე იპყრობს საზოგადოების ყურადღებას და ინარჩუნებს აქტუალობას. ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება განათლების სისტემისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტს, „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს“, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორი თაობების აღზრდას უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს განათლების სისტემამ. ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ამოცანაა, შექმნას ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო და რესურსები. ამ მიზნიდან გამომდინარე, იგი ირჩევს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას. მიმდინარე ინტენსიურმა კვლევებმა, რომლებმაც მეცნიერულად დაასაბუთეს მისი უპირატესობა მყარი, დინამიური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებისათვის, შესაბამისად, ისეთი მოქალაქის აღზრდისათვის, რომელიც თანამედროვე სამყაროს გამოწვევებსა და მოთხოვნებს უპასუხებს. პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი. შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას. სწორედ ამიტომ ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთა აღჭურვას ქმედითი ცოდნით. ახალი მიდგომით, საგანმანათლებლო პროგრამებში ყურადღება ექცევა არა მხოლოდ პროფესიულ, არამედ საკვანძო კომპეტენციების განვითარებას, ამ თვალსაზრისით, პროფესიული განათლების ფარგლებში კიდევ უფრო გაღრმავდება ზოგადი განათლების საფეხურზე ჩამოყალიბებული ხედვა, დემოკრატიული ღირებულებები, კომუნიკაციის უარი და სხვა საკვანძო კომპეტენციები, რომლებიც უმნიშვნელოვანესია კურსდამთავრებულთა პიროვნული და კარიერული განვითარებისათვის. სისტემის მოქნილობისა და მიმზიდველობის გაზრდა პროფესიული განათლება აღარ უნდა განიხილებოდეს როგორც განცალკევებული სფერო, არამედ როგორც განათლების ერთიანი სისტემის ნაწილი (განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები).

დღეს, უწყვეტი პროფესიული განათლების იდეა ითხოვს მეტი ყურადღება მოექცეს პროფესიული სრულყოფის პროცესს, რომ ინდივიდი მეტად მოქნილი და დახვეწილი შეეწყოს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. განათლება და პროფესიული სრულყოფა მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. ამიტომ ადრეულ ასაკში, ოჯახში, სკოლამდელ დაწესებულებებში თუ სკოლაში ჩაყრილი საფუძველი წინდახედულებას და მიზანდასახულობას მოითხოვს. სკოლა ორ უმნიშვნელოვანეს მიზანს ემსახურება: განათლებას - ბავშვთა ცოდნით შეიარაღებას და აღზრდას ჯანსაღი ადამიანური თვისებებით. განუსაზღვრელია აღზრდის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ადამიანის განვითარებაში. [1. GES]: Education Science and Psychology 2014 | No. 5(31) ISSN 1512-1801 The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education) 6-7 June, 2014. [Materials.] ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიერ განსაზღვრული იდეალების მიღწევა ადამიანის აღზრდას ემსახურება.

ეროვნული საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე „ცოდნა ცხოვრებისათვის“ (ჯ. დიუ) ჩვენი კლასიკოსების პედაგოგიური და მეთოდური ნააზრევი დღეს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შრომისმოყვარეობის აღზრდის საკითხებს. ამ მხრივ დიდ მასალას იძლევა აგრეთვე მის სახელმძღვანელოებში შეტანილი ორიგინალური და სხვა მწერალთა მოთხრობები, ლექსები, იგავები და სხვ., რომლებიც გამსჭვალულია მაღალზნეობრივი აღზრდის სულისკვეთებით. ნამდვილი სახალხო სკოლა, რომელიც საღ პედაგოგიურ პრინციპებზეა აგებული იაკობ გოგებაშვილის სამართლიანი შეხედულებით, ახალგაზრდობას უნდა ამზადებდეს ცხოვრებისათვის, მეურნეობისა და შრომისათვის. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს მათ გონებრივ განვითარებას, ზნეობრივ ამაღლებას და ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას. ჯერ კიდევ 1868 წელს, „ბუნების კარის“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში, იგი წერდა: „ბავშვის გონება კარგა ხანი ნორჩი და სუსტია, იმას შეუძლია აიტანოს მხოლოდ მსუბუქი შრომა. როცა ამგვარი შრომით გონება გაიღვიძებს და შემაგრდება, მაშინ მძიმე შრომის

ატანასაც შეძლებს. ეს არის ბუნების კანონი და დაუსჯელი დარჩება ის, ვინც ამას ეწინააღმდეგება“ [2-5] 1896 წელს „ნოვოე ობოზრენიეში“ (№ 4193) გამოქვეყნებული წერილი - "იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, როგორც პედაგოგი ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა თუ რამდენად მნიშვნელოვანი და აუცილებელია გონებრივი და ფიზიკური შრომის ერთმანეთთან შენაცვლება. ამ წესის დამცველი და ცხოვრებაში გამტარებელი იყო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (იგი მოღვაწეობდა სასულიერო სემინარიაში). წერილში იაკობი ხაზს უსვამს გაბრიელ ქიქოძის მიერ სემინარიის სასწავლო-სააღმზრდელო სისტემაში რადიკალური ღონისძიებების გატარების ფაქტს „მოსწავლეები ბაძავდნენ თავიანთ ინსპექტორს და თვითონაც ხშირად ჭრიდნენ შეშას, მონაწილეობდნენ სამეურნეო სამუშაოებში“. [3-271] იაკობ გოგებაშვილის აზრით ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყება უნდა იქცეს იმ დროს არსებული წინამძღვრიათკარის სამეურნეო სკოლის მთავარი მიზანებისა და ამოცანების განხილვას მიუძღვნა წერილი "ახალი ნაბიჯი ხალხის განათლებაში" (1883) იგი წერდა: „მეურნეობა მეტად რთული საგანია. მას ესაჭიროება თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შესწავლა“. [4-403]. რაც ვფიქრობთ, დღესაც მნიშვნელოვანი მიმართულების მისცემია ამ დარგის სასწავლებლების სასწავლო მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრაში. იგი მხარს უჭერდა ისეთი სკოლების გახსნას, რომელთაც პრაქტიკული სარგებლობის მოტანა შეეძლოთ - სამეურნეო ცოდნის დანერგვით. „რეალური სისტემა ამზადებს მოწაფეებს სამეურნეო ცოდნის შესაძენად, ხოლო ამ ცოდნას უპირველესი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც საქართველო წარმოადგენს ერთ დიდ სოფელს, რომელიც მეურნეობით სცხოვრობდა, სცხოვრობს და იცხოვრებს და, რომელმაც მიუცილებლად უნდა შეირჩინოს თავისი მიწა-წყალი, თუ დედამიწის პირიდგან თავისი გაქრობა არ სურს“, [5-250] - წერდა იაკობ გოგებაშვილი. რეალური განათლების პრინციპის საფუძველზე იგი ახალგაზრდობის მტკიცე ცხოვრებისეული ცოდნით შეიარაღებას მოითხოვდა. იაკობ გოგებაშვილმა ისტორიული წყაროებიდან კარგად იცის, რომ: „არამც თუ ქალაქებსა, თითქმის ყველა სოფელს ჰყვანდა ხელოსნები, რომლებიც აკმაყოფილებდნენ ხალხის მოთხოვნილებას. მაშინდელი საფეიქროები, მაგალითად, რომლებიც მოფენილნი იყვნენ მთელს საქართველოში, უხვად უმზადებდნენ ხალხს სამოსელსა, მერდინებსა, შალებსა და სხვა მატერიებსა“. [6-320] მას კარგად ესმოდა, რომ მომავალი საქართველოს შენებისათვის საჭირო იყო სათანადოდ ეზრუნათ ახალგაზრდობაში სამეურნეო საქმიანობისადმი ინტერესისა და სიყვარულის აღძვრისათვის. ამასთანავე, იაკობ გოგებაშვილი შრომითი სწავლების პრინციპების დანერგვას მხოლოდ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ფაქტორად როდი მიიჩნევდა, ადამიანთა ყოველმხრივ აღზრდა-განვითარებას უფრო დიდი მიზნების მისაღწევად, კერძოდ, ეროვნული კონსოლიდაციისათვის ბრძოლის არსებით პრინციპად თვლიდა. იგი წერდა: „ქართულ წოდებათა ეროვნული შეერთების დროშად უნდა გახდეს პრინციპი შრომისა, ის პრინციპი, რომლის გარეშე ჩვენს დროში არც ერთ წოდებას სიცოცხლე და წარმატება არ შეუძლიან“. იაკობ გოგებაშვილი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ახალგაზრდობის მომზადებას ნაყოფიერი შრომისათვის, მათ შრომით აღზრდას, პირველ რიგში, სასკოლო სწავლების პროცესში უნდა ჩაეყაროს მკვიდრი საფუძველი. სწავლა, სკოლაში სასწავლო დავალებათა შესრულება თავისებური შრომაა მოსწავლისათვის. სწავლა შრომისათვის ამზადებს ახალგაზრდობას. თუ მოსწავლე შეეჩვია ბეჯითობას სწავლაში, არანაკლებ მუყაითობას გამოიჩენს შრომაშიც. „სკოლამ ყმაწვილი ცხოვრებისათვის უნდა მოამზადოს,“ - აცხადებს ი. გოგებაშვილი. ამისათვის საჭიროა სკოლის მჭიდრო კავშირი ხალხთან. კარგად ორგანიზებული და ერთმანეთთან რაციონალურად შეხამებული მოსწავლეთა შრომა და სწავლა, გონებრივი და ფიზიკური შრომის მონაცვლეობა ი. გოგებაშვილის ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის წარმატებისა და შრომითი ცხოვრებისათვის მომზადების ძირითად პედაგოგიურ კანონად მიაჩნდა. ახალგაზრდობაში შრომისმოყვარეობის აღზრდის პრინციპებიდან გამომდინარე, იაკობ გოგებაშვილი თავის სახელმძღვანელოებში („დედა ენა“, „ბუნების კარი“, „რუსკოე სლოვო“) ათავისებდა საგანგებოდ შერჩეულ მხატვრულ მასალას. „ბუნების კარის“ წინასიტყვაობაში (მეათე გამოცემა, 1899 წ.) იგი წერდა: „ჩვენ დიდად მოწადინებული ვიყავით მოგვეცა ჩვენი სკოლებისა და ოჯახისათვის სასარგებლო წიგნი, დამყარებული პედაგოგიურს პრინციპებზე და სავსებით შესაბამისი ჩვენი ცხოვრებისა, ჩვენი სკოლისა და მეტადრე ამ განსაკუთრებული მდგომარეობისა, რომელშიაც იმყოფება ქართული ენა სკოლაში. ...ჩვენ ვცდილობდით ყოველი განყოფილება ისეთი შინაარსით შეგვეცხო, რომელიც პასუხს უგებს ყმაწვილს მისთვის საინტერესო კითხვაზე და რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს ადამიანის, ქართველის ცხოვრებასთან“. [7-760] სწორედ ამიტომ, იაკობ გოგებაშვილმა თავის სახელმძღვანელოებში მოათავსა ი. ჭავჭავაძის, ავ. წერეთლის, რ. ერისთავს და სხვ. მოთხრობები და ლექსები, რომლებიც ახალგაზრდობას ჩაუნერგავდნენ შრომისმოყვარეობის გრძნობას. აღსანიშნავია, რომ იაკობი „დედა ენაში“ საგანგებოდ ათავსებდა ისეთ ხალხურ ანდაზებსა და გამოთქმებს, რომლებიც უნერგავდნენ მოზარდს შრომისა და სწავლის სიყვარულს. საფუძვლიანი პედაგოგიური არგუმენტაციით ასაბუთებდა იაკობ გოგებაშვილი საზოგადოებრივ ცხოვრებასთან სკოლის კავშირის აუცილებლობას, სათუთად ზრდიდა ახალგაზრდობაში შრომისმოყვარეობის მაღალკეთილშობილურ გრძნობას და ამზადებდა მათ მომავალი

ნაყოფიერი ცხოვრებისათვის. დიდი პედაგოგის აზრით, ადამიანის ყოველმხრივი განვითარების ძირითადი პირობაა ფიზიკური და გონებრივი შრომის აღზრდა, მათი განუყრელი შენაცვლება. ვფიქრობთ, დღესაც მნიშვნელოვან რეკომენდაციებს გაუწევს განათლების მესვეურთ იაკობ გოგებაშვილის ნააზრევი რეალური აღზრდის ისეთ კონკრეტულ ამოცანებზე, როგორიცაა შრომისა და სწავლის ერთობლიობისა და გონებრივი და ფიზიკური შრომის მონაცვლეობის საფუძველზე სამეურნეო ცოდნის დანერგვა.

ლიტერატურა:

1. [GES]: Education Science and Psychology 2014 | No. 5(31) ISSN 1512-1801 The 2nd Teacher Conference "University and School" (Problems of Teaching and Education) 6-7 June, 2014.
2. იაკობ გოგებაშვილი, თხზ. ტ. 5, თბ., 1958;
3. იაკობ გოგებაშვილი, თხზ. ტ. 3, თბ., 1955;
4. იაკობ გოგებაშვილი, თხზ. ტ. 1, თბ., 1954;
5. იაკობ გოგებაშვილი, თხზ. ტ. 1, თბ., 1954;
6. იაკობ გოგებაშვილი, თხზ. ტ. 2, თბ., 1954
7. იაკობ გოგებაშვილი, თხზ. ტ. 6, თბ., 1958

Neli Champuridze

Gori State Teaching University

REAL EDUCATION PRINCIPLES JACOB GOGEBASHILI'S CREATION RESUME

The important role in Jacob Gogebashvili's pedagogical theory is raising diligence issues. A real public school, which is built on common pedagogical principles of Jacob Gogebashvili's fair judgment, the youth must be prepared for life, agriculture and labor. All of this will contribute to their mental development, raising moral and economic revival. He was confident that the preparation of youth for productive work, their labor upbringing, firstly the foundation must be laid in school teaching. At the same time, Jacob didn't think to implement labor teaching principles only for economic improvement, the factor considered in all aspects of people's education and development of the greater goals, in particular, considered essential principle of fighting for national consolidation.

მამუკა ჯოღბორდი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილი და საქართველოს ისტორიის საკითხები („ბუნების კარი“ დავით IV აღმაშენებლის სამეფო ბეჭდის შესახებ)

ქართველი სამოციანელების ღირსეული წარმომადგენელი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი (1840-1912 წწ.) მოზარდთა გონებრივ და ზნეობრივ ფორმირებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მშობლიური ისტორიის შესწავლას. მისი აზრით, საქართველოს ისტორიის ღირსშესანიშნავი ფაქტებისა და პიროვნებების ღვაწლის პოპულარიზაცია ეროვნული განათლების ქვაკუთხედს წარმოადგენდა. ჩვენი ისტორიის დიდ მოღვაწეთაგან მის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებში, ბუნებრივია, გამორჩეული ადგილი უკავია დავით IV აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ცალკეულ დეტალებს.

ამჯერად, თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“ შესულ ტექსტზე, რომელიც გელათის ტაძრის მშენებლობაზე მოგვითხრობს, კონკრეტულად, კი მასში დაცულ ცნობებზე დავითის სამეფო ბეჭდის შესახებ. იაკობ გოგებაშვილი წერს: „გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ეს

ქვა (საუბარია ორი საჟენი სიგრძისა და ერთი საჟენი სიგანის ქვაზე) მეფე დავით აღმაშენებელმა თავისი ხელით მოიტანა და კუთხის ქვად დასდო. არც საკვირველია, რადგანაც ეს დიდებული მეფე სწორედ მღვდის აგებულებისა იყო, რასაც მოწმობს იმისი ვეებერთელა ბეჭედი თითისა, დაცული აქამდე ამ ეკლესიაში. ეს ბეჭედი იმოდენაა, რომ ერთად შეკუმშულს ხუთ თითს ჩვეულებრივი კაცისას ხალვათად წამოეცმის“ [1; 485].

რა თქმა უნდა, იაკობის მხრიდან დავით აღმაშენებლის განსაკუთრებულ ფიზიკურ ძალაზე და მის ახოვანებაზე ყურადღების გამახვილება, ავტორს მოზარდებში ემოციის გასამძაფრებლად სჭირდება, თუმცა, როგორც სხვა საისტორიო წყაროებიდან და სამეცნიერო ლიტერატურიდანაც ცნობილი, დავითს მართლაც ჰქონია სამეფო ბეჭედი - საბეჭდავი (ამასვე ადასტურებს დავით აღმაშენებლის ცნობილი ფრესკა გელათში, სადაც დავითს მარცხენა ხელში ტაძრის მაკეტი უპყრია და ამავე ხელის თითზე უკეთია სამეფო ბეჭედი).

1125 წლის შიო-მღვიმისადმი ბოძებულ სიგელში დავით აღმაშენებელი აღნიშნავს: „ძემან ჩემმან დემეტრემ ძელი ცხოვრებისაი და ნაწილნი წმინდათანი ორი მეოთხე (კიდობანი) სავსე, ესე თვით ამას ჩემსა ეკლესიასა შინა იყოს“.

დეკანოზი დავით ღამბაშიძე წერდა: „ბეჭდის სიდიდე უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ხალხი დღესაც ღონიერ კაცად სთვლის დავით აღმაშენებელს“. გარდა იმისა, რომ ის ბეჭედ-საბეჭდავს წარმოადგენდა, უფრო მეტად ბრძოლაში შეწევნისთვის გამოიყენებოდა, საბრძოლველად გამზადებული მეფე ახდიდა ბეჭედს კიდობანს, ეამბორობოდა წმინდა ნაწილებს და შეწევნას სთხოვდა მათ.

ტექსტის სხვა ადგილას იაკობ გოგებაშვილი უბრუნდება თხოვრას დავითის სამეფო ბეჭდის შესახებ: „გელათის უძვირფასეს საუნჯეს შეადგენს აგრეთვე ზემოდ ხსენებული ბეჭედი მეფე დავით აღმაშენებლისა. ამ ბეჭდის თავში მოქცეულია წმიდა გიორგის ნაწილები, ზედ თავზედა კი გამოხატულია თვით ეს მთავარმოწამე, როგორც ეტყობა, ამ ბეჭედს თითზედაც იკეთებდა სახელოვანი მეფე და თანაც ხმარობდა როგორც საბეჭდავსა თითქმის ათასი წელიწადია, რაც ეს ბეჭედი არსებობს, ისე კარგად არის შენახული, რომ ახალი გაკეთებული გეგონება“ [1; 486].

გადმოცემის თანახმად, საუკუნეების განმავლობაში გელათში მრავალი სიწმინდე ინახებოდა. ესენი იყო მაცხოვრის საუფლო სისხლი, ჯვარცმის დროინდელი სუდარის ნაწილი, ძელი ჭეშმარიტი, ქრისტეს თმათა წვერი, ღვთისმშობლის თმა, კბილი, უფლის სამსჯავლი, წმ. გიორგის თავის ქალის ნაწილი, წმ. პანტელეიმონის, წმ. ხარლამპის, წმ. თეოდორეს, წმ. დემეტრეს, წმ. ევსტათის, პირველმოწამე სტეფანეს, ანტიპოს პერგამონელის წმ. ნაწილები და სხვ.

XIX-XX საუკუნეებში გელათი რამდენჯერმე გაიმარცვა (1833, 1859, 1904 წლებში). ამ უკანასკნელი მარცვის შესახებ 1904 წლის 19 ივლისს გელათის მონასტრის არქიმანდრიტი სერაპიონი (ერისკაცობაში ახვლედიანი) ყოვლადსამღვდელო ლეონიდეს ატყობინებს გელათის გამარცვის ფაქტს, რომლის თანახმად, 17 ივლისს მწუხრის ღოცვის დროს, ექვს საათზე მონასტერს თავს დაესხა შვიდი შეიარაღებული ავაზაკი, რომელთაც წაიღეს დავით აღმაშენებლის ბეჭედი (სხვა სიწმინდეებთან ერთად)*, რომელიც ოქროსი იყო და მასზე გამოსახული იყო წმ. გიორგი და ჰქონდა წმ. ნაწილების ხუთი კიდობანი (გელათის მარცვის ფაქტს იუწყება გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1904 წ., 29 ივლისი, N240).

ამ ფაქტმა ქართულ საზოგადოებაში დიდი გულსტკივილი გამოიწვია. აკაკი წერეთელი წერდა: „ბევრი რამ მამა-პაპათა ნაანდერძევი, დღეს დაკარგულ-დავიწყებული, მიგლოვია, მაგრამ არც ერთი ისე არ დამსობია გულზე, როგორც ეს უკანასკნელი უკუდმართობა.

მოგვიანებით აკაკიმ ლექსითაც გამოიტირა დავითის სამეფო ბეჭედი:

„და ის საცერე დიდი ბეჭედი,
აღმაშენებელს რომ თითზე ეცვა,
და კურთხეულმა მისმა მარჯვენამ
საქრისტიანო რითაც დაიცვა.
სხვა სიმდიდრესთან, ბოროტგანმზრახველს
გაუტაცია ისინი ერთად,
აღარ უცვნია გადარჯულებულს
ტაძარი ტაძრად და ღმერთი ღმერთად.“

[2; 299-300]

მკვლევართა ნაწილი (კონდაკოვი, დ. ბაქრაძე) თვლის, რომ სხვა სამეფო და საეკლესიო ბეჭდების მსგავსად ეს ბეჭედიც იმდენად დიდი იყო, რომ ხელის სამშვენისად არ გამოიყენებოდა და მისი ხელრთვა

* პოლიციამ იმავე წლის 30 სექტემბერს დაბა სვირის რკინიგზის სადგურზე შეიპყრო ა. ჩხეიძე, ს. სვანიძე და გ. კანდელაკი, რომელთაც გელათის გამარცვა დაბრალდათ, თუმცა, მოკლე ხანში ისინი გაანთავისუფლეს და დაკარგული ნივთების ასავალ-დასავალი უცნობი დარჩა. მხოლოდ წინამძღვარი გადადგა.

„წმინდა გიორგი ძალითა შენითა ვსძლევ მტერთა ჩემთა“ გიორგი III უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა ისტორიკოსთა უმრავლესობა მას დავითის ბეჭდად მიიჩნევს. მაგალითად, ზ. ავალიშვილის მოსაზრებით, დავითის ბეჭედს ამშვენებდა წარწერა: „ჯვართა მტერთა მძლეველი - მე, დავით, ვარ უძლეველი.“**

ვფიქრობთ, იაკობ გოგებაშვილის ცნობა დავით IV აღმაშენებლის სამეფო ბეჭდის შესახებ გარკვეულ მნიშვნელობას იძენს იმ თვალსაზრისით, რომ ტექსტი შექმნილია ამ დიდი სიწმინდის დაკარგვამდე და მისი გელათში არსებობის უტყუარობას კიდევ ერთხელ ადასტურებს.

ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი ი., „ბუნების კარი“, ოცდამეერთე გამოცემა, თბ., 1912.
2. ტყემელაშვილი გ., გელათის საგანძური, ქუთაისი, 2006.

Mamuka Jolbordi

Gori State Teaching University

**THE ISSUES OF GEORGIAN HISTORY IN THE DOOR TO NATURE BY IAKOB
GOGEBASHVILI (THE RING OF THE KING DAVID IV THE BUILDER)
RESUME**

The work deals with the certain information, namely, the history of King David the Builder's royal seal. This historical relic had been kept in Gelati temple for centuries and got lost at the beginning of the XV century during one of the temple lootings.

By retelling such valuable historic facts Iakob Gogebashvili aimed to form and raise national aspiration and awareness in Georgian young generation.

** გელათის მშენებლობასთან დაკავშირებულ ლეგენდებზე და ხალხში დაცულ გადმოცემებზე საინტერესო ცნობებია თავმოყრილი ქსენია სიხარულიძის ნაშრომში „ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“, რომელიც 1949 წელს გამოქვეყნდა.